სატია საი გიტა

თვითრეალიზაციისა და
გათავისუფლების გზა ჩვენს საუკუნეში

სატია საი ბაბას სიტყვები ბჰაგავად გიტას თემაზე

სატია საი ბაბას გამონათქვამებიდან

*ვინ შექმნა მთელი ეს მრავალფეროვნება სამყაროში; ვინ არის პასუხისმგებელი ასეთ მრავალფეროვნებაზე? როგორ უპასუხებთ? სწორი პასუხი იქნება: „მრავალფეროვნება საერთოდ არ არსებობს!“ ერთიანი ღვთაებრივი „**მე**“ რჩება მუდამ ერთიანი. თქვენ მას სიმრავლედ მიიჩნევთ. შეცდომა თქვენშია. შეასწორეთ სამყაროს თქვენი საკუთარი ხედვა. მოიცილეთ ცდომილება. ღვთაება არ ქცეულა ამ სამყაროდ, ისევე როგორც თოკი არ ქცეულა გველად: სიბნელეში თოკს გველად მიიჩნევთ, მაგრამ ის თოკად რჩება. ასევე ღვთაებრივი „**მე**“-ც რჩება ღვთაებრივ „**მე**“-დ, თუმცა თქვენი არცოდნა გაიძულებთ, რომ დაინახოთ **ის** როგორც ეს სამყარო... მრავალფეროვნების სამყარო სახელად „ცდომილება“ ცალ ფეხზე დგას. მოკვეთეთ ეს ფეხი და სამყარო ჩამოიქცევა... ხშირად გეუბნებით მეც კი არ გამაიგივოთ ამ სხეულთან. თქვენ არ გესმით. მხოლოდ ერთ სახელს მიწოდებთ და გჯერათ, რომ მე მხოლოდ ერთი ფორმა (გამოსახულება) მაქვს; მაგრამ არ არსებობს არც ერთი სახელი და არც ერთი ფორმა, მე რომ არ მეკუთვნოდეს.*

ხანგრძლივი ძიების შემდეგ აქ და იქ, ტაძრებში და ეკლესიებში, ბოლოს და ბოლოს, ბრუნდებით, ამთავრებთ წრეს იქ, სადაც ის დაიწყეთ, და აღმოაჩენთ, რომ ის, ვისაც მთელ მსოფლიოში ეძებდით, ვის გამოც ტიროდით და ვისაც ლოცულობდით ეკლესიებში და ტაძრებში, ვისაც უყურებდით როგორც საიდუმლოთა შორის საიდუმლოს, - იგი ახლობლებს შორის თქვენი ყველაზე უფრო ახლობელია, თქვენი საკუთარი არსია, თქვენი ცხოვრების, სხეულისა და სულის რეალობაა. ჩაეჭიდეთ ამას! გამოამჟღავნეთ ეს თქვენში!

როგორც სხეული, გონება ან სული თქვენ სიზმარი ხართ. ის კი, რასაც სინამდვილეში წარმოადგენთ, არის სუფთა ყოფიერება, ცოდნა, ნეტარება. თქვენ ამ სამყაროს ღმერთი ხართ. თქვენ ქმნით მთელ ამ სამყაროს და შეიწოვთ თქვენში. უსასრულოს მისაღწევად უმნიშვნელო პატარა ინდივიდუალობა, ციხის მსგავსი, უნდა გაქრეს... მიჰყევით თქვენს გულს. სუფთა გული ინტელექტის ზღვრებს მიღმა ეძებს. იგი აღმაფრენას იძენს... თქვენ შიგნით იმყოფება ჭეშმარიტი ბედნიერება. თქვენ შიგნით იმყოფება ღვთაებრივი ნექტრის მძლავრი ოკეანე. თქვენ შიგნით ეძებეთ იგი. იგრძენით ის. აქ არის იგი – თქვენი არსი. თქვენი არ არის სხეული, გონება, ინტელექტი – ეს ყველაფერი მხოლოდ გარეშე გამომჟღავნებაა. ყველაფერზე უფრო დიდი თქვენ თვითონ ხართ. თქვენ წარმოადგენთ როგორც მომღიმარ ყვავილს, როგორც მოციმციმე ვარსკვლავებს. რა შეიძლება იყოს სამყაროში, რისი ნდომაც კი შეგეძლებოდათ?

საი ბაბა

(*შირდი საი ბაბა, სატია საი ბაბა და პრემა საი ბაბა*)

მრავალი მილიონი ადამიანისთვის, რომელიც სატია საი ბაბას ერთგული გახდა, იგი წარმოადგენს ჩვენი დროის *ავატარს.* მას თაყვანს სცემენ როგორც ინკარნაციას (განსხეულებას), რომელიც ღმერთის სრულ ძალას ფლობს. ასეთი კეთილისმყოფელი მოვლენა არ ყოფილა ძველი დროიდან, როცა ღმერთი ადამიანის ფორმით გამოცხადდა 5000 წლის წინათ კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთ უდიდეს საუკუნეში. მაშინ ის მოვიდა როგორც უფალი კრიშნა, რომ იმ საუკუნის *ავატარის* როლი ეთამაშა. დღეს ღმერთი კვლავ გამოცხადდა მსოფლიო მასწავლებლის როლში იმისათვის, რომ კაცობრიობა ატაროს და განადიდოს ადამიანის ისტორიის ამ კრიტიკულ პერიოდში.

როგორც სიტკბოს გაგებაა მხოლოდ სიტყვების დახმარებით შეუძლებელი, ვინაიდან მას გემო უნდა გაესინჯოს, ასევე საის ფენომენის გაგებაც შეუძლებელია მხოლოდ კითხვით მის შესახებ, ან მისი სწავლების შესწავლით – პირველი წყაროებიდანაც თუ მოდის ეს. მისი ჭეშმარიტების შეცნობა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მის სწავლებას ცხოვრებაში განვახორციელებთ და პრაქტიკაში გამოვიყენებთ ყოველ აზრში, ყოველ სიტყვაში და საქმეში. როდესაც ჩვენს ცხოვრებას ასეთი სახით გარდავქმნით, ჩვენივე თავის შესახებ ჭეშმარიტებას გავაცნობიერებთ. ეს უიშვიათესი საგანძურია, რომელიც ჩვენი დროის *ავატარმა* უნდა გვაჩუქოს. სწორედ ამისათვის მოვიდა იგი. უფრო ღრმა მნიშვნელობა იმ მისიისა, რისი გულისთვისაც ღმერთი ადამიანის ფორმაში განსხეულდება, იმაში მდგომარეობს, რომ იგი ჩვენ შორის იმიტომ ცხადდება, რომ მან **ჩვენი ღვთაებრიობის** შესახებ შეგვახსენოს.

არსებითად ჩვენ ისეთივენი ვართ, როგორიც ისაა. ჩვენ ვართ განსხეულებული ღმერთი – ამაშია *გიტას* სწავლების საფუძველი. ის მოვიდა იმისათვის, რომ ჩვენ შესახებ ჭეშმარიტების გაცნობიერებისკენ მიმავალი გზა გვაჩვენოს და კაცობრიობა მისი ღვთაებრივი წყაროსკენ დააბრუნოს.

საის სამი ინკარნაცია

მსგავსად ალაჰისა მუსლიმანებში, იეჰოვასი ებრაელებში, ღვთაებრივი მამისა ქრისტიანებში, ბუდას ბუნებისა ბუდისტებში, აჰურა მაზდასი პარსებში, უმაღლესი „მე“-სი ვედანტის მიმდევრებში

ან დიადი სულისა ამერიკელ ინდიელებში, საი ბაბა არის სახელი ყველგან მსუფევი უმაღლესი რეალობისა, რომელიც უმრავლეს რელიგიაში ცნობილია როგორც ღმერთი. ერთი და იგივე ღვთაებრიობა უთვალავ სახელს იღებს და უთვალავ ფორმაში მჟღავნდება. ღმერთმა აირჩია 250 წლიანი პერიოდი მე-19 საუკუნის დასაწყისიდან, რომ ზედიზედ სამ ადამიანურ ფორმაში განსხეულდეს ჩვენს *კალის* ხანაში როგორც *ავატარი* „მართლქმედების აღდგენისთვის“ გზააბნეულ კაცობრიობაში. ყველა სამ ინკარნაციას (განსხეულებას) ჰქვია საი ბაბა, რაც ნიშნავს ღვთაებრივ დედა-მამას.

სატია საი ბაბას ამჟამინდელი განსხეულება მეორეა *ავატარ* საის სამი ინკარნაციიდან. იგი დაიბადა 1926 წელს. პირველი ინკარნაცია იყო შირდი საი ბაბა, რომელმაც სხეული 1918 წელს მიატოვა, სატია საი ბაბას დაბადებამდე რვა წლით ადრე. შირდი საი ბაბას ცხოვრება იყო მაგალითი ღმერთის ერთიანობისა და ხალხთა ძმობისა, მაგალითი მსახურებისა როგორც ინდუსთა თემისთვის, ასევე მუსლიმანებისთვის ცენტრალურ ინდოეთში; ყოველი თემი მას თავის მასწავლებლად თვლიდა. მრავალი წლის განმავლობაში იგი ცხოვრობდა ხან ინდუსების ტაძარში, ხან მუსლიმანურ მეჩეთში.

ავატარი საი ამჟამინდელ ფორმაში როგორც სატია საი ბაბა დარჩება 96 წლის ასაკამდე (95 წლისა დასავლეთის კალენდრის მიხედვით), ანუ 21-ე საუკუნეში შევა. ამის შემდეგ, სხეულის მიტოვებიდან სულ მალე იგი დაიბადება სამხრეთ ინდოეთში როგორც მესამე და ბოლო განსხეულება. იმ დროში ის ცნობილი იქნება როგორც პრემა საი ბაბა; იგი ახლანდელ *კალის* ეპოქას დაასრულებს და კაცობრიობისთვის ოქროს ხანის მოსვლას გამოაცხადებს, და ამით *ავატარ* საის მისიას დაასრულებს.

სატია საი ბაბას *აშრამა* – პრაშანტი ნილაიამი

სატია საი ბაბა დაიბადა პატარა შორეულ სოფელ პუტაპარტში, ინდოეთის სამხრეთში ბანგალორის მახლობლად. ამჟამად მისი *აშრამა* გამოიყურება როგორც თანამედროვე პატარა ქალაქი, - ეს არის პრაშანტი ნილაიამი, რაც ნიშნავს „უმაღლესი სიმშვიდის ყოფნას“. ათასობით მომლოცველს მთელი ინდოეთიდან, ასევე დედამიწის სხვადასხვა ქვეყნიდან შეუძლია აქ გაჩერდეს, რომ განიცადოს სატია საი ბაბას კონტაქტი ერთგულებთან ან ინტერვიუზე მოხვდეს, თუკი ბედი გაუღიმებს და რჩეული იქნება.

აშრამის მახლობლად იმყოფება უზარმაზარი საგანმანათლებლო კომპლექსი, სადაც ცხოვრობენ და სწავლობენ სტუდენტები მთელი ინდოეთიდან და საზღვარგარეთიდან. ბავშვები, ხუთი წლის ასაკიდან, სხვადასხვა დონეზე სწავლობენ: დაწყებით სკოლაში, შემდეგ

საშუალო სკოლაში, კოლეჯში და უნივერსიტეტის დონეს აღწევენ; სტუდენტებს შეუძლიათ განაგრძონ სწავლა ასპირანტურაში დოქტორის ხარისხზე – მთლიანობაში ეს არის სწავლების ოცწლიანი პროგრამა. საის ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა საუნივერსიტეტო ქალაქებით ინდოეთის სხვადასხვა შტატში არ მისდევს რაიმე გარკვეულ სარწმუნოებას, გარდა ამისა, იგი სრულიად უფასოა. განათლებისთვის საჭირო ხარჯებს იხდის უშუალოდ სატია საი ბაბას მზრუნველთა საბჭო.

პრაშანტი ნილაიამში ასევე იმყოფება საის ორგანიზაციის მსოფლიო ქსელის (რომელიც მსახურებით არის დაკავებული) ცენტრალური ხელმძღვანელობა. არსებობს საზოგადოების მსახურების პროექტთა, ასევე ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა გამოყენების ფართო არე განათლების სახელმწიფო და კერძო სისტემებში მთელ მსოფლიოში. *აშრამასთან* ახლოს სატია საი ბაბამ გახსნა აზიაში ყველაზე უფრო დიდი სპეციალიზებული კლინიკა. აქ ოპერაციას უკეთებენ პაციენტებს მთელი მსოფლიოდან, საწყლებიც თუ არიან ისინი. პაციენტები ფულს არ იხდიან არც ექიმებისთვის, არც წამლებისთვის, არც კვებისთვის და საავადმყოფოში ყოფნისთვის.

სატია საი ბაბა როგორც ადამიანი და ღმერთკაცი

მთელი ამ მოღვაწეობის ცენტრია სატია საი ბაბა. ადრეული ასაკიდანვე იგი თავისი უნიკალური **თანდასწრებით** ადამიანთა დიდ რაოდენობას იზიდავს. ის შეიძლება აღვწეროთ მხოლოდ როგორც სუფთა უანგარო სიყვარულის განსახიერება, როგორც უმაღლესი სიმშვიდისა და ნეტარების განსხეულება, როგორც ყოველგვარი სიკეთის არსი. ის არის გამოსახვა ყველა კეთილშობილი თვისებებისა, რომლებითაც მთელი კაცობრიობაა აღფრთოვანებული; თვითონ მასში მჟღავნდება ღვთაებრივი თვისებები, რომლებიც *ავატარს* ახასიათებს. მის ხელშია ბუნების მთელი ძალა. იგი მთელ ცოდნას ფლობს. მან იცის წარსული, აწმყო და მომავალი ყოველი იმ ადამიანისა, ვინც მასთან მოდის. იგი თავისი სხეულით ჩნდება მსოფლიოს ბევრ ადგილას თავის ერთგულთა კეთილდღეობისთვის. ეს მახასიათებლები, სახელდობრ: ყოვლისშემძლეობა, ყოვლისმცოდნეობა და ყველგანმსუფეობა – წარმოადგენს ღვთაების ნიშნებს მის სრულ განსხეულებაში.

თავის სწავლებაში იგი მიესალმება ყველა რელიგიას, ხაზს უსვამს რელიგიების თანხმობის აუცილებლობას ერთიან ღვთაებრიობაში. მისი მანერისთვის დამახასიათებელია დიდებული გრაცია; იგი ყოველთვის ნეტარებაში იმყოფება. დიდებული ტაძრისა და *აშრამის* ცენტრში პატარა უბრალო ოთახში ცხოვრობს,

ცხოვრების მკაცრ წესს იცავს, და მთლიანად უთმობს თავის დროს (დილიდან გვიან ღამემდე) იმათ მსახურებას, ვინც მასთან ჩამოდის.

სატია საი ბაბა არ არის ფიზიკური პლანით შეზღუდული. იგი ყველა განზომილებაში მოქმედებს: ფიზიკურში და ფაქიზში; იგი ცხადდება სიზმრებში და შინაგან ხედვაში ისევე, როგორც ფიზიკურ ფორმაში. არის რა ღვთაებრივი მასწავლებელი, იგი თავისი ერთგულების სულიერ განვითარებას ხელმძღვანელობს, შთააგონებს მათ შიგნიდან და მიმართავს გარედან. იგი შუქს ჰფენს გულს და გონებას გარდაქმნის, ხსნის უდიდეს საგანძურს – უკვდავ *ატმას*, სამყაროებრივ არსს („**მე**“-ს), რომელიც თითოეულის გულში იმყოფება.

საის მოსვლა

ორ-ნახევარი საუკუნე, რომელიც საის მოსვლას მოიცავს, უდიდესი სულიერი მნიშვნელობის უნიკალური დროა მსოფლიოს ისტორიაში. დროის ამ პერიოდში მრავალი წმინდანი და ბრძენი ასევე ცხადდება დედამიწაზე იმისათვის, რომ მონაწილეობა მიიღოს სულიერ ფასეულობათა აღორძინების ღვთაებრივ მისიაში და აარიდოს მორალური დაცემა, რომელმაც მთელი მსოფლიო მოიცვა. მომავალ საუკუნეებში თაობები წმინდა თრთოლით დაუწყებენ ცქერას იმათ, ვისაც ბედმა გაუღიმა და ამ კურთხეულ დროში იცხოვრა, ისევე როგორც ჩვენ ვუცქერთ იმ ბედნიერ ადამიანებს, ვინც იყო უფალ რამას ან კრიშნას, მოსეს, იესო ქრისტეს, ბუდას, მაჰმადის ან ზოროასტრას თანამედროვე და ვისაც იმის შესაძლებლობა მიეცა, რომ უშუალოდ განეცადა მათი წმინდა თანდასწრება.

კაცობრიობის დიდი ხნის არსებობის განმავლობაში ძალიან იშვიათად იღებს ღმერთი ადამიანის ფორმას დედამიწაზე, და ამგვარად ადამიანთა უზარმაზარ რაოდენობას იმის საშუალებას აძლევს, რომ გააცნობიეროს თავისი საკუთარი „**მე**“. და კიდევ უფრო იშვიათად ჩნდება ღვთაება მთელი სისრულითა და დიდებით როგორც საუკუნის *ავატარი*, რაც ჩვენს დროში მოხდა, როდესაც ღმერთი გამოცხადდა სატია საი ბაბას ფორმით. ამრიგად, დღეს შესაძლებელია უშუალოდ მიახლოება და ღმერთის ძლიერების სისავსის განცდა, აგრეთვე მისი სწავლების შეცნობა. ამ სწავლებას მთელი სიბრძნის წყაროს ავტორიტეტი გააჩნია, რადგან საი ბაბა ჩვენი დროის ენაზე გველაპარაკება.

შენიშვნა მკითხველისთვის

ბჰაგავად გიტა ნიშნავს „ღმერთის გალობას“. ეს არის ინდოეთის სულიერების სულისკვეთება. ეს წმინდა ტექსტი ადამიანს ასწავლის, როგორ გადალახოს უფრო დაბალი სურვილები, რომ გააცნობიეროს

თავისი სრული პოტენციალი, რაც ნიშნავს გააცნობიეროს თავისი თავი როგორც მარადიული *ატმა*, ღმერთთან ერთიანი. ხუთი ათასი წლის წინ უფალი კრიშნა ასწავლიდა არჯუნას ამ ცოდნას ბრძოლის ველზე დიადი შებრძოლების წინ, რომელშიაც კეთილი ძალები უპირისპირდებოდნენ ბოროტ ძალებს. ეს ომი სიმბოლურად გამოხატვა იყო იმ ბრძოლისა, რომელიც ადამიანის გულში ხდება, რომ ადამიანი სწორად იქცეოდეს და ბოროტებას უპირისპირდებოდეს, - გამოხატვა იმ შინაგანი ბრძოლისა, რომელიც დღემდე არ ნელდება. *ბჰაგავად გიტა* ამ ბრძოლაზე ამბობს; *გიტას* სწავლება დროის გარეთაა, იგი უნივერსალურია, რადგან ერთნაირად მიეყენება სხვადასხვა სათავეებისა და დროების ადამიანებს, არჯუნადან დაწყებული თანამედროვე ადამიანამდე დამთავრებული. დასავლეთის ადამიანისთვის, რომელიც *ბჰაგავად გიტას* არ იცნობს, აქ წარმოდგენილია მისი თხრობისა და სწავლების არსის ახსნა.

1984 წლის აგვისტოსა და სექტემბერში შრი სატია საი ბაბა ოცდათოთხმეტჯერ გამოვიდა სიტყვით *ბჰაგავად გიტაზე* ტელუგუს ენაზე სტუდენტებისთვის თავის *აშრამში* პრაშანტი ნილაიამში (სამხრეთ ინდოეთი). ამ გამოსვლებში იგი განიხილავს *გიტას* ორ თავს: მეთორმეტეს, რომელიც ამბობს ერთგულების გზაზე, და მეორეს, რომელიც სიბრძნისა და მოქმედების გზაზე ამახვილებს ყურადღებას. თითოეული ეს გამოსვლა აგებულია წინა გამოსვლებზე, თუმცა თავის თავად დასრულებულს წარმოადგენს. მკითხველს შეუძლია ნებისმიერი სიტყვიდან დაიწყოს და, გამოიყენებს რა მის სწავლებას ცხოვრებაში, დატკბეს ამაღლებული სულიერი ცნობიერების სიმშვენიერით, რომელიც მის ცხოვრებაში აღწევს.

გიტას არსი

კრიშნამ ორ არმიას შორის მიმართა ეტლი, რომ არჯუნას შეძლებოდა დანახვა მისი ნათესავებისა, რომლების ბრძოლის ველის ორივე მხარეს იყვნენ განლაგებულნი. ღრმა თანაგრძნობით აღვსილმა არჯუნამ თქვა:

„ო კრიშნა, არ შემიძლია ბრძოლა! უმწეობით ვარ აღვსილი! არ ვიცი, რაში მდგომარეობს ჩემი ვალი! გევედრები, მითხარი, როგორ მოვიქცე სწორად! მე შენი მოსწავლე ვარ! სრულად გნებდები! თუ შეიძლება, მასწავლე!“

მაშინ დალოცვილმა უფალმა უპასუხა:

„არჯუნა, გადააგდე ეს სულმოკლეობა. ის არ არის შენი ღირსი. ნუ დაუთმობ სისუსტეს. შენი მწუხარება ამაოა; მწუხარების ფესვები ჭეშმარიტებაში არ არის. იცოდე ატმას ჭეშმარიტება, არჯუნა. როგორც ადამიანი გადააგდებს ნახმარ ტანსაცმელს და იცვამს ახალს,

ასევე ატმაც გადააგდებს სხეულს და ახალში შედის. სხეულები იბადებიან, ხოლო ის, რაც დაიბადა, უნდა მოკვდეს; მაგრამ მარადიული ატმა არასოდეს იბადება და არასოდეს კვდება. იარაღს არ შეუძლია მისი მოკვლა, ცეცხლს არ შეუძლია მისი დაწვა, წყალი მას ვერ დაასველებს, და ქარი ვერ გააშრობს. ატმა არ არის ხრწნადი სხეული, ეს არის ყოველი არსების უხრწნადი არსი. უნდა ეს გაიგო და არაფერზე იღელვო. ბრძენები არასოდეს დარდობენ... არც გარდაცვლილებზე, არც ცოცხლებზე.

მე ვარ ეს ატმა, არჯუნა. მე ვარ ყველას უზენაესი უფალი, ყველას გულში ვიმყოფები. მე ვარ ამ სამყაროს მამა, ასევე მისი დედა და მფარველი. მე ვარ საწყისი, შუაგული და დასასრული. ყველაფერი ჩემიდან გამოდის. ყველაფერი ჩემით არის გამსჭვალული. ვერავითარი ქმნილება ვერ იარსებებს ჩემ გარეშე. რა გზითაც არ უნდა მიდიოდეს ადამიანი, ეს ჩემი გზაა. რა გზასაც არ უნდა ირჩევდეს იგი, ჩემამდე მოაღწევს. თუმც დაბადების გარეთ ვიმყოფები და მარად უცვლელი ვარ, მაგრამ ჩემს თავს ხშირად ვავლენ. როდესაც ზნეობა დაცემულია და არამართლქმედება ჭარბობს, მე ფორმას ვიძენ, რომ სიკეთე დავიცვა და ბოროტება მოვსპო.

რამდენადაც ჩემი ილუზიის მიუწვდომელი ძალით, მაიათი ვარ დაფარული, ამიტომ ქვეყნიერება ვერ მცნობს. ისინი ვერ მცნობენ, არჯუნა, მე კი ყველას ვცნობ... ვიცი მათი აწმყო, წარსული და მომავალი. უმეცრებს არ ესმით ჩემი ტრანსცენდენტალური ბუნება, ისინი მთვლიან უბრალო მოკვდავად, მე კი მარადგაუმჟღავნებელი და მოუშლელი ვარ. არაფერი იციან ჩემი რეალობის შესახებ და გატაცებულნი არიან ამ სამყაროთი მისი ამაო იმედებით, ამაო მოღვაწეობითა და ფუჭი ცოდნით. ისინი მაიას ლაბირინთში არიან დაკარგულნი და ბრუნავენ, როგორც მარიონეტები კარუსელში.

ყველაფერზე უფრო ძნელი ჩემი ღვთაებრივი ილუზიის დაძლევაა. ათასი ადამიანიდან შეიძლება მხოლოდ ერთი ცდილობდეს ჩემი ჭეშმარიტების შეცნობას; მათ შორისაც კი, ვინც ისწრაფის, შეიძლება მხოლოდ ერთმა მიცნოს სინამდვილეში. ეს არის მარადიული სიბრძნის იოგი. ამიტომ, არჯუნა, გახდი იოგი! მხოლოდ ჩემში ეძებე თავშესაფარი მთელი შენი არსებით, და ჩემი წყალობით მიიღებ უმაღლეს სამყაროს. ამ წამიდან ჩემზე გქონდეს გონება მომართული, ჩემზე, ვინც შენს გულში იმყოფება. იყავ ჩემი ერთგული, მუხლი მოიყარე ჩემ წინაშე, თაყვანი მეცი მე, ვინც მუდამ შენში ვიმყოფები, - და მალე ჩემთან ერთიანი გახდები. დიახ, ჭეშმარიტად გპირდები ამას, არჯუნა, რადგან ძალიან ძვირფასი ხარ ჩემთვის.

არჯუნა, ის, ვინც ჩემთვის მუშაობს და ვისთვისაც მე უმაღლესი მიზანი ვარ, ვინც ჩემი ერთგულია და არაფერზეა მიბმული, ვისშიაც

არ არის არსებათა მიმართ ბოროტი გულის წადილი, ის სწრაფად მოვა ჩემთან. ის, ვინც იცის ჩემი ღვთაებრივი დაბადებისა და მოღვაწეობის შესახებ, აღარ დაიბადება სიკვდილის შემდეგ. ის ყველგან დამინახავს: წარმავალთა შორის არაწარმავალს, რომელიც ყველა არსებაში იმყოფება. იგი არ დამკარგავს მხედველობის არედან, მე კი მას არ დავკარგავ.

მე თვითონ ვზიდავ იმის ტვირთს, ვისაც მუდამ გონების ცენტრში ვყავარ და ვინც უდრეკად მემსახურება სიყვარულით. მას ვჩუქნი ყველაფერს, რაც საჭიროა. როდესაც ეს ადამიანები ჩემ შესახებ საუბრობენ ერთმანეთში, ისინი ყოველთვის კმაყოფილები და აღფრთოვანებულები არიან. მათ მიმართ ჩემი თანაგრძნობიდან გამომდინარე ვაძლიერებ მათ დისკრიმინაციის უნარს და სიბრძნის ცეცხლით ვსპობ მათი უმეცრების წყდიადს, რომელიც მათი მხედველობის მობურვას ახდენს. ამყარებენ რა კონტროლს გრძნობებზე, ისინი უმაღლეს ცოდნას აღწევენ; ისინი ბოროტებისგან თავისუფალნი ხდებიან და უმაღლეს ბედნიერებას აღწევენ; ადიან რა სიკვდილისა და დაშლის სამყაროს ზემოთ, ისინი უკვდავებას აღწევენ.

არჯუნა არის ის, ვისაც სიყვარულით მოაქვს ჩემთვის ფოთოლი თუ ყვავილი, ხილი ანდა ცოტაოდენი წყალიც კი, თუკი ასეთი ძღვენი სუფთა გულიდან მოდის, მე მას ჭეშმარიტად მივიღებ. რასაც არ უნდა აკეთებდე, რასაც არ უნდა ჭამდე, რასაც არ უნდა სწირავდე, იძლეოდე, რა ასკეზასაც არ უნდა ახორციელებდე, მე შემომთავაზე ეს. მაშინ თავისუფალი იქნები შენი მოქმედებების შედეგებისგან, და შენი გონება მალე მშვიდი და თვითუარყოფით სავსე გახდება. როდესაც გაწონასწორებული გონება გექნება და უარს იტყვი შენი მოქმედებების შედეგებზე, სამუდამოდ გათავისუფლდები დაბადების ბორკილებისგან. ამიტომ ყოველი მოქმედება მე დამიქვემდებარე. მტკიცედ გეჭიროს გონება ჩემზე. მე განვახორციელებ ყველა მოქმედებას შენი მეშვეობით და ყველა ცოდვისგან გაგათავისუფლებ. ნუ გეშინია. ჩემი წყალობით ყველა დაბრკოლებას გადალახავ.

მაგრამ თუ შენი პატივმოყვარეობის გამო არ მომისმენ, უეჭველად დაიღუპები. შეიძლება ფიქრობ: „არ ვიომებ“, - მაგრამ თვითონ შენი ბუნება, რომელიც ვალის გრძნობით არის შეგულიანებული, გაიძულებს ამის გაკეთებას. რისი გაკეთებაც შენი ცდომილების გამო არ გინდა, იმას შენი სურვილების საწინააღმდეგოდ გააკეთებ. ადექი, არჯუნა! ცოდნის მახვილით, რომელიც მე მოგეცი, დაჩეხე უმეცრება და მისგან გამომდინარე ილუზია, რომელიც ღმერთის (შენს გულში მყოფის) თვით ჭეშმარიტებაში ეჭვის მატარებელია. არჯუნა, ადექი და მიაღწიე დიდებას! ვალდებული ხარ დაიცვა დჰარმა (ადამიანის ვალი, ღმერთის ბრძანება, ქცევის ნორმები)! უსამართლო ძალები

მძვინვარებენ. შენ უნდა დაუპირისპირდე და მოსპო ისინი. ჩემში ეძებე ხსნა, არჯუნა. ჩემზე იფიქრე მუდამ... და იბრძოლე! შენ კი არ მოკლავ ამ გმირებს, მე მოვკლავ. მე ვარ სამყაროს შემქმნელი და მფარველი, მაგრამ ასევე სამყაროს მძლავრი გამანადგურებელი დრო ვარ, რომელიც ყველაფერს შთანთქავს. მტრის არმიის მეომრები უკვე განადგურებულნი არიან ჩემ მიერ.

არჯუნა, შენ მხოლოდ და მხოლოდ ინსტრუმენტი ხარ, რომლის მეშვეობითაც მე ვმოქმედებ. აი, გაძლევ ჩემი სამყაროებრივი ფორმის ხედვას. ამ ფორმაში შეგიძლია გაიგო მთელი არსებულის ერთიანობა. იხილე ჩემი ღვთაებრივი ძლიერება! იხილე მთელი სამყარო, მოძრაობაში და მოძრაობის გარეშე; ყველაფერი ერთიანია ჩემში!“

განცვიფრებულმა და აღფრთოვანებულმა არჯუნამ თავი დახარა, ხელისგულები ერთმანეთს მიაწყო და თქვა:

„ო ღმერთების ღმერთო! დიდება შენ! ისევ და ისევ გადიდებ! ათასი მზის სხივმოსილება რომ ერთდროულად გაბრწყინებულიყო ზეცაში, მათი დიდება ვერ შეედრებოდა შენს სიდიადეს! შენ ხარ უზენაესი... მარადიული დჰარმის უკვდავი მცველი. შენ ხარ ის ყველაფერი, რისი ცოდნაც არის საჭირო. როდესაც შენს განსაცვიფრებელ ფორმას ხედავენ, სამყაროები შიშით თრთიან ისევე, როგორც მე ვთრთი. როგორც მრავალი მდინარე მიედინება ოკეანისკენ, ასევე ეს გმირებიც ადამიანთა სამყაროში შედიან შენს ცეცხლოვან პირში“.

მაშინ დალოცვილმა უფალმა კვლავ თავისი ნაზი ფორმა მიიღო და თქვა:

„მე მოწყალედ გიჩვენე ჩემი უსაზღვრო პირველქმნილი ფორმა: ჭეშმარიტად, ადვილი არ არის იმისი დანახვა, რაც ახლა ნახე. ასეთ ფორმაში ვერ დამინახავ ვერც საღმრთო წერილების შესწავლის ან ასკეტიზმის მეშვეობით, ვერც გულმოწყალების ან თავგანწირვის მეშვეობით. მხოლოდ სრული ერთგულების წყალობით შეგიძლია ეს. გამოცდილება და ცოდნა, რომელიც შენ მოგეცი, ეს არის სიმდიდრეთა შორის ყველაზე უფრო ძვირფასი. სრული ყურადღებით მისმენდი, არჯუნა? გაიფანტა თუ არა შენი უმეცრებით გამოწვეული ილუზია? აწონ-დაწონე ის ყველაფერი, რაც მე გითხარი, იფიქრე ამ ყველაფერზე, და მერე ისე მოიქეცი, როგორც მოისურვებ“.

არჯუნამ უპასუხა:

„ო სამყაროს უფალო! შენს მძლავრ და განსაცვიფრებელ სიტყვებში უმაღლესი სიბრძნეა, და ეს სიტყვები ასეთი თანაგრძნობით მითხარი. შენი მოწყალებით ჩემი ილუზია გაიფანტა. შენ წინაშე ვდგავარ და ყველა ეჭვისგან თავისუფალი ვარ. გთხოვ, სწორ გაზაზე დამაყენე! ყველაფერს გავაკეთებ, რასაც კი მიბრძანებ!“

ნაწილი პირველი

ერთგულების გზა

თავი პირველი

სიყვარული და ვალი არის სრულყოფილების გზა

თუ ბედნიერება გწყურიათ და თუ სიმშვიდე გწყურიათ,
თქვენ უნდა სიყვარულს აძლევდეთ
საჩუქრად.
მხოლოდ სიყვარულში იპოვით ჭეშმარიტ
ბედნიერებას.
მხოლოდ სიყვარულში იპოვით შიდა
სამყაროს.
ამიტომ განავითარეთ სიყვარული,
იცხოვრეთ სიყვარულში.
სიყვარული იმით ცხოვრობს, რომ გასცემს
და აპატიებს.
სიტყვა საისაგან არის სიყვარულის ნაკადი,
რომელიც თქვენკენ მოედინება.

სიყვარულის განხორციელებანო!

მსოფლიოში მრავალი სხვადასხვა ცოდნა არსებობს. მაგრამ ყველა საერო ცოდნაზე უფრო მაღლა დგას *ატმას* ცოდნა, საკუთარი თავის ცოდნა. საკუთარი არსის ცოდნა არის უმაღლესი ცოდნა, იდუმალი ცოდნა. საერო ცოდნა შეიძლება დაგეხმაროთ წარმავალი ამქვეყნიური სიამოვნებების მიღებაში. მაგრამ მხოლოდ თქვენი არსის ცოდნის წყალობით შეგიძლიათ გააცნობიეროთ მარადიული სიმშვიდე და უსაზღვრო სიხარული, რომლებიც თქვენს ჭეშმარიტ ბუნებას წარმოადგენს.

ღმერთის შეცნობა არის საკუთარი თავის შეცნობა

საკუთარი თავის ცოდნა და ღმერთის ცოდნა ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდება; ეს არის ერთი და იგივე სულიერი სიბრძნე, ერთი სულიერი ცოდნა. ეს ცოდნა გაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ერთიანობას ხედავდეთ მთელ მრავალფეროვნებაში, რომელიც გარს გახვევიათ. ეს ცოდნა შესაძლებლობას გაძლევთ, რომ გადალახოთ ამქვეყნიური არსებობა და მიაღწიოთ უკვდავებას, რომელსაც თქვენ ეძებთ. რას ეფუძნება ეს უმაღლესი ცოდნა? იგი ეფუძნება გონების სიწმინდეს.

გონების გაწმენდა შეიძლება, თუკი წმინდა მოღვაწეობით იქნებით დაკავებული. როდესაც სულიერ ადამიანებს ხვდებით, როცა ყოველდღიურ ცხოვრებაში სამართლიან საქციელს და კარგ საქმეებს ასრულებთ, თქვენი გონება იწმინდება. ამ შემთხვევაში შეგიძლიათ განასხვაოთ მუდმივი დროებითისგან, ის, რაც სასარგებლოა, იმისგან, რაც თქვენი სულიერი პროგრესისთვის მავნებელია. საღმრთო წერილი გზის მაჩვენებელს წარმოადგენს ამ მიზნისთვის. მისი გულმოდგინედ შესწავლა და ყოველდღიურ ცხოვრებაში პრაქტიკაში გამოყენება თქვენს მოქმედებებს კეთილისმყოფელს გახდის; ისინი წმინდა მოქმედებები გახდება.

შეიძლება დიდი განათლების მქონენი იყოთ საერო ცოდნაში, შეიძლება დიდი აკადემიკოსი ან დიდი მეცნიერი იყოთ, მაგრამ ყველა ტიტული და მიღწევა ვერ მოგცემთ ჭეშმარიტ სიბრძნეს. იმისათვის, რომ ჭეშმარიტად ბრძენი გახდეთ და სევდა მოიცილოთ გულიდან, თქვენი თავი უნდა შეიცნოთ. თქვენი უკვდავი არსი უნდა გააცნობიეროთ. ვერავითარი სხვა გზით ვერ ახვალთ ტანჯვებს ზემოთ. მხოლოდ თქვენი ჭეშმარიტი არსის ცოდნა გაძლევთ იმის საშუალებას, რომ ყველა ტანჯვა და უბედურება გადალახოთ; იგი სრულ ბედნიერებას გაძლევთ. როგორც კი *ატმა-ვიდიაში*, *ატმას* ცოდნაში, ჩაეშვებით, მუდამ ნეტარებაში იქნებით. ვინ არის ამ იდუმალი ცოდნის მიღების ღირსი? ბავშვია მისი მიღების ღირსი თუ მხოლოდ და მხოლოდ ხნიერი ადამიანებისთვის არის იგი განკუთვნილი? მხოლოდ მამაკაცებს ეძლევა იგი თუ ქალებსაც აქვთ მისი მიღების უფლება? ჭეშმარიტად, ყველას აქვს უფლება, რომ ეს უმაღლესი სიბრძნე შეიცნოს.

საერო ცოდნის მიღებისას შეიძლება ცნობილი ადამიანი გახდეთ და თქვენი ამქვეყნიური მისწრაფებები განახორციელოთ, მაგრამ *ატმას* ცოდნით ადამიანი ღმერთის წყალობას იმსახურებს და აღწევს. თქვენ უმაღლესი ბედნიერებით დატკბებით. ამ ცოდნის მიღებისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს კასტას, სარწმუნოებას, კანის ფერს, სქესს. რომელ კასტას მიეკუთვნებოდა წმინდანი ვალმიკი,

რომელიც ყაჩაღი იყო თავისი ცხოვრების ადრეულ ასაკში? რა ოჯახში დაიბადა წმინდანი ნარადა? დედამისი მოსამსახურე იყო. უფალი იმასთან მიდის, ვინც მისი ერთგულია; იგი გულში იხედება, არ უყურებს მაღალ მდგომარეობას.

სიყვარულის ფილოსოფიას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადამიანის ცხოვრებაში. უფალმა კრიშნამ თქვა:

„ვინც სიყვარულითა და ერთგულებით მემსახურება, ის ყველაზე უფრო ძვირფასია ჩემთვის“.

საკუთარი თავისა და ღმერთის რწმენა

როდესაც უფალი გირჩევთ განავითაროთ ერთგულება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საერო ცოდნა უნდა უგულებელყოთ. იმისთვისაც კი, რომ საერო ცოდნა მიიღოთ, მთელი თქვენი მონდომება უნდა გამოიჩინოთ, რომ სათანადოდ ისწავლოთ. გჯეროდეთ თქვენი თავისა, გჯეროდეთ, რომ შეძლებთ იმ როლის განხორციელებას, რისი გულისთვისაც ადამიანური სიცოცხლე მიიღეთ. *„თქვენი თავის რწმენა და ღმერთის რწმენა სიდიადის საიდუმლოებაა“,* - თქვა ვივეკანანდამ. უპირველეს ყოვლისა განავითარეთ საკუთარი თავის რწმენა. ეს ნიშნავს გწამდეთ თქვენი შინაგანი ღვთაებრიობა. საერო ცოდნა გაძლევთ საკვებსა და თავშესაფარს, იმ დროს როცა *ატმა-ვიდია* გაძლევთ თქვენი საკუთარი რეალობის გაცნობიერებას.

მაგრამ ზოგიერთი საერო ცოდნის გარეშე ვერ მიიღებთ მარადიულის ცოდნას. არ არის საჭირო საერო ცოდნის მთლიანად უკუგდება. კულტურა და საერო ცოდნა თქვენში უნდა წონასწორობაში იყოს სულიერ ცოდნასთან. ვალმიკი და ვიასა სულიერი ცოდნის დიადი სწავლულები იყვნენ, მათ ყველა თაყვანს სცემდა. მათ დაწერეს საღმრთო წერილები, ისეთები როგორიცაა *რამაიანა და მაჰაბჰარატა.* მაგრამ ისინი ასევე საერო მეცნიერებათა მცოდნენიც იყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორ უნდა დაეწერათ მათ ასეთი დიადი კლასიკა?

სამყაროში ყველაფერი ღმერთიდან გამოედინება. თუკი ყველაფერი მისგან მოდის, მაშინ არის კი რაიმე, რისი შეთავაზებაც კი შეგიძლიათ მისთვის? ერთადერთი, რისი შეთავაზებაც შეგიძლიათ, თქვენი სიყვარულია. სულ ეს არის, რასაც ის თქვენგან მოელის. აი რატომ ადიდებდა უფალს ერთი დიდი პოეტი ასე:

„საყვარელო უფალო, შენ ხარ ყოვლისშემოქმედი რეალობა. მთელი სამყარო შენით არის შევსილი. როგორ უნდა ავაგო შენთვის ტაძარი? შენ მილიონობით მზესავით შუქმფინარი ხარ. როგორ უნდა შემოგთავაზო სანთლის პატარა შუქი? შენ ხარ ყველა არსებაში მყოფი რეალობა. როგორ უნდა გიწოდო გარკვეული სახელი? როგორ უნდა

შემოგთავაზო საკვები, თუკი მთელი სამყარო შენს კუჭში იმყოფება? რისი შემოთავაზებაც შემიძლია, ეს არის ჩემი სიყვარული, რომ ჩემი თავი გამოვაცარიელო შენში, რომელიც სიყვარულის ოკეანეა“.

უფორმო იღებს ფორმას

თქვენი საკუთარი დაკმაყოფილების გულისთვის უფალს სახელსა და ფორმას აძლევთ, მაგრამ სინამდვილეში მას არავითარი ფორმა არა აქვს. და მაინც ის ფორმას იღებს, რომ თაყვანისცემა შეძლოთ და მის მიმართ მოწიწება, პატივისცემა და სიყვარული იგრძნოთ, და ასეთი სახით თქვენი სულიერი მოთხოვნილებები დაიკმაყოფილოთ. თქვენი საკუთარი დაკმაყოფილებისთვის სახელსა და ფორმას აძლევთ ღმერთს, ასევე მისი თაყვანისცემისთვის იყენებთ მათ. ღმერთის რა ფორმაც არ უნდა აირჩიოთ, ყოველი ადამიანი, ვინც მას გულში სიყვარულით სცემს თაყვანს, მარადიული დიდების ღირსი იქნება. რამაკრიშნა პარამაჰამსა არ ყოფილა სწავლული საერო საქმეებში; მან ოდნავ იცოდა კითხვა. მაგრამ მისი გონება მუდამ ღვთაებრივი დედის თაყვანისცემით იყო გატაცებული, გული კი სიყვარულით ჰქონდა შევსილი. არავითარი სხვა ცოდნა მას არ აინტერესებდა. მან მთელი თავისი ცხოვრება ღვთაებრივი დედის თაყვანისცემას მიუძღვნა და თვეში მხოლოდ ხუთ რუპიაზე ცხოვრობდა; ეს მას ყველაფერზე ჰყოფნიდა. და თუმცა არ ჰქონდა საერო მეცნიერებათა საკმარისი ცოდნა, მაგრამ დღეს მას მთელი მსოფლიო სცემს თაყვანს; რამაკრიშნას მისიების პოვნა ყველგან შეიძლება. მას მთელ მსოფლიოში სცემენ პატივს.

ყაჩაღი რატნაკარა მსგავსი სახით გახდა დიდი ვალმიკი ღმერთის მიმართ დიდი სიყვარულის წყალობით. პრახლადა დემონის ვაჟი იყო, და ამის მიუხედავად იგი ნათელი და წმინდა გახდა ღმერთის მიმართ სიყვარულის წყალობით. ჰანუმანი რამას სახელს იმეორებდა და ჩინებულებით გაითქვა სახელი მთელ ინდოეთში. ჯატაიუ იყო ფრინველი, დაშარათჰას (რამას მამის) მეგობარი; რამას მიმართ თავისი უზარმაზარი სიყვარულის წყალობით იგი ღვთაებრივ პრინციპს შეერწყა სიცოცხლეზე უარის თქმის მომენტში. იმისათვის, რომ ადამიანი ღმერთის ერთგული გახდეს, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, არც კასტას, არც რწმენას, არც სქესს, არც სხვა განსხვავებებს. ყოველ ადამიანს თანაბრად შეუძლია ამის გაკეთება.

მეთორმეტე თავი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანს წარმოადგენს *ბჰაგავად გიტაში.* აი მისით რატომ დავიწყეთ დღეს. ეს თავი არის *ბჰაქთი-იოგას,* ერთგულების გზის შესახებ. *ბჰაქთი* არ არის უბრალოდ ღმერთის სახელის გამეორება. ეს არის ერთგულება, უკვდავი სუფთა სიყვარული ღმერთის მიმართ; იგი თავისი ბუნებით სრულიად

უანგარო, ამქვეყნიური სურვილებისგან თავისუფალია. იგი სუფთა, უცვლელი და მარადიულია. აუცილებელია ყოველდღიურ ცხოვრებაში ამ ღვთაებრივი სიყვარულის მუდმივად პრაქტიკაში გამოყენება.

ღვთაებრივი ცნობიერება

თავიდან უნდა იცოდეთ, ვინ ხართ სინამდვილეში. ხართ თუ არა სხეული? თუ სხეული ხართ, მაშინ რატომ ამბობთ: „ეს ჩემი სხეულია“? რაკი მას უწოდებთ: „ჩემი სხეული“, ეს იმას ნიშნავს, რომ სხეულისგან განსხვავებული ვინმე ხართ. როდესაც ამბობთ: „ჩემი გული“, - ეს იმას ნიშნავს, რომ გულისაგან განსხვავებული ვინმე ხართ. თქვენი გული არის მხოლოდ ობიექტი, რომელიც გეკუთვნით თქვენ, მის მფლობელს. ამქვეყნიური თვალსაზრისით ჩვენ ვამბობთ: ეს ჩემი ძმაა, ეს ჩემი დაა, ეს ჩემი გონებაა, ჩემი სხეულია, ჩემი ინტელექტია“. ყველა ამ მტკიცებაში უცვლელი რჩება სიტყვა „ჩემი“. ჭეშმარიტი „**მე**“, რომლის წყალობითაც ჩნდება გაგება „ჩემი“, არის სინამდვილეში უღრმესი ცნობიერება ყველაში და ყველაფერში. მას ჰქვია *ჩაიტანია* – ღვთაებრივი ცნობიერება.

ცნობიერება ყველაფერს გამსჭვალავს. იგი არის თქვენში, თქვენ გარშემო, თქვენ ქვეშ, თქვენ ზემოთ და თქვენ გვერდით. ფაქტიურად სწორედ თქვენ ხართ ის. ეს ცნობიერება, *ჩაიტანია*, იმყოფება ყველგან, ყველაფერში, რაც კი ამ სამყაროშია. მაგრამ ეს რომ გააცნობიეროთ, გონება თქვენ შიგნით უნდა მიმართოთ. უნდა მიმართოთ თქვენი ცნობიერება თქვენ შიგნით და ჭეშმარიტება ეძებოთ იმის გაცნობიერებით, რომ შენ არ ხარ „ეს“, შენ არ ხარ „ის“. „ნე-ტი, ნე-ტი, ნე-ტი“ („*Neti, Neti, Neti*“, რაც სანსკრიტულიდან თარგმანში ნიშნავს „*ის არა, ის არა...*“). „შენ არ ხარ გონება, შენ არ ხარ სხეული, შენ არ ხარ ინტელექტი. მაშ ვინ ხარ?“ პასუხი ასეთია: ***მე ვარ მე (აჰამ აჰამ).*** აი სწორი გზა თვითგაცნობიერებისკენ, რომელსაც უნდა მიჰყვეთ. ეს გზა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში გაგეხსნეთ, თუ სიყვარულის გზით, ერთგულების გზით ივლით. ღმერთის საპოვნელად სხვა გზა არ არსებობს.

საითაც არ უნდა გაიხედოთ, ის, რასაც არავითარი თვისება არა აქვს, თვისებებს იძენს. ღმერთი ყველგან იმყოფება, მაგრამ სახელისა და ფორმის გარეშე არ შეგიძლიათ გააცნობიეროთ ის, რასაც არა აქვს არც ატრიბუტები, არც ფორმა. *ნარაიანა* ყველაფერს ავსებს, მაგრამ სანამ ამის გაცნობიერებას შეძლებდეთ, საჭიროა თქვენში განავითაროთ სიყვარული და ერთგულება ღმერთის მიმართ, რომელსაც ფორმა აქვს. ამიტომ *ბჰაქთის* გზაზე საჭიროა დაბალი საფეხურიდან დაიწყოთ – თაყვანი სცეთ სახელისა და ფორმის მქონე უფალს. ამის შემდეგ, თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ, უფრო მაღალ

საფეხურზე გადადიხართ. გონება გარე სამყაროდან გაგყავთ და თაყვანს სცემთ უფორმოს მანამდე, სანამ საკუთარ რეალობას არ გააცნობიერებთ. სწორედ ეს არის თვითგაცნობიერება.

მოქმედება, თაყვანისცემა და სიბრძნე

ყვავილის გარეშე ნაყოფი ვერ წარმოიქმნება. ყვავილის მომწიფება მოუმწიფებელ, შემდეგ კი მწიფე ნაყოფად არის თვითგაცნობიერების გზა. ყვავილობის მდგომარეობა არის *კარმის* გზა, მოქმედების გზა. როდესაც ყვავილი მოუმწიფებელი ნაყოფი ხდება, ამას ჰქვია *ბჰაქთის* გზა, ერთგულების გზა. როდესაც ხილი მწიფე და სიბრძნის ტკბილი ნექტრით სავსე ხდება, მაშინ გზა ხდება *ჯნანას* გზა, თვითგაცნობიერების გზა. ამ სტადიაზე სიყვარულისა და ერთგულების წყალობით *კარმის* ყვავილი სიბრძნის ტკბილი ნაყოფი ხდება. კეთილი საქმეებისა და უფლის თაყვანისცემის წყალობით არამიბმულობასა და სიბრძნეს აღწევთ. შესაბამისად, თაყვანისცემის გარდა უნდა კეთილისმყოფელი საქმეებით დაკავდეთ. მაგრამ საჭიროა სწავლობდეთ ყველა მოქმედების შესრულებას ღმერთის მიმართ სიყვარულის გულისთვის და ღმერთისთვის შეთავაზებას იმ ყველაფრისა, რასაც აკეთებთ.

სანამ ამ სამყაროში იმყოფებით, უნდა საერო ცოდნა შეიძინოთ, პრაქტიკაში დანერგოთ ის, რაც შეიცანით. ადამიანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მოქმედება. მხოლოდ მუშაობისა და მოქმედების წყალობით სწავლობთ აზრების, სიტყვებისა და ქცევების ჰარმონიაში მოყვანას. ისეთი დიადი სულებისთვის, როგორებიც *მაჰატმები* არიან, სიტყვები, აზრები და საქმეები მუდამ ერთიანია. თავიდან თქვენი მოქმედებების ნაყოფის წყურვილი გექნებათ. სულ თავიდან, როცა ჯერ კიდევ ბევრი სურვილი გაქვთ, ვერ შეძლებთ *ნიშკამა-კარმის* შესრულებას, ანუ თქვენს ყველა მოქმედებას ვერ შეასრულებთ ისე, სულ ცოტა სურვილიც რომ არ გქონდეთ, რომ თქვენი მოქმედებების ნაყოფით დატკბეთ. მაგრამ მოგვიანებით უანგაროები გახდებით, და თქვენი მოქმედებების ნაყოფი არ დაგაინტერესებთ. ამ გზით თქვენს მოქმედებებს თანდათან თაყვანისცემად აქცევთ. მაშინ ყველაფერს ღმერთის მიმართ სიყვარულის გულისთვის გააკეთებთ.

ჭეშმარიტება ერთია, მაგრამ წმინდანები მას სხვადასხვა სახელს უწოდებენ. ღმერთი არის ერთიანობა, ის მუდამ *ერთია*, მაგრამ მრავალი სახელი არსებობს, რომლებიც ამ აბსოლუტური რეალობის აღნიშვნისთვის გამოიყენება. ერთიდან ის მრავალი გახდა. როდესაც ბავშვი იბადება, მას ჩვილს უწოდებენ. როცა ის გაიზრდება, ყმაწვილი ხდება. ოცი წლის შემდეგ ის ხდება მოწიფული, მოგვიანებით კი – მშობელი. შემდეგ ის ხდება წინაპარი. მაგრამ ეს ყველაფერი ერთი და

იგივე პიროვნებაა. ასეთივე სახით რეალობა მუდამ ერთი და იგივეა. იმისათვის, რომ გააცნობიეროთ **ერთიანის** ევოლუცია - მრავლად ქცევა ერთიანობის მუდმივი შენარჩუნებით, თქვენ უნდა მუდმივად გქონდეთ აზრებში ერთიანობა, რომელიც მთელი ამ მრავალფეროვნების უკან დგას. როცა გააცნობიერებთ ამ ერთიანობას, ერთიან ღმერთს, რომელიც ყველა წარმავალი სახელისა და ფორმის უკან დგას, მხოლოდ მაშინ მიაღწევთ იმას, რაც ჭეშმარიტად ღირებულია.

ილუზიისგან თავის დაღწევა

ბჰაგავად გიტას ნათელ გაგებას უნდა მიაღწიოთ თქვენს გულში. რაშია *გიტას* სწავლების არსი? ერთნი ამბობენ, რომ ეს არის *კარმა-იოგა* – წმინდა მოქმედებების გზა. სხვები ამბობენ, რომ ეს არის *ბჰაქთი-იოგა* – ერთგულების გზა. ზოგიერთები კი ამბობენ, რომ ეს არის *ჯნანა-იოგა* – სიბრძნის გზა. ეს აზრები არ არის აბსოლუტურად ჭეშმარიტი. ადამიანის ჭეშმარიტი პიროვნება რომ გაიგოთ, ჭეშმარიტების სრულ ხედვას უნდა ფლობდეთ: თუ მხოლოდ ფეხებს ხედავთ, შეუძლებელია მთლიანად პიროვნების შეცნობა.

ბჰაგავად გიტა იწყება ლექსით, რომლის პირველი სიტყვაა *დჰარმაქშეტრა*. ანუ იგი იწყება სიტყვით *დჰარმა* (მართლქმედება), რაც მოცემულ კონტექსტში ნიშნავს უბიწო მოქმედებებს ანუ ვალს. *გიტას* ბოლო ლექსი მთავრდება სიტყვით *მამ*, რაც ნიშნავს: „ჩემი“. თუ ამ ორ სიტყვას შევაერთებთ, მივიღებთ სიტყვას *მამადჰარმა* - „ჩემი ვალი; ჩემი მოქმედება“. ეს *გიტას* მთელ სწავლებას აჯამებს. ეს ნიშნავს, რომ უნდა თქვენზე დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებდეთ, რამდენადაც თქვენი უნარი გაძლევთ ამის საშუალებას, ოსტატობისა და სრულყოფილებისკენ ისწრაფოდეთ იმ სამუშაოს შესრულებისას, რომელიც ცხოვრების თქვენს სტადიას შეესაბამება.

თუ სტუდენტი ხართ, კარგად უნდა სწავლობდეთ. თუ ოჯახის უფროსი ხართ, ოჯახისა და სამუშაოს მიმართ თქვენს მოვალეობებს სათანადოდ უნდა ასრულებდეთ. თუ პენსიაში ხართ, ამ სტადიის შესაბამისად უნდა ასრულებდეთ თქვენს ვალს. ხოლო თუ ქვეყნიერებაზე უარი თქვით, რომ რეალობას ღრმად უმზიროთ, თქვენ უნდა მტკიცედ იდგეთ ამ გზაზე. თუ *დჰარმას* რაც შეიძლება უკეთესად მისდევთ, და შეგნებულად და გულწრფელად ასრულებთ თქვენს ვალს, მაშინ არ იქნება არც მღელვარებები, არც ტანჯვები. არჯუნა ვალდებული იყო, რომ ბრძოლის ველზე შეესრულებინა თავისი ვალი. მაგრამ იგი მიბმულობებითა და ილუზიებით იყო სავსე, და ამიტომ იტანჯებოდა. უფალი კრიშნა ასწავლიდა მას, როგორ უნდა დაეღწია

თავი მიბმულობებისა და ილუზიებისგან. როდესაც კრიშნამ სწავლება დაასრულა, არჯუნას ჰკითხა:

„გაქრა შენი მიბმულობები და ილუზიები?“

არჯუნამ უპასუხა:

„ჩემი ბრმა მიბმულობა მთლიანად მოისპო. მთელი ილუზია გაქრა“.

ბრმა მიბმულობა არის *მოჰა*. გათავისუფლება - *მოკშა*. სანამ *მოჰა* გტანჯავთ, *მოკშა* შეუძლებელია. სანამ ილუზიაში იმყოფებით, მონობის მდგომარეობაში იქნებით. *მოკშას* საერთო არაფერი აქვს ამქვეყნიურ სიამოვნებებთან. ეს არ არის ოთახი კონდიციონერით ან პლუშის დასაჯდომი. ეს არის მიბმულობებისა და ილუზიების განადგურება. *მოკშა* შედგება სიტყვებისგან *მოჰა* და *კშაია*, რაც ნიშნავს *მოჰას* სრულ განადგურებას, ყველა ამქვეყნიური სურვილისა და ილუზიის დაწვას.

თქვენ ყველანი უნდა იდეალები გახდეთ კაცობრიობისთვის და სრულყოფილებას მიაღწიოთ თქვენი ვალის შესრულებაში. ისწავლეთ *გიტას* პოეტური ლექსები და პრაქტიკაში დანერგეთ მათში არსებული კეთილშობილი სწავლება. და მაშინ მადლი გარდმოვლინდება თქვენზე. მრავალი ერთგული უბრალოდ კარგავს დროს. დღესვე დაიწყეთ საკუთარი თავის გარდაქმნა. დროს ნუ კარგავთ. დრო ღმერთია. ყოველდღე შეისწავლეთ ზეპირად ერთი ლექსი, იმეორეთ ის და იფიქრეთ მის შინაგან მნიშვნელობაზე. როდესაც გაიგებთ მას, თქვენ უნდა პრაქტიკაში გაატაროთ, ცხოვრებაში დანერგოთ იგი. მხოლოდ ამ გზით შეგიძლიათ მიაღწიოთ უმაღლეს სრულყოფილებას, რომელიც ჭეშმარიტი ადამიანის ნიშან-თვისებას წარმოადგენს.

თავი მეორე

ღმერთისთვის თავის მინდობა – ამაშია ადამიანის ჭეშმარიტი გარდაქმნა ღმერთად

უფალი კრიშნა გიტაში აცხადებს: „ვინც მთლიანად მომენდობა და ჩემში ეძებს თავშესაფარს, ის ჩემს მფარველობაში იქნება. მე მოვსპობ მის მთელ ცოდვებს და ღმერთის გაცნობიერებისკენ წავიყვან მას“. როგორც მაძიებლები, ვისაც პროგრესი სწყურია სულიერ გზაზე, თქვენ უნდა მთელი გულით დიდად აფასებდეთ ამ გამონათქვამებს და მტკიცედ მიჰყვებოდეთ ღმერთისთვის სრული მორჩილების გზას. მხოლოდ ასე მიაღწევთ ცხოვრების მიზანს.

სიყვარულის განხორციელებანო!

ღმერთის ძლევამოსილება განუზომელი და უსაზღვროა. როდესაც სამყაროს უმზერთ და უზარმაზარ მრავალფეროვნებას ხედავთ, ეს *მაიას*, ანუ ილუზიის შედეგია. ადამიანის თვალისთვის ხილული სამყაროს მკვრივი ნაწილი მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილია უფლის უსაზღვრო ძლევამოსილებისა. ყველა სამყაროს დაფარვა შეიძლება უფლის ტერფის მხოლოდ ნაწილით. შეუძლებელია უფლის სიდიადის გაცნობიერება. იგი მოიცავს მთელ სამყაროს, მკვრივს და ფაქიზს; არ არის ადგილი, იქ რომ არ იყოს ის.

სამყარო

სამყარო ღმერთის სხეულია. ღმერთი თავის ქმნილებაშია განსხეულებული. ძალისხმევის გამოჩენაა საჭირო იმისათვის, რომ გაიგოთ პრინციპი, რომელსაც სამყარო ეყრდნობა. მთვარე დედამიწიდან დაშორებულია ასიათასობით კილომეტრით. მზე – ათეულობით მილიონი კილომეტრით. ამ ყველაფრის უკან, უფრო შორს ხილულ სამყაროში ვარსკვლავებია, რომლებიც მილიარდჯერ უფრო შორს იმყოფება. სამყაროს ეს მკვრივი ასპექტი, ასეთი მოუცველი, მხოლოდ უმცირესი ნაწილია სამყაროს ფაქიზი ანუ მენტალური ასპექტისა – *ჩიტაკაშისა*. ფაქიზ სამყაროში ჩვენთვის ცნობილი ფიზიკური სამყარო მხოლოდ და მხოლოდ ატომის მსგავსია.

მაგრამ ფაქიზი სამყარო, რომელიც ფიზიკურ სამყაროსთან შედარებით წრმოუდგენლად უფრო გრანდიოზულია, თავისთავად მხოლოდ მიკროსკოპულ ნაწილს წარმოადგენს სამყაროს გაცილებით

უფრო მოუცველი ასპექტისა, რომელიც შეიძლება აღვწეროთ როგორც კაუზალური სამყარო – *ჩიდააკაშა*. მას ასე იმიტომ ჰქვია, რომ სამყაროს ამ უფაქიზეს ასპექტზე წარმოიშობა როგორც მკვრივი, ასევე ფაქიზი სამყაროები. ეს სამი სამყარო: მკვრივი, ანუ ფიზიკური, ფაქიზი, ანუ მენტალური, და კაუზალური – იმდენად მოუცველად დიდია, რომ, წმინდა წერილების თანახმად, სრულიად შეუძლებელია ადამიანის გონებით მათი შეცნობა ან სიტყვებით აღწერა. ისინი ყოველგვარი წარმოდგენის ზღვრებს მიღმაა, გონების მიერ მათი შეცნობის უნარის ზღვრებს მიღმაა. მაგრამ ამ ყველაფრის ზღვრებს იქით, მკვრივი, ფაქიზი და კაუზალური სამყაროს იქით, იმყოფება ღვთაებრივი პრინციპი. იგი ყველაფრის პირველმიზეზია. ეს არის *მაჰაკარანა*.

ერთგულების გზა

ჩვეულებრივ ადამიანს არ შეუძლია ასეთი დიდი ჭეშმარიტების გაცნობიერება. ღმერთი იმყოფება მკვრივი, ფაქიზი და კაუზალურ სამყაროთა ზღვრებს იქით, თუმცა როგორც უფალი იგი ყველა ამ სამყაროს მართავს. იგი დროის მბრძანებელია: წარსულის, აწმყოსი და მომავლისა. ადამიანს შეზღუდული უნარი აქვს ბოძებული, და შეიძლება შეუძლებლად მოგეჩვენოთ ამ ღვთაებრივი პრინციპის გაგება. ამიტომ ყველაფერზე უფრო ადვილია ერთგულების გზას *(ბჰაქთი-იოგას)* მიყოლა.

როდესაც არჯუნას ამ *იოგას* უხსნის, კრიშნა მას სამ სტადიად ყოფს.

პირველი და ძირითადი სტადია:

იშრომე ჩემთვის! *(მატკარმაკრიტ).*

თქვენ უნდა გაიგოთ, რომ, რა სამუშაოსაც არ უნდა ასრულებდეთ ამ ფიზიკურ სამყაროში, ეს ყველაფერი დაკავშირებულია უფალთან, რადგა ის არის სამყაროს უმაღლესი მბრძანებელი. როდესაც ამ ჭეშმარიტებას გააცნობიერებთ ნებისმიერ მოქმედებას უშუალოდ უფლისთვის შეასრულებთ.

მეორე სტადია:

მხოლოდ ჩემი გულისთვის! *(მატპარამო).*

სხვა სიტყვებით, რასაც არ უნდა აკეთებდეთ, ამას თქვენი საკუთარი კეთილდღეობისთვის არ აკეთებთ. ამ დრომდე მხოლოდ თქვენს თავზე ფიქრობდით. მაგრამ ვინ ხართ თქვენ? კრიშნამ თქვა: *„ეს **მე** ვბრწყინავ თქვენში“.* სიტყვა „**მე**“ სხეულს არ მიეკუთვნება. იგი გამოდის უმაღლესი არსიდან, თვით *ატმადან.* ეს „**მე**“ არ უნდა მივაკუთვნოთ სხეულს ან გონებას, ინტუიციურ უნარს ან ინდივიდუუმის ნებისმიერ სხვა ასპექტს, რადგან იგი ყველა ამ შეზღუდვას აღემატება და მხოლოდ უსაზღვრო *ატმას* განეკუთვნება.

თქვენი შეზღუდული არსის ასოცირებას ამ „**მე**“-სთან ახდენთ, რომელიც ერთიანი *ატმას* ანარეკლს წარმოადგენს. რასაც არ უნდა აკეთებდეთ, ყველაფერი მხოლოდ *ატმას* დაკმაყოფილებისთვის კეთდება. არ იგნებთ რა ამ წმინდა ჭეშმარიტებას, ილუზიაში ვარდებით, რომელიც თქვენ გიტაცებთ. კრიშნამ არჯუნას უთხრა:

„რასაც არ უნდა აკეთებდე, ჩემი დაკმაყოფილების, ჩემი გულისთვის აკეთე. ყველაფერი ჩემი სახელით ასრულე. იმოქმედე როგორც ჩემმა წარმომადგენელმა. გაიგე, რომ ის ყველაფერი, რასაც შენ აკეთებ, ეს მხოლოდ ჩემი გულისთვის არის“.

*ეს სიტყვები „ჩემი“ და „**მე**“* ატმას *განეკუთვნება.*

მესამე სტადია:

მხოლოდ ჩემი ერთგული იყავი! *(მატბჰაკტაჰა).*

თქვენ უნდა ამ მითითების დაფარული შინაგანი აზრი გაიგოთ. ერთგულება არის სიყვარულის გამოხატვა. გრძნობა, სახელად სიყვარული, *ატმადან* გამოედინება. სიყვარული *ატმას* სინონიმია. სიყვარულს საერთო არაფერი აქვს ამქვეყნიურ გრძნობებთან ან რაიმე საეროსთან. სიტყვა „სიყვარული“, რომელიც შეიძლება შევცვალოთ სიტყვა „ერთგულებით“, სწორედ *ატმას* თვით დასახელებაა. გულის სიღრმიდან გამომდინარე სიყვარულის ეს პრინციპი უნდა გამსჭვალავდეს ყოველგვარ მოქმედებას, სიტყვას და აზრს. და ეს მაშინ მოხდება, როცა ჩათვლით, რომ ის ყველაფერი, რასაც აკეთებთ, ამბობთ თუ ფიქრობთ, მხოლოდ უფლის დაკმაყოფილებისთვის არის.

უმაღლესი „მე“ არის ღმერთი

სიფხიზლის მდგომარეობაში, შეიძლება, ფიქრობდეთ, რომ ყველაფერს თქვენი სხეულისა და გონებისთვის აკეთებთ. მაგრამ ღრმა ძილის მდგომარეობაში ვერ აცნობიერებთ ვერც თქვენს სხეულს, ვერც გონებას. მაშ ვისი გულისთვის გძინავთ? ვისი გულისთვის ტკბებით ძილის სიმშვიდით? *ატმას* გულისთვის. ძილი, საკვების მიღება, სხვადასხვა მოქმედება თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში „**მე**“-ს მიმართ სიყვარულიდან ხდება, ეს „**მე**“ კი *ატმადან* გამოედინება.

ბრიჰადარანიაკა-უპანიშადაში იაჯნავალკიამ ეს დაფარული ხედვა თავის ცოლს, მაიტრეიას განუმარტა, აუხსნა სხვადასხვა ადამიანური ურთიერთობების ღრმა შინაგანი მნიშვნელობა. მან უთხრა ცოლს:

„ვისი გულისთვის გიყვარვარ? ცოლს ქმარი მისი გულისთვის არ უყვარს. მას იგი თავისი გულისთვის უყვარს. ჩვენ გვგონია, რომ დედას თავისი შვილი მისი გულისთვის უყვარს, მაგრამ ეს ასე არ არის. მას შვილი მხოლოდ თავისი გულისთვის უყვარს. ამბობენ, რომ გურუს, მასწავლებელს, თავისი მოსწავლე მისი გულისთვის უყვარს, მაგრამ მას მოსწავლე მხოლოდ თავისივე გულისთვის უყვარს“.

ამ კონტექსტში შეიძლება დაფარული შინაგანი ჭეშმარიტება გაიგოთ, რომელიც ყველა წარმოებული სულიერი პრაქტიკის უკან დგას. ერთგულს უყვარს ღმერთი, მაგრამ ის უყვარს არა თვით ღმერთის გულისთვის: მას ღმერთი თავისი გულისთვის უყვარს. მაგრამ ღმერთს ერთგული უყვარს ამ უკანასკნელის გულისთვის, და არა თავისი გულისთვის. მიზეზი იმაშია, რომ მას არა აქვს განსხვავების არავითარი გრძნობა, ინდივიდუალობის არავითარი გრძნობა, თითქოს რაღაც ეკუთვნის მას, რაღაც კი სხვას. როდესაც არის განსხვავებისა და ინდივიდუალობის გრძნობა, მაშინ ჩნდება ეგოიზმი, გრძნობა „მე“ და „ჩემი“. მაგრამ არ შეიძლება ღმერთი შეზღუდო ფორმით. მასში არ არის ეგოიზმი; მასში არ არის დაყოფის გრძნობა - „ჩემი“ და „შენი“.

ამიტომ ეს სამი საფეხური:

„იშრომე ჩემთვის!“, „მხოლოდ ჩემი გულისთვის!“ „მხოლოდ ჩემი ერთგული იყავი!“ - სპეციალურად თქვენთვის არის მოცემული. ისინი ეგოიზმის ყველა კვალს მოსპობს და მიზნის მიღწევაში დაგეხმარებათ. სამწუხაროდ, მხოლოდ მცირედთ შეუძლიათ გაიგონ დიადი ჭეშმარიტება, რომელიც ამ მტკიცებების უკან დგას.

ღმერთის უსაზღვრო ძლევამოსილება

თუ ნიავი გჭირდებათ, თქვენ მარაოს იღებთ და დაუქნევთ, რომ მეტი ჰაერი იგრძნოთ. მეორე მხრივ, ურაგანის დროს უზარმაზარი ტალღები ოკეანის ნაპირს აწყდება და ვეებერთელა ხეებსაც კი ფესვებიანად გლეჯს. მარაოსგან წარმოქმნილი ნიავი ძალიან სუსტია, ღმერთის სიძლიერე კი მიუწვდომელია – იგი უსაზღვროა.

ავიღოთ სხვა მაგალითები. ჭიდან მხოლოდ ცოტა რაოდენობის წყლის ამოღება შეგიძლიათ. მაგრამ თავსხმა წვიმის დროს ნაკადულები სწრაფ მდინარეებად იქცევა და ერთ უზარმაზარ ნაკადად შეერთდება. პირველი გამომდინარეობს ადამიანის შეზღუდული ძალიდან, მეორე – ღმერთის განუსაზღვრელი ძლევამოსილებიდან.

აიღეთ მაგალითი, როდესაც სახლში სინათლე გჭირდებათ. შეგიძლიათ სანთელი დაანთოთ ან ელექტრული ნათურა ჩართოთ. მაგრამ გამთენიისას, როცა მზე ამოდის, მთელ ქალაქსა და ტყეს მზის შუქი ეფინება. თქვენი ნათურის პატარა სინათლე ძალიან სუსტია მზის შუქთან შედარებით, მზისა, რომელიც დიდებულებით ანათებს ყველაფერს ირგვლივ. ასეთია ღმერთის უსაზღვრო სიძლიერე ადამიანის შეზღუდულ ძალასთან შედარებით. როგორ უნდა მიაღწიოთ ღმერთის ამ უსაზღვრო სიძლიერეს? როგორ უნდა გარდაქმნათ ადამიანის შეზღუდული შესაძლებლობები ღმერთის განუსაზღვრელ შესაძლებლობებად? საშუალება ერთია – მიენდოთ ღმერთს.

გიტაში უფალი აცხადებს:

„მე მოვსპობ შენს მთელ ცოდვებს და იმ უმაღლეს დონემდე აგწევ, რომელზედაც მე თვითონ ვიმყოფები“.

როგორ უნდა მოხდეს ეს? ფიზიკური სამყარო, რომელსაც თქვენ ადამიანის თვალით ხედავთ, წარმოადგენს სამყაროს ყველაზე უფრო მკვრივ ასპექტს – ეს არის *ბჰუტაკაშა.* როდესაც ეს ფაქიზი სამყარო ფაქიზ ფორმას იღებს გონებაში, ჩნდება სამყაროს ფაქიზი ასპექტი, *ჩიტაკაშა.* ხოლო როდესაც ეს მენტალური ასპექტი კიდევ უფრო ფაქიზ და უფრო დაფარულ ფორმას იღებს გულში, მაშინ ჩნდება სამყაროს კაუზალური ასპექტი, *ჩიდააკაშა.* ამგვარად, ამ ყველა ფორმის უკან მდგომი მიუწვდომელი უფალი ყველაზე უფრო მცირედის ფორმას იღებს და თავის თავს ათავსებს *ჩიდააკაშაში,* ერთგულის თვით გულში. ეს ჭეშმარიტება იმით არის შესანიშნავი, რომ ასეთი უზარმაზარი, უსაზღვრო და ძლევამოსილი ღმერთი იმის ნებას იძლევა, რომ ერთგულის გულში მოთავსდეს.

ერთგული თვით ღმერთზე უფრო დიდია

აი ისტორია, რომელიც ამის ილუსტრაციას წარმოადგენს. ოდესღაც წმინდანი ნარადა უფალს წარუდგა. უფალმა მას ჰკითხა:

„ნარადა, სამყაროში მთელი შენი ხეტიალის დროს შეძელი თუ არა ქმნილების საიდუმლოს გახსნა? ნუთუ შეძელი ამ სამყაროს უკან მდგარი საიდუმლოს გაგება? რა არის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მთელ ქმნილებაში? საითაც არ უნდა გაიხედო, ყველგან დიადი ხუთი ელემენტია: მიწა, წყალი, ცეცხლი, ჰაერი და ეთერი. შენი აზრით, რას უკავია მათ შორის პირველი ადგილი?“

ხანმოკლე ფიქრის შემდეგ ნარადამ უპასუხა:

უფალო, ყველაზე უფრო მკვრივი, დიდი და მნიშვნელოვანი ამ ელემენტებს შორის მიწა უნდა იყოს“.

უფალმა უპასუხა:

„როგორ უნდა იყოს მიწა ყველაფერზე უფრო დიდი, თუ მიწის სამი მეოთხედი წყლით არის დაფარული და მხოლოდ ერთი მეოთხედი ხმელეთია? ასეთი დიდი მიწა წყლის მიერ არის შთანთქმული. რა უფრო დიდია, ის რაც შთანთქმულია, თუ ის, რაც შთანთქავს?“

ნარადამ აღიარა, რომ წყალი უფრო დიდი უნდა იყოს, იმიტომ რომ მან მიწა შთანთქა.

უფალი განაგრძობდა კითხვების დასმას:

მაგრამ, ნარადა, ძველ თქმულებაში ნათქვამია, რომ როდესაც დემონები წყალში დაიმალნენ, წმინდანმა აგასტიამ, ისინი რომ ეპოვა, მოვიდა და მთელი ოკეანე ერთ ყლუპად დალია. შენი აზრით, უკეანეა უფრო დიდი თუ აგასტია?“

ნარადა იძულებული იყო დასთანხმებოდა, რომ აგასტია უეჭველად უფრო დიდია, ვიდრე წყალი, რომელიც მან ჩაყლაპა.

„მაგრამ, - განაგრძო უფალმა, - ნათქვამია, რომ ეს აგასტია, როდესაც მან თავისი მიწიერი სხეული მიატოვა, პოლარული ვარსკვლავი გახდა ზეცაში. ასეთი ვეებერთელა აგასტია ახლა მხოლოდ პატარა ვარსკვლავს წარმოადგენს ცის უზარმაზარ სივრცეში. მაშინ, შენი აზრით, რა უფრო დიდია, აგასტია თუ ზეცა?“

ნარადამ უპასუხა:

„სვამი, რა თქმა უნდა, ზეცა უფრო დიდია, ვიდრე აგასტია“.

მაშინ უფალი შეეკითხა:

„მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ერთხელ, როდესაც უფალი მოვიდა როგორც ავატარი, მან თავისი ტერფით მიწა და ზეცა დაფარა. რა უფრო დიდია, ღმერთის ტერფი თუ ზეცა?“

„ო, ღმერთის ტერფი, რა თქმა უნდა“, - უპასუხა ნარადამ.

მაგრამ მაშინ უფალმა ჰკითხა:

„თუ ღმერთის ტერფი ასეთი დიდია, მაშინ როგორია მისი უსაზღვრო ფორმა?“

ახლა ნარადამ იგრძნო, რომ ის საბოლოო შედეგთან მივიდა.

„დიახ, თქვა მან აღტაცებით, - უფალი ყველაფერზე უფრო დიდია. იგი უსაზღვროა, იგი ნებისმიერი განზომილების ზღვრებს მიღმაა. მთელ სამყაროში არაფერია მასზე უფრო დიდი“.

მაგრამ უფალს კიდევ ერთი შეკითხვა დარჩა:

„მაშ როგორია ერთგული, რომელსაც შეუძლია უსაზღვრო უფალი თავის გულში მოათავსოს? მაშ მითხარი, ნარადა, ვინ უფრო დიდია, ერთგული, რომელმაც გულში უფალი მოათავსა, თუ უფალი, რომელიც ერთგულის გულშია მოთავსებული?“

ნარადა იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ერთგული უფრო დიდია, ვიდრე უფალი, და რომ, შესაბამისად, ერთგულს უნდა პირველი ადგილი ეკაოს მნიშვნელოვნობის მიხედვით, და თვით უფალსაც კი აღემატებოდეს.

ღმერთის შებოჭვა სიყვარულის ძალით შეიძლება

ისეთი უზარმაზარი ძალა, რომელსაც ღმერთის შებოჭვაც კი შეუძლია, ნებისმიერი ერთგულის შესაძლებლობის ზღვრებში იმყოფება. როგორი უსაზღვრო და ძლევამოსილიც არ უნდა იყოს, ნებისმიერი ძალა, რა დიდებულადაც არ უნდა მოჩანდეს იგი, თუ ის რაიმე სხვასთან არის დაკავშირებული, მაშინ ის, რაც მას ბოჭავს, უფრო ძლიერად უნდა ჩაითვალოს. ღმერთის შთამბეჭდავი ძალა სიყვარულის ძალამ შებოჭა: შესაბამისად, როდესაც ერთგულების

გზით მიდიხართ, შეგიძლიათ თვით უფალი შებოჭოთ და თქვენს გულში მოათავსოთ.

თუ ოკეანედან წყლის ერთ წვეთს ავიღებთ და ხელისგულზე მოვათავსებთ, მაშინ ოკეანესთან შედარებით ეს წვეთი ძალიან პატარად მოგვეჩვენება. მაგრამ დააბრუნეთ წყლის ეს წვეთი ოკეანეში დი ის უსაზღვრო ოკეანის ნაწილად იქცევა. თუ თქვენს უმნიშვნელობას როგორც ადამიანურ არსებას უფლის უსაზღვრო სიძლიერეს შევუერთებთ, მაშინ უსაზღვრო და ყოვლისშემძლე გახდებით: თქვენ ღმერთთან ერთიანი ხდებით.

წმინდა წერილებში ნათქვამია: *შეიცანი ბრაჰმანი, და ბრაჰმანი გახდები (ბრაჰმავიდ ბრაჰმაივა ბჰავატი).* პროცესს, რომელიც ღმერთსა და შენ გაერთებთ, ჰქვია *ბჰაქთი* – ერთგულების გზა.

მაგრამ ჩვენს დროში მრავალი ადამიანი საჭიროდაც კი არ თვლის ღმერთის აღიარებას. ამის მაგივრად ისინი მხოლოდ თავიანთ შეზღუდულ ძალებზე ამყარებენ იმედს; მათთვის მხოლოდ ადამიანის მიღწევებია შთამბეჭდავი. ისინი მზად არიან, რომ თავი მდაბლად დაუკრან ადგილობრივ თანამდედობის პირს ან წვრილ სამთავრობო მოხელეს, და უარს ამბობენ თვინიერება და მორჩილება გამოავლინონ ყოვლისშემძლე კოსმოსური პიროვნების წინაშე, რომელიც მთელი ქმნილების მბრძანებელია. ღმერთს, პირველმიზეზსა და მთელი ქმნილების საფუძველს, არასწორად ეპყრობიან. ამ სამწუხარო მდგომარეობის მიზეზს წარმოადგენს, ის, რომ მხოლოდ ცოტას შეუძლია გაიგოს ჭეშმარიტება, რომელიც უფლის მთელი ქმნილების უკან დგას. დაბალი გონება ვიწრო შესახვევებით დადის. იმის გაგება რომ შეგეძლოთ, რომ ყველაფერი ღვთაებრიობის ნაწილია, არასოდეს ივლიდით არასწორი გზით.

თუ ბაღში „სურვილების ხე“ გაქვთ, რატომ უნდა ეძებოთ ტყეში ველური ხილი? თუ სახლში „ზეციური ძროხა“ გყავთ, რატომ უნდა ეძებდეთ ბაზარში რძეს? თუ აცნობიერებთ „ღვთაებრივი ძროხისგან“ მიღებულ უსაზღვრო სიკეთეს, აღარასოდეს დაიწყებთ მის ძებნას, და არ შეგაცდენთ ტრივიალური სურვილები. სულ მცირე გონებას უმნიშვნელოც კი ძალიან დიდად ეჩვენება. ნათქვამია, რომ ყოველთვის იღებთ იმას, რასაც იმსახურებთ. ნატრობთ ცოტას და იღებთ ცოტას. უმნიშვნელო აზრები წვრილ ნატურებს კვებავს. თქვენ წვრილმანი გიზიდავთ, რადგან ფიქრობთ, რომ თქვენი ძალა შეზღუდულია. მაგრამ ჭეშმარიტად გეუბნებით: **თქვენი ძალა უსაზღვროა.**

დუალიზმიდან არადუალიზმისკენ

თავს მუდამ სხეულთან აიგივებთ, და ამიტომ პატარად რჩებით. თქვენ ფიქრობთ: *აჰამ დეჰაასმი – მე ვარ სხეული“.* ეს აზრი

უმნიშვნელობის მდგომარეობაში გამყოფებთ. მაგრამ იარეთ *აჰამ დეჰაასმიდან აჰამ ჯივაასმისკენ,* ანუ *„მე ვარ სხეული“*-დან *„მე ვარ სული“*-სკენ, *ღვთაების ნაპერწკლისკენ.* ასეთი გზით ადიხართ ორობითობის სტადიიდან *(დუალიზმიდან,* ანუ *დვაიტადან)* არაორობითობის გაცნობიერების სტადიაზე *(გაცნობიერებულ არადუალიზმზე,* ანუ *ვიშიშტადვაიტაზე).* ამის შემდეგ კი, *აჰამ ჯივაასმიდან* უნდა იმოძრაოთ *აჰამ ბრაჰმაასმისკენ, „მე ვარ სული, ღვთაების ნაწილი“*-დან *„მე ვარ თვით ღვთაება, ღმერთისგან არ განვსხვავდები. ღმერთი და მე ერთიანი ვართ“*-სკენ. ეს არის სრული არაორობითობის *(არადუალიზმის,* ანუ *ადვაიტას)* სტადია. გრძნობა, რომლითაც თქვენ იწყებთ, თვლით რა, რომ სხეული ხართ, ორობითობით არის გაჟღენთილი; ეს სევდის წყაროა. სანამ ორობითობაში ხართ ჩაფლული, ყველაფერში სევდას და მწუხარებას განიცდით. და თუ თავს *ატმასთან* გააიგივებთ, მაშინ ყველაფერი ბედნიერებად და სიხარულად იქცევა.

უნდა აკეთილშობილებდეთ თქვენს აზრებს და ყოველთვის *ატმასთან* აიგივებდეთ თავს, სხეულთან მცდარ გაიგივებაზე უარს ამბობდეთ. ასეთია თაყვანისცემისთვის ჯეროვანი მოპყრობა. სანსკრიტულ ენაზე „თაყვანისცემას“ ჰქვია *უპასანა,* რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „გვერდით ჯდომას“. მაგრამ საკმარისი არ არის უბრალოდ გვერდით იჯდეთ და ახლოს იყოთ. ბაყაყი ლოტოსის ყვავილზე ზის, მაგრამ განა რაიმე სარგებელს იღებს ლოტოსში მდებარე წმინდა ნექტრისგან? უბრალოდ ახლოს ყოფნა უსარგებლოა; თქვენ უნდა უფლისთვის **ძვირფასი** გახდეთ. ღვთაებრივი ნექტრის შეწოვა უნდა შეგეძლოთ.

თქვენი მეზობლები შეიძლება ძალიან ახლოს იყვნენ თქვენგან, მაგრამ რა პრობლემებსა თუ სიძნელეებსაც არ უნდა განიცდიდნენ ისინი, ეს თქვენ ძალიან ღრმად არ შეგეხებათ. ამასთან შედარებით, თუ თქვენი ძმა ან ქმარი ამერიკაში იმყოფება, თქვენგან ძალიან შორ მანძილზე, და მხოლოდ და მხოლოდ ერთი კვირაა, რაც მისგან წერილი არ მიგიღიათ, აღელვებას იწყებთ. ამ შემთხვევაში სხეული იმყოფება ძალიან შორს, მაგრამ ურთიერთსიყვარული თქვენ ახლობლებსა და ძვირფასებს გხდით ერთმანეთის მიმართ. მეზობლებთან ურთიერთობები არ არის ასეთივე სიყვარულით შეფერადებული, თუმცა ისინი თქვენ გვერდით ცხოვრობენ.

განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი. სახლში შეიძლება თაგვები და ჭიანჭველები დარბოდნენ. განა მათ მეგობრებს დაარქმევთ? ფიზიკურ სიახლოვესთან ერთად ასევე უნდა იყოს გრძნობა, რომ თქვენთვის ვიღაც ძვირფასია, - უნდა განვითარდეს სიყვარულის ღრმა გრძნობა, რომელიც ადამიანთა შორის ურთიერთობებს გამსჭვალავს.

უპასანა ამბობს იმაზე, რომ საჭიროა არა მარტო უფალთან **ახლოს იჯდეთ**, არამედ ასევე მისთვის **ძვირფასი** იყოთ.

იყოთ ახლობელი და ძვირფასი

რა სიკეთეებს მიიღებთ, თუ უფლისთვის ახლობელი და ძვირფასი იქნებით? თუ ნათურასთან ახლოს ზიხართ, თქვენ სინათლეს იღებთ, და განათების დახმარებით შეგიძლიათ საღამოობით სასარგებლო საქმეებით დაკავდეთ. თუ ვენტილატორი გიბერავთ, გრილ ნიავს გრძნობთ, და დისკომფორტის მომტანი სიცხე იფანტება. წელიწადის ცივ დროს, თუ ცეცხლთან ახლოს დაჯდებით, სიცივისგან დაცული იქნებით. თითოეულ ამ შემთხვევაში ერთი თვისება ქრება და მეორეს უთმობს ადგილს.

ასეთივე სახით, თუ უფალთან ახლოს აღმოჩნდებით და მისთვის ძვირფასი გახდებით, მაშინ მის სიყვარულს მიიღებთ, და მალე თქვენი ყველა ცუდი თვისება გაქრება და კარგი თვისებებით შეიცვლება, რომლებიც ღმერთშია განხორციელებული. განავითარეთ თქვენში სიყვარული, რომ იყოთ სულ უფრო და უფრო ახლოს ღმერთთან და ძვირფასი მისთვის.

ყველაზე უფრო ადვილი გზა იმისათვის, რომ ღმერთთან უფრო ახლოს აღმოჩნდეთ, არის ის, რომ გახსოვდეთ: ის ყველაფერშია, რასაც ხედავთ, რასაც ამბობთ და რასაც აკეთებთ. იფიქრეთ მხოლოდ ღმერთზე და იმაზე, როგორ გახდეთ მისთვის უფრო ახლობელი და ძვირფასი.

ერთგულების გზაზე საკმარისი არ არის, რომ გიყვარდეთ ღმერთი. ასევე უნდა დაკავებული იყოთ ღმერთისთვის საწადელი მოქმედებით, რომ ღმერთის სიყვარული გამოიწვიოთ და თქვენდამი მისი სიყვარული იგრძნოთ. არსებობს ზოგიერთი დამახასიათებელი თვისება, რომელსაც ერთგული უნდა ფლობდეს და რომელიც მას ღმერთისთვის ძვირფასს გახდის: ერთნაირად ეპყრობოდეს კრიტიკასა და ქებას, სიცხესა და სიცივეს, შემოსავალსა და კარგვას, სიხარულსა და მწუხარებას, პატივსა და შეურაცხყოფას, ისევე, როგორც წინააღმდეგობათა სხვა წყვილს. ნუ წუხდებით, თუ გაკრიტიკებენ, და ნუ ზეიმობთ, თუ გაქებენ. მეტისმეტად ნუ გახარებთ შემოსავალი და ნუ ვარდებით სასოწარკვეთილებაში კარგვის დროს. ერთნაირად მოეპყარით სიცხესა და სიცივეს – ორივე შეიძლება თქვენთვის სიხარულის წყარო გახდეს.

ზამთარში სასურველია შალის ტანსაცმელი, ასევე სითბოს წყარო, რომელიც გაგათბობთ. ზაფხულში გრილი ტანსაცმელი გჭირდებათ, და სიგრილე გიხარიათ. სითბოსაც და სიცივესაც სიხარულის მოტანა შეუძლია; ის, თუ როგორ მოიხმართ მათ, იმაზეა დამოკიდებული, განიცდით თუ არა სიხარულს. სიცხე და სიცივე,

შემოსავალი და კარგვა, ისევე, როგორც წინააღმდეგობათა სხვა წყვილები, არ არის უსარგებლო, როგორც ყველაფერი ამ სამყაროში. ყველაფერი შექმნილია რაღაც მიზნით, და ყველაფერი ისე უნდა მოიხმაროთ, რომ ეს თქვენს ცხოვრებას შეესაბამებოდეს განვითარების თქვენს სტადიაზე.

არავის მიმართ არ გამოავლინოთ სიძულვილი

მეტისმეტი სისულელე იქნება, თუკი მისცემთ ოქროს თასს ბავშვს ან მახვილს გადარეულს. ოქროს თასი, რომელიც ძალიან ძვირი ღირს, მხოლოდ იმას შეიძლება მისცეთ, ვინც მას შეაფასებს. ასეთმა ადამიანმა იცის, როგორ გამოიყენოს იგი, და შეიძლება დიდი სიხარული მიიღოს მისგან. ასეთივე სახით ის, ვინც ერთგულების ფასი იცის, გამოიყენებს მას, რომ თავისი თავი და სხვები სუფთა სიხარულით შეავსოს. ჭეშმარიტი სიყვარული არავის არასოდეს მოუტანს უბედურებას, არასოდეს მიგიყვანთ სიძულვილთან. *გიტას* მე-12 თავში ჩამოთვლილია თვისებები, რომლებსაც ერთგული უნდა ფლობდეს. ისინი იწყება ამ სიტყვებით: *ადვაიტა სარვა ბჰუტანამ* - **„დაე არავითარი არსების მიმართ არ იყოს მტრობა ამქვეყნად“.** თუთიყუშივით იმეორებდეთ „უფალო, მიყვარხარ“, და ამავე დროს უსიამოვნებას აყენებდეთ სხვებს, - ეს არ შეიძლება ერთგულებად ჩაითვალოს.

მხოლოდ მაშინ ხდებით ერთგული, სიყვარულითა და ერთგულებით აღვსილი, როცა მთლიანად მიენდობით უფალს და მზად ხართ მისი ნებისმიერი მცნება შეასრულოთ. არჯუნა სიამაყისა და თავმოყვარეობის გამო დათრგუნულად გრძნობდა თავს, მაგრამ როცა უფალს მოუსმინა, ღვთაებრივ ტერფებთან განერთხა და მან თქვა:

უფალო, შენი მოწაფე ვარ. მასწავლე, რა არის ჩემთვის სიკეთე. სრულად გენდობი შენ“.

ამ დრომდე ისინი ერთმანეთს ეპყრობოდნენ როგორც ნათესავები. მაგრამ როდესაც არჯუნამ თქვა:

„ისე მოვიქცევი, როგორც მეტყვი. შენს ბრძანებებს შევასრულებ!“ - იგი ერთგული გახდა. მის გონებაში მოხდა ტრანსფორმაცია, უფალთან ძმური ურთიერთობა მან ერთგულის ურთიერთობით შეცვალა, იგი თავის მასწავლებლად ჩათვალა. ასეთი მენტალური ტრანსფორმაცია აუცილებელია ერთგულისთვის. მის გარეშე, როგორ სიახლოვესაც არ უნდა მიაღწიოთ (როგორც თქვენ გეჩვენებათ) უფალთან, თქვენი ერთგულება უნაყოფო და უსარგებლო დარჩება.

როდესაც ამ მაღალ პრინციპებს აცნობიერებთ, ასრულეთ თქვენი ვალი ცხოვრებაში. დაე, თქვენი გონება გაწონასწორებული იყოს, ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ სამუშაო, რომელსაც ასრულებთ,

სიკეთის მომტანი იყოს. *გიტაში* ნათქვამი ეს სტრიქონები უნდა არა მხოლოდ გახსოვდეთ, არამედ ასევე პრაქტიკაში დანერგოთ. როდესაც მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში დანერგავთ, და მათ ღრმა მნიშვნელობას გააცნობიერებთ, მღელვარებები მიგატოვებთ და მწუხარება გაქრება. მაგრამ თუ ამ სტრიქონთა მნიშვნელობა არ გესმით, და უბრალოდ იმეორებთ მათ, თქვენი მწუხარება შეიძლება გაიზარდოს კიდეც.

თავი მესამე

როგორ უნდა დაიმსახუროთ ღმერთის სიყვარული

უფალი გიტაში აცხადებს: „ის,
ვინც ჩემი ურყევი ერთგულია,
ძალიან ძვირფასია ჩემთვის“.

სიყვარულის განხორციელებანო!

თქვენ შეიძლება სხვადასხვა სახის შედეგი მოიმკათ ამქვეყნად. შეიძლება გამოიმუშაოთ სიმდიდრე, ოქრო და ქონება. ასევე შეიძლება მიაღწიოთ პატივისცემას, მაღალ მდგომარეობას და პრესტიჟს. მაგრამ *გიტაში* უფალი გვიჩვენებს, რომ ეს ყველაფერი წარმავალია და მას მუდმივი ღირებულება არ გააჩნია. ერთადერთ მყარს, ჭეშმარიტად ღირებულს წარმოადგენს ღმერთის სიყვარული, და ამის მიღწევა აქ, დედამიწაზე ცხოვრების დროს არის შესაძლებელი. ღვთაებრივი სიყვარული ყველაფერს აღემატება, იგი ფასდაუდებელია. ამ განძის ფასს საზღვარი არა აქვს. პირველხარისხოვან მნიშვნელობას იმას უნდა აძლევდეთ, რომ ღმერთის ამ დაუფასებელი სიყვარულის პოვნის შესაძლებლობა მიიღოთ. როგორ უნდა დაიმსახუროთ ის? რა გზით უნდა იაროთ, რომ ღმერთის სიყვარულს მიაღწიოთ?

ღმერთის სიყვარული

ღმერთის სიყვარული არავითარი პირობის წამოაყენებას არ ახდენს; იგი ყველასთვის ერთნაირია. მაგრამ რა უნდა გააკეთოთ იმისათვის, რომ ღმერთის ეს საოცარი სიყვარული განიცადოთ?

თუ თესავთ ისე, რომ სწორად არ მარგლავთ და არ ამზადებთ ყანას, მაშინ კარგ მოსავალს არ უნდა ელოდოთ. ასევეა გულის ყანა: თუ უპირველეს ყოვლისა ეგოიზმის ყველა უარყოფით თვისებას არ მოიცილებთ, კარგ მოსავალს ვერ მიიღებთ. *გიტა* გვასწავლის, რომ მთავარი სარეველა, რომელიც გულის ყანიდან უნდა მოიცილოთ, ეს არის მიბმულობა და სხეულთან გაიგივება. ახლაც კი შეიძლება ფიქრობდეთ, რომ ღმერთი გიყვართ, მაგრამ მხოლოდ ეს აზრი ვერავითარ ღირებულ შედეგს ვერ მოგცემთ. ეს იგივეა, რომ კაგი თესლი უნაყოფო, მოუმზადებელ ნიადაგში ჩათესოთ. თქვენთვის ყველაფერზე უფრო მნიშვნელოვანია გაარკვიოთ, უყვარხართ თუ არა

ღმერთს. თუ გიყვართ კიდეც ღმერთი, ღმერთს კი არ უყვარხართ, თქვენი ერთგულება საკმაოდ შორს ვერ წაგიყვანთ.

მაშ როგორ უნდა დაიმსახუროთ ღმერთის სიყვარული, მისთვის ძვირფასი გახდეთ? ამ კითხვაზე პასუხს იპოვით *ბჰაგავად გიტაში*, თავში სახელად *ბჰაქთი-იოგა* – ერთგულების გზა. *ბჰაქთი-იოგა* ნიშნავს მუდამ ღმერთთან ერთიანობაში ყოფნას. *ბჰაქთი-იოგა* გასწავლით, რომ აუცილებლად ყველა გარემოებაში გონების გაწონასწორების პრაქტიკას ეწეოდეთ. იგი ამბობს, რომ უნდა იყოთ გაბედული, მხოლოდ სულიერი სწავლების პრაქტიკას მიუძღვნათ თავი ყოველდღიურ ცხოვრებაში. იგი ასევე გასწავლით *სანტრუპტის* – იყოთ ყოველთვის და ნებისმიერ გარემოებაში კმაყოფილი.

ჭეშმარიტი სიხარული

არსებობს შესამჩნევი განსხვავება კმაყოფილებასა (*ტრუპტი*), და ჭეშმარიტ სიხარულს (*სანტრუპტი*) შორის. ამის გასაგებად ანალიზი გაუკეთეთ განსხვავებას *კირტანსა* და *სანკირტანს* შორის. *კირტანი* ვოკალური მუსიკაა, რომელიც მხოლოდ ბაგეებიდან გამოედინება, იმ დროს როცა *სანკირტანი* ინტეგრალური მუსიკაა, რომელიც თავისუფალია, სპონტანურია, და უდიდესი სიხარულით გულის სიღრმიდან გამოედინება. ასეთივე სახით *ტრუპტი* მიეკუთვნება კმაყოფილებას, რომელსაც ამ სამყაროსგან იღებთ, ანუ იმ წარმავალ სიხარულს, რომელსაც ამ ხილული სამყაროს საგნებისგან და მოვლენებისგან იღებთ. *სანტრუპტი*, მეორე მხრივ, როგორც *სანკირტანი*, ეს არის ჭეშმარიტი სიხარული, რომელიც გულის სიღრმიდან გამოედინება. იგი ჭეშმარიტებასთან ასოცირდება, მუდმივია, ყოველგვარ წარმავალ ამქვეყნიურ საზრუნავზე არ არის დამოკიდებული, იგი წარმოადგენს სულის ერთიანობას. *სანტრუპტისთვის* არ შეიძლება იყოს ცვლილებები. არ არსებობს არაფერი, რისი ჭეშმარიტი სიხარულისთვის მიმატება რომ შეგვეძლოს. იგი თავისთავად სავსე და სრულყოფილია.

ამ ყველაფრის უფრო ღრმა აზრი იმაშია, რომ ერთგული ამქვეყნიურ საგნებს დიდ მნიშვნელობას არ აძლევდეს, რომ არ იყოს ამ საგნებით გატაცებული. გამოიყენეთ დრო და ძალისხმევა იმისთვის, რომ გონების ახირებები აკონტროლოთ და მისი ურყეობა განავითაროთ. *სანტრუპტი* ჭეშმარიტი სიხარულია, რომელიც გონების ურყეობიდან, მისი გაწონასწორებულობიდან მოდის, როცა თქვენთვის ტოლმნიშვნელოვანია გამარჯვება და დამარცხება, მოგება და ზარალი, სიხარული და მწუხარება. შესაბამისად, ერთგულება, ანუ *სანტრუპტი*, მიეკუთვნება სიყვარულისა და კმაყოფილების მუდმივ გრძნობას, და არა იმას, რაც დროთა განმავლობაში ცვლილებას

განიცდის. მიიღეთ ის ყველაფერი, რაც ხდება, რასაც ხვდებით, როგორც ღმერთის საჩუქარი; გიხაროდეთ ეს, განიცადეთ უზარმაზარი კმაყოფილება, და ეს სიყვარულის საჩუქრად ჩათვალეთ თქვენს სასიკეთოდ. გული, რომელიც ყველა ადამიანსა და საგანს ერთნაირად ეპყრობა, შეიძლება აღვწეროთ, როგორც *სანტრუპტის*, ანუ ჭეშმარიტი სიხარულის მფლობელი.

მამაცობა და მტკიცე გამბედაობა

რაც შეეხება ურყეობის თვისებას, - ჩვენთვის სრულიად ბუნებრივია გვქონდეს ურყეობა, მამაცობა და მტკიცე გამბედაობა. ეს თვისებები შეგიძლიათ ცხოვრების მრავალ სფეროში გამოავლინოთ. შეგიძლიათ ისინი გამოიყენოთ იმაში, რომ მთებზე ახვიდეთ. სათავგადასავლო და სიმამაცის გრძნობა შეიძლება გამოიყენოთ, როცა ოკეანეს გადაკვეთთ ან ველურ ჯუნგლებს გაივლით. შეგიძლიათ ასევე თამამად და გაბედულად გამოავლინოთ თავი – ცხოვრებისთვის სახსრები გამოიმუშაოთ, საკუთრება შეიძინოთ და მოგება მიიღოთ. ანდა შეიძლება იყოთ გულადი და გამბედავი, მაგრამ ამ თვისებებს არაგულმოწყალე ქცევებში ავლენდეთ; შეიძლება ამჯობინოთ ის, რომ გადაყაროთ კეთილშობილი ადამიანური და ღვთაებრივი თვისებები და ამის ნაცვლად დემონის თვისებები შეიძინოთ. სიმტკიცე და გამბედაობა შეიძლება გამოიყენოთ როგორც სიკეთისთვის, ასევე ბოროტებისთვის; როგორ გამოიყენებთ ამ თვისებებს, თქვენზეა დამოკიდებული.

ადრეულ ასაკში, როცა დიადი ბრძენი ვალმიკი იყო რატნაკარა, საძაგელი ქურდი, მან მთელი თავისი მამაცობა, გაბედულობა, სიმტკიცე და ა.შ. ბოროტებისთვის გამოიყენა. შვიდ ბრძენთან ნაცნობობის წყალობით, რომელთა სწავლებასაც უსმენდა (ეს სწავლება მას ღმერთის სახელის გამეორებას მოუწოდებდა), მან შეძლო თავისი ცხოვრების გარდაქმნა და შეუდრეკელი გამბედაობისა და ძალის გამოყენება კაცობრიობის საკეთილდღეოდ. რამას სახელი მას პირზე ეკერა. აი როგორ გახდა იგი ავტორი *რამაიანასი* – დიადი ეპიკური პოემისა, რომელიც რამას ცხოვრებაზე მოგვითხრობს. შესაბამისად, არ უნდა იყენებდეთ ურყეობასა და სიმტკიცეს ცუდი საქმეებისთვის ან ჩვეულებრივი ამქვეყნიური საქმეებისთვისაც კი; ამის ნაცვლად გამოიყენეთ გულადობა და გამბედაობა იმისთვის, რომ ღმერთის წყალობას მიაღწიოთ.

ფორმის მქონე და ფორმის გარეშე ღმერთის თაყვანისცემა

ბჰაქთი-იოგა დაწვრილებით აღწერს ღმერთის თაყვანისცემას, ღმერთისა როგორც ატრიბუტებით, ასევე ატრიბუტების გარეშე,

როგორც ფორმის მქონისა, ასევე უფორმოსი. *გიტა* ერთმანეთს ადარებს თაყვანისცემის ამ ორ სახეს, გვიჩვენებს, რომელია მათგან უკეთესი, უფრო იოლი და უსაფრთხო ერთგულისთვის მისი სულიერი პროგრესის ყოველ საფეხურზე. *გიტა* აცხადებს, რომ შეუძლებელია მიაღწიოთ ფორმისა და ატრიბუტების გარეშე სტადიას, თუ არ გაივლით ატრიბუტებისა და ფორმის მქონე ღმერთის თაყვანისცემის სტადიას.

სანამ სხეულზე ხართ მიბმული და სხეულის ცნობიერებაში ხართ ჩაშვებული, ვერ გაიგებთ და ვერ მიაღწევთ უზენაესს ატრიბუტებისა და ფორმის გარეშე. თქვენ მხოლოდ მას შემდეგ მიაღწევთ ფორმის გარეშე ღმერთის თაყვანისცემის საჭირო დონეს, როცა სხეულზე მიბმულობას, ქვეყნიერებაზე მიბმულობას და ყველა სხვა მიბმულობას გადალახავთ. ამრიგად, სანამ თქვენს თავს სხეულთან აიგივებთ, ფიქრობთ, რომ გარკვეული ფორმა გაქვთ, ვერ მიაღწევთ ატრიბუტების არმქონე ღვთაების ასპექტს.

სინამდვილეში მთელი სამყარო ღმერთის ფორმაა. ამიტომ ატრიბუტების მქონე ღმერთს უნდა სცემდეთ თაყვანს, ანუ ღმერთის გარკვეულ განსხეულებას ან ფორმას სცემდეთ თაყვანს. თანდათან, ამ გზაზე ყოფნის რაღაც დროის შემდეგ, ამ პრაქტიკის შეცვლას და უზენაესის ფორმის გარეშე ასპექტისთვის თაყვანისცემის დაწყებას შეძლებთ. ადამიანები თვლიან, რომ შეიძლება თაყვანი სცენ ღმერთის სამყაროებრივ ფორმას; მაგრამ საბოლოო ჯამში ესაც კი ფორმის თაყვანისცემაა. *ვიშვასვარუპა*, უფლის კოსმოსური ფორმა, იდენტურია *ბჰუტაკაშისა*, სამყაროს მკვრივი ფიზიკური ასპექტისა. მენტალურ დონეზე მას შეესაბამება უფლის ფაქიზი ფორმა, ანუ *ჩიტაკაშა* – სამყაროს ფაქიზი ასპექტი. ეს ორი ასპექტი, *ბჰუტაკაშა* და *ჩიტაკაშა*, დაკავშირებულია გრძნობებთან და გონებასთან. *ჩიდააკაშა* აღემატება როგორც გრძნობას, ასევე გონებას.

სიფხიზლის მდგომარეობაში გონებისა და გრძნობების ზეგავლენა ძალიან ძლიერია. ძილის მდგომარეობაში შეიძლება არ იყოს გრძნობის ზეგავლენა, გონების ზეგავლენა კი მაინც რჩება. ღრმა ძილის კაუზალურ მდგომარეობაში, ანუ *სუშუპტიში*, გონება განზავდება. ფენომენალური (გამჟღავნებული) სამყარო, რომელიც გრძნობით ორგანოებთან არის ასოცირებული, არის *ბჰუტაკაშა*. *ჩიტაკაშა* განეკუთვნება გონების მდგომარეობას, რომელიც ძილის მდგომარეობასთან ასოცირდება. ღრმა ძილის მდგომარეობა, *სუშუპტი*, ის მდგომარეობაა, როდესაც არ არის არც გონება, არც გრძნობათა ორგანოები; სწორედ ეს არის *ჩიდააკაშა*. მხოლოდ *სუშუპტის* მდგომარეობაში (როცა გონება და გრძნობები უმოქმედოდაა)

შეიძლება ატრიბუტებისა და ფორმის გარეშე ღმერთის ასპექტის განცდა.

წინ ვერ წაიწევთ, თუ თქვენს გამოცდილებას მხოლოდ სახელისა და ფორმის მქონე ღვთაებრივ პრინციპზე ამყარებთ. როგორც ფორმა, ასევე ფორმის არარსებობა, ერთნაირად მნიშვნელოვანია ერთგულისთვის. ეს არის როგორც ფრინველის ორი ფრთა ან ორი ფეხი გადაადგილებისთვის. მიზნის მიღწევა ორი ფეხის (ფორმისა და მისი არარსებობის) დახმარებით შეიძლება, როცა ერთ ფეხს მეორის წინ დგამთ: ერთი ფეხი, რომელიც ფორმას წარმოადგენს, მხარდაჭერას იღებს მეორისგან, რომელსაც ფორმა არა აქვს. მნიშვნელოვანია გააცნობიეროთ, რომ უფლის განსხეულება ფორმაში წარმავალია, იმ დროს როცა ფორმის გარეშე ღვთაების ასპექტი მარადიული, ყველგან მყოფი და უცვლელია. აი მცირე მაგალითი ამ პრინციპის ილუსტრაციისთვის.

ღმერთის მარადიული ასპექტი ფორმის გარეთაა

ახლა აქ, მანდირში, პრაშანტი ნილაიამში, დაახლოებით ათასი ადამიანი ზის და ამ სიტყვებს ისმენს. ეს სიტუაცია ორიოდე საათს გაგრძელდება. ერთგულებთან ერთად აქ არის *სვამიც*. ეს გარკვეულ დროსთან და გარკვეულ მოქმედებასთან არის დაკავშირებული; მაგრამ იგივე შეიძლება კვლავ განიცადოთ მას შემდეგაც კი, როცა სახლში წახვალთ. როგორც კი ამაზე ფიქრი მოგინდებათ, თქვენ *ჩიტაკაშაში*, გონებაში, გაგიჩნდებათ ათასი ადამიანი, *სვამი*, პრაშანტი ნილაიამის მანდირი და ეს სიტყვები. გარე ხედვაში და თქვენს გამოცდილებაში სიფხიზლის მდგომარეობაში შეიძლება ხედავდეთ, თქვენ ყველანი როგორ ზიხართ პრაშანტი ნილაიამის ჰოლში. რა მოხდება, როცა ამაზე ფიქრს დაიწყებთ მაშინ, როცა სახლში დაბრუნდებით? პასუხი – პრაშანტი ნილაიამი თქვენს გულში იქნება.

თქვენ იმყოფებით აქ, პრაშანტი ნილაიამში, ერთი საათის განმავლობაში, მაგრამ შეგიძლიათ ამას მუდამ განიცდიდეთ, მას შემდეგაც კი, როცა აქედან გაემგზავრებით. თუ ამას განიცდით დასაწყისში სიფხიზლის მდგომარეობაში (*ბჰუტაკაშის* მდგომარეობაში), ეს სამუდამოდ აღიბეჭდება *ჩიდააკაშაში*, მოგვიანებით კი ამას შეგიძლიათ დაუბრუნდეთ *ჩიტაკაშაში*.

უპირველეს ყოვლისა ეს ფიზიკურად აქ, ჰოლში, რომ არ განგეცადათ, არ გექნებოდათ მუდმივი შთაბეჭდილება გულში, რომლის განცდაც მოგვიანებით კვლავ შეგიძლიათ გონებაში, როდესაც ჰოლში ფიზიკურად ყოფნის ან *სვამის* ფიზიკური ფორმის ხედვის აუცილებლობა აღარ იქნება. ასეთივე სახით, თუ უკვე განიცადეთ ღმერთი ფორმაში, უეჭველად შეძლებთ მოგვიანებით

ფორმის გარეშე ღმერთის შეგრძნებას. ფორმა არ არის ხანგრძლივი, იმ დროს როცა ფორმის არარსებობა მუდმივია, მაგრამ უფორმოს გაცნობიერება მხოლოდ მას შემდეგ იარსებებს როგორც უცვლელი არსი თქვენთვის, როცა ღვთაებრივ ფორმას განიცდით, და იგი თქვენს გულში თაყვანისცემისა და ერთგულების წყალობით აღიბეჭდება.

განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი. დავუშვათ, რომ გინდათ ბავშვს ასწავლოთ სიტყვა „სკამი“. თუ მხოლოდ სიტყვა „სკამს“ წარმოთქვამთ, მისთვის ნათელი არ იქნება, რა ფორმის არის იგი. მაგრამ შეგიძლიათ სკამი აჩვენოთ და სთხოვოთ, რომ ყველა მხრიდან შეათვალიეროს ის. სანამ ამას აკეთებს, თქვენ იმეორებთ სიტყვას „სკამი“. მაშინ მოგვიანებით, როგორც კი იგი სკამს დაინახავს, გაიხსენებს სიტყვას, რომელიც იმ ფორმასთან არის დაკავშირებული, რომელიც მას აჩვენთ, და თავისთვის გაიმეორებს: „სკამი“. შეიძლება სწორედ იმ სკამის ფორმა, რომელიც მას აჩვენეთ, აბსოლუტურად იდენტური არ იყოს, ის შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ სიტყვა „სკამი“ და საგნის გარეგნობა, რომელსაც ეს სიტყვა წარმოადგენს, დარჩება. სანამ ბავშვი არ დაინახავს არამუდმივ ფორმას, ვერ ისწავლის უცვლელ სიტყვა „სკამს“. უცვლელი ელემენტი გასაგები ხდება ცვალებადის მეშვეობით. შესაბამისად, თუმც ღვთაებას არა აქვს ფორმა, თქვენ უნდა გარკვეულ ფორმასთან აკავშირებდეთ მას, რომ გაიგოთ ღმერთი.

ფორმის მქონე ღვთაების თაყვანისცემა გონებას დაამშვიდებს

დავიწყოთ იმით, რომ მრავალ ადამიანს მტკიცე რწმენაც კი არა აქვს, რომ ღმერთი არსებობს. დროის უმეტესი ნაწილი მათი გონება დაეჭვებულია, და ისინი თავის თავს შეკითხვას უსვამენ: *„არსებობს კი სინამდვილეში ღმერთი? მართალია, რომ ღმერთი არის?“*

იმისათვის, რომ ღმერის მუდმივი რწმენა განავითაროთ, მტკიცე გამბედაობაა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი. მერყევი გონებიდან შეგიძლიათ მდგრად და მტკიცე რწმენამდე მხოლოდ ფორმის მქონე ღვთაების თაყვანისცემის პროცესის მეშვეობით მიხვიდეთ. განვიხილოთ კიდევ ერთი პატარა მაგალითი.

აი ბამბით გატენილი ბალიში. რა აკრავს ამ ბალიშს? ქსოვილის ნაჭერი. რა არის ამ ქსოვილის შემცველობა? ბამბა. ანუ გარედან გვაქვს ქსოვილი, შიგნით კი – ბამბა. მაგრამ ფაქტიურად შიგნითაც და გარეთაც იგივე ბამბაა: უფორმო ბამბამ ძაფის ფორმა მიიღო, ეს ძაფი ქსოვილი გახდა, და ქსოვილი ფარავს ფორმის არმქონე ბამბას. ქსოვილი (მატერია) არის ფორმა, ბამბას კი – ფორმა არა აქვს; უფორმოდან ფორმისკენ, შემდეგ კი ფორმიდან უფორმოსკენ – ეს არის

ის ტრანსფორმაცია, რომელიც ღვთაებისთვის არის დამახასიათებელი. იმისათვის, რომ ბალიში მიიღოთ, მხოლოდ უფორმო ბამბას ვერ გამოიყენებთ. ამიტომ თავიდან უნდა ბამბა მატერიად აქციოთ, შემდეგ კი მატერიას, ფორმის მქონეს, შეუძლია შიგნით უფორმო ბამბა დაფაროს.

ასეთივე სახით ღვთაება ფორმაში და თავის უფორმო ასპექტში ერთი და იგივეა. ორივე ასპექტი მნიშვნელოვანია: არამუდმივი ფორმის მეშვეობით თქვენ აცნობიერებთ მუდმივ „უფორმობას“. მანამდე, სანამ სხეულის ცნობიერება გაქვთ და გრძნობთ, რომ ამ სხეულს წარმოადგენთ, შეუძლებელია ფორმის ასპექტზე უარის თქმა.

ფორმის არმქონე ღმერთის თაყვანისცემა თქვენს გულში

როდესაც ფორმის მქონე ღმერთს ტრადიციულად სცემთ თაყვანს, შეგიძლიათ რიტუალური თაყვანისცემის თექვსმეტი სახიდან ნებისმიერი ასრულოთ. ღმერთს ყვავილებს სთავაზობთ; მის ქანდაკებას ნაკურთხი წყლით ბანთ; კეთილსურნელებას ანთებთ და თაყვანისცემის მრავალ სხვა ფორმას იყენებთ. ამ ყველაფერს რაღაც კმაყოფილება მოაქვს თქვენთვის. ფორმის თაყვანისცემას მოაქვს *ტრუპტი*, ანუ კმაყოფილება. გარეგნულად თაყვანს სცემთ ფორმას; მაგრამ როდესაც ღმერთი თქვენს გულში გამყარდება, მაშინ მის თაყვანისცემას თქვენი გულის ყვავილების დახმარებით შეძლებთ. მას შემდეგ, რაც სხეულის ცნობიერება და მასთან დაკავშირებული ილუზია დამსხვრეულია, იგივე ღვთაება, რომელსაც თაყვანს სცემდით გარეგნულად, ფორმაში, და ამისათვის იყენებდით ყვავილებსა და თაყვანისცემის სხვადასხვა საგნებს, თქვენი გულის სიღრმეში თავის უფორმო ასპექტში იქნება, და მის თაყვანისცემას თქვენი გრძნობების ნაზი ყვავილების დახმარებით მოინდომებთ. ეს ჭეშმარიტ შეუნელებელ სიხარულს მოგიტანთ.

სანამ ფორმის მქონე უფალს სცემთ თაყვანს, თქვენ ხმარობთ ფიზიკური ყვავილების გარკვეულ სახეს, როგორიცაა ვარდები, გულყვითელა და ჟასმინი, თუმცა სხეული, რომელიც თაყვანისცემას ასრულებს, და ყვავილები, რომლებსაც იყენებთ, - ეს ყველაფერი წარმავალია. მაგრამ თუ გსურთ, რომ უფორმო ღმერთს სცემდეთ თაყვანს გულში, მაშინ სხვა ყვავილებია საჭირო: ეს იქნება მარადიულობის არაწარმავალი ყვავილები. ყვავილთა ეს რვა ტიპი ის კეთილშობილი თვისებებია, რომლებსაც თქვენს გულში ავითარებთ და უფალს სთავაზობთ: წინაღუდგომლობის, გრძნობების შეკავების, ჭეშმარიტების, მოთმინებისა და თავშეკავებულობის, უდრეკობის, სიყვარულისა და თანაგრძნობის, გულმოწყალების, თავგანწირვის

ყვავილები. ეს ყვავილები განკუთვნილია შინაგანი თაყვანისცემისთვის. უფორმო პრინციპის თაყვანიცემამდე რომ ახვიდეთ, უნდა გულის ეს ყვავილები გამოზარდოთ და თქვენს თაყვანისცემაში გამოიყენოთ. მაშინ, როდესაც უკან, სახლისკენ, თქვენი ღვთაებრივი წყაროსკენ, მიმავალ გზაზე დადგებით, თქვენ *სანტრუპტის* – ენით აუწერელ, სულის არაწარმავალ სიხარულს განიცდით.

შინაგანი სიმშვიდე და კმაყოფილება

გიტას მეთორმეტე თავში კრიშნა ასწავლიდა ყველაზე უფრო არსებით თვისებებს, რომელსაც ჭეშმარიტი ერთგული უნდა ფლობდეს; ამ თვისებებს უნა ავითარებდეს ის, ვისაც უნდა, რომ ღმერთის სიყვარულს მიაღწიოს. თავიდან, თუ გინდათ, რომ ღმერთის ერთგული იყოთ, უნდა შინაგანი სამყარო შეიძინოთ და მტკიცე გამბედაობას მიაღწიოთ. ყოველთვის კმაყოფილი უნდა იყოთ. არასოდეს არ უნდა დანებდეთ მღელვარებას, იმისი ნება არ მისცეთ ტკივილს, რომ თქვენს გულში შევიდეს და შეაწუხოს იგი.

შრიმად ბჰაგავატამი, დიადი წმინდა წერილი, პრაჰლადას წარმოადგენს როგორც იდეალურ ერთგულს, იმიტომ რომ ის ყველა ამ თვისებას ფლობდა. როდესაც დემონები აწუხებდნენ პრაჰლადას, რომელიც თვითონ იყო დემონთა მბრძანებლის ვაჟი, იგი არასოდეს ნებას არ აძლევდა ტკივილს, რომ გულში შეეღწია, იმ სიძნელეთა მიუხედავად, რომლებსაც ის გადიოდა. იგი უბრალოდ იმეორებდა ნარაიანას სახელს, თავისი მფარველისა და მხსნელის სახელს, და მასში თავშესაფარს ეძებდა. როდესაც მთელ ამ სიძნელეებს გადიოდა, მას წვეთი ცრემლიც კი არ წამოსდენია. ამიტომ პრაჰლადა აღწერილია როგორც ის, ვინც მთლიანად გამყარდა *იოგაში*, ანუ უფალთან ერთიანობაში. და თუმც ფენომენალურ (გამჟღავნებულ) სამყაროში ცხოვრობდა და ფორმა ჰქონდა, იგი სურვილებს ან მიბმულობებს გულში შესვლის ნებას არ აძლევდა.

გიყვარდეთ ყველა

ჭეშმარიტი ერთგულისთვის არ უნდა არსებობდეს ისეთი უარყოფითი თვისებები, როგორიცაა სიძულვილი, ეჭვიანობა, მრისხანება ან რაიმეს წყურვილი. ეს არის ერთგულებისთვის ყველაზე უფრო დიდი დაბრკოლებები, რომლებიც შეიძლება თქვენს გულში შევიდეს. უნდა ყველასთან ერთიანობის გრძნობა განავითაროთ. თუ თქვენში ვინმეს მიმართ სიძულვილი განვითარდება, ეს იქნება სიძულვილი თვით უფლის მიმართ, რომელსაც თაყვანს სცემთ. თუ ვინმეს საწინააღმდეგოდ რაიმე მოქმედებას ასრულებთ, რომლის მსვლელობაშიც სიძულვილი, ეჭვიანობა და მრისხანება ჩნდება, ეს

ყველაფერი ეგოს და ძალაუფლების თვითკმაყოფილების გრძნობის გამოა. ამიტომ პირველ გაფრთხილებას, რომელიც *ბჰაგავად გიტაშია* მოცემული, წარმოადგენს *ადვეშტა სარვა ბჰუტანამ*, რაც ნიშნავს: **არავითარი არსების მიმართ არ გამოავლინო სიძულვილი“.**

თუ ველზე სარეველა ბალახებს არ ამოგლეჯთ და ველს დამუშავებისთვის არ მოამზადებთ, მაშინ თესლი არასოდეს მოგცემთ კარგ მოსავალს. ასეთივე სახით, თუ თქვენი გულიდან ეგოს თესლს არ მოსპობთ, მაშინ სულიერი პრაქტიკის თქვენი ყველა მცდელობა უსარგებლო იქნება. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანს, რაც *ბჰაქთი-იოგაში* უნდა გაიგოთ, წარმოადგენს ის, რომ უნდა არა მარტო ღმერთი გიყვარდეთ, არამედ ასევე ყველა არსება გიყვარდეთ და მათ ეპყრობოდეთ როგორც ღმერთს. თუ ადამიანი ღმერთს სცემს თაყვანს და სხვებს ზიანს აყენებს, ამას არ შეიძლება ერქვას ერთგულება. ეს მხოლოდ ასეთი ადამიანის უმეცრების სიღრმეს ხსნის. ასეთი ადამიანები ვერასოდეს მიაღწევენ პროგრესს სულიერ გზაზე.

შემდგომში ისწავლით რწმენის განვითარებას, და კარგი საქმეების წყალობით თქვენს ცხოვრებას წმინდას გახდით. როდესაც ამ სასურველ თვისებებს განავითარებთ და ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყენებთ, თქვენ ღმერთის სიყვარულსა და მადლს გამოიწვევთ.

თავი მეოთხე

სულიერი ძიება არის სიბრძნის გზა

უფლის მზერის მტკიცე, განუწყვეტელი პრაქტიკა – აი ის სულიერი მოღვაწეობა, რომელიც ერთგულებისთვის არის რეკომენდირებული. გიტაში უფალზე გონების უწყვეტი მიმართვის ამ პრაქტიკას ჰქვია აბჰიასა-იოგა. ამას ასევე ჰქვია დჰიანა, ანუ მედიტაცია. ასეთი მეთოდის დახმარებით გონებას მუდამ თქვენ შიგნით მიმართავთ იმისათვის, რომ უფალს შეუერთდეთ. სიტყვა „დჰიანა“ წარმოიშობა სანსკრიტული სიტყვიდან, რომელიც ნიშნავს „გახსოვდეს ღმერთი“. უბრალოდ ხანდახან ფიქრი ღმერთზე ეს ჯერ კიდევ არ არის მედიტაცია. მედიტაცია ნიშნავს ფიქრობდე ღმერთზე ნებისმიერ გარემოებაში, ნებისმიერ დროს და ყველგან. ეს მუდმივი და განუწყვეტელი პროცესია.

სიყვარულის განხორციელებანო!

კონცენტრაციის ნებისმიერი პრაქტიკა, რომელსაც პერიოდულად ეწევით, ჩვეულებრივად ნიშნავს ყურადღების მოკრებას გარკვეულ საგანზე და გარკვეულ ადგილთან და დროსთან ასოციაციაზე. მედიტაციის პრაქტიკა კი, რომელიც უწყვეტად იწარმოება, სრულიად თავისუფალია ყველა ობიექტისგან და მოვლენისგან და მთლიანად სივრცისა და დროის ზღვრებს იქით იმყოფება. ამიტომ *გიტაში* მედიტაციის უწყვეტი პრაქტიკა აღწერილია როგორც რაღაც უფრო მაღალი ნებისმიერ პერიოდულად წარმოებულ პრაქტიკასთან შედარებით.

მაგრამ სიბრძნის განვითარება მედიტაციასაც კი აღემატება. სიბრძნე გამოედინება *ვიჩარანიდან* – შინაგანი კვლევის პრაქტიკიდან. ეს არის შინაგანი ბუნების, ყველა ობიექტის თვით გულის გამოკვლევის პრაქტიკა. თუ მსგავსი სახით დაჟინებით იმოქმედებთ, თანდათან სიმშვიდისა და ნეტარების უმაღლეს მდგომარეობას მიაღწევთ. ამაშია ადამიანის ცხოვრების უნიკალური მიზანი. მოვა დრო და მთელი კაცობრიობა მიაღწევს მას.

სამი სტადია სიბრძნის გზაზე

იმისათვის, რომ ამ მიზანს (შინაგან სიმშვიდეში ყოფნას) მიაღწიოთ, სამი სტადია უნდა გაიაროთ. უნდა დაიწყოთ სტადიიდან, რომელსაც ჰქვია *ჯიგნასუ*, - სულიერი ძიების სტადია, მოსწავლის სტადია. როდესაც მთლიანად უძღვნით თავს სულიერი ვარჯიშის

პრაქტიკას ყოველდღიურ ცხოვრებაში, თქვენ *ჯიგნასუს* სტადიიდან გადადიხართ *სადჰაკის* სტადიაზე. ამის შემდეგ მიზანს აღწევთ – ეს არის სტადია *არუდჰა*, სადაც ღმერთის გაცნობიერების ნეტარებით ტკბებით.

თუ შედარებით უბრალო განმარტება გინდათ, შეგიძლიათ *ჯიგნასუს* სტადია შეადაროთ თქვენი სტუდენტობის პერიოდს. ამ სტადიაზე ცოდნის მიღწევის უდიდეს აქტიურობას ავლენთ. როგორც *ჯიგნასუ* თქვენ სწავლობთ ღმერთის უდიდეს ძალებსა და საიდუმლოებებს, რომლებიც ამ გაგებათა უკან იფარება. კვლევის მეშვეობით ცდილობთ გაიგოთ პრინციპი *ტატ ტვამ ასი* – ***„მე ვარ ის“***. ანუ ძალისხმევას იჩენთ იმისათვის, რომ გაიგოთ *ტატ* და *ტვამ* – ***ის*** და ***ეს***. *ტატ* ამბობს მარადიულ ღვთაებრივ პრინციპზე, რომელსაც ჩვენ ღმერთს ვუწოდებთ, *ტვამ* კი ამბობს უკვდავ *ატმაზე*, რომელიც ყოველი ადამიანის ერთიან ჭეშმარიტ არსს წარმოადგენს. *ჯიგნასუს* სტადიაზე ცდილობთ შეარიგოთ ისინი და მათ შორის ერთიანობას მიაღწიოთ.

უპირველეს ყოვლისა უნდა გაიგოთ, რომ არსებობს ერთიანობა, რომელიც მთელი არსებულის საფუძველში დევს. ამის შემდეგ, როდესაც ამას გააცნობიერებთ, თქვენ უნდა ამის შესატყვისად იცხოვროთ, ეს დიადი ჭეშმარიტება ყოველდღიურ მოღვაწეობაში გამოიყენოთ. ასეთი სახით წინ მიიწევთ, რომ *სადჰაკი* გახდეთ. *სადჰაკის* სტადია შეიძლება ცხოვრების იმ პერიოდს შევადაროთ, როდესაც გაქვთ სამუშაო და თქვენი პროფესიით ხართ დაკავებული. თუ საკმარისი განათლება არ მიიღეთ და კარგი კვალიფიკაცია არა გაქვთ, მაშინ ვერ იპოვით შესაბამის მდგომარეობას საზოგადოებაში. შესაბამისად, *ჯიგნასუს* სტადიაზე კარგ განათლებას იღებთ და თქვენს ცოდნას ავითარებთ, რომ შემდგომ სტადიაზე, *სადჰაკის* სტადიაზე, შეგეძლოთ ამ განათლების გამოყენება პრაქტიკაში და მთელი თქვენი ცხოვრების მიზნის განხორციელებისთვის მისი გამოყენება.

მესამე სტადია, *არუდჰა*, შეიძლება შევადაროთ ცხოვრების უფრო გვიან პერიოდს, როდესაც პენსიაზე გასვლის შემდეგ სამუშაოს ტოვებთ. პენსიას მხოლოდ მას შემდეგ მიიღებთ, როდესაც შრომით მოღვაწეობას დაასრულებთ. მაგრამ უპირველეს ყოვლისა, როდესაც კარიერას იწყებთ, სამუშაოს მხოლოდ განათლების წარმატებით დამთავების შემდეგ იღებთ, თუ კვალიფიკაცია გაქვთ. სწორედ ეს სამი სტადიაა თქვენს სულიერ ძიებაში, აგრეთვე თქვენი ცხოვრების გზაზე: პირველი – *ჯიგნასუ*, როცა სტუდენტი ხართ, მეორე – *სადჰაკი*, როცა პროფესიონალი ხართ, და მესამე – *არუდჰა*, როცა პენსიონერი ხართ. ბოლო სტადიაზე, *არუდჰაზე*, მთელი ქმნილების ერთიანობას აცნობიერებთ და სულის სრული სიმშვიდით ტკბებით. სულის

სიმშვიდეს და არაწარმავალ შინაგან სიხარულს რომ სრულად მიაღწიოთ, საჭიროა ჯერ გამოკვლევის სტადია გაიაროთ და ქვეყნიერებაზე მიბმულობებს უარი უთხრათ.

ჩვენს დროში ე.წ. სულიერი მაძიებლები იწყებენ მიბმულობის სტადიიდან, შემდეგ კი, მოგვიანებით, შინაგანი კვლევის სტადიაში შესვლას ცდილობენ. ისინი ერთმანეთს და-ძმებს უწოდებენ, და ცდილობენ, რომ *სადჰაკები* გახდნენ, რომლებიც ერთიანობის პრაქტიკას ეწევიან, მაგრამ იმავდროულად თავიანთ თავზე ახალ ამქვეყნიურ მიბმულობებს იღებენ. უკეთეს შემთხვევაში მათ შეიძლება ვუწოდოთ ნახევრად ერთგულები. *ბჰაგავად გიტა* არ ურიგდება იმას, ვინც მხოლოდ ნაწილობრივ არის მორჩილი. *გიტა* სრულ დანებებას ასწავლის.

ღმერთი დროის მბრძანებელია

სრული მორჩილების პრინციპისთვის ძალიან მნიშვნელოვანია დროის ფაქტორი. იმისათვის, რომ სრული მორჩილების პრინციპი გამოავლინოთ, აუცილებელია გააცნობიეროთ დროის ფაქტორი, რომელსაც ემორჩილება ის ყველაფერი, რაც ცვლილებას ექვემდებარება, მაგრამ რომელიც სრულიად უძლურია უცვლელი ღვთაების, მისი მბრძანებლის წინააღმდეგ.

ღმერთი დროის ხელქვეითი არ არის. იგი არა მარტო არ იმყოფება დროის ზემოქმედების ქვეშ, არამედ კონტროლის ქვეშ ყავს დრო. მხოლოდ ადამიანია დროით შებოჭილი – ღმერთი დროის ზემოთ დგას. მხოლოდ ადამიანია მოკვდავი – ღმერთი უკვდავია. შეგიძლიათ დროის ელემენტზე მაღლა ახვიდეთ, თუ ღმერთში იპოვით თავშესაფარს. ფაქტიურად, ღმერთის ერთ-ერთი სახელი – *კალაკალა* – ნიშნავს „დროს“ ან „დროის მბრძანებელს“. დრო შთანთქავს ადამიანს, მაგრამ ღმერთი თვით დროს შთანთქავს. დრო პასუხისმგებელია ადამიანის პროგრესზე თუ რეგრესზე, სიკეთისკენ მის წინ წაწევაზე თუ ბოროტებამდე დაცემაზე, ღირსების შეძენაზე თუ ნაკლოვანებების დაგროვებაზე. ამიტომ *უპანიშადებში* ასეთ ლოცვას ვნახულობთ:

„ო ღმერთო, შენ დროის თვით განხორციელება ხარ. დამეხმარე იმაში, რომ ჩემი მოქმედებები წმინდა გავხადო და მთელი ჩემი დრო ისე გავატარო, რომ შენი თანდასწრება მახსოვდეს, რომ შენს ლოტოსის ტერფებს მშვიდობიანად მივაღწიო“.

მთელი სამყარო აუხსნელად არის დაკავშირებული დროსთან. შეუძლებელია დროის ელემენტის წინააღმდეგ ბრძოლა. დრო არავის უცდის. ადამიანი უნდა მიჰყვეს დროს, დრო არ მიჰყვება ადამიანს. დრო შეიძლება უდიდეს ნაკადს შევადაროთ. ყველა ადამიანი და ყველა ცოცხალი არსება დროის ამ ნაკადით წაილეკება. წყალდიდობით

წალეკილ ადამიანს არ შეუძლია მფარველობა და თავშესაფარი იპოვოს იმაში, რაც თვითონ წაილეკება. ადამიანი ისევე, როგორც ის ობიექტი, რომელშიაც ის თავშესაფარს პოულობს, დროის ნაკადით წაილეკება. თუ რაღაცისგან დაცვას ეძებთ იმაში, რაც თვითონ წაილეკება, მაშინ თქვენ ემსგავსებით ბრმას, რომელიც სხვა ბრმას მიჰყვება, - საბოლოო ჯამში ორივე იღუპება. მაგრამ თუ ის დაგეხმარებათ, ვინც ნაპირზე დგას უსაფრთხოდ, თქვენ გადარჩენილი იქნებით.

ნაპირზე დგას **ის**, ვისაც დროის ნაკადი არ შთანთქავს, - ეს არის ღმერთი. ვინც ღმერთში ეძებს თავშესაფარს, ის შეძლებს გათავისუფლდეს დროის პრინციპთან დაკავშირებულ ყველა უბედურებისა და პრობლემისგან. ადამიანთან შემდეგ მიმართვაში ღმერთი სრული მორჩილების პრინციპს აცხადებს, და მის მნიშვნელობას უსვამს ხაზს:

„ო ადამიანო, შენ დროის ნაკადი წაგლეკავს. ერთადერთი, ვისაც შენი დაცვა შეუძლია, მე ვარ. ჩემში ეძებე თავშესაფარი, და მე გიხსნი“.

როდესაც ადამიანი ამ ღვთაებრივ მცნებას ემორჩილება და თავის თავს, სიმდიდრეს, ქონებას, მთელ თავის ოჯახს უფლის ლოტოსის ტერფებთან აწყობს, და ღმერთს მთლიანად აბარებს თავს, მაშინ ის უეჭველად ხსნილი იქნება.

ილუზიის საფარველი

თავიდან ძალიან ძნელია მორჩილების პრინციპის განცდა, რადგან ადამიანსა და ღმერთს შორის დიდი ფარდა არსებობს. ამ ფარდის გამო ადამიანი ეჭვისა და აფორიაქების მდგომარეობაში იმყოფება, და გრძნობს, რომ არ შეუძლია მთლიანად დამორჩილდეს ღმერთს. ეს ფარდა არის ილუზია, ანუ *მაია*. რას ნიშნავს სიტყვა „ილუზია“? ილუზია იმას განეკუთვნება, რაც არ არსებობს. არარსებულის არსებულად წარმოდგენა არის *მაია*. ის, რასაც თქვენ არსებულად თვლით, სინამდვილეში არ არსებობს. ის, რასაც არარსებულად თვლით, სინამდვილეში არსებობს. ის, რაც არასოდეს იცვლება, ჭეშმარიტად არსებობს, ხოლო ის, რაც იცვლება, სინამდვილეში არ არსებობს. ერთადერთი, რაც მუდამ არსებობს, რაც ჭეშმარიტი და უცვლელია, ეს არის ღმერთი. *ერთი მეორის გარეშე.* თუ ამ სამყაროს უყურებთ როგორც სამყაროს ღმერთის გარეშე და უამრავი ობიექტისგან შემდგარს, მაშინ ის მუდამ ცვალებადად მოგეჩვენებათ. ასეთ სამყაროს არ შეუძლია ჭეშმარიტი იყოს, და სინამდვილეში ის არ არსებობს.

თქვენ ხედავთ თოკს, და ფიქრობთ, რომ ეს არის გველი; მაგრამ იქ გველი არ არის. როდესაც ფიქრობთ, რომ ეს გველია, შიში და

მღელვარება გიპყრობთ, წარმოიდგენთ გველს იქ, სადაც ის არ არის. რა არის შიშის მიზეზი? არარსებულის არსებულად წარმოდგენა – აი რა არის შიშის მიზეზი. ეს გრძნობა თქვენს უბედურებებზეა პასუხისმგებელი. ყველაფრისთვის რომ ამის სრული გაცნობიერებით გეცქირათ, მიხვდებოდით, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ თოკია – გველი იქ არ არის. მაშინ არავითარი შიში არ იქნებოდა; არ შეგეშინდებოდათ მისი შეხება, ხელში დაჭერა და მასთან თამაში, იმიტომ რომ გეცოდინებოდათ, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ თოკია.

თქვენ მრავალ ტანჯვას განიცდით, იმიტომ რომ გავიწყდებათ ის ფაქტი, რომ მთელი სამყარო ღმერთის განსხეულებაა. ეს არ არის უბრალოდ სამყარო, როგორც თქვენ ფიქრობთ. სამყაროს ხედავთ მხოლოდ მისი გამჟღავნების თვალსაზრისით, ანუ ფენომენალური თვალსაზრისით: *უარს ამბობთ მისი გამოკვლევის პროცესზე.* სამყაროსთვის მკვლევარის თვალით რომ შეგეხედათ, გაიგებდით, რომ ეს მხოლოდ ცვლილებათა დაუსრულებელი ნაკადია. ცვლილებათა ეს მუდმივი, უწყვეტი ნაკადი ფენომენალური სამყაროს ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია.

იგი შეიძლება მდინარეს მივამსგავსოთ: მდინარეში წყალი უწყვეტად მიედინება. სიტყვა *ნადი*, ანუ „მდინარე“, სინამდვილეში ნიშნავს „მუდმივ ნაკადს“. იგი ასევე ნიშნავს „ცვალებადი ჭეშმარიტების ნაკადს“, რომელსაც არ შეუძლია იყოს მთლიანად ჭეშმარიტება, რადგან ის შეზღუდულია. ეს არის *სუფთა ჭეშმარიტების* (რომელიც მუდამ უცვლელია) შეთავსება *არაჭეშმარიტებასთან*, რომელიც იმ ყველაფერთან არის დაკავშირებული, რაც იცვლება.

მდინარეში წყალი უწყვეტად მიედინება და ქმნის მუდმივი ნაკადის შთაბეჭდილებას, რომელიც დაუსრულებლად მიედინება. მაგრამ ყოველ მოცემულ მომენტში და მდინარის ყოველ გარკვეულ ადგილას წყლის ნაწილაკები ერთმანეთისგან განსხვავებულია: წყალი შეიძლება იყოს ჭუჭყიანი, ქვიანი, ქაფიანი ან სუფთა. ასე რომ, თუმც ნაკადი უწყვეტად გვეჩვენება, მაგრამ წყლის გარკვეული შემადგენლობა მუდამ იცვლება.

ასეთივე სახით არსებები იბადებიან და კვდებიან, და თუმც ისინი მოდიან და მიდიან, მაგრამ სამყაროში არსებობს ცხოვრების უწყვეტობა. თვითონ ცხოვრება *ჭეშმარიტებაა*, მაგრამ ცოცხალი არსებები, რომლებიც ცხოვრებას შეადგენენ, მუდამ იცვლებიან და ამგვარად *არაჭეშმარიტებას* წარმოადგენენ.

სამყარო როგორც *ჭეშმარიტებისა* და *არაჭეშმარიტების* მდინარე

აი სამყაროს რატომ ამსგავსებენ მდინარეს, სადაც რეალობა დაკავშირებულია არარეალობასთან, ანუ ცვლილებებთან. ამ სამყაროს შეიძლება ვუყუროთ როგორც ცვალებადი ჭეშმარიტების ნაკადს. ეს ცვალებადი ჭეშმარიტება შეფასებით განსჯას საჭიროებს და ამიტომ არ წარმოადგენს მთლიანად *ჭეშმარიტებას.* სამყარო არის *სუფთა ჭეშმარიტების* (რომელიც მუდამ უცვლელი რჩება) შეთავსება *არაჭეშმარიტებასთან,* რომელიც იმას განეკუთვნება, რაც მუდამ იცვლება. ამ მდგომარეობას *ვედანტაში* ჰქვია *„ჭეშმარიტება – არაჭეშმარიტება“ (სატ-ასატ).*

სადჰანა განეკუთვნება იმ პროცესს, რომლის დახმარებით *ჭეშმარიტებას არაჭეშმარიტებისგან* გამოვყოფთ, და ვტოვებთ *ჭეშმარიტებას.* ამ თვალსაზრისით, შეგვიძლია უფრო ახლოს განვიხილოთ *მაია,* ილუზია, ანუ სამყარო, რომელიც ჩვენგან და ღმერთისგან განცალკევებულად არსებობს.

უმეცრება, ბუნება, სამყარო, ილუზია, გონება – ეს ყველაფერი სინონიმებია. ეს ყველაფერი არის *მაია. მაია* უშუალოდ არის დაკავშირებული სამ *გუნასთან,* რომლებიც წარმოადგენს სამ თვისებას: ინერციას *(ტამასს),* მოქმედებას *(რაჯასს)* და ჰარმონიას *(სატვას);* მთელი ცხოვრების გამოცდილება შეიძლება ამ სამ კტეგორიად დავყოთ. ჰიპნოზის ქვეშ მოხვედრა და ფიქრი, რომ არსებობს ის, რაც სინამდვილეში არ არსებობს, - სწორედ ეს არის *მაია.* წმინდა წერილებში ნათქვამია: *„ბრაჰმა სატიამ ჯაგატ მიტია“,* რაც ნიშნავს: *ღმერთი ჭეშმარიტია, სამყარო კი მცდარია“.* ეს უნდა სწორად გავიგოთ: არაჭეშმარიტია მხოლოდ ჩვენი მცდარი გაგება და ის, როგორ ვხედავთ ამ სამყაროს, სამყარო კი თავისთავად ჭეშმარიტია. *ბრაჰმანი* ამ სამყაროს *(მიტია)* ერთიანი უცვლელი საფუძველია. სინამდვილეში სამყარო არის მხოლოდ *ბრაჰმანი.*

მხოლოდ ღმერთს მოეჭიდეთ

ბჰაგავად გიტაში კრიშნამ არჯუნას უთხრა:

„არჯუნა, შენს თავს დროის ელემენტს უქვემდებარებ; მის ნაკადში ხვდები და ჩემგან სულ უფრო შორს მიდიხარ. დამმორჩილდი, და შენი მწუხარებები მალე გაქრება“.

როდესაც თქვენი თავის ღმერთთან ასოცირებას ახდენთ, როცა მის გვერდით ხართ, ილუზია ვერ გავნებთ. ავიღოთ პატარა მაგალითი.

მდიდართა სახლებში ჩვეულებრივად შესასვლელში მოდარაჯე ძაღლი იმყოფება. ეს ძაღლი არ ჰგავს ქუჩის ძაღლს; იგი პატრონის მიერ დიდი სიყვარულით არის გაზრდილი. ასეთი ძაღლი ყეფას არ

დაიწყებს, როცა გამვლელებს ხედავს. ის მხოლოდ მაშინ დაიწყებს ყეფას, როცა ვინმე კუტიკარს მოადგება და შესვლას მოინდომებს. მომსვლელთა უმრავლესობა, როცა ყეფას გაიგონებს, უბრალოდ არ შევა კუტიკარში და წავა. მაგრამ ის, ვინც მტკიცედ გადაწყვიტა, რომ სახლის პატრონს შეხვდეს, შესასვლელში იდგება და ხმამაღლა დაუძახებს მას. ბოლოს და ბოლოს პატრონი სახლიდან გამოიხედავს, რომ შეხედოს, ვინ დგას კუტიკართან. როგორც კი პატრონი დაინახავს, რომ მეგობარი ელოდება, გამოვა და სახლში წაიყვანს მას.

თუ ეს ადამიანი, რომელიც უცხოს ჰგავს და შესასვლელში იცდის, სახლის პატრონის მეგობარი აღმოჩნდება და მასთან ერთად წავა, ძაღლი აღარ იყეფებს და აღარ ეცდება, რომ მას უკბინოს. ძაღლმა ახლა იცის, რომ თვითონ პატრონმა დართო ამ ადამიანს შესვლის ნება. *მაია*, ანუ ილუზია, შეიძლება ასეთ ძაღლს შევადაროთ: იგი იცავს *მოკშის* სახლს, გათავისუფლებაში და ნეტარებაში შესასვლელს. თუ მოდის ადამიანი, რომელიც სახლის პატრონის მეგობარი არ არის, თუ მას იქ არაფერი ესაქმება, მაგრამ დაჟინებით სურს სახლში შესვლა, ძაღლი მას დაიჭერს. ადამიანთა უმრავლესობა ძაღლის შიშით გაიქცევა.

მაგრამ ის, ვისაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი სახლის პატრონის პოვნა, ძაღლს არავითარ ყურადღებას არ აქცევს. იგი შესასვლელში რჩება, ცდილობს პატრონის ყურადღება მიიპყროს იქამდე, სანამ პატრონი არ გამოვა. ასეთ დაჟინებულ ადამიანს, რომელიც შესასვლელში იცდის, ძაღლის ყეფაც კი ეხმარება, რადგან იგი სახლში მყოფი პატრონის ყურადღებას იქცევს. და როდესაც პატრონი იცნობს, სახლში მიიწვევს მას. ამგვარად, მხოლოდ ის, ვისაც გამბედაობა აქვს, ვინც მოიცდის, როგორც არ უნდა ყეფდეს ძაღლი, დაინახავს მასწავლებელს და უსაზღვრო სიმშვიდის სავანეში შესვლას შეძლებს.

დაამარცხეთ გრძნობები

გრძნობათა ხუთი ორგანო და ჩვენი გრძნობების მიერ აღქმული გრძნობითი ობიექტები, ამ ძაღლის მიერ არის წარმოდგენილი, რომელსაც სხვაზე გადააქვს ჩვენი ყურადღება და რომელიც ხელს გვიშლის იმაში, რომ ღმერთს მივაღწიოთ.

ამ მიზეზით კრიშნამ არჯუნას უთხრა:

არჯუნა, შენ გრძნობით ობიექტებზე ხარ მიბმული, ამიტომ მოვლენები გათამაშებენ. არ შეგიძლია კონცენტრაციას მიაღწიო და არ შეგიძლია შენს გულში მამყოფო მყარად. მუდამ იმუშავე შენს თავზე და გონების კონცენტრაციას მიაღწევ. როდესაც გონების კონცენტრაციას მიაღწევ, მხოლოდ მაშინ შეძლებ რომ მომენდო.

ყოველთვის და ყველგან ჩემზე იფიქრე. რა სამუშაოსაც არ უნდა ასრულებდე, მხოლოდ ჩემზე იფიქრე. მუდამ სიყვარულით და რწმენით გახსოვდე.

მაშინაც კი, როდესაც ბრძოლობ, ჩემზე იფიქრე და ისე იბრძოლე. ეს არ არის ჩვეულებრივი ომი; ეს ბრძოლა არ არის ჩხუბი შენ და სხვა ადამიანებს შორის. ის, რასაც ებრძვი, ძირითადად შენი საკუთარი ნაკლოვანებებია, შენი ცუდი ჩვეულებები, შენი ყველა შეზღუდულობა და სისუსტეა. როდესაც ჩემზე ფიქრობ და ამ შინაგან ომს აწარმოებ, გაიმარჯვებ. გახსოვდეს, უბრალოდ არ ბრძოლობ. შენს გრძნობებს ებრძვი; ამიტომ ნუ შეწყვეტ ბრძოლას, სანამ გამარჯვებას არ მიაღწევ, სანამ მათზე მთლიან კონტროლს არ დაამყარებ".

პრაჰლადა მამამისს, ძლევამოსილ მეფე დემონს ჰირანიაკაშიპუს, ამ შინაგან ბრძოლაზე ასე ეუბნებოდა:

„მამა, შენ მრავალ ომში მოიპოვე გამარჯვება და მრავალრიცხოვან სამყაროს დაეუფლე, მაგრამ საკუთარი გრძნობები ვერ დაამარცხე. როდესაც ყველა გარე სამყარო დაიპყარი, ძლევამოსილი მმართველი გახდი. როდესაც შენს საკუთარ გრძნობებს კონტროლის ქვეშ მოაქცევ, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გახდები მთელი სამყაროს მეფე. თუ შენი შინაგანი გრძნობები კვლავ გაჯობებს, მაშ როგორ უნდა დაამარცხო საბოლოოდ გარეშე მტრები? როდესაც შინაგან მტრებს დაამარცხებ, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებ იოლად ასევე გარეშე მტრების დამარცხებას".

როდის შეიძლება, რომ ეს მოხდეს? მხოლოდ როცა მთლიანად დამორჩილდებით ღმერთს. თქვენ ამბობთ: „ჩემი საკუთრება", „მე თვითონ", „ჩემი ნათესავები"; სანამ ასეთი გრძნობები გაქვთ, ვერ დამორჩილდებით უფალს. მთელი ეს მოქმედება დაკავშირებულია *ბჰუტაკაშასთან.* თქვენ უნდა დაამარცხოთ არა მარტო *ბჰუტაკაშა,* არამედ ასევე *ჩიტაკაშას* დაეუფლოთ; და ბოლოს და ბოლოს, *ჩიდააკაშაში* უნდა შეაღწიოთ. როდესაც მთლიანად დამორჩილდებით და *ჩიდააკაშაში* აღმოჩნდებით, მთელი თქვენი პრობლემები ავტომატურად გადაწყდება, და აღარ მოგიხდებათ რაიმე სიძნელეებზე ან გასაჭირზე შეწუხება.

ღმერთს დაადგით თქვენი ტვირთი

თუ მატარებლით მოგზაურობთ, მაშინ სანამ სადგურამდე მიხვალთ, ბარგის წაღება რიქშით ან სხვა რაღაც ხერხით მოგიწევთ. თუ არავინ დაგეხმარებათ, თვითონ მოგიხდებათ ბარგის ზიდვა. მაგრამ მატარებელში შესვლისას შეგიძლიათ ბარგი დადოთ იქ, სადაც მოისურვებთ. მაშინ შეგიძლიათ მოდუნდეთ და აღარ შეწუხდეთ ბარგზე. მატარებელი თქვენს თავსაც და თქვენს ბარგსაც თვითონ

ზიდავს. მაგრამ არიან სულელები, რომლებიც მატარებელში სხედან და ბარგი თავზე უდევთ: ესენი არიან ის ადამიანები, რომლებიც ღმერთმა დალოცა, მაგრამ მაინც ეჭვობენ, ისევ თავიანთ საკუთარ ნებას მიჰყვებიან. ისინი ჯერ კიდევ არ ეყრდნობიან ღმერთის ნებას.

როგორც კი თქვენს თავს ღმერთს მიაბარებთ, ყველაფერი მის ლოტოსის ტერფებთან დააწყეთ; როგორც კი უფალს მისცემთ იმ ყველაფერს, რისი გაკეთებაც არის საჭირო, - მაშინ ის თვითონ იზრუნებს ყველაფერზე. მორჩილების ამ დონეს რომ მიაღწიოთ, არ უნდა დაგრჩეთ ეგოს კვალიც კი, არ უნდა დაგრჩეთ თქვენივე თავის გრძნობა. ეს განსაკუთრებული სიცხადით იყო დემონსტრირებული ლაქშმანას მიერ *რამაიანაში.*

მოდით ავიღოთ მოთხრობა, სადაც რამამ, სიტამ და ლაქშმანამ მთიან რაიონს ჩიტრაკუტას მიაღწიეს. უფალი ყოველთვის არის ჩართული რაღაც *ლილაში*, რაღაც მხიარულ თამაშში. იგი სრულყოფილი მსახიობია. არასოდეს არავითარ სულ მცირე ტკივილს ან სევდას არ გრძნობს, მაგრამ ზოგჯერ ისე მოქმედებს, თითქოს მას მსგავსი გრძნობები აქვს. როდესაც ღმერთი ადამიანის ფორმით ეშვება, ისე მოქმედებს, რომ მისი ქცევა ადამიანის ქცევისგან არ განსხვავდებოდეს. ის ადამიანის ფორმას იღებს იმისათვის, რომ ადამიანებისთვის იყოს ხელმისაწვდომი. იმ დღეს რამა ისე იქცეოდა, თითქოს ძალიან დაიღალა. მან ოფლიანი შუბლი მოიწმინდა და ლაქშმანას უთხრა:

„ლაქშმანა, ძალიან დავიღალე; დარწმუნებული არ ვარ, რომ გზის გაგრძელებას შევძლებ. თუ შეიძლება, სადმე ახლოს ქოხი ააგე, რომ მასში ცოტახანს დავისვენოთ“.

ლაქშმანამ რამას ჰკითხა:

„ძმაო, სად ავაგოთ ეს ქოხი?“

რამამ თქვა:

„შენ თვითონ მონახე მისთვის შესაფერისი ადგილი“.

ლაქშმანამ უპასუხა:

რამა! რამა! რა ვქენი? რაშია ჩემი შეცდომა? რა ცოდვები ჩავიდინე, რომ ეს სიტყვები მესმის? თუ შეიძლება, მითხარი, რატომ მელაპარაკები ასე?“

რა თქმა უნდა, რამამ იცოდა, რაზე ფიქრობდა ლაქშმანა, იცოდა, რატომ ამბობს ამას ლაქშმანა, მაგრამ იმისათვის, რომ სიტას ლაქშმანას მორჩილების დონე გაეგო, რამამ თქვა:

„ლაქშმანა, მითხარი, თუ შეიძლება, რა გაღელვებს. რა ვთქვი ისეთი, რამაც შენში ასეთი გულისტკივილი გამოიწვია?“

ლაქშმანამ უპასუხა:

„მე უარი ვთქვი ყველაფერზე... უარი ვთქვი ცოლზე, დედაზე, მამაზე, სამეფოზე, - ყველაფერზე. შენთან ერთად წამოვედი, და ვგრძნობდი, რომ შენ მამა ხარ, რომ სიტა დედაა და რომ, სადაც არ უნდა იყო, ეს არის ჩვენი მშვენიერი სატახტო ქალაქი აიოდჰია. მხოლოდ იმიტომ წამოვედი, რომ შენი ნება ვასრულო. უარი ვთქვი ჩემს საკუთარ ნებაზე, ახლა კი მთხოვ ქოხი ავაგო და ამისათვის ადგილი შევარჩიო. ჩემი ერთადერთი აზრია შენი ბრძანების შესრულება: სხვა არავითარი აზრი არ გამაჩნია. ნებისმიერ შენს ნება-სურვილს შევასრულებ. ჩემი ერთადერთი ვალი შენთვის დამორჩილებაა. ჩემი ერთადერთი მიზანი, ჭეშმარიტად ის ყველაფერი, რაც მაქვს, ეს შენ თვითონ ხარ“.

სიტამ ლაქშნანას ერთგულებისა და მორჩილების მთელი სიღრმე გაიგო და რამას სთხოვა ლაქშმანასთვის სევდა გაექარვებინა და თვითონ შეერჩია ქოხისთვის ადგილი.

სრულად დამორჩილდით ღმერთს

ამ ისტორიის ძირითადი გაკვეთილი იმაშია, რომ ადამიანს აბსოლუტურად არავითარი სურვილი არ უნდა ჰქონდეს. ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის. მორჩილება ნიშნავს უსიტყვოდ მიჰყვებოდეთ უფლის მიერ თქვენთვის მოცემულ მცნებებს. აი რას ნიშნავს შემდეგი განცხადება:

„შემოდი ჩემს მატარებელში და ჩემს თავზე ავიღებ შენზე მზრუნველობას. უარი თქვი ეგოს გრძნობაზე და სურვილებზე. ნუ გადევს თავზე ბარგი და ნუ იტანჯები“.

კრიშნა ასწავლიდა ასეთი სახის მორჩილებას როგორც ერთგულების ყველაზე უფრო მაღალ და მნიშვნელოვან სტადიას. თუ მთლიანად დამორჩილდით უფალს, მაშინ მის მადლს მიიღებთ.

„სადაც არ უნდა იყო, ქალაქში თუ სოფელში, ტყეში თუ ცაში, მე შენი თავშესაფარი ვიქნები. მოდი და დამმორჩილდი!“ - აი უფლის მცნება, ასევე მისი დაპირება. როგორც კი მისი კუთვნილება გახდებით, ის შეგიფარებთ და ყოველგვარი ბოროტებისგან დაგიცავთ.

მთელი ძალისხმევა გამოიჩინეთ, რომ სწორი გზა იპოვოთ იმისათვის, რომ მას დამორჩილდეთ; ამით თქვენს ცხოვრებას აკურთხავთ და მიზანს მიაღწევთ.

თავი მეხუთე

თქვენს გულში ეძებეთ ღმერთი

გიტაში უფალი აცხადებს: „ჩემთვის ძვირფასია ის, ვინც მთლიანად თქვა უარი ეგოიზმზე და მიბმულობაზე და ვინც ერთნაირად იღებს სიხარულს და მწუხარებას“.

სიყვარულის განხორციელებანო!

ჩვეულებრივი სულიერი მაძიებლისთვის ძალიან ძნელია ასეთი გაწონასწორების მიღწევა და მიბმულობებისა და ეგოისტური გრძნობებისაგან გათავისუფლება. ოჯახის პატრონებისთვის ეს თითქმის შეუძლებელია. მათ შეუძლიათ თაყვანს სცემდნენ ღმერთს, იყენებდნენ თაყვანისცემის თექვსმეტ სახეს, რომელთა შესახებაც წმინდა წერილებში წერია. მაგრამ ეგოს მოსპობა და ინდივიდუალობის ყოველგვარი გრძნობისგან გათავისუფლება მათთვის ძალიან ძნელია. რატომ? ძნელია ეგოსგან თავის დაღწევა, სანამ თქვენს ნებასა და უფლის ნებას შორის განსხვავებას ხედავთ. როგორც კი უფლის ყოვლისმომცველ ერთიანობას (ტოტალობას) გააცნობიერებთ, არავითარ სიძნელეებს არ განიცდით, რომ ღმერთს მიჰყვებოდეთ. როდესაც გააცნობიერებთ, რომ ღმერთი *ჯიოტის* (ყოვლისმანათობელი შუქის, რომელიც ყველაში და ყველაფერში ბრწყინავს) ფორმაში იმყოფება, თქვენი ეგოსა და მიბმულობების კონტროლირებას შეძლებთ. ეს თვითმნათი ცეცხლი თქვენს საკუთარ სხეულში იმყოფება. ის, ვინც ყველა ადამიანს იცავს, თქვენი საკუთარი ფორმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ჩვენში მყოფი ღმერთი

უხსოვარი დროიდან ისმის კითხვა: არსებობს თუ არა ღმერთი? როდესაც დარწმუნდებით, რომ ღმერთი არსებობს, შემდეგი ნაბიჯი მისკენ მიმავალი გზის პოვნაა. ისევე, როგორც ძველ დროში, პრობლემას, როგორ და სად ვიპოვოთ ღმერთი, დღესაც ჩიხში შეჰყავს კაცობრიობა. ამ პრობლემის გადაწყვეტისთვის ძველი დროის *რიშებს* მტკიცედ ჰქონდათ განზრახული გამოეყენებინათ მთელი თავიანთი უნარი, და ისინი ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდნენ. ამ ბრძენებმა ახსნეს, სად ეძებდნენ და როგორ მივიდნენ ცოდნამდე სხივმოსილი ღმერთის არსებობის შესახებ. და ბოლოს მთელ მსოფლიოს განუცხადეს:

„ადამიანებო, ჩვენ შევძელით დანახვა და გაგება ტრანსცენდენტალური პრინციპისა, რომელიც ამ ხილული, შექმნილი სამყაროს ზღვრებს მიღმა იმყოფება. დალოცვილი უფლის პოვნა შეიძლება არა გარე სამყაროში ან კოსმოსურ სივრცეში, არამედ თქვენი საკუთარი არსის შიგნით. იგი იმყოფება თქვენს შინაგან ხედვაში, თქვენს სულში, თვით სხეულის გულის ტაძარში“.

ის, რომ ღმერთი თვით სხეულში იმყოფება, უდიდესი აღმოჩენა იყო, რომელიც მათ შეძლეს. სანსკრიტული სიტყვა *შარირა* ნიშნავს: „ის, რაც იწურება“; ეს შეეხება სხეულს. ღმერთს უწოდებენ *შარირის*, ანუ „იმას, ვინც ხრწნად სხეულში ცხოვრობს“. მას ასევე უწოდებენ *დეჰის*, რაც ნიშნავს „იმას, ვინც *დეჰაში* ცხოვრობს“, ანუ იმაში, რაც დროებით ფორმას იღებს. *გიტაში* კი მას ასევე უწოდებენ *ქშეტრაჯ̣ნას* - „*ქშეტრას* მცოდნეს“; *ქშეტრა* ინერტულია და არ იცის თავისი თავი. თქვენ უნდა ძალისხმევა გამოიჩინოთ იმისათვის, რომ ილუზიის საფარს გააღწიოთ, რომელიც ჭეშმარიტებას ფარავს, და იპოვოთ უკვდავი უფალი, რომელიც მთელი თავისი დიდებულებით თქვენს მოკვდავ სხეულში იმყოფება. ასევე უნდა ძალისხმევა გამოიჩინოთ იმისათვის, რომ უფალი იპოვოთ მთელი სამყაროს თვით საფუძველში, სადაც ის ყველა ხუთ ელემენტში იმყოფება: კოსმოსში, ჰაერში, ცეცხლში, წყალში და მიწაში.

ბრილიანტი რომ იპოვოთ, ღრმად უნდა ამოთხაროთ მიწა. ბრილიანტი ხეზე არ იზრდება. ასევე შეუძლებელია პოვნა ძვირფასი ბრილიანტისა, ანუ უფლისა, სადღაც გარეთ, სადაც ყველას შეუძლია მისი დანახვა. დიად სულთა სწავლების დახმარებით შეგიძლიათ ძალისხმევა გამოიჩინოთ იმისათვის, რომ ღმერთი იპოვოთ თქვენში. სხეული არის სრულიად არაჩვეულებრივი რამ. ეს არის ღმერთის ტაძარი. ეს არის ეტლი, რომელშიაც უფალია დაბრძანებული. სამყაროში, რომელიც შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც უზარმაზარი სოფელი, უფალი პროცესიაში მიჰყავთ ეტლით, რომელსაც სხეული ჰქვია.

სხეულში იმყოფება სუფთა ცნობიერება

არასწორი იქნებოდა, სხეულს დაუდევრად რომ ეპყრობოდეთ, არად მიიჩნევდეთ ან შეუფერებლად იყენებდეთ. სხეული მხოლოდ წმინდა და უანგარო მოქმედებების შესრულებისთვის უნდა გამოიყენოთ. საჭიროა სხეულზე სათანადო სახით ზრუნვა, მისი წმინდა მოქმედებებისთვის გამოყენება. სხეული, რა თქმა უნდა, ინერტულია, მაგრამ მასში ცხოვრობს *პრინციპი*, რომელიც *სუფთა ცნობიერებას* წარმოადგენს. სხეული შეიძლება შევადაროთ ნავს, რომელიც გეხმარებათ იმაში, რომ გადაკვეთოთ *სამსარის* ოკეანე –

ამქვეყნიური არსებობის ოკეანე. ეს სხეული იოლად არ გერგოთ. მრავალრიცხოვანი დამსახურებისა და სხვა ფორმებში მრავალრიცხოვანი დაბადების წყალობით ამ ადამიანური სხეულის მიღება შეძელით. მისი არასწორად გამოყენება ნიშნავს ყველა დამსახურების დაკარგვას, რომლებსაც წინა ცხოვრებებში მიაღწიეთ.

ბედმა გაგიღიმათ, რომ ამ დაბადებაში ადამიანის ფორმა მიიღეთ. ამიტომ ამ კურთხეულ ნავს, რომელიც დანიშნულების ადგილას მიგიყვანთ, ძალიან აკურატულად უნდა ხმარობდეთ, რომ *სამსარის* ოკეანე მშვიდობიანად გადაკვეთოთ. ამ ოკეანეში ბინადრობენ საშინელი ნიანგები და თქვენთვის ძალიან საშიში სხვადასხვა სახის ურჩხულები. ეს სახიფათო ნიანგები – ადამიანის ექვსი მტერი – არის მრისხანება, სიხარბე, ჟინი, სიძულვილი, სიამაყე და ეჭვიანობა. ისინი ამქვეყნიური არსებობის უძირო ოკეანეში ყველა დონეზე არიან დასახლებული. თვითონ ეს ოკეანე დაპირისპირებულობების ნარევია, ისეთების, როგორიცაა სიხარული და მწუხარება, სიმპათია და ანტიპათია. რამდენადაც ცხოვრების ამ ოკეანეში იმყოფებით, ძალიან ძნელია იმის თქმა, როდის მიიღებთ ბედნიერებას, ან როდის აღმოჩნდებით უბედურებაში.

როდესაც ასეთი ნიანგების ალყაში ხართ, ყველაზე უფრო საუკეთესო საშუალება იმისათვის, რომ მოგზაურობა მშვიდობიანად დაასრულოთ, ყველაფერში ერთიანობის დანახვაა. მტკიცედ უნდა გწამდეთ, რომ ღვთაებრივი პრინციპი, ღმერთი თვითმნათი შუქის ფორმაში, ყველაში და ყველაფერში იმყოფება. როდესაც აღიარებთ, რომ ღმერთი ყოველ ადამიანშია, როდესაც მთელ ამ მრავალფეროვნებაში ერთიანობას გააცნობიერებთ, მაშინ უკვე ვეღარ შეძლებთ, რომ ვინმე გძულდეთ. აი *გიტაში* რატომ დგას პირველ ადგილზე შემდეგი მცნება: *„ადვეშტა სარვა ბჰუტანამ* - ***ნურავის მიმართ ნუ ავლენ სიძულვილს“.***

რიტუალური თაყვანისცემის სხვადასხვა სახე, როგორიცაა *ბჰაჯანების* (ღმერთისთვის ჰიმნების) გალობა და *ჯაპა* (წმინდა სახელის გამეორება), ძალიან უმნიშვნელოდ მოგეჩვენებათ, როდესაც ყოველი ადამიანის გულში მყოფ ღმერთის ამ პრინციპს გააცნობიერებთ. სანამ ამ ჭეშმარიტების უცოდინარობაში იმყოფებით, თაყვანისცემის სხვადასხვა პრაქტიკას მნიშვნელოვნად თვლით. თუმცა, როდესაც ცურვას სწავლობთ, სანამ ცურვის ხელოვნებას არ დაეუფლებით, წყლის ზედაპირზე შენარჩუნების სხვადასხვა საშუალება უნდა გამოიყენოთ. როგორც კი ცურვას ისწავლით, ეს საშუალებები აღარ დაგჭირდებათ. ასეთივე სახით რიტუალების სხვადასხვა სახე მხოლოდ მანამდეა საჭირო, სანამ *გიტას* ჭეშმარიტ

მნიშვნელობას არ გაიგებთ. როგორც კი *გიტას* მომხიბლავ არსს გაიგებთ, ყველა ეს რიტუალი ნაკლებად მნიშვნელოვანი აღმოჩნდება.

იხილეთ ღმერთი ყველაფერში

თავში *ბჰაქთი-იოგას*, ერთგულების გზის შესახებ აღწერილია ერთგულის კეთილშობილი თვისებები, რომლებიც მას უფლისთვის ძვირფასს ხდის. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეძლევა იმას, რომ სასურველი თვისებები ყვაოდეს, ხოლო ადამიანის ექვსი მტერი კი კონტროლის ქვეშ იყოს. შეიძლება ამისი ადვილად მიღწევა? დიახ. ადამიანის ეს ექვსი მტერი შეგიძლიათ ყოველთვის ადვილად დაამარცხოთ, თუ იმ ჭეშმარიტებას გააცნობიერებთ, რომ ერთიანი ღმერთი იმყოფება ყველგან, ყველა ამ ხუთ ელემენტში, ყველა არსება მოძრაობაში მოჰყავს და ააქტიურებს. სანამ ამას არ გააცნობიერებთ და არ განიცდით, ვერ მიიღებთ ჭეშმარიტ კმაყოფილებას იმ ყველაფრისგან, რასაც აკეთებთ.

თუ პირში მარილი გაქვთ, მაშინ როგორი ტკბილი წვნის დალევასაც არ უნდა ცდილობდეთ, მაინც მარილის გემოს იგრძნობთ. თავიდან უნდა მარილი მოიცილოთ და პირი კარგად გამოივლოთ, ამის შემდეგ სიტკბოს შეგრძნებას შეძლებთ. როდესაც მარილს მოიცილებთ, წვნის აბსოლუტური სიტკბოთი დატკბებით. ასეთივე სახით, როდესაც მოიცილებთ ცუდ თვისებებს, რომლებიც თქვენი განუყოფელი ნაწილი გახდა, როგორიცაა სიძულვილი, მრისხანება, ეჭვიანობა, სიამაყე, სიხარბე და ეგო, - შეგიძლიათ თანაგრძნობის მომხიბლაობით, თავგანწირვის მომხიბლაობით, გულმოწყალების, თანაგრძნობის, ღვთაებრივი სიყვარულის მომხიბლაობით დატკბეთ.

თავიდან ეცადეთ გაიგოთ, სინამდვილეში რას ნიშნავს ჭეშმარიტი ერთგულება. *ბჰაქთი*, ანუ ერთგულება, ნიშნავს „ღმერთის მიმართ სიყვარულს“. სიტყვაში *„ბჰაქთი“* მარცვალი *„ბჰა“* ნიშნავს *ბჰაგავანს*, უფალს, *„აქთი“* კი აღებულია სიტყვიდან *„ანურაქთი“*, რაც ნიშნავს „სიყვარულს“. როდესაც ეს სიყვარული ღმერთს უერთდება, მაშინ ჭეშმარიტი ერთგულება გიჩნდებათ, რასაც ნიშნავს სწორედ *„ბჰაქთი“*. როდესაც ერთგულების განვითარებას შეძლებთ, თავგანწირვის უნარი გაგიჩნდებათ. თქვენ სიყვარულში აყვავებას დაიწყებთ. მაშინ ყველაფერი მოგეცემათ, რაც კი საჭიროა. სიყვარული ადამიანის ცხოვრების თვით სუნთქვაა. უსიყვარულოდ არ არის ცხოვრება. ჭეშმარიტად, *ატმას* გულისთვის გიყვართ, ანუ თქვენი საკუთარი არსის გულისთვის, და არა სხვების გულისთვის. მაგრამ თქვენი უმაღლესი **„მე“**-ს მიმართ ეს წმინდა სიყვარული სხეულის მიმართ სიყვარულად იქცა. ყველგან მსოფლიოში ვხედავთ ამ ავადმყოფობა *ბჰავარაგას* – საკუთარი თავის სხეულთან გაიგივების ავადმყოფობას.

კაცობრიობის დაავადებები

მრავალი სიამოვნება, რომელსაც ცხოვრებაში განიცდით, სინამდვილეში მხოლოდ მტანჯველ დაავადებათა შემსუბუქებას წარმოადგენს. აიღეთ, მაგალითად, შიმშილის დაავადება; საკვები ამ დაავადების წამალს წარმოადგენს. როდესაც წამალს – საკვებს – იღებთ, დაავადება ქრება. თქვენ ფიქრობთ, რომ საკვების მიღება სიამოვნებაა, მაგრამ სინამდვილეში ეს არის წამალი. მრავალ სხვადასხვა გემრიელ საჭმელს ამზადებთ და ფიქრობთ, რომ მათი გემო სიამოვნებას მოგიტანთ, მაგრამ ეს ასე არ არის. ზოგჯერ წამალს იღებენ მიქსტურის სახით, რომელიც რაღაც სასიამოვნოს შეიცავს, რაც მას სიტკბოს აძლევს. ასეთივე სახით შიმშილის დაავადების საწინააღმდეგოდ იღებთ სხვადასხვა სახის საკვებთა ნარევს, მაგრამ სინამდვილეში ნებისმიერი საკვები მხოლოდ წამალია.

წყურვილი ასევე დაავადებაა. როდესაც ის გეუფლებათ, ცოტაოდენ ცივ წყალს სვამთ და დაავადება განკურნებულია. ასევე ადამიანის ექვსი მტერი: მრისხანება, შური, ეჭვიანობა, ეგოიზმი, სიძულვილი და სიხარბე – დაავადებაა. გარკვეული მოქმედება მოქმედებს როგორც წამალი. მცდარად ფიქრობთ, რომ სხვადასხვა სიამოვნებით ტკბებით, ფაქტიურად კი დაავადებათა მთელი რიგი გტანჯავთ. სანამ არ გააცნობიერებთ იმას, რომ სხეულში ღმერთი იმყოფება, ყველა ეს დაავადება და ტანჯვა გაგაწამებთ.

საკუთარ სხეულში ეძებეთ უფალი

ყველა სულიერი პრაქტიკის განხორციელება მხოლოდ სხეულის დახმარებით არის შესაძლებელი. განათლება მხოლოდ სხეულის წყალობით მიიღეთ. ღმერთის დიდებულება და სხვა არაჩვეულებრივი თვისებები მხოლოდ სხეულის დახმარებით შეიძლება შეიცნოთ. ეფუძნებით რა სხეულს, უნდა ძალისხმევა გამოიჩინოთ იმისათვის, რომ მასში ღმერთი დაინახოთ. ნუ ფიქრობთ, რომ ღმერთი სადღაც სხვა სამყაროში ცხოვრობს. იგი ფაქტიურად თვით სხეულში იმყოფება. ცოდვა არ არსებობს სადღაც შორეულ სამყაროში; იგი დამოკიდებულია იმ მოქმედებებზე, რომლებსაც თქვენი სხეულის დახმარებით ასრულებთ. როგორც თქვენი დამსახურებები, ისევე ნაკლოვანებები, იმ მოქმედებათა შედეგს წარმოადგენს, რომლებსაც სხეულის წყალობით ასრულებთ. უნდა განუწყვეტლივ ეძებდეთ, იმის სერიოზულ მცდელობას აკეთებდეთ, რომ თქვენს საკუთარ სხეულში იპოვოთ ღმერთი.

ნათქვამია: *„ითხოვეთ და მოგეცემათ“.* თუ მთელი გულწრფელობით ეძებთ ღმერთს თქვენს სხეულში, უეჭველად იპოვით. თუ შეხვალთ ოთახში, სადაც უამრავი ნივთი ინახება, სასურველ

საგანს მხოლოდ იმ შემთხვევაში იპოვით, თუ ძალიან გულდასმით ეძებთ. თუ ძებნას არ დაიწყებთ, მაშინ ვერასოდეს იპოვით იმას, რაც თქვენთვის არის საჭირო. თუ კარზე დააკაკუნებთ, მასწავლებელი გაგიღებთ შიგნიდან კარს. თქვენი საკუთარი დედაც კი მხოლოდ მაშინ გაჭმევთ საჭმელს, როცა მას სთხოვთ. შესაბამისად, უნდა ითხოვოთ, ითხოვოთ, აკაკუნოთ, აკაკუნოთ კარზე, იკვლიოთ და ძებნა განაგრძოთ.

შეიძლება გეჩვენებათ, რომ დიდი ხანია, რაც კარზე აკაკუნებთ, მაგრამ ის არ იღება. მაგრამ დაფიქრდით, იმ კარზე აკაკუნებთ? გათავისუფლების კარზე აკაკუნებთ თუ მიბმულობათა კარზე? იმ კარზე აკაკუნებთ, სადაც ღმერთი იმყოფება, თუ იმ კარზე აკაკუნებთ, სადაც ეშმაკები ბინადრობენ? ვისთან მიდიხართ? ვისში ეძებთ თავშესაფარს? სთხოვთ თუ არა ყველაზე უფრო გულმოწყალეს, იმას, ვინც ადამიანურ ფორმაში მოდის, და თავის ცხოვრებას მაგალითისთვის გიჩვენებთ? სთხოვთ თუ არა სამყაროს დედას? სთხოვთ თუ არა მას საკვებს, თუ საკვებს ეშმაკს სთხოვთ?

შეიძლება უყუროთ კიდეც უფალს, მაგრამ არ სთხოვდეთ თვით ღვთაებრიობას. თქვენ, ეჭვგარეშეა, უფალს ევედრებით, მაგრამ ნაკლებმნიშვნელოვან მატერიალურ, ამქვეყნიურ საგნებს სთხოვთ. თქვენ იმყოფებით *ნატვრის ხესთან*, და უმნიშვნელო ხსნად ყავას ითხოვთ. უნდა ლოცულობდეთ, რომ *ნატვრის ხე* გჩუქნიდეთ იმ ტრანსცენდენტალურ პრინციპს, რომელიც სამუდამოდ მარადიული ნეტარებით შეგავსებთ.

თუ მტკიცედ გწამთ, რომ ღმერთი თქვენს საკუთარ სხეულში იმყოფება, მაშინ თქვენი ერთგულება გაიზრდება. თუ განუწყვეტლივ ეძებთ უფალს, რომელიც თქვენში იმყოფება, მაშინ მზერა თქვენ შიგნით უნდა მიაპყროთ. როგორ უნდა მიაღწიოთ უფალს? უნდა ტიროდეთ, როგორც ხბო ტირის, როცა თავის დედას ეძახის, რომელიც ნახირს გაჰყვა. უნდა ევედრებოდეთ, როგორც უმწიკვლო ქალი, რომელმაც ქმარი დაკარგა, და განშორების გულისტკივილისგან გოდებს. უნდა ისევე ევედრებოდეთ, როგორც უშვილო მშობლები ევედრებიან ღმერთს, რომ მათ შვილი მისცეს. აი ასე უნდა ლოცულობდეთ ღმერთს – ერთგულებით და თქვენში ღმერთის თანდასწრების გაცნობიერებისკენ მისწრაფების წყურვილით აღვსილები.

დაე თქვენი აზრები, სიტყვები და საქმეები ჰარმონიაში იყოს

მაგრამ დღეს თქვენი ლოცვები ხშირად მაღალფარდოვანი, გრძნობის გარეშე სიტყვებით არის აღვსილი. გონებაში გაქვთ ერთი, ენაზე კი – სულ სხვა რამ. როდესაც თქვენი აზრები სიტყვებთან

იქნება თანხმობაში, სიტყვები ლოცვად იქცევა და ეფექტური აღმოჩნდება. და როცა ლოცვების პრაქტიკაში შესრულებას დაიწყებთ, ისინი თაყვანისცემად იქცევა. ხოლო როცა აზრის, სიტყვისა და საქმის ერთიანობას მიაღწევთ, თქვენ გახდებით *მაჰატმა* – დიადი სული.

უნდა თქვენი თავი შეამოწმოთ, რომ დაინახოთ, მიჰყვებით თუ არა აზრის, სიტყვისა და ქცევის ჰარმონიის გზას. როდესაც ხშირად დაფიქრდებით ამაზე, აღმოაჩენთ, რომ დროის უმეტეს ნაწილში ეს სამეული ერთმანეთთან შეუთანხმებელია და მათ შორის არავითარი ერთიანობა არ არსებობს. როცა აზრები ერთია, სიტყვები და საქმეები კი მეორეა, თქვენში ვლინდება ოთხი *დურატმა*, ბოროტმოქმედი, და არა *მაჰატმა*. ასეთი დისჰარმონია კარგს არაფერს მოგიტანთ, ვერ გახდებით უფლისთვის ძვირფასი.

მოთმინება მთავარი სულიერი თვისებაა

როგორიცაა თქვენი აზრები, ასეთივე იქნება შედეგები მათგან. ტორტის ზომა დამოკიდებულია ფქვილის რაოდენობაზე; გემო, რომელიც პირში გრჩებათ, დამოკიდებულია საკვებზე, რომელიც ახლახან მიიღეთ. ასეთივე სახით, ის, რასაც გრძნობთ, თქვენი საუბრისა და მოქმედების სახეზე აისახება. უპირველეს ყოვლისა გრძნობების გაწმენდა უნდა სცადოთ. თქვენი სიყვარული სუფთა უნდა გახდეს. ამის მისაღწევად უნდა განავითაროთ *ქშარმა*, ანუ თავდაჭერილობა, ანუ აბსოლუტური მოთმინება და თვითშეზღუდვა ნებისმიერ გარემოებაში, სიკეთით უპასუხოთ ყველას, იმათაც კი, ვისაც, შესაძლოა, ვნების მიყენება სურს თქვენთვის. არაფერია იმაზე უფრო მაღლა, ვიდრე *მოთმინების* თვისების ქონაა. *მოთმინება* ექვივალენტურია თვით ჭეშმარიტებისა, *მოთმინება* მართლქმედების გულია, *მოთმინება* ვედის თვით არსია, *მოთმინება* არაძალადობაა პრაქტიკაში, *მოთმინება* კმაყოფილებაა, ეს არის თანაგრძნობა; ჭეშმარიტად, ეს არის ყველაფერი ყველა სამყაროში. მხოლოდ როდესაც მოთმინებასა და თავდაჭერილობას განავითარებთ, შეძლებთ, რომ უფალს მიაღწიოთ.

წვრილმანების გამო თავდაჭერილობას კარგავთ, ეს კი დაძაბულობას იწვევს. ასეთი ხასიათი სახიფათოა; მრისხანებამ შეიძლება მთელი თქვენი ცხოვრება მოშალოს. თუ მრისხანება გჭირთ, ვერავითარ ღირებულს ვერ მიაღწევთ. ზიზღით და დაცინვით შემოგხედავენ. სიმდიდრეს დაკარგავთ. თქვენი ყველა ჯილდო მტვრად იქცევა. თქვენი მრისხანება დაგაშორებთ იმათგანაც კი, ვინც თქვენთვის ყველაზე უფრო ახლობელია. მრისხანების გამო ადამიანები ყველაფერს კარგავენ, და თვით მათი ცხოვრება ამაო ხდება. ამიტომ *ბჰაგავად გიტაში* კრიშნა სიყვარულის პრინციპს და სიყვარულის

განვითარების აუცილებლობას გასწავლით, და მას უპირისპირებს სიძულვილს, ეჭვიანობას, მრისხანებასა და ყველა სხვა ცუდ თვისებას, რომლებიც თქვენთვის ვნების მომტანია.

სიყვარულმა არ იცის სიძულვილი.
სიყვარული თავისუფალია ეგოიზმისგან.
სიყვარული შორს არის მრისხანებისგან.
სიყვარული არასოდეს იღებს – მან მხოლოდ გაცემა იცის.
სიყვარული ღმერთია.

ღმერთის განცდა მხოლოდ სიყვარულის მეშვეობით შეიძლება

თუ გინდათ, რომ ღმერთი იყოთ, სიყვარულის ეს კურთხეული თვისება უნდა განავითაროთ. მხოლოდ სიყვარულის დახმარებით შეძლებთ იმის განცდას, ვინც თვით სიყვარულია.

თუ გინდათ, რომ მთვარე დაინახოთ, არ გჭირდებათ სანთელი ან ფარანი. საკმარისია მთვარის შუქი იმისათვის, რომ ის დაინახოთ. თუ გინდათ, რომ ღმერთი დაინახოთ, სიყვარულში უნდა ჩაეფლოთ მხოლოდ. შეავსეთ თქვენი თავი სიყვარულით, და მაშინ აუცილებლად მიაღწევთ ღმერთს. მაგრამ სანამ თქვენში სიყვარული არასაკმარისად გამყარდა, თქვენთვის საჭიროა ისეთი სულიერი პრაქტიკები, როგორიცაა *ბჰაჯანები, ჯაპა* და თაყვანისცემის სხვა ფორმები. და როდესაც სიყვარული განვითარდება, ისინი აღარ დაგჭირდებათ. თუ მთვარე კაშკაშად ანათებს კიდეც, დახუჭული თვალებით მის დანახვას ვერ შეძლებთ. ასეთივე სახით, თუ თქვენი თვალები ჯერ კიდევ დახუჭულია ღმერთის მოსიყვარულე თანდასწრებისთვის თქვენში, მაშინ კეთილი ქცევები, სხვადასხვა სულიერი პრაქტიკის ჩათვლით, მათ ახელაში დაგეხმარებათ, რომ, გაწმენდთ რა თქვენს ხედვას, ღმერთის დანახვა შეძლოთ და ამ ხედვით დატკბეთ. ამაშია კრიშნას სწავლების არსი *ბჰაგავად გიტაში.*

ამ ღვთაებრივი მიზნის მიღწევას მხოლოდ მაშინ შეძლებთ, როცა ასეთ მაღალ სიტყვებს მოუსმენთ, როცა ნათლად გესმით ისინი და პრაქტიკაში იყენებთ მათ. *სვამი* ამის შესაძლებლობას განიჭებთ იმისათვის, რომ დღეში თქვენი დროის ერთი საათი მაინც გამოიყენოთ გონივრულად და *გიტას* წმინდა სწავლებისგან სიკეთე მიიღოთ.

თავი მეექვსე

სულიერი გზის სამი სტადია

„ო, არჯუნა! მხოლოდ ერთგულების
დახმარებით შეგიძლია შემიცნო.
შეგიძლია დამინახო ისეთი, რგორიც ვარ
სინამდვილეში, დროთა განმავლობაში
გაზავდე ჩემში, ჩემთან ერთიანი გახდე“.

სიყვარულის განხორციელებანო!

გიტაში უფალი სხვადასხვა გზით გვიჩვენებს სამ სტადიას სულიერ გზაზე. მეთერთმეტე თავის ბოლოში, სადაც კრიშნა არჯუნას თავისი კოსმოსური ფორმის ხედვას აძლევს, ასეთ სამ სიტყვას ნახავთ: *ჯნატუმ, დრაშტუმ* და *პრავეშტუმ.*

ჯნატუმ ნიშნავს „იმის ცოდნას, რომ უფალი აქ არის“;
დრაშტუმ ნიშნავს „მის უშუალოდ დანახვას“;
პრავეშტუმ კი ნიშნავს „მასთან შერწყმას“.

ეს სიტყვები აღნიშნავს სამ სტადიას, რომლებსაც უნდა მიჰყვეთ იმისათვის, რომ მიაღწიოთ მიზანს – თვითრეალიზაციას, თვითშემეცნებას. თუ გათავისუფლებას ეძებთ, მაშინ ეს სამი საფეხური უნდა გაიაროთ.

იცოდეთ, რომ ღმერთი აქ იმყოფება, და შეგიძლიათ უშუალოდ განიცადოთ მისი თანდასწრება

პირველ საფეხურზე – *ჯანატუმზე* – საღმრთო წერილის ან მასწავლებლის დახმარებით შეიმეცნებთ, რომ ღმერთი ნამდვილად არსებობს. მაგრამ ამ ჭეშმარიტების უბრალოდ ცოდნა ჯერ კიდევ არ მოგიტანთ უსაზღვრო სიხარულს. იგებთ, რომ ღმერთი აქ იმყოფება, მაგრამ ასევე ფიქრობთ, რომ თქვენ ღმერთისგან ცალკე იმყოფებით. ამას გულისმობს *დვაიტას,* ანუ ორობითობის პრინციპი. *დვაიტა* შეიძლება საფუძველი იყოს შემდგომი ნაბიჯებისთვის გზაზე, მაგრამ თავისთავად იგი ვერ მოგიტანთ სრულ და ხანგრძლივ კმაყოფილებას.

თანდათან თქვენში ვითარდება სურვილი, რომ მიიღოთ უფლის *დარშანი* – მიიღოთ პირდაპირი საკუთარი კონტაქტი და იხილოთ უფალი. როგორ უნდა მიაღწიოთ იმას, რომ ასეთი გზით უფალი დაინახოთ? უბრალოდ ამის სურვილი ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ეს მოხდება. თქვენ უნდა იტანჯებოდეთ წყურვილისა და სევდისგან, რომ დაინახოთ ის; მუდამ იმისკენ უნდა ისწრაფოდეთ, რომ უფალი

დაინახოთ. ღმერთის რა ფორმისა და ასპექტის შესახებაც არ უნდა გაიგოთ კითხვის ან თხრობათა წყალობით, ახლა ძალიან უნდა გინდოდეთ მისი დანახვა, რომ მისი თანდასწრება უშუალოდ განიცადოთ. თუ თქვენი სურვილი გულწრფელია, მაშინ რაღაც დროის შემდეგ უფალი თქვენ წინაშე წარდგება უაღრესად საკუთარი გზით და იმ ღვთაებრივ ხედვას მოგცემთ, რომელსაც ასე ძალიან ეძებდით. აი პატარა მოთხრობა, რომელიც ამის ილუსტრაციას წარმოადგენს.

მწყემსი ბიჭუნა

ოდესღაც ცხოვრობდა საწყალი მწყემსი ბიჭუნა, რომელიც დიდ რწმენას და ღმერთის დანახვის მგზნებარე სურვილს ფლობდა. ერთხელ სოფელში, სადაც ეს ბიჭუნა ცხოვრობდა, მოქადაგე *ჰირაკათჰადაში მოვიდა*, რომ სულიერი საუბრები ჩაეტარებინა. ჩვეულებრივ მრავალი ადამიანი მოდიოდა, რომ მოესმინა, უფლის დიდებას და მის გმირობებს როგორ აქებდა იგი. მწყემს ბიჭუნას არ შეეძლო სამუშაოს მიტოვება, რომ ამ შეხვედრებზე მოსულიყო, იმიტომ რომ მთელი დღე ძროხები უნდა ეძოვებინა. მხოლოდ საღამოობით შეეძლო მოსულიყო და მოქადაგის გამოსვლები მოესმინა, როცა ძროხებს ბაგაში შეყრიდა ხოლმე. ბიჭუნა ძალიან სერიოზულად და დიდი ინტერესით უსმენდა იმ ყველაფერს, რასაც მოქადაგე ამბობდა.

ერთხელ საღამო დროს *პანდიტი* (სწავლული ბერი), იყო რა უფალ ვიშნუს ერთგული, ყვებოდა იმაზე, უფალი ვიშნუ როგორ გამოიყურება, და მის ტრადიციულ გამოსახულებას აღწერდა: მას აქვს მუქი კანი, თეთრი ნიშანი შუბლზე, და ის თეთრ არწივზეა. *პანდიტმა* ასევე განმარტა, რომ უფალი ვიშნუ ყოველთვის მზად არის დასახმარებლად მოვიდეს იმასთან, ვინც მასში დამცველს ეძებს, და რომ ის სიხარულით იღებს იმ ყველაფერს, რასაც მას სრული რწმენით შესთავაზებენ.

უფლის ამ თვისებებმა, რომლებზეც არაერთჯერ თქვა *პანდიტმა*, ბიჭუნას სულზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. *პანდიტმა* ასევე თქვა, რომ ღმერთს ძალიან უყვარს მუსიკა და რომ მისი დაპყრობა შეიძლება, თუკი ლოცვებს გაუგზავნი მას სიმღერებში, რომლებიც მოკრძალებით გამოედინება გულიდან.

მწყემს ბიჭუნას ჩვეულებისამებრ თან საჭმელი დაჰქონდა, რომ დღისით ეჭამა. მან მთელი გულწრფელობითა და ერთგულებით დაიწყო ღმერთისთვის ამ საჭმლის ყოველდღე შეთავაზება. იგი ევედრებოდა უფალს, რომ საჭმლისთვის გემო გაესინჯა. ლოცვებს ასეთი გალობით იწყებდა:

„მუქკანიანო უფალო, მითხრეს, რომ თეთრი არწივით მოგზაურობ. მოდი ჩემთან! თუ შეიძლება, მოდი ჩემთან და მიიღე ჩემგან ეს საჭმელი“.

ასე ევედრებოდა უფალს ბიჭუნა მთელი კვირის განმავლობაში. არც ერთხელ შეხებია იგი საჭმელს, იმიტომ რომ უფალმა არ გაუყო იგი მას. კვირის ბოლოს ბიჭუნა ძალიან დასუსტდა. ფიზიკური სისუსტის გარდა, ასევე ძლიერ წამებას განიცდიდა, ფიქრობდა, რომ არასწორად მღეროდა და ამიტო არ იყო უფლისგან პასუხი. დარწმუნებული იყო, უფალი მის საჭმელს გალობის არასრულყოფილების გამო არ ახლებდა ხელს. ამიტომ გამბედაობითა და ერთგულებით განაგრძობდა გალობას და თვლიდა, რომ ბოლოს და ბოლოს იგი აუცილებლად მოიპოვებს უფლის მადლს.

უფლის ხილვის მხურვალე სწრაფვა

თუმც იგი ძალიან სუსტი იყო, მაგრამ მაინც მივიდა ტყემდე. თავს სრულიად დაუძლურებულად გრძნობდა, მაგრამ მაინც მზად იყო არ ეჭამა, სანამ უფალი არ მიიღებდა მის ძღვენს. ახლა მისი გალობა-ლოცვა უაღრესად მელოდიურად ჟღერდა. ბიჭუნა სულ გალობდა და გალობდა, სთხოვდა უფალს დაშვებულიყო, ბიჭუნას საჭმელი მიეღო და შიმშილი მოეკლა, ასევე ბიჭუნას მხურვალე სურვილით მირთმეული წყალი მიეღო და წყურვილი მოეკლა. როდესაც გრძნობებში, მელოდიაში და სიტყვებში სრულყოფილი ჰარმონია გაჩნდა, უფალი დაეშვა. და როგორ გამოცხადდა უფალი მწყემსი ბიჭუნას წინაშე? იგი მოვიდა როგორც ბიჭუნა ბრამინი. ბიჭუნამ ჰკითხა ბიჭუნა ბრამინს, რომელიც მის წინ იდგა:

„ძვირფასო მეგობარო, მითხარი, ვინ ხარ? ტყეზე გამავალი მოგზაური ხარ?“

ბიჭუნა ბრამინმა უპასუხა:

„მე ვარ უფალი ნარაიანა. შენ ლოცულობდი, რომ დაგენახე, და დავეშვი, რომ დარშანი მოგცე“.

ახსოვდა რა, რომ უფალს მუსიკის მშვენიერი ხმები უყვარდა, მწყემსი ძალიან მელოდიური ხმებით აგრძელებდა შეკითხვებს:

„მაგრამ შენ ისე არ გამოიყურები, როგორც უფალს აღწერდნენ: მუქი ფერის სახე, შუბლზე თეთრი ნიშანი და თეთრ არწივზე ამხედრებული. პანდიტმა თქვა, რომ ამ ნიშნებით ვიცნობთ უფალს, მაგრამ როგორც ჩანს, ეს ასე არ არის. თუ დალოცვილი უფალი ხარ, გთხოვ, გაფანტე ჩემი ეჭვები და ნება მომეცი, რომ შენს ჭეშმარიტ ფორმაში დაგინახო“.

ღმერთის ხედვა

მწყემს ბიჭუნას უკვე გაეგონა ღმერთის აღწერა; ახლა უნდოდა მისი დანახვა და განცდა ისეთად, როგორც ის აღწერეს. მაგრამ ღმერთს არა აქვს რაიმე გარკვეული ფორმა; მას ათასობით თვალი, ათასობით ყური, ათასობით ხელი და ათასობით ფეხი აქვს. მაგრამ იმისათვის, რომ თავის ერთგულებს აამოს, რომლებსაც მისი დანახვა სწყურიათ, და ასიამოვნოს, იგი იმ გარეგნობას იღებს, რომელზედაც მას გულწრფელად ემუდარებიან. ეს არის სტადია *დრაშტუმ*, როცა ადამიანს უფლის დანახვის დიდი სურვილი აქვს. მაშინაც კი, როცა ასეთი ხედვა მოდის, მაინც არ არის ეს ღმერთის ჭეშმარიტი გარეგნობა, ეს არის გარეგნობა, რომელიც მხოლოდ ერთგულის ლოცვის წყალობით იქნა შერჩეული. ღმერთს უყვარს გულწრფელი, ალალმართალი გრძნობები, და ამიტომ თავისი ერთგულის გრძნობების შესაბამისად, იგი *დარშანს* იმ გარეგნობით იძლევა, რომელიც ერთგულისთვის ყველაზე უფრო სასიამოვნოა. მწყემსის გასახარებლად უფალმა მიიღო ვიშნუს მბრწყინავი გარეგნობა და გემო გაუსინჯა საჭმელს და წყალს, რომლებიც ბიჭუნამ ასეთი სიყვარულით შესთავაზა.

მას შემდეგ, როგორც კი უფალი წავიდა, ბიჭუნამ გაიფიქრა:

„თავიდან მისი აღწერა გავიგონე, შემდეგ კი ვლოცულობდი, რომ თვითონ ის დამენახა. და აი ის დაეშვა, და მისი სახე დავინახე. მაგრამ როგორ უნდა მივაღწიო მას, რომ მუდამ მასთან ვიყო?“

უბრალოდ მის შესახებ გაგება ჯერ კიდევ ვერ დააკმაყოფილებს ერთგულს. ასევე ვერ მიიღებს სრულ კმაყოფილებას, თუკი უბრალოდ დაინახავს უფალს, რადგან დანახვის შემდეგ ერთგულს მასთან სრული შერწყმა სწყურია; მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მიაღწევს იგი უსაზღვრო ნეტარებას.

ამ ბიჭუნას შემთხვევაში უფალმა *დარშანი* მისცა და ის გაქრა. მაგრამ ამ მომენტიდან უფლის სახე სამუდამოდ ჩაისახა ბიჭუნას გულში ისეთად, როგორიც მან ახლახან ვიშნუს სახით ნახა. ჰქონდა რა თავის წინაშე ეს შთამბეჭდავი სახე, მან შეკითხვების მიცემა დაიწყო და ოცნებობდა მხოლოდ იმაზე, როგორ უნდა მიეღწია უფლისთვის და შერწყმოდა მას. ეს სტადია არის *პრავეშტუმ* – მესამე სტადია.

დუალიზმის (ორობითობის) ზღვრებს მიღმა

ისევე, როგორც ამ მოთხრობაშია აღწერილი, როცა ბრძენებს უსმენთ, ან წმინდა წერილებს კითხულობთ და სწავლობთ, შეგიძლიათ რაღაც წარმოდგენა მიიღოთ იმაზე, როგორ გამოიყურება ღმერთი. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ეს თავისთავად ვერ დაგაკმაყოფილებთ და

ბედნიერს ვერ გაგხდით. ეს მაინც მხოლოდ ორობითობის სტადიაა. შემდეგ საფეხურს ჰქვია *ვიშიშტადვაიტა*, ანუ თვისებრივი არადუალიზმი. ეს საფეხური დაკავშირებულია ღმერთის დანახვისა და განცდის ძლიერ სწრაფვასთან. როგორ უნდა მიიღოთ ღმერთის ხედვა? როდესაც მას თქვენს გულში იმ სახით ხატავთ, რომელშიაც მას აღგიწერდნენ, ამის შემდეგ კი, როცა განუწყვეტლივ ფიქრობთ და უმზერთ ამ სახეს, რასაც არ უნდა აკეთებდეთ, რასაც არ უნდა ამბობდეთ, რასაც არ უნდა ხედავდეთ და რასაც არ უნდა ისმენდეთ, ერთიანი უნდა გახდეთ იმ სახესთან, რომელიც თქვენთვის დახატეთ.

ღმერთის გარკვეული ფორმა, რომელზედაც შეიტყვეთ, აზრიფორმა ხდება თქვენს გონებაში. ეს აზრიფორმა შემდეგ ერთგულების გრძნობით უნდა შეივსოს, რომ გრძნობის ფორმა გახდეს თქვენს გულში. ეს გრძნობები თანდათან გაღრმავდება და გაიზრდება, სანამ არ დადგება ის დღე, როცა უფლის ნამდვილ ხედვას მიიღებთ. ამრიგად, ღმერთზე ჯერ ფიქრობენ, შემდეგ მას გრძნობენ, დაბოლოს უშუალოდ განიცდიან. სხვა სიტყვებით, აზრიფორმა გადადის გრძნობის ფორმაში, რომელიც შემდეგ რეალურ გამოცდილებად იქცევა. ეს არის სტადია *დრაშტუმ* – მეორე საფეხური გზაზე. თქვენ არა მარტო იღებთ უფლის პირად *დარშანს*, რომლის დანახვაც გწყუროდათ, არამედ იმის შესაძლებლობას იღებთ, რომ მას პირისპირ ესაუბროთ.

მას შემდეგ, რაც უფალი დაინახეთ და უშუალოდ ესაუბრეთ მას, უფრო დიდ კმაყოფილებას იგრძნობთ. მაგრამ თუ ჭეშმარიტი ერთგული ხართ, ეს ძვირფასი შანსიც კი ვერ მოგცემთ სრულ სიხარულს, რომელიც თქვენ გწყურიათ. ახლა გინდათ ღმერთს მიაღწიოთ და შეერწყათ. თქვენ ფიქრობთ:

„მსმენია (ჯნატუმ) მის შესახებ, დამინახავს (დრაშტუმ) ის, ახლა მას უნდა მივაღწიო და შევერწყა (პრავეშტუმ).

იმის გაცნობიერება, რომ *„მე უფლის ასპექტი ვარ“* მაშინ რეალიზდება, როცა მას ხედავ. მანამდე, *ჯნატუმის* სტადიაში, როცა, კითხულობთ რა და მის შესახებ ისმენთ, იმ შეგნებამდე მიხვედით, რომ ღმერთი არსებობს, გრძნობთ, რომ ღმერთი და თქვენ ცალ-ცალკე ხართ. მაგრამ *დრაშტუმის* სტადიაში ხედავთ უფალს, და გიჩნდებათ გრძნობა, რომ მისი ნაწილი ხართ. ეს არის სტადია *ვიშიშტადვაიტა*. მაგრამ ახლა შემდეგი გაგებისკენ მოძრაობთ: *„უფალი და მე ერთიანი ვართ“;* ეს არის სტადია *ადვაიტა* – სრული არადუალიზმი. აქ ფიქრობთ: *„ან უნდა მას შევერწყა, ან ის უნდა გახდეს ჩემთან ერთიანი. მაშინ სრული ერთიანობა გაჩნდება“.*

უფალთან ერთიანობა

სანამ მდინარე შორს იმყოფება ოკეანიდან, რომელიც მის წყაროსა და მიზანს წარმოადგენს, იგი თავის საკუთარ დასახელებას და ინდივიდუალობას ინარჩუნებს. მაგრამ როდესაც ოკეანეს ერწყმის, იგი ოკეანის გემოს, ოკეანის ფორმას და ოკეანის დასახელებას იძენს. თუ გინდათ უფალთან ერთიანი გახდეთ, უნდა უფალი იგრძნოთ, უფლის ფორმა მიიღოთ, თვით უფლის ყველა თვისება მიიღოთ. მხოლოდ ამ შემთხვევასი შეძლებთ გახდეთ მასთან ერთიანი. უნდა იგრძნოთ, რომ უფლის ყველა თვისება თქვენში გამოისახება.

„უფლის აზრთა სიფართოვე ჩემი ნაწილი უნდა გახდეს. უანგარო გრძნობები, რომლებიც უფალს ახასიათებს, ჩემი ნაწილი უნდა გახდეს. უფლის უსაზღვრო სიყვარული ჩემი ნაწილი უნდა გახდეს“.

როდესაც ეს გრძნობა გაგიჩნდებათ, ეს იმას ნიშნავს, რომ ისეთ დონეს მიაღწიეთ, სადაც ***„მე** და **ის** ერთი ვართ“*, და ეს იქნება სრული ერთიანობა. უნდა განუწყვეტლივ შეგნებულად ისწრაფოდეთ ამ გრძნობისკენ; მთელ ძალისხმევას უნდა იჩენდეთ იმისათვის, რომ შეიძინოთ ის. მაშინ დადგება დღე, როცა მიაღწევთ *რეალიზაციას – თვითშემეცნებას*. ეს არის ადამიანის ცხოვრების საბოლოო მიზანი.

ამქვეყნიური ცხოვრების სამი სტადია

ადამიანისთვის ჭეშმარიტი განხორციელება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ის იმ ადგილს მიაღწევს, საიდანაც მოვიდა. ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც კი შეიძლება ხედავდეთ ამ პროგრესულ სტადიათა ზოგიერთ ასპექტს მიზნის მიღწევაში. განვიხილოთ შემდეგი მაგალითი.

დავუშვათ, ბაზარში მანგო მოიტანეს, და სწორედ ეს ხილი მოგწონთ ძალიან. შესაძლოა, მანგოს გარკვეული სახეც კი არის, რომელიც ძალიან გიყვართ. თქვენთან მოდის მეგობარი და გეუბნებათ, რომ იყიდება სწორედ ისეთი მანგო, რომელიც ძალიან მოგწონთ. როდესაც ამის შესახებ იტყობთ, რაღაც კმაყოფილებას განიცდით; სიხარულით ფიქრობთ მანგოზე, თუმცა ჯერ არ გიყიდიათ და მისი გემო არ გაგისინჯავთ.

როგორც კი ამ ამბავს იგებთ, დაუყოვნებლივ მიდიხართ ბაზარში, რომ გამოარკვიოთ, სად იყიდება იგი და კიდევ შეიძლება თუ არა მისი ყიდვა. დიახ, ის არის. ახლა მას ყურადღებით ათვალიერებთ. ეს უფრო მეტ კმაყოფილებას გაძლევთ, მაგრამ მთლიანად მაინც არ ხართ ბედნიერი. მაშინ საუკეთესო მანგოს აწყობთ ჩანთაში და ფულს იხდით. ამის შემდეგ სახლისკენ მიდიხართ, გზაში ამ ხილზე ფიქრობთ, გიხარიათ, რომ ბედმა გაგიღიმათ და ასეთი მშვენიერი ხილი იშოვეთ და ჭამამდე წინასწარ ტკბებით. რატომ ხარჯავთ დიდ დროს, როცა

მანგოზე ფიქრობთ? იმიტომ რომ განსაკუთრებით გიყვართ ეს ხილი; და თქვენი მოქმედებები, როცა წახვედით და იყიდეთ, მანგოს მიმართ თქვენს დიდ სიყვარულს ამტკიცებს.

შეიძლება დიდი სიხარული მიიღოთ, როდესაც ის გრძნობა, რომელსაც ასე ძლიერად განიცდით, იმ ფორმას იღებს, რომლის ნახვაც გარეგნულად შეიძლება. სინამდვილეში ის, რასაც გარეგნულად ხედავთ, ყოველთვის მხოლოდ თქვენი შინაგანი აზრების ანარეკლს წარმოადგენს: როდესაც რაღაცა სურვილი გაქვთ, გარეგნულად იმის რეალიზაციას ახდენთ, რაც ასე ძლიერად გსურთ შინაგანად. რაც შეეხება მანგოს, სახლში მიიტანთ თუ არა, მაშინვე კარგად გარეცხავთ და გაასუფთავებთ. ამის შემდეგ მის ჭამას იწყებთ და მანგოს წვნით ნეტარებას განიცდით. მალე ეს წვენი აღარ იქნება რაღაც თქვენ გარეთ არსებული, იგი თქვენი ნაწილი გახდება. ამისგან უზარმაზარ სიხარულს მიიღებთ; თქვენ სრულ ნეტარებას მიიღებთ.

ცოდნა, ხედვა და ღვთაებასთან ერთიანობა

რა არის ასეთი უდიდესი სიხარულის მიზეზი? მოდით შევაჯამოთ ის ყველაფერი, რაც მოხდა: თავიდან შეიტყვეთ, რომ თქვენი საყვარელი ხილის ყიდვა ბაზარში შეიძლება. ეს არის *ჯნატუმი* – ცოდნა. ცოდნამ ამის შესახებ არ გაგინელათ ამ ხილის ყიდვის სურვილი, პირიქით, იმის ძლიერი სურვილი გაგიჩნდათ, რომ იშოვოთ და დატკბეთ მით. თქვენ ძალიან გინდოდათ ამ ხილის დანახვა, ბაზარში წახვედით, იპოვეთ ის და ყურადღებით დაათვალიერეთ. დათვალიერების სტადია არის *დრაშტუმი.* ხილს რომ შეხედეთ, ამის შემდეგ შეიძინეთ ის და შეჭამეთ. ეს არის სტადია *პრავეშტუმი* – სურვილის ობიექტთან შეერთება.

გაქვთ თუ არა ასეთი ძლიერი გრძნობები ღმერთის მიმართ? ეს ერთადერთი სურვილია, რომლის განვითარებაც სინამდვილეში საჭიროა. როდესაც რამდენიმე საუბარი მოისმინეთ, მრავალი სხვადასხვა წმინდა წერილი წაიკითხეთ, და გაიგეთ, რომ ღმერთი არსებობს, იმის ძლიერი სწრაფვა უნდა განავითაროთ, რომ დაინახოთ ის; წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა თქვენი ძალისხმევა ამაო იქნება. მხურვალედ უნდა ისწრაფოდეთ იმისკენ, რომ უფალი უშუალოდ დაინახოთ, და ამისათვის ყველა შესაძლო ძალისხმევა გამოიჩინოთ.

აქ იმყოფებიან სტუდენტები და მასწავლებლები. როდესაც სტუდენტი პირველ კურსზე სწავლობს, ვერ მიიღებს კმაყოფილებას, თუ უბრალოდ ამ დონეზე დარჩება. მას იმისკენ ექნება მისწრაფება, რომ მომდევნო კურსზე გადავიდეს. თუ სტუდენტი მეორე წელიწადს იმავე კურსზე რჩება, მას სასოწარკვეთილებისა და გულგატეხილობის გრძნობა ეუფლება. და არა მარტო გულგატეხილი იქნება თვითონ,

არამედ ამხანაგებიც დაიწყებენ მის დაცინვას. ასეთივე სახით სხვა ერთგულთა თვალში უარესად გამოიყურებით, როცა ყოველთვის რჩებით თაყვანისცემის პირველ სტადიაზე, *დვაიტის* ტიპის სტადიაზე, და სულიერ განვითარებაში წინ არ მიიწევთ. სხვა ერთგულები იტყვიან:

„შეხედეთ. იგი დიდი ხნის განმავლობაში ამდენ გამოსვლებს ესწრებოდა, მან ყველა დიდი წმინდა წერილი წაიკითხა, მაგრამ რისთვის ეს ყველაფერი? არ ჰგავს იმას, რომ მასში რაიმე პროგრესი მოხდა“.

საუბედუროდ, ეს პროცესი, როცა ადამიანი პირველ სტადიაზე რჩება, *ტამას-გუნას* (ანუ ინერციისა და სიზარმაცის) დამახასიათებელი ნიშანია. საჭიროა ამ *ტამასიური* თვისების მოცილება და წინ წაწევა *დვაიტის* (ორობითობის) სტადიიდან შემდეგი სტადიისკენ – *ვიშიშტადვაიტისკენ* (გაცნობიერებული არაორობითობისკენ). მუდამ უმზერთ რა ღვთაებას, უნდა ეცადოთ ღმერთი იმ ფორმაში დაინახოთ, რომელიც თქვენ აირჩიეთ. როდესაც მგზნებარე სურვილი გაქვთ, შესაშურ შესაძლებლობას მიიღებთ, რომ უფალი დაინახოთ, ელაპარაკოთ მას, აგრეთვე სხვადასხვა გზით ემსახუროთ.

უკვდავი „მე“-ს მარადიული სიმშვიდის მიღწევა

მაგრამ მაშინაც ვერ შეძლებთ კმაყოფილების შეგრძნებას. შემდეგი სტადიის მიღწევისკენ უნდა ისწრაფოდეთ. თქვენთვის არ უნდა იყოს არც დასვენება, არც სულის სიმშვიდე, არც კმაყოფილება მანამდე, სანამ არ მიაღწევთ საბოლოო სტადიას – *ადვაიტას*, ანუ ღმერთთან სრულ შერწყმას და მასთან ერთიანობის გაცნობიერებას. ამჟამად ცდილობთ მიიღოთ მხოლოდ დასვენება სხეულისთვის და ცოტაოდენი სულის სიმშვიდე. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არასაკმარისია. უნდა *ატმას* მუდმივ სიმშვიდეს მიაღწიოთ. როცა მასთან ერთიანი გახდებით, თქვენ თვით სიმშვიდე გახდებით. *ატმა* მარადიული სამყაროს თვით განხორციელებაა. *ჯივატმა*, ინდივიდუალური, ერთიანი უნდა გახდეს *პარამატმასთან*, სამყაროებრივთან; მაშინ გრძელი გზა, ბოლოს და ბოლოს, დასრულდება და მარადიული ნეტარების გაცნობიერება მოვა.

მდინარე ოკეანიდან იბადება და ოკეანეში სრულდება. მაგრამ როგორ ჩნდება ის? თავიდან ოკეანეში წყალი ღრუბლებად გადაიქცა, მოხდა გაყოფა, ორობითობა: ღრუბლები ცალკე, ოკეანე ცალკე. წყალი ოკეანეში მლაშეა; როდესაც ღრუბლად იქცევა, ის ტკბილი ხდება. ახლა წყალი, რომელიც ღრუბელი გახდა, წვიმის სახით ვლინდება; შეიძლება ითქვას, რომ ეს არის სიყვარულის წვიმა, იმიტომ რომ

წვიმის წყალი მდინარე ხდება და დიდი ენთუზიაზმით ისწრაფვის იმისკენ, რომ ოკეანესთან გაერთიანდეს. ეს შეიძლება შევადაროთ *დრაშტუმის* სტადიას, როცა ვითარდება ძლიერი სევდა და იმისი წყურვილი, რომ სულ უფრო მეტად მიუახლოვდეს საბოლოო მიზანს. როდესაც ამ სტადიაზე იმყოფებით, მთელი გულით გინდათ მიაღწიოთ **სამშობლოს**, რომელსაც დაშორდით. წყლის მაგალითზე მდინარეში, მას უკან, ოკეანეში დაბრუნება სწყურია, საიდანაც ის მოვიდა. და აი, ბოლოს, იგი აღწევს თავის მიზანს. ეს არის *ადვაიტის*, ანუ *პრავეშტუმის* სტადია.

თქვენ დაიბადეთ როგორც ჩვეულებრივი ადამიანი და თქვენი ცხოვრების ნაწილი გაატარეთ როგორც ჩვეულებრივმა ადამიანმა. მაგრამ ახლა სულიერი ცხოვრების გზა აირჩიეთ. თქვენ ეძებთ კარგ კამპანიას – *სატსანგს*. სიამოვნებით ისმენთ თხრობებს დიადი წმინდა წერილებიდან, რომლებიც უფლის წმინდა თვისებებს აღწერს. მაგრამ ახლა გესმით, რომ ეს არასაკმარისია. ისწრაფვით იმისკენ, რომ უშუალოდ დაინახოთ უფალი. მაგრამ მაშინაც კი არ ხართ კმაყოფილი. მაშინაც კი, როდესაც უფლის დანახვისა და მასთან საუბრის შესაძლებლობა მიიღეთ, მაინც ვერ პოულობთ სრულ ბედნიერებას. მაგრამ როდესაც მთლიანად შეერწყმებით და შეუერთდებით მას, მაშინ მიიღებთ იმის სრულ განხორციელებას, რასაც ეძებდით, რადგან მაშინ შეიძენთ უსაზღვრო სიმშვიდესა და ნეტარებას, რასაც სწორედ უფალი წარმოადგენს. ამაში მდგომარეობს სწავლება, რომელიც კრიშნამ არჯუნას გაუზიარა დჰარმაქშეტრის ბრძოლის ველზე.

არჯუნას წმინდა სახელები

გიტაში კრიშნა სხვადასხვა სახელს ხმარობდა, როდესაც არჯუნას მიმართავდა. უკანასკნელი სახელი, რომელიც მან არჯუნას მისცა, იყო *დჰანანჯაია*. ერისკაცობაში ადამიანებს შეიძლება სხვადასხვა ტიტულსა და სახელს აძლევდნენ. *გიტაში* უფალი კრიშნა, თვით ღვთაების განსხეულება, სხვადასხვა სახელს აძლევდა არჯუნას. კრიშნამ უთხრა არჯუნას:

„არჯუნა, შენ არ ხარ მომაკვდავი შვილი. თვით ღვთაება ხარ. უკვდავების შვილი ხარ“.

არჯუნა თავის ცხოვრებაში გამოცდათა მთელ რიგს შეხვდა, რომლებშიაც მან გმირულად გამოიჩინა თავი; შედეგად მას სხვადასხვა ტიტული მიენიჭა. იმისათვის, რომ მიეღო წმინდა იარაღი, *განდჰივა*, მან მკაცრი ასკეზა გამოიარა და სიძნელეთა მთელ რიგს პირისპირ შეხვდა; მაგრამ ამ ყველაფრის დროს უდიდესი რწმენით, გამბედაობითა და დარწმუნებულობით ეჭირა თავი.

ყველა დაბრკოლების წინაშე მისი სიმტკიცე იმით იქნა დაჯილდოებული, რომ საბოლოო ჯამში მან უფალ შივასთან მოიგო წმინდა იარაღი. ამისთვის ბრძოლის თვით პროცესში ბუნების ელემენტებიც კი გამოვიდნენ მის წინააღმდეგ, მაგრამ არაფერს შეეძლო შეეჩერებინა მისი მტკიცე გადაწყვეტილება, რომ მიზნისთვის მიეღწია. უფალმა *დჰანანჯაიას* ტიტულით დააჯილდოვა იგი როგორც *დჰანუშას*, ზეციური იარაღის (მშვილდის) მომპოვებელი.

ამქვეყნიური თვალსაზრისით მას ასევე შეიძლება ვუწოდოთ *დჰანანჯაია*, რაც ნიშნავს: „ის, ვინც სიმდიდრის მიღწევაში იმარჯვებს“. არსებობს მოთხრობა, რომელიც ამის ილუსტრაციას ახდენს.

პანდავების უფროსმა ძმამ, დჰარმარაჯამ, რომელიც მეფე იყო, გადაწყვიტა ჩაეტარებინა *რაჯასუია-იაჯნა* – დიდი მეფური მსხვერპლად შეწირვა. იმ დროში პანდავების წინააღმდეგ გამოდიოდნენ ბოროტი კაურავები, დჰრიტარაშტრას ვაჟები. უფრო მეტიც, პანდავების ხაზინა ცარიელი იყო: მათ არ ჰქონდათ ფული. ასეთ წინააღდეგობათა პირობებში თითქმის შეუძლებელი იყო გრანდიოზული *იაჯნის* ჩატარება. მაგრამ დჰარმარაჯა დაჟინებით მოითხოვდა ამას. მან არჯუნას უთხრა:

„ძმაო, იაჯნა ძალიან დიდ ხარჯებს მოითხოვს. დიდი ფული დაგვჭირდება. როგორ უნდა მივიღოთ ის?“

არჯუნამ უპასუხა:

„დჰარმარაჯა, რატომ უნდა წუხდე ფულზე, როცა ჩვენ გვაქვს ნატვრის ხე კრიშნას ფორმაში? რისი უნდა გვეშინოდეს? როგორც კი კრიშნა დაგვლოცავს, ნებისმიერი ოდენობის ფული გვექნება“.

არჯუნა სხვადასხვა მეფეებს ეწვია, რომლებიც მეზობელ მიწებზე მართავდნენ, რომ მათთვის ეცნობებინა დჰარმარაჯას სურვილის შესახებ – ჩაეტარებინა უდიდესი მსხვერპლის შეწირვა. როგორც კი მეფეებმა გაიგეს, რომ დჰარმარაჯა *იაჯნას* ჩატარებას აპირებს, მათ შესთავაზეს თავიანთი ხაზინიდან მხარი დაეჭირათ დჰარამარაჯასთვის: არჯუნას ათობით სპილო დასჭირდა იმისათვის, რომ ეს სიმდიდრე წამოეღო. იქ იყო ოქრო-ვერცხლისა და ძვირფასეულობის გროვები. როდესაც მოვიდა კრიშნა, რომელიც ამ ყველაფერს მოასწავებდა, ისე მოიქცა, თითქოს მან არაფერი იცოდა, და დჰარმარაჯას ჰკითხა:

„სად მონახე ამდენი სიმდიდრე? საიდან ეს ყველაფერი?“

დჰარმარაჯამ უპასუხა:

„ეს ყველაფერი ჩემი ძმის, არჯუნას წყალობით მივიღე“.

იმ დღიდან კრიშნა არჯუნას უწოდებდა *დჰანანჯაიას*, და ამგვარად მალავდა თავის როლს და მთელ სამყაროს უცხადებდა, რომ

არჯუნამ გამარჯვება შეძლო, როცა ამდენი სიმდიდრე მოაგროვა. არჯუნას სხვა მრავალი სახელიც ჰქონდა მიცემული, როგორიცაა *პართჰა*, დედამიწის შვილი. ეს სახელები არა მარტო არჯუნასთვის არის განკუთვნილი. როდესაც ამ სახელებს გაიგებთ, თქვენთვისაც შეგიძლიათ მათი გამოყენება დაიწყოთ; ყოველი სახელი უფრო ღრმა მნიშვნელობას შეიცავს და გიჩვენებთ, წყალობით როგორ ავსებს უფალი თავის ერთგულებს. დაე თქვენი ნაწილი გახდეს ისინი; იცხოვრეთ სრულად ამ სახელებით, და მათი მნიშვნელობა თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყენეთ.

თავი მეშვიდე

ენის ალაგმვა საჭმელში და ლაპარაკში

ერთ-ერთ ყველაზე უფრო მთავარ დისციპლინას, აუცილებელს იმისათვის, რომ ღმერთთან ერთიანობას მიაღწიოთ, წარმოადგენს ენის კონტროლი; იგი უნდა პრაქტიკაში გაატაროთ როგორც საკვების სფეროში, ასევე ლაპარაკის სფეროში. გიტა ამტკიცებს, რომ ენის კონტროლის გარეშე შეუძლებელია ერთგულების გზას მიჰყვეთ და იოგას სიმშვიდეში შეხვიდეთ, იოგასი, რომელსაც ღმერთისკენ მიჰყავხართ.

სიყვარულის განხორციელებანო!

ისევე, როგორც ცხოველთა და ფრინველთა უმეტესობა, ადამიანი გრძნობათა ხუთ ორგანოს ფლობს. გრძნობათა ორგანოებს უაღრესად ფრთხილად უნდა ხმარობდეთ, და ყოველთვის აცნობიერებდეთ მათ შესაძლებლობებსა და შეზღუდვებს. ისინი ისევე უნდა აკონტროლოთ, როგორც აკონტროლებთ მძლავრ ენერგიებსა და ინსტრუმენტებს, რომლებსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ხმარობთ. მაგალითად, თუ ცეცხლით ფრთხილად და ჭკვიანურად ისარგებლებთ, იგი ბევრ შემთხვევაში შეიძლება თქვენთვის სასარგებლო იყოს; მაგრამ როცა ის უკონტროლო ხდება, მან შეიძლება დიდი ზიანი მოგაყენოთ. ავიღოთ, მაგალითად, ელექტრობა ან დანა: თუ იცით სწორად როგორ გამოიყენოთ ისინი, მაშინ სიკეთეს მოგიტანთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი შეიძლება ძალიან საშიში იყოს. ყველაფერი დამოკიდებულია სიფრთხილეზე და თქვენს გონიერებაზე. *ვედანტა* განსაკუთრებულ ყურადღებას აპყრობს იმას, როგორ უნდა იხმაროთ სწორად გრძნობათა ორგანოები და როგორ გამოიყენოთ ეს ცოდნა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ენის ორმაგი ძალა

ადამიანისთვის მიცემულ გრძნობათა ყოველ ორგანოს აქვს მხოლოდ ერთი მისთვის დამახასიათებელი გამოყენება, მაგრამ ენას ორმაგი ძალა აქვს მინიჭებული: მას აქვს მეტყველების ძალა და გემოს ძალა. *გიტაში* უფალი გაფრთხილებთ იმის შესახებ, რომ ენა უნდა განსაკუთრებული სიფრთხილით გამოიყენოთ. უფალი იმ ერთგულს აქებს, რომელმაც სრული კონტროლი დაამყარა ენაზე, რადგან ასეთ ერთგულს მალე სუფთა და გაწონასწორებული გული განუვითარდება. და იგი უფლის მუდმივ თანდასწრებას იგრძნობს. ასეთი კონტროლის

მისაღწევად ერთგულები განსაკუთრებული დისციპლინის პრაქტიკას ეწევიან, როგორიცაა მდუმარების დაცვა, დიეტის კონტროლი ან სრული მარხვის დაცვა.

მარხვა ფიზიკური სხეულის ჯანმრთელობას უწყობს ხელს; მენტალურ სფეროში მას სიხარული და ნეტარება მოაქვს. საკვების შეუზღუდავი და არარეგულირებული მიღება ძალიან საზიანოა ადამიანისთვის. სხვადასხვა სახის გემრიელი საჭმლის მიღებაში წახალისებამ შეიძლება *ტამას-გუნის* უმოქმედობამდე და ინერციამდე მიიყვანოს ერთგული. ფიქრი იმაზე, რომ ჭამით მიღებული სიამოვნების გაგრძელება შეიძლება, და ამავე დროს ღმერთის გულის მოგებას ცდილობდეთ და მასთან სიახლოვისგან ტკბებოდეთ, დიდი სისულელეა. ეს ორი რამ: საკვებით ტკბობა და ღმერთთან სიახლოვის მიღწევა, შეუთავსებელია. ამიტომ თავიდანვე მთელი ძალისხმევა უნდა გამოიჩინოთ იმისათვის, რომ ენა კონტროლის ქვეშ გყავდეთ. როგორც კი ენას დაეუფლებით, გრძნობათა დანარჩენი ორგანოებიც ავტომატურად კონტროლის ქვეშ მოექცევა.

ენის კონტროლი

დღეს ერთგულები ყოველგვარ ნორმებსა და წესებს იღებენ თავიანთ თავზე, რომ მკაცრი სულიერი ცხოვრება გასწიონ; სამწუხაროდ, ეს არ არის საკმარისად ეფექტური ენის კონტროლის მისაღწევად. სინამდვილეში არ არის ასეთი დიდი ძალისხმევის გამოჩენის აუცილებლობა, რომ გრძნობათა სხვადასხვა ორგანო აკონტროლოთ; თუ ენის კონტროლს მიაღწევთ, მაშინ გრძნობათა დანარჩენი ორგანოები თავისთავად შესაბამისობაში მოვა. ადამიანი მრავალრიცხოვან ეჭვებს, ემოციებს, წინააღმდეგობებსა და შფოთვას არის დაქვემდებარებული, იმიტომ რომ მას არ შეუძლია ენის კონტროლი. ენის კონტროლი განეკუთვნება არა მარტო საკვებს, არამედ ასევე მეტყველებას. უნდა ვაღიაროთ, რომ არ არსებობს სიტყვის ძალაზე უფრო მძლავრი რამ. ამ მიზეზით თქვენი მეტყველება მკაცრი კონტროლის ქვეშ უნდა მოაქციოთ.

შეგიძლიათ დააკვირდეთ, ცხოვრებაში ხშირად სულ ცოტა რამის გულისთვისაც კი როგორი მსხვერპლის გაღება გიწევთ. მუქთად არაფრის მიღება არ შეიძლება. ადამიანი მზად არის სიცოცხლე გასწიროს რაღაც პატარა, უმნიშვნელო, არასაჭირო რამისთვისაც კი. მაგრამ არ ეძებს ყველაზე უფრო მთავარს, იმას, რაც ყოველივე დანარჩენს შეიცავს და რაც ყველაფრის საფუძველში დევს. *ატმა* უდიდესია განძეულობათა შორის. რაღაც ერთ რამეზე უარის თქმის შემდეგ შეძლებთ მხოლოდ მეორის მიღებას. განა არ ღირს მაშინ უარი თქვათ ყველა დანარჩენზე იმის გულისთვის, რომ მთელ შეძენილთა

შორის ყველაზე უფრო საჭირო და ღირებული მიიღოთ? განა ყველაფერი არ უნდა გასწიროთ *ატმას* მიღწევის გულისთვის?

თუ ბაზარში ბოსტნეულის ყიდვა გინდათ, ამისთვის ფული უნდა გადაიხადოთ. თუ ფულს არ შესთავაზებთ, ანუ თქვენი ფულის ნაწილს არ გაიღებთ მსხვერპლად, ბოსტნეულს ვერ მიიღებთ. როცა ერთ რაღაცას მისცემთ, რაღაც მეორის მიღებას შეძლებთ. ასეთივე სახით, თუ რაღაც ზნეობრიობის შეძენა გსურთ, ცუდ თვისებებზე უნდა თქვათ უარი. თუ თქვენს სიმპათიებსა და ანტიპათიებს გაიღებთ მსხვერპლად, სულის უშფოთველობას მიაღწევთ. მხოლოდ ცუდი თვისებების შეწირვის შემთხვევაში მიაღწევთ კეთილშობილ თვისებებს; მხოლოდ ცუდ აზრებზე, ცუდ ჩვეულებებსა და ცუდ ქცევაზე უარის თქმის შემთხვევაში შეძლებთ მიაღწიოთ კარგ აზრებს, კარგ ჩვეულებებსა და კარგ ქცევას.

მრავალი ბრძენი მოწმობს, რომ ენას მუდამ სწყურია მხოლოდ კარგით ტკბობა და თქვენთვის ყველაფერი ადვილი გახდება, როცა ენაზე კონტროლს შეძლებთ. ძირითადი გზა ასეთი კონტროლის განხორციელებისთვის მდუმარების დაცვაა. მდუმარება არა მარტო ენის ალაგმვას განეკუთვნება. არა მარტო მდუმარების პრაქტიკას უნდა ეწეოდეთ მეტყველებაში, არამედ ასევე მდუმარების პრაქტიკას აზრებში. თქვენი გონება თავისუფალი უნდა იყოს აზრებისგან. ამაში მდგომარეობს ჭეშმარიტი მდუმარება.

განავითარეთ გარჩევის გრძნობა

თუ გინდათთქვენ მიერ მიღებულ საკვებზე კონტროლს მიაღწიოთ, არ უნდა აგრძელებდეთ ენის კვებას იმ ყველაფრით, რასაც ის მოისურვებს. უნდა განავითაროთ *ბუდჰი-იოგა,* რაც ნიშნავს ავითარებდეთ გონებას, რომელსაც გარჩევის უნარი აქვს. საჭიროა გარჩევის უნარს ხმარობდეთ იმისათვის, რომ მუდამ პოულობდეთ იმას, რაც უცვლელია, და განასხვავებდეთ იმისგან, რაც წარმავალია. ეს შეიძლება აღვწეროთ როგორც *ბუდჰი-იოგა* – ინტელექტის *იოგა.*

უნდა იმაში გაერკვიოთ, თქვენ მიერ მიღებული საკვები რომელ თვისებებს განეკუთვნება – *სატვა-გუნის, რაჯა-გუნის* თუ *ტამას-გუნის* თვისებებს, ანუ სუფთაა იგი თუ აღაშფოთებს და დაადაბლებს ჩემს ცნობიერებას. ასეთი სახის კითხვები რომ დაგესვათ თქვენი თავისთვის, ამასთან გარჩევის უნარი გამოგეყენებინათ, და გონივრულად მიგეღოთ საკვები, არ შეგეხებოდათ არც კრიტიკა, არც ქება; მუდამ აღუშფოთველი დარჩებოდით.

მაგრამ თუ საკვებს განურჩევლად იღებთ, არ ცდილობთ გამოარკვიოთ, სუფთაა იგი თუ თქვენი ცნობიერების სიმშვიდეს დაარღვევს, მის დონეს დაბლა დასწევს, თუ მხოლოდ იმაზე ფიქრობთ,

რომ შიმშილი მოიკლათ და სანერწყვე ჯირკვლები დაიკმაყოფილოთ, ვერ შეძლებთ მიბმულობებისა და გრძნობების კონტროლს. იმ დონემდე დახვალთ, რომ უძლური გახდებით. თუ ვინმე შენიშვნას მოგცემთ, გაგაკრიტიკებთ ან ბრალს დაგდებთ, თქვენ დაიწყებთ სიმტკიცის დაკარგვას და იმის შეგრძნებას, რომ მთელი სამყარო თქვენი წინააღმდეგია. როგორც კი გაგაკრიტიკებენ, თქვენი ბედნიერება გაქრება, მწუხარება მოგიცავთ და გექნებათ იმის გრძნობა, რომ ცხოვრება უსარგებლოა.

მეორე მხრივ, თუ ვინმე შეგაქებთ და მაღალ შეფასებას მოგცემთ, თქვენი ეგო და სიამაყე გაბერვას დაიწყებს, და თითქმის შეუძლებელი იქნება მათი დაქვემდებარება. რა არის ასეთი არასტაბილურობის მიზეზი? ასეთი სახის სისუსტის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენს ის საკვები, რომელსაც თქვენ იღებთ.

საკვების, სამზარეულო ხელსაწყოებისა და მზარეულის სისუფთავე

გიტა ხაზს უსვამს იმის აუცილებლობას, რომ უაღრესად სათუთად ირჩევდეთ საკვებს, მუდამ გქონდეთ თავში *სატვიური* საკვების მნიშვნელოვნობა, რომელიც ყველა სიტუაციაში სიმშვიდის დაცვაში გეხმარებათ, რომ ცაში არ დაფრინავდეთ, როცა გაქებენ, და დეპრესიაში არ ვარდებოდეთ, როცა გაკრიტიკებენ. *გიტა* ასევე აცხადებს, რომ დაცული უნდა იყოს სისუფთავე ჭურჭლის და სამზარეულო ხელსაწყოებისა, რომლებსაც საკვების მოსამზადებლად იყენებთ, აგრეთვე თვითონ საკვების მომზადების სისუფთავე. ჭურჭელი აბსოლუტურად სუფთა უნდა იყოს. ეს ეხება არა მარტო ფიზიკურ სისუფთავეს, არამედ ასევე იმას, როგორ იქნა მიღებული ჭურჭელი და საკვები. უნდა გაარკვიოთ, ეს ყველაფერი სათანადო სახითა და სუფთა შრომით თუ არაწმინდა გზით იქნა მიღებული. უპატიოსნო გზით მიღებული და საკვების მომზადებისთვის ხმარებული საგნები არა მარტო ცუდ აზრებს შეუწყობს ხელს, არამედ გაიძულებთ, რომ მცდარ გზაზე დადგეთ.

შემდეგი ნაბიჯია თვითონ საკვების მომზადების პროცესის სისუფთავის გარკვევა: იმ ადამიანის აზრებისა და გრძნობებისა, რომელიც საჭმელს ამზადებდა. ნახსენები იყო სამი რამ, რომელსაც უნდა ყურადღებით აკვირდებოდეთ და მუდამ აკონტროლებდეთ. ჩვეულებრივად ყურადღებას აქცევთ ჭურჭლის სისუფთავეს, და არა დანარჩენ ორ მხარეს, სახელდობრ კი: იმ ადამიანის სისუფთავეს, რომელიც საჭმელს ამზადებს, და თვითონ საკვების სისუფთავეს. არ იცით, რა გრძნობები აქვს გულში მზარეულს, და არ იცით, პატიოსანი

გზით მიიღო თუ არა გამყიდველმა სურსათი, რომელსაც თქვენ ბაზარში ყიდულობთ.

ამიტომ სანამ ჭამას შეუდგებოდეთ, უნდა ილოცოთ და საჭმელი ღმერთს შესთავაზოთ, რომ მისი განწმენდის წეს-ჩვეულება შეასრულოთ. ჭამის წინ ლოცვა წარმოითქმება არა ღმერთისთვის, არამედ თქვენ სასიკეთოდ: იგი ღმერთის კურთხევის დახმარებით საჭმელს წმენდს.

ლოცვა, რომელიც ღმერთს საჭმელს სთავაზობს

ლოცვა, რომელიც უნდა ჭამის წინ გამოიყენოთ, ეს არის გიტას 24-ე ლექსი მე-4 თავიდან და მე-14 ლექსი მე-15 თავიდან.

Brahmaarpanam, Brahma Havir,
Brahmaagnau Brahmanaa Hutam,
Brahmaiva Tena Gantavyam,
Brahma Karma Samaadhinaha.

Aham Vaishvaanaro Bhutvaa,
Praaninaam Dehamaashritaha,
Praanaapaana Samaa Yuktaha,
Pachaamy Annam Chatur Vidham.

შეწირვის აქტი ბრაჰმანია, თვითონ შესაწირავი ბრაჰმანია,

შეთავაზებულია ბრაჰმანის მიერ წმინდა ცეცხლზე, რომელიც წარმოადგენს ბრაჰმანს.

მხოლოდ ის მიაღწევს ბრაჰმანს, ვინც თავის ყველა მოქმედებაში მთლიანად ბრაჰმანშია განზავებული.

მე ვარ ვაიშვანარო – ყოვლისგანმსჭვალავი კოსმოსური ენერგია,

რომელიც ცოცხალ არსებათა სხეულებში იმყოფება.

წარმოვადგენ რა ცხოვრების სუნთქვის (ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა) გამოხატვას,

მე ვშთანთქავ საკვების სხვადასხვა სახეს.

სანამ ამ საჭმელს შესთავაზებდეთ უფალს, საჭმელი არის მხოლოდ უბრალოდ საჭმელი, მაგრამ როგორც კი ის უფალს შესთავაზეთ, იგი ხდება *პრასადი* – ნაკურთხი საჭმელი. ეს ლოცვა სპობს ყველა ნაკლოვანებასა და არასრულყოფილებას ჭურჭელში და საჭმლის საგნებში ისევე, როგორც სპობს ყველა ნეგატიურ ზემოქმედებას, რომელიც საჭმლის მომზადების პროცესის დროს გაჩნდა. *გიტას* შესაბამისად ენის კონტროლის დაწესება და *სატვიური*

საჭმლის შეზღუდული რაოდენობით მიღება უაღრესად მნიშვნელოვანია ერთგულისთვის.

ენის როლი მეტყველებაში

ენის მეორე ასპექტია ლაპარაკი. როგორც უკვე იყო ნახსენები, მეტყველება მძლავრ ზემოქმედებას ახდენს გონებაზე და მთელ მენტალურ პროცესზე. მას უზარმაზარი ძალა აქვს. მას გონების აბნევა შეუძლია, გულის გატეხა შეუძლია. თქვენი მოკვლაც კი შეუძლია. ასევე ცხოვრებაში თქვენი მიზნის მიღწევაში დახმარება შეუძლია. აი ორი ერთმანეთის საპირისპირო შედეგი, ორივე წარმოთქმული სიტყვით მიიღწევა.

შესაბამისი სიტყვების გამოყენებით ადამიანის მთელი გონების გარდაქმნა შეიძლება. სამწუხაროდ, მრავალ მეცნიერს არ სჯერა ეს. ისინი ფიქრობენ:

„როგორ შეიძლება გონების გარდაქმნა მხოლოდ სიტყვებით? რა ექსპერიმენტები იქნა ჩატარებული იმის დასამტკიცებლად, რომ მეტყველების ასეთი ძალა არსებობს? სიტყვები მხოლოდ უხეში ხმებია, რომლებიც ყურს ესმის. მაგრამ გონება ძალიან ფაქიზი რამ არის. როგორ შეუძლია უბრალო ხმებს იმის ტრანსფორმირება მოახდინოს, რაც ასეთი მოუხელთებელი და ნატიფია? ეს შეუძლებელია“.

ეს მეცნიერები ჩვეულებრივ ამგვარად კამათობენ, ამბობენ, რომ შეუძლებელია სიტყვების დახმარებით მენტალური გარდაქმნა. მოვიყვან პატარა მაგალითს.

მოთხრობა მოსამსახურზე და მოძღვარზე

ინდოეთის ადმინისტრაციული სამსახურის ერთ-ერთ მსახურს ეს ყველაფერი ისევე სჯეროდა, როგორც ზემოხსენებულ მეცნიერებს სჯერათ. იგი ერთ-ერთი რაიონის განათლების სისტემაში მდივნად მუშაობდა, და ერთხელ ეწვია სკოლას, სადაც მოძღვარი ბავშვებს *ვედებს* ასწავლიდა. ეს სულიერი მასწავლებელი რამდენიმე საათის განმავლობაში განუწყვეტლივ ლაპარაკობდა. სანამ მოსამსახურე იქ იჯდა და ამ ყველაფერს უსმენდა, მას თავი ასტკივდა. ბოლოს მან მასწავლებელს უთხრა:

„ძვირფასო მეგობარო, ესენი ხომ პატარა ბავშვებია. არ შეიძლება საათობით განუწყვეტლივ ასეთი გრძელი ლექციებით ტვირთავდეთ მათ. მათთვის ეს სრულიად უსარგებლოა. ასეთ პატარა ბავშვებს არ შეუძლიათ შეითვისონ და გაიგონ სულიერი ჭეშმარიტებები და ღრმა ვედიური კონცეფციები“.

მასწავლებელმა უპასუხა, რომ ბავშვების სწორ გზაზე დაყენება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ისინი ასეთ ნაზ და შთამბეჭდავ

ასაკში იმყოფებიან. იგი თვლიდა, რომ თუ მათ ასეთ კეთილშობილ ჭეშმარიტებებს სულ თავიდანვე ასწავლის, ეს მათ გულებს ეჭვებისაგან გაწმენდს და სწორ გზაზე დააყენებს ცხოვრებაში. მოსამსახურემ თქვა:

„არ მჯერა ამ სიტყვების. როგორ უნდა გარდაქმნას მხოლოდ სიტყვებმა გონება? ნებისმიერ შემთხვევაში არ ვფიქრობ, რომ ეს შესაძლებელია“.

მასწავლებელი ცდილობდა სხვადასხვა გზით, სხვადასხვა განმარტებითა და არგუმენტით დაერწმუნებინა ის, მაგრამ მოსამსახურეს ამის მოსმენაც კი არ უნდოდა, ნებას არ აძლევდა მასწავლებლის სიბრძნეს, რომ მასში შეეღწია. ეს იყო ის შემთხვევა, როცა გონება ჩაკეტილია. მეტისმეტად დიდი განათლების შედეგი ხდება ფსიქიკური აშლილობის მაგვარი რამ – სწრაფად გაჩენილი ეჭვები და მათი მომყოლი ტვინის ჭყლეტა; ცოტა ხნის შემდეგ ყველა ზნეობრიობა ქრება, და ლოგიკა სუსტდება. როდესაც მასწავლებელი მიხვდა, რომ, როგორც არ უნდა ეცადა, მოსამსახურისთვის თავისი თვალსაზრისის ახსნას ვერ შეძლებდა, მან თავისი აზრის დამტკიცება გადაწყვიტა პრაქტიკული გაკვეთილით, რომლის გაგებასაც მოსამსახურე ნამდვილად შეძლებდა. მან სთხოვა ერთ-ერთ უმცროს მოსწავლეს, რომ ამდგარიყო და ამ პატარა ბიჭისთვის ეთქვა:

„ყმაწვილო, წადი და უბრალოდ გააგდე ოთახიდან ეს მოსამსახურე. დაუყოვნებლივ გააკეთე ეს!“

როგორც კი ეს გაიგონა, მოსამსახურე მძვინვარებამ მოიცვა. მან ყვირილი დაიწყო:

„ვინ გგონია შენი თავი? მე ვარ ინდოეთის ადმინისტრაციის მოსამსახურე, ამ რაიონის განათლების სისტემის მდივანი, შენ კი ბავშვს სთხოვ, რომ გამაგდოს! როგორ ბედავ ამას?“

მაშინ მასწავლებელმა მოსამსახურეს უთხრა:

„ხედავთ, სერ, არ გცემეთ, დარტყმები არ მოგაყენეთ და არც კი შეგეხეთ. არაფერი გაგიკეთეთ. მაგრამ უბრალოდ როცა სიტყვები მოისმინეთ, როგორც ჩანს, ძალიან გამწარდით. რა არის იმის მიზეზი, რომ ასე გაბრაზდით? ეს იმის გამოა, რომ ეს რამდენიმე სიტყვა წარმოვთქვი, ხომ ასეა?“

აი ასე აჩვენა მასწავლებელმა, რომ სიტყვები ძალიან ძლიერია: მათ უზარმაზარი უნარი გააჩნია როგორც დიდი ზიანის მიყენებისა, ასევე დიდი სიკეთის მოტანისა, იმისგან დამოკიდებულებით, როგორ ხმარობენ მათ. ასეთი პირადი გაკვეთილის შემდეგ მოსამსახურე წავიდა, მაგრამ მიღებული გამოცდილების წყალობით ახლა უფრო გონიერი გახდა.

სიტყვის ძალა

წმინდა წერილშიც შეიძლება პოვნა მტკიცებისა, რომელიც იმაზე მიუთითებს, რომ სიტყვები უაღრესად მძლავრია და მათ ამ სამყაროს მოსპობაც კი შეუძლიათ. იქ ნათქვამია, რომ თუ ხეს მოჭრით, შეიძლება მასზე ყლორტები კვლავ გამოიზარდოს; ანდა თუ რკინის ნაჭერი ორად გადატყდება, მჭედელი მათ გააცხელებს, გააბრტყელებს და კვლავ შეაერთებს. მაგრამ თუ გესლიანი სიტყვებით გულს გატეხთ, მას ვეღარასოდეს აღადგენთ. სიტყვებს შეუძლიათ არა მარტო უსასრულო ტანჯვების მიყენება, არამედ უსაზღვრო სიხარულის ჩუქებაც. შესაბამისად, ძალიან ფრთხილი უნდა იყოთ, რომ თქვენ მიერ წარმოთქმულმა სიტყვებმა სხვებს არ აწყენინოს და გული არ ატკინოს.

თუ ფიზიკურ პლანზე ფეხი დაგისხლტებათ და წაიქცევით, ამან შეიძლება პატარა ტრავმა მოგაყენოთ, რომელიც რაღაც დროით უხერხულობას მოგიტანთ, მაგრამ სერიოზული შედეგები არ იქნება. მაგრამ თუ ენას მკვეთრი სიტყვა წამოცდება, და ამით სხვა ადამიანის გონებას ან გულს ტკივილს მიაყენებთ, მას შეიძლება ისეთი ჭრილობა გაუჩნდეს, რომელსაც მსოფლიოში ვერც ერთი ექიმი ვერ მოარჩენს. ამიტომ არასოდეს იხმაროთ ის სიტყვები, რომლებიც შეიძლება სხვა ადამიანის გრძნობებს მოხვდეს. დადგება დრო, როცა თქვენ მიერ ხმარებული სიტყვები თქვენვე დაგიბრუნდებათ. ამიტომ ყოველთვის ნაზი და კეთილი სიტყვები იხმარეთ.

ნათქვამია, რომ ენას ძალიან უყვარს ტკბილი; შეგიძლიათ მას მიმართოთ და უთხრათ:

„ენავ, შენ ხომ ძალიან გიყვარს ტკბილი, მაშ რატომ არ უნდა გაჩერდე უფლის ტკბილ სახელზე? იცი რას ნიშნავს ჭეშმარიტი მსხვერპლი; შენ მსხვერპლის თვით განხორციელება ხარ. მხოლოდ უფლის სახელის გალობისთვის გამოიყენე შენი თავი. იგალობე ნარაიანაზე, გოვინდაზე, მადჰავაზე და ასეთი სახით გახდი წმინდანი და უცოდველი“.

თავგანწირვა და დიდი მოთმინება

ამრიგად, რატომ ვამბობთ, რომ ენამ იცის მსხვერპლის ჭეშმარიტი მნიშვნელობა და იგი აბსოლუტურად უანგარო? სინამდვილეში ეს ყოველდღიურად ხდება. მაგალითად, როდესაც ენას ტკბილეულს აძლევთ, ის გემოს უსინჯავს მას, და როდესაც რწმუნდება, რომ გემრიელია, თავის თავს ეუბნება: *„მინდა ეს შესანიშნავი ტკბილეული კუჭს გადავცე, რომ ისიც დატკბეს მით“.* მაგრამ დავუშვათ, რომ ენამ რაღაც მწარე მიიღო; მაშინ ის კი არ გადასცემს ამას კუჭს, არამედ დაუყოვნებლივ გადმოაფურთხებს პირიდან, რომ კუჭი არ გაამწაროს. კარგს თუ ცუდს, ტკბილს თუ მწარეს – ენა არაფერს აჩერებს პირში,

თავისი საკუთარი სიამოვნებისთვის. იგი უანგაროდ და ღირსეულად ცხოვრობს, და კარგად იცის საკუთარი შეზღუდვები. ნებისმიერი დროის განმავლობაში იგი სიამოვნებით რჩება პირში ჩაკეტილი. ჩნდება თუ არა ის გარეთ ერთჯერ მაინც? არა. რა სამუშაოსაც არ უნდა ასრულებდეს, იგი მას უსიტყვოდ აკეთებს პირში.

თუმცა არის ენის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თვისება: იგი არაჩვეულებრივ თავშეკავებულობას ფლობს. როგორიც არ უნდა იყოს მისი სიძნელენი და პრობლემები და რა უსიამოვნებებიც არ უნდა მოჰქონდეთ მისთვის სხვებს, იგი მუდამ თავის თავზე ფოკუსირებული რჩება, არასოდეს სცილდება საზღვრებს და მუდამ იცავს თავშეკავებულობას. იგი ცხოვრობს ძალიან მავნე გარემოცვაში: ძალიან ბასრი და ძლიერი კბილების გარემოცვაში. დიდი ხელოვნებაა საჭირო იმისათვის, რომ არ იყოს დაკბენილი ამ აგრესიულ თანამოძმეთა მიერ, რომლების მასთან ერთად ამ ვიწრო საცხოვრებელში ცხოვრობენ. არაჩვეულებრივი ხელოვნებითა და მოთმინებით იგი მშვენივრად თანაარსებობს ამ საშინელი არსებების მეზობლად, და არასოდეს ვარდება უბედურებაში.

ამრიგად, ენას შეუძლია ბევრი ძალიან მნიშვნელოვანი და ერთობ სასარგებლო გაკვეთილი მოგცეთ. მაგალითად ის გასწავლით, რომ შეგიძლიათ იცხოვროთ იმ ადამიანთა შორის, რომლებთანაც ძალიან ძნელია ცხოვრება; მზრუნველობით, მოთმინებითა და მოხერხებით შეგიძლიათ ბედნიერი ცხოვრებით დატკბეთ, მიუხედავად ძნელად ასატანი გარემოებებისა. მაგრამ დღევანდელ მსოფლიოში ძალიან ცოტაა ადამიანები, რომლებიც ასეთ კარგ მაგალითებს მიჰყვებიან. უმრავლეს შემთხვევაში, როგორც კი ცუდ ადამიანებთან კონტაქტში შედიან, მათაც უჩნდებათ მიდრეკილება იმისკენ, რომ ცუდები გახდნენ. ყველა კარგი გრძნობა, კარგი თვისება, კარგი აზრი, კარგი ქცევა ერთ წამში ქრება, და ადამიანები მთელ თავიანთ დამსახურებასა და ზნეობრიობას კარგავენ. იმისათვის რომ ასეთმა ცუდმა შედეგებმა არ გავნონ, საჭიროა ენაზე სრული კონტროლი დაამყაროთ.

ლაპარაკი სულიერი ენერგიის ხარჯვაა

სვამი ძალიან ხშირად ეუბნება სტუდენტებს:

„ძვირფასო სტუდენტებო, არ არის საჭირო მეტისმეტად ბევრი ლაპარაკი. თქვენში არსებული ღვთაებრივი ენერგია ამ პროცესში იხარჯება. თუ მეტისმეტად ბევრს ილაპარაკებთ, მეხსიერების ძალას დაკარგავთ, და სხეულში სისუსტე განვითარდება. საბოლოო შედეგი იქნება ნაადრევი დაბერება. გარდა ამისა, ცუდ რეპუტაციას გამოიმუშავებთ“.

წარმოიდგინეთ რადიო. შეგიძლიათ ჩართოთ იგი, რომ მოუსმინოთ ახალ ამბებს ან რელიგიურ გალობებს; მაგრამ თუ მისი გამორთვა დაგავიწყდათ, ის უმიზნოდ მუშაობას გააგრძელებს. რამდენ ელექტრობას დახარჯავს, თუ გადაცემის ტრანსლირებას შეუსვენებლივ გააგრძელებს მთელ დღეს, და ძვირად ღირებულ ენერგიას ფუჭად იხმარს? ჩვენი სხეული შეიძლება ამ რადიოს შევადაროთ, ხოლო ინტელექტი შეიძლება ჩავთვალოთ ამომრთველად, რომელმაც რადიო ჩართო, მაგრამ გამორთვა ვერ შეძლო. ამ შედარებაში სწორედ თქვენი გონება იქნება უსარგებლო ხმა მთელი დღის განმავლობაში უწყვეტი ყბედობისა სიტყვებისა და ლაპარაკის ფორმაში. წმინდა ღვთაებრივი ენერგია თქვენში ასეთი სახის დაუსრულებელი ლაპარაკის გამო ფუჭად იხარჯება.

გამთენიიდან, როდესაც საწოლიდან დგებით, და დაბინდებამდე, როდესაც დასაძინებლად წვებით, ლაპარაკობთ, ლაპარაკობთ, ხმამაღლა თუ არა, უხმოდ, გუნებაში მაინც. მაშინაც კი, თუ ხმას დაუწევთ, ლაპარაკი მაინც უსასრულოდ გრძელდება. რადიო შეუჩერებლად აგრძელებს მუშაობას, და თქვენში არსებული *ატმას* დაუფასებელი ენერგია ფუჭად იხარჯება ისევე, როგორც ელექტრობა იხარჯება რადიოს შემთხვევაში, იმისგან დამოუკიდებლად, ხმამაღლა ჟღერს იგი თუ ხმადაბლა. ენერგია უბრალოდ ქრება.

ნაადრევი დაბერებისა და დაძაბუნების ყველაზე უფრო გავრცელებულ მიზეზს ასეთი ყბედობა წარმოადგენს. მასში კარგი არაფერია. მდუმარებას უნდა იცავდეთ. თქვენ დაბადებიდანვე არ განავითარეთ ჩუმად ყოფნის ჩვეულება. განავითარეთ ის ახლა. ფაქტიურად ენის ორი ფუნქცია მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ჭარბი ლაპარაკი არაბუნებრივ შიმშილს იწვევს. როდესაც ის, ვინც ლაპარაკობს, მშიერად გრძნობს თავს, რა თქმა უნდა, მეტს ჭამს. ჭარბი საკვების მიღების გამო ჩნდება გრძნობა, რომელიც გამოიხატება ლაპარაკისკენ კიდევ უფრო მეტ მისწრაფებაში. ამ პროცესში გრძნობების კონტროლი თითქმის შეუძლებელი ამოცანა ხდება.

თუ ცხენს ძალიან კალორიულ საკვებს მისცემთ, შემდეგ კი ბოძზე მიაბამთ, იგი ნერვიული და მოუსვენარი იქნება და ადგილზე ვერ გაჩერდება. თუ ცხენს კალორიულ საკვებს აძლევთ, მაშინ ასევე ფიზიკური დატვირთვაც უნდა მისცეთ. ასეთივე სახით, თუ ნოყიერ საჭმელს მიიღებთ და გაძლიერებულად და ფიზიკური დატვირთვით არ იმუშავებთ, ნერვიული და მოუსვენარი გახდებით, ასევე ეგოს თავმოყვარეობისა და სიამაყის გრძნობები გაგიჩნდებათ. შესაბამისი დატვირთვები გაამყარებს თქვენს ჯანმრთელობას და ამ ნეგატიური ტენდენციების გაკონტროლებაში დაგეხმარებათ.

სულიერი პრაქტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ თქვენ მიერ მიღებული საკვები საზოგადოების მსახურებისთვის იქნას გამოყენებული. მტკიცენი უნდა იყოთ იმაში, რომ მხოლოდ სიკეთე აკეთოთ. უბედურების წინაშე არ უნდა კანკალებდეთ, როგორც ცეცხლის ალი ქარის დროს. საკუთარი თავის მტკიცე რწმენა უნდა გქონდეთ.

თავისი თავის რწმენა

ავიღოთ პატარა ჩიტი, რომელიც მოფრინდა, დაჯდა ტოტზე და რაღაც დროის განმავლობაში მასზე ჯდომას განაგრძობს. ახლა კი დავუშვათ, რომ ქარი ადგა, და ტოტი წინ და უკან რხევას იწყებს. ტოტის ასეთი მოძრაობა ჩიტს ვერ შეაშინებს. რატომ? იმიტომ რომ თავისი საყრდენისთვის ის არა მარტო ტოტზეა დამოკიდებული. მას ფრთების იმედი აქვს და ამიტომ დარწმუნებულია იმაში, რომ ტოტის არავითარი მოძრაობა მისთვის საშიში არ არის და არ ჩამოვარდება. მაგრამ დღეს ყოველდღიური ცხოვრების სულ პატარა სიძნელეებს ადვილად შეუძლია ადამიანის შეშინება. მას არ გააჩნია თავისი თავის რწმენა, რომელიც ჩიტსაც კი აქვს.

რა არის ამის მიზეზი? მიზეზი დიდი რაოდენობის საჭმელია – საკვები, რომელიც *ტამასით* არის სავსე, წიდებით არის სავსე და *რაჯასით* გაჯერებულ გრძნობებს იწვევს, რომლებიც ჟინს და მრისხანებას ახალისებს. შედეგად შეუძლებელია ადამიანის ჭეშმარიტი ბუნების, გაწონასწორებული და *სატვიური* ბუნების, განცდა.

თანამედროვე ახალგაზრდებს მრავალი ეჭვი აქვთ. ისინი უყურებენ ცხოველებსა და ფრინველებს, რომლებსაც ერთმანეთთან სხვადასხვა დამოკიდებულებები აქვთ, და რომლებიც უფრო მეტად ფლობენ თავისუფლებას, და უკვირთ, რატომ არა აქვთ თვითონ ისეთივე თავისუფლება და დამოუკიდებლობა, რომლითაც ცხოველები ტკბებიან. ამ კითხვაზე სწორი პასუხი ასეთია:

„თქვენც გაქვთ ნება, რომ იყოთ თავისუფალნი, მაგრამ ეს არის ადამიანისთვის დამახასიათებელი თავისუფლება, და არა ცხოველისთვის“.

ცხოველები იმ თავისუფლებით სარგებლობენ, რომელიც ცხოველებისთვის არის ბუნებრივი. თქვენ უნდა ტკბებოდეთ ადამიანური თავისუფლებით – თავისუფლებით, რომელიც ბუნებრივია ადამიანისთვის.

იცხოვრეთ როგორც ჭეშმარიტმა ადამიანმა; განავითარეთ ადამიანისთვის დამახასიათებელი თვისებები. არ არის სწორი უწოდებდეთ თქვენს თავს ადამიანს, და ცხოველური თავისუფლებით

სარგებლობდეთ. ადამიანური თვისებებია – თავგანწირვა, სიყვარული, თანაგრძნობა, გულუხვობა, კეთილმოწყალება, არაძალადობა და სხვა კეთილშობილი თვისებები. ნუ ავითარებთ ცხოველებთან დაკავშირებულ თვისებებს, ისეთებს, როგორიცაა ეგოიზმი, მძვინვარება, სიხარბე, სიძულვილი, ეჭვიანობა და სხვა. ამ ცხოველურ თვისებებს ადგილი არა აქვთ ადამიანში.

განდევნეთ ეგოიზმი, სიამაყე და ეჭვიანობა

არასოდეს მისცეთ ეგოიზმს, სიამაყესა და ეჭვიანობას იმის ნება, რომ ისინი თქვენში დასახლდნენ. ეს არის სამი ყველაზე უფრო ცუდი თვისება, რომელიც ადამიანს უტევს. თუ გინდათ შეიძინოთ მხოლოდ კარგი თვისებები, ადამიანური თვისებები ცხოველურის ნაცვლად, ენა უნდა აკონტროლოთ როგორც მეტყველებაში, ასევე საკვებში. ადამიანისთვის ეს არის მეფური გზა. *ბჰაქთი-იოგა*, ერთგულების გზა, მოითხოვს, რომ ენა სწორად გამოიყენოთ; ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა სწორად მოიხმაროთ საკვები და სწორად გამოიყენოთ სიტყვები.

განსაკუთრებით ამ *კალის* ხანაში ენა შეიძლება წმინდა სახელის გამეორებით იოლად აკურთხოთ. იმის ნაცვლად, რომ უაზრო ლაპარაკში ფუჭად ხარჯავდეს ძვირფას ღვთაებრივ ენერგიას, დაე ენა მუდამ ქებას ასხამდეს უფალს და მის სახელს იმეორებდეს. იგალობეთ უფლის სახელი! აი ეს არის ჯეროვანი გზა - ისე იცხოვროთ, რომ მთელი თქვენი არსებობა უფლის თანდასწრების დიდებითა და სიწმინდით შეავსოთ.

თავი მერვე

მხოლოდ სიყვარულის მეშვეობით შეგიძლიათ, რომ ღმერთს მიაღწიოთ

გიტაში უფალი აცხადებს:
„აი ჩემი აღთქმა თქვენთვის: თუ
სიყვარულით გეხსომებით, მოგცემთ
გარჩევის უნარს, ბუდჰი-იოგას, რომლის
დახმარებით შეძლებთ, რომ შემერწყათ
და სამუდამოდ ჩემთან ერთიანი გახდეთ“.

სიყვარულის განხორციელებანო!

ბუდჰი-იოგა განეკუთვნება გარჩევის უნარს, როდესაც განასხვავებთ თქვენს უმაღლეს „**მე**“-ს იმისგან, რაც არ არის თქვენი უმაღლესი „**მე**“; იმას, რაც უცვლელია, იმისგან, რაც იცვლება; იმას, რაც რეალურია, იმისგან, რაც არარეალურია. გარჩევის უნარი ხელმისაწვდომია მხოლოდ იმ ადამიანებისთვის, რომლებმაც თავიანთ თავში სულიერი ერთგულება გახსნეს და უფლის მიმართ სიყვარულით არიან სავსენი. ერთგულება არის სიბრძნის მიღწევისკენ მიმავალი მეფური გზა; სინამდვილეში ეს არის უმაღლესი სულიერი ცოდნისკენ მიმავალი ერთადერთი გზა. *გიტას* მეთორმეტე თავში უფალი აცხადებს: **„ის, ვინც ჩემი ერთგულია, ძალიან ძვირფასია ჩემთვის“.**

ერთგულება

რა არის ერთგულება? ეს არის ღმერთისკენ მიმავალი სიყვარულის უწყვეტი ნაკადი. როდესაც სიყვარული წარმავლისკენ არის მიმართული, ეს არ არის ერთგულება – ეს მხოლოდ მიბმულობის ფორმაა. მაგრამ როდესაც სიყვარული მარადიულისკენ არის მიმართული, იგი ერთგულება ხდება. ერთგულება იწყება ისეთი დამოკიდებულებით, რომ შენ ხარ უფლის მსახური, *დასოჰამი.* მოგვიანებით წინ იწევთ იმ სტადიისკენ, როცა უშუალოდ ღმერთთან აიგივებთ თავს; მაშინ თქვენ წარმოთქვამთ *სოჰამ: „მე ვარ **ის**; უფალი და მე ერთიანი ვართ“.*

პრაქტიკაში ერთგულებამ შეიძლება ორი პრინციპული ფორმა მიიღოს. ერთ-ერთი მათგანია ერთგულების სახე, რომელიც შეიცავს თაყვანისცემის სხვადასხვა პრაქტიკას და რიტუალებს, რომლებსაც ერთგული ატარებს, ისეთებს, როგორიცაა უფლის თაყვანისცემის ტრადიციული პრაქტიკა თექვსმეტი სახის ძღვნის დახმარებით, სხვადასხვა სულიერი ცენტრის მონახულება მომლოცველობის დროს,

წმინდა მდინარეებში განბანა და ა.შ. ეს არის თაყვანისცემის ჩვეულებრივ სახეთა მაგალითები. მაგრამ *გიტაში* უფალი გვასწავლის, რომ ეს არ არის ერთადერთი გზა, რომ თქვენში ერთგულება განავითაროთ. არსებობს ერთგულების გაცილებით უფრო მაღალი ფორმა, რომელსაც ფაქტიურად შეიძლება ჭეშმარიტი ერთგულება ვუწოდოთ; იგი ასოცირდება უმწიკვლო ხასიათის განვითარებასთან და უფლის მიმართ სრულ სიყვარულში ყოფნასთან. ეს არის *პარაბჰაქთი*, ტრანსცენდენტური ერთგულება.

შესაბამისად, არსებობს აშკარა განსხვავება *ბჰაქთის*, ჩვეულებრივ თაყვანისცემასა, და *პარაბჰაქთის*, უმაღლეს ერთგულებას შორის. ჩვეულებრივი ერთგული უფლის თაყვანისცემისთვის იყენებს ფენომენალური (გამჟღავნებული) სამყაროს საგნებს, ისეთებს, როგორიცაა ყვავილები და ფოთლები. საიდან წარმოიშობა ეს საგნები? შეგიძლიათ ისინი თქვენ წარმოშოთ? განა თქვენ შექმენით ეს ყვავილები? არა. ეს ყველაფერი უფლის მიერ არის შექმნილი. მაშ რაში გამოიხატება უფლისთვის შეწირვა, თუ იმას სთავაზობთ, რაც მან თვითონ შექმნა? ასეთი ძღვენი შეიძლება ერთგულების ჩვეულებრივ სახედ ჩაითვალოს. მაგრამ უფლისთვის შეთავაზება თქვენი გულის წმინდა ყვავილებისა, რომლებიც ამ ქვეყნისა არ არის, და სიყვარულითა და ერთგულებით იმისთვის შეთავაზება, ვინც თქვენს გულში იმყოფება, - ეს არის *პარაბჰაქთი*, უმაღლესი ერთგულება. ასეთი ერთგულებისკენ უნდა ისწრაფოდეთ.

მედიტაცია და ერთგულება ერთმანეთისგან არ განსხვავდება

ამ უმაღლეს ერთგულებას შეიძლება ასევე მედიტაცია ეწოდოს. მსოფლიოში საყოველთაოდ მიღებული გაგებით მედიტაცია ითვლება ობიექტზე კონცენტრაცია და ამ ობიექტის მეშვეობით ცნობიერების უმაღლესი მდგომარეობის მიღწევა. მაგრამ ეს მედიტაციისადმი არასწორი მიდგომაა. თუ გამოიკვლევთ სიტყვა *„დჰიანას“* წარმოშობას, რაც ნიშნავს „მედიტაციას“, დაინახავთ, რომ ის განეკუთვნება მხოლოდ და მხოლოდ ღმერთზე მედიტაციას. შესაბამისად, მედიტაცია და ერთგულება სინამდვილეში ერთი და იგივეა; ორივე არის უფალზე კონცენტრაციის პროცესი, როდესაც ყოველივე დანარჩენს გამორიცხავთ და მხოლოდ უფალზე ფიქრობთ. ასეთი მედიტაციის ანუ ერთგულების გარეშე შეუძლებელია უფლის უსაზღვრო ნათების გაცნობიერება და სულიერი ცოდნის ჭეშმარიტად მიღწევა.

თქვენ გინდათ, რომ ხილის ჭამით დატკბეთ, მაგრამ ვერ მიიღებთ მას მანამდე, სანამ ყვავილები არ გაჩნდება. თავიდან ხდება ყვავილობა, ამის შემდეგ ჩნდება ნაყოფი. ერთგულება ჰგავს ყვავილს.

სანამ თქვენში არ განავითარებთ ერთგულებას და გაყვავების შესაძლებლობას არ მისცემთ, სულიერი სიბრძნის ნაყოფს ვერ მიიღებთ. ყვავილის სტადია არის სტადია *დასაჰამი*: *„შენი მსახური ვარ, უფალო“.* ამის შემდეგ გადადიხართ სტადიაზე *სოჰამ*: *„მე ვარ ის, მე ვარ ბრაჰმანი, მე ვარ ღმერთი“.*

დიდმა ბრძენმა ვიდიარანიამ *სადჰანა* (ერთგულების პრაქტიკა) *დასოჰამის* სტადიიდან დაიწყო. თანდათან, დროის რაღაც პერიოდის შემდეგ, მისმა *სადჰანამ დასოჰამიდან სოჰამამდე* აიწია.

ერთხელ, როდესაც ვიდიარანია თავის მოსწავლეებთან *სადჰანას* განიხილავდა, მოსწავლეებმა მას ჰკითხეს:

„სვამი, ყოველთვის გვასწავლიდი, რომ გვეთქვა „დასოჰამ, დასოჰამ“, დღეს კი იმეორებ: „სოჰამ, სოჰამ“ და „შივოჰამ, შივოჰამ“ - მე ვარ შივა, მე ვარ უფალი. ნიშნავს თუ არა ეს, რომ შენი სულიერი პრაქტიკა შეიცვალა?“

გურუმ უპასუხა:

„ჩემო კარგებო, ყოველთვის ვლოცულობდი, ვიმეორებდი „დასოჰამ...“ - უფალო, მე შენი მსახური ვარ, მე შენი მსახური ვარ. მაგრამ ერთხელ ჩიტაჩორა, ის ვინც გულებს იპარავს, მოვიდა და მან „და“ წაიღო. შევიდა ჩემს გულში, „დასოჰამიდან“ „და“ წაიღო და მხოლოდ „სოჰამ“ დამიტოვა. მოგვიანებით მოვიდა ჩემთან სიზმარში და მითხრა: „მანამდე შენი სადჰანა უნდა დაგეწყო „დასოჰამიდან“, მაგრამ სულ უფო და უფრო ახლოს მოდიოდი ჩემთან. ახლა ჩემთვის ძალიან ახლობელი და ძვირფასი გახდი. ამიტომ შეგიძლია უბრალოდ იმეორო „სოჰამ“, იმიტომ რომ შენ და მე ერთიანი გავხდით“.

ოჯახის უფროსი და ბერი

ასეთი *სადჰანის* სხვა მაგალითი ეხება რამაკრიშნა პარამაჰამსას ორ ერთგულს. ერთ-ერთი მათგანი იყო ოჯახის უფროსი, იგი ოჯახურ ცხოვრებას ეწეოდა, მეორე კი იყო *სანიასინი*, იგი განუდგა ამ ქვეყანას. ოჯახის უფროსს ერქვა ნაგამაჰასაია, ხოლო ერთგულ *სანიასინს* კი – ვივეკანანდა. ნაგამაჰასაია უფლის მსახურად გრძნობდა თავს და ამიტომ ყოველთვის *დასოჰამის* პრინციპის პრაქტიკას ეწეოდა. *დასოჰამის* სტადიაზე განსაკუთრებით ეფექტურს წარმოადგენს ის, რომ, ერთგულთა თვინიერებისა და მორჩილების პრაქტიკის წყალობით ეგო სწრაფად ქრება. სანამ გაქვთ ეგო, *ატმას* წმინდა ცოდნას ვერ მიიღებთ.

ეგოიზმის დანახვა ყველგან შეიძლება. არჯუნაც კი, ვისთანაც კრიშნა დიდი ხნის განმავლობაში მეგობრობდა და რომელსაც კრიშნა ასე ეხმარებოდა, მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში ეგოისტური გრძნობების გამო რთულ სიტუაციებში ხვდებოდა.

მხოლოდ მას შემდეგ, როცა არჯუნამ მშვილდი ძირს დააგდო, მთლიანად მიენდო უფალს და თქვა: *„მიბრძანე, უფალო, და შევასრულებ იმ ყველაფერს, რასაც მიბრძანებ!“* - კრიშნამ მას მისცა *გიტა* და უმაღლესი სიბრძნე ასწავლა. სანამ თქვენში ეგოიზმია, ვერ მიაღწევთ *ატმას* – უმაღლესი რეალობის - გაცნობიერებას. და როდესაც უფლის მადლს მიიღებთ, ეგოიზმი თქვენთვის შეუძლებელი იქნება, რადგან როგორ უნდა თანაარსებობდნენ სინათლე და სიბნელე ერთდროულად ერთ და იგივე ადგილას? ეს შეუძლებელია.

მაშ ასე, ნაგამაჰასაიამ თავისი გზა დაიწყო ყველაზე უფრო თვინიერი სახით, *დასაჰამით („მე შენი მსახური ვარ“).* მეორე მხრივ, ვივეკანანდამ თვალთახედვის სიფართოვე აღმოაჩინა იმის წყალობით, რომ მუდამ იმეორებდა: *„შივოჰამ, შივოჰამ: მე ვარ შივა, მე ვარ უსასრულობა, მე ვარ ღმერთი“.* მათი ცხოვრების სხვადასხვა გარემოების წყალობით ნაგამაჰასაია და ვივეკანანდა სხვადასხვა გზით წავიდნენ, რომ ილუზიის ძალა (*მაია*) გადაელახათ. ნაგამაჰასაია, ოჯახის უფროსი, რომელიც *დასოჰამის* გზით მიდიოდა, სულ უფრო და უფრო პატარა ხდებოდა, სანამ არ გახდა ისეთი პატარა, რომ ამ საშინელი ვეფხვის, *მაიას,* ბრჭყალებს შორის გაძვრა. ამ ვეფხვს იგი თავის თათებში ჰყავდა მოქცეული; როდესაც ეგო დაკარგა, ის გათავისუფლდა. ვივეკანანდასთვის *მაიას* ბორკილები, რომლებიც მას აბრმავებდა, ნაწილებად იქნა დამსხვრეული მას შემდეგ, როგორც კი იგი წარმოუდგენლად გაიზარდა, და იმეორებდა: *„შივოჰამ, შივოჰამ: მე ვარ შივა, მე ვარ შივა“.*

მე ვარ ღმერთი

თუ თქვენში განავითარებთ წმინდა და ამაღლებულ იდეას: *„მე ვარ ღმერთი“,* მაშინ ვერაფერი მოგეკარებათ; გზას ვერაფერი გადაგიღობავთ. რა თქმა უნდა, უსარგებლოა ამ სიტყვების უბრალოდ გამეორება; ისინი თქვენი საკუთარი გამოცდილებიდან უნდა მოდიოდეს. სხეულის ცნობიერება უნდა გადალახოთ და გრძნობებზე მკაცრი კონტროლი დაამყაროთ. ამის შემდეგ, მუდამ გააიგივებთ რა თქვენს თავს უფალთან, დროთა განმავლობაში უმაღლეს სიბრძნეს შეიძენთ. ანდა ასევე შეგიძლიათ *დასოჰამის* გზით იაროთ, რომელიც ეფექტურად განდევნის ეგოიზმს თქვენი გულიდან; მაშინ თქვენ ნეტარებით შეივსებით.

ღმერთის შეცნობის გზაზე არსებობს სამი თანმიმდევრული ბილიკი. ეს არის *დვაიტა* – დუალიზმი (ორობითობა), *ვიშიშტადვაიტა* – თვისებრივი არადუალიზმი (გაცნობიერებული არაორობითობა) და *ადვაიტა* – არადუალიზმი (არაორობითობა). სულ თავიდან თქვენ აცხადებთ: *„მე ვარ ღმერთის ერთგული“.* აქ არის ორი არსი: ერთი –

ღმერთი, მეორე კი – შენ, ერთგული. გჯერათ რომ ღმერთი სადღაც შორს იმყოფება, და უნდა ეცადოთ, რომ იპოვოთ, მიუახლოვდეთ და მის გვერდით აღმოჩნდეთ. თანდათან ამ გზაზე წინ მიიწევთ და დროთა განმავლობაში უფლის პირისპირ აღმოჩნდებით; მაშინ მას ეუბნებით: *„უფალო, შენი ერთგული ვარ“.* ამ მეორე სტადიაზე ღმერთის წინ დგახართ და აცხადებთ, რომ თვით უფლის ერთგული ხართ. ამის შემდეგ, მესამე სტადიაზე, შეგიძლიათ დაადასტუროთ: *„მე ვარ შენ, შენ ხარ მე, ჩვენ ერთი ვართ“.*

პირველი სტადია, რომელიც განისაზრვრება განცხადებით: *„მე ვარ ღმერთის ერთგული“,* სადაც ღმერთის აღიარება ხდება როგორც თქვენგან შორს მყოფი სახისა, - ეს არის *დვაიტა.* მეორე სტადია, სადაც უფალს პირდაპირ ეუბნებით: *„უფალო, მე ვარ შენი ერთგული“* და მას თქვენს გულში გრძნობთ, - ეს არის სტადია *ვიშიშტადვაიტა.* მესამე სტადია, რომელშიაც იხსნება ჭეშმარიტება: *„უფალო, მე ვარ შენ, შენ კი ხარ მე“,* სადაც შეუძლებელია თქვენ და ღმერთს შორის ზღვარი გაავლოთ, არის *ადვაიტა*, არადუალიზმი.

ფორმიდან უფორმოსკენ

თქვენს გზას დუალიზმიდან იწყებთ და ბოლოს და ბოლოს არადუალიზმის სტადიაზე ასრულებთ. *სადჰანას* ერთგულების ძალიან ჩვეულებრივი სახით იწყებთ, როცა გარეგნობისა და ატრიბუტების მქონე ღმერთს სცემთ თაყვანს, და რიტუალებსა და თაყვანისცემის გარეშე ფორმებს იყენებთ. მაგრამ შემდეგ ღვთაების უფორმო, აბსოლუტურ ასპექტამდე მაღლდებით. ამრიგად, როდესაც უფლის მსახური გახდით, თავიდან სულიერად ვითარდებით, ბოლოს კი თქვენს თავს უფალთან აიგივებთ.

ერთი წუთით წარმოიდგინეთ დიდი წრე, მის გვერდით კი იმყოფება გაცილებით უფრო პატარა ზომის წრე, რომელიც დიდ წრეს არ ეხება. დიდი წრე ჩავთვალოთ ღმერთად, პატარა კი – *ჯივად*, ინდივიდუალურ სულად. აქ ინდივიდუუმი აშკარად განსხვავდება ღმერთისგან: ეს არის *დვაიტა*, ორობითობა. როდესაც პატარა წრეს დიდში შეიტანთ, - ეს იქნება *ვიშიშტადვაიტა*, თვისებრივი არადუალიზმი; ახლა *ჯივა* ღვთაების ნაწილი ხდება, იგი ღმერთში არსებობს. როგორ უნდა გამოვხატოთ მნიშვნელობა, როცა *ჯივა* მთლიანად ერწყმის უფალს? პატარა წრე ფართოვდება, უფრო და უფრო დიდი ხდება, სანამ დიდი წრის ზომამდე არ გაიზრდება. ამ მომენტში ორივე წრე განუყოფელი ხდება, *ჯივა* და *დევა* ერთია; ადამიანი ღმერთს შეერწყა. ეს არის *ადვაიტა* – სრული არადუალიზმი.

მიენდეთ თქვენში მყოფ ღმერთს

ერთგულების გზაზე მხოლოდ სრული მორჩილება აძლევს *ჯივას* იმის შესაძლებლობას, რომ გაფართოვდეს და ღმერთს შეერწყას. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენს შეზღუდულ ინდივიდუალობაზე უარს იტყვით და აღიარებთ ღვთაების პრინციპს, რომელიც თქვენშია ჩადებული, ნაკლოვანებები მიგატოვებთ, და გონების სიფართოვე გაგინვითარდებათ, რაც უფალთან შერწყმასთან მიგიყვანთ. როგორ უნდა მიაღწიოთ თქვენი ღვთაებრივი ბუნების ასეთ გაგებას? როგორ უნდა აღიაროთ ღვთაებრიობა თქვენში? ასეთი გაცნობიერების მიღება მხოლოდ მუდმივი პრაქტიკის, *აბჰიასას* დახმარებით შეიძლება.

ამ სამყაროში, სულ ცოტა უნარიც კი რომ შეიძინოთ, მუდმივად უნდა მუშაობდეთ და სრულყოფილდებოდეთ, იქნება ეს კითხვა, წერილი, სიარული თუ ჭამა – ეს ყველაფერი მხოლოდ პრაქტიკით ვითარდება. თუ პრაქტიკას პირველი ნაბიჯით დაიწყებთ, მაშინ ბოლო ნაბიჯის მიღწევას შეძლებთ. ასეთ შემთხვევაში ბოლო ნაბიჯი ნიშნავს ცოდნის შეძენას, რომელსაც გათავისუფლებამდე მიჰყავხართ.

არსებობს ცოდნის ორი სახე. ერთი სახე განეკუთვნება სულიერ ცოდნას, მეორე – ფიზიკური სამყაროს ცოდნას. ობიექტის სხვადასხვა თვისებების გამოკვლევა არის ჩვეულებრივი ცოდნა, რომელიც ამ სამყაროსთან არის დაკავშირებული. მაგრამ საფუძველში არსებული შინაგანი პრინციპისა და ყოველი ობიექტის დანიშნულების გაგება, ობიექტისა, რომელიც ოდესმე არსებულა სამყაროში, - ეს არის სულიერი ცოდნა; ეს არის ის, რასაც შეიძლება სიბრძნე ვუწოდოთ. ამ სიბრძნის გარეშე, სულიერი გაგების გარეშე შეუძლებელია ამ სამყაროს ჭეშმარიტი ცოდნის მიღება. ამიტომ ამ სამყაროს უფრო ღრმა ასპექტების გაგებისთვისაც კი სულიერი სიბრძნის მიღებაა საჭირო.

სხეულის გარეშე შეუძლებელია რაიმე მოქმედების შესრულება. სხეული აუცილებელია შრომისა და მოღვაწეობის ყველა სახისთვის, იგი ნებისმიერი პრაქტიკის საფუძველია. გამოიყენეთ სხეული თქვენი მიზნის მისაღწევად და ადამიანებისთვის სასარგებლო მოქმედებების შესასრულებლად.

სურვილთა გარდაქმნა სიბრძნედ

აქ დამსწრე უმცროსმა მოსწავლეებმა რომ უკეთესად გაიგონ ეს კონცეფციები, ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ ტყეში წახვედით პიკნიკზე და ყოველივე აუცილებელი წაიღეთ თან საჭმლის მომზადებისთვის. სანამ საჭმლის მომზადებას დაიწყებდეთ, საჭიროა იპოვოთ სამი ქვა, რომ მათზე დადოთ ჭურჭელი, რომელშიაც საჭმელი

უნდა მოამზადოთ. შემდეგ ერთ-ერთ ჭურჭელში წყალს ასხამთ და ბრინჯს უმატებთ. ჭურჭლის ქვეშ, ქვებს შორის, ცეცხლს ანთებთ.

რისთვის არის აქ საჭირო ცეცხლი? მხოლოდ ცეცხლის დახმარებით შეიძლება ჭურჭელში მდებარე ბრინჯის მომზადება. თუ ბრინჯს ჭურჭლის გარეშე პირდაპირ ცეცხლში ჩადებთ, თქვენთვის საჭირო საჭმელს ვერ მიიღებთ. ცეცხლის მხურვალება გადაეცემა ჭურჭელს, ჭურჭლისგან წყალს, დაბოლოს, წყლისგან ბრინჯს. ამრიგად, ბრინჯი მოხარშულია, და ამ საჭმელს სიამოვნებით მიირთმევთ.

ცხოვრების ტყეში ნეტარებას ეძებთ, რომელიც შეიძლება თქვენ მიერ მომზადებულ საჭმელს შევადაროთ. სამი ქვა არის თვისებები *საცვა*, *რაჯასი* და *ტამასი* (გაწონასწორებულობა, აქტიურობა, პასიურობა). თქვენი სხეული შეიძლება ჭურჭლად ჩავთვალოთ. გრძნობები და სურვილები წყალია, სულიერი მოლოდინები და მისწრაფებები კი – ბრინჯი. სამ ქვას შორის დანთებული ცეცხლი არის განმწმენდი *სადჰანა*, რომელიც სიბრძნის მიღებისთვის არის საჭირო. განმწმენდი ცეცხლი უნდა გამოიყენოთ სხეულისთვის, სხეულის მეშვეობით კი გრძნობებისა და სურვილებისთვის; ისინი თავის მხრივ „მოიხარშება“ და უმაღლეს სულიერ მისწრაფებებად იქცევა, რომლებიც საბოლოო ჯამში გახდება მზა პროდუქტი – სულიერი საკვები, *ატმაჯნანა*, ანუ თქვენი თავის ცოდნა – რომლისკენაც ასე ისწრაფოდით.

ვერ შეძლებთ სულიერი სიბრძნის გაგებას უშუალოდ გულით, თუ ცეცხლით დამუშავების პროცესს არ გაივლით. სხეულისა და კარგი საქმეების დახმარებით უნდა თქვენი სურვილები დაწვათ, და სულიერ მისწრაფებებად აქციოთ ისინი. ეს უმაღლესი ცოდნის შეძენასთან მიგიყვანთ.

შრომის შედეგებზე უარის თქმა

მედიტაციის პრაქტიკის სწორი გამოყენება არის სურვილებზე თანდათანობითი, ნელი და მუდმივი კონტროლის დამყარება. როდესაც გრძნობათა ორგანოებსა და სურვილებს აკონტროლებთ, შეგიძლიათ მთელი თქვენი მოღვაწეობა სრულიად ბუნებრივად და სპონტანურად განაგრძოთ, და თქვენი შრომის შედეგებს არ ელოდოთ. რა მოქმედებითაც არ უნდა იყოთ დაკავებული, აუცილებლად იქნება რაღაც შედეგები. ამიტომ არ შეიძლება ითქვას, რომ მათ მიმართ ინტერესი არ უნდა გამოიჩინოთ. შედეგებს მუდამ აქვს ადგილი, მაგრამ ნუ შრომობთ მათი მიღების მიზნით, იშრომეთ და ეს შრომა თქვენს ვალად ჩათვალეთ.

როდესაც თქვენს ვალს ასრულებთ, დროდადრო ჩნდება რაღაც სურვილები, აგრეთვე შედეგები. ამაში ცუდი არაფერია. უბრალოდ განაგრძეთ ვალის შესრულება. *გიტა* არ ამბობს, რომ მოქმედებები შედეგების გარეშეა შესაძლებელი. ადამიანები, რომლებმაც სწორად ვერ გაიგეს თავიანთ მოქმედებათა შედეგების მსხვერპლად შეწირვის მნიშვნელობა, უარს ამბობენ თვითონ მოქმედებებზე. მაგრამ მოქმედებების შესრულება აუცილებელია. სანამ საჭმელი არ მოიხარშა, ცეცხლია საჭირო. სანამ შრომისა და შრომის შედეგთა მსხვერპლად შეწირვის შიდა საიდუმლოს არ გაიგებთ, იძულებულნი იქნებით გააგრძელოთ მოქმედებები და ვალი ასრულოთ.

სიყვარული ყოველგვარი სულიერი პრაქტიკის საფუძველია

კეთილშობილი ხასიათი და სწორი ქცევა შინაგან ჭეშმარიტებას მოწმობს ადამიანში; ეს ჭეშმარიტება სიყვარულზეა დაფუძნებული. *კარმა-იოგით* ხართ დაკავებული, და მოქმედებათა შედეგებზე უარს ამბობთ, თუ *ბჰაქთი-იოგით*, და ყველგან მსუფევ უფალს უმზერთ, თუ *ჯნანა-იოგით*, და სიბრძნის მისაღწევად შინაგანი კვლევის პრაქტიკას ეწევით, - ამ ყველა სულიერი პრაქტიკის საფუძველს სიყვარული წარმოადგენს. ჭეშმარიტება, სიმშვიდე, მართლქმედითი ქცევა და არაძალადობა – *სატია*, *შანტი*, *დჰარმა* და *აჰიმსა* – თავისთავად არ არსებობს. არსებითად ისინი სიყვარულზეა დამოკიდებული.

როდესაც სიყვარული აზრებში ჩნდება, იგი ჭეშმარიტება ხდება. როდესაც სიყვარული მოქმედების სახით მჟღავნდება, იგი ხდება *დჰარმა* ანუ მართლქმედება. როდესაც თქვენი გრძნობები სიყვარულით არის გაჟღენთილი, თვით სიმშვიდე ხდებით. თვითონ მნიშვნელობა სიტყვისა „სიმშვიდე“ არის სიყვარული. როცა თქვენი გაგება სიყვარულით ივსება, ეს არის *აჰიმსა*.

სიყვარულის პრაქტიკაში გატარება არის *დჰარმა*, სიყვარულით ფიქრი არის *სატია*, გრძნობდე სიყვარულს, ეს არის *შანტი*, ხოლო სიყვარულის გაგება *აჰიმსაა*. სიყვარული ყოველ ამ თვისებაშია დაფარული. *ბუდჰი-იოგაში*, რომელსაც *გიტა* ასწავლის, თავში ერთგულების შესახებ ნათქვამია:

„შეავსეთ თქვენი თავი სიყვარულით და გამოიყენეთ ის, რომ ჩემამდე მოაღწიოთ. ასეთი სახით ახლობელი და ძვირფასი ხდებით ჩემთვის“.

ძვირფასო ერთგულო, შენი ხელები
ასეთი პატარაა, მაგრამ ამ პატარა
ხელებით ცდილობ, რომ მემსახურო.
შენი თვალები ასეთი პატარაა, ჩემი

ქმნილება კი უზარმაზარია. შენი ორი
პატარა თვალით ცდილობ დაინახო
მთელი ჩემი მოუცველი სამყარო. შენი
ყურები ასეთი პატარაა, მაგრამ ამ პატარა
ყურებით ცდილობ დაიჭირო ჩემი სიტყვები.
შენი პატარა ფეხებით ცდილობ მომიახლოვდე.
მაგრამ შენი პატარა ხელებით მსახურება
დიდ სარგებლობას ვერ მოგიტანს. შენი
პატარა თვალებით ჩემი მოუცველი სამყაროს
ყურება ბევრს ვერ მოგცემს. ჩემი ღვთაებრივი
სიტყვების მოსმენა შენი პატარა ყურებით
შორს ვერ წაგიყვანს. და შენი პატარა ფეხების
დახმარებით ჩემს თანდასწრებაში გამოჩენა
დიდ სამსახურს ვერ გაუწევს შენს მიზანს.
მაგრამ არის ის რაღაც, რის გაკეთებაც
შეიძლება და რაც უდიდეს ზემოქმედებას
მოახდენს, რომელიც ჭეშმარიტად
მნიშვნელოვან შედეგს მოიტანს: სამუდამოდ
გამამყარო შენს გულში. როდესაც შენს
გულში ვიქნები, მთელი დანარჩენი მოქმედება
ასე მნიშვნელოვნად აღარ გამოჩნდება.

თაყვანისცემის რა სახითაც არ უნდა იყოთ დაკავებული, როდესაც იყენებთ თვალებს, ყურებს, ხელებს და ფეხებს, ეს ყველაფერი მხოლოდ თქვენი გონების კონტროლისთვის არის საჭირო. მაგრამ როდესაც უფალს გულში შეიპატიჟებთ, მაში ძალიან ადვილი იქნება თქვენთვის გონებისა და გრძნობების კონტროლი. გონება და გრძნობები თავისთავად დამშვიდდება. და საჭირო არ იქნება არავითარი განსაკუთრებული ძალისხმევა იმისათვის, რომ თქვენი მოქმედებების შედეგები მსხვერპლად შესწიროთ. კრიშნამ თქვა:

„როდესაც მხოლოდ ჩემზე ფიქრებში დაიწყებ ყოფნას, მაშინ ავტომატურად ვიზრუნებ ყოველივე დანარჩენზე“.

ასეთ მდგომარეობას რომ მიაღწიოთ, უნდა განავითაროთ მტკიცე გამბედაობა და ურყევი რწმენა ყველგან მსუფევი უფლისა, რომელიც თქვენს გულში იმყოფება.

სიყვარულით და რწმენით შეავსეთ გულები

ღმერთი მუდამ სრულყოფილია; სრულყოფილ უფალს რომ მიაღწიოთ, სრულყოფილი სრული რწმენა უნდა გქონდეთ. თუ ღმერთი მაღალი და სრულყოფილია, თქვენ კი არამაღალი და

არასრულყოფილი ხართ, მაშინ ვერ გაჩნდება საჭირო დამაკავშირებელი ძალა, რომელიც ღმერთთან შეგაერთებთ. იმისათვის, რომ მიაღწიოთ სრულ და სრულყოფილ სიყვარულს, რასაც უფალი წარმოადგენს, თქვენც უნდა გქონდეთ რწმენითა და სიყვარულით სავსე გული. ხოლო თუ ამის ნაცვლად ეჭვებით სავსენი ხართ, მაშინ შლით სიყვარულის ამ პრინციპს, რომელიც თქვენს ჭეშმარიტ ბუნებას წარმოადგენს; ეჭვები დააბნელებს თქვენს გულს და დაგაშორებთ ყოვლის შემძლე, ყოვლის მცოდნე და ყველგან მსუფევი უფლისგან, რომელმაც ყოველი თქვენი აზრი იცის.

ღმერთით შეავსეთ მთელი თქვენი ფიქრები. სიყვარულითა და რწმენით სავსე გულით იფიქრეთ; მაშინ უეჭველად მიაღწევთ მას. *გიტაში* იგი ამბობს, რომ მისთვის ძვირფასი გახდებით, თუ მას მთლიანად, მთელი გულით სცემთ თაყვანს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველგან და ყველაფერში ხედავდეთ მას. *გიტა* აცხადებს: *ადვაიტა სარვა ბჰუტანამ* - „არავინ და არაფერი არ უნდა გძულდეთ მთელ სამყაროში“, იმიტომ რომ უფალი ნებისმიერ სახელში და ფორმაში იმყოფება. როდესაც სიყვარულის გრძნობა მთელ თქვენს არსებას გამსჭვალავს, მისთვის ძალიან ძვირფასი ხდებით.

ყველა კეთილშობილი ადამიანური თვისება მთელი სისრულით უკვე იმყოფება ყოველ ადამიანში, მაგრამ ძალიან ცოტა ადამიანი იჩენს ძალისხმევას იმისათვის, რომ გააცნობიეროს ისინი; ეს ადამიანები დროს ხარჯავენ იმაში, რომ მხოლოდ გარეშე მოქმედებებისკენ ისწრაფვონ ამქვეყნად. მაგრამ ასევე შინაგანი მოქმედებითაც უნდა იყოთ დაკავებული, რომელიც მიზნის მიღწევაში დაგეხმარებათ. მაგალითად, გარეშე რიტუალების გამოყენებით თაყვანისცემას ასრულებთ, მაგრამ ასევე შინაგანადაც უნდა ასრულებდეთ თაყვანისცემას, და უფალს თქვენი გულის ყვავილებს სთავაზობდეთ. მაშინ თქვენს ცხოვრებაში ერთიანობა და ჰარმონია იქნება. როდესაც ასეთ ერთიანობას მიაღწევთ მთელ თქვენს მოღვაწეობაში, როგორც შინაგან, ასევე გარეშე, თქვენი ცხოვრება კურთხეული იქნება, და ყველაფერში, რასაც არ უნდა აკეთებდეთ, განხორციელებას მიაღწევთ.

სიყვარული ადამიანურ თვისებებს შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია

ბჰაქთი-იოგა, ერთგულების *იოგა*, გვასწავლის, რომ სიყვარული ყველაფრის საფუძველია; ეს არის ერთადერთი თვისება, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, რომელსაც უნდა ავითარებდეთ. თქვენი ყველა აზრი სიყვარულის ამ თვისებაში უნდა ჩაეფლოს, და მაშინ ჭეშმარიტება ბუნებრივად გამყარდება თქვენს გულში. ყველა თქვენი

მოქმედება სიყვარულით უნდა იყოს გაჟღენთილი, მაშინ *დჰარმა* თქვენს ყველა საქმეში ბუნებრივად გამოვლინდება. თქვენი ყველა გრძნობა სიყვარულით უნდა იყოს გამსჭვალული, მაშინ უსაზღვრო სიმშვიდით ტკბობას შეძლებთ. და მთელი თქვენი გაგება სიყვარულით უნდა იყოს აღვსილი, მაშინ ვერავის შეიძულებთ და ვერავის აწყენინებთ. შესაბამისად, სიყვარული სულის სიმშვიდის საფუძველია. სიყვარული ჭეშმარიტების თვით დაბადების ადგილია. სიყვარული *დჰარმისა* და *აჰიმსას* თვით საფუძველია. აი ასე ხშირად რატომ ამბობს *სვამი*:

„სიყვარული ღმერთია. ღმერთი სიყვარულია“.

ბჰაქთი-იოგას სწავლების არსი ამ სიყვარულის განვითარება და პრაქტიკაში გამოყენებაა. როდესაც სიყვარულს პრაქტიკაში გამოიყენებთ, მომთმენები გახდებით და ასეთი სახით სრულად განავითარებთ მთელ სიდიადეს, რომელიც თქვენშია ჩადებული.

თავი მეცხრე

სურვილები და მრისხანება ორმაგი ბოროტებაა

სურვილებს მხოლოდ მაშინ გადალახავთ, როცა აზრებს დაამშვიდებთ, და მრისხანების დამარცხებას მხოლოდ მაშინ შეძლებთ, როცა სურვილების გაკონტროლებას ისწავლით. შესაბამისად, სურვილებისა და მრისხანების დაძლევისკენ პირველი ნაბიჯია აზრის პროცესისგან გათავისუფლება. ეს ეხება როგორც ერთგულებს, ასევე ყველა დანარჩენს, მაგრამ როგორც გიტა გვასწავლის თავში ბჰაქთი-იოგას შესახებ, გონების დამშვიდება განსაკუთრებით ერთგულებისთვისაა მნიშვნელოვანი.

სიყვარულის განხორციელებანო!

აზრები ენერგიითა და სასიცოცხლო ძალით არის დამუხტული. ისინი მყარ მატერიაზე უფრო ძლიერიც შეიძლება იყოს. ფიქრს დაბადების მომენტიდან იწყებთ. მატერია, რომლისგანაც თქვენი აზრები შედგება, ძალიან ფაქიზია; იგი თქვენ მიერ მიღებული საკვებიდან ჩნდება. შესაბამისად, თუ მხოლოდ წმინდა საკვებს მოიხმართ, თქვენი აზრები ღვთაებრივი იქნება.

გამოიყენეთ წმინდა აზრები, რომ ნეგატიური აზრები მოიცილოთ

როდესაც ადამიანი ღვთაებრივი აზრებით არის სავსე, მისი მოქმედებები და სიტყვები წმინდა იქნება. წმინდა სიტყვები ბასრი დანის ან მახვილის მსგავსია. შეიძლება კარგი აზრები გამოიყენოთ იმისათვის, რომ ცუდი აზრები, ცუდი გრძნობები და ცუდი მოქმედებები ამოიტანოთ ზედაპირზე, ამის შემდეგ კი მთლიანად მოსპოთ.

მეორე მხრივ, თუ ცუდ საკვებს ჭამთ, მაშინ ცუდი გრძნობები, ცუდი მოქმედებები და ცუდი აზრები აყვავდება. და არა მარტო ეს, არამედ ცუდი საკვების გამო თქვენი სხეული დასუსტდება, საჭმლის მომნელებელი პროცესი ძალას დაკარგავს, და სხვადასხვა მოშლილობებით დაიტანჯებით.

გიტაში უფალი ყურადღებას აპყრობს იმას, რომ ამქვეყნიური აყვავებისთვის, ისევე როგორც ადამიანში ჩადებული სულიერი პოტენციალის აყვავებისთვის, ძლიერ და სუფთა სხეულს არსებითი

მნიშვნელობა აქვს; ამიტომ არის მნიშვნელოვანი იღებდეთ მხოლოდ კარგ საკვებს, და ჭამის წინ აკურთხებდეთ, უფალს სთავაზობდეთ მას.

აზრები და აზროვნების პროცესი გონების თვით ფორმას შეადგენს. თუ აზრები მიპყრობილია გამჟღავნებულ (გრძნობით-აღსაქმელ) სამყაროსკენ და იმ ყველაფრისკენ, რაც მასთან არის დაკავშირებული, მაშინ აზროვნების პროცესები მატერიალური კეთილდღეობითა და ქონებით არის გატაცებული, რადგან ეს ყველაფერი ფენომენალურ სამყაროში ცხოვრების საფუძველს წარმოადგენს. სიტყვა „კეთილდღეობა“ ჩვეულებრივად განეკუთვნება ამქვეყნიურ საკუთრებასა და მიბმულობებს, ისეთებს, როგორიცაა ოქრო, სახლები, მიწა, ისევე როგორც თქვენს შვილებს.

კეთილდღეობის სხვა ფორმაა თქვენი რეპუტაცია, მდგომარეობა და ადგილი ცხოვრებაში. მაგრამ *ბჰაგავად გიტა* არ თვლის თქვენს ჭეშმარიტ სიმდიდრედ არც საკუთრებას, არც სტატუსს; იგი აცხადებს, რომ კარგი ხასიათი, სწორი ქცევა და *ატმას* ცოდნაა თქვენი ჭეშმარიტი სიმდიდრე.

კარგი ხასიათი, კარგი ქცევა და თქვენი „მე“-ს ცოდნა

მიწიერი სახელი და რეპუტაცია, საკუთრება და ოჯახი – ეს ყველაფერი ეფემერულია. ეს ყველაფერი შეიძლება გაქრეს მანამდეც კი, სანამ ცოცხალი ხართ; უბედურებებმა შეიძლება გამოიწვიოს სახელისა და რეპუტაციის, საკუთრებისა და ოჯახის დაკარგვა, და რაც უფრო მნიშვნელოვანია: აქედან არაფერი იქნება თქვენთან დაკავშირებული სიკვდილის შემდეგ. მაგრამ კარგი ხასიათი, კარგი ქცევა, *ატმას* ცოდნა, ყველა კარგი თვისება, რჩებიან რა თქვენს მუდმივ თანამგზავრებად, და არიან რა ყოველთვის მზად, რომ უფლის მიღწევაში და მასთან შერწყმაში დაგეხმარონ, თქვენი დამხმარენი იქნებიან არა მარტო თქვენი ცხოვრების პერიოდში, არამედ მაშინაც, როცა თქვენი ცხოვრება დასრულდება.

თქვენი ჭეშმარიტი რეპუტაცია დამოკიდებული არ არის ფიზიკურ სილამაზეზე ან მომხიბვლელობაზე. იგი არ არის დამოკიდებული თქვენს სიმდიდრეზე. არ არის დამოკიდებული თქვენს ფიზიკურ ძალაზე. იგი დამოკიდებულია მხოლოდ კარგ ხასიათზე. წმინდა წერილებში ნახავთ მოთხრობას ვიშვამიტრაზე, რომელმაც თავისი ფზიკური ძალის იმედით გადაწყვიტა ბრძენ ვაშიშტაზე შური ეძია. ვაშიშტა ძალას მხოლოდ ღმერთში ეძებდა; იგი იყო *ბრაჰმა-რიში*, დიადი სული, რომელიც მუდამ ღვთაებრივ ცნობიერებაში იმყოფებოდა, და ატარებდა *ბრაჰმატეჯას* უჩინარ ფარს – დაცვას, რომელიც ღვთაებრივ პრინციპში ჩაშვებისას ჩნდებოდა.

როდესაც ვიშვამიტრამ, რომელიც იმ დროს ძლევამოსილი და სასტიკი მეფე იყო, სასიკვდილო ისრებითა და სასროლი იარაღებით მასზე იერიში მიიტანა, ბრძენი სრულიად მშვიდი რჩებოდა. ვიშვამიტრას მიერ ვაშიშტაზე მიმართული ისრები უძლური აღმოჩნდა – თითქოს ისინი ქვის მთაზე იყო მიმართული. ვიშვამიტრას მიერ გამოყენებული ყველა სასროლი იარაღი იმსხვრეოდა იმ მომენტში, როცა ვაშიშტას სხეულს ეხებოდა, მიწაზე ვარდებოდა და ვერავის ავნებდა.

ფიზიკური ძალა სინამდვილეში ერთგვარ სისუსტეს წარმოადგენს. მხოლოდ მართლქმედების ძალა, რომლის საფუძველშიც ღვთაებრიობა იმყოფება, წარმოადგენს ჭეშმარიტ ძალას. როდესაც ვიშვამიტრამ გაიგო ეს, თავის თავზე მკაცრი *ასკეზა* მიიღო, რომ ისეთივე მაღალი სულიერი მდგომარეობისთვის მიეღწია, რომელშიაც ვაშიშტა იმყოფებოდა მუდამ. როდესაც ხანგრძლივი *ასკეზა* გაიარა, მან ბოლოს და ბოლოს შეძლო *ბრაჰმანის* ცოდნის მიღება, და თვითონ ვაშიშტამ გამოაცხადა იგი *ბრაჰმა-რიშად*, ანუ „ღმერთის მაგვარ ბრძენად“.

ღვთაებრივი ძალა და ფიზიკური ძალა

კაურავების ოჯახში ასი ძმა იყო; ისინიც თავიანთ ძალას ფიზიკურ სიძლიერეზე, ფულზე და იმ მეფეთა სამხედრო ძლიერებაზე ამყარებდნენ, რომლებიც მათი მოკავშირენი იყვნენ. შედეგად ყველა ძმა დაიღუპა ომში, რომელიც მათ წამოიწყეს, და არც ერთი ვაჟი არ დარჩა იმისათვის, რომ მშობლების სიკვდილის შემდეგ დაკრძალვის წეს-ჩვეულება შეესრულებინა. რა საშინელი ბედია! იმის ნაცვლად, რომ ღვთაებრივი დახმარება ეძებნათ, დურიოდჰანა და მისი ძმები გადარჩენას მხოლოდ ფიზიკურ სიძლიერეში, ფულში და ცალკეულ ადამიანთა ძალაში ეძებდნენ. ძმებმა პანდავებმა კი თავიანთი თავი კრიშნას მიანდეს და ისინი მხოლოდ მის მადლს ეძებდნენ.

როდესაც არჯუნა კრიშნას წინ მუხლებზე დაეცა და მთლიანად დამორჩილდა, კრიშნა ძალიან კმაყოფილი იყო; მან არჯუნა ფეხზე წამოაყენა და უთხრა:

„ადექი, დჰანანჯაია. ნამდვილი ძალა რწმენაშია. ბოლოს და ბოლოს სამართლიანობა აუცილებლად გაიმარჯვებს, ეგოიზმი კი უეჭველად დაიღუპება; ეს უცვლელი დჰარმული ჭეშმარიტება ნებისმიერ საუკუნეს ეხება“.

ბრძოლის დღეს მან დაარწმუნა არჯუნა, რომ ის, ვინც თავშესაფარს უფალში ეძებს, უფლის მადლს მოიხვეჭს, და წარმატება მუდამ მისი თანამგზავრი იქნება ყველაფერში, რასაც არ უნდა აკეთებდეს იგი, ის კი, ვინც უფლის დაცვაზე უარს ამბობს, ვერ

მოიპოვებს მის მადლს, და საბოლოო ჯამში წარუმატებლობას მიაღწევს და განადგურებულ იქნება.

თუ ღვთის მადლის მიღებისკენ ისწრაფვით, თქვენი ამქვეყნიური სურვილები უნდა აკონტროლოთ. ნებისმიერი მოქმედების შედეგები *ბჰუტაკაშაში*, გამოღვიძების მდგომარეობის ფენომენალურ სამყაროში, რეალურია არა უმეტეს, ვიდრე სიზმარში მიღებული შედეგები. ცალკე სახლები და დიდი სახლები, რომლებსაც სიზმარში ხედავთ, ელვის სისწრაფით ქრება, როგორც კი თვალს ახელთ და იღვიძებთ. ისინი არარეალურია და არასოდეს ყოფილა რეალური. ის ყველაფერი, რაც სიზმარში გემართებათ, გამოღვიძების მდგომარეობაში ქრება, ის კი, რაც გამოღვიძების მდგომარეობაში ხდება, ძილის მდგომარეობაში ქრება.

სამი სამყარო და მათ ზემოთ მყოფი უფალი

გიტაში უფალი კრიშნა გვასწავლის, რომ არსებობს სამი სამყარო: ფიზიკური, მენტალური და კაუზალური. *ჩიტაკაშა* (მენტალური სამყარო) არის *ბჰუტაკაშას* (ფიზიკური სამყაროს) ფაქიზი ფორმა, ხოლო *ჩიდააკაშა* (კაუზალური სამყარო) *ჩიტაკაშას* კიდევ უფრო ფაქიზი ფორმაა. ცნობიერების ამ სამ ურთიერთგანმსჭვალავ (გამოღვიძების, ძილისა და ღრმა ძილის) მდგომარეობას შორის *ჩიდააკაშა* ყველაზე უფრო ფაქიზ მდგომარეობას წარმოადგენს: იგი ყოვლისმომცველია. მაგრამ ამ ყველაფრის ზღვრებს მიღმა იმყოფება უსაზღვრო უფალი – *ბრაჰმანი*, *პარამატმა*, ღვთაებრიობის უმაღლესი პრინციპი. ეს ღვთაებრივი პრინციპი წარმოადგენს ყოველივე ფაქიზს შორის ყველაზე უფრო უფაქიზეს, მცირეთა შორის უმცირესს, მაგრამ აგრეთვე უდიდესთა შორის უდიდესს. ძლევამოსილთა შორის ღვთაება ყველაზე უფრო ძლევამოსილია. არ არის მასზე უფრო დიადი რამ. ეძებეთ ის; თქვენს გულში გაამყარეთ იგი, და თქვენ ხსნილი ხართ. იცოდეთ, რომ არაფერია *ატმაზე*, თქვენს ჭეშმარიტ „**მე**“-ზე, უფრო მძლავრი რამ. ამაშია *ბრაჰმანის* ჭეშმარიტება, ამაშია *ატმას* ჭეშმარიტება.

ადამიანებმა, რომლებსაც სურვილი აქვთ, რომ მიაღწიონ *ბრაჰმანს*, რომელიც უმაღლეს მიზანს წარმოადგენს, თავიანთ გზაზე მოძრაობა უნდა დაიწყონ *დასოჰამის* სტადიიდან – პირველი სტადიიდან ამ გზაზე, როდესაც ერთგული ღმერთის მსახურად ან ღმერთის დესპანად თვლის თავს; ეს არის *დვაიტას* ანუ დუალიზმის სტადია. თანდათან მარცვალი „*და*“ მთლიანად ქრება, და რჩება მხოლოდ „*სოჰამ – მე ვარ ის*“. ამ პროცესში ერთგული გადადის *ვიშიშტადვაიტას* სტადიაზე, რომელიც მეორე ძირითად ნაბიჯს წარმოადგენს სულიერ გზაზე.

ამის შემდეგ, თუ იგი „*სოჰამის*“ პრაქტიკას აგრძელებს, რაღაც დროის შემდეგ *დასოჰამის* მეორე მარცვალიც, სახელდობრ კი, „*სო*“, ქრება, და რჩება მხოლოდ „*აჰამ*“. *აჰამ* ნიშნავს „**მე**“-ს, ანუ სუფთა არსს (თვითმყოფელობას) ცვლილებებისა და შეზღუდვების გარეშე. გზა *დოსაჰამიდან აჰამისკენ* მოგვაგონებს ჭრილობის მოშუშების პროცესს: მაგარი კანის დამცველი ფენა, რომელმაც ჭრილობა დაფარა, ბოლოს და ბოლოს ჭრილობის მოშუშებასთან ერთად თავისთავად მოვარდება. როდესაც „*და*“, და „*სო*“, რომლებიც სუფთა „**მე**“-ს ფარავენ, მოსცილდება, თქვენ *ადვაიტას*, ანუ არადუალიზმის, ბოლო სტადიაზე აღმოჩნდებით. მაშინ ჩაეშვებით ერთიან ჭეშმარიტებაში: *„აჰამ აჰამ – მე ვარ მე“.*

საითაც არ უნდა გაიხედოთ, ყველგან თქვენი უმაღლესი „მე“-ა

როდესაც აცხადებთ; *„მე ვარ ბრაჰმანი, მე ვარ ღმერთი“*, ეს ჯერ კიდევ *ვიშიშტადვაიტაა*; ორობითობა მაინც იმყოფება, იმიტომ რომ ჯერ კიდევ არსებობს ორი არსი: „**მე**“ და *ბრაჰმანი*. ამიტომ ეს ჯერ კიდევ არ არის სრული *ადვაიტა*. სულ თავიდან, როცა ამბობთ: *„დასოჰამ, დასოჰამ – უფალო, მე შენი მსახური ვარ“*, - უფალი იმყოფება ცალკე, და მსახურიც ცალკე იმყოფება; მათი მდგომარეობა ერთმანეთისგან განსხვავდება. მეორე მხრივ, როდესაც ამბობთ: *„მე ვარ ბრაჰმანი“,* - თუმცა ამაში ჯერ კიდევ არის ორობითობის კვალი, განსხვავება მათ შორის არა ცალკე სუბიექტში და ობიექტშია, არამედ უფრო იმაში, როცა შენი თავის ანარეკლს, შენს სახეს ხედავ სარკეში.

იქ, სადაც მრავალი სხვადასხვა ადამიანი არსებობს, ასევე მრავალი სხვადასხვა გამოსახულება, ანუ ანარეკლი იარსებებს. მაგრამ *ვიშიშტადვაიტას* სტადიაზე მხოლოდ თქვენს საკუთარ გამოსახულებას ხედავთ, იმიტომ რომ თქვენ ხართ ის ერთადერთი, რაც არსებობს, - ერთიანი არსი (თვითმყოფელობა), რომელიც მრავალრიცხოვან გამოსახულებათა სახით არის არეკლილი, იმის მსგავსად როგორც ერთიანი მზის დანახვა შეიძლება ცალკეულ გამოსახულებათა სახით წყლით სავსე ქოთნებში. ამიტომ *ვიშიშტადვაიტას* სტადიაზე შენ ერთი ხარ, სხვა არ არის. ერთადერთი, რაც შენ და ღვთაებას შორის შეიძლება აღმოჩნდეს, სარკეა. მუდამ ხედავ შენს საკუთარ ანარეკლს, და ამიტომ შენს თავს ხედავ ძალიან ახლოს, უფლის პირისპირ, ყოველთვის მის ღვთაებრივ ტერფებთან სულ ახლოს.

მაგრამ როდესაც მხოლოდ ღმერთს აცნობიერებთ, რომელიც ყოვლისმომცველია, მაშინ საერთოდ რა საჭიროა რაიმე გამოსახულება? შეიძლება კი იყოს ისეთი ადგილი, სადაც უფალი არ

არის? თუ მთელი სამყარო ყველგან მსუფევი უფლის ადგილსამყოფელია, მაშინ სად უნდა ეძებოთ კარი, რომ მის სამყოფელში შეხვიდეთ? რომ ყოფილიყო ცალკეული ქუჩა და ცალკეული სახლი, მაშინ ამ ქუჩაზე გამავალი კარიც უნდა ყოფილიყო; მაგრამ ჭეშმარიტება იმაშია, რომ არავითარი ქუჩა არ არის. თუ ყოვლისმომცველი უფალი ყველგან იმყოფება, ნუთუ შეიძლება, რომ რაღაც განსაკუთრებული ადგილი იყოს, სადაც შეიძლება მისი პოვნა? არა, არ არსებობს ისეთი განსაკუთრებული ადგილი, სადაც ის იმყოფება.

როგორც კი გააცნობიერებთ, რომ ის ყველგან და ყოველთვისაა, მაშინ ღვთაების ჭეშმარიტი ხედვა არ აღიქმება როგორც ობიექტი, რომლის ანარეკლის დანახვაც სხვადასხვა ადგილას შეიძლება; ეს იქნება იმის გაცნობიერება, რომ არსებობ მხოლოდ შენ, *ატმა*, ერთიანი „**მე**“; ეს *ატმა* მთელი თავისი სისავსით იმყოფება ყველგან, ყველაფერში. ღვთაების როგორც *ერთიანის* მეორის გარეშეს ამ ყოვლისმომცველ გაგებას ეწოდება *„ადვაიტა“.*

შენ არ ხარ ცოდვილი. შენ ღმერთი ხარ

ადამიანები რელიგიური ჩვეულებების გამო ზოგჯერ ლოცვებში ამბობენ: *„უფალო, ცოდვილი ვარ, ჩემი სული ცოდვებით არის სავსე, მრავალი ცოდვა მაქვს ჩადენილი“.* მაგრამ ვინ არის ეს ადამიანი, რომელიც სცოდავს? განა ვინმე არსებობს უფლისგან ცალკე? ასეთი განცხადებები ცოდვაზე და ცოდვილზე არ უნდა მიიღოთ. უკეთესია, რომ ფიქრობდეთ: *„მე ვარ შივა, მე ვარ ღმერთი, მე ვარ თვით სიმშვიდე, მე ვარ სიყვარული, მე ვარ ანანდა, სუფთა ნეტარება, რომელმაც არ იცის საზღვარი“.* ასეთი ამაღლებული იდეებისა და აზრების ქონა თავში არის საუკეთესო გზა მიზნის მისაღწევად.

გიტაში უფალი კეთილშობილი თვისებების სიას იწყებს ამით: *ადვეშტა სარვა ბჰუტანამ – ნურავითარი ცოცხალი არსების მიმართ ნუ განიცდით სიძულვილს.* თუ ბედნიერებასა და ტანჯვას ერთნაირად ეპყრობით, მაშინ კითხვა სიძულვილის შესახებ საერთოდ არ ჩნდება. თუ აღიარებთ, რომ ყველა ადამიანში, ისევე როგორც ყველა სხვა არსებაში, ერთი და იგივე ტრანსცენდენტალური პრინციპია მოთავსებული, მაშინ არ შეიძლება იყოს ადგილი სიძულვილისთვის. თუ აცნობიერებთ, რომ ერთი ღვთაება იმყოფება ერთნაირად ყველაში, მაშინ როგორ უნდა გძულდეთ ვინმე სხვა? განა სხვა არსებობს?

ამ კონტექსტში შეიძლება იკითხოთ, ვისთვის არის განკუთვნილი ფრაზა: *„ადვეშტა სარვა ბჰუტანამ“?* განკუთვნილია თუ არა ის იმათთვის, ვინც გააცნობიერა ერთიანი ტრანსცენდენტალური პრინციპი, რომელიც ერთნაირად არსებობს როგორც მათშივე, ასევე

ყველა სხვაში? არა, იგი აშკარად მათთვის არ არის განკუთვნილი. ეს დარიგება მოცემულია იმათთვის, ვინც ჯერ კიდევ ვერ გააცნობიერა ყველა არსების ერთიანობის დიადი ჭეშმარიტება.

სევას (მსახურების გზის) სიტკბო

განსაკუთრებულ სიხარულს მაშინ მიიღებთ, როცა *დასოჰამში („მე ვარ უფლის მსახური“)* ჩაეშვებით. სულ მალე აღფრთოვანებით აღივსებით იმისგან, რომ უფლის მომხიბლაობას შეითვისებთ, და მაშინ ამ მშვენიერი მდგომარეობის მიტოვებას აღარასოდეს მოინდომებთ. შეიძლება იმ დასკვნამდე მიხვიდეთ, რომ, თუ როდისმე წინ წაიწევთ მსახურის გრძნობიდან მდგომარეობამდე *„მე ვარ ბრაჰმანი“*, ვეღარასოდეს დატკბებით უფლის სრულყოფილი სიტკბოთი. შაქარმა არ იცის თავისი სიტკბოს შესახებ; შეიძლება იმით შეწუხდეთ, რომ, თუ შაქართან ერთიანი გახდებით, ვეღარ დატკბებით მისი სიტკბოთი. რამდენადაც უფლის სიტკბოთი *დასოჰამის* სტადიაზე ტკბებით, შეიძლება მსახურის ამ სტადიაზე დარჩენა მოგინდეთ, რომ მუდამ გრძნობდეთ უფლის სიტკბოებას, იმის ნაცვლად რომ მასთან ერთიანი გახდეთ.

მაგალითად, ჰანუმანმა განიცადა უდიდესი ნეტარება, რომელიც უფლის მიმართ მისი ურყევი დამოკიდებულებიდან გაჩნდა: *„მე ვარ უფალ რამას მსახური“*. მაგრამ რამდენ ხანს შეუძლია ამ გრძნობას გაგრძელება? ის შეიძლება მხოლოდ იმ დრომდე გრძელდებოდეს, სანამ უფლის მადლი გაქვთ, სანამ მასთან ახლოს ხართ; თუ უფალს როდისმე დაშორდებით, მაშინ ალბათ ძალიან დიდ გულისტკივილს და სევდას განიცდით.

სოჰამის მდგომარეობაში ტანჯვის საკითხი საერთოდ არ დგება, იმიტომ რომ ამ ამაღლებულ მდგომარეობაში განუწყვეტლივ უფალთან ერთად იმყოფებით, და შეუძლებელია განშორება ან ტანჯვა განიცადოთ. *დასოჰამის* სტადიაზე შესაძლოა განცალკევება უფალსა და მსახურს შორის, მაგრამ *სოჰამის* სტადიაზე ნეტარება ვერ გაქრება, რადგან ასეთი განცალკევება ვერ გაჩნდება.

სურვილების და მრისხანების კონტროლი

თუ თქვენი ყოფიერების საბოლოო ჭეშმარიტებას გინდათ მიაღწიოთ და *ატმას* პრინციპის ნეტარებაში განზავდეთ, მაშინ გრძნობებზე სრული კონტროლი უნდა განავითაროთ. როგორც კი რაღაც აზრი ჩნდება, ამ აზრის ბუნებაში უნდა გაერკვეთ. თქვენს თავს ჰკითხეთ: *„სასურველია ეს აზრი, თუ ზიანს აყენებს ჩემს სულიერ პროგრესს?“* ერთგულები თავიდანვე ძალიან ყურადღებით უნდა იყვნენ და თვალყურს ადევნებდნე, რომ ცუდი აზრები არ დახეტიალებდნენ

თავში. ადამიანთა უმრავლესობისთვის შეუძლებელია საერთოდ აზრების გარეშე დარჩენა; მაგრამ როცა ცუდი აზრები ჩნდება, ყოველ შემთხვევაში რაიმეს გაკეთება შეიძლება: ნუ მისცემთ თავშესაფარს, ნუ მფარველობთ მათ.

დაუყოვნებლივ გარდაქმენით ცუდი აზრები კარგ აზრებად. თვალი მიადევნეთ ასევე, რომ მხოლოდ კარგი საქმეები ასრულოთ, და ნებისმიერი შესაძლებლობა გამოიყენეთ ამ მოქმედებების თაყვანისცემად გარდაქმნისთვის, რომ ამის შემდეგ ისინი უფალს მიუძღვნათ. როდესაც ყველა აზრს კეთილშობილად და ყველა მოქმედებას თაყვანისცემად გარდაქმნით, სულიერ გზაზე ბუნებრივად წაიწევთ წინ. აზრების ასეთი გზით გაკონტროლებით თქვენში გაჩენილ ყოველგვარ მრისხანებას გააკონტროლებთ.

ადამიანებს აღელვებთ, რა გზით ჯობია ყველაზე უკეთესად მრისხანების კონტროლი, როცა ის ჩნდება და მათ დაუფლებას ცდილობს. აი მრისხანების კონტროლის საუკეთესო ხერხი: იმ მომენტში, როცა აცნობიერებთ, რომ მრისხანება მატულობს თქვენში, ხმამაღლა გაიცინეთ ან აბაზანაში წადით და გრილი შხაპი მიიღეთ. ასევე შეგიძლიათ ერთი ჭიქა ცივი წყალი დალიოთ და გრილ ადგილას დაწყნარდეთ. იმ მომენტში, როცა მრისხანება ჩნდება, ყველაზე უფრო მეტად გიშველით ის, თუ სხვა ადგილას წახვალთ იმ ადგილიდან, სადაც იმყოფებოდით. თუ ყველა ამ ზომის დახმარებით მრისხანება ვერ დააშოშმინეთ, მაშინ სარკის წინ დადექით და თქვენს სახეს შეხედეთ: როგორც კი დაინახავთ თქვენს გარეგნობას, უეჭველად იგრძნობთ ისეთ ზიზღს, რომ მაშინვე შეძლებთ მრისხანების კონტროლის ქვეშ აყვანას. აი სხვადასხვა მეთოდი, რომელთა დახმარებითაც შეძლებთ, რომ მრისხანებას გაუსწორდეთ.

გარდა ამისა, როდესაც მრისხანება ჩნდება, შეიძლება მისი მიზეზის გამოკვლევა დაიწყოთ. გამართლებულია თუ არა ეს? გახსოვდეთ, რომ თუ მრისხანების დროს ვინმეს აწყენინებთ, ცოდვას ჩაიდენთ, ეს კი აშკარად ცუდია თქვენთვის. ჩვეულებრივი ადამიანისთვის ყველა ამ მეთოდის გამოყენება ძალიან ძნელია, მაგრამ როდესაც გაბრაზდებით, საკმარისია ამის შესახებ გახსოვდეთ, ენას კბილი დააჭიროთ და ბრაზიანი სიტყვები არ გადმოანთხიოთ. უპირველეს ყოვლისა პატარა ხანს დაფიქრდით მომხდარზე. მრისხანება სხვადასხვა სახით ასუსტებს იმას, ვინც ცდილობს, რომ *სადჰანით* დაკავდეს. თუ ძალისხმევას გამოიჩენთ იმისათვის, რომ მრისხანება აკონტროლოთ, როგორც კი გაჩნდება იგი, ეს ძალისხმევა გაამაგრებს თქვენს სხეულს და გონებას გაწმენდს.

მიზიდულობა და განზიდულება

გიტა აცხადებს, რომ სუსტი ვერასოდეს შეძლებს რეალიზაციის მიღწევას; ამიტომ იმისათვის, რომ *ატმას* ცოდნა მიიღოთ, ძალიან მნიშვნელოვანია *რაგაზე* და *დვეშაზე* (მიბმულობებზე და სიძულვილზე, ანუ სურვილებზე და მრისხანებაზე) სრულ კონტროლს მიაღწიოთ. ჭეშმარიტად, ეს ყოველი ადამიანისთვის არის აუცილებელი, და არა მხოლოდ ერთგულებისთვის. *რაგა* და *დვეშა* პასუხისმგებელია იმ ყველაფერზე, რაც ამ სამყაროს შეადგენს. სანამ ამ სამყაროთი ხართ დაკავებული, *ატმას* სინათლე არ გაანათებს თქვენთვის. ამიტომ უნდა გამოდევნოთ გულიდან *რაგა* და დვეშა, მიბმულობა და ანტიპათია (მიზიდულობა და განზიდულობა) ამ სამყაროს ობიექტების მიმართ; მაშინ მასში *ატმას* ცოდნა გაიდგამს ფესვებს.

თუ თქვენს გულში *ატმას* ცოდნა იქნება, სიმშვიდით ტკბობას შეძლებთ; მაშინ თქვენ გარშემო სიყვარულისა და სიმშვიდის არომატი გავრცელდება. მეორე მხრივ, თუ ცუდი გრძნობებით, ცუდი აზრებითა და ცუდი საქმეებით ხართ აღვსილი, ისინი თქვენს გულს წაბილწავს და ამავე შხამით სხვებს მოწამლავს. როგორი აზრებიც არ უნდა ავსებდეს თქვენს გულს, კარგი თუ ცუდი, და მასში თავშესაფარს არ პოულობდეს, ისინი მალე ირგვლივ ყველაზე გავრცელდება, და ეს ადამიანები იმავე გრძნობების გამოხატვას დაიწყებენ.

ზოგჯერ ისე ხდება, რომ ძნელია კარგის გარჩევა ცუდისგან. თუ ვარდი მარჯვენა ხელში გიჭირავთ, ამ ყვავილის არომატი არა მხოლოდ თქვენამდე მოვა, არამედ გარშემო მყოფ ადამიანებამდეც. თუ იმავე ვარდს მარცხენა ხელში დაიჭერთ, მისი არომატი იმავე ადამიანებამდე მიაღწევს. თქვენთვის მარჯვენა და მარცხენა ხელი სხვადასხვაა, არომატისთვის კი არავითარი განსხვავება არ არის.

თეისტი ხართ თუ ათეისტი – ეს მხოლოდ თქვენს გრძნობებთან და რწმენებთან არის დაკავშირებული; რაც შეეხება ღმერთს, მაშინ, თუ კარგი აზრები, კარგი სიტყვები გაქვთ და კარგი საქმეებით ხართ დაკავებული, მაშინ ათეისტიც თუ ხართ, ღმერთისთვის ძვირფასი იქნებით. *გიტაში* უფალი აცხადებს:

„ნებისმიერი ადამიანი, ვინც თავის სურვილებსა და მრისხანებას აკონტროლებს, თუ მან რაგა და დვეშა დაიმორჩილა, ძვირფასია ჩემთვის“.

მნიშვნელოვანია ხასიათი, და არა რწმენა

ინდური ფილოსოფია შედგენილია იმათი გათვალისწინებით, ვისაც სწამს ღმერთი, როგორც *ვედებშია* გაცხადებული, აგრეთვე იმათი გათვალისწინებით, ვისაც არ სწამს ღმერთი და *ვედებს* არ

იღებს. პირველებს უწოდებენ *ასტიკას*, უკანასკნელებს კი – *ნასტიკას*. მაგრამ ჭეშმარიტი განსხვავება მათ შორის (*ასტიკა* და *ნასტიკა*) დაფუძნებულია უფრო მათი ხასიათის ხარისხებზე, და არა რწმენებზე. *ასტიკა* არის ის, ვისაც სწამს თავისი „**მე**“, მაშინ როცა *ნასტიკა* არის ის, ვისშიაც არ არის თავისი თავის რწმენა. არსებობს ასევე *ასტიკა-ნასტიკა* – ის, ვინც ღმერთის რწმენას ავლენს და ლოცულობს, როცა რაღაც პირადი სიძნელეები ჩნდება; მაგრამ როგორც კი პრობლემები მიდის და ის კვლავ ბედნიერია, მას ღმერთი ავიწყდება.

პრაჰლადა, მეფე-დემონის (სახელად ჰირანიაკაშიპუ) ვაჟი, უფლის ერთ-ერთი უდიდესი ერთგული იყო, და იგი შეიძლება ასტიკად ჩაითვალოს. არ შეიძლება *ასტიკის* პრინციპის შეძენა; იგი ადამიანს დაბადებიდან ეძლევა. უდიდესი სიძნელეების მიუხედავად, რომლებშიაც ის აღმოჩნდა, პრაჰლადას შეეძლო მუდამ დამტკბარიყო თავისი საკუთარი „**მე**“-ს ნეტარებით და უფლის თანდასწრება გაეცნობიერებინა გულში. *აჰლადა* ნიშნავს სიხარულს ან ნეტარებას. *პრა* ნიშნავს ამ თვისებების აყვავებას. ამრიგად, *პრაჰლადა* არის „ის, ვინც მუდამ ბედნიერია“. ამიტომ, თუ უფალზე მუდამ ფიქრობთ, სიხარულის გრძნობები სხივმოსილი ბრწყინვალებით იქნება განათებული, და თქვენ *ბრაჰმანთან* ერთიანი გახდებით. ვედებში შეიძლება შემდეგი დიადი გამონათქვამი იპოვოთ: *„ბრაჰმავიდ ბრაჰმაივა ბჰავატი – ის, ვინც ბრაჰმანი გააცნობიერა, ჭეშმარიტად ბრაჰმანი ხდება“.*

დასაწყისში, პირველ სტადიაზე, ძალისხმევა უნდა გამოიჩინოთ, რომ აკონტროლოთ *რაგა* და *დვეშა*, ანუ *კამა* და *კროდჰა* – სურვილები და მრისხანება. ეს ღვთაებრივ წყაროს იმის საშუალებას მისცემს, რომ ის თქვენ შიგნიდან ანათებდეს. ცუდ თვისებებს არავისთვის მოაქვს სარგებლობა. ამიტომ ყოველი ერთგულისთვის სურვილებისა და მრისხანების კონტროლი პირველხარისხოვანი ამოცანაა. აქციეთ ეს მთავარ *სადჰანად* თქვენი სულიერი გზის დასაწყისში. ასეთი სახით შესძლებთ თქვენი ცხოვრების აზრის პოვნას და მიზნის მიღწევას. მაგრამ თუ სურვილებსა და მრისხანებას ნებას მისცემთ, რომ ისინი თქვენ შიგნით დარჩნენ, მაშინ რა სულიერ პრაქტიკასაც არ უნდა ეწეოდეთ, ყველა პრაქტიკა ამაო იქნება, და თქვენი ცხოვრებაც ასევე ფუჭად იქნება დახარჯული.

თავი მეათე

სიყვარული და თავგანწირვა სურვილებსა და მრისხანებას კურნავს

მრისხანება სურვილებიდან ჩნდება. სურვილები აზრებიდან ჩნდება. ამიტომ მხოლოდ აზრებია პასუხისმგებელი როგორც სურვილებზე, ასევე მრისხანებაზე. ისევე, როგორც შეუძლებელია ქსოვილი ძაფების გარეშე, ძაფები კი ბამბის გარეშე, შეუძლებელია მრისხანება სურვილთა გარეშე, სურვილები კი აზრების გარეშე.

სიყვარულის განხორციელებანო!

გიტაში ღვთაებრივი მასწავლებელი სურვილებსა და მრისხანებას უწოდებს *ანალამ*, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „ცეცხლს“. არსებობს ცეცხლისგან დაზიანების საშიშროება მაშინაც კი, თუ იგი თქვენგან რაღაც მანძილზე იმყოფება. თუ გარეთ არსებული ცეცხლი ასეთი საშიშია, მაშინ რამდენად უფრო ფრთხილი უნდა იყოთ, თუ ცეცხლი თქვენს გულში ბრიალებს. სურვილებისა და მრისხანების ცეცხლს იმის განსაკუთრებული უნარი გააჩნია, რომ ყველა ადამიანური თვისება დაამსხვრიოს, თქვენში არსებული ღვთაებრივი ნაპერწკალი ჩაახშოს და მხოლოდ დემონური ბუნება დატოვოს თქვენ შიგნით.

სურვილების ცეცხლი

სამყაროში თითქმის ყველაფერს აქვს საზღვრები, მაგრამ სურვილებისა და მრისხანების ცეცხლი დაუცხრომელია. მას გაუმაძღარი მადა აქვს, რომელსაც ბოლო არ უჩანს. რა საწვავსაც არ უნდა უმატებდეთ ცეცხლს, იქნება ეს ხე, ზეთი ან ნებისმიერი სხვა რამ, არასოდეს იქნება საკმარისი. სიტყვა *ალამ* ნიშნავს „დაკმაყოფილებას“. სურვილებისა და მრისხანების ცეცხლი, ანუ *ანალამ*, არ შეიძლება როდისმე დაკმაყოფილდეს. თუ ასეთია მისი ბუნება, მაშინ არის თუ არა იმის რაიმე შესაძლებლობა, რომ ის აკონტროლოთ?

გიტაში უფალი აცხადებს:

„მრისხანების დამარცხება შეიძლება სიყვარულით, სურვილებისა კი – განდგომითა და თავგანწირვით“.

იქ, სადაც სიყვარული მეფობს, მრისხანება ვერ იქნება. თუ თქვენში სიყვარულს განავითარებთ, მაშინ გულში არ დარჩება ადგილი, სადაც სიძულვილსა და მრისხანებას შეეძლებათ, რომ

ფესვები გაიდგან. გული სავარძელს ჰგავს: მხოლოდ ერთ თვისებას შეუძლია იქ ადგილი დაიკავოს. იქ არ იქნება ერთდროულად ორი თვისებისთვის ადგილი. ერთგულმა მთელი ძალისხმევა უნდა გამოიჩინოს იმისათვის, რომ გულში სიყვარული განამტკიცოს.

თუ გინდათ, რომ მრისხანება სიყვარულით დაძლიოთ, მაშინ გულში მხოლოდ და მხოლოდ სიყვარული უნდა განავითაროთ. სიყვარული მუდამ მზად არის, რომ თავისუფლად დინდებოდეს, და სხვების ნაკლოვანებებსა და სისუსტეს ვერ ამჩნევდეს. სიყვარულს შემდეგი ღირსშესანიშნავი თვისება აქვს: იგი ცხოვრობს ისე, რომ **გასცემს და აპატიებს**, მაშინ როცა მცირე ეგო იმით ცხოვრობს, რომ **იღებს და ივიწყებს**. იქ, სადაც სიყვარულია, არ შეიძლება ადგილი იყოს ეგოიზმისთვის, ხოლო იქ, სადაც ეგოიზმია, სიყვარული არ იქნება.

გახადეთ სიყვარული დომინირებულ ძალად თქვენს ცხოვრებაში

სამყაროში მიუღწეველი არაფერია, თუკი თქვენში სიყვარულის ეს პრინციპი ბრწყინავს. სიყვარულით ნებისმიერი დაბრკოლების დამარცხება შეიძლება. ამიტომ, მრისხანების სრული დამარცხებისთვის უნდა გული სიყვარულით შეავსოთ და სიყვარული გაბატონებულ ძალად აქციოთ თქვენს ცხოვრებაში. როგორც კი გააცნობიერებთ, რომ თქვენი გულის მკვიდრი ასევე ყოველი ადამიანის გულში იმყოფება, რომ საყვარელი უფალი, რომელიც თქვენი გულის ტახტზეა დაბრძანებული, ის, ვისაც თაყვანს სცემთ, ასევე ნებისმიერ სხვა გულში იმყოფება, მაშინ შეუძლებელი იქნება, რომ ვინმე გძულდეთ ან ვინმეზე ბრაზობდეთ ამ სამყაროში. თუ იგივე უფალი ყოველი ადამიანის გულში იმყოფება, მაშინ როგორ უნდა უყუროთ ვინმეს ზემოდან? ამიტომ მთლიანად ჩაეშვით სიყვარულის წყაროში და განამტკიცეთ ის განუყოფლად თქვენს გულში.

როგორც წინათ *სვამიმ* ახსენა, როცა სიყვარული აზრებთან არის დაკავშირებული, ისინი ხდება ჭეშმარიტება, ხოლო როდესაც სიყვარული თქვენს მოქმედებებში შეგაქვთ, ისინ ხდება *დჰარმა* (ქცევის ნორმა), როდესაც გრძნობები სიყვარულით არის განმსჭვალული, თქვენი გული უმაღლესი სიმშვიდით ივსება, ხოლო როცა სიყვარულს ნებას აძლევთ, რომ მან თქვენს გაგებასა და ლოგიკას უხელმძღვანელოს, მაშინ თქვენი გონება არაძალადობით ივსება. ამიტომ სიყვარული ჭეშმარიტებაა, სიყვარული მართლქმედებაა, სიყვარული სიმშვიდეა, სიყვარული არაძალადობაა. ყველა ამ დიადი თვისების უკან სიყვარული დგას. თუ თქვენი აზრები სიყვარულით არ არის შევსილი, მაშინ არ იქნება ჭეშმარიტება. თუ თქვენს

მოქმედებებში სიყვარული არ არის, მაშინ ქცევა არ იქნება უმწიკვლო. თუ გულში სიყვარულს არ გრძნობთ, მაშინ სიმშვიდე არ იქნება. და თუ თქვენს გაგებას სიყვარულზე არ აფუძნებთ, მაშინ არაძალადობა არ განმტკიცდება თქვენს გონებაში.

ამიტომ როგორც შაქარია საფუძველი სხვადასხვა სახის ტკბილეულისთვის, ასევე სიყვარულია საფუძველი *სატიასთვის*, *დჰარმისთვის*, *შანტისთვის* და *აჰიმსასთვის* (ჭეშმარიტებისთვის, სწორი ქცევისთვის, სიმშვიდისთვის და არაძალადობისთვის). სიყვარული თვით ღვთაებრიობაა. სიყვარული ღმერთია, და ღმერთი სიყვარულია. სიყვარული ღვთაებრივი ძალაა, რომელსაც ყველაფერი მოქმედებაში მოჰყავს. სიყვარულის დახმარებით ადვილად შეიძლება სიძულვილისა და მრისხანების დამარცხება. ამიტომ მუდამ სიყვარულში იცხოვრეთ.

მრისხანების ბუნება

სიყვარული შეიძლება მრავალრიცხოვანი სიძნელის წყარო გახდეს, მან შეიძლება ურიცხვი პრობლემა მოგიტანოთ. იგი თქვენს ღირსებას ამსხვრევს და თქვენში მყოფ ჰუმანურობის პრინციპს ძირს უთხრის. თავიდან მრისხანება ძალიან შეუმჩნევლად ჩნდება და თანდათან ყოვლისმომცველი ხდება. დასაწყისში, როცა ის ჩნდება, ძალიან ცოტა ადგილს ითხოვს.

- მომეცი ცოტა ადგილი, რომ დავჯდე, - ამბობს ის.

როგორც კი განმტკიცდება, აცხადებს:

- ახლა საკმარის ადგილს გავათავისუფლებ, რომ დავწვე და დავრჩე.

მაგრამ ასეთ ცუდ თვისებებს სულ ცოტა ადგილიც კი არ უნდა მისცეთ გულში. როგორც კი მრისხანებას შეუშვებთ, მისი თავიდან მოცილება შეუძლებელი გახდება. თუ დაუმეგობრდებით კიდეც მას, და 50000 რუპიას მისცემთ, ის არ მიგატოვებთ. ეს არის ყველაზე საშიში შხამი, რომელსაც არ უნდა მისცეთ რაიმე სივრცე, რომ ის არ განმტკიცდეს თქვენში.

მანქანაში უკანა ფარნის წითელი შუქი ჩნდება როგორც გაფრთხილება მანქანის გაჩერების წინ. ასეთივე სახით, სანამ მრისხანება მოგიცავდეთ, თქვენი თვალები წითლდება, ტუჩები კანკალს იწყებს და მთელი სხეული იწვის. როგორც კი მსგავსი სიმპტომები გიჩნდებათ, ჯობია დაუყოვნებლივ მიატოვოთ ის ადგილი, სადაც იმყოფებით, და განმარტოვდეთ, სანამ სიმშვიდე არ დაგიბრუნდებათ. როგორც გუშინ იყო ნახსენები, ასევე ცივი შხაპის მიღება შეიძლება.

თუ მრისხანება სიტყვებში გამოიხატა, ამან მოგვიანებით შეიძლება დაუსრულებელი გართულებები და პრობლემები გამოიწვიოს. თქვენი მრისხანება გამართლებულიც თუა, და ჭეშმარიტებას იცავთ, მაინც უნდა ისწავლოთ, რომ ეს ჭეშმარიტება გამოხატოთ რბილად, ნაზად, მისაღებად, რომ სხვა ადამიანის მიერ იყოს მიღებული ისე, რომ მისთვის ეს არავითარ შემთხვევაში მტკივნეული არ იყოს. ამიტომ ყოველმა ერთგულმა უნდა ისწავლოს მრისხანების კონტროლი, სიყვარული განავითაროს და გული შეავსოს მით.

თავგანწირვა სურვილებს ამარცხებს

მოდით ვიფიქროთ, როგორ მოვექცეთ სურვილებს. სურვილები რომ დაამარცხოთ, მსხვერპლის შეწირვა უნდა ისწავლოთ; თვითაღკვეთა უნდა განავითაროთ თქვენში. თვითაღკვეთა არ ნიშნავს იმას, რომ უარი თქვათ ოჯახზე და ტყეში წახვიდეთ; თვითაღკვეთისთვის საჭირო არ არის უარი თქვათ საკუთრებაზე და *სანიახი* (*სანიახი* არის ის, ვინც ქვეყნიერებას განუდგა) გახდეთ. როგორც კი ნებისმიერ ობიექტში ნაკლოვანებებს გააცნობიერებთ, როგორც კი აღიარებთ მის დროებით ბუნებას და უსარგებლობას მიზნის მიღწევაში, ავტომატურად წყვეტთ მის ნდომას.

ცხოვრობთ რა ოჯახში და წუთისოფელში ხართ ჩაფლული, შეგიძლიათ ამ ქვეყნის ობიექტთა ნაკლოვანებები და სუსტი ადგილები გაიგოთ. ავიღოთ ასეთი მაგალითი: დავუშვათ, რომ რაღაც პროდუქტი განსაკუთრებით გიყვართ, და ამ პროდუქტისგან დამზადებული საჭმელი მოგართვეს; აპირებთ, რომ ის დიდი სიამოვნებით შეჭამოთ. მაგრამ უცებ შემოდის მზარეული და ამბობს: *„ბატონო, ნუ ჭამთ ამ საჭმელს; მასში შხამიანი მწერი მოხვდა“.* როგორც კი ამას გაიგონებთ და გაიგებთ, რამდენად მავნებელია ეს საჭმელი, რომელიც კინაღამ არ შეჭამეთ, არავითარ გარემოებებში არ დაიწყებთ მის შეჭმას, იმისგან დამოუკიდებლად, როგორ გიყვარდათ წინათ ის.

ასეთივე სახით უნდა უყუროთ ამ ქვეყნის საგანთა ბუნებას: ისინი განუწყვეტლივ იცვლება, და მოვა დრო, როცა ისინი შეწყვეტს არსებობას. როგორც კი ამას გაიგებთ, აღარ იქნებით მათით გატაცებული, აღარ გექნებათ სურვილი, რომ ისინი შეიძინოთ და ხანგრძლივი სიხარული მიიღოთ მათგან. საჭმელი მხოლოდ და მხოლოდ წამალია ავადმყოფობისთვის სახელად შიმშილი. როგორ შეიძლება იყოს ის თქვენი სურვილების წახალისების საგანი? როდესაც ავად ხართ და წამალს გაძლევენ, განა უარს ამბობთ მასზე, თუ ის გემრიელი არ არის? ამიტომ აღიარეთ ის ფაქტი, რომ ის

ყველაფერი, რითიც ამქვეყნად სარგებლობთ, მხოლოდ და მხოლოდ თქვენი ავადმყოფობების წამალია.

ავადმყოფობის შემცირებასთან ერთად, წამლის საჭიროებაც მცირდება. როდესაც ჯანმრთელი ხართ, საერთოდ არ გჭირდებათ წამალი; მაგრამ როცა ავად ხართ, ის წამალი უნდა მიიღოთ, რომელიც გამოჯანმრთელებისთვის არის საჭირო. არ შეგიძლიათ უარი თქვათ წამლის მიღებაზე უბრალოდ იმიტომ, რომ ის არც თუ ისეთი გემრიელი და არომატულია, და იმავე დროს გამოჯანმრთელების იმედი გქონდეთ. და ასე დასდევთ ყოველგვარ მიმზიდველ და გემრიელ რამეებს, რომლებიც იმის ნაცვლად, რომ თქვენი ავადმყოფობები მოარჩინოს, მხოლოდ აუარესებს ჯანმრთელობას. გიხარიათ, რომ ამქვეყნად ამდენი სიამოვნება იპოვეთ, რომ ბედნიერად ცხოვრობთ, ტკბებით იმით, რაც, როგორც გგონიათ, კომფორტსა და სიხარულს გაძლევთ. მაგრამ ეს არ არის ჭეშმარიტი სიამოვნებები, რადგან მომავალში უეჭველად მოგიხდებათ პასუხის გაცემა თქვენი სურვილების წახალისების გამო.

სურვილი და სიძულვილი ჭეშმარიტი „მავნებლებია“

წარმოიდგინეთ გიგანტური ხე, რომლის ტოტები ყვავილებით ან ხილით არის დახუნძლული. ეს არის უზარმაზარი დიდებული ხე. და აი დგება დღე, როდესაც ეს ხე იწყებს გახმობას, ყვავილები კი დაცვენას. შეიძლება, ეს წყლის ან სასუქის უკმარისობის ბრალია? არა, მავნებელთა რაღაც სახემ მიაღწია ამ დიდებული ხის ფესვებს და ანადგურებს. პარაზიტები ფესვებით იწყებენ და ჭამენ მას. ასეთივე სახით როგორც კი სურვილისა და სიძულვილის პარაზიტებს ნებას აძლევთ, რომ გულში შევიდნენ, დადგება დღე, როცა სრულიად მოულოდნელად დაიღუპებით. ეს გარდაუვალია. მატერიალურ სამყაროში თვლით, რომ მდიდარი ძალიან მნიშვნელოვანი ადამიანია, მაგრამ სულიერ სამყაროში მატერიალურ სიმდიდრეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. გულმოწყალება – აი თვისება, რომელიც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თქვენი სიმდიდრის შემადგენელი მთელი ქონება. თუ გულმოწყალება არ არის, მაშინ სიმდიდრეს საერთოდ არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. დავუშვათ, რომ ოთხი ვაჟი გყავთ, და ყოველ მათგანს თქვენს სიმდიდრეზე აქვს პრეტენზია. პირველია ქველმოქმედება, მეორე – მთავრობა, მესამე – ქურდი, მეოთხე კი – ცეცხლი. ყოველი მათგანი თქვენი სიმდიდრის მემკვიდრეობით მიღებას უცდის; მაგრამ, თუ მთელ სიმდიდრეს მისცემთ პირველ ვაჟს, ქველმოქმედებას, მაშინ სხვები ვერავითარ წილს ვერ მიიღებენ. თუ თქვენი ნებით სიმდიდრეს გულმოწყალებას

მისცემთ, მაშინ დაინახავთ, რომ თქვენი გადაწყვეტილების მიმართ სხვა პრეტენდენტები უდიდეს პატივისცემას გამოავლენენ და თავიანთ მოთხოვნებზე უარს იტყვიან.

ვიცით, რომ მთავრობა საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლებთ, თუკი რაღაც თანხას ქველმოქმედებას სწირავთ. ცეცხლსაც კი ექნება თქვენი შიში, და ქურდებიც შეგეშვებიან. მაგრამ თუ, სიმდიდრის ქონის შემთხვევაში, გულმოწყალებით არ ხართ დაკავებული, მაშინ ქურდი თვალს დაგადგამთ, და მთავრობაც შეეცდება მოითხოვოს თქვენი სიმდიდრე როგორც თავისი საკუთრება. თუ რაიმე მიზეზის გამო ეს ორი შეგეშვებათ, მაშინ დადგება დღე, როცა ხანძარი მოხდება და გაანადგურებს იმ ყველაფერს, რასაც თქვენ ფლობთ. ამიტომ *გიტა* ასკვნის, რომ ჭეშმარიტად მნიშვნელოვანია გულმოწყალება, და არა სიმდიდრე.

დაე ბრწყინავდეს თქვენში ყველა კეთილშობილი ადამიანური თვისება

ზუსტად ასევე ადამიანში მნიშვნელოვანია წარმოთქმული ჭეშმარიტება, და არა ლამაზად თქმის უნარი. თუ თქვენს სიტყვებში ჭეშმარიტება არ არის, მაშინ, რასაც არ უნდა ამბობდეთ, აბსოლუტურად არავითარი ღირებულება არ ექნება მას. *გიტა* ასევე აცხადებს, რომ მნიშვნელოვანია არა თვითონ ცხოვრება, არამედ კარგი ხასიათი. ცხოვრება კარგი ხასიათის გარეშე უსარგებლოა. უნდა ავითარებდეთ ხასიათს, რომ კარგი სახელი დაიმსახუროთ; მაშინ თქვენში ჰუმანურობის პრინციპი გაბრწყინდება.

თქვენი ძირითადი ვალია იცავდეთ კარგ აზრებს, კარგ ქცევას, კარგ სიტყვებს წარმოთქვამდეთ და კარგ ცხოვრებას ეწეოდეთ. ძალიან ფრთხილი უნდა იყოთ თქვენს მოქმედებებში, რომ ცუდი სახელი არ დაიმსახუროთ. იმის მაგივრად, რომ ასი წელიწადი იცხოვროთ ყვავის ცხოვრებით, რომელიც ლეშს ართმევს სხვებს, გაცილებით უკეთესია, რომ იცხოვროთ რამდენიმე წამი გედის მსგავსად, უმწიკვლო სახელით და შეუბღალავი ხასიათით. *გიტა* ასეთ უნაკლო სულს (რომლის ცხოვრება სიკეთით არის აღვსილი) უწოდებს *პარამაჰამსას*, რაც ნიშნავს „უმაღლეს არსებას“.

კარგი მოქმედებები გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ფიზიკური ძალა. სხეული, რომელიც სხვების მსახურებისთვის არ გამოიყენება, სხვა არაფერია, თუ არა გვამი. გამოიყენეთ თქვენი სხეული კაცობრიობის მსახურებისთვის, და არა თქვენი საკუთარი ეგოისტური ინტერესების წახალისების მიზნით. დღეს, რასაც არ უნდა აკეთებდეს, ფიქრობდეს და წარმოთქვამდეს ადამიანი, უმთავრესად ეგოიზმით არის გამოწვეული. ეს ტენდენცია რომ გადალახოთ,

საჭიროა მუდამ ეძებდეთ იმის შესაძლებლობას, რომ სხვებს დაეხმაროთ, და მსახურების პრინციპი განავითაროთ. ამის პროცესში მთელი კაცობრიობა იქნება კურთხეული თქვენი კარგი საქმეებით. ძალიან ძნელია ადამიანის სახით დაბადების მოპოვება. რაღაც დრო უნდა მიუძღვნათ ფიქრს იმაზე, სწორად როგორ უნდა გამოიყენოთ ეს იშვიათი ცხოვრება, რომელიც თქვენ მოგეცათ, და როგორ განავითაროთ კარგი ჩვეულებები, რომლებიც დაძლევს სურვილებისა და მრისხანების თქვენს სისუსტეებს, რომელთა გამოც შეიძლება ეს იღბლიანი შანსი დაკარგოთ.

როგორ უნდა შეცვალოთ ცუდი ჩვეულებები კარგით

როგორ უნდა გადალახოთ ეს ღრმად ფესვგადგმული ცუდი ჩვეულებები და კარგით შეცვალოთ? განვიხილოთ პატარა მაგალითი.

ერთხელ თქვენს სახლში შემთხვევით ლამაზი ძაღლი შემოირბენს; არ იცით, ვისია იგი. იმდენად მიმზიდველია, რომ, იმისათვის, რომ ის თქვენი სიამოვნებისთვის შეაკავოთ, ცოტაოდენ საჭმელს აძლევთ მას. მეორე დღეს იგი დაახლოებით იგივე დროს მოდის, და კვლავ აჭმევთ და გიხარიათ, რომ თქვენთან მოვიდა. ასე მოდის ის ყოველდღე, რომ აჭამონ მას, და დროთა განმავლობაში თქვენი მიბმულობა ამ ძაღლზე იზრდება; და ძაღლი ახლა რეგულარულად მოდის, და სულ უფრო მეტ დროს რჩება თქვენთან. და აი დგება დრო, როცა ამჩნევთ, რომ მას უკვე აღარ უნდა წასვლა; და ამ დროიდან თქვენს სახლში აგრძელებს ის ცხოვრებას.

მაგრამ ბედნიერება, რომელსაც განიცდით, როცა ასეთ სილამაზეს უყურებთ, დიდხანს ვერ გაგრძელდება; როგორც კი ამ სილამაზეს სიხარული არ ახლავს თან, იგი თქვენთვის აუტანელი ხდება. მალე იღლებით იმისგან, რომ ის ყოველთვის თქვენთანაა, და შესაძლებლობას ეძებთ იმისთვის, რომ თავიდან მოიცილოთ.

თავიდან თქვენს თავს უნდა ჰკითხოთ, რატომ მიგეჩვიათ ძაღლი და ახლა თქვენს სახლში ცხოვრობს. მიზეზი იმაშია, რომ სულ თავიდან ყოველდღე აჭმევდით და ეფერებოდით, დიდ ყურადღებას აქცევდით და მოხიბლული იყავით მისით. ამ ყოველდღიურმა პრაქტიკამ თქვენ და ძაღლს შორის მიბმულობა შექმნა. ახლა ახალი მუდმივი *აბჰიასს* პრაქტიკა გჭირდებათ, რომელიც ამ მიბმულობას მოსპობს და ძაღლის მოცილებაში დაგეხმარებათ. ამისათვის საუკეთესო საშუალებაა ეს პროცესი (რომელმაც მიბმულობა წარმოშვა და ობიექტი თქვენთვის ასეთი ძვირფასი გახადა) საწინააღმდეგო მხარეს მიმართოთ.

მუდმივი პრაქტიკა (*აბჰიასა*) ყველა მიღწევის გასაღებია ცხოვრებაში

ძაღლის შემთხვევაში, თუ რაღაც დროის განმავლობაში საჭმელს არ მისცემთ, მის მიმართ გულგრილი გახდებით და აბსოლუტურად არავითარ ყურადღებას არ მიაქცევთ მას, ძაღლი მალე თვითონ წავა. ანუ მნიშვნელოვანია თვითონ პრაქტიკა; მხოლოდ პრაქტიკის დახმარებით ვითარდება თქვენში მიბმულობები და არასასურველი თვისებები, და მხოლოდ პრაქტიკის დახმარებით შეგიძლიათ შეცვალოთ ისინი. *ბჰაგავად გიტა* ამბობს, რომ პრაქტიკა ყველაფრის დასაწყისია. თავში *ბჰაქთი-იოგას* შესახებ, მე-12 ლექსში, ნათქვამია:

„პრაქტიკის დახმარებით შეძლებთ მიიღოთ ცოდნა, ცოდნის დახმარებით შეძლებთ სრულყოფას მედიტაციაში, მედიტაციის დახმარებით შეძლებთ განავითაროთ გულმოწყალება, და როდესაც თქვენში გულმოწყალება გაჩნდება, სულის სიმშვიდის მოპოვებას შეძლებთ“.

ანუ ყველაფერი იწყება *აბჰიასადან*, ანუ მუდმივი პრაქტიკიდან.

მრავალი დაბადების განმავლობაში სილამაზით იყავით მოხიბლული და სურვილებში და მრისხანებაში იყავით ჩაფლული, სანამ ამ გატაცებებმა ფესვები არ გაიდგა თქვენს გულში. ახლა სურვილების მონები გახდით. მათ მხოლოდ სიტყვებით ვერ მოიცილებთ. მას შემდეგ, როცა ასე დიდხანს განიცდიდით მიბმულობას, ამ ნეგატიურმა თვისებებმა ისეთი ღრმა ფესვები გაიდგა, რომ, თუ მათ მოიცილებდით კიდეც ზედაპირზე, ისინი ისევ და ისევ გაიზრდებოდა. თუ სურვილები თქვენი განუყოფელი ნაწილი გახდა, მაშინ, როცა ამ პროცესს შემოაბრუნებთ და არამიბმულობისა და განდგომის პრაქტიკას აწარმოებთ, ამ ღრმად ფესვგადგმული მავნებლების თავიდან მოცილებას შეძლებთ.

დასაწყისში სურვილები უაღრესად მიმზიდველი და სასიამოვნოა. რაღაც დროის შემდეგ თქვენში მათ მიმართ ზიზღი ვითარდება; მაგარამ მაშინ უკვე ძალიან ძნელია, თითქმის შეუძლებელია, მათი თავიდან მოცილება. ამიტომ ჯობია, თუ სულ თავიდან განავითარებთ განდგომასა და არამიბმულობას როგორც თქვენი ბუნების ნაწილს და სურვილებისთვის ადგილს არ დატოვებთ; უბრალოდ არავითარ მნიშვნელობას არ მისცემთ მას. სანამ არ გაგიჩნდებათ თავგანწირვისა და სურვილებისთვის წინააღდეგობის უნარი, უფლის მადლის მიღებისთვის მზად არ იქნებით.

ხარი ან ცხენი, რომელთა კონტროლიც შეუძლებელია, მანქანა მუხრუჭების გარეშე ან ცხოვრება, რომელიც გრძნობების კონტროლზე არ არის დაფუძნებული, - ეს ყველაფერი სახიფათოა. გრძნობებზე კონტროლი ძალიან მნიშვნელოვანია. *იოგა-სუტრაში* პატანჯალი

ხაზს უსვამს აუცილებლობას მკაცრი კონტროლისა გონების ტენდენციებზე - იხეტიალოს ყველა მიმართულებით და სურვილებს სდიოს. საჭიროა გრძნობები და გონება გარკვეულ საზღვრებში გეჭიროთ. ბედნიერებაც კი, რომელიც გარკვეულ საზღვრებს აღემატება, შეიძლება მავნებელი იყოს. ყველაფერს საზღვარი აქვს – არსებობს საღი ფუნქციონირების დიაპაზონი.

გარკვეულ საზღვრებში გეჭიროთ გრძნობები

სხეულის ნორმალური ტემპერატურაა 98,6 გრადუსი (ფარენგეიტით); თუ ის ერთი გარადუსითაც კი იწევს მაღლა, ავადმყოფობა პროგრესირებას იწყებს. როცა ის გარკვეულ დონეზეა, ეს ჯანმრთელი სხეულის მაჩვენებელს წარმოადგენს. ასევე სისხლის წნევაც ნორმალურია, თუ ის 120/80. როცა ის 150/90-მდე იზრდება, ეს სხეულის არანორმალურ მდგომარეობაზე მიუთითებს, რაც შეიძლება ავადმყოფობით იყოს გამოწვეული. მსგავსი სახით გულისცემა უნდა იყოს 75 დარტყმა წუთში; თუ ის იზრდება, ეს ავადმყოფობის დასაწყისის ნიშანია.

იგივეა თქვენი თვალების მიმართაც: სინათლის გარკვეული დონე მათ ჯანმრთელ ფუნქციონირებას შეესაბამება. თუ სინათლე მეტისმეტად კაშკაშაა, თვალები ვერ შეძლებენ დანახვას, და ამან შეიძლება დააზიანოს ისინი. იგივე შეეხება ყურებსაც: არსებობს ხმის გარკვეული დიაპაზონი. თუ ხმის დონე ამ დიაპაზონს აღემატება, რაც თვითფრინავთან, მატარებელთან ან ხმამაღლა მოლაპარაკესთან ახლოს ხდება, მაშინ შეიძლება სმენა დაზიანდეს.

როგორც ხედავთ, ცხოვრება ჰგავს კომპანიას შეზღუდული შესაძლებლობებით. თუ გინდათ, რომ ასეთ შეზღუდულ კომპანიასთან შეუზღუდავი ბიზნესი გქონდეთ, მაშინ შეიძლება დიდი ზარალი მიიღოთ. ამიტომ თქვენს ქცევას შეზღუდვები უნდა დაუწესოთ, და ცხოვრება გარკვეულ საზღვრებში მოაქციოთ. ამას ასევე ჰქვია დისციპლინა. ის განსაკუთრებით პიროვნების სულიერი პროგრესისთვის არის საჭირო; დისციპლინის გარეშე ადამიანი შეიძლება უბრალოდ ცხოველი გახდეს. მაგრამ დისციპლინას ასევე გარკვეულ საზღვრებში უნდა მიჰყვებოდეთ; საჭიროა დისციპლინის რეგულირება, თუ გინდათ, რომ ცხოვრებით ტკბებოდეთ. როგორც ხედავთ, ყველაფერს აქვს საზღვარი, ფარგლები; თუ ამ ფარგლებში იქნებით, ცხოვრება არ შეგაწუხებთ.

უნდა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ ადამიანის ორ საშინელ მტერს – *კამას* და *კროდჰას* (სურვილს და მრისხანებას) და მათზე სრული კონტროლი დაამყაროთ. ეს მტრები თქვენ გარეთ არ

იმყოფებიან; ესენი თქვენი შინაგანი მტრებია. თუ შინაგანი მტრები გჯაბნიან, მაშინ როგორ უნდა დაამარცხოთ გარეშე მტრები? მაგრამ თუ შინაგანი მტრები მკაცრი კონტროლის ქვეშ გეყოლებათ, მაშინ თქვენთვის ადვილი იქნება ყველა სხვა მტრებზე გამარჯვება.

ბჰაგავად გიტა გვასწავლის, რომ სურვილები და მრისხანება მთავარი დაბრკოლებაა გათავისუფლებისკენ მიმავალ გზაზე; ამიტომ სრულიად აუცილებელია ლაგამამოდებული გყავდეთ ისინი.

შემდგომ დღეებში ვისაუბრებთ სხვა მტრების შესახებ თქვენს გზაზე, როგორიცაა ეჭვიანობა და სიძუნწე.

თავი მეთერთმეტე

ჭეშმარიტი თვითაღკვეთა ნიშნავს გონების ღმერთისკენ მიმართვას

> თუ გინდათ ღმერთს მიაღწიოთ და მისი ხედვა მიიღოთ, ყველაზე უფრო მთავარი თვისება, რომელიც უნდა განავითაროთ, არის არამიბმულობა. არამიბმულობა იმის უნარს გაძლევთ, რომ თქვენს ხედვაში თქვენში შეხვიდეთ; არამიბმულობა იმის საშუალებას გაძლევთ, რომ გონება თქვენ შიგნით მიმართოთ, რომ თქვენს შინაგან სილამაზეს ჩასწვდეთ.

სიყვარულის განხორციელებანო!

როდესაც ამ სამყაროს ობიექტთა ნაკლოვანებებსა და სისუსტეებს გაიგებთ, მალე ამ ობიექტების დაუფლების სურვილს დაკარგავთ. თუ გინდათ ღმერთს მიაღწიოთ და მისი ხედვა მიიღოთ, ყველაზე უფრო მნიშვნელოვან თვისებას, რომელიც უნდა განავითაროთ, წარმოადგენს *ვაირაგია*, ანუ არამიბმულობა ან განდგომა. არამიბმულობა იმის უნარს გაძლევთ, რომ მზერა თქვენ შიგნით მიმართოთ; იგი იმის საშუალებას გაძლევთ, რომ გონება თქვენ შიგნით მიმართოთ, რომ თქვენს შინაგან სილამაზეს ჩასწვდეთ. გონება ძალიან ძლიერი და ძალიან მერყევია; იგი მტკიცედ არის განწყობილი იმაზე, რომ თავის ნებაზე იქცეოდეს. არჯუნა ევედრებოდა კრიშნას, რომ გონების გაკონტროლებაში დახმარებოდა მას. მან შესჩივლა:

„უფალო, გონება მძლავრი და თავნებაა“.

კრიშნამ უპასუხა:

„არჯუნა, თუ განდგომის პრაქტიკას გასწევ, უეჭველად შეძლებ გონების გაკონტროლებას“.

გონების კონტროლი

გონება შეიძლება ლეღვის ხეს შევადაროთ. ლეღვის ხის ფოთლები ყოველთვის თრთის, იმისგან დამოუკიდებლად, არის ქარი თუ არა. ასეთივე სახით გონება ყოველთვის არამდგრადია და ირყევა. გარდა ამ არამდგრადი თვისებებისა, გონება ასევე ძლიერი და ურჩია. მაგალითად ავიღოთ სპილო. ისიც ძალიან ძლიერი და შეიძლება სასტიკიცაა. თუმცა წაწვეტებული ჯოხის დახმარებით მისი კონტროლქვეშ აყვანა შეიძლება. ცხენი იშვიათად არის მშვიდი;

სწორედ ამ მიზეზის გამო უწოდებენ მას *აშვანს*, რაც „მოუსვენრობას“ ნიშნავს. იგი მუდამ ამოძრავებს ფეხებს, ყურებს, თავს თუ კუდს. მისი მერყეობის გამო ის მიდის ჯერ ერთ მხარეს, მერე მეორე მხარეს; მაგრამ ლაგმის წყალობით შეიძლება მისი კონტროლქვეშ ყოლა და იძულება წავიდეს იქით, საითაც ცხენოსანს უნდა.

ავიღოთ მეორე მაგალითი – მაიმუნი, რომელიც აქეთ-იქით დაეხეტება. იგი გაუწონასწორებლობისა და მერყეობის თვით განსახიერებაა; მაგრამ წვრთნის დახმარებით მისი კონტროლზე აყვანა შეიძლება. ამრიგად, ზუსტად ისევე, როგორც წაწვეტებული ჯოხის დახმარებით შეიძლება ძლიერი სპილოს კონტროლი, რომელიც ძალიან სასტიკია ხოლმე, როგორც ნერვიულ და მოუსვენარ ცხენს აკავებს ლაგამი და როგორც წვრთნის დახმარებით შეიძლება მაიმუნის კონტროლქვეშ აყვანა, ძლიერი და ურჩი გონების კონტროლიც შეიძლება არამიბმულობისა და მუდმივი პრაქტიკის დახმარებით, სხვა სიტყვებით, *ვაირაგიასა* და *აბჰიასას* (არამიბმულობისა და მუდმივი პრაქტიკის) დახმარებით.

ჭეშმარიტი არამიბმულობა

ჭეშმარიტი არამიბმულობა განეკუთვნება ობიექტების დროებითი ბუნების გაცნობიერებას, რაც გონებას იმის საშუალებას აძლევს, რომ ყოველივე წარმავალზე არ იყოს მიბმული. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფრის მიმართ ზიზღსა და სიძულვილს გრძნობთ; ეს იმას ნიშნავს, რომ მათ მიმართ მენტალურ მიბმულობას არ გრძნობთ. შეუძლებელია მთლიანად უარი თქვათ ფენომენალური სამყაროს ობიექტებზე. მაგრამ შეიძლება უარი თქვათ საკუთარ გრძნობაზე - „ჩემი“. როგორც კი ამაზე უარს იტყვით, შეგიძლიათ ამ სამყაროს სხვადასხვა ობიექტებით დატკბეთ – ისინი არავითარ ზიანს არ მოგაყენებთ.

ამ ფენომენალურ (გამჟღავნებულ) სამყაროში ყოველი ადამიანი და ყოველგვარი ობიექტი ცვლილებებს განიცდის. სამყარო შედგება ცვლილებათა სამი ძირითადი სახისგან: ზრდა, არსებობა და მოშლა. აი ის ცვლილებები, რომლებიც ყველა ობიექტს ახასიათებს. თუ თვლით, რომ ეს წარმავალი ცვალებადი სამყარო უცვლელია, და ამ სამყაროს სხვადასხვა ობიექტს ებმებით, ეს ძალიან დიდი უგუნურებაა.

ვიშნუს ტაძარში შეგიძლიათ გარუდას, არწივის გამოსახულებას ხედავდეთ. შივას ტაძარში შეგიძლიათ ნანდის, ხარის გამოსახულება ნახოთ. რამას ტაძარში შეგიძლიათ ჰანუმანის, მაიმუნის გამოსახულება დაინახოთ. ისინი გამოსახავენ სწორი სახის მიბმულობას, ანუ მიბმულობას უფალზე, რომელიც უცვლელია, და არამიბმულობას ქვეყნიერებაზე, რომელიც წარმავალია. ნანდის,

გარუდას და ჰანუმანის ყურადღება მთლიანად უფლის ღვთაებრივ ტერფებზეა მიპყრობილი; ისინი ხედავენ მხოლოდ უფალს, და არა ამ სამყაროს. ამ გამოსახულებათა მნიშვნელობა იმაშია, რომ არ უნდა ღელავდეთ წარმავალზე; თქვენი აზრები იმაზე უნდა გქონდეთ მოკრებილი, რაც არ იცვლება, რასაც თვითონ უფალი წარმოადგენს. როდესაც გააცნობიერებთ ობიექტების ნაკლოვანებებს, მათ დროებითობასა და ცვალებადობას, მათი დაუფლების სურვილი თანდათან გაგიქრებათ.

არსებობს უამრავი ისტორია, რომელიც გვიჩვენებს, რომ იმპერატორებმა, რომლებსაც უზარმაზარი სიმდიდრე, ფუფუნება და მრავალი სიკეთე ჰქონდათ, რომლებზეც მხოლოდ ოცნებობა შეიძლება, არ მიუღიათ მათგან არც დიდი სიხარული, არც სულის სიმშვიდე. იმისათვის, რომ სულის სიმშვიდე მიეღოთ, ისინი ტყეში მიდიოდნენ და *ასკეზას* ასრულებდნენ. მხოლოდ ამას მოჰქონდა მათთვის კმაყოფილება და შინაგანი დამშვიდება, რაც მათ ასე სწყუროდათ.

რაც შეიძლება უკეთ გამოიყენეთ ამქვეყნიური ობიექტები

არამიბმულობა იმაზე უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ წარმავალი ბუნების მქონე ობიექტთა ნაკლოვანებებისა და სისუსტეების აღიარება. არამიბმულობა ასევე შეიცავს პოზიტიურ თვისებას – მაქსიმუმი მიიღოს ამქვეყნიური ობიექტებისგან. მუდამ უნდა ისწრაფოდეთ იმისკენ, რომ ობიექტის გამოყენების საუკეთესო ხერხი იპოვოთ და აფასებდეთ იმის გამო, რასაც ის წარმოადგენს. ის, რომ უბრალოდ აღიარებდეთ შეზღუდვებსა და მწუხარებას, რომლებიც ამქვეყნიურ ობიექტებს მოაქვს, სიხარულს ვერ მოგცემთ. ასევე უნდა იცოდეთ, სწორად როგორ გამოიყენოთ ისინი, რომ თქვენი ვალი ასრულოთ წუთისოფელში; მაშინ რაღაც კმაყოფილებას მიიღებთ. უფრო ფართო აზრით ჭეშმარიტი განდგომა არის ამქვეყნიურ მწუხარებებზე უარის თქმა და *ატმას* ნეტარების მიღწევა. უარი თქვათ ოჯახზე, ცოლ-შვილზე, და ქონებაზე და ტყეში წახვიდეთ – ამას არ შეიძლება ვუწოდოთ განდგომა (არამიბმულობა). განდგომა (არამიბმულობა) არის ობიექტთა ბუნებაში სუსტი ასპექტების აღიარება და ამავე დროს მათი პოზიტიური და ძლიერი მხარეების მიღება.

როდესაც რთულ სიტუაციაში ხვდებით, იქნება ეს ფიზიკური, მენტალური, ფინანსური თუ სხვა ნებისმიერი სახის პრობლემა, ჩვეულებრივ გიჩნდებათ არამიბმულობის გრძნობა იმ ობიექტთა მიმართ, რომლებიც ამგვარ მდგომარეობებს იწვევს. ეს სრულიად ბუნებრივია. მაგალითად, დავუშვათ, რომ ადამიანი მოკვდა და მისი სხეული კრემაციის ადგილას გადააქვთ, სადაც მას წვავენ. როდესაც

ამ სიტუაციას უყურებთ, არამიბმულობის გარკვეული ტიპი გიჩნდებათ: ფიქრს იწყებთ იმაზე, რომ სხეულს ადრე თუ გვიან დასასრული უნდა ჰქონდეს. მაგრამ ასეთი არამიბმულობა წარმოადგენს მხოლოდ დროებით მოვლენას, დროებით გრძნობას; ამ არამიბმულობას ვერ ჩათვლით ჭეშმარიტ *ვაირაგიად*.

სხვა მაგალითი: როცა დედა ბავშვს ბადებს. აუტანელი ტკივილის გამო ყვირის, რომ ჯობია მოკვდეს. ესეც არ არის ჭეშმარიტი არამიბმულობა. როგორც კი ბავშვი იბადება, თუ გოგოა, დედას მაშინვე უნდა, რომ შემდეგ ჯერზე ბიჭი იყოს. ასეთივე სიტუაცია ჩნდება მაშინ, როცა ვინმეს სურვილი არ უსრულდება; ესეც განდგომის (არამიბმულობის) გარკვეულ სახეს ავითარებს. საგნებზე მსგავსი დამოკიდებულება დროებითია; მუდმივი განდგომა სრულიად სხვა რამეა.

სხვა სიტყვებით, მოდუნებული ან სუსტი განდგომის საწინააღმდეგოდ, მუდმივი განდგომა შეიძლება ვუწოდოთ ინტენსიურ განდგომას, რომელიც სულის სიღრმიდან მოდის. ადამიანი გადაწყვეტილებას იღებს, რომ ინდოეთის ერთ-ერთ წმინდა ადგილას მომლოცველად წავიდეს, მაგრამ შემდეგ ჩნდება ძლიერი ტენდენცია - ეს შემდეგი თვისთვის გადადოს. თუკი ეს ეხება რაიმე კარგს, როგორიცაა მომლოცველობა, ადამიანს აქვს მიდრეკილება, რომ გადადოს. მეორე მხრივ, თუ ეს რაღაც ცუდს ეხება, ადამიანი ამჯობინებს, რომ დაუყოვნებლივ გააკეთოს, უმალვე, ადგილზევე. ადამიანები კარგი საქმეების შესრულებისთვის ჩვეულებრივად დიდ ძალისხმევას არ იჩენენ. ეს შეიძლება სუსტი *ვაირაგიას* ტიპად ჩავთვალოთ, რომელსაც იმის მიდრეკილება აქვს, რომ კარგი გადაწყვეტილებების განხორციელება და კარგი საქმეების შესრულება გადადოს. მაგრამ ასეთი ქცევის დროს სულიერი მიზნის მიღწევა თქვენთვის ძნელი იქნება. ინტენსიური *ვაირაგია*, ინტენსიური განდგომა, უკიდურესად მნიშვნელოვანია პროგრესისთვის სულიერ გზაზე.

ჰარიშჩანდრა და ბუდა

თუ თვლით, რომ გარკვეული მოქმედება კარგი და წმინდაა, არ უნდა გადადოთ ის. დაუყოვნებლივ უნდა შეასრულოთ და თვალ-ყური მიადევნოთ, რომ ეს კარგი აქცია წარმატებით იქნას განხორციელებული. ასეთია მეფური გზა, რომელიც ბუდამ გაკვალა ყველასთვის. როდესაც გაუტამა ბუდამ გაიგო, რომ სხეული არ არის მუდმივი და ყოველივე ამქვყნიური წუთიერია, გადაწყვიტა საძებნელად წასულიყო, რომ უცვლელი ჭეშმარიტება გაეხსნა; უარი თქვა ოჯახზე,

სამეფოზე და ტყეში წავიდა, რომ უმაღლესი რეალობა გაეცნობიერებინა.

ასევე იყო კიდევ ერთი მმართველი, რომელიც განდგომისა და არამიბმულობის ძლიერ გრძნობას ფლობდა; მას ერქვა ჰარიშჩანდრა. მიუხედავად იმისა, რომ იმპერატორი იყო, უბედური გარემოებების გამო იგი მესაფლავე და კრემაციაზე პასუხისმგებელი გახდა.

ერთხელ, როდესაც ჰარიშჩანდრამ კრემაციისთვის განკუთვნილ მოედანზე თავისი მოვალეობების შესრულება პირველად დაიწყო, მეგობრებმა მდიდარი ადამიანის გვამი მოიტანეს. მათ ცეცხლი დაანთეს, და დაუყოვნებლივ სახლისკენ გასწიეს. ჩვეულებრივ, როდესაც სხეულს წვავენ, მასზე რაღაც ტვირთს დებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხურვალების გაჩენასთან ერთად სხეული იღუნება, თითქოს ფეხზე დგება, ამის შემდეგ კი კვლავ წვება. იმ დღეს კრემაციის დროს მხოლოდ ჰარიშჩანდრა დარჩა; მიცვალებულის არც მეგობრები, არც ნათესავები არ დარჩნენ, რომ სხეულისთვის ეთვალთვალათ. ჰარიშჩანდრა წავიდა, რომ ცეცხლისთვის საწვავი დაემატებინა; უცებ მან დაინახა, რომ სხეული დგება. იგი გაოცდა და უფრო ახლოს მივიდა, რომ ყურადღებით ენახა ეს პროცესი.

როდესაც ჰარიშჩანდრა სამგლოვიარო კოცონთან მივიდა, მან შენიშნა, რომ სხეული თვითონ დაუბრუნდა მწოლიარე მდგომარეობას. ერთი წამით იფიქრა, რომ სხეული ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, რომ ის თითქოს წამოჯდა, რომ შეეხედა, სად არიან ნეთესავები და მეგობრები, მაგრამ შემდეგ მიხვდა, რომ მთელი ეპიზოდი წამიერი ილუზია იყო, როცა გვამი მხურვალების გამო ცოცხლად მოჩანდა. ჰარიშჩანდრამ იფიქრა:

„ისევე, როგორც გვამი ცოცხალ ადამიანად მივიჩნიე, ამ სამყაროს რეალურად ვთვლიდი. მაგრამ ის არარეალურია, მხოლოდ რეალობის ილუზიას წარმოადგენს“.

ჰარიშჩანდრა სინანულს გრძნობდა, რომ ასეთ მდიდარ ადამიანს, ვისი გვამიც კრემაციაზე მოიტანეს, არ ყავდა არც მეგობრები, არც ნათესავები, ვინც მის სხეულთან ბოლომდე დარჩებოდა. მან გაიფიქრა: როგორიც არ უნდა იყოს ადამიანის მდგომარეობა და სიმდიდრე, ცოლ-შვილსაც კი არ რჩება მასზე მიბმულობა მისი სიკვდილის შემდეგ. ამ შემთხვევის შედეგად ჰარიშჩანდრას ამ ქვეყნის ობიექტებსა და ფორმებზე არამიბმულობის ძლიერი გრძნობა გაუჩნდა.

ამქვეყნიური მიბმულობები შხამის მსგავსია

ქმნილების ყველა ობიექტში ყოველდღე განუწყვეტლივ ხდება ცვლილებები. ეს ცვლილებები არ არის ხელოვნური, წარმოსახვითი,

ისინი ბუნებრივია და ამ ობიექტების თვით ბუნებაშია ჩადებული. როგორც კი გაიგებთ, რომ სამყარო წარმოადგენს სცენას, სადაც მუდმივი ბუნებრივი ცვლილებები ხდება, და რომ ცვლილებები ამ სამყაროს ობიექტების თვით ბუნებაშია ჩადებული, ტანჯვებისგან თავისუფლდებით. ყოველი ადამიანი, ვისაც ესმის, რომ გველის შხამიან კბილში სასიკვდილო ტოქსინი იმყოფება, წინასწარი განზრახვით მასთან ახლოს არ მივა. თუ თქვენკენ მომავალ მორიელს დაინახავთ, რომელსაც მაღლა აშვერილი შხამიანი კუდი აქვს, და რომელიც მზად არის, რომ დარტყმა მოგაყენოთ, განა არ გაექცევით მას? მხოლოდ პატარა უმანკო ბავშვი ან აბსოლუტურად უმეცარი ადამიანი მივა მასთან ახლოს, და დაკბენილ იქნება და მოკვდება.

უფალი *გიტაში* გვასწავლის, რომ იმის მაგივრად, რომ გადიოდეთ ყველა ტანჯვას, რომელიც მიბმულობების განვითარებასთან არის დაკავშირებული, შემდეგ კი გული გაგიტყდეთ, როცა გარდაუვალი ცვლილებები გაჩნდება, უკეთესია თავიდანვე დარჩეთ არამიბმულები ამ სამყაროს საგნებსა და ობიექტებზე. მაგრამ ახლა ბევრი რამის დაგეგმვას აგრძელებთ და ბევრ რამეს ებმებით, რომ ხანმოკლე სიხარული მიიღოთ. აუძლურებთ თქვენს თავს, როცა ფიქრობთ და გეგმავთ: *„ეს უნდა გავაკეთო, ის უნდა გავაკეთო“* ანდა *„ეს უნდა იმის ნაცვლად გავაკეთო“*, - და ურიცხვ პროექტებში და სხვადასხვა სახის მოქმედებებში ებმებით. მაგრამ მომავალში ყველა ამ მოქმედების შედეგებზე პასუხის გაცემა მოგიწევთ.

თესლი, რომელიც თქვენი მოქმედებებით დათესეთ, გაღვივდება და დაგიბრუნებთ მოსავალს, რომელიც თქვენი მოქმედებების შედეგებისგან შედგება. თუ ეს თესლი ერთი სახისაა, არ შეიძლება სხვა სახის შედეგთა მიღებას ელოდოთ. რა მოქმედებებშიც არ უნდა იყოთ ჩართული, შესაბამის შედეგს მიიღებთ გირლანდას სახით, რომელიც კისერზე გექნებათ ჩამოკიდებული. როდესაც დედის მუცლიდან იბადებით, არავითარი გირლანდა არ ჩანს. არ გაქვთ კისერზე არც მარგალიტის ყელსაბამი, არც ოქროს ან ძვირფასი ქვებისგან შედგენილი ყელსაბამი; თუმცა აუცილებლად არის განსაკუთრებული გირლანდა. ეს გირლანდა შედგება თქვენი წარსული მოქმედებების შედეგებისგან, რომელი მოქმედებებიც წინა დაბადებათა დროს შეასრულეთ. ასეთი გირლანდა, რომელიც შემქმნელმა მოგცათ, თქვენს კისერს დაამშვენებს, თუმცა მას ფიზიკური თვალებით ვერ დაინახავთ.

ადამიანი, რომელიც იმ ჭეშმარიტებას აღიარებს, რომ ყოველ მოქმედებას გარკვეული შედეგი მოაქვს, მხოლოდ კარგ მოქმედებებს შეასრულებს, ცხოვებაში მხოლოდ იმ მოქმედებებით იქნება დაკავებული, რომლებიც მას კარგ შედეგებს მოუტანს. *გიტა*

გვასწავლის ამას როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის სულიერ ამოცანას ერთგულისთვის. ბოლოს და ბოლოს ეს მიგიყვანთ ამქვეყნიური საგნების მიმართ გულგრილობის განვითარებამდე და შედეგად – ჭეშმარიტი სიბრძნის შეძენამდე. აი მაგალითი, რომელიც ილუსტრირებს ამ სამყაროს ილუზიურ ბუნებას და მასზე იმ არამიბმულობას, რომლის დაუფლებაც არის თქვენთვის საჭირო.

მეფე ჯანაკას სიზმარი

მეფე ჯანაკამ დიდ ცოდნას მიაღწია *ბრაჰმა-ჯნანაში – ბრაჰმანის* შეცნობაში. მას *ვიდეჰას* მეფეს უწოდებდნენ. *ვიდეჰა* ნიშნავს „სხეულწართმეულს“, სხვა სიტყვებით, იმას, ვისაც სხეულის შეცნების გრძნობა არა აქვს. ერთ საღამოს, ვახშმის შემდეგ, იგი თავის მინისტრებთან ერთად რაღაც ადმინისტრაციულ პრობლემებს განიხილავდა და საძინებელ ოთახში ჩვეულებრივზე უფრო ადრე შევიდა. მისთვის სუფრა იყო გაწყობილი, მაგრამ იგი საჭმელს არ მიკარებია. იგი დივანზე ისვენებდა, სანამ დედოფალი მის ფეხებს მასაჟს უკეთებდა. მალე მეფე ჯანაკას ჩაეძინა. დედოფალმა მსახურ ქალს უბრძანა გასულიყო ოთახიდან და ყველაფერი ისე გაეკეთებინა, რომ მეფე არ შეეწუხებინა, რომელიც ძალიან დაიღალა: მან მეფეს საბურველი დააფარა და სინათლეს მოუკლო. დედოფალი მის გვერდით დარჩა სიჩუმეში.

ამის შემდეგ მალე მეფე ჯანაკამ სრულიად მოულოდნელად თვალები გაახილა, წამოჯდა, უნდობლად მიმოიხედა და ძალიან უცნაურად დაიწყო კითხვების მიცემა:

„ეს არის რეალური თუ ის არის რეალურია? ეს არის ჭეშმარიტება თუ ის არის ჭეშმარიტება?“.

მეფის შეცბუნებულმა გამოხედვამ და უცნაურმა კითხვამ დედოფალი ცოტა შეაშინა; მან სცადა დაეზუსტებინა, რის შესახებ კითხულობს იგი, მაგრამ მეფემ არ განმარტა და მის კითხვებს არ უპასუხა. იგი უბრალოდ განაგრძობდა:

„ეს არის ჭეშმარიტება თუ ის არის ჭეშმარიტება?“.

დედოფალმა დაუძახა მინისტრებს, მრჩეველებსა და სხვა მნიშვნელოვან ოფიციალურ პირებს. ისინი შეიკრიბნენ და მეფეს ეკითხებოდნენ:

„მაჰარაჯა, რა გაეჭვებს? სახელდობრ რა გინდა, რომ იცოდე?“

მაგრამ მაჰარაჯა არ პასუხობდა. ბოლოს და ბოლოს მინისტრებმა სასახლეში დიადი ბრძენი ვასიშთჰა მოიყვანეს. ვასიშთჰამ მეფეს ჰკითხა:

„რაზე კითხულობ? რაში გამოიხატება შენი ეჭვები? ნება მომეცი, რომ გავფანტო ისინი“

ყველა კითხვაზე მეფე იმავე შეკითხვით პასუხობდა:

„ის არის ჭეშმარიტი თუ ეს? ეს არის რეალობა თუ ის არის რეალობა?“

ბრძენმა ვასიშთჰამ, იყო რა ყოვლის მცოდნე, დახუჭა თვალები და რაღაც დროით მედიტაცია აწარმოა, რომ მეფის უცნაური ქცევის მიზეზი გამოერკვია. ვასიშთჰა მიხვდა, რომ მეფე ჯანაკამ ძალიან რეალური სიზმრიდან გამოიღვიძა, რომელშიაც მან სამეფო დაკარგა. იგი ტყეში მარტოხელა, დათრგუნული და დაკარგული დაეხეტებოდა. თავს ძალიან მშიერად, ასევე ძალიან დაღლილად და ყველასგან დავიწყებულად გრძნობდა. ტყეში დაეხეტებოდა და ხმამაღლა იმეორებდა: *„მშიერი ვარ, მშიერი ვარ“.* მოხდა ისე, რომ ტყეში მძარცველები აღმოჩნდნენ. სულ ახლოს ველობზე ისინი სავახშმოდ დასხდნენ და თეფშების მაგივრად ფოთლები გამოიყენეს. მათ შეეცოდათ ჯანაკა და ვახშამზე მიიწვიეს.

სწორედ იმ მომენტში ვეფხვი გაჩნდა, და ისინი თავის საშველად გაიქცნენ. ვეფხვმა მთელი საჭმელი შეჭამა. და კვლავ მარტო აღმოჩნდა ჯანაკა ტყეში; მიდიოდა, ბარბაცებდა და იძახდა:

„მშიერი ვარ, ძალიან მომშივდა“.

როდესაც გამოიღვიძა, დაინახა, რომ თავის სასახლეში სოფაზე წევს დედოფლის გვერდით და რომ რჩეული საჭმლითა და ტკბილეულით სავსე ლანგარი მის გვერდით მაგიდაზე დევს. მაშინ მან დაიწყო შეკითხვა, წარმოადგენს ის იმ მშიერ და ყველასგან დავიწყებულ უბედურს, რომელიც საჭმელს სთხოვდა მძარცველებს საშინელ ტყეში, თუ იმპერატორია, რომელიც დიდებულ დარბაზში ცხოვრობს და ყოველგვარი ფუფუნებით არის გარემოცული:

„ეს არის სიმართლე, თუ ის არის სიმართლე?“

მაჰარიშ ვასიშთჰამ უმალვე გაიგო მეფის სულის მღელვარება და თქვა:

„მეფეო ჯანაკა, ამ როლებიდან არც ერთია ჭეშმარიტება. შენ ხარ მხოლოდ ჭეშმარიტი. შენ თვითონ ხარ ჭეშმარიტება. ვინც იმყოფებოდა როგორც სუფთა ცნობიერება ძილის მდგომარეობაში და მღვიძარობის მდგომარეობაში, ვინც ამ ორი მდგომარეობის მოწმე გახდა, სწორედ ის არის ჭეშმარიტი რეალობა. ცხოვრება დღის დროს არის დღის ძილი, ღამის დროს – ღამის ძილი. ორივე ილუზიაა. ისინი არასრულყოფილებითა და ნაკლოვანებებით არის შევსილი, იმიტომ რომ მუდამ იცვლება; ამიტომ ისინი ვერ იქნება რეალობა. მხოლოდ შენ, ვინც ამ მდგომარეობებში რჩება უცვლელი, ხარ რეალური და თავისუფალი ცვლილებებისა და ილუზიებისგან“.

გიტაშიც ამაზეა ყურადღება გამახვილებული, სადაც კრიშნა მნიშვნელოვან ჭეშმარიტებაზე მიუთითებს, რომ სამყარო მუდამ იცვლება და რომ მხოლოდ „**მე**“ არის რეალური და უცვლელი.

ღმერთთან განშორების სევდა

სვამის წინათ უხსენებია, რომ არამიბმულობა არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი მიატოვოთ, წახვიდეთ ტყეში და *სანიასინის* ცხოვრებით იცხოვროთ. *ტაპასი*, ანუ განდგომა, არ განეკუთვნება გარკვეულ პოზებსა თუ სხეულის წამებას. *ტაპასი* ინტენსიურ გულის სევდასთან არის დაკავშირებული, რომელსაც გრძნობთ, როცა იგებთ, რომ ღმერთს განშორდით. როდესაც განცალკევების ამ ტკივილს გრძნობთ, სადაც არ უნდა იყოთ, - თქვენ *ტაპასში* იმყოფებით. როდესაც ამ ტკივილს განიცდით მისწრაფებისგან, რომ ღმერთს მიაღწიოთ, არ გაჯადოებთ სამი *გუნა*, სამი ატრიბუტი, ანუ თვისება: *ტამასი*, *რაჯასი* და *სატვა* (პასიურობა, აქტიურობა და სიწმინდე, ანუ გაწონასწორებულობა). ამ პერიოდში ეს *გუნები* ერთმანეთს ერწყმის და ერთიანი ხდება. სამი *გუნას* ასეთი ერთიანობა შეიძლება აღვწეროთ როგორც *ტაპასი*. ამასთან ენით აუწერელ სიხარულს განიცდით, რომელიც თვით ნეტარება, *ანანდაა*. ამრიგად, ჭეშმარიტი ტაპასი ის წერტილია, სადაც სამი *გუნა* ერთმანეთს ერწყმის და შედეგად ჩნდება *ანანდა*, ანუ მარადიული აღტაცება და ნეტარება.

ყოველდღე ელექტრობის სიკეთით ტკბებით. ოთახში შეიძლება გქონდეთ ელექტრული ვენტილატორი. ვენტილატორის ძრავს მიემაგრება სამი ფრთა. მათ რომ ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით ებრუნა, საკმარის სიგრილეს ვერ მიიღებდით. მაგრამ როდესაც სამი ფრთა უნისონში მოძრაობს, როგორც ერთი ფრთა, მაშინ სასიამოვნო გრილი ჰაერის ნაკადით შეგიძლიათ დატკბეთ. ამრიგად, გრილი ჰაერის ნაკადისგან სიამოვნება მხოლოდ მაშინ შეგიძლიათ მიიღოთ, როცა სამივე ფრთა ერთად მუშაობს და ბრუნავს როგორც ერთი მთლიანი. ზუსტად ასევე, როცა სამი *გუნა* ერთმანეთს ერწყმის და მოქმედებს როგორც ერთი, შეგიძლიათ ჭეშმარიტი ნეტარება მიიღოთ.

ამ ილუსტრაციაში თქვენი გული შეიძლება შევადაროთ ოთახს, სადაც ვენტილატორი იმყოფება. სამი *გუნა* შეიძლება ვენტილატორის სამ ფრთას შევადაროთ. თქვენი ინტელექტი, ანუ *ბუდჰი*, შეიძლება ელექტრულ ამომრთველს შევადაროთ. თქვენი სულიერი ძალა, ენერგია, რომელიც *ატმადან* მოდის, შეიძლება ელექტრობად ჩავთვალოთ, რომელიც ვინტილატორს ენერგიით კვებავს. *სადჰანა* არის ინტელექტის გაწმენდა, ანუ ელექტრული სინათლის ჩართვა.

როდესაც ეს *გუნები* ჰარმონიაში მუშაობს ერთად, ზუსტად ისევე, როგორც ვენტილატორის სამი ფრთა ბრუნავს ერთად, მთელი თქვენი სატკივარი ნეტარებად გარდაიქმნება. ამრიგად, ასეთი სახით შეგიძლიათ თქვენი სასიცოცხლო ძალა და მთელი თქვენი სულიერი ენერგია *ტაპასად*, ანუ ნეტარებად გარდაქმნათ.

ჭეშმარიტი განდგომა
გონების ღმერთისკენ მიმართვაა

იმის ნაცვლად, რომ *ტაპასის* გზას მტკიცედ მიჰყვებოდეს, ადამიანი დღეს დაკავებულია *ტამას-გუნას*, ანუ სიზარმაცისა და ინტელექტუალური ინერციის, წაქეზებით. უგულებელყოფს რა *ტაპასის* შესრულების უნარს, მას დაავიწყდა, როგორ უნდა აკეთოს ეს. როდესაც თქვენს ხედვას ნებას აძლევთ, რომ მან დროებით და წარმავალ სამყაროში იხეტიალოს, იგი *ტამასიური* ხდება. ხოლო როდესაც ხედვის კონცენტრაციასა და ცნობიერებას მარადიულ ღმერთზე ახდენთ, მაშინ ის *ტაპასი* ხდება.

ხშირად *სვამი* ამას შემდეგ ილუსტრაციას აძლევს. კარი შეიძლება მაგრად იყოს საკეტით ჩაკეტილი. გასაღები უნდა საკეტში შედოთ და მარჯვნივ მოატრიალოთ, და ის გაიღება. მაგრამ თუ გასაღებს მარცხნივ მოატრიალებთ, საკეტი ჩაკეტილი დარჩება. საკეტი იგივეა, და გასაღებიც იგივეა. თქვენი გული საკეტია, გონება კი – გასაღები. თუ გონებას ღმერთისკენ მიმართავთ, გათავისუფლებას მიიღებთ. თუ მას ობიექტურ სამყაროსკენ მიმართავთ, მონობაში დარჩებით. ერთი და იგივე გონება წარმოადგენს როგორც გათავისუფლების, ასევე მონობის ინიციატორს.

ჭეშმარიტი განდგომა, ანუ *ვაირაგია*, შეიძლება აღვწეროთ როგორც გონების ღმერთისკენ, მარადიული არსისკენ მიმართვა. ასეთი არამიბმულობა ან თავგანწირვა ძალიან ძლიერ გრძნობაში უნდა განვითარდეს. არ არის საჭირო ამ პრაქტიკის მუდამ ხვალისთვის გადადება, შემდეგ კი ზეგისთვის და ა.შ.

დავუშვათ, რომ ქორწილში წასვლას აპირებთ: ამ მოვლენამდე კარგა ხნით ადრე გარკვეულ ტანსაცმელს მოამზადებთ. ანდა დავუშვათ, რომ კინოში წასვლის შესაძლებლობა გაგიჩნდათ; თქვენ ძალიან სწრაფად მოემზადებით. იმისთვისაც კი, რომ უბრალოდ გაისეირნოთ, ერთ წამში იქნებით მზად. თუ დღეს არ შეგიძლიათ კინოში წასვლა, ამას ადვილად გადადებთ მეორე დღისთვის. თუ სასეირნოდ ახლა არ წახვალთ, ყოველთვის შეგიძლიათ სხვა დროს წახვიდეთ. მაგრამ არ შეიძლება გადადოთ ან გააუქმოთ მოგზაურობა ღმერთისკენ. ყოველთვის მზად უნდა იყოთ მიიღოთ ის ყველაფერი, რაც თქვენს გზაზე გაჩნდება. დრო არავის უცდის. დრო არ მიჰყვება

ადამიანს, ადამიანი უნდა მიჰყვეს დროს. დრო მუდამ მიედინება; მას ყველაფერი თან მიაქვს.

გიტა გასწავლით, რომ შეგიძლიათ ამქვეყნიური საგნებით ტკბებოდეთ, მაგრამ მათ არ უნდა მიებათ, და არ უნდა იფიქროთ, რომ მათ ფლობთ. განდგომის, ანუ არამიბმულობის, ეს გრძნობა სულიერი ფილოსოფიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ასპექტია, რომელიც *გიტაშია* მოცემული.

თავი მეთორმეტე

იყავით სყფთანი: დაე ერთიანი იყოს თქვენი მოქმედებები, აზრები და სიტყვები

არსებობის ბორბლისთვის გონება
წარმოადგენს საკვანძო წერტილს,
ცენტრს, საიდანაც ამქვეყნიური
მოქმედებები მოდის. იმისათვის, რომ
ამ ცენტრალურ წერტილში შეაღწიოთ
და ატმას, უკვდავი არსის, ხედვა
მიიღოთ, უაღრესად მნიშვნელოვანია
ვაირაგია (არამიბმულობა).

სიყვარულის განხორციელებანო!

ვაირაგია ნიშნავს არამიბმულობას, ანუ განდგომას – არამიბმულობას გონებისა და გრძნობებისა ამქვეყნიურ ობიექტებზე. გონება ფარავს არსს (თვითმყოფელობას), ამიტომ გონებას ზოგჯერ აღწერენ როგორც ვუალს; ეს არის უმეცრების ვუალი, რომელიც *ატმას* ფარავს. თვითონ გონება გრძნობათა ორგანოებით არის შებოჭილი, გრძნობათა ორგანოები კი გრძნობითი ობიექტების მიერ მიიზიდება, გრძნობათა ორგანოები გრძნობითი ობიექტებით არის შებოჭილი. ამიტომ პირველი ნაბიჯია გრძნობათა ორგანოებზე კონტროლი; ამისათვის არსებითად მნიშვნელოვანია არამიბმულობა.

არამიბმულობას თვითრეალიზაციისკენ (თვითშემეცნებისკენ) მიჰყავხართ

როგორც კი გრძნობით ობიექტებზე არამიბმულობას გამოიმუშავებთ, გრძნობათა ორგანოები ვეღარ შეძლებენ გონების შებოჭვას. გრძნობების მხრიდან კონტროლისგან თავისუფალი გონება სუფთა და გამჭვირვალე გახდება; ფარავს რა *ატმას*, ის აღარ მოახდენს გავლენას. როდესაც გონების ვუალი განზავდება, უმაღლესი „**მე**“ თავისი თავის ხედვას იღებს. მაშინ მთელი არსებულის ერთიანობაში განზავდებით და შეძლებთ დატკბეთ *ანანდით*, რომელიც თქვენს ჭეშმარიტ ბუნებას წარმოადგენს. *გიტა* გასწავლით, რომ განდგომა, *ვაირაგია*, ძალიან მნიშვნელოვანია *ატმას* გაცნობიერებისთვის.

ამას გასწავლით ასევე პატანჯალი *იოგა სუტრებში*, სადაც ნათქვამია, რომ არამიბმულობა განეკუთვნება იმ გონებას, რომელზედაც გავლენას არ ახდენს არც გრძნობათა ორგანოები, არც

ობიექტები, რომლებიც მათ ყურადღებას იპყრობს. ასეთი გონება, არის რა გრძნობათა ორგანოებისა და გრძნობითი ობიექტების მონობისგან თავისუფალი, სუფთაა და ილუზიას არ ექვემდებარება. იმ შემთხვევაში შეგიძლიათ სუფთა გონებას მიაღწიოთ, თუ ამ სამყაროს ობიექტებს დაინახავთ როგორც წარმავალს და მუდმივად ცვალებადს. *უპანიშადები* აცხადებენ, რომ, დაწყებული ფენომენალური სამყაროს უმდაბლესი არსებებიდან დამთავრებული უმაღლესი და ზეცამდე ასული არსებებით, ყველაფერი ეფემერულია და ცვლილებებს განიცდის. როდესაც ეს იცით, გრძნობით ობიექტებზე მიბმულობაზე უარი უნდა თქვათ, რადგან ნებისმიერი მიბმულობა ნელა, მაგრამ აუცილებლად მიგიყვანთ მონობასთან.

თუ ცეცხლს შეშას არ დაუმატებთ, ის ავტომატურად ჩაქრება; ასევე გრძნობებიც უძლური ხდება, როგორც კი გრძნობითი ობიექტები მოცილებულია. წმინდა წერილები დიდი ძალით ამტკიცებენ, რომ მხოლოდ ის, ვინც ზეცასაც კი (სადაც უფალი იმყოფება) რაღაც უმნიშვნელოდ თვლის, ის, ვისაც არაფერი აინტერესებს, გარდა *ატმას* სრული გაცნობიერებისა, წარმოადგენს ჭეშმარიტ *ვაირაჯის*, ანუ იმას, ვინც ჭეშმარიტად განუდგა ქვეყნიერებას.

კათჰა-უპანიშადაში ნათქვამია, რომ, როდესაც ბიჭუნა ნაჩიკეტა იამასთან, სიკვდილის ღმერთთან, წავიდა, იამამ მას უთხრა:

„შენს მფლობელობაში გადმოგცემ ყველა სიმდიდრესა და ძალაუფლებას მთელ სამყაროზე; მოგცემ ზეციური სამყაროს ყველა სიამოვნებას“.

ნაჩიკეტამ უპასუხა:

„ეს სამყარო და მთელი სამყაროები მის ზღვრებს მიღმა, წარმავალია, მარადიულად არ გრძელდება. არაფერი მინდა იქიდან, რაც მოდის და მიდის. მხოლოდ ატმას ხედვა მინდა. მინდა გავაცნობიერო მარადიული ჭეშმარიტება, რომელიც არასოდეს იცვლება. ეს სამყარო თავისი ბორკილებით და მასთან დაკავშირებული ყველა მწუხარება არსებობს იმათთვის, ვისზედაც გრძნობითი ობიექტები ახდენს გავლენას. არ მაინტერესებს ისინი“.

მიბმულობა ობიექტებზე, რომლებსაც თქვენს საკუთრებად თვლით

დავუშვათ, რომ რომელიღაც სახლში დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდით. დადგა დრო, როცა სხვა ადგილას უნდა გადასახლდეთ. ფუთავთ მთელ თქვენს ქონებას, აწყობთ სატვირთო მანქანაში და იგი ახალ სახლში გადაგაქვთ. ჩვეულებრივ იქამდეც კი მიდიხართ, რომ გაცვეთილ ფლოსტებსა და ძველ ცოცხსაც კი ახვევთ გაზეთში, რომ თან წაიღოთ, რადგან ფიქრობთ, რომ ისინი თქვენ გეკუთვნით. რა არის

ასეთი დამოკიდებულების მიზეზი? ამის მიზეზია ის, რომ ამ გრძნობით ობიექტებს მიებით. ამ ძველ ნივთებს ფუთავთ, რომ ისინი თან წაიღოთ, და ასეთ ინტერესს იჩენთ იმიტომ რომ მათზე ხართ მიბმული; გრძნობთ, რომ ისინი თქვენია.

ახლა ავიღოთ სხვა მაგალითი, სკოლის ან კოლეჯის დირექტორის მაგალითი. ასეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩვეულებრივ არის მნიშვნელოვანი ნივთების რაღაც რაოდენობა. მაგალითად, ლაბორატორიაში არის ძალიან ძვირფასი დანადგარი, აგრეთვე არის ბევრი მაგიდა, სკამი და სხვა ავეჯი, კედლის საათი და ა.შ. როდესაც სკოლის დირექტორი პენსიაში გადის ან სხვა სამუშაოზე გადადის, ამ ნივთებზე მიბმულობას არ გრძნობს. და ამიტომ ისევე თავისუფლად მიდის, როგორც მოვიდა. წასვლისას არ ღელავს და არ ფიქრობს იმაზე, როგორ დატოვოს ეს ნივთები. მიზეზი იმაშია, რომ მან მშვენივრად იცის: ამ ნივთებიდან მას არაფერი ეკუთვნის. ისინი ეკუთვნის სამმართველოს, რომელიმე სამზრუნველოს ან სახელმწიფოს. ამიტომ ის ამ ნივთებზე არამიბმულობისა და გულგრილობის გრძნობით ტოვებს სკოლას.

იქ, სადაც არის გრძნობა „ჩემი“, ანუ საკუთრების გრძნობა, ტანჯვის პრობლემა ჩნდება. თუ საკუთრების გრძნობა არ გაქვთ, არაფრით ხართ მიბმული და არ დაიტანჯებით. შესაბამისად, ამ ბორკილებზე, ტანჯვებსა და მწუხარებებზე პასუხისმგებელია გრძნობა „მე“ ან „ჩემი“. სკოლის დირექტორის მსგავსად, შეგიძლიათ გამოყენება მოუნახოთ იმ საგნებს, რომლებიც ამ სამყაროში გხვდებათ. უარს ნუ ამბობთ თვითონ ამ საგნებზე, თქვენს მოქმედებებზე და მოღვაწეობაზე. უბრალოდ უარი თქვით მიბმულობაზე, რომელსაც ამ საგნებზე, ამ სამყაროზე და მასში თქვენს მოღვაწეობაზე გრძნობთ. ეს მიბმულობები უნდა გარდაქმნათ.

უარი თქვით თქვენი მოქმედებების შედეგებზე

უარი თქვით თქვენი მოქმედებების შედეგებზე. სრული არამიბმულობის გრძნობით ასრულეთ თქვენი ვალი, და აცნობიერეთ საგანთა არასრულყოფილება. როგორც კი გაიგებთ ძირითად კანონებს, რომლებიც ამ სამყაროს მართავს, და ამ სამყაროს ობიექტებში არსებულ ნაკლოვანებებს აღიარებთ, შეძლებთ გადალახოთ მიბმულობები, რომლებსაც მათზე განიცდით.

თქვენს დაბადებამდე ვინ არის მშობელი, და ვინ არის შვილი? ქორწინებამდე ვინ არის ქმარი, და ვინ არის ცოლი? მხოლოდ დაბადების შემდეგ არსებობს მშობელი და შვილი. მანამდე ასეთი დამოკიდებულებები არ იყო, და მას შემდეგ, როოგოც კი დამთავრდება, ისინიც არ იქნება. მხოლოდ მოკლე გარდამავალ პერიოდში (ამ ორ

მდგომარეობას შორის) ჩნდება საკუთრების ან მიბმულობის გრძნობა. ეს ყველაფერი ხდება თქვენი ხედვის ნაკლისა და შეცდომების გამო თქვენს მიდგომაში. ეს ხდება შეხედულებათა სივიწროვის გამო, ახლომხედველი დამოკიდებულების გამო. მწუხარებებზე მხოლოდ თქვენი გრძნობები და დამოკიდებულებებია პასუხისმგებელი. როდესაც ობიექტებში ნაკლოვანებებს აღიარებთ, საკუთრების გრძნობას ადგილი არ ექნება.

ეცადეთ გაიგოთ არამიბმულობის პრინციპი. ისეთ მდგომარეობას უნდა მიაღწიოთ, რომელშიც არ გექნებათ მიბმულობის ან ბორკილების არავითარი გრძნობა ძილის ან ღრმა ძილის მდგომარეობაშიც კი. თუ მიბმულობის გრძნობას მღვიძარობის მდგომარეობაში შეინარჩუნებთ, ის ფაქიზ ფორმაში იქნება ძილის მდგომარეობაში და ღრმა ძილის მდგომარეობაში. ძილის მდგომარეობა შეიძლება შევადაროთ არეკვლას სარკეში: იმ შთაბეჭდილებების არეკვლას, რომლებსაც მღვიძარობის მდგომარეობაში განიცდით, შეიძლება ძილის მდგომარეობაში ხედავდეთ. ამრიგად, მღვიძარობისა და ძილის მდგომარეობა შეიძლება შევადაროთ ობიექტს და მის გამოსახულებას. თუ მღვიძარობის მდგომარეობაში სწორ გზას ირჩევთ, ჭეშმარიტებას აღიარებთ, და ამ ჭეშმარიტების თვალსაზრისით მიდიხართ, მაშინ ძილის მდგომარეობაშიც კი სწორი გზით წახვალთ. მღვიძარობის მდგომარეობაში წარმატებას რომ მიაღწიოთ, უნდა გრძნობითი ობიექტების ნაკლოვანებები აღიაროთ, თანდათან გადალახოთ ისინ და მათზე მიბმულობაზე თქვათ უარი.

ყველაფერი ცვლილებებს ექვემდებარება

დროის მოძრაობის გამო ყველაფერი ცვლილებას ექვემდებარება. ახლად მომზადებული საჭმელი გემრიელი და სასიამოვნოა დღეს. სანამ იგი ახალია, მასში ჩადებულია ძალისა და ჯანმრთელობის მოცემის შესაძლებლობა. მაგრამ ორი დღის შემდეგ იგივე საჭმელი ტოქსიკური ხდება. ის, რასაც კარგად, სასარგებლოდ, ჯანმრთელად და სიკეთედ თვლით, რაღაც დროის შემდეგ ხდება ცუდი, უსარგებლო, არაჯანმრთელი და მავნე. ასეთი ცვლილებები გარდაუვალია.

ამ კონტექსტში შეიძლება დავინახოთ ასევე ერთგულთა ოთხი ტიპი: *ართჰი* (მწუხარე), *ართჰარტი* (მატერიალურ სიკეთეთა მაძიებელი), *ჯიგნასუ* (სულიერი ცოდნის მაძიებელი) და *ჯნანი* (ბრძენი). დროის გარკვეულ შუალედში ერთი და იგივე ადამიანი ყველა ამ სტადიას გადის.

მოდით განვიხილოთ ცვლილებები, რომლებიც ადამიანის ცხოვრების მსვლელობაში ხდება. დაბადებისთანავე ახალშობილს

ჩვილს უწოდებენ; რამდენიმე წლის შემდეგ მას ბავშვს უწოდებენ; ოცი წლის შემდეგ იგივე ადამიანს ყმაწვილად თვლიან, და კიდევ ოცდაათი წლის შემდეგ იგი პაპა ხდება. ეს ოთხი სხვადასხვა ადამიანი კი არ არის, არამედ ყოველთვის ერთი და იგივე ადამიანია, მაგრამ გარკვეული დროის გავლის შემდეგ მას სხვადასხვაგვარად უწოდებენ ცხოვრების იმ სტადიათა შესაბამისად, რომლებსაც ეს ინდივიდუუმი გადის.

ადამიანის ცხოვრება, რომლის მიღებაც ძალიან ძნელია, დროის მსვლელობასთან ერთად ბევრ ცვლილებას განიცდის. თუ ეს ჭეშმარიტად ადამიანებს ეხება, მაშინ რამდენად უფრო ჭეშმარიტია ეს ამ სამყაროს ყველა სხვა არსებისა და ობიექტის მიმართ. თუ იკითხავთ, რა არის ადამიანის ცხოვრების უდიდესი ნაკლი, აღმოაჩენთ, რომ ეს არის ის ცვლილებები, რომლებიც ადამიანის ფიზიკურ სხეულს ემართება; კარგი იქნება ცვლილებები თუ ცუდი, მათ ვერ გაექცევით. რადგან ამ ფენომენალურ სამყაროში ცვლილებები ყველაფერშია ჩადებული, ამიტომ საჭირო არ არის რაიმეზე ან ვინმეზე მიბმულობის ან გრძნობა „ჩემი“-ს (მესაკუთრული გრძნობის) განვითარება.

ვინ არის მამა? ვინ არის დედა? ვინ არიან შვილები? ვინ არიან ოჯახის წევრები? ვინ არიან მეგობრები? ეს ყველაფერი ცვალებადი ფორმებია; არ შეიძლება ამ კითხვებს ერთხელ და სამუდამოდ გაეცეს პასუხი. თუ იმ ცვლილებების გაცნობიერებას იწყებთ, რომლებიც მსგავს ურთიერთობებში განუწყვეტლივ ხდება, მაშინ როგორ უნდა გამოავლინოთ რაიმე მიბმულობა მათზე? *გიტა* გასწავლით, რომ აუცილებელია უყურებდეთ ცვლილებებს (რომლებიც დროთა განმავლობაში მოდის) როგორც ფუნდამენტურ ნაკლოვანებებს ან მანკს. ამიტომ განავითარეთ სრული არამიბმულობა არასრულყოფილ ფორმებზე, რომლებიც ასეთ ცვლილებებს განიცდის – მათში არ არის მუდმივობა.

მუდმივი პრაქტიკა

ვაირაგია (განდგომა) პირველი მნიშვნელოვანი დისციპლინაა, რომლითაც უნდა იყოთ დაკავებულნი. შემდეგია *აბჰიასა*, ანუ მუდმივი პრაქტიკა. რა სახის პრაქტიკას შეიძლება ეწოდოს *აბჰიასა*? ერთი სახეა *ტაპასი*, რაც ნიშნავს „ასკეტიზმს, ანუ ცხოვრების მკაცრ სახეს“. როგორც კი ადამიანები სიტყვა *ტაპასს* გაიგონებენ, მათ ცოტაოდენ შიში იპყრობს. მათთვის *ტაპასი* აუცილებლად ასოცირდება ტყეში წასვლასთან, იქ არსებული ხილითა და ფესვებით კვებასთან, სადაც მათ სხვადასხვა სახის რისკი და ტანჯვა უნდა განიცადონ. ჭეშმარიტების თვალსაზრისით, ეს არ არის *ტაპასი*; ადამიანები

უბრალოდ თავიანთ სხეულს რაღაც განსაცდელში აგდებენ და გარეშე ტანჯვებისა და სასჯელისთვის სწირავენ.

ტანჯვებს სხეული კი არ უნდა გადიოდეს, არამედ გონება. გონებას ან სიზარმაცისა და ქაოსისკენ, ან უსასრულო მოღვაწეობისკენ აქვს მიდრეკილება; იგი მოღვაწისა და მფლობელის გრძნობით არის აღვსილი. *ტაპასი* ნიშნავს გონების (მთელი მისი უარყოფითი ტენდენციებით, რომლებიც მაგრად არის მასზე ჩაჭიდებული) მიცემას ნამდვილი წამებისთვის იქამდე, სანამ ეს ტენდენციები მას არ გაუშვებს. *ტაპასი* ასევე ნიშნავს ნაკლოვანებების მოცილებას, რომლებიც გრძნობითი ორგანოებისთვის არის დამახასიათებელი. ამაში მდგომარეობს ჭეშმარიტი *ტაპასი*. არსებობს *ტაპასის* სამი ტიპი: ერთია სხეულის ფიზიკური *ტაპასი*, მეორე – ენის ხმოვანი *ტაპასი*, მესამე კი – მენტალური *ტაპასი*.

სამი *ასკეზა*: ფიზიკური, ხმოვანი და მენტალური

ფიზიკური *ტაპასი* განეკუთვნება სხეულის გამოყენებას კარგი მოქმედებების შესრულებისთვის, ასევე უფლის თაყვანისცემასა და მადლიერების გრძნობის გამოვლინებას დიად სულთა მსახურებით. თუ მათ მადლს დაიმსახურებთ, მაშინ ეგოისტური ასპექტები „მე“ და „ჩემი“ თანდათან შემცირდება. ხოლო როდესაც ეს ნეგატიური თვისებები გაქრობას დაიწყებს, პოზიტიური თვისებები და მოქმედებები ავტომატურად იწყებს განვითარებას. თქვენ მიგიზიდავთ კარგი კამპანია, *სატსანგი*. ამის წყალობით დაიწყებთ *გიტას*, *რამაიანას*, *უპანიშადებისა* და სხვა მსგავსი სახის დიადი წმინდა ტექსტების კითხვას.

გარდა ამისა, საქველმოქმედო მოღვაწეობაში მონაწილეობის მიღებას დაიწყებთ, დაეხმარებით ადამიანებს განათლების, მედიცინის დარგში, საავადმყოფოებში, მონაწილეობას მიიღებთ საწყლების კვებაში და სხვა კარგ საქმეებში. და ზუსტად ისევე, როგორც ქველმოქმედების სხვადასხვა სახე, როგორიცაა ფულების, ძროხებისა და მიწების დარიგება, ტრადიციულად საშუალება იყო წმინდა მოღვაწეობაში სხეულის გამოყენებისთვის, ასევე გამოიყენებთ ამჟამად სხეულს წმინდა სახით. რამდენადაც არავითარ მავნე ან აკრძალულ მოქმედებას არ შეასრულებთ, არ მოგხიბლავთ *რაჯას გუნა* და *ტამას გუნა*. გათავისუფლდებით ამ ორი *გუნას* ბორკილებისგან. ეს ყველაფერი შეიძლება აღვწეროთ როგორც სხეულებრივი ასკეტიზმი, ანუ *ტაპასი*.

ხმოვანი *ტაპასი* არის კარგი და კეთილშობილი სიტყვების ხმარება. მაშინაც კი, როდესაც სიმართლეს ამბობთ, არ უნდა იყოთ მკაცრი ან მძაფრი, ფრთხილი უნდა იყოთ, რომ სხვებს არ აწყენინოთ.

მართალიც თუ არის ეს, არ უნდა გაღიზიანდეთ, არ უნდა ავნოთ სხვებს. ამასთან დაკავშირებით *გიტა* ამბობს, რომ ჭეშმარიტება უნდა იყოს ნაზი და არ უნდა იყოს ვნების მომტანი. გამოიყენეთ წმინდა ენა, რომელიც მოგეცათ, რომ სიხარული და სიამოვნება მოუტანოთ და დაეხმაროთ სხვებს. ნუ მიაყენებთ ტანჯვებს სხვის გონებას. გამოიყენეთ თქვენი აზრები იმისათვის, რომ ყურადღების მოკრებაში დაეხმაროთ თქვენს თავს, როდესაც ღმერთზე ფიქრობთ. უფლის მშვენიერი ატრიბუტების აღწერისთვის გამოიყენეთ ენა. იხმარეთ ის სიტყვები, რომლებიც უაღრესად სასარგებლოა სხვებისთვის. გამოიყენეთ საუბრები, რომ სწორ გზაზე მიუთითოთ სხვებს. იმის უნარი უნდა გქონდეთ, რომ სხვებს აუხსნათ მთელი უზარმაზარი და კარგი გამოცდილება, რომელიც თქვენ მიიღეთ. როდესაც კარგ სიტყვებსა და ალერსიან ენას იყენებთ, შეგიძლიათ სწორ გზაზე მიუთითოთ ადამიანებს, თუ ისინი მცდარი გზით მიდიან. იმაზე უნდა იზრუნოთ, რომ სულ ოდნავმა სიცრუემაც კი არ შეაღწიოს თქვენს გულში ან მეტყველებაში. თქვენ უნდა მცოდნე გახდეთ ჭეშმარიტებაში და არაძალადობაში.

ტყუილის თქმას სჯობია გაჩუმდეთ

როდესაც ჭეშმარიტების ბილიკზე მიდიხართ, მრავალი პრობლემა შეიძლება შეგხვდეთ. ვინმე ბრძენმა, რომელიც *ასკეზებს* ასრულებდა, აღუთქვა თავს, რომ ჭეშმარიტებისა და არაძალადობის გზით ივლიდა, რაც არ უნდა მომხდარიყო. ეს რომ გაიგონა, სასტიკმა მონადირემ გადაწყვიტა იძულებული გაეხადა ბრძენი ფიცი გაეტეხა. მონადირე ირემს მისდევდა, და ისე გაიგდო ის, რომ *რიშის* (ბრძენის) გვერდით გაევლო ირემს. ბრძენი ამ დროს *ტაპასში* იყო ჩაძირული. ბრძენმა დაინახა ირემი, რომელიც ბუჩქებში იმალებოდა. ამ დროს გამოჩნდა მონადირე, რომელმაც ბრძენს ჰკითხა:

„ირემი ხომ არ დაგინახავს?“

რიში დიდ სიძნელეში აღმოჩნდა: თუ სიმართლეს იტყვის, ირემს უბედურებას დამართებს; მაგრამ თუ ტყუილს იტყვის, მაშინ აღთქმას დაარღვევს. ერთი მხრივ, იგი ცოდვას ჩაიდენს, როცა სხვა არსებას ვნებას მოუტანს, მეორე მხრივ ასევე ცოდვას ჩაიდენს, თუ ტყუილს იტყვის.

ბრძენმა ამ დილემიდან მშვენიერი გამოსავალი იპოვა. მონადირის შეკითხვას რაღაც იდუმალი სახით გასცა პასუხი. მან თქვა:

„თვალებს, რომლებიც ხედავენ, ლაპარაკი არ შეუძლიათ, პირს კი, რომელიც ლაპარაკობს, დანახვა არ შეუძლია. ვერ ვაიძულებ იმას, რაც ხედავს, რომ ილაპარაკოს, იმას კი, რაც ლაპარაკობს – დაინახოს. ამაშია ჭეშმარიტება“.

ასეთ რთულ სიტუაციებშიც კი არ უნდა თქვათ ტყუილი, თუმცა ასევე სიმართლესაც ყოველთვის ვერ იტყვით. როდესაც ხმოვანი ტიპის *ტაპასით* ხართ დაკავებული, შეიძლება მსგავსი სახის რთული სიტუაციები გაჩნდეს. მთელი ძალისხმევა უნდა გამოიჩინოთ იმისათვის, რომ ტყუილის თქმა თავიდან აიცილოთ. ნებისმიერ გარემოებაში ნუ იტყვით ტყუილს. თუ სიმართლის თქმა არ შეგიძლიათ, მაშინ, ტყუილის თქმის ნაცვლად ჯობია იყოთ სიმშვიდეში და სიჩუმე დაიცვათ.

განვიხილოთ მესამე მენტალური *ტაპასი. ტაპასის* ამ ტიპში კარგი თვისებები და ზნეობრიობები უნდა განავითაროთ. გონებაში გამავალი აზრები, თქვენს სახეზე აისახება. აი რატომ არის ნათქვამი, რომ სახე გონების სარკეა. სახეზე ყველა აზრი აისახება. თუ მწუხარებით ხართ შეპყრობილი, თქვენი სახე ამ მდგომარეობას ასახავს. თუ გონებაში წმინდა აზრებია, თქვენი სახე მხიარული იქნება. ამრიგად, შეიძლება ადვილად ვხედავდეთ გონებისა და აზრების გავლენის შედეგს.

მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგიძლიათ ბედნიერად და სიხარულში იცხოვროთ, თუ თქვენს გონებაში წმინდა აზრები, წმინდა გრძნობები და წმინდა იდეები იქნება. თუ ცუდი აზრები გტანჯავენ, მაშინ ვინც არ უნდა მოგიახლოვდეთ და დაგელაპარაკოთ, გაღიმებასაც კი თუ ეცდებით, ღიმილი ხელოვნური იქნება, იგი თქვენი გულის მღელვარე შინაგან მდგომარეობას გაამხელს. არ უნდა ჩავარდეთ ასეთ მდგომარეობაში; ყოველთვის გონებრივად ბედნიერების მდგომარეობაში გეჭიროთ თავი. როდის იქნებით ბედნიერად და გახარებული? მხოლოდ მაშინ, როცა თქვენი აზრები კარგი და წმინდა იქნება. იმისათვის, რომ გონებაში მაქსიმალური რაოდენობის ასეთი კარგი და წმინდა აზრები გქონდეთ, აზრებზე კონტროლის პრაქტიკას უნდა ეწეოდეთ.

ყოველდღე დაიცავით მდუმარების პერიოდი

დღეში რამდენიმე საათი მაინც უნდა იყოთ მდუმარებაში; მაშინ გონება სიტყვებისა და აზრთა ტალღებისგან დაისვენებს. გონება რომ დაასვენოთ, ასევე შეიძლება წმინდა სახელის გამეორებისა და უფალზე აზრების მოკრების პრაქტიკას ეწეოდეთ. უფლის სახელის გამეორებას და ღმერთზე ფიქრს შეაქვს როგორც შინაგანი, ასევე გარეშე სისუფთავე. ისევე, როგორც ყოველდღე ბანთ სხეულს და გარეშე სუფთა ინსტრუმენტად აქცევთ, ასევე გონებასაც უნდა რეგულარულად ასუფთავებდეთ, რომ მისი სიქორფე და სიწმინდე განაახლოთ. ამჟამად უფრო მეტად ფიზიკური სისუფთავით ხართ დაკავებული, მაგრამ ასევე გონებრივ სისუფთავესაც უნდა იცავდეთ,

რომელიც თანაბრად არსებითია ცხოვრებისთვის. კარგი აზრები, კარგი გრძნობები და კარგი ქცევები შინაგანი სისუფთავის მომტანია.

ტაპასი (ასკეტიზმი) სინამდვილეში ნიშნავს ფიზიკური, ხმოვანი და მენტალური ერთიანობის შექმნას, რომელიც მოქმედებებს, სიტყვებსა და აზრებს ჰარმონიაში ყოფნის შესაძლებლობას აძლევს. ამაში მდგომარეობს ჭეშმარიტი *ტაპასი. მაჰატმა*, დიადი სული, ის არის, ვისაც ყველა სამი ატრიბუტის ერთიანობით შეუძლია ტკბებოდეს. თუ აზრები, სიტყვები და მოქმედებები განსხვავებულია, მაშინ არ შეიძლება ადამიანი დიადად ჩაითვალოს. *ტაპასი* დაკავშირებულია *რაჯასისა* და *ტამასის* მოშლასთან, რომლებსაც ჟინისა და სიზარმაცის ბუნება აქვს, და მათ ჰარმონიულ *სატვა-გუნაში* განაზავებს. ამის მიღწევა შეიძლება, თუ *ტამას-გუნას* აკონტროლებთ *რაჯას-გუნას* დახმარებით, ამის შემდეგ კი *რაჯას-გუნას - სატვა-გუნას დახმარებით*; ასეთი გზით შეძლებთ ამ გაერთიანებული სამი *გუნას* ჰარმონიით ტკბობას. საბოლოო ჯამში *სატვა-გუნას* გავლენაც კი უნდა გადალახოთ.

დავუშვათ, ეკალს დაადგით ფეხი. თუ ტერფიდან ეკლის ამოღება გინდათ, არ არის საჭირო სპეციალური ინსტრუმენტის ძებნა. საკმარისია მეორე ეკალი, რომ პირველი მოიცილოთ. ამის შემდეგ შეგიძლიათ ორივე ეკალი გადააგდოთ. ასეთივე სახით ორი დაბალი *გუნა*, რომლებსაც ამდენი უსიამოვნება მოაქვს თქვენთვის, შეიძლება *სატვა-გუნას* ეკლით მოიცილოთ. სანამ ეს ორი *გუნა* არ მოგიცილებიათ, *სატვა-გუნა* გჭირდებათ. *სატვა-გუნა* შეიძლება აღვწეროთ როგორც ოქროს ჯაჭვი, *რაჯას-გუნა* – როგორც სპილენძის ჯაჭვი, *ტამას-გუნა* კი – როგორც რკინის ჯაჭვი. სამივე ჯაჭვი ერთნაირად გბოჭავთ. ყოველი ჯაჭვის ლითონის ღირებულება შეიძლება განსხვავებული იყოს, მაგრამ მიუხედავად ამისა, სამივე ჯაჭვი გბოჭავთ.

გათავისუფლდით მონობის ბორკილებისგან

თუ ადამიანი ოქროს ბორკილით არის შებოჭილი, ნუთუ ბედნიერი იქნება ასეთ სიტუაციაში? არა! მონობის ბორკილი ბორკილად რჩება, იმისგან დამოუკიდებლად, ოქროსია იგი, სპილენძის თუ რკინის. ამიტომ *სატვა-გუნაც* კი გბოჭავთ, და ბოლოს და ბოლოს მისგანაც უნდა გათავისუფლდეთ. ყველა ბორკილისგან უნდა გათავისყფლდეთ; მაგრამ სანამ ღვთაებას არ მიაღწევთ, *სატვა-გუნა* გჭირდებათ. როგორც კი უფალს შეერწყმებით, *სტვა-გუნა* უკვე აღარ არის. ასეთ მდგომარეობაში საკითხი სამ *გუნაზე* საერთოდ აღარ დგება. როცა ყველა სამ ატრიბუტს უფალს შესთავაზებთ და მათ ზღვრებს მიღმა აღმოჩნდებით, მონობის ბორკილებისგან გათავისუფლდებით.

გიტა გასწავლით, რომ გონების გაკონტროლებისთვის, არსებითად მნიშვნელოვანია *აბჰიასა* და *ვაირაგია*, მუდმივი პრაქტიკა და განდგომა. ეს პრაქტიკა ყოველდღიური რელიგიური რიტუალების უბრალო დაცვით არ შემოიფარგლება. სხეულის გამოყენება, გონების გამოყენება და ენის გამოყენება ისეთი სახით, რომ მიბმულობა არ ვითარდებოდეს, - აი რა იგულისხმება პრაქტიკაში. პრაქტიკა ნიშნავს მთელი თქვენი ცხოვრების ერთადერთ მიზანზე ორიენტირებას – მიაღწიოთ ღვთაებას. თქვენ მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვა, თავში გაჩენილი ყოველი აზრი, და ყოველი ქცევა უნდა სუფთა იყოს და ჭეშმარიტებას შეესაბამებოდეს. ჭეშმარიტება და სისუფთავე ნამდვილი ინსტრუმენტებია *ტაპასის* შესრულებისთვის. ჩემი სურვილია, რომ ეს კეთილშობილი თვისებები განავითაროთ და ამგვარად თქვენი ცხოვრება წმინდა გახადოთ.

თავი მეცამეტე

დაკარგული დრო დაკარგული ცხოვრებაა

გიტაში უფალი კრიშნა აცხადებს:
„ის, ვისაც მუდამ ვახსოვარ, ძალიან
ძვირფასია ჩემთვის. ამიტომ ყოველთვის
გახსოვდე. შემომთავაზე შენი გონება და
ინტელექტი. ყველაფერი მე შემომთავაზე.
მაშინ უეჭველად მოაღწევ ჩემამდე.

სიყვარულის განხორციელებანო!

გიტაში ნათქვამია, რომ სიხარულს და მწუხარებას, სიცივეს და სიცხეს, მოგებას და კარგვას, კიცხვას და ქებას ერთნაირად უნდა აღიქვამდეთ. გონების ეს წონასწორობა ჭეშმარიტი ერთგულის 64 ატრიბუტიდან ერთ-ერთს წარმოადგენს. ძნელია იმის გარკვევა, ფლობს თუ არა ერთგული ყველა 64 თვისებას. მაგრამ ეს ატრიბუტები ერთმანეთს შეერწყა და მთლიანად იმყოფება ორ მთავარ თვისებაში: *აბჰიასაში* – მუდმივ პრაქტიკაში და *ვაირაგიაში* – განდგომაში ან არამიბმულობაში. პრაქტიკა განეკუთვნება *ტაპასის* ან *ასკეზას* (სიმკაცრე, ასკეტიზმი) სამ სახეს: სხეულის *ტაპასი*, გონების *ტაპასი* და მეტყველების *ტაპასი*. განდგომა დაკავშირებულია ობიექტთა შეზღუდულობის გაცნობიერებასთან და იმასთან, რომ ისეთ ცხოვრებას ეწეოდეთ, რომ საგნებს არ ებმებოდეთ; სხვა სიტყვებით, ცხოვრობდეთ როგორც მოწმე. თუ თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ამ ორი მნიშვნელოვანი თვისების, *აბჰიასას* და *ვაირაგიას*, ჩართვას შეძლებთ, მაშინ რაიმე სხვა სულიერი პრაქტიკის აუცილებლობა არ იქნება.

სიყმაწვილის წლებიდან დაიწყეთ სულიერი პრაქტიკა

თუ ამ ორი თვისების განვითარება გინდათ, ბავშვობიდანვე უნდა დაიწყოთ, წმინდა და გამაკეთილშობილებლის სახით გამოიყენოთ თქვენი ცხოვრების ადრეული პერიოდი. დღეს ადამიანები სულიერ პრაქტიკას მხოლოდ მაშინ იწყებენ, როცა სიბერეს აღწევენ. როცა მთლიანად დატკბნენ ფუფუნების საგნებით, როცა ამქვეყნიური სიამოვნებებისა და მათგან სიცარიელის მიმართ ზიზღი იგრძნეს, მხოლოდ ამის შემდეგ იღებენ გადაწყვეტილებას, რომ სულიერ გზას დაადგნენ. აძლევენ რა მთელ თავიანთ ცხოვრებას გრძნობით სიამოვნებებს, ოჯახურ ცხოვრებას, შვილებს, სიმდიდრეს,

საკუთრებას, სახელსა და დიდებას და თვლიან რა, რომ სწორედ ამაშია ჭეშმარიტი ტკბობა, ხნიერ ასაკში მათ ყველაფერზე გული უტყდებათ. ესმით, რომ ამ ყველაფერში ჭეშმარიტი არაფერია და რომ სულის სიმშვიდე და მუდმივი სიხარული ვერ გაჩნდება ფენომენალური სამყაროდან და ამქვეყნიური საქმიანობიდან. და მაშინ, როცა ცხოვრების სიცარიელე აწვალებს მათ და ცხოვება დასასრულს უახლოვდება, ისინი სულიერ პრაქტიკას იწყებენ.

მაგრამ სიბერეში, როცა სხვადასხვა სახის ფიზიკური და მენტალური ნაკლოვანებები და ყოველგვარი შეზღუდვები გტანჯავთ, ძალიან ძნელი იქნება სულიერი პრაქტიკის შესრულება და მკაცრი სულიერი ცხოვრების გაწევა. მაგრამ მაშინაც არ უნდა გაიტეხოთ გული, არ უნდა იფიქროთ, რომ ხნიერი ადამიანებისთვის სულიერი წინსვლისკენ მიმავალი გზა ჩაკეტილია. სასიკეთო შესაძლებლობები აუცილებლად იქნება ხნიერ ადამიანთა გზაზე. გაცილებით უკეთესია ფიქრობდნენ უფალზე სიბერეში მაინც, ვიდრე საერთოდ არ ფიქრობდნენ. ღმერთზე ფიქრში არავითარი შეზღუდვები არ არის არც დროში, არც ადგილში, არც ასაკში. აი რატომ აცხადებს კრიშნა, ღვთაებრივი მასწავლებელი, *გიტაში*:

„ყოველ დროს, ნებისმიერ ადგილას, იფიქრე ჩემზე“.

მაგრამ მასწავლებელი *გიტაში* ასევე ამბობს, რომ სულიერი პრაქტიკის დაწყება სიყმაწვილის წლებიდან ჯობია, როცა თქვენი ფიძიკური ძალა, გრძნობათა ორგანოების ძალა და მენტალური ძალა ყვავის.

ეს პროცესი იმის მსგავსია, როგორ უკეთებთ რეზერვირებას სადილს სასტუმროში, როცა წინასწარ სადილისთვის ტალონს ყიდულობთ. მას შემდეგ, როგორც კი ადგილი დაჯავშნეთ, როცა არ უნდა მიხვიდეთ იქ, შეგიძლიათ ჭამოთ; ეს გარანტირებული გაქვთ. მეორე მხრივ, როდესაც სასტუმროში მხოლოდ მაშინ მიხვალთ, როცა მშიერი ხართ, და არა ჩვეულებრივ დროს, და ტალონის გარეშე, რომელიც თქვენი ადგილის რეზერვირებას ახდენს, შეიძლება არ მოგემსახურონ. ამ შემთხვევაში გარანტია არ არის, შეიძლება საჭმელი მიიღოთ ან არ მიიღოთ. ყველაფერი შემთხვევაზეა დამოკიდებული. ასევე ემართებათ იმ ადამიანებს, რომლებიც ხნიერ ასაკში პირველად ფიქრდებიან სულიერებაზე. შეიძლება მათ შეძლონ სულიერად წინ წაწევა, ან ვერ შეძლონ. მაგრამ იმავე ადამიანებს სიყმაწვლიდან რომ დაეწყოთ სულიერი პრაქტიკის გაწევა, და მეტი გამოცდილება მიეღოთ, ისინი სიბერეში უეჭველად მიაღწევნენ წარმატებას ამ სფეროში.

ამაოდ ნუ ხარჯავთ ახალგაზრდობას

თუ ადრეულ ასაკში დროს ხარჯავთ, ცხოვრების სიამოვნებებით ტკბებით და გრძნობათა ორგანოების ძალასა და სხეულის ძალას კარგავთ, მაშინ სიბერეში შეიძლება ვერ მიაღწიოთ საბოლოო მიზანს – შეერწყათ უფალს, თუკი ამას მოისურვებთ. არავითარი აზრი არ არის იმაში, რომ გემრიელი საჭმელი ბანანის ფოთოლზე გეჭიროთ, დემონებს სთავაზობდეთ მას, შემდეგ კი, როცა ყოველივე ღირებული დემონურმა ძალებმა აიღეს, ნარჩენები ღმერთს შესთავაზოთ. ასეთ შემთხვევაში ნუთუ ღმერთს გულს მოუგებთ, როცა შესთავაზებთ იმას, რაც დარჩა? ვერა! ეს შეუძლებელია. ახალგაზრდა ადამიანის სხეული შეიძლება ბანანის ქორფა ფოთოლს შევადაროთ. გემრიელი საჭმელი შეიძლება შევადაროთ საგნებს, რომლებითაც გრძნობათა ორგანოები ტკბებიან. ყველა ამ დელიკატესს თავიდან დემონებს სთავაზობთ, ამის შემდეგ კი ცდილობთ, რომ უფალს შესთავაზოთ. მას შემდეგ, როცა მთელი თქვენი ძალები და უნარი მრისხანების, სიხარბის, ჟინისა და სიამაყის დემონების მიერ არის შთანთქმული, ცდილობთ ღმერთს ნარჩენები შესთავაზოთ. მაგრამ ეს არ არის სწორი, და ასეთ ძღვენს ღმერთი არ მიიღებს. ამ თვალსაზრისით მასწავლებელი *გიტაში* ხაზს უსვამს, რომ სიყმაწვილე ძალიან ღირებული პერიოდია, რომელიც განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა გამოიყენოთ, რომ სულიერად წინ წაიწიოთ.

თუ რაღაც დროის განმავლობაში რაიმე საგანს ფლობდით და იღებდით ამას როგორც საკადრისს, უკვე აღარ შეგიძლიათ მისი ჭეშმარიტი ღირებულების გაგება. როდესაც ამ საგანს კარგავთ და კარგვას აცნობიერებთ, მაშინ იწყებთ მისი ჭეშმარიტი ღირებულების გაგებას. სანამ თვალები გაქვთ, არ იცით მათი ფასი – რამდენად ძვირფასია ისინი. მხედველობის მნიშვნელობას მხოლოდ მაშინ აცნობიერებთ, როცა მას კარგავთ. ასეთივე სახით, როდესაც კარგი ჯანმრთელობა გაქვთ და ყველა უნარი აყვავებულია, არ გესმით მათი ჭეშმარიტი ღირებულება. როდესაც ჯანმრთელობას კაგავთ, როცა თქვენი გონებრივი და ფიზიკური უნარი უარესდება, მაშინ ნანობთ და ჩივით, რომ მთელი თქვენი ძალა და უნარი გაქრა. მაგრამ მაშინ ჩივილს უკვე აზრი არა აქვს. ახალგაზრდობაში ცუდ ჩვეულებებსა და ხასიათის ცუდ თვისებებს ნება მიეცით, რომ ისინი თქვენი საუკეთესო მეგობრები გამხდარიყვნენ და ღრმად გაედგათ თქვენში ფესვები. იგივე ნიჭი და უნარი, რომლებიც სიყმაწვილეში არასწორად გამოიყენეთ, სიბერეში თქვენი მტრები ხდებიან.

ახალგაზრდების უმრავლესობა არ ცდილობს შესაბამისი სახით გამოიყენოს გარჩევის ძალა. ახალგაზრდა ადამიანები არ იყენებენ ინტელექტუალურ უნარს იმისათვის, რომ გაიგონ, ვინ არის მათი

ჭეშმარიტი მეგობარი, და ვინ - მტერი, ვინ არის მათი *გურუ* (მასწავლებელი), და ვინ – მოსწავლე; ვინ არის რეჟისორი, და ვინ – მსახიობი. თუ ინტელექტი არ განავითარეთ, რომ ცხოვრების აზრი გაიგოთ, განა არასწორია, რომ მაიმუნს გიწოდებენ? როდესაც ადამიანურ თვისებებს სწორად გამოიყენებთ და ადამიანის ცხოვრების მნიშვნელობას გაიგებთ, მაშინ თქვენი გრძნობები ვერ დაგაბნევთ.

ღმერთისთვის გამოიყენეთ სხეული

ამჟამად ღმერთს იყენებთ სხეულის გულისთვის. არ იყენებთ სხეულს ღმერთის თაყვანისცემის გულისთვის. დღეს ღმერთს იყენებთ, ევედრებით, რომ კარგი ჯანმრთელობა მოგცეთ, როცა ავად ხართ, სთხოვთ, რომ თქვენი სხეული უფრო ძლიერი გახდეს. მეორე მხრივ, ღმერთის თაყვანისცემისთვის არ იყენებთ სხეულს და მთელ თქვენს ფიზიკურ ძალასა და უნარს, როცა ისინი გაქვთ. თვლით, რომ მოგვიანებით იქნება საკმარისი დრო იმისათვის, რომ თაყვანისცემით დაკავდეთ, და ამიტომ დროის ამაოდ ხარჯვას აგრძელებთ. ფიქრობთ, რომ, როდესაც პენსიაში გახვალთ, შეძლებთ ღმერთის მზერა და სულიერი ვარჯიშები დაიწყოთ. სავარაუდოდ, გეჩვენებათ, რომ სანამ ჯერ კიდევ ახალგაზრდები ხართ, ჯობია ცხოვრებით, ამქვეყნიური ობიექტებით დატკბეთ. მაგრამ როგორ უნდა დაიწყოთ ღმერთზე ფიქრი, თუკი სიბერეში მთელ თქვენს უნარს დაკაგავთ?

თუ მთელ ფიზიკურ ძალასა და უნარს ღმერთის თაყვანისცემისთვის არ გამოიყენებთ ახლა, მერე მეტისმეტად გვიანი იქნება. როცა ბავშვები დაგცინებენ და „ბებერ მაიმუნს“ გიწოდებენ, განა გეყოფათ ძალა იმისათვის, რომ ინტენსიური *სადჰანა* (სულიერი ვარჯიშები) დაიწყოთ? როცა თმა გაგიჭაღარავდებათ, როცა გაჭირვებით იმოძრავებთ, როცა ძლივს დაინახავთ, როცა გრძნობათა ყველა ორგანო დასუსტდება, შეძლებთ კი მათ გამოყენებას ღმერთის თაყვანისცემისთვის? ეს შეუძლებელი იქნება. და არა მარტო ეს; ინდურ წმინდა წერილებში ძალიან ძლიერად და ნათლად არის გამოსახული ზოგიერთი აზრი, რომელიც ხნიერ ადამიანებს ეხება. იქ ნათქვამია, რომ როცა სიკვდილის ღმერთის დამქაშები გიპოვიან და იყვირებენ: „მოდი აქ!“ - და თქვენი ნათესავებიც კი იტყვიან, რომ უაზრობაა გვამის აქ გაჩერება; როცა ისინი მოითხოვენ: „მოგვაცილეთ ის, მოგვაცილეთ!“ - და როცა თქვენი ცოლ-შვილი იტირებს, განა ამ დროს უფალზე ფიქრს შეძლებთ? შეძლებთ უთხრათ ნათესავებს, რომ მათ ტირილი შეწყვიტონ და ცოტა მოიცადონ, იმიტომ რომ რამდენიმე წამს უფალზე ფიქრი გინდათ?

ყმაწვილობაში უნდა დააგროვოთ ყოველივე აუცილებელი იმისათვის, რომ მყარი საფუძველი შექმნათ ბედნიერი მომავლისთვის.

ნუთუ ნამდვილად თვლით, რომ უფალზე ფიქრი პენსიაში გასვლის შემდეგ შეიძლება? არა, ეს შეუძლებელია. პენსიაში გასვლამდე *სადჰანაში* სრული წარმატებაა საჭირო. ამის მაგივრად პენსიაში გასვლის შემდეგაც კი ბიზნესს აწარმოებთ, ფუჭად ხარჯავთ დროს, როცა კლუბებში დადიხართ და თქვენს ძვირფას ცხოვრებას სხვადასხვა ხერხით ფლანგავთ.

შეუძლებელია სულიერი ცხოვრების დაწყება, როცა სიკვდილი კარზე აკაკუნებს

ერთხელ ცოლმა ქმარს ჰკითხა:

„აპირებ ყოველი შემთხვევისთვის ახლა, სიბერეში, ღმერთზე ფიქრს? ამისათვის ვერასოდეს პოულობდი წინათ დროს, როცა ასე დაკავებული იყავი. თუ შეიძლება, ახლა ქენი ეს!“

ბიზნესმენმა უპასუხა:

„სიკვდილისთვისაც კი არ მაქვს დრო, და ღმერთზე როგორ ვიფიქრო“.

მაგრამ ნუთუ ფიქრობთ, რომ სიკვდილი იმასთან არ მივა, ვისაც სიკვდილისთვის დრო არა აქვს? არა, დრო არასოდეს იცდის. ამიტომ, სანამ ჯერ კიდევ გაქვთ დრო, სწორად უნდა გამოიყენოთ ის.

მტერი სახელად „სიკვდილი“ თავის ჯარისკაცებთან ერთად სახელად „ავადმყოფობები“ დაელოდებიან იმის შესაძლებლობას, რომ თქვენი სხეულის წინააღმდეგ ომი დაიწყონ. იმ პერიოდებში, როდესაც ადამიანებს ავადმყოფობები და სიკვდილი უტევენ, ისინი ძალიან საცოდავები და უძლურები კვდებიან. მაგრამ ვერავითარი არმია ვერ შეუტევს იმას, ვინც უფლის მადლი მოიპოვა. ამიტომ ჯერ კიდევ სიყმაწვილის დროს უნდა მოიპოვოთ უფლის მადლი და ისე აღიჭურვოთ, რომ მტრების გამოწვევას შეხვდეთ, როცა ისინი მოვლენ, რომ ალყა შემოგარტყან. უპირველეს ყოვლისა გულის სიღრმეში მტკიცედ უნდა იყოთ დარწმუნებული, რომ მოგზაურობა ამ ცხოვრებაში ხანგრძლივი იქნება. ნებისმიერი სხვა მოგზაურობა, იქნება ეს ავტობუსით, მატარებლით თუ თვითმფრინავით, ცოტა ხანს გრძელდება. მაგრამ მოგზაურობა ამ ცხოვრებაში ხანგრძლივი იქნება. ადამიანი, რომელიც ამ ხანგრძლივი მოგზაურობის ყველა გაუთვალიწინებელი გარემოებისთვის არ მოემზადა, ძალიან დაიტანჯება, როცა რეალურ პრობლემებს და რეალურ სიძნელეებს წააწყდება.

ყველამ იცით, რომ სატვირთო მატარებლებზე, ჩვეულებრივად ყოველ ვაგონზე, გარკვეულ თარიღს წერენ, როდის უნდა დაბრუნდეს დეპოში ეს კონტეინერი. ეს კონტეინერი ხმარების შემდეგ რაღაც დროის განმავლობაში მითითებულ დროს უნდა დააბრუნონ. იგივე

ეხება კონტეინერს, რომელიც თქვენს სხეულს წარმოადგენს. დაბრუნების თარიღი მასზე თვით ღმერთის მიერ არის მითითებული, უბრალოდ ამას ვერ აცნობიერებთ.

ვერ აცნობიერებთ, რომ დაბრუნება მოგიხდებათ. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ჭეშმარიტება ადამიანებს სრულიად ავიწყდებათ. თუ ნამდვილად გინდათ ცხოვრების ყველა სიამოვნებით დატკბეთ უფრო გვიანდელ სტადიაზე, მაშინ სიყმაწვილის დროს ღმერთის მადლი უნდა მიიღოთ. ადამიანის ცხოვრების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვობისა და სიყმაწვლის ადრეული პერიოდები. თქვენი ცხოვრების ამ პერიოდის უზარმაზარ ღირებულებას ვერ აცნობიერებთ და სიყმაწვილის დროს ფუჭად ხარჯავთ დროს. ძვირფასი ქვებითა და ბრილიანტებით მორთულ ოქროს ფიალას წვრილმანი მიზნებისთვის იყენებთ. თქვენი გრძნობების ცეცხლის შესანარჩუნებლად საწვავის სახით ძალიან ძვირ სანდალოზის ხეს ხმარობთ. ჭურჭელი ძვირფასია, საწვავიც ძალიან ღირებულია, მაგრამ მათი დახმარებით მომზადებული საკვები უგემური და უსარგებლოა. ასეთი ძვირფასი სხეული და ასეთი წმინდა საწვავი ფუჭად იხარჯება უსარგებლო და ტრივიალურით ტკბობისთვის ცხოვრებაში. ამ დაუფასებელ ჭურჭელში უმნიშვნელო საგნებს დებთ და მას ქვენა სიამოვნებებისთვის იყენებთ. ოქროს გუთანს ხმარობთ, რომ თქვენი გულის მინდორი მოხნათ, და არაფერს აწარმოებთ, გარდა უსარგებლო სარეველა მცენარისა.

ჭეშმარიტად, ადამიანს ცხოვრებაში გარჩევა და განდგომილობა სჭირდება

თქვენი გულის ველი უაღრესად ძვირფასი და წმინდაა. კრიშნა, ღვთაებრივი მასწავლებელი, აცხადებს, რომ ეს ველიც კი მას ეკუთვნის. უფალმა განაცხადა, რომ თვითონ ის არის ეს *ველი* და მისი *მცოდნე*. ის არის ჭეშმარიტი მფლობელი თქვენი გულისა და თქვენი სხეულისა. იგი მათთან აიგივებს თავს. რას უშვრებით ამ წმინდა გულსა და სხეულს? ოქროს გუთანს ხმარობთ, რომ გრძნობითი სიამოვნებების უსარგებლო მოსავალი მოიყვანოთ. ნებისმიერი ადამიანი, ვინც გულის ღირებულებას და მასში მყოფი გრძნობების ღირებულებას აცნობიერებს, ბოროტად არ გამოიყენებს მათ. ცხოვრება უნდა გამოიყენოთ სიკეთისთვის, სხვების კეთილდღეობისთვის, წმინდა მიზნის მიღწევისთვის და იმისთვის, რომ, მიჰყვებით რა წმინდა გზას, სხივმოსილი ნათება გამოიწვიოთ გულში და გონებაში. ეს ცხოვრება იმისთვის უნდა გამოიყენოთ, რომ თქვენი თავი ღმერთთან ერთიანობისთვის მოამზადოთ. მხოლოდ ამ შემთხვევაში გექნებათ უფლება თქვათ, რომ თქვენმა ცხოვრებამ სიწმინდე და ჭეშმარიტება შეიძინა.

ნათქვამია, რომ ძნელია, თითქმის შეუძლებელია ადამიანური ცხოვრების მიღება. რა არის განსაკუთრებული ადამიანურ ცხოვრებაში? რატომ არის ასეთი ძნელი მისი მიღება? სიამოვნებები, რომლებითაც ცხოველები და ფრინველები ტკბებიან, თქვენც შეგიძლიათ გქონდეთ. ასეთ შემთხვევაში, რა იგულისხმება, როცა ნათქვამია, რომ ადამიანური ცხოვრება განსაკუთრებით ღირებული და მნიშვნელოვანია? იგულისხმება, რომ თქვენ გაქვთ უნარი, რომ სიკეთე და ბოროტება ერთმანეთისგან განასხვაოთ, რადგან იმის უნარი გაქვთ მოცემული, რომ მიბმულობებზე და სიძულვილზე უარი თქვათ. ამიტომ თქვენთვის მოცემული გონება უნდა გამოიყენოთ, რომ ცხოვრების ცხოველური სახე ადამიანურისგან განასხვაოთ. თუ ერთმანეთისგან ვერ არჩევთ *აღმას* და *ანაღმას*, „**მე**“-ს და „არამე“-ს, გონების *იოგას* პრაქტიკას არ ეწევით, მაშინ მღელვარებათა მსხვერპლი ხდებით. არ შეგიძლიათ იპოვოთ შინაგანი სიმშვიდე, იმიტომ რომ არასწორი გზით მიდიხართ.

ყმაწვილები მტკიცე გამბედაობით უნდა ეწეოდნენ *ტაპასის* სამ სახეს: ფიზიკურს, მენტალურსა და ხმოვანს – და ასეთი სახით უჩვენებდნენ მაგალითს მსოფლიოს. უნდა გამოიყენოთ *რაჯას-გუნა* (აქტიურობის, მოუსვენრობის თვისება), რომ დაიმორჩილოთ *ტამას-გუნა* (ინერტულობა, სიზარმაცე), და უნდა გამოიყენოთ *სატვა-გუნა* (გაწონასწორებულობის, სიმშვიდის *გუნა*), რომ *რაჯას-გუნა* დაიმორჩილოთ. შეუძლებელია იმყოფებოდეთ *სატვა-გუნაში*, სანამ თქვენი გული რაჯას-გუნათი და *ტამას-გუნათია* ჯერ კიდევ შევსილი. თუ თქვენი თავი ცარიელია, მაშინ არის იმის იმედი, რომ ის კარგი იდეებით შეავსოთ, მაგრამ თუ თავი სხვადასხვა უსარგებლო იდეებით არის უკვე სავსე, როგორ უნდა შეავსოთ ის რაიმე წმინდა და დიადით? ყოველგვარი არასაჭირო ამქვეყნიური სისულელით გაქვთ თავი შევსილი. უპირველეს ყოვლისა ეს ყველაფერი უნდა მოიცილოთ. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებთ წმინდა გრძნობებით და წმინდა აზრებით თავის შევსებას.

მთელი თქვენი ყურადღება ღმერთზე მოკრიბეთ

მრავალი თქვენგანი უაზრო გზით მიდის და უაზრო ცხოვრებას ეწევა. ტირით, როცა იბადებით, და ტირით, როცა კვდებით. და ამ მომენტებს შორისაც აგრძელებთ ტირილს, და უსარგებლო საგნებს მოითხოვთ. განა ტირით, როცა *დჰარმის* დაცემას ხედავთ? აი რის გამო უნდა ტიროდეთ, აი რისთვის უნდა გამოიყენოთ თქვენი ძალა და უნარი: *დჰარმის* დაცემა შეაჩეროთ და ჭრილობების მოშუშებაში დაეხმაროთ, რომლებიც მისი დაცემის შედეგს წარმოადგენს. რა არის

დჰარმა? დჰარმა ნიშნავს მუდამ გახსოვდეთ უფალი და განუწყვეტლივ უმზერდეთ მას. ეს ნიშნავს ასრულებდეთ თქვენს ყოველდღიურ ვალდებულებებს, და ღმერთზე ფიქრობდეთ. *გიტა* არ გასწავლით, რომ უნდა ოჯახი მიატოვოთ, რომ ქონება და საკუთრება მიატოვოთ და ტყეში წახვიდეთ. არა! იზრუნეთ ოჯახზე. ასრულეთ თქვენი ვალი. მაგრამ ღმერთზე მოკრიბეთ მუდამ ყურადღება. რასაც არ უნდა აკეთებდეთ, ნუ გავიწყდებათ თქვენი მიზანი. თუ მასზე უარს იტყვით, მაშინ გზა აგებნევათ და არასწორ ბილიკზე მოხვდებით. გონებაში მტკიცედ იყავით ჩაჭიდებული ღვთაებრივ მიზანს. ასრულეთ თქვენი ყოველდღიური ვალდებულებები, და მყარად გეჭიროთ ეს მიზანი მხედველობის არეში.

თქვენს სიტყვებში არავითარი წუნი ან მანკი არ უნდა იყოს. თვალყური უნდა გეჭიროთ, რომ ყოველთვის სიმართლეს ამბობდეთ. ზოგიერთები თვლიან, რომ როცა სიძნელეები ჩნდება, სიმართლის სახეცვლილება შეიძლება. ისინი ალბათ გრძნობენ კიდეც, რომ ზოგჯერ ტყუილის თქმა აუცილებელია. მაგრამ ძნელ სიტუაციებში საკმარისი გონების გამოჩენაა საჭირო იმისათვის, რომ გაჩუმდეთ, იმის მაგივრად, რომ ილაპარაკოთ ან სიმართლე, ან ტყუილი. თუ სიმართლეს იტყვით, თქვით ნაზად და სიყვარულით. ნუ ამბობთ სიმართლეს უხეშად, ან ტყუილს ნაზად. როდესაც გამოცდის ძნელი დრო დგება, უნდა ისწავლოთ, სახიფათო სიტუაციებს როგორ დაადწიოთ თავი, და არასოდეს თქვათ ტყუილი. გარკვეულ გარემოებებში ძალიან ფრთხილად უნდა იქცეოდეთ. საჭიროა იცოდეთ, როგორ იხმაროთ სიტყვები ისე, რომ ადამიანებს გული არ ატკინოთ. ნათქვამია:

„ბედნიერი ის არის, ვინც იცის, როგორ ილაპარაკოს ისე, რომ არავის ავნოს“.

არ შეიძლება სხვებისთვის ვნების მიყენება, მაგრამ სხვებიც არ უნდა გაყენებდნენ ვნებას. აი პატარა ისტორია.

შეუპოვარნი იყავით თქვენს პრაქტიკაში

ერთი ქალი იმის მსგავს შეხვედრებზე დადიოდა, რომელზეც ახლა ჩვენ ვართ. იგი გულისყურითა და დიდი ყურადღებით უსმენდა თხრობას. ერთხელ *პანდიტი* (*ვედების* მცოდნე) *რამაიანას* განმარტავდა, და მან განაცხადა, რომ ცოლისთვის ქმარი ერთადერთ მიზანს წარმოადგენს ცხოვრებაში. *„ცოლი პასუხისმგებელია იმაზე, რომ ქმარი კმაყოფილი და ბედნიერი იყოს. ყოველთვის მოეპყარით ქმარს როგორც ღმერთს“.* როდესაც ეს ყველაფერი მოისმინა, ცოლი სახლში წავიდა. ამ სიტყვებმა მასზე ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მან გადაწყვიტა, ის ყველაფერი, რაც შეიტყო,

პარაქტიკაში განეხორციელებინა. როგორც კი ქმარი სამუშაოდან დაბრუნდა, ცოლმა წყლით სავსე ქოთანი აიღო და ფეხებზე დაასხა (თუმცა მან ფეხსაცმლის გახდაც კი ვერ მოასწრო), იგი ფიქრობდა, რომ ასეთი სახით ქმარს თაყვანს სცემს. ქმარი შეცბუნებული და გაოცებული იყო. სახლში რომ შევიდა, დაჯდა, ცდილობდა, რომ ფეხსაცმელი გაეხადა და გაეშრო; მაგრამ სანამ ამას გააკეთებდა, ცოლმა მასთან მიირბინა, რომ ქმრის მაგივრად თვითონ გაეკეთებინა ეს.

ეს ყველაფერი რომ ნახა, ქმარმა თავისი კაბინეტიდან ექიმი გამოიძახა. არ იცოდა, რომ მისი ცოლი *პანდიტის* გამოსვლებს ესწრებოდა. ექიმმა გადაწყვიტა, რომ ქალისთვის ძილის წამალი მიეცა. მან თქვა, რომ ეს ისტერიას ჰგავს, ორი-სამი დღის დასვენების შემდეგ იგი სავარაუდოდ გონს მოეგება. სადილის შემდეგ ქმარმა ცოლს შესთავაზა, რომ წასულიყო და დაესვენა, თვითონ კი თავის კაბინეტში წავიდა. მალე ქალი კვლავ წავიდა შეხვედრაზე, რომ შემდეგი ლექცია მოესმინა. სწორედ იმ დღეს *პანდიტი* ცოლ-ქმრულ ურთიერთობებს ხსნიდა. მან თქვა: *„ვინ არის ქმარი? ვინ არის ცოლი? არაფერია მარადიული. ეს ყველაფერი დროებითი და წარმავალია. სინამდვილეში არაფერი არსებობს“.* შემდეგ დაამატა: *„მხოლოდ ღმერთია ჭეშმარიტი. ის არის მხოლოდ ჭეშმარიტება“.* ცოლი სახლში დაბრუნდა და საკურთხეველთან დაჯდა.

საღამოს ქმარი სამუშაოდან სახლში ჩვეულებრივზე ნახევარი საათით ადრე დაბრუნდა, ფიქრობდა, რომ, შეიძლება, ცოლი კარგად არ არის და დახმარებას საჭიროებს. კართან რომ მივიდა, დააკაკუნა, თქვა, რომ დაბრუნდა, და ცოლს თავაზიანად სთხოვა, რომ კარი გაეღო. სამლოცველო ოთახიდან ცოლმა უპასუხა: *„არ არის არც დედა, არც მამა, არც სახლი, არაფერი, ქმარიც კი არ არის“.* ცოლის ქცევამ ქმარი ძალიან ააღელვა. მან მაინც შეძლო ცოლი დაეთანხმებინა, რომ კარი გაეღო. როდესაც სახლში შევიდა, დაუყოვნებლივ მივიდა ტელეფონთან და ფსიქიატრი გამოიძახა. ფსიქიატრმა ყურადღებით გასინჯა ქალი და დიაგნოზი დასვა. მან თქვა, რომ მას შემდეგ, რაც ეს ლექციები მოისმინა, მას ყველაფრის მიმართ რაღაც უცნაური დამოკიდებულება გაუჩნდა; მაგრამ თუ რაღაც დროით სახლში ამყოფებენ, მაშინ ყველაფერი გაივლის. მაშინ ქმარმა ისე მოაწყო, რომ ლექციებზე აღარ გაეშვა ის. ყველა გააფრთხილეს: მძღოლს და ყველა მომსახურეს უბრძანეს, რომ სახლიდა არ გამოეშვათ ის.

ექიმის მიერ მითითებული შეზღუდვების შემდეგ მას ლექციებზე ორი დღე არ უვლია და მან კვლავ ნორმალურად დაიწყო მოქცევა. შესაბამისად, არამიბმულობა, რომელიც მან გამოავლინა, მხოლოდ დროებითი და ზედაპირული იყო: ის დიდ ხანს არ ეყო. ახლა ქმარი

ბედნიერი იყო. განახლდა ჩვეულებრივი ყოველდღიური რუტინა. ერთი თვის შემდეგ ქალი კვლავ წავიდა იქ, სადაც ლექციები ტარდებოდა. სწორედ იმ დღეს *პანდიტი გიტას* სწავლებას განმარტავდა. იგი ხსნიდა, სიტყვების ხმარების დროს საჭიროა მხოლოდ სიმართლის თქმა უკომპრომისო გზით. ეს რომ მოისმინა, ქალი სახლში დაბრუნდა. ქმარმა უთხრა, რომ ქორწილში არიან ისინი დაპატიჟებული და სთხოვა ამ შემთხვევის გამო გარკვეული სახით ჩაეცვა. ცოლმა სწრაფად ჩაიცვა და ქმართან ერთად ქორწილში წავიდა.

ქორწილის ცერემონია მიმდინარეობდა. ამ ადგილებში არის ისეთი ტრადიცია, როდესაც ყველა მოხუცს სთავაზობენ, რომ შეეხონ ყელსაბამს, რომელიც პატარძალს აჩუქეს როგორც კურთხევა ბედნიერებისთვის. პატარძლის მამა ამ ქალთან მივიდა, მან იცონ ის და ჰკითხა:

„როგორ არის დედათქვენი? ყველაფერი რიგზეა?“ ეს შეკითხვები მან თავაზიანობის გულისთვის დაუსვა, რამდენიმე სიტყვა კიდევ უთხრა და ნაკურთხი ყელსაბამი გაუწოდა, რომ შეხებოდა და დაელოცა ის. ქალმა თქვა:

„დედაჩემი ჯანმრთელად არის, მაგრამ ერთი კვირის წინ ჩემი დედამთილი უეცრად გარდაიცვალა, და მისი სხეული კრემაციაზე წაასვენეს“.

მის გვერდით მჯდარმა მეზობელმა უთხრა:

„რისთვის დაგჭირდათ ასეთი არასასიამოვნო რამის თქმა, როცა ყელსაბამს ლოცავდით, რომელსაც, როგორც თვლიან, ხანგრძლივი და ბედნიერი ცხოვრება მოაქვს პატარძლისთვის და მისი მომავალი ოჯახისთვის?“

ქალმა უპასუხა:

„განა ამ ყელსაბამის გულისთვის ტყუილი უნდა ვილაპარაკო? არა, არასოდეს ვიცრუებ. ეს ფაქტია, რომ ჩემი დედამთილი წინა კვირას გარდაიცვალა“.

მის გვერდით მჯდარმა ერთმა ჭკვიანმა ახალგაზრდა ქალმა უთხრა მას:

„დედავ, უნდა ზომიერების გრძნობა გქონდეთ და, სანამ რაიმეს იტყოდეთ, იფიქროთ თქვენი სიტყვების აზრზე და შედეგებზე“.

ილაპარაკეთ სიმართლე, მაგრამ კეთილგონივრულად იხმარეთ სიტყვები

როდესაც რაიმე სულიერ სწავლებას ეცნობით, დიდი რწმენითა და გამბედაობით იწყებთ ცხოვრებაში მის გატარებას, ოღონდ მხოლოდ იმ დღეს. ის, რომ ასეთი სახით ახორციელებდეთ იმას, რაც შეისწავლეთ, არ არის სწორი. სანამ სიტყვებს იხმარდეთ, ინტელექტი

უნდა იხმაროთ, რომ მოცემული სიტუაცია გაიგოთ. როდესაც რაიმეს აკეთებთ ან ამბობთ, უნდა იცოდეთ, რომ ჭეშმარიტება მეფური გზაა საბოლოო მიზნის მიღწევისკენ. არ უნდა არცხვენდეთ ენას ტყუილით. არ უნდა არცხვენდეთ სხეულს ძალადობით. არ უნდა სვრიდეთ გონებას ცუდი გრძნობებით. როდესაც გაწმენდთ ამ სამს – ენას, სხეულსა და გონებას, უფლის წმინდა ხედვის მიღებას შეძლებთ.

სტუდენტები ძალიან ყურადღებით უნდა იყვნენ იმისთვის, რომ სიმართლე ილაპარაკონ. უნდა უეჭველად ილაპარაკონ სიმართლე, მაგრამ ფრთხილად იყვნენ, რომ ბევრი არ ილაპარაკონ და სხვებს გული არ ატკინონ. აკონტროლეთ ენა. ვინმესთან გაუგებრობისას, თუ ყველა მის ნაკლოვანებებზე ეტყვით მას, და დარწმუნებული იქნებით, რომ ეს სიმართლეა, მოგვიანებით აუცილებლად გართულებები გაჩნდება. არასოდეს არ უნდა გძულდეთ სხვები. როდესაც თქვენში სიყვარულს გახსნით, სიძულვილისა და ეჭვიანობის საკითხი არ გაჩნდება. როდესაც თქვენს გულში სიყვარული მეფობს, ბუნებრივია, თქვენი სიტყვები ძალიან ალერსიანი იქნება. მრისხანებაც კი თუ გაჩნდება, იგი წუთიერი იქნება.

მრისხანების ოთხი ტიპი

არსებობს ადამიანთა ოთხი ტიპი. ადამიანის *სატვიური* ბუნების მრისხანება ძალიან ხანმოკლეა; იგი მომენტალურად უკან იხევს. *გიტა* ამბობს, რომ ასეთი ადამიანი დიად სულს წარმოადგენს. მეორე ტიპის ადამიანებში მრისხანება რამდენიმე წუთს ჩერდება, შემდეგ კი ქრება. მესამე ტიპის ადამიანები მრისხანებაში იმყოფებიან განუწყვეტლივ, მთელი დღის განმავლობაში. ადამიანთა უმდაბლესი კატეგორია მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში იმყოფება მრისხანებაში.

გიტას მასწავლებელი ამის შესახებ ასევე სხვა სახით ამბობს:

„კეთილი ადამიანის მრისხანება ჰგავს წერილს წყალზე – იგი მერყევია. მეორე კატეგორიის ადამიანთა მრისხანება ჰგავს წერილს ქვიშაზე: იგი ორიოდე წუთში წაიშლება. მესამე ტიპის ადამიანთა მრისხანება ჰგავს წერილს ქვაზე: იგი დიდი ხნის შემდეგ წაიშლება. მაგრამ მეოთხე ტიპის ადამიანთა მრისხანება ჰგავს წერილს ფოლადის ფირფიტაზე: ის არ გაქრება მანამდე, სანამ ფირფიტას არ გაადნობენ და ხელახლა არ ჩამოასხამენ. ფირფიტა მხოლოდ ცეცხლში დაიშლება; მისი შეცვლა მხოლოდ ინტენსიური ტრანსფორმაციის მეშვეობით შეიძლება“.

გიტაში შეიძლება იპოვოთ ის, რაც ყოველდღიური ცხოვრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. შეუძლებელია აიღოთ *გიტაში* არსებული მთელი სწავლება და პრაქტიკაში დანერგოთ. მაგრამ უნდა აიღოთ ის, რაც უშუალოდ გამოყენებადია თქვენი

ამჟამინდელი ცხოვრებისთვის, და გამოიყენოთ ეს პრაქტიკაში იმისათვის, რომ ამით მაშინვე მიიღოთ სარგებლობა, და ასეთი სახით სულიერ გზაზე წინ წაიწიოთ.

თავი მეთოთხმეტე

გახსოვდეთ ღმერთი – დაივიწყეთ ქვეყნიერება

დედამიწაზე არსებული ყოველივე ღირებულიდან ყველაზე უფრო ღირებული არის დრო. დაფიქრდით, რაზე ხარჯავთ ძვირფას დროს. ადამიანის ძირითადი ვალი იმაში მდგომარეობს, რომ თავისი სხეული, მოქმედება და დრო შესთავაზოს უფალს, რომელიც დროის თვით განხორციელებას წარმოადგენს.

სიყვარულის განხორციელებანო!

თუ ჯანმრთელობა გაუარესდა ან დაიკარგა, ზოგჯერ მისი აღდგენა მედიცინის დახმარებით შეიძლება. მაგრამ გასული დრო სამუდამოდ დაკარგულია; მისი დაბრუნება და კვლავ გამოყენება შეუძლებელია. მთელი ძალისხმევის გამოჩენაა საჭირო იმისათვის, რომ ძვირფასი დრო წმინდა სახით იქნას გამოყენებული. დრო უსასრულოა, იგი მარადიულად მიედინება. მაგრამ თქვენთვის გამოყოფილი დრო მისი მხოლოდ მიკროსკოპული ნაწილია. მრავალი თქვენგანი მთელ თავის ცხოვრებას ფუჭად ხარჯავს, ფიქრობს, რომ ფენომენალური სამყარო (გრძნობითი აღქმის სამყარო) რეალურია; შედეგად თქვენთვის გამოყოფილ დროს იმისათვის ხმარობთ, რომ ამქვეყნიური სიამოვნებებით ტკბებოდეთ. ერთი წამით მაინც რომ გეფიქრათ, რას მიაღწიეთ და როგორ ატარებთ ძვირფას დროს, გაიგებდით, რომ სრულიად ფუჭად დახარჯეთ ის.

გამოარკვიეთ, ჭეშმარიტად ვის წარმოადგენთ

როდესაც იბადებით, ყვირით: *„კოჰამ? კოჰამ?“ - ვინ ვარ?“* თუ მთელ ცხოვრებას ისე გაატარებთ, რომ მხოლოდ თქვენს ფიზიკურ არსებობაზე იზრუნებთ, მაშინ როდის შეძლებთ იმის გაგებას, ვინ ხართ სინამდვილეში? სხეულზე უბრალოდ ზრუნვზე გაცილებით უფრო ღრმა მნიშვნელობაა მოთავსებული თქვენს ცხოვრებაში. ცხოვრება უნდა დაიწყოთ ამით: *„კოჰამ? – ვინ ვარ?“*, და დაასრულოთ ამით: *„სოჰამ! – მე ვარ ის!“ (მე ვარ ღმერთი).* უნდა გააცნობიეროთ, რომ ღვთაება ხართ, და თქვენი ცხოვრება დაასრულოთ *პრაშანტიში,* უმაღლეს სიმშვიდეში, რომელიც თქვენს ჭეშმარიტ რეალობას წარმოადგენს. სამწუხაროდ, უმრავლესობა მხოლოდ იმას აქცევს ყურადღებას, როგორ მიიღოს ამქვეყნიური სიამოვნებები. იგი მყისიერი შედეგებისკენ ისწრაფის და არ ფიქრობს მოქმედებათა მომავალ შედეგებზე.

როდესაც ბაყაყი ბუზებს ან ჭიებს ხედავს, ისეთი ბედნიერი და ენთუზიაზმით სავსე ხდება, რომ მზად არის მაშინვე გადახტეს, ჩაყლაპოს ისინი და დატკბეს ამით. მაგრამ მის ზურგს უკან გველი იცდის, რომელიც ბაყაყის შესაჭმელად ემზადება. გველი ძალიან ბედნიერია, რომ საკვების სახით ბაყაყი იპოვა, რომელიც ამ მომენტში თვითონ იღებს სიამოვნებას. გველმა არ იცის, რომ ზურგს უკან ფარშევანგია განაბული და მზად არის, რომ გველს კლანჭები ჩაავლოს. ამით იგი ისეთ ბედნიერებას განიცდის, რომ ყურადღებას არ აქცევს მონადირეს, რომელიც მის უკან თოფის გასროლას აპირებს, რომ მოკლას იგი – და ა.შ.

თქვენც ასევე მხოლოდ სურვილების ახდენაზე ფიქრობთ და წინასწარ სიამოვნებას განიცდით, რომელსაც თქვენ წინ ხედავთ, სრულიად არ ფიქრობთ იმაზე, რა არის თქვენ ზურგს უკან განაბული და თქვენზე თავდასხმას აპირებს. ამაოდ ხარჯავთ დროს, როცა არ აცნობიერებთ უბედურებას, რომელიც მომავალში შეიძლება დაგატყდეთ თავს. არ იცით, რა დროს, რა ადგილას და რა გარემოებებში შეიძლება ხიფათს გადაეყაროთ. ამიტომ საჭიროა მოწიწებით ეპყრობოდეთ თქვენთვის გამოყოფილ დროს და სწორად გამოიყენოთ ის, აღიაროთ მისი სიწმინდე და ღირებულება.

ახალგაზრდობა ცხოვრების ყველაზე უფრო ძვირფასი პერიოდია

შესაძლოა მზად ხართ მილიონი დოლარი გადაიხადოთ, რომ რაღაც იყიდოთ, მაგრამ ვერავითარი ფულით ვერ იყიდით გაფლანგულ დროს. ახალგაზრდობა ადამიანის ცხოვრების ყველაზე უფრო ძვირფასი, ყველაზე უფრო წმინდა პერიოდია. იგი იმის კარგ შესაძლებლობას გაძლევთ, რომ სწორად გამოიყენოთ დრო და თქვენი ცხოვრება კურთხეული გახადოთ. ადამიანის ცხოვრებაში არ შეიძლება ახალგაზრდობის დროის დაბრუნება, ისევე როგორც წყლის დაბრუნება არ შეიძლება მდინარეში. დღევანდელმა ახალგაზრდებმა ეს ფაქტი უნდა აღიარონ. გამოიყენეთ დრო სწორად, და თქვენი ცხოვრებით კმაყოფილნი იქნებით. საჭიროა ყოველთვის შეიგნებდეთ დროის ბორბლის მრავალ ასპექტს; გაიგეთ, რამდენად მნიშვნელოვანია დრო. წინასწარ იფიქრეთ, რა შეიძლება მოხდეს მომავალში, და მუდამ თქვენ წინ გეჭიროთ ცხოვრების მიზანი.

ბჰაგავად გიტაში, თავში ერთგულების შესახებ ნათქვამია, რომ დრო თქვენი ცხოვების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნაწილია. ღვთაებრივი მასწავლებელი *გიტაში* ამბობს, რომ განდგომილობის მაღალგანვითარებულ გრძნობასაც თუ ვერ მიაღწევთ, მაგრამ თქვენს სამუშაოსა და ვალს მოეპყრობით როგორც თაყვანისცემას, და იმ

ყველაფერს, რასც აკეთებთ, უფალს შესთავაზებთ, კურთხეული ცხოვრება გექნებათ. კრიშნამ არჯუნას უთხრა:

„შეასრულე შენი ვალი, არჯუნა! თუ უნდა იბრძოლო, იბრძოლე. მაგრამ იბრძოლე ისე, რომ ჩემზე ფიქრობდე. მაშინ ცოდვას არ აიკიდებ. თუ ყველაფერს ჩემს ფეხებთან დააწყობ და მუდამ შენს გულში გეყოლები, შენი მოქმედებების შედეგებისგან არ დაიტანჯები. არ უნდა წახვიდე ტყეში და ასკეზათი დაკავდე ან ნათესავებზე უარი თქვა. სულაც არ არის საჭირო ოჯახზე, სახლზე და ქონებაზე თქვა უარი. ის ყველაფერი, რასაც ხედავ, რასაც ამბობ, რაც გესმის, რასაც ფიქრობ, რასაც აკეთებ, - ასრულე როგორც ჩემი მოქმედება და ეს ყველაფერი მე შემომთავაზე. მთლიანად მომეცი შენი გონება და შენი ინტელექტი. აი ჭეშმარიტად სწორი გზა იმისათვის, რომ შენი დრო კურთხეული გახადო. თუ ასეთი სახით იცხოვრებ, გპირდები, რომ ხსნილი იქნები!“

განავითარეთ მტკიცე გამბედაობა და რწმენა თქვენს თავში

სამწუხაროდ, დღეს ძნელია პოვნა ასეთი უნარისა, ასეთი სიმტკიცისა მიზნის მიღწევაში, რწმენისა და ვალის ასეთი ღრმა დონისა, ღმერთისთვის საკუთარი გონებისა და ინტელექტის მთლიანად მიცემის ასეთი მზადყოფნისა. დღევანდელ განათლებულ ადამიანებს, დღევანდელ მოქალაქეებს არ გააჩნიათ რწმენით სავსე ასეთი ხედვა. ასეთი ღრმა რწმენა უნდა განავითაროთ. თქვენი საკუთარი მოქმედებების საფუძველზე, თქვენი საკუთარი დამსახურებებისა და ნაკლოვანებების საფუძველზე არავითარი იმედი არ არის იმისა, რომ იცოდეთ, როგორი იქნება თქვენი ცხოვრება მომავალში ან რა გარემოებებში და რა ადგილას აღმოჩნდებით. ამის შესახებ არავინ იცის, გარდა ღმერთისა. თუ ყველაფერს მას შესთავაზებთ, იგი ნებისმიერ სიტუაციაში დაგიცავთ. ერთგულმა გონების სიმტკიცე და ძალა უნდა განავითაროს. რა სამუშაოსაც არ უნდა ასრულებდეთ, საჭიროა რწმენითა და მტკიცე გამბედაობით იყოთ სავსე. ამის გარეშე სულ ცოტას მიღწევაც კი შეუძლებელია.

პატარა ჩიტი ოკეანის ნაპირას კვერცხებს დებდა. მას მშვიდად ცხოვრება სურდა. ტალღებმა რამდენჯერმე გაიტაცა კვერცხები. ჩიტი სულით დაეცა, მან მხნეობა დაკარგა, იმიტომ რომ ყოველ ჯერზე, როცა ის კვერცხებს დებდა, ოკეანე მათ იტაცებდა. დროთა განმავლობაში ჩიტი ოკეანეს გაუბრაზდა. შეიძლება იფიქროთ: *„რა უნდა გაუკეთოს ასეთმა პატარა ჩიტმა ოკეანეს?“* მაგრამ იგი ასე არ ფიქრობდა, მხოლოდ პატარა ჩიტად არ თვილიდა თავს, ვისაც ოკეანის წინააღმდეგ რაიმეს გაკეთება შეეძლებოდა. პირიქით, ამ პატარა ჩიტს

მტკიცე რწმენა ჰქონდა: მან გადაწყვიტა, რომ მძლავრი ოკეანისთვის მთელი წყალი მოეცილებინა. ეს იყო მისი აღთქმა, და იგი დიდი გამბედაობით იცავდა მას. დღედაღამ ოკეანის ნაპირას იჯდა, ნისკარტით ცოტაოდენ წყალს იღებდა და ნაპირზე ღვრიდა. ასეთი სახით გადაწყვიტა მან ოკეანის დაშრობა. სწამდა, რომ ბოლოს და ბოლოს თვით ოკეანის დამარცხებას შეძლებდა.

როდესაც მიხვდა, რომ თვითონ ამას ვერ გააკეთებდა, დახმარებისთვის მიმართა გარუდას, არწივს, რომელზეც უფალი ვიშნუ მგზავრობს. გარუდას დახმარებით მან უფალ ვიშნუს წყალობის დამსახურება შეძლო. მაშინ ოკეანეს ძალიან შეეშინდა და პატარა ჩიტს თვინიერად სთხოვა პატიება. ოკეანემ პატარა ჩიტი დაარწმუნა იმაში, რომ მისი ტალღები აღარასოდეს მოსპობდა მის კვერცხებს და არ დაარღვევდა მის სიმშვიდეს. მან ჩიტი თავის ნაპირზე მიიწვია, რომ მას იქ ბუდე გაეკეთებინა. როგორი პატარა იყო ეს ჩიტი და როგორი დიდი იყო ოკეანე! თქვენც ნაკლებად მნიშვნელოვნად თვლით თავს; მაგრამ არასოდეს უნდა ვარდებოდეთ სასოწარკვეთილებაში და იმედს კარგავდეთ. არ უნდა დამწუხრდეთ, არ უნდა თვლიდეთ თავს უმნიშვნელოდ, ღმერთს კი უსაზღვროდ, ყოვლის შემძლედ, რომელიც ყველაფერს ავსებს.

ამან შეიძლება გაგაოცოთ: *„რატომ მომაქცევს ღმერთი ყურადღებას? რის შეთავაზება შემიძლია მისთვის, რასაც იგი სიხარულით მიიღებდა, თუკი მთელი კოსმოსი უკვე მას ეკუთვნის? თუ ანგელოზებსა და ღვთაებრივ არსებებსაც კი არ შეუძლიათ მისი დანახვა, მაშ მე რა იმედი უნდა მქონდეს, რომ მის ფორმას ვიხილავ?“*

მაგრამ ასეთი თავის დამამცირებელი აზრები შორს არ წაგიყვანთ: სანამ ასეთი აზრები გაქვთ, ვერ შეძლებთ ღმერთის წყალობის მიღწევას და მზად არ იქნებით იმისათვის, რომ მას მსახურებდეთ. ნებას ნუ მისცემთ სისუსტის ასეთ გამოვლინებას. თქვენს გულში უნდა განამტკიცოთ ღმერთი და უთხრათ მას:

„საყვარელო უფალო! ვიცი, რომ მთელ სამყაროში იმყოფები, მაგრამ ასევე იმყოფები აქ, ჩემს გულში. მთელი ჩემი ნებით აქ მეყოლები; შენ ჩემში მყარად დასახლდი. ეს მართალია, რომ უდიდესთა შორის უდიდესი ხარ; მაგრამ ასევე უმცირესთა შორის ყველაზე უფრო უმცირესი ხარ. ამ მცირე ფორმით მუდამ იმყოფები ჩემს გულში“.

თუ გაქვთ თქვენი თავის ასეთი რწმენა და გამბედაობა, რომ სამუდამოდ შეიძინოთ ღმერთი თქვენს გულში, უეჭველად მიაღწევთ მის წყალობას და ასეთი სახით ღმერთის მთელ ძალას შეიძენთ.

დაბადება სამწუხაროა, ცხოვრება სამწუხაროა და სიკვდილიც სამწუხაროა

ერთმა მეფემ სახელად ბჰაგირათჰა მდინარე განგას წყლები აიძულა ღვთაებრივი სიმაღლეებიდან დედამიწაზე ედინა. ასეთი მტკიცე გამბედაობა მასში მაშინ გაჩნდა, როცა დაიფიცა, რომ წინაპრებს ზეცის მიღწევაში დაეხმარებოდა.

გაუტამა ბუდამ, ჰქონდა რა გამბედაობა და მკაცრ ასკეტიზმში ცხოვრობდა, *ნირვანის* მდგომარეობას მიაღწია. ერთხელ, როდესაც შეიტყო, რომ ბუდა მოწყალებით ცხოვრობს, მამამისმა შიკრიკი გააგზავნა შემდეგი სიტყვებით:

„შვილო ჩემო, შენი პაპა მეფე იყო, მამაშენი მეფეა და შენც მეფე ხარ. გავიგე, რომ შენ, მეფე, ასეთი კეთილშობილი საგვარტომოს პატრონი, მოწყალებას ითხოვ. ჩვენს სამეფოში არ არის არც სამფლობელოების, არც სიმდიდრის ნაკლებობა; ფუფუნების ნაკლებობაც არ არის. აიღე ყველაფერი, რაც საჭიროა. ენით გამოუთქმელ მწუხარებას განვიცდი, როცა ვიცი, რომ შენ, შეგიძლია რა რომ მეფის სასახლის ფუფუნებითა და სიმდიდრით დატკბე, მოწყალებას ითხოვ, რომ მყარ მიწაზე გძინავს, მათხოვრის მძიმე ცხოვრებას ეწევი. გთხოვ, დაბრუნდი სასახლეში. ხელგაშლილი მიგიღებ და შენს დაბრუნებასთან დაკავშირებით ნამდვილ დღესასწაულს მოვაწყობ. მთელი სამეფო შენი იქნება“.

ბუდამ ამ ყველაფერს სრული განდგომილობით მოუსმინა და შიკრიკს უპასუხა:

„გადაეცი მეფეს: დიახ, პაპაჩემი მეფე იყო, მამაჩემი მეფეა და მეც მეფე ვიყავი. მაგრამ ახლა სანიასინი ვარ: ქვეყნიერებაზე უარი ვთქვი, და მჯერა, რომ ჩემი ჭეშმარიტი მშობლები სანიასინებია და რომ ჩემი ჭეშმარიტი წინაპრებიც სანიასინებია. თუ გინდა, რომ სახლში დავბრუნდე, შემდეგ შეკითხვებს უნდა უპასუხო: გაქვს თუ არა ძალა, რომ სიკვდილისგან მიხსნა? შეგიძლია თუ არა თავიდან ამაცილო ავადმყოფობები და სრული ჯანმრთელობის გარანტია მომცე? გაქვს თუ არა იმის უნარი, რომ სიბერისა და დაძაბუნების დადგომა ამაცილო? გაქვს თუ არა იმის ძალა, რომ ყველა ამ ბოროტებისგან გამათავისუფლო? თუ ამ ყველა კითხვაზე სწორ პასუხებს მომცემ, ახლავე დავბრუნდები სასახლეში“.

ბუდამ გააცნობიერა, რომ დაბადება მწუხარებით სავსეა, რომ ცხოვრება მწუხარებით სავსეა და რომ დასასრულიც სამწუხაროა. მამამისს მან სრულიად სწორად უპასუხა. მას შემდეგ, რაც ცხოვრების ყველა სიმწარე ნახა, მას შემდეგ, რაც მრავალი ადამიანის ტანჯვებს აკვირდებოდა, არ შეეძლო უმეცრებასა და ილუზიაში დარჩენა; ეს ნამდვილი სისულელე იქნებოდა. ბუდას ცხოვრება გაკვეთილს

წარმოადგენს. იმ მოკლე დროში, რომელიც თქვენთვის არის გამოყოფილი, თქვენი ჭეშმარიტი ბუნება უნდა გააცნობიეროთ. ამაშია ადამიანის ცხოვრების ჭეშმარიტი მიზანი.

თქვენი სხეული ხუთი ელემენტისგან შედგება, და როდისმე ის დაიღუპება. თქვენს სხეულში *მობინადრე* არის ერთადერთი მუდმივი არსი. თუ ჭეშმარიტებით დაინტერესებას დაიწყებთ, გაიგებთ, რომ თქვენს სხეულში მყოფ უმაღლეს „**მე**“-სთვის არ არის არავითარი სიბერის, სიკვდილის მსგავსი რამ. თუ იმის გაცნობიერებას შეძლებთ, რომ სხეულში *მყოფი* თქვენს საკუთარ რეალობას წარმოადგენს, რომ ეს არის ღმერთი, თქვენ ჭეშმარიტებას გააცნობიერებთ და უსაზღვრო სიმშვიდით დატკბებით.

ველი და ველის მცოდნე

გიტას მეცამეტე თავში მოცემულია *ქშეტრას* და *ქშეტრაჯნას,* ველის და ველის მცოდნის, ახსნა. რა განსხვავებაა მათ შორის? *ქშეტრა* შედგება სანსკრიტული ორი მარცვლისგან, „*ქშე*“ და „*ტრა*“. *ქშეტრაჯნა* შედგება სამი მარცვლისგან, „*ქშე*“, „*ტრა*“ და „*ჯნა*“. აქ ერთი მარცვლით მეტია. პირველი ორი მარცვალი ორივე სიტყვისთვის არის დამახასიათებელი. ეს იმას ნიშნავს, რომ *ქშეტრა* „*ჯნას*“ გარეშე არის *ველი* სიბრძნის გარეშე. ეს რა *ველია*, რომელსაც უმაღლესი ცოდნა აქვს წართმეული? ეს არის სხეული, უფლის სამყოფელი, მისი რეზიდენცია აქ, დედამიწაზე.

თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, სხეულის მიმართ, ამბობთ: „ჩემი სხეული“. სხვა სიტყვებით, აღიარებთ, რომ თქვენ არ ხართ სხეული, სხეულია თქვენი. ასეთივე სახით სხეულში მყოფმა იცის, რომ იგი არ არის *ქშეტრა*, რომ *ქშეტრა* მას ეკუთვნის. როდესაც ამბობთ „ეს ჩემია“, აცხადებთ, რომ საგნისგან განსხვავდებით. როდესაც ამბობთ „ეს ჩემი ცხვირსახოცია“, ამტკიცებთ, რომ თქვენ არ ხართ ცხვირსახოცი; იგი არის რაღაც თქვენგან განსხვავებული. როდესაც ამბობთ „ეს ჩემი სხეულია“, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ არ ხართ სხეული, სხეულისგან ცალკე ხართ. ასეთივე სახით, როდესაც უფალი აცხადებს, რომ *ველი* მისია, მას შეუძლია იგი ნებისმიერ მომენტში მიატოვოს, როგორც კი მოისურვებს.

სხეული იმისათვის მოგეცათ, რომ გააცნობიეროთ, სინამდვილეში ვინ ხართ, რომ მისი მკვიდრის აღიარება შეძლოთ. სხეულის გარეშე მის შეცნობას ვერ შეძლებდით, ვერც რაიმე მოქმედების შესრულებას შეძლებდით, ვერც რაიმე *კარმას* მიჰყვებოდით (საი ბაბას თარგმანი: *კარმა* არის სამყაროებრივი გარდაუვალი ვალი). ნებისმიერი *კარმის* შესრულება მხოლოდ სხეულის დახმარებით შეიძლება. სხეული 20 პრინციპს შეიცავს. ეს არის 5 აღქმის ორგანო, 5 მოქმედების ორგანო,

5 ცხოვრების სფერო და 5 გარსი. თუ მათ დავუმატებთ უმდაბლეს გონებას (*მანასს*), გარჩევის ძალას (*ბუდჰის*), გრძნობების ადგილსამყოფელს გულში (*ჩიტას*) და ეგოს გრძნობას (*აჰამკარას*) თვითმყოფელობასთან (*ატმასთან*) ერთად, მაშინ ეს 25 პრინციპს შეადგენს, რომლებისგანაც ადამიანი შედგება. სხეულისა და მასში მყოფი უმაღლესი სულის ცოდნას ჰქვია *სანქჰია*; იგი თანაფარდობაშია სიბრძნის გზასთან (*სანქჰია-იოგასთან*), რომლის შესახებაც *გიტას* მეორე თავშია მოთხრობილი.

მთელი სამყარო ილუზიაა

უგუნურები ილუზიაში იბადებიან და ილუზიაში იზრდებიან, არასოდეს აღიარებენ *მაიას*, ანუ ილუზიას, იმად, რასაც ის წარმოადგენს. მთელი სამყარო *მაიაა*, ყველა მიბმულობა *მაიაა*, ოჯახური ცხოვრება *მაიაა*, სიკვდილი *მაიაა*, ის ყველაფერი, რასაც ხედავთ და ფიქრობთ, *მაიაა*. სად არიან ის მეფეები და იმპერატორები, რომლებიც ასე ამაყობდნენ თავიანთი მიღწევებით? ისინი დროის ბორბალმა დაფქვა. დღეები, თვეები, წლები და *იუგები* – ისინი ერთმანეთს შეერწყა. დრო ერთიანი უწყვეტი ნაკადია, და ამ ნაკადით წაილეკება ყველა და ყველაფერი, ყოველი საგანი და ყოველი ადამიანი. ის, რაც დროის ნაკადით წაილეკება, ვერ იქნება სხვა რაიმეს მხარდამჭერი, რაც თავის მხრივ ასევე წაილეკა.

ვის ვისი გადარჩენა შეუძლია? ერთადერთი მუდმივი არსი, რომელიც დროის ნაკადით არ წაილეკება და რომელსაც ყველაფერზე შეუძლია ზრუნვა, ეს არის უფალი. მარტო ის არის დაცვა ყველასთვის. იგი დროის ამ უსასრულო მდინარის საყრდენია. ჩაეჭიდეთ მას – ამაშია ცხოვრების საიდუმლო; ამაშია ჭეშმარიტი ადამიანის ნიშანი. გწამდეთ უფალი და არ იწამოთ ეს სამყარო: უნდა მხოლოდ ასე ცხოვრობდეთ და ცხოვრებით ტკბებოდეთ. ყოველთვის გახსოვდეთ შემდეგი სამი პრინციპი:

უპირველეს ყოვლისა, *არ დაივიწყოთ უფალი*;

მეორე, *არ იწამოთ ეს სამყარო;*

მესამე, *არასოდეს შეგეშინდეთ სიკვდილისა.*

აი უდიდესი საფუძვლები მთელი კაცობრიობისთვის.

გიტაში შეიძლება იპოვოთ ჭეშმარიტი ერთგულისთვის დამახასიათებელი დაახლოებით 64 თვისება. არც ერთ ადამიანს არ შეუძლია ფლობდეს ამ ყველა ატრიბუტს; საკმარისია ის, რომ მათგან ერთს ან ორს იყენებდეთ პრაქტიკაში. მტკიცედ გწამდეთ ღმერთი. როგორც კი მტკიცე რწმენას განავითარებთ, მეტი აღარაფერი დაგჭირდებათ. ასანთის კოლოფში შეიძლება 50 ღერი იყოს. თუ ცეცხლი გჭირდებათ, ერთ-ერთ მათგანს ანთებთ. ეს საკმარისია. არ

არის 50 ღერის დანთების საჭიროება. ასეთივე სახით 64 თვისებიდან საკმარისია ერთში მიაღწიოთ სრულყოფილებას. ყველაზე მთავარი თვისებაა *პრემა*, უანგარო სიყვარული. *სვამი* ხშირად იმეორებს:

„სიყვარული ღმერთია, ღმერთი კი სიყვარულია. იცხოვრეთ სიყვარულში“.

თუ სიყვარულში იცხოვრებთ, და ღვთაებაში ჩაეშვებით, უფალი იზრუნებს ყველაფერზე თქვენს ცხოვრებაში.

„თუ გაქვთ სრული რწმენა და ერთგულება, რომ ყველაფერს მე მიტოვებთ, ძალიან ძვირფასი ხდებით ჩემთვის“, - თქვა უფალმა კრიშნამ.

ერთგულთა ოთხი ტიპი

ჭეშმარიტი *ბჰაქთა*, ანუ ერთგული, არა მარტო სხვადასხვა რელიგიური რიტუალებით არის დაკავებული, როგორიცაა ღვთაებრივი გალობები, *მანტრების* გამეორება, მდუმარე ან კოლექტიურ ლოცვებში ან მედიტაციაში მონაწილეობა. მის ერთგულებაზე მიუთითებს ღრმა ურყევი რწმენა. არსებობს ერთგულთა ოთხი ტიპი: *ართჰი, ართჰაარტი, ჯიგნასუ* და *ჯნანი.*

ართჰი არის ის, ვინც ღმერთს ლოცულობს, როცა ის უბედურებაშია, როცა ცხოვრების გამოცდებსა და სიძნელეებს გადის. მხოლოდ ასეთ დროს ფიქრობს იგი უფალზე და თაყვანს სცემს მას. ერთგულთა მეორე ტიპია *ართჰაარტი*: ის, ვინც უფალს ეხვეწება, რომ მისცეს მას სიმდიდრე, მდგომარეობა და ძალაუფლება; იგი იმისკენ ისწრაფის, რომ ჰქონდეს შთამომავლობა და ხანგრძლივი ცხოვრება, უნდა ფლობდეს სახლებს, საკუთრებას, პირუტყვს, ოქროს, ბრილიანტებს და ა.შ. ადამიანთა უმრავლესობას მსგავსი ამქვეყნიური სიკეთეები სწყურია; ისინი ვერ აცნობიერებენ, რომ ჭეშმარიტი სიმდიდრე არის სიბრძნე, რომ ნამდვილი საკუთრება არის კეთილშობილური ქცევა, რომ ყველაზე ძვირფასი ბრილიანტი ხასიათია. ცდილობენ ყოველგვარ ამქვეყნიურს დაეუფლონ, მაგრამ მათ არ ესმით ამქვეყნიური სიმდიდრის ყველა ამ გარეშე სიმბოლოს ღრმა მნიშვნელობა და ფაქიზი აზრი.

ერთგულთა მესამე ტიპია *ჯიგნასუ.* იგი სულიერების პრინციპთა გამოკვლევით არის მუდამ დაკავებული.

„სად არის ღმერთი? ვინ არის ღმერთი? როგორ უნდა მივაღწიო ღმერთს? როგორია ღმერთთან ჩემი ურთიერთდამოკიდებულებები? ვინ ვარ მე?“ როდესაც *ჯიგნასუს* სტადიაში შედიხართ, ამ ყველა კითხვაზე პასუხების ძებნას იწყებთ, რომ სულიერი ცოდნა შეიძინოთ. უპირველეს ყოვლისა უნდა გაარკვიოთ:

„ვინ ვარ მე? საიდან გაჩნდა ეს სამყარო? რაშია ჩემი ცხოვრების მიზანი?“

ჯიგნასუს სტადიაზე ამ სამ მნიშვნელოვან კითხვაზე ფიქრობთ და ცდილობთ რაღაც გაგებას მიაღწიოთ, ცდილობთ დიად ადამიანებს მიუახლოვდეთ, უსმინოთ მათ სწავლებას და ემსახუროთ მათ, ასევე წმინდა წერილები შეისწავლოთ. მოსმენის პირველ ნაბიჯს, რომელიც ირიბ ცოდნას გაძლევთ, უნდა მიჰყვებოდეს ხედვა, რომელიც უშუალო ცოდნას წარმოადგენს. საბოლოო ჯამში, როცა სწავლება მთლიანად შთანთქეთ, ტოვებთ *ჯიგნასუს* სტადიას და შედიხართ *ჯნანის* სტადიაში, იმის სტადიაში, ვინც ჭეშმარიტებაში იმყოფება. *ჯნანა* არის სიბრძნე, ცოდნა. ამქვეყნიურია თუ არა ეს ცოდნა? არა. *ჯნანა* არავითარ დამოკიდებულებაში არ არის ამქვეყნიურ ცოდნასთან; *ჯნანა* ჭეშმარიტი სულიერი ცოდნაა, ტრანსცენდენტალური ცოდნაა. *ჯნანა* სიბრძნეა; იგი დაკავშირებულია ერთიანობის განცდასთან, ერთის მეორის გარეშეს განცდასთან.

როდესაც მხოლოდ გარე სამყაროში ცხოვრობთ, უსასრულო ტანჯვებს განიცდით. როცა თქვენს ცხოვრებას მხოლოდ ამქვეყნიურ ცოდნაზე ამყარებთ, ტანჯვებიდან სიხარულისკენ ვარდებით – ეს არის რეაქცია, რომელიც ამ ცოდნის შედეგს წარმოადგენს. დავუშვათ, რომ მაგიდას ძლიერი დარტყმა მიაყენეთ და ამაყობთ იმით, რომ ეს გააკეთეთ. ალბათ ტრაბახობთ კიდეც, რომ კარგად დაარტყით და ალბათ ატკინეთ მას; მაგრამ ამის შემდეგ უმალვე, თქვენდა სამწუხაროდ, საგანმა ასეთივე ძალის დარტყმა მოგაყენათ, და შედეგად ასეთივე ტკივილს გრძნობთ. ამქვეყნიურ ცოდნაში ყოველთვის არსებობს საპასუხო რეაქცია: მოქმედებების, სიტყვებისა და აზრების არეკვლა. რასაც არ უნდა აკეთებდეთ, ეს თქვენზე აისახება; რასაც არ უნდა ამბობდეთ, საპასუხო რეაქცია დაგიბრუნდებათ; რასაც არ უნდა ფიქრობდეთ, დაგიბრუნდებათ ის როგორც ანარეკლი.

მაგრამ სულიერ სფეროში არ არის არც რეაქცია, არც არეკვლა, არც ექო. იქ არის მხოლოდ ტრანსცენდენტალური ცოდნა – ჭეშმარიტების ცოდნა. იქ ვერ იპოვით ობიექტებს, რომლებსაც არეკვლა შეეძლებოდა, იქ არაფერია, რასაც გამოსახულების ან ხმის არეკვლა შეეძლებოდა, - იქ არ არის *სხვა*. იქ ყველაფერი ერთიანია. თუ მეორე არსი არსებობს, მაშინ ყოველთვის იქნება ან მისი ფლობის, ან მისგან თავის დაღწევის სურვილი; სხვა სიტყვებით, გაჩნდება ან სურვილის გრძნობა, ან შიშის გრძნობა. მაგრამ როდესაც ჭეშმარიტ ცოდნაში ხართ ჩაძირული, სხვას არაფერს და არავის განიცდით: *მეორე* არ იქნება. მაშინ ვერ გაჩნდება ვერც სურვილი, ვერც შიში. ამ ამაღლებულ მდგომარეობაში ვერაფერს დაინახავთ და ვერაფერს

შეისმენთ. მხოლოდ უმაღლეს ნეტარებაში იქნებით ჩაძირული. სწორედ ეს არის *სატ-ჩიტ-ანანდას* მარადიული სიხარული.

მოთხრობა მდიდარ ადამიანზე და მის ოთხ ცოლზე

აი პატარა მოთხრობა, რომელიც ერთგულების ოთხი ტიპის ილუსტრაციას ახდენს, რომლებზედაც აქ არის ნათქვამი. ერთხელ მდიდარი ადამიანი, რომელსაც ოთხი ცოლი ჰყავდა, მნიშვნელოვან საქმეებზე საზღვარგარეთ უნდა გამგზავრებულიყო. როდესაც რამდენიმე თვე უცხო სახელმწიფოში გაატარა, სახლში დაბრუნების წინ მან ყოველ ცოლს წერილი მისწერა. წერილში ახსენა, რომ სახლში რამდენიმე კვირის შემდეგ დაბრუნდება და რომ, თუ მათ უნდათ, რომ ქმარმა ამ ქვეყნიდან რაიმე ჩამოუტანოს, სია გამოგზავნონ; იგი სიამოვნებით ჩამოუტანს მათ საჩუქრებს.

მეოთხე ცოლი ყველაზე ახალგაზრდა იყო, და ამიტომ მას უამრავი სურვილი ჰქონდა. მან მისწერა: *„ძვირფასო ქმარო, თუ შეიძლება ჩამომიტანე ძვირფასი თვლები, რამდენიმე აბრეშუმის სარი და ყველაფერი მოდური, რაც კი მანდ არის“.* ეს წერილი რომ მიიღო მისგან, ქმარმა ამ ყველაფრის საყიდლად კაცი გააგზავნა. მესამე ცოლი ძალიან უბედური იყო: იგი მრავალი ავადმყოფობისგან იტანჯებოდა. მან წამლების სია გაუგზავნა ქმარს, და აუხსნა, რომ მას ჯანმრთელობა შეერყა და რომ მთელი რიგი საზღვარგარეთული წამლების მიღება სურდა, რომლებიც მას უშველის.

მეორე ცოლს სულიერებისკენ ჰქონდა მიდრეკილება. მან წერილი გაუგზავნა თხოვნით, ჩამოეტანა კარგი წიგნები, რომელთა შოვნაც ამ ქვეყანაში იქნება შესაძლებელი, წიგნები, რომლებიც დიადი წმინდანების ცხოვრებასა და გამოცდილებას აღწერს. იგი ყოველთვის ეძებდა კარგ წიგნებს, რომლებიც აღმაფრენას მოუტანდა მას სულიერ მიდრეკილებებში, და ამიტომ სთხოვა ქმარს, რომ ასეთი წიგნები მოეძებნა და ჩამოეტანა. პირველმა ცოლმა მისწერა:

„ჩემო ძვირფასო, მე თვითონ არაფერი მჭირდება. ბედნიერი ვიქნები, როცა სახლში უვნებელი დაბრუნდები“.

როდესაც ქმარი სახლში დაბრუნდა, მან ჩამოიტანა ის ყველაფერი, რასაც ისინი ითხოვდნენ. მეოთხე, ყველაზე უფრო ახალგაზრდა ცოლისთვის, ქმარმა ჩამოიტანა ძვირფასი თვლები და ლამაზი აბრეშუმის რამდენიმე სარი. მესამე ცოლისთვის ჩამოიტანა თანამედროვე წამლები და ტონიკები. მეორე ცოლისთვის მან ჩამოიტანა შესანიშნავი წმინდა წერილები და სხვა წმინდა წიგნები. ამის შემდეგ კი იგი პირველ ცოლთან წავიდა, რომელმაც მისწერა: *„ძვირფასო, დაბრუნდი უვნებელი; სხვა არაფერი მინდა“.* მას მხოლოდ

ის, ქმარი, უნდოდა. დანარჩენმა სამმა ცოლმა კი ეჭვიანობა დაიწყო პირველ ცოლზე, რამდენადაც ქმარმა მასთან დაიწყო ცხოვრება. მათ ქმარს შემდეგი შეტყობინება გაუგზავნეს:

„რამდენი ხანია, შენი თავი არ გვინახავს, შენ კი არც ერთხელ არ მოხვედი ჩვენთან სახლში სანახავად, რა არის ამის მიზეზი?“

ქმარმა უპასუხა:

„ყოველ თქვენგანს მივეცი მხოლოდ ის, რასაც მთხოვდით. ერთ-ერთმა თქვენგანმა მთხოვა ძვირფასეულობა – მე ჩამოვუტანე მას. მეორემ მთხოვა წამლები – მან მიიღო ისინი. მესამემ მთხოვა წმინდა წიგნები – ჩამოვუტანე. ერთ-ერთ თქვენგანს კი მხოლოდ მე ვჭირდებოდი, ამიტომაც ახლა მასთან ვარ!“

ღმერთი ყველა თხოვნას პასუხობს

ეს ქმარი თვით უფალია, ოთხი ცოლი კი შეიძლება შევადაროთ ერთგულთა ოთხ ტიპს. უფალი მხოლოდ იმას მოგცემთ, რასაც თქვენ ითხოვთ. ვინც მხოლოდ თვით უფალს ითხოვს, ასეთ ერთგულთან უფალი მივა და მის გულში დაბინავდება. ღმერთი არის ხე, რომელიც ნატვრებს ასრულებს. ღმერთი ზეციური ძროხაა. იგი ყველა თხოვნას პასუხობს. იგი ყოვლის მცოდნეა. მან იცის, რა არის თქვენთვის საჭირო, და გაძლევთ ამას. ფაქტიურად მთელი ეს სამყარო სწორედ ხეა, რომელიც ნატვრებს ასრულებს. ამ სამყაროს მეშვეობით უფალს ყველასთვის მოაქვს დაკმაყოფილება, როგორიც არ უნდა იყოს ერთგულთა სურვილები და თხოვნები. ცოტა ვინმეს ესმის ეს ფაქტი. აი პატარა მოთხრობა, რომელიც ამას ილუსტრირებს.

ერთი მოგზაური დიდხანს მიდიოდა მცხუნვარე მზის ქვეშ. ბოლოს მან იპოვა ჩრდილი დიდი ლამაზი ხის ქვეშ და შეჩერდა, რომ დაესვენა. იგი დიდი ხნის სიარულის გამო ძალიან დაიღალა, და ახლა ხის ჩრდილი მას დასვენების შესაძლებლობას აძლევდა. ხის ქვეშ მჯდარმა წყურვილი იგრძნო და თავისთვის თქვა:

„რა კარგი იქნებოდა ახლა, ერთი ჭიქა წყალი რომ დამელია“.

თითქოს არსაიდან წყლით სავსე ჭიქა გაჩნდა – მან არ იცოდა, რომ იმ ხის ქვეშ იჯდა, რომელიც ყველა ნატვრას ასრულებს. როდესაც წყალი დალია, კიდევ ერთი აზრი მოუვიდა თავში:

„რა კარგი იქნება, რომ რბილი ბალიში და ლოგინი მქონდეს; მაშინ მართლაც კარგად დავისვენებდი“.

უმალვე გაჩნდა საწოლი ბალიშით – ისინი თვით უფალმა მისცა მას. ახლა მოგზაური ძალიან მოხერხებულად მოეწყო.

მას შემდეგ, რაც საწოლი და ბალიში მიიღო, იფიქრა:

„რა შესანიშნავია, რა მშვენიერია ეს ლოგინი ბალიშით! რა კარგი იქნებოდა, რომ ჩემი ცოლი აქ ყოფილიყო!“

უმალვე გაჩნდა მისი ცოლი. როგორც კი ის გაჩნდა, მას ძალიან შეეშინდა, რადგან იგი არ იყო დარწმუნებული:

„ეს ჩემი ცოლია თუ ვიღაც დემონია?“

სწორედ იმ მომენტში, როგორც კი მას ეს აზრი მოუვიდა თავში, ცოლი დემონად იქცა. ახლა შიშმა მთლიანად მოიცვა, და შეძრწუნებულმა გაიფიქრა:

„ვაი თუ ამ დემონმა გადამყლაპოს?“

ამის გაფიქრებაც კი ვერ მოასწრო, და დემონმა ის გადაყლაპა.

ამ ისტორიის მორალი იმაშია, რომ, როცა იმ ხის ქვეშ იმყოფებით, რომელიც ნატვრებს ასრულებს, რა აზრებიც არ უნდა გაგიჩნდეთ, უეჭველად ასრულდება. მთელი სამყარო შეიძლება შევადაროთ ხეს, რომელიც ნატვრებს ასრულებს. თუ კარგი აზრები გაქვთ, მაშინ შედეგებიც კარგი იქნება; თუ ცუდი აზრები გაქვთ, მაშინ ამას ცუდი შედეგები მოჰყვება. ამიტომ არასოდეს არ უნდა მისცეთ თავშესაფარი ცუდ გრძნობებსა და ცუდ აზრებს. აი *სვამი* რატომ ამბობს ხშირად:

„იყავით კეთილნი, აკეთეთ სიკეთე, ყველაფერში სიკეთე დაინახეთ. ეს არის ღმერთისკენ მიმავალი გზა“.

თქვენ არ ხართ მოკვდავნი – თქვენ უკვდავნი ხართ

მთელი სამყარო ღმერთის ქმნილებაა, იგი მისი ნებით არის შევსილი. ღმერთი ყველგანაა. არ გქონდეთ არავისზე ცუდი აზრები. სრულად აკონტროლეთ გრძნობები და თავში მხოლოდ კარგი აზრები გქონდეთ. მოხუცი იქნებით თუ ახალგაზრდა, უნდა მხოლოდ კარგი აზრები შეუშვათ თავში და ყოველთვის ისწრაფოდეთ იმისკენ, რომ მაღალი ზნეობის ცხოვრებას ეწეოდეთ. ამაშია იმის ჭეშმარიტი აზრი, რომ იყოთ ადამიანი. სიტყვა „ადამიანი“ - *ნარა* ნიშნავს: „ის, ვისი მოსპობაც არ შეიძლება; ის, ვინც ყოველთვის ბრუნდება უფალთან“. *„რა“* ნიშნავს „მოსპობას“, ხოლო *„ნა“* ნიშნავს: „არა“. ანუ *„ნარა“* ნიშნავს: „ის, ვისი განადგურებაც შეუძლებელია, ვინც უკვდავების შვილია“. *უპანიშადები* აცხადებენ:

„შენ არ ხარ მოკვდავი არსება; შენ უკვდავების შვილი ხარ“.

ადამიანს ასევე უწოდებენ *მანავას. „მა“* დაკავშირებულია უმეცრებასთან, *„ნა“* ნიშნავს „არა“-ს, ხოლო *„ვა“* დაკავშირებულია მოქცევასთან. აქ იმაზეა ლაპარაკი, ვისაც უმეცრება აქვს მოსპობილი. მაგრამ დღეს თქვენ ყველანი უგუნურად იქცევით. თქვენი აზრები, სიტყვები და მოქმედებები არ შეესაბამება სიტყვა **„ადამიანის“** მნიშვნელობას.

ნათქვამია, რომ სიკვდილი უმეცრების სიბრმავეზე უკეთესია. როდესაც სიბრძენს შეიძენთ, შეგიძლიათ უმეცრება მოიცილოთ თქვენი

ცხოვრებიდან. თუ სიბნელის მოცილება გინდათ, სინათლე უნდა შეიტანოთ. თუ სიბრძნის ქონა გინდათ, ღმერთის წყალობა უნდა მოიპოვოთ. როგორც კი მის წყალობას დაიმსახურებთ, უმეცრება მაშინვე გაქრება. პოეტი ტიაგარაჯა გალობდა:

„ო რამა! თუ შენი წყალობა ჩემთან არის, რისი უნდა მეშინოდეს? რა უნდა გამიკეთონ ბედის პლანეტებმა?“

ადამიანის ცხოვრებას არ უნდა ხელმძღვანელობდეს ექვსი მტერი, როგორიცაა ჟინი, სიამაყე, მრისხანება, სიხარბე, შური და ეგოიზმი; ადამიანის ცხოვრება მთლიანად უფლის წყალობაზეა დამყარებული. ამიტომ უნდა ღრმად დაფიქრდეთ სიბრძნის პრინციპზე და მის გაგებას ცდილობდეთ; ღმერთის წყალობის დამსახურებისკენ უნდა ისწრაფოდეთ. მხოლოდ ასე შეძლებთ, რომ მთელი მსოფლიოსთვის მაგალითი გახდეთ. გახსოვდეთ ეს. ყველგან, ყოველთვის და ნებისმიერ გარემოებაში უფალზე იფიქრეთ. ჩვენს *კალის* საუკუნეში ამაზე უფრო მაღალი სულიერი პრაქტიკა არ არსებობს. დაკავდით უფლის წმინდა სახელის განუწყვეტელი გამეორებით და მუდამ დაიცავით მისი თანდასწრება თქვენი სულის სიღრმეში.

ნაწილი მეორე

სიბრძნის გზა

თავი მეთხუთმეტე

უარი თქვით თავის მოტყუებაზე – შეიცანით თქვენი ჭეშმარიტი „მე“

კრიშნა არწმუნებდა არჯუნას:
„არჯუნა, უარი თქვი შენს სულმოკლეობაზე!
მოიკრიბე მხნეობა და იბრძოლე! ხასიათის
სისუსტე, რომელსაც შენ ავლენ, არ
უხდება ჭეშმარიტ გმირს!“

სიყვარულის განხორციელებანო!

რა არის იმისი მიზეზი, რომ არჯუნა სულით დაეცა? არცოდნა. არცოდნის გამო მასში სხეულის ცნობიერება განვითარდა, ხოლო სხეულის ცნობიერების გამო იგი დაიბნა და უძლური გახდა; მთელი თავისი გამბედაობა და მხნეობა დაკარგა და რაიმე მოქმედებისთვის უძლური აღმოჩნდა.

გატაცებასა და მიბმულობას მწუხარებისკენ მიჰყავხართ

კრიშნამ არჯუნას უთხრა:

„სანამ სულმოკლე ხარ, სულ უმნიშვნელო ამოცანის შესრულებაც კი არ შეგიძლია. მწუხარება გაგაწვალებს. იცი თუ არა მწუხარების მიზეზი? ეს არის შენი მიბმულობები. თავბრუს გახვევს გრძნობა „ჩემი ხალხი“, „ჩემი ნათესავები“, „ჩემი მეგობრები“. ეს მესაკუთრული დამოკიდებულება უმეცრებიდან მოდის. მიბმულობა და განუსჯელი სიყვარული ადამიანს ყოველთვის უძლურს ხდის და მწუხარებაში აგდებს“.

სანამ ამ მესაკუთრული დამოკიდებულებით გაქვთ გონება დაბნელებული, და მხოლოდ თქვენს თავზე, თქვენს ოჯახზე, თქვენს ნათესავებზე, თქვენს ქონებაზე ფიქრობთ, დარწმუნებული იყავით, რომ ადრე თუ გვიან ტანჯვებში ჩავარდებით. უნდა მოძრაობდეთ იმ სტადიიდან, სადაც თავს აიგივებთ თქვენს „მე“-სთან და „ჩემი“-სთან, უფრო მაღალი საფეხურისკენ, სადაც მუდამ „ჩვენ“-თან და „ჩვენი“-

სთან გააიგივებთ თავს. თანდათან უნდა მოძრაობდეთ ეგოისტურობიდან უანგარობისკენ, დამოკიდებულებიდან თავისუფლებისკენ.

ყველასთვის ცნობილია, რომ გამოცდების ჩაბარების შემდეგ მეათე კლასში მოსწავლეებს ძალიან უნდათ შედეგების გაგება, რომ დაინახონ, თავი როგორ გამოავლინეს. ინდოეთში ეს შედეგები ჩვეულებრივად გაზეთებში იბეჭდება; თითქმის ორი გვერდი ეთმობა იმ მოსწავლეთა პირადი ნომრების ცნობას, რომლებმაც გამოცდები ჩააბარეს. ცალკეულ შტატებში შეიძლება 100 ათასამდე მოსწავლე იყოს, რომლებმაც სახელმწიფო გამოცდები ჩააბარეს. როდესაც შედეგები იბეჭდება, ყოველ მოსწავლეს მხოლოთ თავისი პირადი ნომერი აღელვებს; მას ნაკლებად აინტერესებს სხვა მოსწავლეთა ნომრები. როდესაც ის სიაში თავის ნომერს ეძებს, რომ გაიგოს, ჩააბარა თუ არა მან გამოცდები, მას ნაკლებად აღელვებს, როგორ ჩააბარეს გამოცდები მისმა მეგობრებმა. იგივე ხდება, როცა ფოტოლაბორატორიიდან ფოტოსურათები მოდის: ყოველი თქვენგანი მხოლოდ თავისი საკუთარი ფოტოგრაფიის პოვნით არის დაინტერესებული; არ დაინტერესდებით, დამზადებულია თუ არა სხვა ფოტოსურათები. ეს არის ეგოისტური დამოკიდებულების და ფართო თვალთახედვის არარსებობის მაგალითები. უნდა უარი თქვათ შეხედულებათა მსგავს სივიწროვეზე და იმისკენ იმოძრაოთ, რომ სრულიად უანგარონი გახდეთ. როდესაც თქვენში განვითარდება გრძნობა „ჩვენ“ და „ჩვენი“, მთელი მსოფლიოს კეთილდღეობაში წვლილის შეტანას შეძლებთ.

გატაცება თქვენს მხნეობასა და ნებას გაანადგურებს

მაჰაბჰარატას ომამდე არჯუნა მთელ რიგ ბრძოლებში მონაწილეობდა, მაგრამ წინათ მწუხარებასა და მიბმულობას არასოდეს შეუწუხებია იგი. ახლა იმავე არჯუნამ აღელვება დაიწყო, როცა გაიგო, რომ უნდა ებრძოლა მოწინააღმდეგეთა წინააღმდეგ, თავისი საკუთარი პაპის, ნათესავებისა და მასწავლებლის ჩათვლით. საკუთრების ამ გრძნობამ მას სევდა მოჰგვარა. იგი ბრმა სიყვარულის მსხვერპლი გახდა; გრძნობა „ჩემი“ შეეპარა. ასეთი დამოკიდებულების ზრდასთან ერთად მისი შედეგი – მწუხარება – მასთან ერთად იზრდებოდა. წინათ, როდესაც კრიშნა კაურავების სასახლეში მშვიდობის მისიით მიდიოდა, არჯუნა იმაში იყო დაინტერესებული, რომ დაუყოვნებლივ დაეწყოთ ომი. იგი ცდილობდა დაერწმუნებინა კრიშნა, რომ მისი მშვიდობის მისია დამარცხდებოდა, რომ ის უშედეგო იქნებოდა.

იმ დროს არჯუნა კრიშნას ეუბნებოდა:

„კრიშნა, სამართლიანობისთვის ეს ბრძოლა მშვიდობიანი გზით ვერ გადაწყდება. მშვიდობის შენი მისიის პირობებს კაურავები არასოდეს დათანხმდებიან. შეუძლებელია მათი სიძულვილისა და სიხარბის დაოკება. რატომ უნდა დავხარჯოთ მათზე დრო და ძალა? პანდავები და კაურავები სრული დაპირისპირებულობაა, არ შეიძლება მათი გაერთიანება. შეიძლება ზეცაში ან ჯოჯოხეთში შეძლონ მათ გაერთიანება, მაგრამ არა აქ, დედამიწაზე, ეს შეუძლებელია. შენი მისია უეჭველად ჩაიშლება“.

არჯუნა, მხნეობითა და მამაცობით აღვსილი, ასეთი სახით განსჯიდა, რამდენადაც იმ დროს არ ხედავდა თავის პაპას, თავის *გურუს*, ნათესავებსა და მრავალრიცხოვან მეგობარს, - მაშინ ისინი არ იმყოფებოდნენ უშუალოდ მის წინ ბრძოლის ველზე. სანამ ეს მესაკუთრული გრძნობა დაეუფლებოდა მაჰაბჰარატას ომის წინ, არჯუნა, თითქოს, ფართო ხედვას ფლობდა. ახლა კი, ბრძოლის ველზე გამოსულს იმისათვის, რომ სამართლიანობის დასაცავად ებრძოლა, - რისთვისაც იგი დიდი ხნის განმავლობაში ემზადებოდა – გული დაუმძიმდა, თვალები გაუმკრთალდა, და აზრები დაეხლართა. როდესაც მან თავისი ახლო ნათესავები და რამდენიმე მეგობარი საბრძოლო წყობაში დაინახა, რომლებიც მის წინააღმდეგ საბრძოლველად მზად იყვნენ, მას თავბრუ დაეხვა. მან თქვა:

„კრიშნა, მე არ ვიბრძოლებ“.

როდესაც ბრძოლის ველზე იმყოფებით, განა შეიძლება უყურებდეთ მოწინააღმდეგეს როგორც ნათესავს? როცა კრიშნამ არჯუნას სიტყვები გაიგონა, იგი ძალიან გაბრაზდა. მან არჯუნას უთხრა:

„ეს სულმოკლეობაა. არ გიხდება ეს! ისეთი უშიშარი მეომარი, როგორიც შენ ხარ, ყოველთვის სიამაყით და თავაწეული მოსიარულე, როგორც ჭეშმარიტი მეომარი, ახლა, როგორც ჩანს, გაუბედაობით იტანჯება. ის, ვისაც სულმოკლეობა სჭირს, არ შეიძლება იოგეშვარას, იოგას უფლის, მოსწავლე იყოს. ჩემს მოსწავლედ შენი მიღება სამარცხვინოა ჩემთვის. უკვე ყველაფერი მზად არის ომისთვის. სამი თვის განმავლობაში გრძელდებოდა საბოლოო მომზადება ომისთვის, და ახლა ბრძოლის გეგმა დამტკიცებულია. დასაწყისში რომ გეყოყმანა, უეჭველად არ ავიღებდი ჩემს თავზე შენი ეტლის მართვის ამოცანას. მაგრამ შენ ამ ბოლო სტადიაზე ყოყმანობ, მას შემდეგ, რაც წერილები მისწერე მეგობრებსა და ნათესავებს თხოვნით, რომ შემოგიერთდნენ, მას შემდეგ, რაც მათგან თანხმობა მიიღე; და აი ახლა, როცა ყველა შეიკრიბა აქ, იარაღს ჰყრი და სამარცხვინოდ ნებდები მოწინააღმდეგეს. განა გმირები ასე იქცევიან? შენ სამეფო

საგვარტომოს ჭეშმარიტ სულისკვეთებას სპობ, სადაც პატივისა და სამართლიანობის დაცვაში მდგომარეობს ფიცის ვალი. თუ კვლავ მშიშარა სულმოკლე ადამიანივით მოიქცევი, მაშინ მომავალი თაობები იცინებენ შენს სიმხდალეზე. შენ სახელი არჯუნა მოგეცა, მაგრამ არ ხარ მისი ღირსი!“

არცოდნა ყოველგვარი მწუხარების მიზეზია

რას ნიშნავს სახელი არჯუნა? იგი ნიშნავს „სიწმინდეს და სისუფთავეს“. მხოლოდ უმეცრებას შეეძლო ეიძულებინა ისეთი კეთილშობილი ადამიანი, როგორიცაა არჯუნა, იარაღი დაეყარა და ბრძოლაში მონაწილეობაზე უარი ეთქვა, რომელზედაც დამოკიდებული იყო თვით *დჰარმა* (ღმერთის ნება, ადამიანის ვალი). მთლიანად ესმოდა რა ამ ავადმყოფობის ბუნება, ნარაიანამ, უფალმა, მისი ამოძირკვა გადაწყვიტა.

გიტას სულ დასაწყისში კრიშნას შეეძლო არჯუნასთვის ესწავლებინა ერთგულების *იოგა* და ვალის *იოგა*, ანუ უანგარო მოქმედების *იოგა*, მაგრამ ამჯობინა, რომ ეს არ გაეკეთებინა. არსებითად კრიშნამ მხოლოდ მეორე თავში დაიწყო ლაპარაკი. მთელი პირველი თავი არჯუნას ტირილსა და ჩივილებს არის მიძღვნილი. კრიშნა არ ერეოდა. მეორე თავში, მეთერთმეტე ლექსიდან დაწყებული, კრიშნამ თავისი სწავლების ახსნა დაიწყო. მანამდე კი კრიშნა ყველაფერს დიდი მოთმინებით ისმენდა. ამის შემდეგ მან ჰკითხა:

„არჯუნა, დაასრულე? გამოლიე შენი აზრები?“

ზუსტად ისევე, როგორც სტუდენტები არიან გამოფიტულნი წერითი გამოცდის შემდეგ, არჯუნა გამოცარიელებული იყო მას შემდეგ, როცა მთელი თავისი ეჭვები ხმამაღლა გამოთქვა. მაშინ კრიშნამ უთხრა:

„შენში სულმოკლეობის საშინელი მანკიერების ყლორტებმა დაიწყო ზრდა. ვიცი, როგორ უნდა მოვექცე ნებისყოფის სისუსტეს. ეგოსგან განგკურნავ! ამ უგუნურობის მიზეზი არცოდნაშია; აი რა იწვევს შენში სულმოკლეობას“.

შემდეგ კრიშნამ არჯუნასთვის *სანქჰია-იოგას* სწავლება დაიწყო. *სანქჰია-იოგა* ასწავლის სიბრძნეს გარჩევისა *ატმასა* და *ანატმას* შორის, ჭეშმარიტ „**მე**“-სა და მცდარ „მე“-ს შორის, გრძნობითსა და იმას შორის, რაც გრძნობების ზღვრებს მიღმაა, უცვლელსა და მუდამ ცვალებადს შორის.

როცა ადამიანი მწუხარებით არის მოცული, და არცოდნისგან იტანჯება, რა უნდა ქნათ იმისათვის, რომ ამ მცდარობისგან გაათავისუფლოთ? როდესაც პაციენტი დიდ საფრთხეშია, პირველი, რაც ექიმმა უნდა გააკეთოს, არის ის, რომ პაციენტი ამ საფრთხიდან

გამოიყვანოს. ამის შემდეგ ექიმს შეუძლია მისი მკურნალობა დაიწყოს. დავუშვათ, რომ პაციენტი სიცოცხლისთვის უშუალო საფრთხეში იმყოფება; ამ მომენტში ნებისმიერი მკურნალობა უსარგებლო იქნება, თუ უპირველეს ყოვლისა მას კრიტიკული მდგომარეობიდან არ გამოიყვანენ. როდესაც ის უსაფრთხოებაში იქნება, მაშინ შეიძლება მკურნალობის სხვადასხვა თერაპიული მეთოდების გამოყენება. მაგალითად, თუ ადამიანი მდინარეში იხრჩობა, უპირველეს ყოვლისა წყლიდან მისი ნაპირზე გამოყვანა და ხელოვნური სუნთქვის ჩატარებაა საჭირო, შემდეგ კი მკურნალობის სხვა მეთოდების გამოყენება შეიძლება, რომ მისი არტერიული წნევის ნორმალიზება მოხდეს და შოკიდან გამოვიდეს. ბუნებრივია, ამ პროცედურების გაკეთებას არავინ დაიწყებს, სანამ პაციენტი წყალში იძირება.

როგორ განვკურნოთ უმეცრება

კრიშნამ არჯუნას მამაცობის ძლიერი ინექცია შეუყვანა იმისათვის, რომ ის მწუხარებასა და გულგატეხილობას არ შთაენთქა. მისი პირველი დახმარება იყო სწავლება „**მე**“-ზე და „არა მე“-ზე და მათ შორის განსხვავებაზე. კრიშნამ არჯუნას უთხრა:

„არჯუნა, სანამ შიშითა და მღელვარებით ხარ მოცული, არაფრის შესრულება არ შეგიძლია. იყავ გაბედული! იცოდე, რომ შენ ხარ ატმა, და არა სხეული; მაშინ უშიშარი გახდები. დაგეხმარები იმაში, რომ დიადი მოქმედებები შეასრულო, თუკი შენს მოქმედებებს ჭეშმარიტ ცოდნაზე დაამყარებ და უშიშარი დარჩები“.

ამ მომენტში კრიშნა იღიმებოდა, არჯუნა კი ტიროდა.

მხოლოდ ნარაიანა, უფალი, იღიმება მუდამ. ის, ვინც ტირის, არის *ნარა* (ადამიანი). ადამიანი, რომელიც ტირის, უმეცარია. კრიშნა არის *ატმა*, არჯუნა – *ანატმა*; პირველი სიბრძნის განხორციელებაა, მეორე კი უმეცრებით არის აღვსილი. კრიშნამ თქვა:

„მინდოდა შენთვის რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი ამეხსნა. ახლა ჩვენ განსხვავებულად ვმოქმედებთ. მე ვიღიმები, მაშინ როცა შენ ტირი. მაგრამ ორივეს შეგვეძლო ერთნაირები ვყოფილიყავით; ან მე უნდა გავხდე ისეთი, როგორიც შენ ხარ, ან შენ უნდა გახდე ისეთი, როგორიც მე ვარ. ისეთი რომ გავმხდარიყავი, როგორიც შენ ხარ, სულმოკლე გავხდებოდი; მაგრამ ეს სრულიად შეუძლებელია. სულმოკლეობა ვერასოდეს დამეუფლება. სხვა მხრივ, შენ რომ გამხდარიყავი ისეთი, როგორიც მე ვარ, მაშინ მე უნდა გამომყოლოდი და ისე მოქცეულიყავი, როგორც მე გიბრძანებდი“.

ამაზე არჯუნამ უპასუხა:

„სვამი, ისე მოვიქცევი, როგორც შენ იტყვი. უსიტყვოდ შევასრულებ შენს ყველა ბრძანებას!“

როდესაც არჯუნა საკმარისად გაამხნევა და მიზანდასახულობა მისცა მას, კრიშნა გამბედაობის კვლავ დაუფლებაში დაეხმარა არჯუნას; და ამ მომენტიდან არჯუნას უკვე შეეძლო ბრძოლის დაწყება, და უფლის მითითებებისთვის მიყოლა.

უპირველეს ყოვლისა კრიშნამ თავისი სწავლება იმ ჭეშმარიტების ახსნით დაიწყო, რომელიც სხეულსა და გონებას ეხებოდა. მან თქვა:

„არჯუნა, შენ ფიქრობ, რომ ეს ადამიანები შენი ნათესავები და მეგობრები არიან. მაგრამ ვინ არის ნათესავი და ვინ - მეგობარი? ვინ არის სხეული და ვინ - მასში მყოფი? სხეულები წყლის ბუშტების მსგავსია. შენი ნათესავები და მეგობრები იმყოფებიან არა მარტო ახლა – ისინი არსებობდნენ წინათაც უამრავ დაბადებებში. შენც არსებობდი წინათ, ისევე როგორც მე ვარსებობდი. სხეული, გონება და ინტელექტი მხოლოდ ინსტრუმენტებია. ისინი ტანსაცმლის მსგავსია, შენ რომ ატარებ: ეს ყველაფერი ინერტული საგნებია, რომლებსაც შენ დროდადრო იცვლი. რატომ უნდა ამყარებდე მათთან ახლო ურთიერთობებს, სიყვარულს ავითარებდე მათ მიმართ და ამით მეტისმეტ მწუხარებაში და სევდაში ვარდებოდე? ასრულე შენი ვალი. ყველა პატივს მიიღებ, რომელიც შენ გეკუთვნის როგორც მთავარს; მაგრამ ბრძოლის ველზე ადგილი არ უნდა ჰქონდეს უძლურობასა და გაუბედაობას. ბრძოლა იმისათვის, რომ დჰარმა იყოს დაცული, და ამავე დროს ეს უძლურობა, რომელმაც შენში ფესვი გაიდგა, ერთმანეთის საწინააღმდეგოა. ეს მფრთხალობა ბრძოლის ველზე არ უხდება დიად გმირს. შენი საქმე სამართლიანია, და იმისათვის მოხვედი, რომ იბრძოლო. ამიტომ წადი და იბრძოლე!“

ასეთი სიტყვებით კრიშნამ სასოწარკვეთილებისგან განკურნა არჯუნა და ძალა და გამბედაობა აპოვნინა მას თავის თავში.

ომი ეგოიზმსა და თავდადებას შორის

მეფე დჰრიტარაშტრა, კაურავი ასი ძმის უსინათლო მამა, განუწყვეტლივ ეკითხებოდა სანჯაიას იმ ყველაფერზე, რაც ბრძოლის ველზე ხდებოდა:

„სანჯაია, რას შვრებიან ჩემი ადამიანები და რას შვრებიან პანდავები?“

და სანჯაია ყველაფერს დაწვრილებით აღუწერდა მეფეს. ველს, რომელზედაც ბრძოლა ხდებოდა, ეწოდებოდა *დჰარმაქშეტრა*, რადგან ისტორიულად ეს იყო წმინდა ადგილი, სადაც მსხვერპლად შეწირვას ატარებდნენ და სხვა წმინდა რიტუალებს ასრულებდნენ. ამავე დროს ისტორიულად ეს იყო კურუს, კაურავების ოჯახური დინასტიის, ბოროტ შთამომავლთა, სათამაშო ადგილი; და ამიტომ მას ასევე *კურუქშეტრა* ეწოდება.

როდესაც სხეული იბადება, იგი სუფთა და უმწიკვლოა; იგი არ წარმოადგენს ადამიანის ექვსი მტრის მსხვერპლს: სურვილების, მრისხანების, სიხარბის, ჟინის, სიამაყისა და ეჭვიანობის. ახალშობილი ბავშვი ყოველთვის ბედნიერია, მხოლოდ მაშინ ტირის, როცა მშიერია. ვინც არ უნდა შეხედოს მას, იქნება ეს ქურდი თუ მეფე, ბავშვი ბედნიერია; იღიმება და იცინის, როცა ნებისმიერს უყურებს, ვინც მასთან მიდის, იმისგან დამოუკიდებლად, ეს ადამიანი მოსაფერებლად მოვიდა თუ იმისთვის, რომ დაარტყას მას. რამდენადაც პატარა ბავშვი სუფთაა, მის სხეულს შეიძლება *დჰარმაქშეტრა* ვუწოდოთ. სხეული, რომელზედაც არავითარი *გუნები*, უსუფთაო თვისებები არ მოქმედებს, სწორედ *დჰარმაქშეტრაა.*

ზრდასთან ერთად სხეული სხვადასხვა სახის უსუფთაო თვისებებს აგროვებს: შურს, სიძულვილს, მიბმულობას და ა.შ. მათ განვითარებასთან ერთად სხეული *კურუქშეტრა* ხდება. ამიტომ ერთი და იგივე სხეული *დჰარმაქშეტრაც* არის და *კურუქშეტრაც.* თქვენს გულში მოთავსებულია ბოროტება და სიკეთე. *რაჯას-გუნა* და *ტამას-გუნა* მესაკუთრული თვისება „ჩემით“ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. სიტყვა „*პანდავა*“ *სატვიური* ბუნების სისუფთავესთან ასოცირდება. სითეთრისა და სისუფთავის აღწერისთვის ვიხმართ სიტყვას „*პანდუ*“. პანდუს შვილები სუფთანი იყვნენ, და პანდავებსა და კაურავებს შორის ომის შინაგანი მნიშვნელობა არის შინაგანი ბრძოლა ყოველ ადამიანში, ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის, მართლქმედებასა და ამორალობას შორის, ეგოიზმსა და თავდადებას შორის. ომი პანდავებსა და კაურავებს შორის დიდხანს გრძელდებოდა, მაგრამ ომი სიკეთისა და ბოროტ ძალთა შორის მთელი თქვენი ცხოვრების განმავლობაში გრძელდება – მას არა აქვს დასასრული. ეს ბრძოლა *დჰარმის* ველზე ხდება. იმისათვის, რომ *დჰარმაქშეტრის* ველზე მოხვდეთ, თქვენს ხასიათში ტრანსფორმაცია უნდა მოხდეს. ასე უხსნიდა კრიშნა არჯუნას ამ ომის უფრო ღრმა მნიშვნელობას.

როდესაც დჰრიტარაშტრამ, კაურავი 100 ძმის მამამ, სანჯაიას ჰკითხა: *„რას შვრება ჩემი ხალხი?“* - მასში საიდუმლო სურვილი ბჟუტავდა, რომ როგორც კი მისი შვილები *დჰარმის* ველზე ფეხს დაადგამდნენ, მათში ღრმა ტრანსფორმაცია მოხდებოდა. მან იცოდა, რომ ისინი ცუდები და ბოროტები იყვნენ, მაგრამ იცოდა, რომ თუ ისინი ამ წმინდა ადგილას ფეხს დაადგამენ, მათი გონება გარდაიქმნება. როდესაც ვინმე *დჰარმაქშეტრის* ბრძოლის ველზე ფეხს დგამს, ველი მის მენტალურ გარდაქმნას ხელს უწყობს.

დჰრიტარაშტრა და კაურავები იმ ადამიანებს წარმოადგენენ, რომლებიც თავისად თვლიან იმას, რაც მათ არ ეკუთვნით. მათ მესაკუთრული ბუნება აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი არ არის

სხეული, იგი სხეულს მაინც თავის „მე“-დ თვლის. იგი არ არის გრძნობები, მაგრამ სიამაყეს გრძნობს, როცა ფიქრობს, რომ ის არის გრძნობები. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც თავისად თვლის იმ სამეფოს, რომელიც მას არ ეკუთვნის, დჰრიტარაშტრაა. თუ დავუკვირდებით დჰრიტარაშტრას საგვარტომოს ადამიანებს, რომლებსაც ცხოვრების მიმართ მესაკუთრული დამოკიდებულება ახასიათებთ, მაშინ ნათელი ხდება, რომ ისინი თავს სხეულთან და გრძნობებთან აიგივებენ.

განჭვრეტა და თანაგრძნობა ის თვისებებია, რომლებსაც კეთილი გული ფლობს

შეიძლება იკითხოთ, რატომ მიეცა არჯუნას *გიტას* სწავლება. პანდავებს შორის, ზოგიერთი მისი ძმა, მაგალითად უფროსი ძმა დჰარმარაჯა, შეიძლება სულიერად უფრო მეტად გამოდგებოდა ამისთვის, ვიდრე არჯუნა. რატომ არ მიეცა წმინდა *გიტას* სწავლება დჰარმარაჯას, რომელიც დიდი მორალური ძალით იყო ცნობილი? ანდა თუ ფიზიკურ შემართებას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ ბჰიმა, რომელიც ყველაზე უფრო მძლავრი იყო ძმებს შორის, ყველაზე უფრო მეტად გამოდგებოდა ამ სწავლებისთვის. კრიშნას შეეძლო ბჰიმასთვის მიეცა *გიტა*, მაგრამ მან ეს არ ქნა. რატომ? რატომ მისცა მან სწავლება მარტო არჯუნას? თქვენ უნდა ამის შინაგანი აზრი გაიგოთ.

დჰარმარაჯა *დჰარმის* განხორციელება იყო, მაგრამ მასში არ იყო განჭვრეტა; იგი არ ფიქრობდა თავისი მოქმედებების მომავალ შედეგებზე. მხოლოდ მას შემდეგ, როცა მოვლენები მოხდა, იგი ამ შედეგებზე ფიქრს და თავის ქცევებზე სინანულს იწყებს. ხოლო თუ ავიღებთ ბჰიმას, მაშინ მას, რა თქმა უნდა, ჰქონდა დიდი ძალა, მაგრამ არასაკმარისი ინტელექტი. მას შეეძლო ხე ფესვებიანად ამოეგლიჯა, მაგრამ გარჩევა აკლდა. არჯუნა კი განჭვრეტას ფლობდა, მაგალითად, როდესაც მან კრიშნას უთხრა:

„ჯობია მოვკვდე, ვიდრე ჩემიანებთან ვიბრძოლო; ამან შეიძლება დიდი ტანჯვები მომიტანოს, თუ გავიმარჯვებთ კიდეც ომში“.

არჯუნას ტანჯვების (რომლებიც ამ ომმა შეიძლება მოიტანოს) საპირისპიროდ, დჰარმარაჯა მთლიანად მზად იყო ბრძოლაში მონაწილეობისთვის, თუმცა მოგვიანებით, როცა ომი დასრულდა, მას ყველა ეს მკვლელობა ძალიან ტანჯავდა. ალბათ გახსოვთ ცნობილი თამაში კამათლებით. მას შემდეგ, რაც დჰარმარაჯამ დაკარგა ყველაფერი, სიმდიდრისა და სამეფოს ჩათვლით, და ცოლიც კი, მან მოინანია ის, რაც მოხდა. როდესაც ადამინი, რომელსაც არა აქვს გარჩევის უნარი და განჭვრეტა, იძულებულია რთულ გარემოებებში გადაწყვეტილებები მიიღოს, მოგვიანებით იგი გარდაუვალად

მოინანიებს თავის მოქმედებებს. ასეთივე ხასიათი ჰქონდა დასარათჰას, რამას მამას. დასარათჰასაც აკლდა განჭვრეტა და გარჩევის უნარი.

თავისი მეფობის დასაწყისში დასარათჰა მონაწილეობას იღებდა ომებში სამართლიანობისთვის ღმერთებსა და დემონებს შორის; მას მუდამ თან ჰყავდა ახალგაზრდა დედოფალი კაიკეი. კაიკეი იყო კაშმირის დედოფლის ქალიშვილი; იგი კარგად ფლობდა სამხედრო ხელოვნებას. სწორედ მან, კაკეიმ, შეასწავლა რამას მშვლდის ხმარება და ომის წარმოების ზოგიერთი მეთოდი. ერთხელ ბრძოლის დროს დასარათჰას ეტლის ერთ-ერთმა თვალმა ღერძიდან გამოსვლა დაიწყო. კაიკეიმ თითით შეაკავა თვალი, რომელიც ღერძიდან გამოვარდნის პირს იყო, და ამგვარად გადაარჩინა სიკვდილს დასარათჰა.

ბრძოლის შემდეგ, რომელიც გამარჯვებით დასრულდა, მეფე დასარათჰამ შენიშნა, რომ კაიკეის ხელი დასისხლიანებული ჰქონდა. მისი მდგომარეობის ხილვის შემდეგ მეფე იმდენად შეძრული იყო კაიკეის განუსჯელი სიყვარულით და ისეთი კმაყოფილი იყო მისი მამაცობითა და თავგანწირვით, რომ უთხრა მას:

„კაიკეი, შეგიძლია ორი წყალობა მთხოვო, და ყველაფერს გავაკეთებ, რაც კი შემიძლია, რომ შენი სურვილები შევასრულო!“

მან არ დააზუსტა, რა სახის წყალობა შეუძლია ითხოვოს კაიკეიმ. დაპირდა, რომ ნებისმიერ ორ თხოვნას შეუსრულებდა, და შედეგებზე არ იფიქრა. და აი კაიკეიმ თავისთვის ხელსაყრელ დროს უთხრა მას: როცა დადგა დრო, როცა დასარათჰას რამასთვის უნდა გადაეცა სამეფო. კაიკეიმ სთხოვა მეფეს რამა ტყეში გაეძევებინა, რომ კაიკეის ვაჟს, ბჰარატას, ტახტი მიეღო. მაშინ დასარათჰამ მწარედ ინანა, რომ ნებისმიერი სურვილის შესრულებას დაპირდა ყოველგვარი პირობების გარეშე. მაგრამ მეტისმეტად გვიან იყო იმისთვის, რომ დაპირებებზე უარი ეთქვა. ამ დაპირების შედეგად დამტყდარი უბედურება დასარათჰას სიკვდილის მიზეზი გახდა.

ვიცით, რომ კრიშნა არჯუნას დიდი სიყვარულით ეპყრობოდა, მაგრამ განა ეს არის იმის მიზეზი, რომ მან *გიტა* არჯუნას შეასწავლა, და არა მის ერთ-ერთ ძმას? არა. განჭვრიტა რა შედეგები და იცოდა რა, რასთან მიიყვანდა ისინი, კრიშნამ დაასკვნა, რომ მხოლოდ არჯუნა იყო მზად იმისათვის, რომ *გიტას* სწავლება მიეღო მისგან. არჯუნამ განჭვრიტა, რა მოხდებოდა ომის შემდეგ, და განაცხადა, რომ არ სურს მას ბრძოლა, რამდენადაც შედეგები შეიძლება ძალიან სერიოზული ყოფილიყო. ის ნანობდა არა მას შემდეგ, როცა ომი დასრულდა, არამედ ომის დაწყების წინ. ასეთი დამოკიდებულება, როცა გულში სინანულის გრძნობა ჩნდება მანამდე, სანამ მოქმედება შესრულდა, და არა მის შემდეგ, შეიძლება მხოლოდ სუფთა გულში იყოს. არჯუნას, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, სუფთა და წმინდა გული ჰქონდა.

არჯუნას ნათესავიდან და მეგობრიდან მოსწავლედ გარდაქმნა

იმ დროში ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობა გაცილებით უფრო მეტი იყო, ვიდრე დღეს არის. კრიშნა და არჯუნა სამოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში განუყრელნი იყვნენ, იმიტომ რომ არჯუნა სისუფთავისა და სიწმინდის განხორციელებას წარმოადგენდა. მართალია, ისინი 75 წლის განმავლობაში ერთად ცხოვრობდნენ, მაგრამ კრიშნას ამ პერიოდში არჯუნასთვის *გიტას* სწავლება არ გაუხსნია. რატომ? იმიტომ რომ არჯუნა კრიშნას ეპყრობოდა როგორც ცოლისძმასა და ახლო მეგობარს. მთელი ეს წლები არჯუნა სხეულის ცნობიერებაში ცხოვრობდა.

იმ მომენტში, როცა არჯუნა კრიშნას დაემორჩილა და მიიღო იგი როგორც მასწავლებელი, კრიშნა გახდა მისი მასწავლებელი, არჯუნა კი – კრიშნას მოსწავლე. მხოლოდ მას შემდეგ, როცა არჯუნამ სრულად ჩააბარა თავი კრიშნას, კრიშნამ ის *გიტას* სწავლებას აზიარა. ეს იმას მიშნავს, რომ, თუ ვინმესგან სულიერი ცოდნის მიღება გსურთ, ამ ადამიანს უნდა ეპყრობოდეთ ისე, როგორც მოსწავლე *გურუს* ეპყრობა, და ამის შემდეგ ის თავისუფლად გადმოგცემთ სულიერ ცოდნას.

უძველეს წმინდა წერილში არის მსგავსი ისტორია. ოდესღაც ცხოვრობდა დიადი მასწავლებელი სახელად უდალაკა. იმ დროს მასზე უფრო ძლიერი მასწავლებელი არ იყო. მაგრამ მან თავისი ვაჟი წმინდა წერილების შესასწავლად სხვა მასწავლებელთან გააგზავნა. თვითონ მამამ თავისი შვილის სწავლებას ხელი არ მოჰკიდა. მან ეს ნაბიჯი იმიტომ გადადგა, რომ თავის თავს მამად თვლიდა, და ამ ურთიერთობებში – მამა-შვილი – ბიჭუნა სვეტაკეტუ საკმარისად ვერ შეძლებდა უმაღლესი ცოდნის შეძენას, როგორც კრიშნას და არჯუნას შემთხვევაში: სანამ მათ შორის ნათესაური ურთიერთობები არსებობდა, არჯუნას არ შეეძლო კრიშნასგან ცოდნის მიღება. მაგრამ როგორც კი ნათესაურმა გრძნობამ დატოვა არჯუნას გული, და *პარამატმას*, უმაღლესი ღვთაებრიობის, თანდასწრების გრძნობა შევიდა მის გულში, არჯუნამ შეძლო კრიშნასგან სწავლების მიღება.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც არჯუნა მთლიანად დაემორჩილა, როცა მან გააცნობიერა, რომ კრიშნა ღმერთია, კრიშნამ მისი სწავლება დაიწყო. არჯუნამ უთხრა კრიშნას:

Tvameva Maataa Cha Pitaa Tvameva
Tvameva Bandhuscha Sakhaa Tvameva
Tvameva Vidyaa Dravinam Tvameva
Tvameva Sarvam Mata Devadeva.

ჩემი დედა ხარ. ჩემი მამა ხარ.
ჩემი ყველაზე უფრო ახლო ნათესავი ხარ.
ჩემი ყველაზე უფრო ძვირფასი მეგობარი ხარ.
ჩემი სიბრძნე ხარ. ჩემი განძი ხარ.
ჩემი ყველაფერი ხარ. ჩემი უფალი, ჩემი ერთადერთი უფალი ხარ.

ამგვარად იგი მთლიანად დაემორჩილა, და მაშინ კრიშნამ ის მოსწავლედ მიიღო. იმ მომენტში კრიშნამ თქვა:

„ასრულე ჩემი ქმედობები. ყველაფერი ჩემი გულისთვის აკეთე, და მე ვიზრუნებ შენზე“.

სანქჰია-იოგაში კრიშნამ აღწერა, როგორ შეძლო არჯუნას დარწმუნება, რომ დამორჩილებოდა იგი მის ნებას. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც კრიშნამ გააკეთა, ის არის, რომ არჯუნა სხეულის ცნობიერების გრძნობისგან გაათავისუფლა. სანამ სხეულის ცნობიერება არსებობს, იმისგან დამოუკიდებლად, მიჰყვებით უანგარო მსახურების გზას, მართლქმედების გზას თუ შინაგანი კვლევის გზას, ვერ აწარმოებთ საჭირო დისციპლინათა პრაქტიკას, რომლებმაც მიზანთან უნდა მიგიყვანოთ. სხეულის ცნობიერება და მასთან დაკავშირებული მიბმულობები მუდამ დაგიბნელებთ გულს. სანამ გულს უსუფთაობებისგან არ გაასუფთავებთ, შეუძლებელია ის წმინდა გრძნობებით შეავსოთ. თუ ჭიქა წყლით არის სავსე, როგორ უნდა შეავსოთ იგი რძით? ჯერ უნდა წყლისგან გაათავისუფლოთ. კრიშნამ თქვა:

„არჯუნა, სხეულის ცნობიერებით ხარ სავსე. უპირველეს ყოვლისა მთლიანად უნდა გაათავისუფლო თავი ამისგან. მხოლოდ მაშინ შევძლებ შენი გულის წმინდა აზრებით შევსებას“.

იყავით გაბედულნი, იყავით შეუპოვარნი, განავითარეთ გარჩევის უნარი

კრიშნას სწავლება იმაზე იყო მიმართული, რომ არჯუნა გაეთავისუფლებინა მიბმულობებისგან, გატაცებებისგან და მათი შედეგებისგან – სევდისგან და მწუხარებისგან. როდესაც არჯუნას სხეულის ცნობიერება გაუქრა, კრიშნა მზად იყო გაეხსნა მისთვის *ატმას* ცნობიერების უმაღლესი სწავლება. არჯუნა უმეცრების ძილიდან რომ გამოეღვიძებინა, კრიშნას მთელი რიგი არგუმენტების გამოყენება მოუხდა. მან თქვა:

„არჯუნა, ერთხელ ყოყმანის გარეშე მთელი ტყე გაანადგურე; სხვა დროს, როდესაც ძროხებს იცავდი, დაუფიქრებლად დაიწყე ბრძოლა იმავე ნათესავებთან და მასწავლებლებთან. შენი მწუხარების

რამდენიმე მიზეზი არსებობს, მაგრამ ყველაზე მთავარია შენი არცოდნა. არ აცნობიერებ შენს ჭეშმარიტ ბუნებას და ამიტომ მწუხარებას მიეცი იმისი ნება, რომ დაგეუფლოს. ახლა ღმერთს და დჰარმას ევედრები. როგორც კი ღმერთს შეევედრე, ეს არის სწორედ იოგა. როდესაც მევედრები, ჩემს თავზე ვიღებ მზრუნველობას შენზე და ყველაფერს გაძლევ, რაც კი შენთვის საჭიროა“.

თქვენ სხვადასხვა მიზეზით ტირით, მაგრამ განა ტირით, როცა *დჰარმა* დაცემას განიცდის? იმისათვის, რომ *დჰარმას* დაცემა აარიდოთ, იმისათვის, რომ ის დაიცვათ, ვაჟკაცური გული უნდა გქონდეთ. კრიშნამ არჯუნას უთხრა:

„არასოდეს არ უნდა ზრდიდე შენში სულმოკლეობას. მხოლოდ მას შემდეგ, რაც გულის ამ სისუსტის მიზეზს მოიცილებ, ღვთაებრივი ენერგია დაეშვება და შენს გულში დასახლდება. თუ მამაცობა არა გაქვს, ცხვრებისაც კი შეგეშინდება, რომ არაფერი ვთქვათ ბოროტგანზრახულ ადამიანებზე. იმის უნარი უნდა გქონდეს, რომ ნებისმიერ გარემოებას პირისპირ შეხვდე. თუ შეშინებული გაიქცევი, მაშინ მაიმუნებიც კი შემოგიტევენ. ყოველმა ადამიანმა იცის, რომ თუ გაქვს ჯოხი და შენს პოზიციაზე მყარად დგახარ, მაიმუნები არასოდეს შემოგიტევენ. მაგრამ ზურგს ნუ უჩვენებ; პირიქით, პირისპირ შეხვდი საფრთხეს. მხოლოდ მაშინ შეძლებ რაიმეს მიღწევას“.

იგივეს ამბობდა ვივეკანანდა:

„იყავ შეუპოვარი! – ურჩევდა იგი. – *მამაცობა ერთ-ერთი ინსტრუმენტია ნებისმიერი წარმატების მიღწევისთვის“.*

დღეს ადამიანებს მამაცობა და გამბედაობა აკლიათ; მაგრამ ეს არ უნდა იყოს ბრმა და სულელური მამაცობა. მამაცობას თან უნდა ახლდეს გარჩევის უნარი; მხოლოდ ამ შემთხვევაშია უზრუნველყოფილი წარმატება.

თავი მეთექვსმეტე

განდევნეთ უმეცრება, და მწუხარება სამუდამოდ მიგატოვებთ

სიბრძნის დაუფლებისთვის შინაგანი შემკითხველობით უნდა დაკავდეთ. ასეთი პრაქტიკა მთლიანად გაგაცალკევებთ გონებისა და აზრებისგან. დამონება მაშინ ხდება, როცა თქვენს თავს გონებასთან და მის უსუფთაობასთან აიგივებთ. ამასთან დაკავშირებით კრიშნამ არჯუნას უთხრა: „მფრთხალობა, მწუხარება, ტანჯვა – ეს სისუსტეები და შიში გონებასთან არის დაკავშირებული. რა არის სულმოკლეობის იმ მდგომარეობის მიზეზი, რომელშიაც შენ იმყოფები? გეტყვი: შენი გონების უსუფთაობა და ამ უსუფთაო გონებასთან შენი გაიგივებაა პასუხისმგებელი სევდიან მდგომარეობაზე, რომელშიც შენ იმყოფები“.

სიყვარულის განხორციელებანო!

სიტყვა *სანჭია* პრაქტიკულად ნიშნავს „სიბრძნეს“. *გიტას* მეორე თავში დასახელებით „*სანჭია-იოგა*“ კრიშნა არჯუნას სიბრძნის გზას ასწავლის. სიბრძნეს რომ მიაღწიოთ, შინაგანი კვლევის პრაქტიკას უნდა ეწეოდეთ. როდესაც შინაგან კვლევას აწარმოებთ, თქვენს გონებასა და აზრებს უნდა გაემიჯნოთ.

კრიშნამ არჯუნას უწოდა *კრიპანაჰი*, რაც ზოგჯერ ითარგმნება როგორც „კრიჟანგი ადამიანი“, საწყალი ადამიანი“ ან „ძუნწი ადამიანიც“ კი; მაგრამ ეს მნიშვნელობა არ მიესადაგება არჯუნას. არჯუნა არ იყო კრიჟანგი, ასევე საწყალიც არ იყო; არ იყო არც ხარბი, არც ბოროტი. სიტყვა „*კრიპანაჰის*“ მნიშვნელობა ვერ გამოდგება არჯუნას აღწერისთვის. *უპანიშადების* ენაზე ეს ტერმინი ასევე უმეცრების აღწერისთვის გამოიყენებოდა. ამრიგად, როდესაც კრიშნამ არჯუნას *კრიპანაჰი* უწოდა, მას მხედველობაში უმეცარი ადამიანი ჰქონდა. არცოდნის გამო მწუხარებამ და ტანჯვამ მოიცვა არჯუნა; მან შიში იგრძნო. მწუხარება მაშინ მოდის, როცა ადამიანი განშორებას განიცდის. ცხოვრებას შეიძლება ვუყუროთ როგორც ნაკადს, სადაც არსებები ერთიანდებიან, შემდეგ კი ისევ ცალკევდებიან. ადამიანის ცხოვრება შეხვედრებითა და განშორებებითაა სავსე. ამ გარდამავალი პერიოდების გაგებას რომ

სხვანაირად მივუდგეთ, უნდა ვიფიქროთ მათზე როგორც *სანდჰიას* მომენტებზე.

თქვენი ჭეშმარიტი ბუნება მარადიული სიხარულია

სანდჰია არის ორი დროის შეერთების პერიოდი. *სანდჰია* ნიშნავს მომენტს სიხარულსა და მწუხარებას შორის, დღესა და ღამეს შორის ან შეხვედრასა და განშორებას შორის. ამ წერტილში – *სანდჰიაში* – ერთდროულად სიხარულში და მწუხარებაში იმყოფებით. მაგრამ იქ დიდი ხნით დარჩენა შეუძლებელია: ან წინ წახვალთ და მთლიანად სიხარულის მდგომარეობაში მოხვდებით, ან მწუხარების მდგომარეობამდე დაიწევთ. რა თქმა უნდა, მხოლოდ სიხარულისკენ ისწრაფით, და არა მწუხარებისკენ. სიბრძნე არის გზა, რომელიც გეხმარებათ, რომ მარადიულ სიხარულში დარჩეთ. *სანჭჰია-იოგა* გასწავლით მარადიული სიხარულის გზას არამიბმულობისა და ღმერთის სიყვარულის მეშვეობით. *გიტაში*, თავში *სანჭჰია-იოგაზე*, შემდეგ ორ სიტყვას იპოვით: *ჰრიშიკეშა* და *გუდჰაკეშა*. *ჰრიშიკეშა* არის ის, ვინც გრძნობების მბრძანებელს წარმოადგენს, *გუდჰაკეშა* კი – ის, ვინც გრძნობების გაკონტროლება ისწავლა. კრიშნა თავისი გრძნობების პატრონია, არჯუნა კი არის ის, ვინც გრძნობების დაუფლება შეძლო. მაგრამ დასაწყისში არჯუნა სხეულის ცნობიერებაში იყო ჩაშვებული და თავის კონტროლი ვერ შეეძლო.

როდესაც არჯუნამ ნათესავებთან და მეგობრებთან მომავალი ბრძოლის შედეგებზე დაიწყო ფიქრი, იგი აღელდა. მას ძალიან აწუხებდა, რა მოჰყვება ამ ადამიანების ფიზიკურ განადგურებას; სხვა სიტყვებით, არჯუნა მხოლოდ სხეულის ცნობიერების თვალსაზრისით ფიქრობდა.

სხეული გარე სამოსელია, რომელსაც უმაღლესი სუფთა სული ატარებს

სხეული დაკავშირებულია *ტამასთან*, ინერციასთან; იგი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ჭურჭელი, კონტეინერი ან სამოსელი, რომელსაც იცვამს *ჯივა*, ინდივიდუალური სული. ისევე, როგორც ბუნებრივია ის, რომ ჭუჭყიანი ან გაცვეთილი ტანსაცმელი გადააგდოთ და ახალი ჩაიცვათ, თქვენ ამ სხეულს ტოვებთ და ახალს იცვამთ. კრიშნამ აჩვენა, რომ სიკვდილი ძალიან ჰგავს მატერიის ძველი ნაჭრის თავიდან მოცილებას. მაგრამ როდესაც ამას ჩვეულებრივი ადამიანები ისმენენ, მათ შეიძლება ეჭვები გაუჩნდეთ.

80-90 წლის შემდეგ, როცა შესამჩნევია სიბერის ზემოქმედება, სხეული გაცვეთილ მატერიას ემსგავსება. ალბათ დამეთანხმებით, რომ

ამ ძველი ტანსაცმლის გადაგდებაა საჭირო. მაგრამ თუ ადამიანი სიჭაბუკეში ან მოწიფულობის ასაკში, სიბერის დადგომამდე კვდება, მაშინ გამოდის, რომ მას ახალი ტანსაცმლის დატოვება უწევს. დავუშვათ, რომ ვინმემ ოცი წლის სხეული დატოვა. ნუთუ მას ძველ მატერიას ვუწოდებთ? ეს აშკარად ახალი მატერიაა. კრიშნამ ასეთ ეჭვს შემდეგი მაგალითით უპასუხა.

დავუშვათ, მატერიის ნაჭერი იყიდეთ, მაგალითად, ხანგრძლივი მოგზაურობის დროს. იგი სახლში მიიტანეთ და კარადაში შეინახეთ; 10-15 წლის შემდეგ, ტანსაცმლის დალაგების დროს, მატერიის ამ ნაჭერს შენიშნავთ და იხსენებთ, რომ ის მრავალი წლის წინ იყიდეთ. ეს მატერია მკერავთან მიგაქვთ, რომ პერანგი შეიკეროთ. და ამ ახალ პერანგს ატარებთ. ერთხელაც, როცა ლოცვისთვის ემზადებით, ჯდებით, და დახრის დროს ზურგზე პერანგი სკდება. ფიქრობდით, რომ ეს ახალი პერანგია, მაგრამ რა მალე გაიხა. რატომ გეყოთ ის ასეთი მოკლე დროით? პერანგი იყო ახალი, მაგრამ მატერია – ძველი, ძველი მარაგიდან. როდესაც სხეულს „ატარებთ“ და მასში მხოლოდ მოკლე დროით იმყოფებით, შეიძლება ისე მოჩანდეს, რომ ახალი სხეული გადააგდეთ, მაგრამ სინამდვილეში იგი ძველი მარაგიდანაა: ის თქვენთან მრავალი წარსული დაბადებიდან მოვიდა.

ამის გაგებაში რომ დაგეხმაროთ, მაგალითისთვის ავიღოთ ორი ადამიანი – ახალგაზრდა და მოხუცი. თვრამეტიოდე წლის ახალგაზრდა განუწყვეტლივ ურის ურტყამს ქვას, მაგრამ ოცი ძლიერი დარტყმის შემდეგაც კი ქვა არ სკდება. იგი ჯდება, რომ დაისვენოს. ახლა ქვასთან მოხუცი ადამიანი მიდის და მხოლოდ ორი დარტყმით ხეთქავს მას. რა არის ასეთი გასაოცარი შედეგის მიზეზი, რომ ახალგაზრდა კაცის მიერ 20 დარტყმისგან ქვა არ გასკდა, მაგრამ 80 წლის ადამიანის მიერ მხოლოდ ორი დარტყმისგან გასკდა? ასეთი აზროვნების შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ თქვენ მოხუცის მხოლოდ რამდენიმე დარტყმას თვლიდით, და ფიქრობდით, რომ ამ 2 დარტყმის ზემოქმედებით გასკდა ქვა, მაგრამ სინამდვილეში ეს მოხდა 22 დარტყმის შემდეგ. ახალგაზრდა ადამიანის მიერ 20 დარტყმის შემდეგ მოხუცმა ადამიანმა დამატებით კიდევ ორი დარტყმა შეასრულა და ქვა გასკდა.

სხეული, რომელსაც თქვენ ატარებთ, მრავალთაგან ერთ-ერთია

ასეთივე სახით თქვენ, შეიძლება, სულიერი პრაქტიკის მთელი რიგი მეთოდებით იყავით დაკავებული და წინა ცხოვრებაში რაღაც სულიერ სიმაღლეებს მიაღწიეთ, რის შემდეგაც იმ ცხოვრებიდან წახვედით. ამჟამად, ამ ცხოვრებაში, თქვენი სულიერი მუშაობის

განახლებას ახდენთ, და ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ხანში შეხვალთ, შეგიძლიათ სულიერი აღსრულება მიიღოთ. როდესაც ასეთ რამეებზე ფიქრობთ, ალბათ მხედველობაში იღებთ მხოლოდ თქვენს ახლანდელ ცხოვრებას, და თქვენი ძალისხმევისა და მოქმედებების შედეგებს დაბადებიდან ითვლით; მაგრამ უფლის თვალში მხედველობაში მიიღება თქვენი ყველა წარსული ცხოვრება, ყველა თქვენი წარსული ძალისხმევა და მათი შედეგები. კრიშნამ თქვა:

„შვილო ჩემო, ბოლოს და ბოლოს ყოველი სხეული დროის მიერ ნადგურდება; იცოდე, რომ შენ უთვალავ სხეულში არსებობდი და დაბადებისა და სიკვდილის უთვალავი ციკლი გაიარე წინა საუკუნეთა სიღრმეებში“.

თვითონ სიტყვა „სხეული“ სანსკრიტულ ენაზე, *შარირა*, ნიშნავს: „ის, რაც ცვდება“. იგი იბადება, როგორც ხორცის კოშტი; ზრდასთან ერთად მიმზიდველი ხდება, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ბერდება და ძალასა და სილამაზეს კარგავს. სხეული ინერტული და უგრძნობია; თავისი ცხოვრების დროს ის მთელ რიგ ცვლილებებს განიცდის და საბოლოო ჯამში ცვდება. შეიძლება კითხვა დაგებადოთ: როგორ შეიძლება მას ინერტული და უგრძნობი ეწოდოს? ის ამზადებს, ის დადის, ის ცხოვრობს, ყოველთვის მოქმედებაშია – ცოცხალ სხეულს არ შეიძლება ინერტული ეწოდოს. მაგრამ როდესაც საათის მექანიზმს მომართავთ, ისიც იწყებს მუშაობას და სვლას. ამ მომენტიდან საათის ისრები წრეზე იმოძრავებს და ყოველ საათში იწკარუნებს. მაგრამ ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ საათს ცოცხალი ეწოდოს. მომართვის შედეგად მიღებული ენერგიის წყალობით საათმა ფუნქციონირება დაიწყო. ასეთივე სახით ღმერთის მიერ მოცემული სასიცოცხლო ენერგიის წყალობით თქვენი სხეული ლაპარაკობს და სხვადასხვა მოქმედებებს ასრულებს. ღვთაებრივი პრინციპის გარეშე, რომელიც სხეულს აცხოველებს, მას არ შეუძლია მოქმედება, ისევე როგორც საათს არ შეუძლია სვლა, თუ არ მომართავთ.

მაგრამ მაშინ მეორე კითხვა ჩნდება: საათი მუშაობს, მაგრამ ფორმასა და ზომას არ იცვლის, მაშინ როცა სხეული იზრდება; ეს როგორ აიხსნება? თუ ის უბრალოდ ინერტულია, მაშინ როგო შეუძლია მას ზრდა? ინერტული საგნები არ იზრდება. მაგრამ თუ თქვენ, მაგალითად, იატაკს მოგვით და მტვერს ნაგვის ყუთში მოათავსებთ, მტვრის ეს გროვაც კი გაიზრდება. რამდენადაც სხეულს მრავალფეროვანი საკვებით კვებავთ, ისიც იზრდება. შიგნით საკვების დაგროვებასთან ერთად სხეული იზრდება. მტვრის გროვაც შეიძლება იზრდებოდეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასში სიცოცხლეა. ასეთივე სახით რაკი თქვენი სხეული იზრდება, არ შეიძლება დავასკვნათ, რომ ის ცოცხალია. თავის თავად სხეული ინერტულია,

მაგრამ იგი ცნობიერებით არის შევსილი, იმიტომ რომ მის საფუძველში ღვთაებაა. მუდამ გახსოვდეთ ამ საფუძვლის შესახებ: ღვთაებრივი ცნობიერება წარმოადგენს სიცოცხლის პრინციპს, რომელიც ყველა არსებას იცავს და მოძრაობაში მოჰყავს ის. იცოდეთ ეს და თქვენი ვალი ასრულეთ.

უმეცრება ნიშნავს თქვენი ჭეშმარიტი ბუნების არგაცნობიერებას

როდესაც კრიშნამ არჯუნას უმეცარი უწოდა, ნიშნავდა თუ არა ეს, რომ არჯუნამ განათლება არ მიიღო? სულაც არა. არჯუნა ბევრ რამეში იყო დახელოვნებული: მას ძალიან კარგად ჰქონდა შესწავლილი სამხედრო ხელოვნება, მართვის ხელოვნება და მრავალი სხვა რამ. მაგრამ სულიერების სფეროში ის არ იყო განათლებული. ყოველი ადამიანი იყენებს თავის ნიჭსა და უნარს, რომ რაღაც გარკვეულ სფეროში დასპეციალდეს და ცოდნა განავითაროს მასში. ერთნი თავიანთ უნარს იყენებენ მუსიკის ათვისებაში, მეორენი ლექსებს წერენ, მესამენი სურათების ხატვისა და სკულპტურების შექმნის ხელოვნებაში ავითარებენ ცოდნას. აიღეთ ჩვენი საკუთარი უნივერსიტეტი: აქ მრავალი პროფესორი ასწავლის. ერთმა ადამიანმა ოსტატობას მიაღწია ფიზიკის სფეროში, მეორემ ქიმიის სფეროში, მესამემ მათემატიკაში, მეოთხემ კი ბიოლოგიაში. ამრიგად, მათ შეიძლება დიდ წარმატებებს მიაღწიეს თავიანთ სფეროებში, მაგრამ სხვა აკადემიურ სფეროებში საკმარიცი ცოდნა არ გააჩნიათ. ავიღოთ, მაგალითად, წმინდა წერილების ან *ვედების* სწავლება; ზოგიერთები მთელ თავიანთ უნარს ვედების შესწავლას ახმარენ და ოსტატურად ეუფლებიან მათ სწრაფ და გაწაფულ ციტირებას. ჩვენი კამალდჰანი ამ მხრივ უნიკალურია. ბადალი არ ჰყავს მას ამ სფეროში; მან უდიდეს ერუდიციას მიაღწია *ვედებში*. მაგრამ თუ ჰკითხავთ: „ვინ არის სიტა?“, ის გიპასუხებთ: „კრიშნას ცოლია“. ამის მიზეზი იმაშია, რომ ყოველი ადამიანი მთელ თავის უნარს ცოდნის ერთ გარკვეულ სფეროში იყენებს, რომელშიაც ის არის სპეციალიზებული. ასეთივე სახით არჯუნამ, სამეფო პრინცმა, უდიდეს სიმაღლეებს მიაღწია მშვილდის ხმარების ხელოვნებაში, მაგრამ სხვა სფეროებში მას არ გააჩნდა ასეთი ღრმა ცოდნა.

ერთადერთი, ვინც სრულ ოსტატობასა და ღრმა ცოდნას ფლობს ყველა სფეროში, ეს არის ღმერთი. აი რატომ უწოდებენ მას ყოვლისმცოდნეს. ის, ვინც ყოვლისმცოდნეა, ყოვლისშემძლეც არის და ყველგან მყოფიც. მხოლოდ ღმერთი ფლობს ამ სამ თვისებას: ყოვლისმცონეობას, ყოვლისშემძლეობასა და ყველგანმყოფობას. იცოდა რა არჯუნას წარსული, აწმყო და მომავალი, იცოდა რა, რომ

ის მზად არის, კრიშნამ არჯუნას დიადი სულიერი ჭეშმარიტების სწავლება გადაწყვიტა. მან არჯუნას უთხრა:

„გააცნობიერე სხეულის წარმავალი ბუნება და ყოველთვის გახსოვდეს მისი საფუძველი; მხედველობის არის ფოკუსში გქონდეს ეს ღვთაებრივი საფუძველი და ასრულე შენი ვალი. დასაწყისში ყველა მიბმულობისგან უნდა გათავისუფლდე. შენ სხეულთან გაიგივება გღუპავს. ეს მიბმულობა ძალიან საშიშია, მან შეიძლება შენი გარჩევის მთელი ძალა დაამსხვრიოს“.

ილუსტრაციისთვის ავიღოთ პატარა მოთხრობა.

სხეულზე მიბმულობის საშიშროება

ერთხელ ინდრა, ზეცაში მცხოვრებთა უფალი, დაწყევლილ იქნა: იგი დედამიწაზე ტახის სახით დაიბადება. ასეთი სახით დაბადებულს მთელი დრო იმაში გაჰყავდა, რომ ოჯახურ ცხოვრებას ჭუჭყიან, მღვრიე წყალში ატარებდა. ბრძენმა ნარადამ, რომელიც ამ ადგილს გადიოდა, შენიშნა ტახი ოჯახობასთან ერთად და ამ ფორმაში მოთავსებული ინდრა იცნო. ნარადას იგი ძალიან შეეცოდა. მან მიმართა ტახს:

„ინდრა, ნახე, რა მდგომარეობამდე დახვედი. ეს როგორ მოხდა? მაგრამ ნუ ღელავ, მე ამოგიყვან აქედან. შემიძლია ასკეზას მეშვეობით მიღებული მთელი ჩემი ძალა გამოვიყენო, რომ დაგეხმარო“.

იგი დიდი სიმპათიით ელაპარაკებოდა ინდრას, გაკვირვებული იყო, რომ ის, ვინც ზეცის ფუფუნებით უნდა დამტკბარიყო, ასეთ საცოდავ მდგომარეობაში აღმოჩნდა. როგორი უბედური გახდა მისი ცხოვრება!

მაგრამ ინდრამ ტახის გარეგნობით უპასუხა:

„ნარადა, რატომ დგახარ ჩემი ბედნიერების გზაზე? სიხარულს, რომელსაც ამ ჭუჭყიან წყალში განვიცდი, ვერსად მივიღებ. იმ შესანიშნავ ცხოვრებას, რომლითაც ჩემს ცოლთან და შვილებთან ერთად ვტკბები აქ, ამ ჭუჭყიან წყალში, ზეცაშიც კი ვერ მივიღებ. თუ შეიძლება, ნუ ერევი ჩემს ცხოვრებაში და ნუ დგები იმ სიხარულის გზაზე, რომელსაც აქ სრულად განვიცდი. წადი, შენი გზით იარე“.

მიბმულობის ილუზიით მოჯადოებულ ინდრას არ შეეძლო იმის გაგება, რა საცოდავ მდგომარეობაში იმყოფება იგი. ნარადა იძულებული იყო გამოეყენებინა თვით ინდრას იარაღი – მეხის ზეციური დარტყმა, რომ ინდრასთვის ტახის სხეული მოეგლიჯა და გაეთავისუფლებინა ინდრა, რომელიც მოხარული იყო, რომ მიბმულობისა და სხეულის ცნობიერების საპყრობილისგან შვება მიეღო.

როდესაც მოჯადოებული ხართ *მოჰათი*, ანუ მიბმულობით, მთლიანად ილუზიაში იმყოფებით. ეს ილუზია *მაიას* გადაულახავი

ძალის შედეგია. თუ *მაიას* ძალის დამსხვრევა გსურთ, *ატმას* ძალა უნდა განავითაროთ თქვენში. ამიტომ აიღო კრიშნამ თავის თავზე არჯუნას სწავლება, და *ატმა ვიდიას*, თავისი თავის, ცოდნას აზიარა იგი. ამ ცოდნის გარეშე შეუძლებელია სწორად გაიგოთ ყოველდღიური მოვალეობებიც კი, რომლებიც ამ ქვეყანასთან არის დაკავშირებული.

საკმარისი არ არის უბრალოდ უსმენდეთ სულიერ სწავლებას, ეს მხოლოდ მცირედით დაგეხმარებათ. მაგრამ როდესაც *გიტას* უსმენთ, უდიდეს ბედნიერებასა და სიხარულს გრძნობთ; ყველაფერი უბრალოდ ჟღერს. მაგრამ ეს აღტაცება მხოლოდ დროებითი მოვლენაა; როდესაც სწავლების გამოყენებას დაიწყებთ პრაქტიკაში, მრავალი რეალური პრობლემა და სიძნელე გაჩნდება. მაგრამ თქვენს ძალისხმევაში შეუპოვარნი უნდა იყოთ. სწავლება ცოტა რამეში დაგეხმარებათ, თუ მას პრაქტიკაში არ გამოიყენებთ; რასაც არ უნდა უსმენდეთ და კითხულობდეთ, ეს მთლიანად თქვენი უნდა გახდეს. და მაშინ ამ სწავლებიდან რაღაც ჭეშმარიტად ღირებულს მიიღებთ.

პრაქტიკაში გამოიყენეთ სწავლება

დიდმა წმინდანმა კრიშნა ჩაიტანიამ, როდესაც მომლოცველად მოგზაურობდა, შრირანგაპუტნას, ქვეყნის სამხრეთში მდებარე სოფელს, მიაღწია. სოფლის ტაძარში მცირე რაოდენობის ადამიანმა მოიყარა თავი. რომელიღაც სწავლული *პანდიტი გიტას* განმარტავდა. *პანდიტი* ტექსტს კითხულობდა, მოსწავლეები ლექსებს იმეორებდნენ, ამის შემდეგ კი *პანდიტი* შესაბამის ახსნებს იძლეოდა. ერთ-ერთი მოსწავლე კუთხეში იჯდა და მწარედ ტიროდა. დანარჩენი ადამიანები წიგნით ხელში იმეორებდნენ სტროფებს და ძალიან ყურადღებით ისმენდნენ *პანდიტის* სიტყვებს. მათი სახეების გამომეტყველება ტექსტის განმარტებასთან ერთად მუდამ იცვლებოდა: ზოგჯერ ისინი ბედნიერნი, ზოგჯერ სერიოზულნი იყვნენ. მაგრამ კუთხეში მჯდარი მოსწავლე მსგავს რამეს არ განიცდიდა; მისი სახის გამომეტყველება არ იცვლებოდა. ის მხოლოდ ცრემლებს ღვრიდა.

ჩაიტანია ამ ყველაფერს აკვირდებოდა. მან ამ ადამიანს ჰკითხა:

„რატომ ტირი, როცა გიტას ასეთი სასიხარულო სახით განმარტავენ? რა არის შენი მწუხარების მიზეზი?“

ადამიანმა უპასუხა:

„სვამი, არ ვიცი, ვინ ხარ შენ. არ ვიცი სანსკრიტული ენა. არ შემიძლია ლექსების წარმოთქმა. რამდენადაც სანსკრიტული ენა არ ვიცი, არ მინდა ამ სტროფების არასწორად წარმოთქმა, რომ ასეთი სახით ცოდვა არ ჩავიდინო. ამიტომ გულში უბრალოდ წარმოვიდგენდი, გიტას როგორ ასწავლის კრიშნა არჯუნას, როგორ მიატრიალებს თავს უკან, არჯუნასკენ, რომელიც მის უკან იჯდა

ეტლში. იმიტომ ვტირი, რომ წარმოვიდგენ სურათს, დიდ ხანს როგორ უჭირავს თავი კრიშნას ამგვარად, რომ, უეჭველად, ძლიერ ტკივილს განიცდის იგი. არჯუნა რომ წინ მჯდარიყო, კრიშნა კი უკან, მაშინ უფალი ამას არ განიცდიდა. ამაზე ვფიქრობ, და გულისტკივილს განვიცდი. აი რატომ ვტირი".

ჩაიტანია მიხვდა, რომ ეს ადამიანი ჭეშმარიტი ერთგულია. მან კრიშნას მიმართ ისეთი ღრმა სიყვარული განიცადა და იმდენად გააიგივა თავი კრიშნასთან იმ ეპიზოდში, როცა *გიტას* ასწავლიდა კრიშნა არჯუნას, რომ ის თვით კრიშნას ნაწილი გახდა. ჩაიტანია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ასეთი გრძნობების განცდა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მხოლოდ *გიტადან* ლექსების მოსმენა და გამეორება .

ახლაც კი, როცა *გიტას* განმარტავენ, ზოგიერთი თქვენგანი მოწიწებით იწერს ყველაფერს რვეულში, იმ დროს როცა სხვები, *გიტას* წიგნით ხელში, ლექსების დამახსოვრებას ცდილობენ. მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ გარე ფორმაა, რომელიც ერთგულების ღრმა გრძნობას არ გამოიწვევს. თუ გინდათ, რომ თქვენი გულები ამ სწავლების არსით მთლიანად გაიმსჭვალოს, ჭეშმარიტად შინაგან განცდას უნდა ეძებდეთ. აკეთეთ ეს, გამოიყენეთ *გიტას* სწავლება პრაქტიკაში თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში; თუ *გიტას* ერთ-ერთ ლექსს მაინც გამოიყენებთ პრაქტიკაში, ეს საკმარისი იქნება. რა აზრი აქვს ასობით ლექსის ჩაწერას? თუ ამ წიგნის მთელი შინაარსით შეავსებთ თავს, თქვენი თავი კიდევ ერთი წიგნი გახდება. მნიშვნელოვანია ის, რაც თქვენი გულის წიგნში აღიბეჭდება. თუ ერთ-ერთი სწავლება მაინც აღიბეჭდა თქვენს გულში, ეს არის ის ყველაფერი, რაც საჭიროა. დაე თქვენი გული სიყვარულით განიმსჭვალოს – ეს საკმარისია. იმის ნაცვლად, რომ ერუდიციითა და წიგნობრივი ცოდნით შეავსოთ თავი, გაცილებით უკეთესია გული სიყვარულით შეავსოთ.

უმეცრება უნდა მთლიანად გააქარწყლოთ

კრიშნამ არჯუნას უთხრა:

„არავითარი აზრი არა აქვს შენს ტანჯვებსა და ტირილს, როცა მთელ შენს აზროვნებას სხეულებრივ მიბმულობებსა და ურთიერთობებზე ამყარებ. დაე შენი გონება თავის თავში წავიდეს; მაშინ იმ ყველაფრის გაგებას შეძლებ, რასაც მე გიხსნი. შენ სწუხხარ იმ ადამიანებზე, ვისზედაც წუხილი არ არის საჭირო. შენს თავს უმიზეზოდ ხდი უბედურს. არ უნდა იტანჯებოდე ასე. ყველა უბედურებას განიცდი, იმიტომ რომ შენი გული უმეცრებითაა სავსე.

სამუდამოდ განდევნე გულიდან ეს არცოდნა. როცა მასში უმეცრების კვალიც კი არ დარჩება, მხოლოდ მაშინ შეძლებ სიბრძნის გაგებას“.

არცოდნა ხანძრის მსგავსია. თუ ხანძარი თითქმის მთლიანად არის ჩამქრალი, გარდა რამდენიმე მბჟუტავი ნახშირისა, მაშინ ქარის დახმარებით ნახშირის ნაპერწკლები შეიძლება დიდ ხანძარში გადაიზარდოს. ამიტომ არ შეიძლება ხანძრის კვალის დატოვება. უმეცრება ასევე ავადმყოფობის მსგავსია. დავუშვათ, თქვენი ავადმყოფობა თითქმის მორჩენილია, დარჩა მხოლოდ პატარა კვალი. თუ საავადმყოფოდან დაბრუნების შემდეგ სწორ დიეტას დაარღვევთ, მაშინ ავადმყოფობა შეიძლება სწრაფად განვითარდეს და კვლავ დაგეუფლოთ. ავადმყოფობის აბსოლუტურად არავითარი კვალი არ უნდა დარჩეს.

უმეცრება ასევე შეიძლება შევადაროთ იმას, როცა ვალები გაქვთ: დავუშვათ თქვენი ვალები გაისტუმრეთ, დარჩა მხოლოდ პატარა სესხი, ათასი რუპია. მაგრამ თუ პროცენტებს დაგროვების საშუალებას მისცემთ, მაშინ რა მოხდება? ვალი კვლავ ზრდას დაიწყებს. ამიტომ ვალები მთლიანად უნდა დაფაროთ. ასეთივე სახით, თუ გულში დაფარული მიბმულობებისა და სურვილების ნარჩენები დაგრჩათ, თქვენი ტანჯვები ადვილად აინთება და აგიზგიზდება. აი კრიშნა რატომ აფრთხილებდა არჯუნას:

„თუ გულში სულ უმნიშვნელო მიბმულობასაც კი დატოვებ, მაშინ ის ყველაფერი, რასაც მე გასწავლი, უსარგებლო იქნება. მთლიანად უნდა მოსპო მიბმულობები, რომლებიც წლების განმავლობაში იკვებებოდნენ არცოდნით, და ბურავდნენ შენს გულს. ამაში რომ დაგეხმარო, სანჭია-იოგა უნდა გასწავლო“.

თავი *სანჭია-იოგაზე*, სიბრძნის გზაზე – მეორე თავი, - *გიტას* უაღრესად მნიშვნელოვანი ნაწილია. უნდა გაიგოთ განსხვავება *ატმასა* და *ანატმას* შორის, ჭეშმარიტ „**მე**“-სა და მცდარ „მე“-ს შორის, რომელიც ყველაფერ ამქვეყნიურთან ასოცირდება, და ადვილი იქნება *გიტას* ყველა სხვა თავის გაგება. ამიტომ უნდა გაარკვიოთ ამ თავის ყველა სტროფი და, თუ საჭიროა, ორი-სამი დღე გაატაროთ მათზე ყურადღების მოკრებით, რომ *სანჭია-იოგას* გაგება თქვენი გულის თვით ცენტრიდან მოდიოდეს.

ყოველი ლექსის ყოველი სიტყვა ამ თავში, დაწყებული კრიშნას სწავლებიდან, შეიძლება იშვიათ განძად ჩაითვალოს. მხოლოდ მაშინ შეძლებთ *გიტას* გაგებას, როცა *სანჭია-იოგას* ბუნებას მთლიანად გაიგებთ.

თავი მეჩვიდმეტე

დაეუფლეთ გრძნობებს, და მთელი სამყარო თქვენი იქნება

საითაც არ უნდა გაიხედოთ, იქნება ეს აქ, დედამიწაზე თუ ზეცაში ან დაბალ სამყაროებშიც კი, ის ყველაფერი, რისი პოვნაც იქ შეიძლება, ეს არის ხუთი ელემენტის კომბინაცია და მეტი არაფერი. მეტი არაფერი არსებობს. ის ყველაფერი, რისი ქონაც ოდესმე გინდოდათ, ის ყველაფერი, რაც ოდესმე გამოგიყენებიათ, ის ყველაფერი, რაც ოდესმე დაგიკარგავთ, - საგანთა ეს მირიადები სხვა არაფერია, თუ არა ხუთი ელემენტის გამჟღავნება.

სიყვარულის განხორციელებანო!

ყველაფერი სამყაროში – რაც ოდესმე შექმნილა, ის ყველაფერი, რაც როდისმე იქნება განზრახული, - გაკეთებულია ხუთი ელემენტის მკვრივი და ფაქიზი ასპექტებისგან, კერძოდ კი: ეთერის, ჰაერის, ცეცხლის, წყლისა და მიწის ასპექტებისგან. ამ ხუთი ელემენტის უთვალავი ვარიანტი დროთა განმავლობაში მუდამ იცვლება და შეიცვლება; ისინი წუთიერია, ისინი უსასრულოდ ასრულებენ გადასვლის ციკლებს ერთი სახელიდან და ფორმიდან მეორე სახელსა და ფორმაში.

საგანთა წარმავალი ბუნება

დღეს გაყვავებული ყვავილი ხვალ გახმება. ხვალ გამხმარი ყვავილი რამდენიმე დღის შემდეგ დალპება. დღეს მომზადებული საჭმელი მეორე დღეს გაფუჭდება. ერთი დღის შემდეგ იგივე საჭმელი შხამი გახდება. როგორც კი ის გაფუჭდება, შეუძლებელია მისი პირვანდელი სიქორფის დაბრუნება. დღევანდელი ლამაზი ფორმა ხვალ აუტანელი გახდება. ატომებიც კი, რომლებიც მატერიას შეადგენს მთვარეზე, დროთა განმავლობაში შეიძლება აქ, დედამიწაზე აღმოჩნდეს, ხოლო ატომები, რომლებიც მატერიას შეადგენს აქ, დედამიწაზე, შეიძლება მთვარეზე იქნას გაგზავნილი. შვიდ წელიწადში ერთხელ ადამიანის სხეულის შემადგენელი ატომები სრულ ცვლილებას განიცდის. მართლაც, სისულელე იქნებოდა გვეფიქრა, რომ ხუთი ელემენტისგან შედგენილი სხეული და გრძნობითი ორგანოები უცვლელია ან ამ ხუთი ელემენტისგან შედგენილ ნებისმიერ ობიექტს არაწარმავალი ღირებულება აქვს.

მხოლოდ გარე გრძნობებს შეიძლება სწყუროდეთ მსგავსი წარმავალი საგნები.

გიტა ხსნის, რომ ხუთი ელემენტისგან შედგენილი ეს ცვალებადი კომპლექსი, რომელსაც ჩვენ *სხეულს*, *გონებასა* და *გრძნობებს* ვუწოდებთ, შედგება 24 პრინციპისგან ან საწყისისგან. ეს არის ხუთი მკვრივი მატერიალური გრძნობითი ორგანო: ყური, კანი, თვალი, ენა და ცხვირი, რომლებსაც სანსკრიტულ ენაზე ჰქვია *კარმა-ინდრიები*; ისინი გრძნობის ობიექტებს მიეზიდებიან ფაქიზი გრძნობის ორგანოების მეშვეობით, რომლებსაც ჰქვია *ჯნანა-ინდრიები*; ესენია: სმენა, შეხება, მხედველობა, გემო და ყნოსვა. ფაქიზის გარეშე მკვრივი არ ფუნქციონირებს. მაგალითად, შეიძლება გქონდეთ თვალები, მაგრამ არ გქონდეთ მხედველობა, შეიძლება გქონდეთ ყურები, მაგრამ არ გქონდეთ სმენა, შეიძლება გქონდეთ ენა, მაგრამ არ გქონდეთ გემო.

24 მერყევი საწყისი

ინდრიების, მკვრივი და ფაქიზი გრძნობების გარდა, არსებობს ხუთი სასიცოცხლო ენერგია, ანუ გარსი, *კოშა*, რომლებიც სხეულის ფუნქციებს აცხოველებს. შეიძლება ისინი წარმოვიდგინოთ როგორც სხვადასხვა სხეულები, რომლებიც ერთმანეთს გამსჭვალავს სულ უფრო და უფრო ფაქიზი გზით, ყოველი მომდევნო გარსი წინამავალზე უფრო ფაქიზია. ყველაზე უფრო მკვრივი *საკვების გარსია*, რომელიც ფიზიკურ სხეულს შეადგენს; შემდეგ მოდის *ვიტალური (სასიცოცხლო) გარსი*, რომელიც დაკავშირებულია სიცოცხლის სუნთქვასთან და ფიზიკურ ენერგიასთან; შემდეგია *გონების გარსი*, რომელიც წარმოადგენს ფაქიზ სხეულს, დაბალ გონებასთან დაკავშირებულს; შემდეგ მოდის *ინტელექტის გარსი*, რომელიც კიდევ უფრო ფაქიზ სხეულს წარმოადგენს; იგი უფრო მაღალ გონებასთან და ინტუიციასთან ასოცირდება; უკანასკნელი გარსია *ნეტარების გარსი*, სხეულებს შორის ყველაზე ფაქიზი, რომელიც გონების ყველა ასპექტის ზღვრებს მიღმა იმყოფება; ამ გარსში რჩება მხოლოდ არცოდნის ფაქიზი ვუალი, რომელიც *ატმას* ფარავს.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ამ 5 პრინციპი-საწყისისა არსებობს ასევე 5 სასიცოცხლო ენერგია, ანუ *პრანა*. ისინი სხეულის ყველა ფუნქციას სიცოცხლისუნარიანობას აძლევს. ერთ-ერთი მათგანი დაკავშირებულია სუნთქვასთან, მეორე გაწმენდასთან, მესამე სისხლის მიმოქცევასთან, მეოთხე მონელებასთან და მეხუთე ზემო ნაკადთან, რომელიც უმაღლეს ცენტრებს აძლევს ენერგიას.

გარდა ამ ოცისა, არსებობს გონების 4 ასპექტი: დაბალი გონება, ანუ მოაზროვნე გონება, რომელსაც ჰქვია *მანასი*; ინტუიციური ინტელექტი, ანუ გარჩევის უნარი, რომელსაც ჰქვია *ბუდჰი*; საკუთარი

„მე“-ს გრძნობა, ანუ ეგო, რომელსაც ჰქვია *აჰამკარა*, და გრძნობებისა და მოგონებების ადგილსამყოფელი, რომელსაც ჰქვია *ჩიტა*. ყველა ერთად, *ატმას* ჩათვლით, რომელიც ამ ყველაფრის საფუძველს წარმოადგენს, შეადგენს რიცხვს 25.

უკვდავი არსი ეფემერული ინდივიდუალობის ზღვრებს მიღმაა

სანქჰიას – სიბრძნის სწავლებას – ამ განსხვავებულ პრინციპებთან აქვს საქმე, რომლებიც ინდივიდუალურ არსს შეადგენს. ამ თავს ჰქვია *სანქჰია-იოგა*, იმიტომ რომ იგი *ატმას* გაცნობიერებაში გვეხმარება; *ატმა* ერთადერთ რეალობას წარმოადგენს, რომელიც სხეულის ყველა ამ 24 პრინციპში დევს. ეს პრინციპები სინამდვილეში მხოლოდ თქვენი არცოდნის გამოვლინებაა. სწორედ ეს 24 პრინციპი შეადგენს ილუზიას, რომელიც გაიძულებთ, რომ ცალკეულ არსებად გეჩვენებოდეთ თქვენი თავი. თუ თქვენი ცხოვრების ხარჯვას გააგრძელებთ ისე, რომ მხოლოდ ამ 24 პრინციპის იმედზე იქნებით, რომლებიც მუდამ იცვლება, მაშინ როდის უნდა მიაღწიოთ მარადიულ ნეტარებას, რომელიც თქვენს ჭეშმარიტ ბუნებას წარმოადგენს, და რომელზეც არავითარი სახით არ ზემოქმედებს ის ყველაფერი, რაც წარმავალია?

სიხარული, რომელსაც დღეს განიცდით, მოგვიანებით მხოლოდ მწუხარებას მოგიტანთ. ნებისმიერი სიხარული მოდის და მიდის; იგი ცვალებადია. კრიშნა გადაწყვეტით უსვამდა ხაზს, რომ არ უნდა ეყრდნობოდეთ გრძნობის ორგანოებს, რომ მათ ჩიხში არ შეგიყვანოთ. როგორი განათლებულიც არ უნდა იყოთ, რა თანამდებობას და მდგომარეობასაც არ უნდა იკავებდეთ, თუ გრძნობებზე კონტროლს ვერ დაამყარებთ, ვერ მიაღწევთ სულიერ სიმშვიდეს. მხოლოდ გრძნობის ორგანოების კონტროლის მეშვეობით შეძლებთ მიაღწიოთ შინაგან სიმშვიდეს. შეიძლება ფიქრობდეთ, რომ ეს თქვენთვის ძალიან ძნელი ამოცანაა – ისწავლოთ გრძნობის ორგანოებზე კონტროლი, მაგრამ თავში *სანქჰია-იოგაზე* კრიშნა მთელ რიგ ხერხებს გასწავლით, რომლებიც წარმატებას მოგიტანთ გრძნობის ორგანოების დაუფლებაში.

კეთილშობილი ბუნების ადამიანები და დაბალი ბუნების ადამიანები

კრიშნამ თქვა, რომ ადამიანთა ორი ტიპი არსებობს: *არიელები* და *არაარიელები* (ბრაჰმული კულტურისა და მის გარეშე ადამიანები). *არიელები* არიან ისინი, რომლებიც მართლქმედების გზას, წმინდა გზას, კეთილშობილ გზას მიჰყვებიან. ისინი დიად ადამიანებთან

ურთიერთობებს ეძებენ და მათ სწავლებას ატარებენ ცხოვრებაში; შედეგად ისინი დიად სულიერ პრინციპებს ცდიან პრაქტიკაში და შინაგანი სულიერი ცხოვრებით ტკბებიან. მათ საპირისპიროდ არსებობენ ისინი, რომლებიც არამართლქმედითი აზრებით არიან აღვსილი, მათ გულები უსუფთაოა, ისინი უმეცრებით არიან მოჯადოებულნი და არამართლქმედით ცხოვრებას ეწევიან. ესენი *არაარიელები* არიან. შეიძლება ითქვას, რომ მათი მანკიერი ქცევა პირდაპირ საპირისპიროა *არიელების* სწორი ქცევისა ისევე, როგორც სიბნელე სინათლის საპირისპიროა. ამიტომ ეს ორი კატეგორია შეიძლება აღვწეროთ როგორც მოქმედება ღმერთებისა და დემონებისა, სინათლის არსებების და სიბნელის არსებებისა.

კრიშნამ თქვა:

„არჯუნა, აქამდე არიელად გთვლიდი, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ არასწორ გზაზე დგები. სიბნელე გშთანთქავს; შენ არამართლქმედებას მიჰყვები. აღარ უნდა ჩაითვალო არიელად, შენი მოქმედებები ამტკიცებს, რომ არაარიელი ხდები“.

კრიშნა ასეთი სახით შეაგონებდა არჯუნას, იმისათვის რომ მისი ძალისხმევა გმირული მოქმედებებისკენ მიემართა, - რომ ის *არიელად* დარჩენილიყო. კრიშნამ უთხრა მას:

„შენი ამჟამინდელი ტანჯვის მთავარ მიზეზს წარმოადგენს მიბმულობები, ხოლო მიბმულობათა საფუძველს – არცოდნა. არცოდნის გამო გრძნობის ორგანოებს იმის ნებას აძლევ, რომ შენი მოქმედებები მართონ მათ. თუ მიბმულობებისა და ტანჯვებისგან გათავისუფლება გინდა, გრძნობები უნდა აკონტროლო. ნათლად უნდა გაიგო გრძნობის ორგანოთა ბუნება. გრძნობის ორგანოები მნიშვნელოვანია ცხოვრებაში მოგზაურობის დროს; იგი შენი ეტლის ცხენების მსგავსია, რომლებსაც შეუძლიათ მიზანთან მიგიყვანონ. თუ ცხენები და ეტლი ადამიანის სრულ კონტროლქვეშ არიან, მაშინ მგზავრი უსაფრთხოდ იქნება. თუ ისინი უკონტროლოა, მაშინ ეტლი და მასში მყოფი გარდაუვალად უბედურებაში ჩავარდება. ამიტომ, თუ გინდა, რომ მშვიდობიანად მიაღწიო მიზანს, სრულ კონტროლზე აიყვანე ეს ცხენები, ანუ გრძნობის ორგანოები“.

გრძნობის ორგანოთა ბუნება

კრიშნამ გრძნობის ორგანოებს ახალი დასახელება მისცა. *მატრაჰა* დაარქვა მათ, რაც ნიშნავს: „ის, რაც ზომავს“. რას ნიშნავს, როცა ამბობენ, რომ გრძნობის ორგანოებს გაზომვის უნარი აქვთ? მაგალითად, რა ზომავს და არკვევს, რამდენად მწარეა ან ტკბილია საჭმელი? ენა ზომავს ამას და წყვეტს, რა გემო აქვს საჭმელს: ტკბილია ის თუ მწარე. ან, მაგალითად, შეიძლება აღვწეროთ

გარკვეული ადამიანის სახე, და ვთქვათ, რომ მისი ყველა ნაკვთი ნორმალურია, გარდა გრძელი ცხვირისა. რა არის ის, რაც ცხვირის სიგრძეს ზომავს? თქვენი თვალები. ასეთივე სახით თქვენი ყურები წყვეტენ, მელოდიურია მუსიკა თუ არა. ანუ გრძნობის ყველა ორგანო სხვადასხვა თვისებას ზომავს. არის სიტყვა „*მატრაჰას*“ კიდევ ერთი მნიშვნელობა: იგი ნიშნავს „განსაზღვრულს“. როგორ მიეყენება ეს „განსაზღვრულობა“ თქვენს გრძნობის ორგანოებს? ღმერთმა ცხვირი იმისათვის მოგცათ, რომ მას იყენებდეთ ყნოსვისთვისა და სუნთქვისთვის. ცხვირი იმისთვის უნდა გამოიყენოთ, რისთვისაც ის იქნა შექმნილი და კმაყოფილი იყოთ მით. თუ მას სწორად, დანიშნულების მიხედვით გამოიყენებთ, ე.ი. უფლის მითითებებს ემორჩილებით.

როდესაც თვალყურს ადევნებთ იმას, რომ სწორად იქცეოდეთ, და უფლის მითითებებს ემორჩილებოდეთ, თქვენ კარგ შედეგებს აღწევთ. თუ იმის ნაცვლად, რომ ცხვირს სუნთქვისთვისა და სასიამოვნო სუნის ყნოსვისთვის იყენებდეთ, თამბაქოს შესუნთქვისთვის გამოიყენებთ, მაშინ მას დანიშნულების მიხედვით არ იყენებთ, ანუ არ ემორჩილებით უფლის მითითებებს. რაც შეეხება ენას, უფალი თავაზიანად შეგახსენებთ:

„შვილო ჩემო, ალერსიანად გამოიყენე ენა, რომ გული არ ატკინო სხვებს. იხმარე ის სიტყვები, რომლებიც მათ გაახარებს“.

არის ენის სხვა ფუნქციაც, რომელზეც ასევე უნდა იზრუნოთ. გამოიყენეთ ენა ჯანსაღი *საკვიური* საჭმლის მიღებისთვის: მიიღეთ საკვები, რომელიც ვიტამინებითა და პროტეინით არის სავსე. მეორე მხრივ, როცა ენას და გემოს გრძნობას იყენებთ სიგარეტის წევისთვის, ალკოჰოლის სმისთვის, ხორცის ჭამისთვის და ა.შ., ამით თქვენ ბოროტად იყენებთ ენას და უფლის მითითებებს არ მიჰყვებით. ანუ საჭიროა გრძნობის ორგანოებს უფლის მიერ მითითებული გარკვეული მიზნებისთვის იყენებდეთ; მაშინ მათ იმ მიზნით გამოიყენებთ, რის გულისთვისაც ეს ინსტრუმენტები მოგეცათ. ასეთი სახით რეგულირებული ქცევა დაგეხმარებათ იმაში, რომ თქვენი ცხოვრების მიზანს მიაღწიოთ.

როდესაც გრძნობის ორგანოები გრძნობის ობიექტებთან კონტაქტში შედიან, ისინი სხვადასხვა თვისებებს ზომავენ. მაგალითად, შეგრძნების გრძნობას ისეთი თვისებების გაზომვა შეუძლიათ, როგორიცაა სიცხე და სიცივე; ამის შედეგად სიხარულს ან მწუხარებას განიცდით. როცა უბრალოდ გაქვთ გრძნობის ორგანოები, არ იღებთ არც სიხარულს, არც მწუხარებას; მხოლოდ მაშინ განიცდით მათ, როცა გრძნობის ორგანოები გრძნობის ობიექტებთან შედიან კონტაქტში. თქვენ ახლა აქ ხართ, და ეს ნიშნავს,

რომ თქვენი ყურებიც აქ არის თქვენთან. დავუშვათ, რომ თქვენთან სოფელში რაღაც მოხდა: იქნება ეს რაღაც ცუდი თუ კარგი, არ განიცდით არც ბედნიერებას, არც მწუხარებას, არც სიხარულს, არც სევდას იმ დრომდე, სანამ თქვენი ყურები ახალ ამბებს არ მოისმენენ. მაგრამ აი ისმის ტელეფონის ზარი, და იტყობთ იმის შესახებ, რაც სოფელში მოხდა. თუ ეს კარგი ამბავია, სიხარულს გრძნობთ; თუ ეს ცუდი ამბავია, მაშინ სევდას გრძნობთ. სიხარულს ან მწუხარებას მხოლოდ მაშინ განიცდით, როცა გრძნობის ორგანოები გრძნობის ობიექტებთან კონტაქტში შედიან.

გრძნობები იმას ანადგურებს, ვინც მათით არის შებოჭილი

სამყაროში უთვალავი რაოდენობის ობიექტი არსებობს, მაგრამ თვალყური უნდა გეჭიროთ, რომ თქვენი გრძნობის ორგანოები ობიექტების მეტისმეტ რაოდენობასთან კონტაქტში არ შედიოდნენ. ეს ყველაფერი წარმავალია. თუ რაღაც წვრილმანი გიტაცებთ, მაშინ მთელი თქვენი ცხოვრება წვრილმანი და უსუფთაო ხდება. ამას შეიძლება ვაკვირდებოდეთ მთელ რიგ ცოცხალ არსებებში, რომლებიც ერთი ან ორი გრძნობის ორგანოს მსხვერპლნი გახდნენ. მაგალითად, როცა ირემს მელოდიური მუსიკა ესმის, ეს უკანასკნელი აჯადოებს მას, და მისი დაჭერა ადვილია. ამიტომ ირემი ხმით არის შებოჭილი. უზარმაზარი სპილო შეიძლება შეხებით ვაკონტროლოთ – მას შეხება ბოჭავს. ასეთი სახით სხვადასხვა გრძნობის ორგანოთი მთელ რიგ ცხოველთა შებოჭვა და კონტროლირება შეიძლება. მაგალითისთვის ავიღოთ ფარვანა: იგი სინათლეს ხედავს, სინათლე მას იზიდავს, ბოჭავს, მას შეუძლია გაანადუროს ის. ასეთივე სახით თევზი სატყუარას ყლაპავს, და აი ის დაჭერილია, რადგან გემოთია მიზიდული. ფუტკარი კი ყვავილში შედის, ყნოსვით არის მიზიდული, და თუ ყვავილი ფურცლებს დახურავს, ფუტკარი შეიძლება მთელი ღამით იქნას დაჭერილი.

ყოველი ეს არსება ერთ-ერთი გრძნობის ორგანოთია შებოჭილი; მაგრამ ადამიანი ხუთივეთია შებოჭილი, იგი ყველა ამ ცხოველზე დაბლაც კია. აი პატარა მოთხრობა.

ერთხელ დაქშინა მურთჰი ქვეყანაში სამოგზაუროდ გაემართა. იგი ყოველ ხუთ სტიქიას თავის *გურუდ* თვლიდა. როდესაც ოკეანის ნაპირას მოხვდა, იგი ოკეანის ტალღებითა და სხვადასხვა სილამაზეებით ტკბებოდა. სანამ ამ ყველაფერს აკვირდებოდა, ტალღა მოვარდა და ნაპირზე ნაგავი გამოიტანა. მან შენიშნა, რომ როგორც კი ნაგავი ოკეანეში ხვდება, ტალღებს ის უკან ნაპირზე გამოაქვს. დაქშინა მურთჰიმ გაიფიქრა:

„ოკეანე ასეთი ღრმა და უზარმაზარია. რა საჭიროა, რომ ნაგვის პატარა ნაჭერს ნაპირზე აგდებდეს? ნუთუ არ შეუძლია შეისრუტოს, შემდეგ კი გადაყლაპოს ეს ნაგავი?“

ის მედიტაციაში შევიდა. მედიტაციაში მიხვდა, რომ ოკეანეს რომ მასში მოხვედრილი ნაგვისთვის მის წყლებში დარჩენის უფლება მიეცა, ის ყოველდღიურად დაგროვდებოდა, და დროთა განმავლობაში მთელ ოკეანეს გადაფარვდა და გააჭუჭყიანებდა. მან გადაწყვიტა, რომ ოკეანე, ალბათ, თავიდანვე არავითარ ნაგავს, ტალახს ან უსუფთაობას მასში შესვლის ნებას არ აძლევდა; ასეთი სახით შეძლო მან, რომ სუფთა დარჩენილიყო.

ზუსტად ასევე თავიდანვე უნდა თვალყური გეჭიროთ, რომ არამართლქმედითი აზრები და იდეები, სულ ცოტაც კი, არ აღწევდნენ გონებაში. იმის ნებას არ უნდა აძლევდეთ სულ პატარა უსუფთაობასაც კი, რომ მან გულში შეაღწიოს. სანამ უსუფთაობა დამკვიდრებას შეძლებს, მაშინვე უნდა გადააგდოთ ის თავიდან. თუ მას ადგილს გამოუყოფთ, იფიქრებთ, რომ ბოლოს და ბოლოს ეს რაღაც ძალიან უმნიშვნელოა და ამიტომ თქვენთვის რაიმე შესამჩნევი ზიანის მიყენება არ შეუძლია, იგი თქვენს გულში ზრდას დაიწყებს. ამიტომ, თუ გაიგებთ, როგორ ფუნქციონირებენ გრძნობის ორგანოები და მათ სწორად გამოყენებას ისწავლით, მათგან სარგებლის მიღებას შეძლებთ, და ისინი არ შეგაწუხებენ. როდესაც გრძნობის ყველა ორგანოთი ხართ შებოჭილი, არ შეგიძლიათ მიიღოთ არც სიხარული, არც სულის სიმშვიდე. აი ამის საილუსტრაციო პატარა ისტორია.

მეფე, რომელსაც ხუთი ცოლი მართავდა

ოდესღაც ცხოვრობდა მეფე, რომელსაც ხუთი ცოლი ჰყავდა, მაგრამ ისინი არასოდეს უგონებდნენ მას. იგი მეფე იყო დანარჩენებისთვის, მაგრამ ცოლებისთვის არ იყო ბატონი. და ამიტომ ის ძალიან წუხდა. მას თავზე გვირგვინი ჰქონდა, თავში კი მღელვარება.

„ცოლების მონა გავხდი; ძალიან ვიტანჯები, - ფიქრობდა ის. – ამქვეყნად არის თუ არა ვინმე, ვისაც ცოლის არ ეშინია? თუ ასეთი ადამიანი არსებობს, მაშინ როგორ აკონტროლებს იგი ცოლს? როგორ ახერხებს, რომ მასზე ცოლის ბატონობას გაექცეს“.

უშუალოდ ყოველი მცხოვრებისთვის ამის შეკითხვა არასწორი იქნებოდა. ამიტომ მან საჯარო კრების ორგანიზება და ყველა ქვეშევრდომი მამაკაცის მოწვევა გადაწყვიტა. კრების ადგილას სტადიონის ზომის ორი გიგანტური ტენტი გაჭიმეს: პირველი მოწყობილი იყო მინდვრის ერთ ბოლოში, მეორე კი მეორე ბოლოში.

მეფემ გამოაცხადა, რომ პირველი ტენტი იმ ადამიანებისთვისაა, რომლებიც თავიანთ ცოლებს აკონტროლებენ, მეორე კი განკუთვნილია იმათთვის, ვისაც ცოლები აკონტროლებენ. იმ ქვეყნის დიდი რაოდენობის მამაკაცმა იწყო მოსვლა სატახტო ქალაქში; ყველა მეორე ტენტში მიდიოდა. მეფემ დაინახა, რომ უზარმაზარი ტენტი, რომელიც იმათთვის იყო განკუთვნილი, ვისაც ცოლები აკონტროლებენ, შევსილი იყო. ამან იგი ოდნავ გაამხნევა, იმიტომ რომ მან გაიგო, რომ არ იყო ის ეღთადერთი ადამიანი, ვისაც ცოლი აკონტროლებს. მაგრამ სანამ კრებას გახსნიდა, შენიშნა ერთადერთი მამაკაცი, რომელიც პირველ ტენტში იცდიდა. ეს ტენტი იმათთვის იყო განკუთვნილი, რომლებიც ცოლებს აკონტროლებენ. ეს გიგანტური ტენტი სრულიად ცარიელი იყო, თუ არ ჩავთვლით იმ ერთ ადამიანს. მეფეს ძალიან გაუხარდა, როცა იქ ადამიანი დაინახა. მივიდა მასთან და უთხრა, როგორი მოხარული იყო, როცა დაინახა ერთი ადამიანი მაინც, რომელიც ცოლს აკონტროლებდა.

მეფემ მას ასეთი შეკითხვა დაუსვა:

„მითხარი, თუ შეიძლება, რა არის შენ მიერ ცოლის კონტროლირების საიდუმლო?“

ამ ადამიანმა, რომელიც შიშის გამო კანკალებდა, უპასუხა:

„არა, სერ, ასე არ არის. არ ვაკონტროლებ ცოლს. ის მაკონტროლებს მთლიანად“.

მეფემ ჰკითხა:

„მაშინ ამ ტენტში რატომ მოხვედი?“

ადამიანმა უპასუხა:

„ცოლმა მიბრძანა, რომ ამ ტენტში მოვსულიყავი, და არა მეორეში: აი რატომ ვარ აქ. ცოლმა დაწვრილებით ამიხსნა, რომ იმ ტენტში კი არ შევსულიყავი, რომელიც ცოლთა მონებისთვის დაიდგა, არამედ მოვსულიყავი აქ“.

მეფე ძალიან გაუბრაზდა ამ ადამიანს. მან უბრძანა:

„დაუყოვნებლივ წადი აქედან! არ გაბედო აქ დარჩენა! წადი და იმ ხალხს შეუერთდი, რომელიც მეორე ტენტში ზის!“

ქვეშევრდომმა შიშისგან ფერი დაკარგა: იგი მუხლებზე დაეცა, პატივისცემის ნიშნად მან ხელის გულები ერთმანეთზე მიაწყო და მაჰარაჯას ვედრება დაუწყო:

„მეფეო! მომისმინე! შეგიძლია დამსაჯო! რაც გინდა, ის მიყავი, მაგრამ ცოლისთვის არგაგონებას და მეორე ტენტში წასვლას ვერ გავბედავ“.

მაშინ მეფე მიხვდა, რომ მის სამეფოში არ იყო არც ერთი ადამიანი, ცოლის მონა რომ არ ყოფილიყო.

გონება თავის ხუთ ცოლთან-გრძნობასთან ერთად

ეს მეფე ჩვენი გონებაა, და მას არასოდეს შეუძლია თავისი ცოლების დაკმაყოფილება, კერძოდ კი, გრძნობებისა. თვალები ითხოვენ: *„წამიყვანე იქ, სადაც საუკეთესოს დანახვა შეიძლება“.* ენა მოითხოვს, რომ მას ყველაზე უფრო გემრიელი საჭმელი მიეცეს. ყური ბრძანებს, რომ მისთვის ყველაზე უფრო მელოდიური ხმები დაუკრან. კანს სურს, რომ ყველაზე უფრო სასიამოვნო შეხებას გრძნობდეს, ცხვირს კი უნდა, რომ ამქვეყნად საუკეთესო სუნამოს სუნს გრძნობდეს. ვის შეუძლია გრძნობების ყველა ამ სურვილის დაკმაყოფილება? მათ შორის არ არის არც კოორდინაცია, არც თანამშრომლობა. თუ გრძნობის ორგანოებს დაუთმობთ, ისინი უბედურებებს მოგიტანთ. თავიდანვე უნდა იპოვოთ ხერხი, რომ ისინი მთლიანად კონტროლქვეშ აიყვანოთ. მაშინ რაღაც მართლაც ღირებულს მიაღწევთ. ამქვეყნად ნამდვილი გმირი ის არის, ვინც გრძნობების სრულად დამორჩილება შეძლო.

როდესაც გრძნობის ორგანოები თავის მოთხოვნებს წამოაყენებენ, არ უნდა უსმენდეთ მათ. ამის ნაცვლად თქვენი გონება ინტელექტს უნდა დაუკავშირდეს. მაშინ, რასაც ინტელექტი გადაწყვეტს, გონება იმას უბრძანებს, და გრძნობის ორგანოები იძულებულნი იქნებიან, რომ დამორჩილდნენ. აი სწორი გზა გრძნობების ალაგმვისთვის. ადამიანი, რომელიც თავის ცხოვრებას დაბალ გონებაზე ამყარებს, დაიღუპება, იგი ცხოველზე უარესი გახდება. ბრძენი ადამიანი თავის ცხოვრებას ამყარებს უმაღლეს გონებაზე, თავის ინტელექტზე, გარჩევის უნარზე და ინტუიციაზე, ანუ *ბუდჰიზე.* ვინც *ბუდჰის* მიჰყვება, ის სიმაღლეებს მიაღწევს. თუ თქვენს ცხოვრებას *ბუდჰიზე* დაამყარებთ, მაშინ ეს პირდაპირი გზით საბოლოო მიზანთან მიგიყვანთ. მაგრამ თუ ცხოვრებას მხოლოდ გონებაზე ამყარებთ, მაშინ ყოველ მომენტში ახალი ცვლილებები გამოგიჩნდებათ, და ძნელი იქნება წინასწარ იმის თქმა, რა დაგემართებათ და სად აღმოჩნდებით. ეს იგივეა, რომ აღელვებულ მდინარეს ან შტორმულ ზღვას პატარა ნავით კვეთდეთ: არ იცით, როდის დაგატყდებათ თავს უბედურება.

აკონტროლეთ გრძნობები,
და ფხიზლად იყავით

ოდესღაც ძველ ინდოეთში ცხოვრობდა დიადი წმინდანი სახელად ჰაზრატ მუჰამედი. იგი მაღალი ზნეობის ჭეშმარიტი ბრძენი იყო, სრულად ფლობდა თავის გრძნობებს. ერთხელ ცნობილი გახდა, რომ მისი აღსასრული ახლოსაა; მის სარეცელთან ერთგულებმა მოიყარეს თავი. იგი ყელში ძლიერი ტკივილით იტანჯებოდა და უდიდეს ძალისხმევას იჩენდა, რომ დაეძლია ის. ისე ჩანდა, რომ რაღაცის თქმა

უნდოდა, მაგრამ არ შეეძლო. ერთგულებს ძალიან უნდოდათ გაერკვიათ, როგორი გზის დალოცვა უნდა მასწავლებელს დაუტოვოს მათ აღსასრულის წინ, უნდოდათ რაიმეთი დახმარებოდნენ. ისინი შეევედრნენ:

„სვამი, რაღაცის თქმა გინდა ჩვენთვის, თუ შეიძლება, გვითხარი“.

მაშინ მუჰამედმა უკანასკნელი ძალები მოიკრიბა და თქვა:

„ჩემო ძვირფასო შვილებო, მთელ ამ დროს მაია, ილუზიის ძალა, მომყვებოდა. მაიამ მითხრა: „ყველანი ჩემს მონებს წარმოადგენენ; არავის გამოსდიოდა ჩემგან გათავისუფლება; მაგრამ შენ როგორღაც შეძელი ჩემი დამარცხება“. მაშინ მე ვუპასუხე: „მაია, თუ შეიძლება, ნუ აცხადებ, რომ მთლიანად დაგამარცხე, სანამ ჩემში ჯერ კიდევ არის სიცოცხლე, სანამ მკერდში ჯერ კიდევ ცოტა სუნთქვა დარჩა. ბოლო ამოსუნთქვამდე ძნელია იმის დაჯერება, რომ დამარცხებული ხარ“. ჩემო ძვირფასო შვილებო, აქამდე მაია ჩემ მიერ იყო დამორჩილებული, მაგრამ არ ვიცი, შევძლებ თუ არა ამაში წარმატებას ბოლო ამოსუნთქვამდე. ამ ბოლო წუთებში, მაიასგან რომ გავთავისუფლდე, განუწყვეტლივ მხოლოდ ღმერთზე ვფიქრობ და მთელი გულით ვევედრები“.

ამის შემდეგ დადუმდა და ასე დაასრულა სიცოცხლე.

როგორც ეს ისტორია გვიჩვენებს, ბოლო ამოსუნთქვამდე უნდა ფრთხილად იყოთ, რომ გრძნობის ორგანოებს არ აყვეთ. *ატმა* რომ მოიპოვოთ, გამოვლენილი გრძნობები უნდა აკონტროლოთ; ამიტომ გრძნობებზე კონტროლი განუყოფელი ნაწილია სიბრძნის გზისა, *სანქჰია-იოგასი*, რომელსაც კრიშნა ასწავლიდა. როგორც კი გრძნობების სრულ კონტროლს ისწავლით, ადვილად დაეუფლებით *ბჰაქთი-იოგას*, *კარმა-იოგას*, *ჯნანა-იოგას* და ყველა სხვა *იოგას*.

თავიდან შეიძლება რაღაც სიძნელეები შეგხვდეთ. როდესაც მანქანის ტარებას სწავლობთ, თავიდან გაშლილ მინდორზე უნდა გაიაროთ პრაქტიკა. მხოლოდ მას შემდეგ, როცა მანქანის კონტროლს ისწავლით და ტარების ხელოვნებას დაეუფლებით, შეძლებთ მანქანით სვლას ქალაქის მთავარ ქუჩებში და ვიწრო შესახვევებში. თუ მანამდე ცდით მანქანის ტარებას ქალაქის მთავარ ქუჩებში, მაშინ ეს არა მარტო ძნელი, არამედ სახიფათოც იქნება. ასეთივე სახით, როგორც კი გრძნობებს დაეუფლებით, მათი მიმზიდველი ძალა თქვენზე ვეღარ იმოქმედებს, და შეგიძლიათ ნებისმიერ სიტუაციას მღელვარებისა და პრობლემების გარეშე პირისპირ შეხვდეთ.

გრძნობების დამარცხება თავისი თავისთვის შეკითხვის მეშვეობით

გრძნობებს რომ დაეუფლოთ, ამისათვის საგნებზე ფართო ხედვა უნდა განავითაროთ. განიმსჭვალეთ კვლევის სულისკვეთებით და გააცნობიერეთ, რა არის *ატმა* და რა არის *ანატმა*. როდესაც გარჩევის უნარს განავითარებთ, უსაფრთხოდ მოძრაობას შეძლებთ ამქვეყნად, და ამავე დროს მტკიცედ გეჭირებათ მიზანი მხედველობის არეში.

მუდამ ცვალებადი გრძნობები ვერასოდეს მოგცემთ მარადიულ სიხარულს. როდესაც *ატმას* ცოდნას მიაღწევთ, ჭეშმარიტ სიხარულს განიცდით. ყველა სხვა ცოდნას, რომელსაც განათლება იძლევა, მხოლოდ ცხოვრებისთვის ფულის გამომუშავებაში დაგეხმარებათ. მხოლოდ *ატმას* ცოდნაა ჭეშმარიტი განათლება. ამ ცოდნით შეძლებთ ცოცხალ არსებათა ერთიანობით ტკბობას. როგორც კი თქვენს თავს გააიგივებთ ღვთაებასთან, რომელიც არის ყველაფერი, აღარ იარსებებს სხვადასხვაობა, რომელიც განსხვავების გრძნობიდან ჩნდება. როდესაც განიცდით, რომ ყველაფერი არის *ვასუდევა*, რომ მთელი სამყარო სხვა არაფერია, თუ არა ღმერთი, გარჩევის კეთების ჩვეულებასაც კი გადააგდებთ, - რადგან როდესაც ყველაფერს ხედავთ როგორც ***ერთს***, გარჩევის კითხვა არ ჩნდება.

როგორც *სვამიმ* წინათ ახსენა, გრძნობის ორგანოები შეიძლება ძალიან სახიფათო იყოს; ისინი ველურ ცხენებს ჰგვანან. თუ მათი ალაგმვისათვის სადავეებს არ ვიხმართ, ისინი ეტლს იქითკენ გააქანებენ, საითკენაც მოინდომებენ. გონების დახმარებით მიმართეთ გრძნობები. დაე თქვენი გემო, ყნოსვა, მხედველობა, სმენა, შეხება – გრძნობის აღქმები – თქვენ კონტროლქვეშ იყოს. *სვამის* არაერთხელ უთქვამს თქვენთვის, რომ არ უყუროთ და არ უსმინოთ მეტისმეტად ბევრს. როდესაც რაღაცას ხედავთ ან ისმენთ, მაშინ იწყებთ ამაზე ფიქრს. ხოლო როდესაც ამაზე ფიქრს იწყებთ, ამაზე მიბმულობა ვითარდება თქვენში, და გინდათ, რომ ამას ფლობდეთ. როგორც კი რაიმე ნივთზე ლაპარაკს იწყებთ, მის ფორმაზე ფიქრობთ. ამიტომ როგორიც არ უნდა იყოს ობიექტი, პირველი, რაზეც უნდა ჰკითხოთ თქვენს თავს, ეს არის: *„არის თუ არა მასში რაიმე დეფექტი ან ნაკლი?“* როცა დეფექტს იპოვით, თქვენში არ განვითარდება ამ ნივთზე მიბმულობა. თუ გინდათ, რომ ღმერთს მიაღწიოთ, უნდა გათავისუფლდეთ დეფექტური მხედველობისგან, დეფექტური შეხებისგან, დეფექტური მეტყველებისგან, დეფექტური სმენისგან.

ენის კონტროლი პირველი ნაბიჯია გრძნობებზე კონტროლისკენ

სულიერი პრაქტიკა ენის კონტროლით იწყება. ამის მიზეზი ის არის, რომ ენა ორ ფუნქციას ასრულებს. თვალებს მხოლოდ ერთი უნარი აქვთ – ხედავდნენ. ყურებსაც ერთი უნარი აქვთ – ისმენდნენ; ცხვირსაც ერთი უნარი აქვს – ყნოსავდეს. მაგრამ ენას ორი უნარი აქვს: მას შეუძლია ლაპარაკი და გემოს შეგრძნება. ამიტომ განსაკუთრებული ძალისხმევის გამოჩენაა საჭირო იმისათვის, რომ ის აკონტროლოთ. არავითარი ნება არა გაქვთ, რომ სხვები აკრიტიკოთ, ცუდად ფიქრობდეთ სხვებზე; უკეთესია თქვენს ნაკლოვანებებზე ფიქრობდეთ. სიკეთე დაინახეთ სხვებში და ცუდი მოსპეთ თქვენში. თუ ჯერ კიდევ არ გაგივითარებიათ თქვენი საკუთარი „**მე**“-ს გამოკვლევის უნარი, მაშინ როგორ უნდა ფიქრობდეთ, რომ სხვების საქმეებში ჩარევის უნარი გაქვთ? მანამდე თქვენი ცხოვრების განხორციელებას მიაღწიეთ. მხოლოდ მაშინ შეძლებთ ინსტრუმენტი გახდეთ სხვების გადარჩენისთვის, როცა თქვენს თავს გადაარჩენთ. ამიტომ არ უნდა ხმარობდეთ ცუდ სიტყვებს, არ უნდა უყურებდეთ ცუდად სხვებს ან ცუდი აზრები გქონდეთ სხვა ვინმეს მიმართ. მხოლოდ კარგ ფიქრებში ატარეთ დრო, უსმინეთ კარგს და ისაუბრეთ კარგზე.

იმისათვის, რომ თვითკონტროლზე ივარჯიშოთ, საჭიროა ზოგიერთი სულიერი ვარჯიში შეასრულოთ. გრძნობებზე კონტროლის მისაღწევად საჭიროა არამიბმულობის მუდმივი პრაქტიკა. როდესაც გაიგებთ, რომ ყველაფერი წუთიერია, მაშინ შეძლებთ, რომ კონტროლის ქვეშ გყავდეთ გრძნობის ორგანოები და არამიბმულობა განავითაროთ. თქვენ ხართ *არიელები*, და არა ბარბაროსები (*არაარიელები*). სიკეთის გზას დაადექით და შინაგანი სიწმინდე განივითარეთ. როდესაც სიბრძნის შუქს შეიძენთ, რომელიც ჩაუქრობელი იქნება თქვენში, სხვების დახმარებას შეძლებთ კარგი აზრებით, ცხოვრებაზე კარგი შეხედულებით და კარგი რჩევით. ისინი, რომლებიც ასე იქცევიან, ჭეშმარიტად ღმერთები არიან. ისინი, რომლებიც საპირისპირო თვისებებს ამჟღავნებენ, დემონები არიან. დემონები მხოლოდ სიბნელეს ეძებენ. უარი თქვით სიბნელეზე და სინათლით შეავსეთ თქვენი თავი. თუ სინათლის გზას აირჩევთ, მაშინ, როგორი წარსულიც არ უნდა გქონდეთ, უფალი კი არ უკუგაგდებთ, არამედ თავისი წყალობით აგავსებთ.

დემონთა უწმინდური მეფის კეთილი ძმა

ვიბჰიშანა, დემონთა მბრძანებლის ძმა, რამას ჩაბარდა და ფეხებში ჩაუვარდა. ამის შემხედვარე სუგრივამ, არმიის გენერალისიმუსმა, რომელიც რამას მხარეზე იბრძოდა, რამა გააფრთხილა:

„ის რავანას ძმაა. იგი დემონია. მას სიბნელე უყვარს. არ უნდა ენდო უბრალოდ იმიტომ, რომ ძმას წაეჩხუბა და მისგან წავიდა. სახიფათოა უჯერებდე უმცროს ძმას, რომელიც უფროსი ძმის მტერი გახდა“.

რამამ სუგრივას სასიამოვნოდ გაუღიმა და უთხრა:

„სუგრივა, განა შენ თვითონ არ გახდი შენი ძმის, ვალის, მტერი? სანამ სხვებს გააკრიტიკებდე, შენს საკუთარ ნაკლოვანებებზე იფიქრე“.

ამის შემდეგ რამამ გამოაცხადა:

„მფარველობის ქვეშ ავიყვან ყოველ ადამიანს, ვინც ჩემთან მოვა, დამმორჩილდება და მეტყვის: „შენი ვარ“. ჩემთვის არ არის მნიშვნელოვანი ვიცოდე, ვინ არის იგი“.

სუგრივა შეეპასუხა:

„სვამი, შენ მას მფარველობა გაუწიე და დაარწმუნე იგი, რომ, როცა ომი დასრულდება და რამანა დაემხობა, მას ლანკის მეფედ აქცევ. მაგრამ, დავუშვათ, რომ თვითონ რავანა მოვიდა შენთან და ფეხებში ჩაგივარდა. რომელ სამეფოს მისცემდი მას?“

რამამ უპასუხა:

„რავანას რომ კეთილი გული ჰქონოდა და დამმორჩილებოდა, ჩემს ძმას, ბჰარატას, ვთხოვდი უარი ეთქვა ტახტზე და მის ნაცვლად რავანას მეფედ გავხდიდი. არასოდეს არავისთვის არაფერი მითხოვია. სამსახურის თხოვნა ჩემს ხასიათში არ არის. მაგრამ თუ რავანას კარგი აზრები გაუჩნდება, მაშინ მზად ვიქნები ბჰარატას ვთხოვო, რომ უარი თქვას ტახტზე“.

ყველა *ავატარი* მუდამ აცხადებს ასეთ წმინდა აზრებსა და ფართო იდეებს, და ასეთი სახით აძლევს მაგალითს მთელ მსოფლიოს. ამ მოთხრობის აზრი იმაშია, რომ როგორი წარსულიც არ უნდა გქონდეთ, რა უსუფთაო და სიწმინდიდან შორს მყოფ გარემოშიც არ უნდა იყოთ აღზრდილი, თუ თქვენს გადაწყვეტილებაში სუფთა ხართ და მთლიანად აბარებთ თავს უფალს, ის მიგიღებთ. გრძნობების დაუფლებით დაიწყეთ.

მთავარი თვისება, რომელიც ყველა წმინდა მოქმედებისა და მხიარული უზრუნველი ცხოვრების საფუძველს წარმოადგენს, არის გრძნობებზე კონტროლი. კრიშნამ თქვა:

„შენთვის შეუძლებელი არაფერი იქნება, თუკი გრძნობებს დაეუფლები. თვითონ შეგიძლია სამყაროს შექმნა. მაგრამ თუ შენი გრძნობების მონა ხარ და სურვილებით ხარ შებოჭილი, ამ სამყაროს მონა ხდები. ამიტომ, არჯუნა, დაე გრძნობები შენს მონებად იქცნენ; მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებ ჩემი მისიის ინსტრუმენტად ყოფნას. ადექი, არჯუნა! კონტროლზე აიყვანე გრძნობები! სიხარულს ცაში არ

უნდა აჰყავდე, მწუხარება კი არ გჩაგრავდეს. მწუხარების პირველმიზეზი შენს არცოდნაშია: არ იცი განსხვავება ჭეშმარიტსა და მოჩვენებითს შორის, ატმასა და ანატმას შორის; მაგრამ ახლა დაიწყე მათი განსხვავების სწავლა. მაშინ გრძნობების დაუფლებას შეძლებ, და მთელი სამყარო შენი გახდება“.

თავი მეთვრამეტე

იცოდე, რომ სხეული არ ხარ; შენ სხეულში მყოფი ხარ

კრიშნამ თქვა:
*„არჯუნა, მუდამ ჩემზე მოახდინე გონების ფოკუსირება, რადგან მე ვარ შენი საკუთარი „**მე**“, ატმა. და ჩემში ჩაშვებული გონებით ასრულე შენი ვალი“.*

სიყვარულის განხორციელებანო!

ის, ვინც მთელ სამუშაოს ასრულებს და ამავე დროს თავის საკუთარ რეალობას აცნობიერებს, დიად საქმეებს შეასრულებს. *ატმას* გაცნობიერებასთან ერთად შესრულებული მოქმედებები ამ ქვეყნის ბორკილებისგან არის თავისუფალი. სამუშაოს შესრულება, როდესაც მთლიანად ხდება საკუთარი თავის *ატმასთან* იგივეობის შეგნება, გრძნობებზე სრულ კონტროლს მოითხოვს. ეს აუცილებელი პირობაა. როდესაც გრძნობებზე სრულ კონტროლს დაამყარებთ, თქვენ შეიძლება გიწოდოთ *სთჰითაპრაჯნა*, ანუ უმაღლესი სიბრძნით აღვსილი ადამიანი.

თუ დაპირისპირებულობათა ყველა წყვილს – სიხარულსა და სევდსა, სიცხესა და სიცივეს, მოგებასა და წაგებას, პატიოსნებასა და უპატიოსნობას – სიმშვიდით ეპყრობით და თუ თქვენს რეალობაში გამყარდით, ეს იმას ნიშნავს, რომ ბრძენი ადამიანის თვისებას მიაღწიეთ. ბრძენის ბუნება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ყველაფერს ერთნაირად ეპყრობა. როდესაც გრძნობის ორგანოების ჭეშმარიტ ბუნებას გააცნობიერებთ, თქვენთვის ადვილი იქნება, რომ იმ გზას მიჰყვებოდეთ, რომელიც იმისკენ წაგიყვანთ, რომ ჭეშმარიტი ბრძენი გახდეთ. მაგრამ თუ *ატმასთან* თქვენი თავის გაიგივების ნაცვლად მაინც სხეულთან გაიგივებას აგრძელებთ, ამ ამაღლებულ მდგომარეობას ვერ მიაღწევთ.

შენ ხარ *ატმა*, შენ ხარ ღმერთი

კრიშნამ არჯუნას უთხრა:

„გახსოვდეს, რომ სინამდვილეში შენ ხარ სხეულში მყოფი, დეჰი, და არა თვითონ სხეული, დეჰა. შენ ხარ ის, ვინც მატერიას ატარებს,

*და არა თვითონ მატერია. სახლის მობინადრე ხარ, და არა სახლი. შენ ხარ „ველის მცოდნე“ (ქშეტრაჯნა), მაგრამ შენს თავს იღებ როგორც ველს (ქშეტრას). ყოველივე წუთიერით ტკბობას მხოლოდ არამტკიცე ბედნიერების მოცემა შეუძლია შენთვის; ბოლოს და ბოლოს წუთიერი კმაყოფილება და ტკბობა სევდად იქცევა. ცვალებად ობიექტებს ცვალებადობისკენ მიჰყავხარ. ამიტომ გონება გაწონასწორებულ მდგომარეობაში გეჭიროს და შენი ვალი ასრულე, თან ატმა გახსოვდეს. ნუ ფიქრობ და ნუ ღელავ დაბადებასა და სიკვდილზე, სიხარულზე და მწუხარებაზე, რომლებიც შენში გროვდება. დაბადება და სიკვდილი მხოლოდ სხეულს ეხება – ისინი შენ არ გეხება. შენ არ ხარ სხეული, შენ ხარ მუდმივი არსი, დაბადებისა და სიკვდილისგან თავისუფალი. არ გაქვს არც დასაწყისი, არც დასასრული. არასოდეს დაბადებულხარ და არასოდეს მოკვდები; და არ შეგიძლია მოკვლა. შენ ხარ ატმა. ყველგან მყოფი ხარ. ჭეშმარიტად, ღმერთი ხარ. შენი ყველაზე უფრო იდუმალი „**მე**“ არის ღმერთი, ღმერთი კი არის შენი „**მე**“ (არსი); ატმა ბრაჰმანია, ბრაჰმანი კი ატმაა“.*

განა ვინმე შეწუხდება იმაზე, რომ ცეცხლი წვავს, როცა იცის, რომ ცეცხლის თვით ბუნებაა სიცხის წარმოქმნა? განა ვინმე დაიტანჯება სევდისგან, როცა შეიცნობს, რომ ყინული აციებს? ცეცხლის თვით ბუნება იმაში მდგომარეობს, რომ დაწვას, ხოლო ყინულის თვით ბუნება – გააციოს ის ყველაფერი, რაც კი მასთან კონტაქტში შედის. ასევე ის ყველაფერი, რაც იბადება, როდისმე მოკვდება. ეს ბუნებრივია. რაც თავისუფლად მოდის, ასევე თავისუფლად უნდა წავიდეს. ამიტომ არ უნდა აწვალოთ თავი იმით, რაც ბუნებრივია, როგორც, მაგალითად, დაბადება და სიკვდილი, სიხარული და მწუხარება. საჭიროა გააცნობიეროთ ყველაფრის ნაკლოვანებები ამქვეყნად; ადრე თუ გვიან, იმ ყველაფერმა, რაც სამყაროში არსებობს, ცვლილებები უნდა განიცადოს. იგივე ხუთი ელემენტი, რომელიც ყველგან შეიძლება იპოვოთ, მთელ სამყაროში, ასევე თქვენში და ყველა სხვა ადამიანშიც შეიძლება იპოვოთ.

თუ მსოფლიოს შორეულ კუთხეებშიც კი დაიწყებთ ძებნას, მიხვდებით, რომ სინამდვილეში მხოლოდ ამ ხუთ ელემენტს ეძებთ: ეს არის ის ყველაფერი, რის პოვნაც შეიძლება ამ სამყაროში. მაგრამ რამდენადაც ეს ელემენტები უკვე თქვენში იმყოფება, რატომ უნდა ეძებდეთ მათ გარე ობიექტებში? სრულიად ბუნებრივია, რომ ეძებთ და იმ რაღაცისკენ ისწრაფით, რაც თქვენ არ გაქვთ. მაგრამ არაბუნებრივია ეძებდეთ და იმისკენ ისწრაფოდეთ, რაც უკვე გაქვთ. არსებობს მხოლოდ ერთი არსი, რომელიც ამ ხუთ ელემენტს აღემატება: ეს არის ღვთაებრიობა. აი რისკენ უნდა ისწრაფოდეთ.

მუდამ მხედველობის არეში გყავდეთ *ატმა*, და ვერაფერი გავნებთ

ჯნანა, სიბრძნე არის ერთიანის ხედვა ყველგან. სწორედ ეს ყოვლისმომცველი ერთიანობა – ტოტალობაა – *ატმა*. იპოვეთ ეს ერთიანობა და მუდამ მხედველობის არეში გქონდეთ ის. თუ ყველა თქვენი მოქმედება *ატმაზე* იქნება დამყარებული, იგი წმინდა და სუფთა გახდება. თუ მოქმედებებს *ატმას* ან ღმერთის სიამოვნების გულისთვის ასრულებთ, კურთხეული და სიბრძნით აღვსილი იქნებით. უამრავი ბრძენი *რიში* ჯერ კიდევ უძველესი დროიდან გმირულ ძალისხმევებს იჩენდა, რომ ამ *სთჰითაპრაჯნას*, ანუ უმაღლეს სულიერ სიბრძნეში მარადიული ყოფნის მდგომარეობისთვის მიეღწია.

ერთხელ იმპერატორმა ალექსანდრე მაკედონელმა მდინარე სინდჰუს ნაპირებს მიაღწია. მას ინდოეთის დაპყრობა და გაძარცვა ჰქონდა განზრახული და ამ მიზნით მოვიდა დიდი არმიით. იმ დროში არ იყო დიდი სავალი გზები, არსებული გზები უფრო საცალფეხო ბილიკებს ჰგავდა. მდინარე სინდჰუს გადაკვეთის შემდეგ იმპერატორი თავისი არმიით ტყეში შევიდა. წინ გაგზავნილმა მზვერავებმა ღრმა ძილში მყოფი *იოგი* იპოვეს, რომელიც ხის ქვეშ ფეხებგაშლილი იწვა. ამ იოგმა *სთჰითაპრაჯნას* სტადიას მიაღწია – იგი ბრძენი იყო. ერთ-ერთმა ჯარისკაცმა *იოგი* გააღვიძა, და უბრძანა, რომ ბილიკიდან გადასულიყო, მაგრამ ის ჯარისკაცთა ძალისხმევის მიმართ სრულიად გულგრილი იყო: ადგილიდან არ დაიძრა. ბერძენი ჯარისკაცი დაემუქრა, და ეუბნებოდა, რომ თვით დიდმა იმპერატორმა ალექსანდრემ არმიასთან ერთად ეს ადგილი უნდა გაიაროს.

სანამ ჯარისკაცი *იოგს* უყვიროდა, თვითონ ალექსანდრე მოვიდა. ბერძენი ჯარისკაცი გააფთრებული იყო, როცა დაინახა, რომ იმპერატორის მოსვლის შემდეგაც კი, *იოგი* სრულიად გულგრილი რჩებოდა – იმპერატორის მიმართ სათანადო პატივისცემასა და თავაზიანობას არ ავლენდა. მაშინ ჯარისკაცი დაემუქრა, რომ თავს მოკვეთდა მას.

როგორც კი *იოგმა* გაიგონა, რომ გაცოფებულ ჯარისკაცს მისთვის თავის მოკვეთა უნდა, სიცილი დაიწყო. ის ადგა, მის სახეზე შიშის კვალიც კი არ იყო; იგი სრულიად მშვიდი იყო. იმპერატორი, როდესაც დაინახა, რომ მისი სახე ანათებდა, ასე დაელაპარაკა მას:

„ჩემი ჯარისკაცი თავის მოკვეთას გიპირებს, თუმცა ძალიან ბედნიერი ჩანხარ. ჩვეულებრივი ადამიანი რომ ყოფილიყავი, მაშინვე დანებდებოდი, ჯარისკაცს ფეხებში ჩაუვარდებოდი და პატიებას სთხოვდი. მაგრამ შენ მხოლოდ იღიმები. ეს რას ნიშნავს?“

იოგმა უპასუხა:

„მე სატ-ჩიტ-ანანდას განხორციელება ვარ; მე ვარ მარადიული ჭეშმარიტება, გაცნობიერება, ნეტარება. მუდამ თავისუფალი ვარ. შენს იარაღს ჩემთვის ვნების მოყენება არ შეუძლია. ცეცხლს არ შეუძლია ჩემი დაწვა. წყალს არ შეუძლია ჩემი დასველება. ქარი ვერ წამიღებს. არასოდეს დავბადებულვარ და არასოდეს მოვკვდები. უკვდავი ატმა ვარ; ასეთია ჩემი რეალობა. ეს ჯარისკაცი მემუქრება და თავის მოკვეთას მპირდება. მაგრამ ეს სრული უაზრობაა. აი ამან მაიძულა, რომ გამეცინა“.

იმპერატორი ძალიან გაოცებული იყო, როცა ასეთი სიტყვები გაიგონა. მან გაიფიქრა:

„სრულიად ბუნებრივია, რომ ადამიანები შეშინებულნი არიან, როცა ვინმე მათ მოკვლით ემუქრება; მაგრამ იშვიათად თუ გაიცინებს ვინმე და ბედნიერი დარჩება, როცა სიკვდილს თვალებში ჩახედავს. ინდოეთში არიან ადამიანები, რომლებმაც სულიერი ცხოვრების ისეთ სიმაღლეებს მიაღწიეს, რომ მათ სიკვდილისაც კი არ ეშინიათ. როგორ უნდა დაიმორჩილო ასეთი ერი? არა, ჯობია ამის კეთებას არც კი ვცდილობდე“.

და როცა ასეთ გადაწყვეტილებამდე მივიდა, მან არმია უკან მიაბრუნა და გადაწყვიტა, რომ ინდოეთის ტერიტორიაზე წინ აღარ წასულიყო.

როდესაც გრძნობებს გაუგებთ, მათ გაკონტროლებას შეძლებთ

უხსოვარი დროიდან ინდოეთში ცხოვრობდნენ დიადი წმინდანები, ამ *იოგის* მსგავსნი. თავისი მაგალითით მათ სხვა ერებს უმაღლესი სულიერი ჭეშმარიტება ასწავლეს. ადამიანთა უმრავლესობა, რომელიც გრძნობებზე კონტროლის მეთოდს არ ფლობს, იბნევა და არასწორი გზით მიდის. მაგრამ სინამდვილეში გრძნობების კონტროლი ძალიან ადვილია. იმ ადამიანებს, რომლებმაც არ იციან, ყველაფერი ძნელად ეჩვენებათ; იმათთვის, რომლებმაც იციან, ყველაფერი ადვილია. საჭიროა მთელი ძალისხმევა იმაზე მიმართოთ, რომ გაიგოთ – გრძნობის ორგანოების მეშვეობით მიღებულ ყველა სიამოვნებასა და ტკბობას მწუხარებისკენ მიჰყავხართ.

პირველი ნაბიჯი იმისკენ, რომ გრძნობების კონტროლი ისწავლოთ, იმაში მდგომარეობს, რომ ამ სამყაროს ობიექტებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები და პრობლემები გამოიკვლიოთ. დროებითი სიხარულისა და სიამოვნების გულისთვის დიდ სიძნელეებში და მრავალ პრობლემაში აგდებთ თავს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში გდევნიან მას შემდეგ, რაც პატარა წუთიერი სიხარული დავიწყებულია. თუ ავადმყოფი ადამიანი შეჭამს

საჭმელს, რომელიც მისთვის წინააღმდეგნაჩვენებია, რაღაც დროის განმავლობაში შეიძლება ჯერ კიდევ თავს კარგად გრძნობდეს. როდესაც დიეტა დაარღვია და აკრძალული საჭმელი მიიღო, მან შეიძლება დროებით რაღაც სიხარული განიცადოს; მაგრამ მალე იგი თავისი მოქმედებების სამწუხარო შედეგებს განიცდის. ამან შეიძლება სახიფათო სიტუაციამდეც კი მიიყვანოს იგი. ასევე დროებითი სიხარულით მოხიბლული ადამიანიც საბოლოო ჯამში მრავალი პრობლემით დაიტანჯება.

მრავალი ძლევამოსილი მეფე დიდებულ დარბაზებსა და სასახლეებს აგებდა, ფუფუნებით ტკბებოდა, რჩეულ საჭმელს ჭამდა, მდიდრული ავტომობილით გადაადგილდებოდა და ამქვეყნიური ურიცხვი საგნებით ანებივრებდა თავს, ყოველთვის თვლიდა, რომ ყველა იმ სიამოვნებით ტკბება, რომლის მიღებაც კი შეიძლება დედამიწაზე. თუმცა თუ უფრო ღრმად გავერკვევით – მეფე ტკბება ფუფუნებით თუ ფუფუნება ტკბება მეფით, - მაშინ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ფუფუნება ტკბება მეფით. მეფით ტკბებიან გრძნობის ობიექტები. პირდაპირ ჭამენ მას: მალე იგი სუსტი, ავადმყოფი და მოხუცი ხდება.

მართლაც რომ დამტკბარიყო იგი გრძნობის ობიექტებით, მაშინ მათგან უსაზღვრო ჯანმრთელობა და ძალა უნდა მიეღო მას; მაგრამ რამდენადაც მით ტკბებიან გრძნობის ობიექტები, იგი მთლიანად კარგავს ჯანმრთელობას, და მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა მცირდება. იგი არ აცნობიერებს ამ ჭეშმარიტებას და დროებით რაღაც სიამოვნებას განიცდის. თავის ხედვას ამ წუთიერ გრძნობის ობიექტებზე მიმართავს, და ვერ აცნობიერებს საშინელ შედეგებს, რომლებთანაც საბოლოო ჯამში მიიყვანს მისი მოუწესრიგებელი სურვილები – ტკბებოდეს გრძნობებით.

გააცნობიერეთ გრძნობის ობიექტების წარმავლობა

ერთი ადამიანი წავიდა ქირომანტთან (ასტროლოგთან, რომელიც ბედს ხელისგულზე კითხულობს). მან თავისი ხელისგული აჩვენა. ასტროლოგმა განაცხადა, რომ ერთი ხაზი იმას უჩვენებდა, რომ ის ძალიან მდიდარი იქნება. ეს რომ გაიგონა, ადამიანს ძალიან გაუხარდა. შემდეგ ასტროლოგმა უთხრა, რომ ის ბევრ პატივს მიიღებს. ადამიანი კიდევ უფრო ბედნიერი გახდა. ხელისგულის შემდგომი გამოკვლევის შემდეგ ასტროლოგმა შენიშნა: *„თქვენ ძალიან მაღალ მდგომარეობას დაიკავებთ“.* ადამიანი ისეთი ბედნიერი იყო, რომ თითქოს მას ამწუთას უთხრეს, რომ ის იმავე დღეს პრემიერ-მინისტრი გახდებოდა. ამის

შემდეგ ასტროლოგმა უთხრა, რომ მას ბევრი შვილი ეყოლება. ახლა უკვე მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

ამ ყველაფრის შემდეგ ასტროლოგმა დაამატა: *„მაგრამ თქვენი ცხოვრება ძალიან ხანმოკლე იქნება“.* როგორც კი ადამიანმა ეს გაიგონა, მთელი მისი სიხარული გაქრა: იგი დამწუხრებული იყო, სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ რა სიმდიდრესაც არ უნდა ფლობდეთ, რა მაღალ მდგომარეობასაც არ უნდა იკავებდეთ, როგორ პატივსაც არ უნდა გდებდნენ და რამდენი შვილიც არ უნდა გყავდეთ, თუ თქვენი ცხოვრების პერიოდი შეზღუდულია, მაშინ საბოლოო ჯამში რა აზრი აქვს ამ ყველაფერს? თუ თქვენ აქ არ იქნებით, ნუთუ ამ ყველაფერს თქვენთვის რაიმე ღირებულება ექნება?

ამქვეყნად რამდენი მეფე და იმპერატორი იყო? რა გარემოებებში წავიდნენ ისინი წუთისოფლიდან? აიღეთ ჰარისჩანდრა, რომელიც მთელ ინდოეთს მართავდა; განა მას წუთისოფლის დატოვება არ მოუხდა? მეფე ნალა მთელ სამყაროს მართავდა, მაგრამ ნუთუ ერთი მწიკვი მიწა მაინც წაიღო თან? მანდატა ცნობილი იყო *კრიტას* (ლეგენდარული ოქროს საუკუნე) საუკუნეში; ნუთუ რაიმეს თან წაღება მაინც შეძლო მან? მეფე რამამ ოკეანეზე ხიდი ააგო; რა დარჩა აქედან? რამდენი მეფე მოსულა და წასულა. არც ერთ ადამიანს არ შეუძლია ერთი პეშვი მიწის თან წაღება. თუ კაცობრიობის წარსულ ისტორიაზე დაფიქრდებით, მიხვდებით, რამდენად ცვალებადია ეს სამყარო. ანუ ჭეშმარიტსა და მარადიულს ამ სამყაროში ვერ შეიძენთ, ვერ იპოვით.

ის ყველაფერი, რასაც გარე სამყაროში ხედავთ, მხოლოდ იმის ანარეკლია, რაც თქვენ შიგნით იმყოფება. თქვენში იმყოფება მხოლოდ ერთი რამ – ის, რითიც გამსჭვალულია ყველაფერი: *სატიამ, შივამ, სუნდარამ* – ის, რაც მარად ჭეშმარიტია, მარად ღვთაებრივია, მარად მშვენიერია. მთელი ძალისხმევა გამოიჩინეთ იმისათვის, რომ ამ ჭეშმარიტებას მიაღწიოთ. ეცადეთ, რომ ამ ღვთაებრიობაში იცხოვროთ; იყავით ერთიანი ღვთაებასთან, რომელიც მთელი სილამაზის თვით განხორციელებაა.

მაგრად მოეჭიდეთ ღვთაებას, თქვენს ჭეშმარიტ „მე“-ს, და ასრულეთ თქვენი ვალი

კრიშნამ არჯუნას ბრძენის თვისებები აუხსნა, და ბრძოლის ველზე გაგზავნა ის. კრიშნამ უთხრა მას:

„მთელი შენი ყურადღების ფოკუსირება ჩემზე მოახდინე. მხოლოდ ჩემზე მოკრიბე აზრები. დაემორჩილე ჩემს ბრძანებებს და ასრულე შენი ვალი. ეს სხეული ვალის შესრულებისთვის მოგეცა. ეს დაბადება წარსულში შენი მოქმედებების შედეგად მიიღე; ახლა, როცა ყველა

შენს მოქმედებას წმინდას და მართლქმედითს გახდი, შენს ცხოვრებას განწმენდ“.

ერთადერთი სინათლე, რომლის ჩაქრობაც შეუძლებელია, ეს არის შენი საკუთარი „**მე**“-ს სინათლე, *აღმაჯიოღი* (*აღმას* სინათლე). თუ არის ელექტრობა, მაშინ ელექტრულ ნათურებს შეუძლია ნათება. როგორც კი ელექტრობას გამორთავთ, ნათურები ჩაქრება. თუ ფარანში არის ბატარეა, ის იმუშავებს. ასევე გრძნობებიც: თუ ენერგიას არ იღებს, ისინი ფუნქციონირებას წყვეტს. მზე და მთვარეც კი, რომლებიც არ საჭიროებენ საწვავს, ბატარეას ან ელექტრობას, ბოლოს და ბოლოს თავიანთ ნათებას დაკარგავენ.

თუ მზე და მთვარეც კი შეწყვეტენ ნათებას, მაშინ თქვენ მითუმეტეს შეწყვეტთ. თუ ეს ჭეშმარიტია ძლევამოსილი მთების შესახებ, მაშინ ეს ერთი ბეწო ქვიშის ნამცეცი რაღაა, რომელსაც თქვენ წარმოადგენთ და რომელიც სხეულის ცნობიერების მიერ არის შეცდომაში შეყვანილი?

„იმ მწუხარების გამო, რომელიც ნათესავებზე და მეგობრებზე შენი მიბმულობისგან იქმნება, არცოდნაში იძირები. შენი საკუთარი თვალებიდან მომდინარე ცრემლები წაგლეკავს. ადექი! გამოიღვიძე! არ გაჩერდე, სანამ მიზანს არ მიაღწევ!“

ასე ასწავლიდა კრიშნა არჯუნას.

ინტელექტი თქვენს გრძნობებს აღემატება

სამყაროში მზე და მთვარე ანათებს. მაგრამ მათ ღმერთის განათება არ შეუძლია. სახლის შიგნით ანთებულ სინათლეს შეუძლია შიგნით მდებარე საგნები გაანათოს, მაგრამ ღმერთის განათება არ შეუძლია. საიდან იცით, რომ მზე და მთვარე ანათებს და რომ ცეცხლი ანთია? რის საფუძველძე შეგიძლიათ განაცხადოთ, რომ ეს ობიექტები კაშკაშაა და მათგან სინათლე გამოედინება? მხოლოდ თვალების წყალობით შეგიძლიათ გააცნობიეროთ მათი სიკაშკაშე. თვალები რომ არ გქონოდათ, ვერ დაინახავდით მზისა და მთვარის შუქმფინარ სინათლეს. მაგრამ რა ეხმარება თვალებს, რომ ხედავდეს? მაშინაც კი, როცა გძინავთ ან თვალები დახუჭული გაქვთ, თქვენს ცნობიერებაში უეჭველად არის ნათება. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ არის რაღაც უფრო მეტად შუქმფინარი, ვიდრე თვალებია, - ეს არის თქვენი ინტელექტი. აი პატარა მოთხრობა, რომელიც ამის ილუსტრაციაა.

ოდესღაც ცხოვრობდა ორი ადამიანი: ბრმა და კოჭლი. ისინი დამეგობრდნენ, სოფლიდან სოფელში ერთად დადიოდნენ და მოწყალებას ითხოვდნენ. ბრმას ჰქონდა ჯანმრთელი ფეხები, კოჭლს კი – თვალები. კოჭლი ბრმას ზურგზე აჯდა. და ასეთი სახით ეხმარებოდნენ ერთმანეთს და სოფლიდან სოფელში დადიოდნენ.

ერთხელ გზაში ლამაზი მინდორი დაინახეს, სადაც კიტრი იზრდებოდა. კოჭლმა ბრმას უთხრა:

„ძმაო, ამ მინდორში ძალიან კარგი კიტრია. წავიდეთ, მოვკრიფოთ და შევჭამოთ; მერე ცოტაოდენ დავისვენოთ და გზა განვაგრძოთ“.

ბრმამ კოჭლს უთხრა:

„ძმაო, ფრთხილად იყავი, სადმე ახლოს შეიძლება დარაჯი იყოს“.

კოჭლმა თქვა:

„არა, იქ არავინ არის“.

ბრმამ ჰკითხა:

„მითხარი, თუ შეიძლება, შემოღობილია თუ არა მინდორი?“

კოჭლმა უპასუხა:

„არ არის ღობე. შეგვიძლია წავიდეთ და კიტრი მოვკრიფოთ“.

ბრმა უმალვე მიხვდა:

„ძმაო, ეს კიტრი ალბათ ძალიან მწარეა, წინააღმდეგ შემთხვევაში რატომ არ არის არც დარჯი, არც ღობე?“

ადამიანს შეიძლება არ ჰქონდეს თვალები, რომ დაინახოს, მაგრამ თუ ინტელექტს გამოიყენებს, ის იმაზე უფრო ჭკვიანია, ვინც თვალების დახმარებით ხედავს. შესაბამისად, სინამდვილეში ინტელექტი აძლევს თვალებს სინათლეს. მაგრამ სად იღებს ინტელექტი ძალას? ინტელექტი *ატმას* წყალობით ანათებს. ანუ *ატმას* წყალობით ინტელექტი ნათდება, ხოლო ინტელექტის წყალობით თვალები ანათებს და ხედავს, და ვინაიდან თვალები ხედავს, ამიტომ მზისა და მთვარის შუქმფინარობის აღქმაა შესაძლებელი, მზე და მთვარე კი მთელ სამყაროს ანათებს. ახლა ვხედავთ, რომ უმაღლესი წყარო, რომელიც ყველაფერს ანათებს, არის *ატმა*. ეს მთავარი ჩამრთველია. ამიტომ მხოლოდ *ატმას* უნდა სცემდეთ თაყვანს.

ბრძენი ადამიანი არასოდეს ივიწყებს *ატმას*

ყოველთვის მხედველობის არეში გყავდეთ *ატმა*, და მხოლოდ მაშინ მიაღწევთ ჭეშმარიტი სიბრძნის სტადიას იმ ყველაფერში, რასაც აკეთებთ. სიტყვა *სთჰითაპრაჯნა*, რომელიც „ბრძენს“ ნიშნავს, ზოგიერთი ადამიანის მიერ გაგებულია როგორც ამქვეყნიურ ადამიანებთან რაღაც საერთოს მქონე. ეს გაუგებლობა იმისგან ხდება, რომ ხშირად ითქმება: *„როდესაც ყველა ფხიზლობს, სთჰითაპრაჯნას სძინავს; ხოლო როცა ის ფხიზლობს, დანარჩენ ადამიანებს სძინავთ“.* ასეთი განსაზღვრის თანახმად შეიძლება დაასკვნათ, რომ ადამიანები, რომლებიც ღამის სმენაში მუშაობენ – მაგალითად ღამის დარაჯი, სადგურის უფროსი, რომლებიც ღამე მუშაობენ, როცა ყველას სძინავს, დღისით კი სძინავთ, როცა ყველა ფხიზლობს, - ეს ადამიანები თითქოს

სთჰითაპრაჯნები არიან. მაგრამ ეს ამ სიტყვის აშკარად არასწორი გაგებაა.

ადამიანები, რომლებიც თავიანთ ცხოვრებას წარმავალ სამყაროზე ამყარებენ, ამ სამყაროსთვის და მისი ობიექტებისთვის მთლიანად გამოღვიძებულნი არიან. მეორე მხრივ, *სთჰითაპრაჯნას* „სძინავს“, არის რა იგი ამქვეყნიური ობიექტების მიმართ გულგრილი და მათი ძნელად აღმქმელი. ჩვეულებრივი ადამიანები *ატმას* სილამაზისთვის მკვდრები არიან; ისინი ყოველივე ამისთვის ძილის მდგომარეობაში არიან. მაგრამ, რაც შეეხება ამ სამყაროს და მის გრძნობის ობიექტებს, მათ არ სძინავთ: ისინი ფხიზლობენ. ამიტომ *სთჰითაპრაჯნა* ის არის, ვისაც ამ სამყაროსთვის სძინავს, მაგრამ ვინც *ატმას* პრინციპისთვის მთლიანად გამოღვიძებულია. *სთჰითაპრაჯნა* არ ნიშნავს „იმას, ვინც ქვეყნიერებას განუდგა და ტყეში საცხოვრებლად წავიდა“. კრიშნამ არჯუნას უთხრა:

„შეასრულე სამუშაო წუთისოფელში. იცხოვრე იმ ყველაფრის შორის, რაც არაარსებითია შენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, და მთელი შენი ყურადღება ატმაზე გქონდეს მოკრებილი. ასეთი გზით გახდები სთჰითაპრაჯნა“.

აქ შეიძლება ეჭვი გაჩნდეს: საჭიროა, რომ ასეთმა ადამიანმა იმუშაოს? მაგრამ თუ ასეთი დამოკიდებულების მქონე *სთჰითაპრაჯნა* არავითარ სამუშაოს არ შეასრულებს, ის ვერ ვერ შთააგონებს სხვებს, რომ იმუშაონ. ბრძენი მაგალითი უნდა იყოს ჩვეულებრივი ადამიანებისთვის, რომ მათ მისთვის მიყოლა შეძლონ. თვითონ მას მუშაობაში დაინტერესება არა აქვს; არ ისწრაფვის იმისკენ, რომ სამუშაოსგან რაიმე მიიღოს, იგი სამუშაოს კაცობრიობის გულისთვის ასრულებს.

„ამიტომ, არჯუნა, - თქვა კრიშნამ, - *გახდი იდეალური ადამიანი. შენ კრიშნასთვის ძალიან ახლობელი ხარ. მისი ნათესავი და მისთვის ძალიან ძვირფასი ხარ. გულში შეინახე ამ სწავლების შინაგანი მნიშვნელობა. მინდა, რომ მთელი სამყაროსთვის მაგალითი გახდე. ჩემი ინსტრუმენტის სახით გამოგიყენებ. შენ ჩემი ინსტრუმენტი გახდები ამქვეყნად დიადი ამოცანების შესრულებისთვის“.*

ამ ყველაფერს კრიშნა მთელი მსოფლიოს სასიკეთოდ ამბობდა, რომ კაცობრიობისთვის იდეალის მაგალითი მიეცა. ღმერთის ყველა განსხეულება წმინდა მოქმედებებს ასრულებს, მაგრამ ჩვეულებრივი ადამიანები ვერ აცნობიერებენ ამ მოღვაწეობას როგორც ღვთაებრივს. შემდგომ ტექსტში კრიშნა არჯუნას ეუბნება:

„არჯუნა, შენი მეეტლე იმიტომ კი არ გავხდი, რომ ასეთი ამოცანა მომწონს ან ის ძალიან მჭირდება. ასევე ამას არა ცხენების გულისთვის ვაკეთებ. ხომ იცი, რომ მე ჩემი ეტლები და ცხენები მყავს;

რაში მჭირდება, რომ შენი მეეტლე ვიყო? შენი სხეულის ცნობიერებამ მთელი შენი ყოფიერება გაუღენთა; სისხლში გაქვს ის. მთელ ამ პიესას იმიტომ ვთამაშობ, რომ სხეულის ცნობიერების ავადმყოფობისგან განგკურნო“.

ღმერთი ვინმესგან ქება-დიდებას არ საჭიროებს

არჯუნა კრიშნას მუდამ ეპყრობოდა სიტყვით *„ბჰავა, ბჰავა, ბჰავა“*, რაც სინაზეს გამოხატავს, მაგრამ რაც ასევე ნიშნავს „ბიძაშვილს“. ერთხელ, როდესაც მდინარე იამუნას ნაპირზე ისხდნენ, კრიშნამ არჯუნას უთხრა:

„არჯუნა, არ მინდა, რომ „ბჰავას“ უსაფუძვლოდ მიწოდებდე“.

ამქვეყნად მრავალი ადამიანი ქება-დიდებას მსგავსი სიტყვების გამოყენებით უგზავნის ღმერთს, მაგრამ ღმერთი არ იღებს მსგავს ქება-დიდებას. ასეთ ქება-დიდებას ჩვეულებრივად ადამიანები იმისათვის იყენებენ, რომ რაიმე კეთილგანწყობილება მიიღონ; ეს ჰგავს იმას, როგორ ცდილობენ ისინი ვიღაც უფროსს გული მოუგონ. ქება-დიდება რაიმე საფუძვლის გარეშე სურნელოვან წყალს ჰგავს: შეგიძლიათ მხოლოდ უსუნოთ, - მისი დალევა არ შეიძლება. ასეთ ქება-დიდებას ჩვეულებრივ ისმენ, მაგრამ გულში არ უშვებ. ღმერთი მხოლოდ ჭეშმარიტ გრძნობებს დაუშვებს, რომლებიც გულწრფელობას გამოხატავს და სულის სიღრმიდან მოდის.

მაშ ასე, კრიშნამ არჯუნას უთხრა:

„არ მინდა, რომ უმიზეზოდ მაქებდნენ, მაგრამ ამავე დროს არ მინდა, რომ ჩემთვის ბჰავას წოდება შეწყვიტო, რომ მეთხოვა კიდეც შენთვის, რომ ასე არ მიწოდებდე, მაინც ხომ გააგრძელებდი ამის კეთებას. ამიტომ მინდა, რომ შენი ცოლისძმა გავხდე“.

და კრიშნამ თავის დას, სუბჰადრას, შესთავაზა, რომ არჯუნას ცოლად გაჰყოლოდა, და ამგვარად მისი ცოლისძმა გახდა.

ბალარამამ, კრიშნას ძმამ, არ მოიწონა არჯუნასი და სუბჰადრას ეს ქორწინება. ბალარამა ქორწილშიც კი არ მივიდა; ამის ნაცვლად ტყეში წავიდა. და იმ დროიდან ბალარამა კრიშნას მიმართ დიდ სიყვარულს არ გრძნობდა. აქ ჩვენ ვხედავთ კრიშნასთვის დამახასიათებელ ერთ მნიშვნელოვან თვისებას: იმის გულისთვის, რომ მისი მოქმედებები მისი სიტყვებისა და აზრების შესაბამისი ყოფილიყო, კრიშნა მზად იყო რისკის ქვეშ დაეყენებინა ურთიერთობები ახლობელ ადამიანებთან, ისეთებთან, როგორიცაა უფროსი ძმა, რომელმაც დაბადება სპეციალურად კრიშნასთვის მის მისიაში დახმარების მიზნით აირჩია.

ამაშია ადამიანის ჭეშმარიტი ბუნება: ის, რასაც ფიქრობთ, ჰარმონიაში უნდა იყოს იმასთან, რასაც ამბობთ, ხოლო იმას, რასაც

ამბობთ, უნდა ასრულებდეთ. *ღვთაებრიობა* არის აზრის, სიტყვისა და საქმის ერთიანობა. ამაშია ადამიანის ჭეშმარიტი ბუნება და იმის ღრმა მნიშვნელობა, რაზედაც *სვამი* ხშირად ამბობს: *„კაცობრიობის ჭეშმარიტი შემეცნება ადამიანის შემეცნებაში მდგომარეობს“.*

კრიშნამ არჯუნას უთხრა:

„მინდა შენგან შევქმნა მაგალითი, აი რატომ გასწავლი სთჰითაპრაჯნას თვისებებს აქ, ბრძოლის ველზე. თავიდან შენგან ბრძენს შევქმნი, ამის შემდეგ კი შენს მაგალითზე სხვებს ვასწავლი. თავიდან უნდა გაიგო უმთავრესი პრინციპი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ არ ხარ სხეული; შენ სხეულში იმყოფები. როდესაც ამას გაიგებ აღარ შეგაწუხებს სხეულის ცნობიერება. სხეული დროებითია. ღმერთი მარადიული და უცვლელია. შენ ხარ არა მატერია, არამედ ის, ვინც მატერიას ატარებს. ტყუილად არ არის ნათქვამი, რომ სხეული არის ღმერთის ტაძარი, ის კი, ვინც მასში იმყოფება, თვით ღმერთია. ეს სამყარო არამდგრადი და მწუხარებით სავსეა; მასში თავშესაფრის ძებნას აზრი არა აქვს; ადამიანები, რომლებსაც შენ იცნობ, შეიცვლებიან. ღმერთი ერთადერთი უცვლელი არსია. იგი ერთადერთი სინათლეა, რომლის მოსპობაც შეუძლებელია. მასში ეძებე თავშესაფარი. ის არის უმაღლესი სინათლე – პარამაჯიოტი; ის არის ყოველი სულის სინათლე – ჯივანჯიოტი; ის არის უსაზღვრო და ჩაუმქრალი სინათლე – აჭჰანდაჯიოტი; ის არის ცნობიერების ერთადერთი სინათლე – ადვაიტაჯიოტი – სხვა არავინ არის“.

ამრიგად, კრიშნამ გარდაქმნა არჯუნას გული, რომელიც არ იყო სუფთა. ყველა ამ კეთილშობილი პრინციპის ახსნის შემდეგ, მან არჯუნას გული სუფთა და მანათობელი გახადა; კრიშნამ არჯუნა აქცია ჭეშმარიტ ბრძენად, *სთითაპრაჯნად*, რომელიც ღვთაებრივ თვისებებს ავლენს.

თავი მეცხრამეტე

გრძნობების კონტროლი უმაღლესი სულიერი სიბრძნის გასაღებია

როგორც კი ჭეშმარიტ თვითგანდგომასა და არამიბმულობას მიაღწევთ, უმაღლესი ზეციური სამყაროების მიღწევაც კი ტრივიალური და უმნიშვნელო მოგეჩვენებათ. არჯუნამ კრიშნა დაარწმუნა: „კრიშნა, ჩემთვის რომ სამი სამყაროს მფლობელობა და მართვა გადმოეცათ, არ მივიღებდი მათ, რადგან მათგან არც ერთი არ არის ჩემთვის საინტერესო“.

სიყვარულის განხორციელებანო!

ეს სიტყვები გვიჩვენებს თვითგანდგომის ძალას, რომელსაც არჯუნამ მიაღწია, როდესაც უფალს მთლიანად ჩააბარა თავი და *გიტას* სწავლების მისაღებად მოემზადა. იმ მომენტში მან თავისი თავი წუთისოფლისგან განაცალკევა და მაგრად მიაბა ტრანსცენდენტალურ პრინციპს, რომელიც მის წინ შრი კრიშნას ფორმით გამოვლინდა. ასეთი უარის თქმა წუთისუფელზე და მის ობიექტებზე და ღვთაებაზე მიბმა ასევე თქვენი მიზანი უნდა გახდეს. ამაშია ყველა ადამიანის ბედი, რადგან სულიერი ევოლუციის პროცესში ყოველ ადამიანში დროთა განმავლობაში განვითარდება განდგომა და მიუკერძოებლობა გრძნობის ობიექტების მიმართ და ამავე დროს უძლიერესი სწრაფვა იმისკენ, რომ *ატმა* გააცნობიეროს შიგნით.

გრძნობების კონტროლი თვითშემეცნების საფუძველია

თუ ჩვეულებრივი პატარა სახლის აშენება გინდათ, დიდ ძალისხმევას გამოიჩენთ, რომ მყარი საძირკველი ჩაასხათ. რამდენად უფრო ფრთხილად უნდა იყოთ, როდესაც საფუძველს უყრით თვითშემეცნების სასახლეს, *ატმა-ჯნანის* სასახლეს. სწორედ იმიტომ, რომ მყარი საფუძველი მიეცა, თავის სწავლებაში, *გიტაში*, კრიშნა ხაზს უსვამდა გრძნობების კონტროლისა და ქვეყნიერებაზე არამიბმულობის დამოკიდებულების (ქვეყნიერებისგან განდგომის) სწავლის აუცილებლობას. ეს არის აუცილებელი პირობა მყარი საფუძვლის შექმნისთვის. თუ საფუძველი მყარი არ არის, მაშინ *ატმა-ჯნანის* სასახლე დიდხანს ვერ იდგება; იგი მალე დაინგრევა.

განდგომილება და თვითაღკვეთა უეცრად არ ჩნდება, არსაიდან, რომ *ატმა-ჯნანის* საფუძველი გახდეს. საჭიროა თანდათან ავითარებდეთ და პრაქტიკაში იყენებდეთ ამ თვისებებს, ასევე ერთგულებასა და გრძნობების კონტროლს. თუ ლამპის ანთება გინდათ, თქვენ დაგჭირდებათ ზეთი, ჭურჭელი მისთვის და პატრუქი. ასეთივე სახით, თუ სიბრძნის ლამპის ანთება გინდათ, საჭიროა განდგომილება, ერთგულება და გრძნობების კონტროლი. განდგომილება შეიძლება ჩავთვალოთ ჭურჭლად, ერთგულება კი – ზეთად. გრძნობების კონტროლი შეიძლება პატრუქს შევადაროთ. ამ სამი ელემენტის ჩართვისას შეიძლება შინაგანი „**მე**“-ს ლამპა ავანთოთ. იმისათვის, რომ არჯუნას გულში ასეთი ლმპა აენთო, კრიშნამ ის გააფრთხილა, რომ უპირველეს ყოვლისა საჭიროა გრძნობის ორგანოებზე კონტროლი.

ადამიანთა უმრავლესობას არ შეუძლია გრძნობებზე მკაცრი კონტროლის დამყარება. ძალისხმევაც კი რომ გამოეჩინათ ამ მიმართულებით და რამდენადმე გრძნობებზე კონტროლისთვის მიეღწიათ, ჩვეულებრივი ადამიანები ვერ გააგრძელებდნენ სვლას ამ მიმართულებით, იმიტომ რომ სრულიად დარწმუნებულნი არიან, რომ ყველა სიტკბოება, რომელსაც ისინი განიცდიან, გრძნობის ორგანოებისა და გრძნობის ობიექტების მეშვეობით მიდის მათთან. თუ უნდა უარი ეთქვათ სამუდამოდ გრძნობით სიამოვნებებზე, ისინი გადაწყვეტდნენ, რომ თვით მათი ცხოვრება მთავრდება. ისინი გრძნობით სიამოვნებებს ბედნიერების ერთადერთ წყაროდ თვლიან, იმიტომ რომ უშუალოდ განიცდიან ამას ყოველდღე, მაშინ როცა თვითშემეცნების სიხარული, *ატმას* წმინდა ცოდნა, არის ის, რაც მათ არასოდეს განუცდიათ. თუ ხელში ფრინველი გყავთ, განა გაუშვებთ მას, რომ ორის დაჭერა სცადოთ, რომლებიც ბუჩქებში იმალებიან? ასეთი მსჯელობით ისინი უგუნურებად თვლიან გრძნობით სიამოვნებებზე უარის თქმას, რომლებსაც ყოველდღე განიცდიან, იმისათვის რომ ყურადღება მოკრიბონ *ატმა-ჯნანაზე*, რაც მათ არასოდეს განუცდიათ.

გრძნობების ტკბობა ილუზორული სიხარულია

სწორედ ამ მიზეზით აკრიტიკებენ ადამიანები განდგომილებისა და გრძნობების კონტროლის დოქტრინას, რასაც *გიტა* ასწავლის. ისინი ამბობენ, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ეს უსარგებლო და გამოუყენებელია ჩვეულებრივი ადამიანებისთვის. მაგრამ ეს კრიტიკა იმიტომ ჩნდება, რომ მათ არაფერი იციან ჭეშმარიტ პროცესზე, რომელსაც ადგილი აქვს. ყველა წუთიერი სიამოვნება, რომლითაც ისინი ტკბებიან, მხოლოდ ანარეკლია გონებაში ჭეშმარიტი

სიხარულისა, რომელიც მუდამ გულში იმყოფება. ფიქრობს რა ისევ და ისევ გარკვეულ ადამიანზე ან საგანზე, გონება თავის ადგილსამყოფელს ტოვებს, ამ ადამიანთან ან საგანთან მიდის და მის ფორმას იძენს; ამის შემდეგ ის თავისი თავი შეცდომაში შეჰყავს, ფიქრობს, რომ ამ საგნით ტკბება. მაგრამ ეს ვერასოდეს გახდება ჭეშმარიტი სიხარული; ეს არის მხოლოდ გონებაში წარმოსახული რაღაც შეზღუდული სიხარული, ანარეკლი ჭეშმარიტი შინაგანი სიხარულისა, რომელიც ყველა სიხარულის წყაროს წარმოადგენს. განმარტებისთვის განვიხილოთ შემდეგი მაგალითი.

პატარა ბავშვი ჩვეულებრივად თითს წოვს და თავის ნერწყვს სვამს. ეს მოსწონს, ფიქრობს, რომ თითიდან რძეს იღებს; მაგრამ საქმე იმაშია, რომ ნერწყვი, რომელსაც ბავშვი რძედ იღებს, მისი პირიდან მოდის, და არა თითიდან. თავის თავს ატყუებს, ფიქრობს, რომ მისი სიხარულის წყარო მის გარეთაა.

განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი.

ძაღლმა დიდი ძვალი იპოვა. როგორც კი ეს ძვალი ხელში ჩაიგდო, იგი მისთვის ძვირფასი გახდა; მას არ უნდა, რომ ის სხვა ძაღლებს გაუყოს; ამიტომ ძვალი განმარტოებულ ადგილას მიაქვს. იქ უყურებს ამ ძვალს, ცქერით ტკბება და მის ღრღნას იწყებს. რამდენადაც ეს ძველი ძვალია, იგი ძალიან მაგარია. ძაღლი მთელი გაშმაგებით განაგრძობს მის ღრღნას, სანამ ღრძილში არ ასობს კბილს. სისხლი ძვალზე ხვდება. ძაღლი დარწმუნებულია, რომ სისხლი ძვლიდან გამოდის, და მისი გემოთი ტკბება. მაგრამ სისხლი გამოდის არა ძვლიდან, არამედ თვით ძაღლის პირიდან. ძაღლს არ ესმის ჭეშმარიტება; ისევე, როგორც ბავშვის შემთხვევაში, აქაც ძაღლი თავის თავს ატყუებს, თავისი საკუთარი გონების წარმოდგენას მიჰყვება.

ნებისმიერი სიხარული საკუთარი „მე“-დან მოდის

ასეთივე სახით უმეცრები ფიქრობენ, რომ ისინი სიხარულს გრძნობის ობიექტებისგან იღებენ; მაგრამ ეს შეზღუდული სიხარული, რომელსაც ისინი განიცდიან, გარედან არ მოდის. თქვენს გულებში ყველგან მყოფი ჭეშმარიტი სიხარული იმყოფება, და ეს უცვლელი შინაგანი სიხარული ამა თუ იმ ობიექტს დაედება, რომელიც სიხარულის წყაროდ მოჩანს. ამრიგად მათ სჯერათ, რომ ამქვეყნიური საგნებისგან იღებენ სიხარულს, მაგრამ მათი სიხარული მხოლოდ ერთი ციცქნა ანარეკლია იმ უსაზღვრო სიხარულისა, რომელიც მათშივეა დაფარული. როგორც კი თავიანთ თავს მოატუებენ, ფიქრობენ რა, რომ გარე სამყაროში მათ მიერ მიღებული სიხარული და სიამოვნება ჭეშმარიტი გამოცდილებაა, ის სიხარული კი, რომლის

მიღებაც მათ შიდა სამყაროდან შეუძლიათ, მხოლოდ ილუზიაა, ისინი განდგომილებაზე მუშაობის ყოველგვარ ინტერესს კარგავენ. ამრიგად, ისინი უარს ამბობენ ტრანსცენდენტალური სიხარულისთვის მიყოლაზე და მხოლოდ ამქვეყნიური სიამოვნებების დევნას განაგრძობენ, რომლებიც, როგორც მათ სჯერათ, შეუძლიათ გრძნობის ობიექტებისგან მიიღონ.

რაიმე ობიექტს რომ სიხარული მოჰქონდეს, ეს სიხარული ყველა ადამიანისთვის ერთნაირი იქნებოდა. მაგრამ თქვენ იცით, რომ ეს ასე არ არის: ის ობიექტი, რომელიც ერთ ადამიანს სიხარულსა და სიამოვნებას ჰგვრის, მეორისთვის შეიძლება არასასურველი იყოს; მან შეიძლება მასში ანტიპათია გამოიწვიოს. სიხარული რომ სინამდვილეში თვითონ ობიექტისთვის ყოფილიყო დამახასიათებელი, იგი ყველასთვის ერთნაირი იქნებოდა. ზოგიერთებს შეიძლება კიტრი უყვართ, მაშინ როცა სხვებს იგი სრულებით არ უყვართ. სიამოვნება რომ კიტრისთვის განუყოფელი ნაწილი ყოფილიყო, მაშინ ყველა ერთნაირ გრძნობას მიიღებდა მისგან; კიტრი არ მოუტანდა ერთ ადამიანს სიხარულის გრძნობას, მეორეს კი ანტიპათიის გრძნობას. საიდან მოდის ეს განსხვავება ადამიანთა რეაქციაში? რატომ მოსწონს ერთი საგანი ერთ ადამიანს, მეორეს კი არ მოსწონს? ეს უეჭველად იმას ნიშნავს, რომ ადამიანის მიერ განცდილი სიხარული არ მოდის უშუალოდ იმ ობიექტისგან, რომელთანაც სიხარულს შეცდომით აიგივებენ: სიხარული შიგნიდან მოდის; ეს არის ანარეკლი იმ სიხარულის დაუშრეტელი წყაროსი, რომელიც თვით ადამიანის შიგნიდან მოდის.

გრძნობის ობიექტებს მხოლოდ დროებითი სიხარულის მოცემა შეუძლია

კეთილი განწყობილება თუ ანტიპათია, რომლებსაც განიცდით, მხოლოდ დროებითი მოვლენაა; ისინი ცვალებადია. თქვენ შეიძლება ძლიერ შიმშილს გრძნობდეთ; ვიღაცამ შეიძლება საჭმელი მოგიტანოთ, და ამ მომენტში საჭმელი ძალიან გემრიელად მოგეჩვენოთ. რა ხდის მას ასეთ გემრიელს? შიმშილი. სანამ მშიერი ხართ, მთელი საჭმელი ძალიან გემრიელად მოგეჩვენებათ. მას შემდეგ, როცა შიმშილს მოიკლავთ, თვალწარმტაც დელიკატესებსაც თუ დაგიწყობენ წინ, ისინი არ მიგიზიდავთ. როდესაც მშიერი ხართ, ჩვეულებრივი საჭმელი გემრიელად მოგეჩვენებათ და დიდ სიამოვნებას მოგგვრით. მაგრამ როგორც კი დანაყრდით, ყველაზე უფრო გემრიელი საჭმელი უგემურად მოგეჩვენებათ. ასეთი ცვლილების ერთადერთ ახსნას წარმოადგენს ის, რომ კეთილი განწყობილება თუ ანტიპათია მოდის თქვენგან, ინდივიდუუმისგან, და არა ობიექტებისგან როგორც

ასეთებისგან: სიხარულისა და მწუხარების ნებისმიერი გრძნობა მოდის ადამიანის შიგნიდან, და არა გარეშე ობიექტებისგან.

ჩვეულებრივი ადამიანები ფიქრობენ, რომ სიხარული ან გულისტკივილი, რომლებსაც ისინი იღებენ იმ ადამიანებთან ურთიერთობისგან, რომლებიც მათ უყვართ ან არ უყვართ, ამ ადამიანებისგან მოდის. მაგრამ ეს ასე არ არის. ადამიანის სიხარული თუ მწუხარება დამოკიდებულია სხვადასხვა ობიექტების მიმართ მის საკუთარ კეთილგანწყობილებაზე ან ანტიპათიაზე. შეიძლება შევნიშნოთ, რომ, როცა ადამიანებს ძლიერი მიბმულობა აქვთ ვინმეს მიმართ, ვინც მათთვის ძალიან ძვირფასია, როგორიც არ უნდა იყოს ამ ადამიანის დამოკიდებულება ან ქცევა, მაინც ეყვარებათ ის. რა არის მიზეზი ამ ადამიანის მიმართ ასეთი ურყევი ერთგულებისა, ასეთი სასიყვარულო დამოკიდებულებისა, მიუხედავად მთელი რიგი აუტანელი თვისებებისა მის ქცევაში? ამის მიზეზი იმაშია, რომ, როცა ვინმე მოგწონთ, ის ყველაფერი, რასაც ეს ადამიანი ამბობს ან აკეთებს, ძალიან სასიამოვნოდ მოგეჩვენებათ. როცა ვინმე თქვენთვის ძალიან ძვირფასია, როცა გრძნობთ, რომ ვინმე ძალიან გიყვართ, მაშინ განიცდით გრძნობას, რომელსაც ჰქვია „სიყვარული“; სინამდვილეში კი სხვა ადამიანზე მიბმულობის გრძნობას განიცდით. ასეთი მიბმულობის დროს გაჩენილი სიყვარული და სიხარული მხოლოდ თქვენგანვე მოდის. იმისგან დამოუკიდებლად, განიცდის სხვა ადამიანი იგივე გრძნობებს თუ არა, ის გრძნობები, რომლებსაც თქვენ განიცდით, მხოლოდ თქვენგანვე მოდის; ისინი არ წარმოადგენს სხვა ადამიანის ნაწილს.

რაღაც ამდაგვარი მოუთხრო იაჯნავალკიამ თავის ცოლს, მაიტრეიას *ბრიჰადარანიაკა-უპანიშადაში.* იაჯნავალკიამ მაიტრეიას უთხრა:

*„ჩემო კარგო, მე გიყვარვარ არა ჩემი გულისთვის, არამედ შენივე გულისთვის. რაც გიყვარს და რაც შენთვის ძვირფასია, მხოლოდ შენი საკუთარი „**მე**“-ს გულისთვის გიყვარს. შენი საკუთარი „**მე**“ ყველაფერზე უფრო ძვირფასია შენთვის; მისი გულისთვის ვინმე სხვაც ძვირფასია შენთვის. გრძნობებს, რომლებსაც სხვის მიმართ განიცდი, მხოლოდ ნაწილობრივი გამომჟღავნებაა იმ დიდი სიყვარულისა, რომელსაც შენი „**მე**“-ს მიმართ გრძნობ მუდამ“.*

სხეულის ცნობიერება აბნელებს უმაღლესი „მე“-ს სუფთა სიყვარულს

მაშ ასე, მთელ მსოფლიოში ყოველ ადამიანს, ვინც არ უნდა იყოს ის, სხვა ადამიანი უყვარს თავისი გულისთვის, და არა იმ ადამიანის გულისთვის. თუ მას რაღაც ობიექტი უყვარს, მხოლოდ თავისი „**მე**“-ს

გულისთვის უყვარს, და არა ამ ობიექტის გულისთვის. როდესაც სუფთა სიყვარულში სხეულის ცნობიერებაა გარეული, იგი მიბმულობა და ეგოიზმი ხდება, რასაც გარდაუვალად მწუხარებისკენ მიჰყავს ადამიანი.

სხეული ცვალებადია; სიკვდილი ყველასთვის გარდაუვალია. ვინმეს რომ ასი წელიწადი ეცოცხლა, მას მაინც მოუხდებოდა სიკვდილთან პირისპირ შეხვედრა. განა უცნაური არ არის, რომ მომაკვდავები ტირიან და გლოვობენ იმათ, ვინც უკვე მოკვდა? ყოველ ადამიანს მოუხდება სიკვდილის მიღება, ანუ ყოველი ადამიანი შეიძლება მომაკვდავად ჩაითვალოს. ასეთ შემთხვევაში, თუმც ყველა ადამიანი მომაკვდავთა შორის იმყოფება, მაგრამ მაინც მწუხარებასა და უბედურებას გრძნობს, როცა გარდაცვლილებზე ფიქრობს, თითქოს სიკვდილი არის რაღაც სრულიად უჩვეულო და მოულოდნელი, და არა ერთადერთი დასრულება, რომელიც ყველასთვის გარდაუვალია. მწუხარება, რომელიც ვლინდება, განსაკუთრებით როცა ვინმე ახლობელი და ძვირფასი კვდება, მხოლოდ მიბმულობის გამო ჩნდება. თუ სხვა სხეულზე სწუხხართ, და მშვენივრად იცით, რომ სიკვდილი გარდაუვალია, მაშინ ეს შეიძლება იყოს მხოლოდ მიბმულობის შედეგი, რომელიც ამ სხეულის მიმართ განვითარდა. სწორედ ეს მიბმულობაა თქვენი უბედურების შედეგი. ამიტომ ვინმეს სიკვდილის შედეგად განცდილი უბედურების მთავარ მიზეზს წარმოადგენს მიბმულობა, და არა სიყვარული. არსებითად ყოველი ადამიანი სიხარულს ეძებს. მას სწყურია სიხარული, და არ უნდა მწუხარება. ადამიანი მუდამ ისწრაფვის მოგებისკენ, და არა კარგვისკენ. ასეთია მისი ბუნება. მოგება, სიხარული და ნეტარება მისი ბუნებისთვის არის დამახასიათებელი; ისინი მისი ყოფიერების თვით არსს წარმოადგენს. დაბადებიდანვე ყოველ ადამიანს მხოლოდ მოგებაში ყოფნა უნდა; მას არ უნდა გულისტკივილის განცდა (სიტყვათა თამაში: („gain, not pain“). ბიზნესმენი უპირველეს ყოვლისა მოგებაზე ფიქრობს. აქ, ანდჰრა პრადეშის შტატში, როდესაც იწონება ისეთი სურსათი, როგორიცაა ბრინჯი, თუ კილოგრამთა რიცხვი ექვსს აღემატება, მაშინ ამბობენ „6+1“, და არა „7“, იმიტომ რომ სიტყვა „შვიდი“ ტელუგუს ენაზე ნიშნავს „დატირებას“. მაღაზიის პატრონი სხვა სიტყვას წარმოთქვამს, რომ ამ უბედურ სიტყვას გვერდი აუაროს. ასეთივე სახით ადამიანს არ უნდა, რომ ის უბედურებასა და კარგვებს აწყდებოდეს; მას უნდა მხოლოდ ხეირი და შემოსავალი, ასევე ბედნიერება, რომელიც მათ მოაქვს.

საკუთარი ჭეშმარიტი „მე“-ს ცოდნას ყველაზე უფრო დიდი სიხარული მოაქვს

ყველა სარგებლობასა და მიღწევას შორის, ყველაზე უფრო დიდი სიხარული *ატმას* მოაქვს. ეს სიხარული უნდა იპოვოთ და თქვენი გახადოთ.

ავიღოთ ლამაზი ვარდი: იმ მომენტში, როცა მას უყურებთ, თქვენი გულიდან სიხარული გამოედინება. მსგავსი სახით, როდესაც ამ სამყაროში ლამაზ ადამიანს ან ლამაზ საგანს უყურებთ, მაშინვე სიხარულს გრძნობთ. ძალიან ბევრ ადამიანს უყვარს მოგზაურობის დროს ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება. ისინი ამას იმიტომ აკეთებენ, რომ სიხარული მიიღონ! ამიტომ შეიძლება დანახვა სილამაზისა ბუნებაში, შეიძლება დანახვა სილამაზისა ადამიანებში, და ადამიანები პოულობენ სიხარულს ლამაზ საგნებში. მაგრამ რამდენ ხანს გაგრძელდება ეს სიხარული და სილამაზე? ვარდი, რომელიც დღეს მოწყვიტეთ, ხვალ ჭკნობას დაიწყებს; შემდეგ სილამაზეს დაკარგავს. როგორც კი მისი სილამაზე გახუნდება, მანამდე თქვენ მიერ განცდილი სიხარული მაშინვე გაქრება. იგივე ეხება ცხოვრების სხვადასხვა სტადიასაც: ბავშვობას, სიყმაწვილეს, მოწიფულობასა და სიბერეს.

შეიძლება ითქვას, რომ ბავშვობა ღვთაებრიობას ირეკლავს: ბავშვობაში ადამიანი ნაკლებად განიცდის სიძულვილს, შურს, მრისხანებას და ა.შ. იესომ თქვა, რომ, რამდენადაც ბავშვებს სინამდვილეში ცუდი თვისებები არა აქვთ, ისინი შეიძლება ღვთაებრივებად ჩაითვალონ. ამ პერიოდში არც გონებაში, არც სხეულში არ არის ცუდი აზრები თუ თვისებები. ბავშვი მშვენიერია, იმიტომ რომ მას არა აქვს ცუდი გრძნობები, რომლებიც ცუდი აზრებიდან მოდის. დროთა განმავლობაში იგი თანდათან ავითარებს ცუდ თვისებებს. ცუდი თვისებების განვითარებასთან ერთად პატარა ბავშვის სილამაზე ქრება. ანუ ცუდი აზრების გამოვლენას ცუდ სიტყვებთან და ცუდ საქმეებთან მიჰყავს, რასაც თავის მხრივ სილამაზის გაქრობა მოაქვს ბავშვში.

სილამაზე და სიხარული

ამრიგად, ვხედავთ, რომ სილამაზე, რომელსაც ადამიანი ფლობს, წარმავალია. იგი თანდათან ქრება. ასეთი სახის წარმავალ სილამაზეს არ მოაქვს უცვლელი სიხარული. ახალშობილი ვირიც კი ხომ ძალიან ლამაზია. მის განვითარებასთან ერთად მას თანდათან მუცელი ეზრდება, და იგი უგვანო ხდება. იქამდე, სანამ ცუდი თვისებები არ გაჩნდება, ყველაფერი მშვენივრად გამოიყურება. ამიტომ, ვინც არ უნდა იყოს ადამიანი ან როგორიც არ უნდა იყოს გრძნობათა ობიექტი

ამ სამყაროში, ცხადი ხდება, რომ მისი სილამაზე მუდმივი არ არის, და შედეგად მისგან მიღებული სიხარულიც შეზღუდულია. სიხარული და სილამაზე მუდამ ერთად მიდიან: შეუძლებელია ფლობდეთ სილამაზეს სიხარულის გარეშე, და არ არის სიხარული სილამაზის გარეშე. მაშ რა არის ეს ერთადერთი **პრინციპი**, რომელშიაც არაწარმავალი სიხარული და არაწარმავალი სილამაზეა? ეს არის *ატმა*. მასში არ არის არავითარი სახეცვლილება, არავითარი ცვლილება. ფაქტიურად, მას ფორმა არ გააჩნია: მისი სილამაზე და სიხარულია სწორედ მისი ფორმა.

თუმც სიხარული თქვენი გულის ცენტრიდან მოდის, მაგრამ თქვენ ფიქრობთ, რომ გრძნობითი ობიექტებისგან და გრძნობის ორგანოებიდან იღებთ სიხარულს. ეს ასე არ არის. ყოველგვარი სიხარული თქვენი გულიდან მოდის, მაგრამ თქვენი თავი დააჰიპნოზეთ და ფიქრობთ, რომ სიხარული საიდანღაც გარედან მოდის. წმინდა წერილები ამბობენ *ბრაჰმანანდაზე*, უცვლელ სიხარულზე, რომელიც *ბრაჰმას*, შემქმნელის ზეციური სამყაროდან მოდის. სიხარული, რომლის განცდაც გრძნობების გრძნობათა ობიექტებთან კონტაქტის მეშვეობით შეიძლება, უკიდურესად პატარაა *ბრაჰმანანდას* სიხარულთან შედარებით. გრძნობითი სიხარული შეიძლება აღვწეროთ როგორც წვეთი *ბრაჰმანანდას* ოკეანეში. მაგრამ *ბრაჰმანანდას* ეს უზარმაზარი ოკეანეც კი თავის თავად ატომს ჰგავს იმ უსაზღვრო სიხარულთან შედარებით, რომელიც სულიერი გულიდან მოდის. ეს არის მთელი სიხარულის პირველწყარო. ასეთი გული შეიძლება შევადაროთ ყველაზე უფრო დიდებულ და შუქმფინარ სინათლეს, რომელიც ყველგან ანათებს. ეცადეთ გაიგოთ ეს მარად მანათობელი და ყველაფრის შემავსებელი სულიერი სინათლე.

ატმას სინათლე ყველაფერს ანათებს

დღისით მზე სამყაროში სხვადასხვა ობიექტებს ანათებს, ღამე მთვარე ამგვარ, მაგრამ უფრო ნაკლებ როლს თამაშობს. ამიტომ შეიძლება განაცხადოთ, რომ სამყაროს და ობიექტების მანათობელი ბუნების მიზეზს მზე და მთვარე წარმოადგენს. მაგრამ ძილის მდგომარეობაშიც სხვადასხვა საგნებს ხედავთ. მაშ სად არის მზე და მთვარე იმ მდგომარეობაში? მზე, რომელსაც დღისით მღვიძარების მდგომარეობაში ხედავთ, ძილის მდგომარეობაში არ არის; იქ მთვარეც არ არის, არავითარი ხილული სინათლე არ არის, რომ სხვადასხვა ობიექტები გააშუქოს. თუმცა შეგიძლიათ მთელ სამყაროს ხედავდეთ, კერძოდ კი, ძილის სამყაროს. მაშ რა ანათებს ამ სამყაროს? ღრმა ძილის მდგომარეობაში აბსოლუტური სიბნელეა: იქ არ არის არც ცოდნა, არც სიბრძნე; იქ არის მხოლოდ *ტამას-გუნა* (პასიურობა).

მაგრამ საიდან იცით, რომ იქ ბნელა? რას წარმოადგენს შეცნობილობის სინათლე, რომელიც იმის შესაძლებლობას გაძლევთ, რომ ამ სიბნელეს ხედავდეთ და აცნობიერებდეთ?

ღრმა ძილის მდგომარეობას აღწერენ როგორც არაცნობიერ მდგომარეობას; ძილის მდგომარეობას აღწერენ როგორც ქვეცნობიერ მდგომარეობას; სიფხიზლის მდგომარეობას აღწერენ როგორც ცნობიერ მდგომარეობას. კიდევ არსებობს მეოთხე მდგომარეობა, *ტურიია*, რომელიც ყველა დანარჩენ მდგომარეობას აღემატება: იგი შეიძლება აღვწეროთ როგორც ზეცნობიერი მდგომარეობა.

ტურიის მდგომარეობაში შეგიძლიათ ყველაფერს და ყველგან ხედავდეთ და უმაღლეს ნეტარებას განიცდიდეთ. ვისი სინათლე ანათებს ამ ნეტარების მდგომარეობას და იმის საშუალებას გაძლევთ, რომ ამ დაუშრეტელ სიხარულს განიცდიდეთ? ეს ნათება *ატმადან* მოდის. *ატმას* სინათლე ასევე ყველა სხვა მდგომარეობას ანათებს, და იმის საშუალებას გაძლევთ, რომ მათ ხედავდეთ.

ვედებში რიშები ტურიის ამ მდგომარეობის შესახებ ასე ამბობდნენ:

„ჩვენ შეგვიძლია ვხედავდეთ მდგომარეობას, რომელიც ყველა სხვა მდგომარეობას აღემატება, სიბნელის ჩათვლით, - მდგომარეობას სიზმრების გარეშე. სიზმრების გარეშე მდგომარეობის უკან იმყოფება ატმას სინათლე, რომელიც სიფხიზლის, ძილის და ღრმა ძილის მდგომარეობებს ანათებს“.

ეს რომ გავიგოთ, ავიღოთ მაგალითი სიფხიზლის მდგომარეობიდან. ერთი წუთით დახუჭეთ თვალები: რას ხედავთ? თქვენ იტყვით, რომ იქ არაფერია, იქ მხოლოდ აბსოლუტური სიბნელეა. მაგრამ მაშინ ჩნდება კითხვა: ვინ ხედავს ამ სიბნელეს? რამდენადაც ხედავთ ამას როგორც სიბნელეს, ამას სწორედ ასე აღწერთ; მაგრამ ხომ უნდა იყოს ცნობიერების სინათლე, რომ ამ სიბნელის დანახვაც კი შეძლოთ. ეს არის *ატმას* სინათლე – *ატმა-ჯიოტი*. მხოლოდ ამ ტრანსცენდენტალური სინათლის წყალობით ანათებს ყველა სხვა მდგომარეობის სინათლე.

დიპავალის დღესასწაულის - სინათლის დღესასწაულის - დროს ერთ სანთელს ანთებთ, და ამ სანთლით ყველა დანარჩენ სანთელსა და ლამპარს ანთებთ. პირველი სინათლე სხვა სინათლეთა საფუძველს წარმოადგენს; იმის წყალობით, რომ პირველი სინათლე გაქვთ, მრავალი სხვა სინათლის ანთება შეძელით. პირველ სინათლეს, რომელიც ყველა სხვა სინათლის საფუძველია, წარმოადგენს *ატმა-ჯიოტი*; ყველა სხვა, *ატმა-ჯიოტის* მიერ ანთებული, ინდივიდუალური ლამპრებია, რომლებიც ინდივიდუალურ არსებებს სიმბოლიზირებს. უთვალავი ინდივიდუალური არსების სინათლის სხვადასხვა წყარო

ინთება ერთადერთი წყაროს, *ატმა-ჯიოტის* დახმარებით. მხოლოდ *ატმა-ჯიოტის* წყალობით შეუძლია თვალებს ხედვა; ეს სინათლე შიგნიდან მოდის და ყველა არსებას და ყველა საგანს ანათებს ისევე, როგორც სინათლის ყველა გარე წყარო, როგორიცაა მზე და მთვარე.

შეიძლება დაინტერესდეთ, როგორ უნდა იყოთ დარწმუნებული იმაში, რომ *ატმა-ჯიოტი* ყველა სხვა ობიექტსა და სინათლის წყაროს ანათებს, თქვენ ხომ ვერ ხედავთ *ატმა-ჯიოტის* სინათლეს. შემდეგი მაგალითი ბატარეით შეიძლება ყურადსაღები იყოს.

არ შეგიძლიათ ელექტრული დენი დაინახოთ, რომელიც ბატარეის ელემენტში იმყოფება, მაგრამ თუ ნათურას ჩართავთ, მაშინ ნათურის სინათლეს დაინახავთ. ელემენტში ელექტრული დენი რომ არ ყოფილიყო, ნათურისგან სინათლეს ვერ მიიღებდით. სხეული შეიძლება წარმოიდგინოთ როგორც ელექტრული ნათურა, რომელიც ბატარეის ელემენტზე მუშაობს, რაც გონებას წარმოადგენს: თქვენი თვალები არის ნათურა, ინტელექტი კი – ამომრთველი, რომელიც ნათურას აკონტროლებს. გონების ბატარეის ელემენტში შენახულია ენერგიის განსაკუთრებული სახე, რომელიც *ატმასგან* მიიღება. ჩვეულებრივ ელექტრულ ბატარეაში ენერგია ძალიან სწრაფად ილევა, მაგრამ *ატმას* ენერგიის ნაკადი განუწყვეტლივ გადის გონებაში. *ვედები* აცხადებენ, რომ გონება *ატმური* ენერგიის საცავია. სწორედ ეს ამოუწურავი წყარო გაძლევთ სიამოვნების დროებით ნაკადს, როცა რაიმე სასიამოვნო საგანს აღიქვამთ.

ჭეშმარიტი სიხარული არის ის სიხარული, რომელიც უმაღლესი „მე“-დან მოდის

ყველა სიხარული და სიამოვნება ამქვეყნად დროებითია და წარმოადგენს მხოლოდ ანარეკლს უსაზღვრო სიხარულისა, რომელიც თქვენში იმყოფება. უმეცრების გამო გჯერათ, რომ თქვენი სიხარული გრძნობითი ობიექტებისგან მოდის და რომ ეს ხანმოკლე სიხარული ჭეშმარიტია. მაგრამ ჭეშმარიტია მხოლოდ ის, რაც უცვლელია. ამქვეყნიურ ობიექტებთან ასოცირებული დროებითი სიხარული არ წარმოადგენს ჭეშმარიტ სიხარულს. ჭეშმარიტია მხოლოდ *ატმანანდა*, მარადიული ნეტარება, რომელიც არის *ატმა*, ყველა სხვა სიხარული კი მოდის და მიდის. ის ყველაფერი, რასაც სიფხიზლის მდგომარეობაში ხედავთ, ძილის მდგომარეობაში ქრება. ძილის მდგომარეობაში განცდილ ყველა სიხარულსა და მწუხარებას უკან იტოვებთ, როცა სიფხიზლის მდგომარეობაში ბრუნდებით. სიფხიზლის მდგომარეობაში თქვენ მიერ დანახული ადამიანები და საგნები ცვალებად ანარეკლებად მოგეჩვენებათ ძილის მდგომარეობაში, შემდეგ კი მთლიანად შთაინთქმება და გაქრება ღრმა ძილის

მდგომარეობაში. თქვენი სიხარული ისევე იცვლება, როგორც ეს მდგომარეობები იცვლება.

ყველა ამქვეყნიური სიხარული, რომელსაც თქვენ უცვლელად თვლით, ბოლოს და ბოლოს ბევრ უსიამოვნებასა და მწუხარებას მოგიტანთ. ამიტომ ეუბნება კრიშნა არჯუნას:

„მხოლოდ ძირითად ჭეშმარიტებას მიაქციე ყურადღება; მაშინ სხვადასხვა სახის გამოვლინება არ შეგაწუხებს“.

საფუძველი არ იცვლება, მაშინ როცა ამ საფუძველზე დამოკიდებული გამოვლინებები მუდამ იცვლება. საფუძველი რომ გამოვლინებებთან ერთად შეცვლილიყო, ცხოვრებასაც კი ვერ შეძლებდით. განვიხილოთ პატარა მაგალითი.

სხვადასხვა დროს, მოგზაურობისას, ალბათ გადაადგილების სხვადასხვა საშუალებებს იყენებდით, ისეთებს, როგორიცაა მანქანა, მატარებელი, ავტობუსი და ა.შ. მანქანას და ავტობუსს სწრაფად მოძრაობა შეუძლიათ, და ფეხითაც თუ მიდიხართ, საკმაოდ სწრაფად შეგიძლიათ მოძრაობა; ყოველ შემთხვევაში ეს მოძრაობა ხდება გზასთან შეფარდებით, რომელიც უძრავი და უცვლელი რჩება. დავუშვათ, რომ მოძრავ მანქანასთან ან მოძრავ ავტობუსთან ერთად თვითონ გზაც აღმოჩნდება მოძრაობაში. მაშინ რა მოხდება? მოგზაურობას ვერ გააგრძელებთ. მიზნის მისაღწევად გზა უნდა უძრავი იყოს.

ასეთივე სახით, რამდენადაც *ატმა* – თქვენს გულში მობინადრე წყარო – უცვლელი და მდგრადია, შეგიძლიათ იმ ყველაფრით დატკბეთ, რაც ცვალებადია ამ სამყაროში. მაგრამ კრიშნამ არჯუნა გააფრთხილა:

„არჯუნა, ეს სამყარო წუთიერია; იგი არასაიმედო და მწუხარებით სავსეა. როდესაც იმ სამყაროში ცხოვრობ, რომელიც ამდენ ცვლილებასა და მოდიფიკაციას განიცდის, შეუძლებელია მარადიული ნეტარებით ტკბებოდე. გათავისუფლდი წუთისოფლისგან და ყურადღება მოკრიბე ტრანსცენდენტალურ პრინციპზე – მიმართე ატმას. იგი მარადიული და უცვლელია; მასში იპოვი გამოულეველ სიხარულს, რომელსაც ამაოდ ეძებ გარე სამყაროში“.

არ შეიძლება მანქანის ტარება, როცა ფეხი მუხრუჭზე გიდგათ

შეიძლება ფიქრობთ, რომ თუ აქ მსხდომ ბავშვებს გრძნობებზე კონტროლს ასწავლით, მაშინ ისინი ინერტულ უმწეო არსებებად გაიზრდებიან? მაგრამ არავინ ამბობს, რომ არ შეიძლება საკუთარი გრძნობების გამოყენება; უბრალოდ საჭიროა მათი სწორად კონტროლირება. ეს მანქანის მუხრუჭის მსგავსია: როდესაც

საშიშროება ჩნდება, თქვენ მუხრუჭს იყენებთ, რომ მანქანა გააჩეროთ. სტუდენტებმა ძალიან ყურადღებით უნდა იფიქრონ ამაზე. როდესაც *სვამი* გეუბნებათ, რომ გრძნობების კონტროლი, გონების კონტროლია საჭირო, ზოგიერთი თქვენგანი ეჭვდება, შეძლებს კი იგი ასეთი სახით ცხოვრებას საერთოდ და თავისი ამოცანების შესრულებას. *სვამი* არ გთხოვთ, რომ მანქანა ისე ატაროთ, რომ ფეხი მუხრუჭზე გედგათ, ის გთავაზობთ მუხრუჭი მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში გამოიყენოთ, რომ მანქანა აკონტროლოთ, როცა რაღაც საშიშროება ჩნდება, როდესაც, მაგალითად, ცუდი აზრები, ცუდი გრძნობები გაქვთ, როცა ხედავთ და უსმენთ ცუდს და ა.შ. – მაშინ კონტროლი უნდა გამოიყენოთ. თუ მუხრუჭი სრულიად არა გაქვთ, მაშინ უთუოდ უბედურებაში მოხვდებით. ხარი, რომელიც კონტროლს არ ემორჩილება, ცხენი აღვირის გარეშე, მანქანა მუხრუჭის გარეშე, ადამიანი, რომელიც გრძნობებს არ აკონტროლებს, - ისინი ყველანი საშიშნი არიან და უბედურებას მოგიტანენ.

„ამიტომ, არჯუნა, - უთხრა კრიშნამ, - *როდესაც გრძნობებსა და გონებას აკონტროლებ, გააცნობიერე ამ სამყაროში არსებული ობიექტებისთვის დამახასიათებელი არასრულყოფილება. მაშინ ბედნიერად ცხოვრებას შეძლებ ყველგან, იმიტომ რომ განმტკიცდები მთელი ბედნიერების წყაროში – ატმაში, რომელიც მარადიული ნეტარებაა“.*

ვედანტა არასოდეს ასწავლიდა ოჯახზე ან ამქვეყნიურ ვალდებულებებზე უარის თქმის აუცილებლობას. ყველა გრძნობა სწორად გამოიყენეთ მორალური თვალსაზრისით დროისა და გარემოებების შესაბამისად. სწორედ ამ კონტექსტში ასწავლის *ბჰაგავად-გიტა* შემდეგ დისციპლინას: თქვენს მოქმედებებში საზღვრებს იცავდეთ. თუ ყველაფერს სწორად და მისაღებ საზღვრებში აკეთებთ, მაშინ ვერაფერი გავნებთ; მაგრამ გადაჭარბების დროს ყველაზე უფრო უცოდველმა მოქმედებამაც კი შეიძლება გავნოთ. მაგალითად, საკვების შეუზღუდავად მიღება საბოლოო ჯამში საჭმლის მონელებას პრობლემებს შეუქმნის, აგრეთვე გონებას მღელვარებას მოუტანს. იგივე ეხება მიბმულობებს: გადამეტებული მიბმულობა არის მენტალური ავადმყოფობის სახეობა; მაგრამ შეზღუდული მიბმულობა არ არის ასე საშიში. ისევე, როგორც მუხრუჭი მანქანაში მგზავრების კეთილდღეობისა და დაცვისთვის გამოიყენება, გრძნობის ორგანოები უნდა კონტროლზე იყოს აყვანილი და სხეულის მობინადრის კეთილდღეობისა და დაცვისთვის იყოს გამოყენებული. აი ასე დაჟინებით რატომ მოითხოვდა კრიშნა, რომ არჯუნას გრძნობებზე კონტროლი განევითარებინა.

განდგომილება, ერთგულება და გრძნობების კონტროლი

გრძნობების კონტროლი თქვენი გულის ლამპის პატრუქის მსგავსია. არასაკმარისია უბრალოდ გქონდეთ პატრუქი – გრძნობების კონტროლი. ასევე უნდა გქონდეთ ზეთი – საწვავი ლამპისთვის: ეს არის თქვენი ერთგულება. ასევე საჭიროა ჭურჭელი, რომელიც ზეთს შეიცავს: ეს არის თქვენი არამიბმულობა. თუ გაქვთ ჭურჭელი, ზეთი და პატრუქი, მაშინ ლამპის ანთება არ არის ძნელი. თუმცა ვინმე უნდა მოვიდეს, რომ ლამპა აანთოს. ეს *ვინმე* არის ღმერთი. როდესაც გაქვთ არამიბმულობა, ერთგულება და გრძნობების კონტროლი, მაშინ ღმერთი მოვა და ლამპას აანთებს თქვენს გულში. არჯუნას შემთხვევაში, ის, ვინც ლამპის ანთების წმინდა აქტი შეასრულა და *ატმა-ჯიოტის* დიდებულება აღმოაჩინა არჯუნას გულში, იყო კრიშნა.

დავუშვათ, თქვენ გაქვთ ყვავილები, ნემსი და ძაფი; განა ეს ყველაფერი ავტომატურად ყვავილწნულად იქცევა? არა. ვინმე უნდა იყოს, ვინც ყვავილებს აასხამს და ყვავილწნულს შექმნის. შეიძლება გქონდეთ ოქრო და ძვირფასი თვლები, მაგრამ ოქრომჭედლის გარეშე, რომელიც ამ საგნებისგან მშვენიერ საიუველირო ნაკეთობას ქმნის, მის მიღებას ვერ შეძლებთ. მაშინაც კი, თუ ინტელექტი და ცოდნა გაქვთ, როგორ უნდა მიიღოთ განათლება მასწავლებლის გარეშე? მაშინაც კი, თუ გაქვთ წიგნი ანბანის ყველა ასოთი და თქვენი თვალები მას უყურებს, იგი თქვენთვის უაზრო იქნება იქამდე, სანამ კითხვას არ გასწავლიან. თუ არსებობს კიდეც ყველგან მყოფი *ატმა*, სულიერი სწავლება და შეცნობისკენ სწრაფვა, უნდა მოვიდეს მასწავლებელი, რომელიც უკვდავ სწავლებას გადმოგცემთ.

ატმა-ვიდიას, თქვენი „**მე**“-ს წმინდა ცოდნის, შემთხვევაში, მასწავლებელი, რომელიც თქვენთან მოდის, ამქვეყნიური მასწავლებელია; მაგრამ თვითონ ღმერთი წაგიყვანთ მიზნისკენ. თუ მზად ხართ იმისათვის, რომ გააცნობიეროთ რეალობა, რომელიც სამყაროში არსებული ყველა ობიექტის საფუძველში იმყოფება, და ღვთაებრივი პრინციპი გახსნათ თქვენში, მაშინ ჭეშმარიტ *გურუსთან, ჯაგატ გურუსთან* (მსოფლიოს მასწავლებელთან) უნდა გაიაროთ სწავლება; იგი უეჭველად მოვა ამისთვის. არჯუნას შემთხვევაში ღვთაებრივი მასწავლებელი იყო კრიშნა; იგი არჯუნას გრძნოებების კონტროლს ასწავლიდა.

რაღაც დროის დახარჯვაა თქვენთვის საჭირო იმისათვის, რომ გრძნობების კონტროლზე სწავლებათა უფრო ღრმა მნიშვნელობა გაიაზროთ; ეს სწავლებები კრიშნამ არჯუნას მისცა ბრძოლის ველზე, *დჰარმაქშეტრაზე* – არა *აშრამის* ტერიტორიაზე, არამედ ბრძოლის ველზე, დიადი ბრძოლის წინ, ბრძოლისა მართლქმედების დაცვისთვის

და უსამართლო მრისხანე ძალებისა და არამართლქმედების მოსპობისთვის.

თავი მეოცე

თქვენი უმაღლესი „მე“-ს ცოდნის გარეშე ამქვეყნიური ცოდნა უსარგებლოა

გიტაში კრიშნა ასწავლიდა, რომ როდესაც სულიერ ცოდნას შეიძენთ, მთელი არცოდნა გაიფანტება; მაშინ თქვენი ტანჯვები, სიძნელეები და მწუხარებები გაქრება.

სიყვარულის განხორციელებანო!

სანამ ამ ფიზიკურ სხეულთან აიგივებთ თავს, ურიცხვ სიძნელესა და მწუხარებას განიცდით. ძირითადი მიზეზი, რის გამოც ეს სხეული მიიღეთ, იმაშია, რომ მოგეცეთ შესაძლებლობა, რომ დაკავებული იყოთ იმ მოღვაწეობით, რომელიც მოგცემთ იმის საშუალებას, რომ თქვენი წინა მოქმედებების, წარსულის კარმის, შედეგები მოიმკათ. მაგრამ როგორ მოხდა თავდაპირველად, რომ ეს კარმა დაგროვდა? კარმის მიზეზია *რაგა* და *დვეშა* – გატაცება ან მიბმულობა, რომლებსაც ერთი საგნის მიმართ განიცდით, და მტრობა ან ანტიპათია, რომლებსაც მეორის მიმართ განიცდით. მაგრამ რა არის ასეთი მიზიდვისა და განზიდვის მიზეზი? მიზეზი ორობითობაშია: თქვენ გჯერათ, რომ ეს სამყარო რეალურია და თქვენგან განცალკევებული ობიექტებით არის შევსილი. საიდან გაჩნდა ეს ორობითობა? მისი მიზეზი უმეცრებაშია, ბნელ ვუალშია, რომელიც თქვენი ჭეშმარიტი რეალობის ცოდნას ფარავს.

სიბრძნის სინათლე უმეცრების სიბნელეს ფანტავს

თქვენ დაგავიწყდათ მთელი არსებულის ძირითადი ერთიანობა, ვერ აცნობიერებთ ყველაფრის ღვთაებრივ საფუძველს. მხედველობიდან დაკარგეთ *ატმა*, თქვენი საკუთარი „**მე**“. ამ უმეცრების მიზეზით ბევრ მწუხარებასა და სევდას განიცდით. თუ უმეცრების სიბნელისგან გინდათ გათავისუფლება, სიბრძნის სინათლეს უნდა დაეუფლოთ. ერთადერთი, რასაც სიბნელის მოსპობა შეუძლია, არის სინათლე, ისევე, როგორც ერთადერთი რასაც უმეცრების მოსპობა შეუძლია, არის სიბრძნე, ანუ სულიერი ცოდნა. უმეცრება ღვთაებრიობის ცოდნას ფარავს, და არ შეგიძლიათ ჭეშმარიტების გაცნობიერება. ისევე, როგორც კოცონის მბჟუტავი ნაკვერცხლები ნაცრით არის დაფარული, თქვენი სიბრძნე უმეცრების ნაცარმა

დაფარა, და ამიტომ არ შეგიძლიათ, რომ თქვენი საკუთარი რეალობა შეიცნოთ.

თვალებს შეიძლება მხედველობის ძალა ჰქონდეს, მაგრამ თუ ისინი კატარაქტით არის დაავადებული, მაშინ დანახვას ვერ შეძლებთ. მხოლოდ მას შემდეგ, როცა ოპერაცია ჩატარდება, მხედველობა დაგიბრუნდებათ. ამის მსგავსად მხოლოდ სულიერი ოპერაციის შემდეგ, როცა უმეცრების ღრუბელი იქნება მოცილებული, სიბრძნის მზე თავისუფლად გაანათებს, ისევე, როგორც მზის სხივები ოთახს გაანათებს, როგორც კი ფანჯრებზე ფარდებს გასწევთ. ღვთაებრიობის პრინციპი ყოველ ადამიანში არსებობს, ამიტომ შეუძლებელია, რომ ვინმეს აბსოლუტურად ჰქონდეს სიბრძნე წართმეული. არავითარი ეჭვი არ არის იმაში, რომ დროთა განმავლობაში მთელი კაცობრიობა მივა ღმერთთან – ყოველი ადამიანი გააცნობიერებს თავის ღვთაებრიობას.

ადამიანის ცხოვრება, ღვთაებრივ მდგომარეობამდე გაფართოებული, ღმერთის სწორი ხდება. უსასრულოდ გაფართოებული ადამიანის გონება ტოლი ხდება შემოქმედების პრინციპისა, რომელმაც ეს სამყარო შექმნა. „**მე**“ ადამიანში და მასში მკვიდრი ღვთაებრიობა ერთი და იგივეა. დაუმატეთ თქვენს თავს ღვთაებრიობა და თქვენ თვით ღვთაება ხდებით. სამწუხაროდ, როდესაც განსხეულდით, დაივიწყეთ თქვენი ღვთაებრიობა, თქვენი ყველგანმსუფეობა, რომელსაც საზღვრები არა აქვს; მხოლოდ თქვენს შეზღუდულ ინდივიდუალობას აცნობიერებთ. თუ გინდათ, რომ უსასრულობას მიაღწიოთ, თქვენს თავს უნდა დაუსვათ შეკითხვები თქვენთვის დამახასიათებელ ღვთაებრიობაზე.

ატმა უცვლელი რჩება, მაშინ როცა ინდივიდუუმი იცვლება

ავიღოთ ადამიანი, რომელმაც სახლი ააშენა. იმ მომენტიდან, როცა მან მშენებლობა დაასრულა, იგი სახლს „თავისად“ თვლის. მისი სიკვდილის შემდეგ სახლი მის მემკვიდრეზე გადადის, რომელიც თავის მხრივ სახლს „თავისად“ თვლის. დავუშვათ, რაღაც დროის შემდეგ სახლის ახალი მფლობელი ღარიბდება, და იძულებულია სახლი გაყიდოს, რომ ვალები გაისტუმროს. სხვა ადამიანი ყიდულობს მას და იმავე სახლს „თავის“ სახლს უწოდებს. მაშ სინამდვილეში ვის ეკუთვნის სახლი? ეკუთვნის თუ არა იგი იმას, ვინც ის ააშენა, იმას, ვინც ის მემკვიდრეობით მიიღო, თუ იმას, ვინც ის იყიდა? თვითონ სახლი არაფრით შეცვლილა; სხვა სიტყვებით, ობიექტი ისეთად რჩება, როგორიც წინათ იყო. იცვლებიან მხოლოდ ადამიანები, რომლებსაც მასზე აქვთ პრეტენზია. სახლი უბრალოდ ადგილზე დგომას

აგრძელებს, მაშინ როცა ის, ვინც მასზე უფლებას აცხადებს, მუდამ იცვლება.

ასეთივე სახით არსებობს უცვლელი არსი, *ატმა*, რომელზედაც, როგორც სახლზე, გავლენას არ ახდენს უამრავი მფლობელი; ეს მფლობელები მოდიან და მიდიან. ყოველი მათგანი უფლებას აცხადებს ამ „**მე**“-ს პირად მფლობელობაზე; ეს „**მე**“, როგორც მათ სწამთ, მათ საკუთარ არსს წარმოადგენს. ამრიგად, ეს „მე მეკუთვნის“ მუდამ ცვლილებას განაგრძობს; მაგრამ *ატმა*, რომელზედაც ცხადდება უფლება როგორც პირად საკუთრებაზე, გულგრილი რჩება ყველა ამ უფლების მოთხოვნაზე.

არის თუ არა რაიმე წამალი იმისთვის, რომ განიკურნოს ავადმყოფობა სახელად „ჩემი“? უძველესი წმინდა ტექსტები, ახლად აღმოჩენილის ჩათვლით, აცხადებენ, რომ გონებაა პასუხისმგებელი ამ მესაკუთრულ ბუნებაზე. ნათქვამია, რომ, აღქმის ხუთი გრძნობის გარდა, გონება შეიძლება მეექვსე გრძნობად ჩაითვალოს. მაგრამ ის არ წარმოადგენს კიდევ ერთ გრძნობას, ისეთს, როგორიც სხვებია; გონება ფაქტიურად ყველა გრძნობის პატრონია.

გონების ორი მდგომარეობა: სუფთა და უსუფთაო გონება

გონება რომ არ ყოფილიყო, მაშინ ვერც მამოძრავებელი ორგანოები, ვერც აღქმის ორგანოები საერთოდ ვერ შეძლებდნენ ფუნქციონირებას. გონება ყველა ამ გრძნობის რეგულატორის მდგომარეობაში იმყოფება; იგი ხიდივით მოქმედებს ადამიანის შინაგანი ცხოვრების მიმართ. თქვენ შეიძლება აქ იმყოფებოდეთ, თქვენი თვალები და ყურები შეიძლება აღიქვამდნენ იმ ყველაფერს, რაც ხდება, მაგრამ, თუ თქვენი გონება აქ არ იმყოფება, თუ ის გაფანტულია, სადღაც თქვენს სოფელში დაეხეტება და იქ მომხდარ მოვლენებზე ფიქრობს, ვერ შეამჩნევთ იმას, რაც აქ ხდება. მოგვიანებით, შესაძლოა, თქვენს მეზობელს ჰკითხოთ: *რა თქვა სვამიმ? ჩემი გონება სხვა ადგილას დაქროდა“.* რა არის იმის მიზეზი, რომ არ გესმით, მიუხედავად იმისა, რომ თქვენი ყურები აქ არის? რა არის იმის მიზეზი, რომ ვერ ხედავთ, თუმცა თქვენი თვალები აქ იმყოფება? ამის მიზეზი გონებაა. თუ თქვენი გონება აქ არ იმყოფება, მაშინ მიუხედავად იმისა, რომ თვალები აქ არის, ვერ შეიგნებთ, ვინ არის თქვენი მეზობელი; მიუხედავად იმისა, რომ თქვენი ყურები აქ არის, ვერ შეიგნებთ, რაზეა საუბარი.

ამის შინაგანი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ გონება გრძნობის ორგანოების პატრონს წარმოადგენს; გრძნობის ყველა ორგანო გონებას უნდა იყოს დამორჩილებული. თუ გონება სრულ

სიმშვიდეშია, გრძნობის ორგანოებს არ შეუძლიათ ფუნქციონირება საერთოდ. გონაბას ორი მდგომარეობა აქვს: ერთია უსუფთაო გონება, *მანასი*, მეორე კი – სუფთა გონება, *ჩიტა*. როდესაც გონება გრძნობის ორგანოებს არის აყოლილი, იგი უსუფთაოა; როცა მას გრძნობის ორგანოები კონტროლის ქვეშ ჰყავს, მაგრამ *ბუდჰის,* სულიერი გონების, მორჩილებაშია იგი, მაშინ იგი სუფთაა. ორივე მდგომარეობა ერთი და იგივე გონების მხოლოდ ასპექტებია. განვიხილოთ პატარა მაგალითი.

ჩემს ხელში მყოფი ცხვირსახოცის ბუნებაში სითეთრეა ჩადებული; თეთრი ფერი მისთვის ბუნებრივია. როდესაც მას ხმარობთ, იგი ჭუჭყიანდება, და მაშინ მას ჭუჭყიანს უწოდებთ. გარეცხვის შემდეგ კვლავ სუფთა ქსოვილად თვლით. ეს ჭუჭყიანი და სუფთა ქსოვილი ერთი და იგივე ცხვირსახოცია. იგივე ქსოვილი ჭუჭყიანი გახდა, იმიტომ რომ მასზე ჭუჭყი დაგროვდა. როცა გარეცხავენ, ჭუჭყს მოაცილებენ, ის სუფთავდება, და მას სუფთა ქსოვილს უწოდებთ. თქვენ ამბობთ, რომ მრეცხავმა ის თეთრი გახადა. მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის: სითეთრე მისი ბუნებრივი მდგომარეობაა. მრეცხავმა მას უბრალოდ ჭუჭყი მოაცილა. ასეთივე სახით, როდესაც გონება შთანთქავს უსუფთაობას გრძნობის ორგანოებისგან, იგი შეიძლება აღვწეროთ როგორც „უსუფთაო გონება“. მაგრამ როცა გონება გრძნობის ორგანოებზე არ არის მიმართული, და გრძნობის წარმოდგენები მოცილებულია, ის კვლავ „სუფთა“ ხდება. ამ კონტექსტში უნდა გესმოდეთ მნიშვნელობა ამ ორი სიტყვისა, რომელიც გონებისთვის გამოიყენება: *ჩიტა* და *მანასი*.

დაამშვიდეთ გონება – ღმერთისკენ მიმართეთ ის

როდესაც გონება გრძნობის ორგანოების ჭუჭყისგან თავისუფალია, იგი შეიძლება აღვწეროთ როგორც *ჩიტა*. როდესაც ის გრძნობის ორგანოებთან ასოცირდება, მაშინ ეს არის *მანასი*, უსუფთაო გონება. *მანასი* მხოლოდ აზრების კონაა; იგი შეიძლება გავიგოთ როგორც აზროვნების თვით პროცესი. აზროვნების პროცესში იგი ჭუჭყიანდება. როდესაც გრძნობის ორგანოების უსუფთაო წარმოდგენებს შთანთქავს, იგი თვითონ ხდება უსუფთაო; ასეთ მომენტში გონებას უწოდებთ სიტყვით „*მანასი*“. *მანასი* – გონება – არის ის, რაც ფიქრობს; მას არ გააჩნია რაღაც გარკვეული ფორმა. თუ გონებას გრძნობის ორგანოებისგან მიაბრუნებთ და ღმერთისკენ მიმართავთ, მაშინ შეძლებთ მის გათავისუფლებას ყველა უბედურებისა და მწუხარებისგან, რომლებიც დაკავშირებულია უსუფთაო აზრებთან, ეს აზრები კი გრძნობის ორგანოების წარმოდგენებისგან ჩნდება.

ამიტომ საჭიროა ყოველგვარ ძალისხმევას იჩენდეთ იმისათვის, რომ გონება გრძნობის ორგანოებისგან მიაბრუნოთ და ღმერთისკენ მიმართოთ. ეს შეიძლება აღვწეროთ როგორც მედიტაცია ან *იოგა* – ღმერთთან ერთიანობა. ეს არის პროცესი, რომლის დახმარებით უსუფთაოდ ქცეულ გონებას ასუფთავებთ, და კვლავ სუფთას ხდით. გონებას რაღაც ზომით სიმშვიდე სჭირდება, ისევე როგორც სხეულს სჭირდება დასვენება. როგორ უნდა დაამშვიდოთ გონება? გონებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია რაღაც სიმშვიდე მიიღოს, თუ აზროვნების პროცესს აკონტროლებთ და აზრთა ნაკადს ანელებთ. გონება ყოველთვის ახდენს იმის მცდელობას, რომ გრძნობის ორგანოების მეშვეობით გრძნობით ობიექტებთან გავიდეს; ეს აზროვნების პროცესის აჩქარებას იწვევს. თუ გონების გარეთკენ სწრაფვის ტენდენციას გააკონტროლებთ, და ამის ნაცვლად მას ღმერთისკენ მიმართავთ, უსუფთაო აზრები შემცირდება. მაშინ სწორად გამოიყენებთ გონებას, და ამავე დროს დაასვენებთ. ამას აღწერენ როგორც *აბჰიასა-იოგას* – მუდმივი პრაქტიკის *იოგას*. განვიხილოთ ეს უფრო დაწვრილებით.

როგორ უნდა გადაკვეთოთ ამქვეყნიური ცხოვრების ბობოქარი მდინარე

როდესაც ფართო მძლავრ მდინარეზე მოგზაურობთ, რომელ *მთავარ* ცოდნას უნდა ფლობდეთ? ცურვა უნდა იცოდეთ. ეს უპირველეს ყოვლისა; ეს პირველხარისხოვანი უნდა იყოს. თუ უზარმაზარ მდინარეზე სამოგზაუროდ მიემართებით და ცურვა არ იცით, მაშინ როგორი განათლებაც არ უნდა გქონდეთ, სიცოცხლეს საფრთხეს უქმნით. *სვამის* რამდენჯერმე მოუყოლია შემდეგი ისტორია, მაგრამ რამდენადაც აქ ახალი სტუდენტები გვესწრებიან, შეგვიძლია გავიმეოროთ.

ერთ სწავლულ *პანდიტს* მდინარის გადაკვეთა ესაჭიროებოდა, რომ მნიშვნელოვან შეკრებაზე სიტყვით გამოსულიყო. ქარი და მდინარის დინება ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მოძრაობდა, ასე რომ მგზავრობა იმ დღეს ძალიან შენელებული იყო. *პანდიტებს* ჩვეულება აქვთ, რომ ბევრი ილაპარაკონ, იქნება ეს თავის თავთან, როცა წმინდა წერილებიდან ლექსებს იმეორებენ, თუ ვინმესთან, ვინც მასთან ახლოს აღმოჩნდა. ამ დღეს მდინარეზე მენავე დაძაბულად მართავდა ნავს. რამდენადაც *პანდიტი* ერთადერთი მგზავრი იყო ნავში, მან მენავესთან დაიწყო საუბარი.

„წერა-კითხვა იცი?“ - ჰკითხა მან.

მენავემ უპასუხა:

„არა, არ ვიცი არც წერა, არც კითხვა“.

„უცნაურია, - განაცხადა პანდიტმა, - ჩვენს დროში ყველა სოფელში მთავრობამ სკოლები გახსნა, შენ კი წერა-კითხვაც კი არ ისწავლე“.

უსაქმურობის გამო *პანდიტი* საუბარს განაგრძობდა. მან ჰკითხა:

„მუსიკაში ერკვევი?“

მენავემ უპასუხა:

„სვამი, მუსიკაში არაფერი გამეგება“.

„რა უცნაური ხარ. ყოველ ქუჩაზე არის კინო, ირგვლივ საკმარისად არის ხმამაღლა მოლაპარაკეები, რომლებითაც მელოდიების ტრანსლაცია ხდება ბოლო კინოფილმებიდან, გადაცემები სავსეა პოპულარული ჩანაწერებით. ტრანზისტორი მაინც უნდა შეიძინო, რომ მუსიკას ისმენდე“.

მენავემ წარმოთქვა:

„მე ისიც კი არ ვიცი, რა არის ტრანზისტორი“.

პანდითი აღშფოთეამ მოიცვა:

„თუ ჩვენს კალის საუკუნეში ისიც კი არ იცი, რა არის ტრანზისტორი, ცხოვრების უმეტესი ნაწილი დაკარგე, ყოველ შემთხვევაში შენი ცხოვრების მეოთხედი უკვე დაკარგულია“.

მან მენავეს კიდევ ერთი შეკითხვა დაუსვა:

„გაზეთი გაქვს თან წამოღებული?“

„არა, არავითარი განათლება არ მიმიღია, და ამიტომ რა აზრი აქვს გაზეთის ქონას, სვამი?“

პანდიტი განაგრძობდა:

„ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ახლა მოდაშია, რომ გაზეთი გქონდეს თან, მაშინაც კი, თუ განათლება არ მიგიღია. ის უბრალოდ დახვეული გიჭირავს იღლიაში; ყველა ასე აკეთებს. თუ თან არ გაქვს გაზეთი, მაშინ ამაოდ დახარჯე შენი ცხოვრების კიდევ უფრო მეტი ნაწილი; ყოველ შემთხვევაში ნახევარი უკვე დაკარგულია“.

რამდენიმე წუთის შემდეგ *პანდიტმა* კვლავ დაუსვა კითხვა:

„საათი გაქვს? შეგიძლია მითხრა, რომელი საათია?“

მენავემ უპასუხა:

„სვამი, მართალი რომ გითხრათ, საათის ცნობა არ ვიცი, მაშ რა აზრი აქვს იმას, რომ საათი მქონდეს?“

„თუ საათის ცნობაც კი არ იცი, პლასტიკისგან გაკეთებული საათი მაინც უნდა გქონდეს ხელზე გაკეთებული. ახლა ესეც ძალიან მოდაშია. ნახე, შენი ცხოვრების რა დიდი ნაწილი დაკარგე. თუ არ გაქვს არც ტრანზისტორი, არც გაზეთი, და, ამას გარდა, საათსაც არ ატარებ, - შენი ცხოვრების სამი მეოთხედი დაკარგულია“, - აუხსნა *პანდიტმა.*

ამ დროს ძლიერი ქარი ამოვარდა, რომელიც ქარიშხლად იქცა. ნავი ირყეოდა, ტოკავდა, და მალე მდინარე ნაპირზე გადავიდა, როგორც წყალდიდობის დროს. მენავე ნავს ვეღარ აკონტროლებდა. მან *პანდიტს* ჰკითხა:

„სვამი, ცურვა იცი?“

პანდიტმა უპასუხა:

„არა, არასოდეს მისწავლია ცურვა“.

სანამ ნავიდან გადახტებოდა, მენავემ პანდიტს უთხრა:

„სვამი, ძალიან სამწუხაროა! თუ ცურვა არ იცი, მაშინ ახლა მთელ შენს ცხოვრებას დაკარგავ!“

ბობოქარ მდინარეზე მოგზაურობისას ცურვა უნდა იცოდეთ. ცურვის ცოდნის გარეშე ყველა სხვა ცოდნა – ფილოსოფია, ფიზიკა, ქიმია, ბოტანიკა, კომერცია, მათემატიკა, პოლიტიკური მეცნიერებები და ა.შ. – უსარგებლო იქნება. ცხოვრებაში მოგზაურობისას თქვენ ბობოქარ არაპროგნოზირებად მდინარეში ცურავთ, და უნდა იცოდეთ, თავი როგორ გეჭიროთ წყალში, რომ მდინარე გადაკვეთოთ. იმისათვის, რომ მდინარეზე უსაფრთხოდ გადახვიდეთ, უნდა *აღმას* ცოდნას ფლობდეთ და გარჩევის დიდ უნარს ავითარებდეთ თქვენში, რომ იცოდეთ, რა არის სასარგებლო, და რა – უსარგებლო ამქვეყნიური ცხოვრების მდინარის გადაკვეთის დროს. თუ ასეთი უნარი არ განავითარეთ, ვერაფრით იპოვით განხორციელებას თქვენს ცხოვრებაში.

გარე და შინაგანი თავისუფლება

სანამ თქვენს ცხოვრებას სიმდიდრეზე, საკუთრებაზე და ამქვეყნიურ საგნებზე ამყარებთ, ვერასოდეს მიიღებთ ჭეშმარიტ სიხარულს. ყოველმა ადამიანმა ორ რამეს უნდა მიაღწიოს: პირველია გარე თავისუფლება, მეორე კი – შინაგანი თავისუფლება. გარე თავისუფლება დამოუკიდებლობაზე ამბობს, იმაზე, რომ გარეშე ბორკილებისგან და შეზღუდვებისგან იყოს თავისუფალი. შინაგანი თავისუფლება გრძნობის ორგანოების ბორკილებისგან გათავისუფლებაზე ამბობს, მათი სრული კონტროლის აუცილებლობაზე. ყოველმა ადამიანმა თავისუფლების ორივე სახე უნდა გააცნობიეროს.

გარე სამყაროში, სანამ სხვა ადამიანთა კონტროლის ქვეშ იმყოფებით, ისეთების, როგორიცაა რომელიღაც უცხოელი მეფე ან მმართველი, ჭეშმარიტი სიხარულის მიღებას ვერ შეძლებთ. სანამ გრძნობების მონად რჩებით, შიდა სამყაროშიც ვერ შეძლებთ ჭეშმარიტი თავისუფლებით ტკბობას. გარეშე თავისუფლებაშიც კი მნიშვნელოვანია გრძნობის ორგანოების კონტროლი. მაგრამ

იმისათვის, რომ თქვენი შიდა სამყაროს პატრონი გახდეთ, ერთადერთ, ყველაზე მნიშვნელოვან უნარს, რომელიც უნდა განავითაროთ, წარმოადგენს გრძნობის ორგანოების კონტროლი, რომელიც გონების დაუფლების გზით მიიღწევა. როგორც კი გონების კონტროლს მიაღწევთ, უმალვე შეძლებთ ჭეშმარიტი სიხარულის მიღებას როგორც გარეგნულად, ასევე შინაგანად, რადგან მაშინ უფლის ყველგან დანახვას შეძლებთ.

გონების კონტროლი და გრძნობების კონტროლი, აი ის გამარჯვება, რომელიც ყოველმა ადამიანმა უნდა მოიპოვოს. ამ დრომდე გწყურიათ სხვადასხვა სახის სიხარული და სიამოვნებები; ლოცვას განაგრძობთ ბედნიერების თხოვნით, მაგრამ არავითარ ძალისხმევას არ იჩენთ იმისათვის, რომ გამოარკვიოთ, სად იმყოფება ნამდვილი ბედნიერება.

კრიშნამ არჯუნას უთხრა:

„შენს თავს ატყუებ, გჯერა, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში შეიძლება ბედნიერებისა და სიმშვიდის პოვნა; შეუძლებელია იქ ჭეშმარიტი სიხარულის მიღება. გრძნობითი ობიექტები ვერ მოგცემს იმ სიხარულს, რომელსაც ეძებ. როდესაც შენი გრძნობების გაკონტროლებას დაიწყებ, მხოლოდ მაშინ შეძლებ სიმშვიდისა და სიხარულის მიღებას“.

თეისტი ხართ თუ ათეისტი, გრძნობებზე კონტროლის მიღწევა მოგიხდებათ. ნებას ნუ მისცემთ მათ, რომ აღიგზნონ და გრძნობათა ობიექტებს გამოეკიდონ. როდესაც გრძნობები აღგზნებულია, ყოველგვარი სისუსტე იჩენს თავს, და ამ პროცესში უფალი გავიწყდებათ. იმის ნაცვლად, რომ გრძნობებს მიჰყვებოდეთ, უფლისკენ მიმართეთ გონება; მისი წყალობის გარეშე ძალები მიგატოვებთ, და ვერავითარ სასარგებლო სამუშაოს ვერ შეასრულებთ.

იმისათვის, რომ რაიმეს მიაღწიოთ, ღმერთის წყალობაა საჭირო

იმყოფებოდა რა კრიშნას საზოგადოებაში და მიიღო რა მისი კურთხევა, არჯუნა იყო ძლევამოსილი გმირი; მას მრავალი გმირული მოქმედების შესრულება შეეძლო. როგორც კი კრიშნამ თავისი წარმავალი სხეული მიატოვა, არჯუნამ მთელი სიმამაცე და ძალა დაკარგა. როდესაც არჯუნამ ქალები და ბავშვები პანდავების სატახტო ქალაქ ჰასტინაპურში წაიყვანა, ტყეში მას ყაჩაღები დაესხნენ თავს. არჯუნა მთელი ძალით ებრძოდა მათ, რომ მკვლელებისა და მძარცველებისგან ქალები და ბავშვები გაეთავისუფლებინა, მაგრამ ვერაფერს გახდა.

არჯუნა, რომელიც დაუმარცხებელი იყო და რომელმაც მაჰაბჰარატას ომში მრავალი დიადი გმირი დაამარცხა, უძლური აღმოჩნდა იმისათვის, რომ სულ ცოტა რამ მაინც გაეკეთებინა: ყაჩაღებისგან ეხსნა ქალები და ბავშვები, რომლებიც მისი დაცვის ქვეშ იყვნენ. რა არის ამის მიზეზი? იმ მომენტამდე არჯუნა გრძნობდა, რომ სიმამაცისა და ძალის წყალობით იმარჯვებდა. მაგრამ ეს არ იყო მისი ძალა; ეს იყო ღმერთის ძალა.

მაშინაც კი, თუ ადამიანი ღვთაებრივი ძლევამოსილებითა და ძალით არის დაჯილდოებული, შეცდომაში შედის, როცა ფიქრობს, რომ ძალა, რომელსაც ის ფლობს, მისი საკუთარი ადამიანური ძალაა. ასე მოხდა არჯუნას შემთხვევაშიც. როდესაც ღმერთის ძალა დაკარგა, მან სულ ცოტას შესრულებაც კი ვერ შეძლო.

ადამიანს მოქმედების სხვადასხვა სახის შესრულება შეუძლია, იმიტომ რომ მისთვის ღვთაებრიობაა დამახასიათებელი და იმიტომ რომ შინაგანი ძალა, მხარდაჭერა და სიძლიერე მას ღმერთმა მისცა. ღმერთის ძლევამოსილებისა და ძალის გარეშე ადამიანი ვერაფრის გაკეთებას შეძლებდა. „ღვთაებრივი მარკის“ გარეშე ადამიანის სულ პატარა მცდელობებიც კი, რომ რაიმე გააკეთოს, წარმატებით ვერ დასრულდება. განვიხილოთ შემდეგი მაგალითი.

დავუშვათ, ქაღალდისგან ლამაზი კონვერტი გააკეთეთ. მასზე ლამაზი ხელწერით *სვამის* მისამართი დაწერეთ და კალიგრაფიულად დაწერილი და სხვადასხვა ფერის საღებავით მოხატული წერილი ჩადეთ შიგ. კონვერტის კიდეებიც სხვადასხვა ფერის მოხატულობით დახვეწილად შეალამაზეთ. კონვერტი დაბეჭდეთ და გააგზავნეთ. თუმცა, მიუხედავად თქვენი ძალისხმევისა, წერილმა *სვამიმდე* ვერ მიაღწია. რატომ? მიზეზი იმაშია, რომ კონვერტს მარკა არ მიაწებეთ. შედეგად ვერც მოხატულობა, ვერც ლამაზი ხელწერა ვერ დაეხმარა წერილს იმაში, რომ ის *სვამიმდე* მისულიყო.

მაშინაც კი, თუ წერილს თქვენი საერთო საცხოვრებლის საფოსტო ყუთში ჩააგდებთ, მარკის გარეშე იგი ვერ მივა პრაშანტი ნილაიამის მანდირში, რომელიც თქვენგან კილომეტრნახევრით არის დაშორებული. მაგრამ მარკით წერილს შეუძლია ათასობით მილი იმოგზაუროს და დანიშნულების ადგილს მიაღწიოს. საფოსტო განყოფილებაში არ შეხედავენ მორთულობას, წერილის მაღალფარდოვანობას, ღია ფერებსა და მოხატულობებს. არავინ მიაქცევს ყურადღებას თქვენს დახვეწილ სამუშაოს. მათ მხოლოდ ერთი რამ დააინტერესებთ: მიაწებეთ საჭირო მარკა თუ არა!

ღმერთის წყალობას შეგიძლიათ მიაღწიოთ, თუ გული სუფთა გაქვთ

ასეთივე სახით ღმერთი მხოლოდ გულის სისუფთავეს აღიარებს. მას არ ადარდებს არც თქვენი სამეცნიერო ხარისხი, არც თქვენი მიღწევები, არც მდგომარეობა ან სიმდიდრე. ეს მხოლოდ საერო ადამიანებს აინტერესებთ, და არა ღმერთს. არავითარი სარგებელი არ არის სამეცნიერო ხარისხში და ერუდიციაში ცოდნის რაიმე სფეროში, თუ თქვენი გული არ განიწმინდა. განათლების სისტემაში, რომელიც აქ გვაქვს, მნიშვნელოვანია, რომ მუდამ პრაქტიკაში ატარებდეთ ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა ჭეშმარიტება და პატიოსნება; აი რა გაგიძღვებათ ცხოვრებაში და თქვენი ყველაზე უფრო დიდი მიღწევა იქნება.

ნუთუ დანაყრდება მშიერი ადამიანი, თუ საჭმელს დაანახებთ? ნუთუ გათავისუფლდება ღატაკი სიღარიბისგან, თუ ის უბრალოდ სიმდიდრის შესახებ გაიგონებს? ნუთუ განიკურნება ავადმყოფი, თუ უბრალოდ სხვადასხვა წამლებს აღუწერენ, რომლებიც მას დაეხმარებოდა? თუ ბჰაგავად გიტას და სხვა წერილებს უბრალოდ უსმენთ, მათგან ვერავითარ სარგებელს ვერ მიიღებთ. თუ პრაქტიკაში გამოიყენებთ ერთ ან ორ ჭეშმარიტებას მაინც იმ მრავალრიცხოვანი სიტყვებიდან, რომლებსაც მოუსმინეთ, მაშინ ჭეშმარიტი სიხარულის მიღებას შეძლებთ.

იმისათვის, რომ თქვენი ძალისხმევები წარმატებული იყოს, „ღვთაებრიობის მარკა“ გჭირდებათ. ამ ყველა სწავლებაში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანს და გადამწყვეტს წარმოადგენს გრძნობების კონტროლი.

კრიშნამ არჯუნას უთხრა:

„არჯუნა, თუ გრძნობებს ხელში ვერ იჭერ, მაშინ რის გაკეთება შეგიძლია ამქვეყნად?“

პრაჰლადა მამამისს იგივეს ეუბნებოდა, რასაც *სვამი* არაერთჯერ იმეორებს:

„მეფეო, რამდენი სამყაროს დამარცხება შეძელი, მაგრამ შენი თავის დამარცხება ვერ შეძელი!“

თუ ადამიანმა თავისი საკუთარი გონება ვერ დაამარცხა, მაშ როგორ უნდა შეძლოს როდისმე ღვთაების ტკბილი ნექტრის დაგემოვნება?

არსებობს მრავალი სხვადასხვა არსება, მაგრამ ყოველი მათგანის საფუძველში ღმერთია

უპირველეს ყოვლისა უნდა გააცნობიეროთ ერთიანი *ატმური* პრინციპი, რომელიც ყოველი არსების გულში ბინადრობს. მზე ერთია

ყველასთვის. არ არის განსაკუთრებული მზე არსებათა ყოველი სახეობისთვის მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში. არსებობს უამრავი თიხის ქოთანი, სპილენძის, ვერცხლისა და ბრინჯაოს ჭურჭელი; მაგრამ თუ მათ წყლით შეავსებთ, მაშინ ყოველ მათგანში მზე აირეკლება, რომელიც ციდან ანათებს. მრავალი ანარეკლის გამო შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ მრავალი მზე არსებობს, მაგრამ თუმცა ყველა ჭურჭელი ერთმანეთისგან განსხვავებულია, და მათში შეიძლება ბევრი ანარეკლი იყოს, მათში არეკლილი მზე მხოლოდ ერთია. ჭურჭელთა ფასიც განსხვავებულია: ვერცხლის ჭურჭელი თიხის ჭურჭელთან შედარებით ძალიან ძვირია, თუმცა მათში არეკლილი მზე ერთი და იგივეა.

ასეთივე სახით ყველა სხეული – ყველაზე უფრო დიდი მეცნიერიდან ყველაზე უფრო უმეცარ გონებაჩლუნგამდე, მდიდრიდან ღარიბამდე, დიდი იმპერატორიდან თავმდაბალ მოქალაქემდე – ერთმანეთისგან განსხვავდება; მაგრამ ამ სხეულებში არეკლილი *ატმა, ის, ვინც იმყოფება* მათში, ერთი და იგივეა. თქვენი ტანსაცმელი და მორთულობები შეიძლება ძალიან ძვირი იყოს; ღარიბ ადამიანს არ შეუძლია ძვირი ნივთების ქონა. ჭურჭლებიც ასევე განსხვავებულია ღირებულებით ერთმანეთისგან; მაგრამ ყველა ამ სხეულში ღმერთი მხოლოდ ერთია.

როდესაც ამ ჭეშმარიტებას გააცნობიერებთ, ადვილად შეძლებთ გრძნობების კონტროლის პრაქტიკაში გატარებას. იმის ნაცვლად, რომ სხვების გაკონტროლებას ცდილობდეთ, თქვენი თავის გაკონტროლება უნდა ისწავლოთ. ნაკლოვანებები და შეცდომები ყოველი ადამიანისთვის არის დამახასიათებელი. თუ ადამიანმა შეცდომა დაუშვა, მაშინ შესაძლოა, თქვენი ვალი მისთვის სწორი გზის ჩვენება იყოს. მაგრამ თქვენი მთავარი ამოცანა უნდა იყოს თქვენი თავის გამოსწორება და თქვენთვის მოცემული სამუშაოს შესრულება, ამასთან მუდამ უნდა გახსოვდეთ, რომ ერთიანი ღმერთი ყველა ადამიანში იმყოფება.

მხოლოდ სიბრძნეს შეუძლია უმეცრების დამარცხება

უმეცრებამ ძალიან ღრმად გაიდგა ფესვი. იგი თქვენში ჭეშმარიტებას ფარავს. როგორც არ უნდა ცდილობდეთ, შეუძლებელია უმეცრების ამ სქელი ფენის თავიდან მოცილება. დილის 7 საათზე თქვენი ლანდი 50 ფუტი სიგრძის (დაახლოებით 15 მ) იქნება, თქვენი სიმაღლე 5 ფუტიც თუა (დაახლოებით 1,5 მ). როგორ უნდა შეამციროთ 50 ფუტი სიგრძის ლანდი? ნუთუ შეიძლება მასთან ბრძოლა? ნუთუ გაგიგონებთ, თუ მის დარწმუნებას ეცდებით? თუ მის გაკრიტიკებას

დაიწყებთ, ნუთუ ის შემცირდება? რასაც არ უნდა აკეთებდეთ, მისი სიგრძე არ შემცირდება. მაგრამ იმისდა მიხედვით, თუ მზე თანდათან როგორ ამოდის, ლანდის სიგძე ავტომატურად მცირდება. როდესაც მზე თქვენ თაზემოთ იქნება, ლანდი თვითონ მოვა თქვენს ფეხებთან, შეგერწმებათ და მხედველობიდან გაქრება.

თქვენი სიმაღლე, შეიძლება, მხოლოდ 1,5 მეტრია, მაგრამ თქვენი უმეცრება ათჯერ უფრო მეტია! ამიტომ იმისათვის, რომ თქვენში სიბრძნე იზრდებოდეს, საჭიროა მუდამ შინაგანად ეკითხებოდეთ თქვენს თავს. იმისდა მიხედვით, თუ სიბრძნის მზე როგორ ამოდის, უმეცრება მცირდება; ასეთი სახით თქვენი უმეცრება შეიძლება მთლიანად იქნას განადგურებული. ეს არის ერთი მეთოდი.

არსებობს მეორე მეთოდი: თუმც ხედავთ, რომ თქვენი ლანდის სიგრძე 50 ფუტია, გესმით, რომ არ შეგიძლიათ მისი დამარცხება, თუ მას მიუბრუნდებით და მასზე გარბენას ეცდებით; გესმით, რომ თუ მას მიუბრუნდებით, თქვენი ლანდი არ შემცირდება და მხედველობიდან არ გაქრება. თუ იმის მაგივრად, რომ თქვენი ლანდის პრისპირ იდგეთ, მზისკენ მიბრუნდებით, მაშინ ლანდი ავტომატურად თქვენ უკან აღმოჩნდება, და აღად დაიწყებთ იმის შეგნებას, რამდენად დიდია ის, იმიტომ რომ თქვენი მხედველობის არეში არ იქნება. ამიტომ იმის ნაცვლად, რომ უმეცარის თვალთახედვიდან ფიქრობდეთ, მუდამ სიბრძნის მზეზე იფიქრეთ; მაშინ უმეცრება თქვენ უკან გეჭირებათ, მზე კი – წინ, და თქვენზე აღარ იმოქმედებს ეს ლანდი. ეს იმას ნიშნავს, რომ მუდამ ღმერთისკენ მიმართავდეთ თქვენს ხედვას.

შეიძლება ორივე ეს მეთოდი გამოიყენოთ. მუდამ ღმერთის მიმართულებით იყურეთ და ინტელექტი გამოიყენეთ, რომ თქვენი სიბრძნე გაიზარდოს. თუ ღმერთს არ მიმართავთ და თქვენი სიბრძნე არ გაიზრდება, თუ ყოველთვის წუთისოფელს მიმართავთ, მაშინ, როგორც ლანდისა და მზის ჩასვლის მაგალითში, თქვენი უმეცრება გაიზრდება, სანამ ყველაფერს არ დაკარგავთ.

„ამიტომ, - აფრთხილებდა კრიშნა არჯუნას, - *გამოიყენე ინტელექტი, რომ სიბრძნე გაზარდო შენში; ასეთი გზით შენი უმეცრება მოისპობა. როგორც კი უმეცრება მოისპობა, ორობითობა გაქრება. როგორც კი ორობითობა შეწყვეტს არსებობას, სიძულვილი და მიბმულობა გაქრება. როგორც კი სიძულვილი და მიბმულობა გაქრება, სხეულის ცნობიერებაც გაქრება. თუ სხეულის ცნობიერება არ არის, მაშინ მწუხარებაც არ არის“.*

შინაგანი ძიების მეშვეობით განავითარეთ სიბრძნე

როგორც ხედავთ, თუ გინდათ, რომ სხეულის ცნობიერება გადალახოთ, მაშინ მიბმულობები და სიძულვილი უნდა მოიცილოთ. როგორც კი მიბმულობები და სიძულვილი შეწყვეტს არსებობას, ორობითობა მოისპობა. როცა ორობითობა გაქრება, უმეცრებაც გაქრება. ამიტომ *ვედანტა* აცხადებს, რომ მხოლოდ სიბრძნის დახმარებით შეიძლება უმეცრების დამარცხება და უმაღლესი რეალობის მიღწევა. რა არის ეს სიბრძნე, რომელიც უნდა განავითაროთ? შეიძლება თუ არა მისი მიღება, თუ საერო განათლებას შეიძენთ წუთისოფელში? არა. მას საერთო არაფერი აქვს გარეშე მოვლენებთან; იგი მხოლოდ შინაგან გამოცდილებასთან არის დაკავშირებული. როდესაც საკუთარი თავის რწმენას განავითარებთ, ღმერთის უფრო ღრმა რწმენის შეძენას შეძლებთ. თუ თქვენი თავის არ გწამთ, მაშინ ვერ შეძლებთ ღმერთის ჭეშმარიტად რწმენას; როდესაც თქვენი თავის რწმენა გაქვთ, მაშინ ღმერთის რწმენაც გექნებათ. თქვენი თავის რწმენა რომ განავითაროთ, მუდამ თვითგამოკვლევას უნდა აწარმოებდეთ.

იმ მომენტიდან, როგორც კი დილით იღვიძებთ, და იქამდე, როცა საღამოს დასაძინებლად წვებით, განუწყვეტლივ წარმოთქვამთ სიტყვას „მე“, „მე“, „მე“ ან „ჩემთვის“ და „ჩემი“. მაგრამ მაშინაც კი, როცა ამბობთ „მე“, იცით თუ არა, ვინ არის ეს „**მე**“ სინამდვილეში? თქვენ ამბობთ: *„ეს ჩემი სხეულია. ეს ჩემი ინტელექტია, ეს ჩემი შინაგანი შეგრძნებაა. ეს ჩემი გრძნობებია“.* მაგრამ ჰკითხეთ თუ არა როდისმე თქვენს თავს: *„ვინ ვარ **მე**?“* თუ არასოდეს ეკითხებით თქვენს თავს ჭეშმარიტებაზე თქვენ შესახებ, მაშინ რა აზრია მთელ იმ განათლებაში, რომელიც თქვენ მიიღეთ? თუ თვითონ არ იჩენთ ძალისხმევას, მაშინ ვინ მოვა და წაშლის იმას, რაც თქვენს შუბლზე წერია? იმის ნაცვლად, რომ თვითგამოკვლევას აწარმოებდეთ, ცუდი აზრებით ავსებთ თავს, და თქვენი აზროვნება ჩლუნგი და უაზრო ხდება.

საჭიროა გაიგოთ, რომ, როდესაც ამბობთ: *„ეს ჩემი ცხვირსახოცია“*, - ის, ვინც „თქვენ“ ხართ, განსხვავდება იმ ნივთისგან, რომელიც ცხვირსახოცს წარმოადგენს. თქვენ ამბობთ: *„ეს ჩემი სხეულია“.* არ ამბობთ: *„**მე** ვარ სხეული“.* როდესაც ამბობთ: *„ეს ჩემი სხეულია“*, ამტკიცებთ, რომ თქვენ და სხეული სხვადასხვანი და ერთმანეთისგან განცაკევებულნი ხართ. თუ შემდეგ თქვენს თავს ჰკითხავთ, ვინ ხართ „თქვენ“, რომელიც ამას აცხადებს, მაშინ ეს შეკითხვა სხეულში *მყოფთან* მიგიყვანთ. უნდა დასვათ კითხვა, ვინ არის ეს სხეულში *მყოფი*, სხვა სიტყვებით – ვინ არის ამ ყველაფრის

მფლობელი? როცა არის მფლობელი, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა ფრაზას: *ეს ჩემი საკუთრებაა, ეს ჩემი მიწაა“.* მხოლოდ საკუთრების მფლობელს შეუძლია თქვას: *ეს ჩემი საკუთრებაა“. სხეული-გონებისთვის* ეს პატრონი არის მათში *მყოფი.* ეს პატრონი არავითარ ცვლილებას არ ექვემდებარება; იგი არასოდეს მიგატოვებთ. ამიტომ, როდესაც თქვენს თავს შეკითხვებს უსვამთ, უნდა ცდილობდეთ გახსნათ და გააცნობიეროთ ის მარად მყოფი ღვთაება, რომელიც თქვენს ჭეშმარიტ რეალობას წარმოადგენს.

ყოელი სულიერი მაძიებელი შინაგანი ძიებით უნდა დაკავდეს. ყველა სულიერი პრაქტიკიდან, რომელსაც აწარმოებთ, საჭიროა თქვენი დროის სამ მეოთხედს თვითგამოკვლევაში ატარებდეთ. მაშინ შესანიშნავ შედეგებს მიიღებთ. თუ სწორად იყენებთ თქვენს დროს, კურთხეულს ხდით სხეულს და ყველა მოქმედებას, მაშინ მიზნის მიღწევას შეძლებთ. ყველა თქვენი მწუხარების წარმოქმნის ყველაზე უფრო ღრმა მიზეზი გრძნობების სისუსტეშია. იმისათვის, რომ გრძნობები ძლიერი იყოს, კონტროლის ქვეშ გყავდეთ ისინი, სწორ გზაზე გყავდეთ გონება და მტკიცენი იყავით.

ბჰაგავად გიტა აცხადებს, რომ გრძნობებს კი არ უნდა სპობდეთ, არამედ აკონტროლებდეთ. *გიტაში* არ არის ნათქვამი, რომ უარი უნდა თქვათ მოქმედებებზე; ამის ნაცვლად მოქმედებების შედეგებზე უნდა თქვათ უარი. ამიტომ ასრულეთ თქვენი სამუშაო. თუმცა უფლისთვის იმის საჭიროება არ არის, რომ რაიმე სამუშაო ასრულოს, მაგრამ, როგორც ხედავთ, იგი მუდამ მუშაობს. თუ ის მუდამ მუშაობს, განა თქვენ იგივე არ უნდა აკეთოთ?

ასრულეთ თქვენი სამუშაო და სწორად გამოიყენეთ გრძნობები. გამოიყენეთ ისინი გარკვეულ ზღვრებში და იმ მიზნით, რომლისთვისაც არის ისინი განკუთვნილი. არასოდეს გამოიყენოთ ისინი არასწორად. ამაშია *ბჰაგავად გიტას* ძირითადი გზავნილი.

თავი ოცდამეერთე

იცოდე ღმერთი – ნიშნავს გახდე ღმერთი

კრიშნამ თქვა: „ის, ვინც სურვილების მონა ხდება, მთელი სამყაროს მონა ხდება. ის, ვინც სურვილებს თავის მონებად ხდის, მთელი სამყაროს პატრონი ხდება“.

სიყვარულის განხორციელებანო!

გწამდეთ ჭეშმარიტება, რომ თქვენში მყოფი ღვთაება, თვითმნათი *ატმა*, საფუძველია ყოველგვარი ბედნიერებისა და სიხარულისა, რომელთა განცდასაც როდისმე შეძლებთ ამქვეყნად. ადამიანები უზომოდ იტანჯებიან მცდარი რწმენის გამო, რომ გრძნობებიდან გამომავალი სიხარული და აღტაცებები ამქვეყნიური ობიექტებისგან რეალურია და მუდამ გაგრძელდება; მაგრამ ისინი მხოლოდ დროებითია და დიდხანს ვერ გაგრძელდება. ადამიანები არ ეკითხებიან თავს, რომ გაარკვიონ, რაშია საფუძველი ყველა სიხარულისა, რომელიც გრძნობის ობიექტებთან, ფუფუნების ყველა საგანთან არის დაკავშირებული ამქვეყნად.

ატმას სინათლე გრძნობების უსუფთაობით არის დაფარული

ბჰაგავად გიტაში სხეული აღიწერება როგორც ქოთანი ათი ხვრელით, რომლის შიგნით მოუსპობელი სინათლე იმყოფება. თუ ამ ქოთანს სქელ ქსოვილს დააფარებთ, მაშინ სინათლე შიგნით ვერ შეაღწევს. მაგრამ თუ ქოთანს სქელ ქსოვილს მოაცილებთ, შეგიძლიათ ათი ხვრელიდან გამოსული სინათლე დაინახოთ. იმ მომენტში შეიძლება გეჩვენოთ, რომ იქ სინათლის ათი კონაა. მაგრამ თუ ქოთანს გატეხთ, დაინახავთ, რომ მის შიგნით მხოლოდ ერთი სინათლე იმყოფება. შიგნით მყოფი ეს სინათლე არის თვითმნათი *ატმა*.

ატმას დიდებული სინათლე დაფარულია სხეულით მისი გრძნობის ათი ორგანოთი: ხუთი მკვრივით და ხუთი ფაქიზით, რომლებიც შეესაბამება ათ ხვრელს ქოთანში. ე.წ. „სხეულის ქოთანი“, თავის მხრივ, დაფარულია მიბმულობების სქელი ქსოვილით სახელად „ჩემი“. უპირველეს ყოვლისა უნდა მოიცილოთ ეგოიზმის ქსოვილი სახელად „ჩემი“. ეგოიზმი

უმეცრებიდან მოდის, ეს არის უბრალოდ მცდარობა, რომელიც *მაიას* გამო ჩნდება. მაია შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ღმერთის გარე საფარველი ან სამოსელი; ღმერთს აღწერენ როგორც იმას, ვისაც აქვს ილუზია თავისი გარე ფორმის სახით, რომელიც მას ნიღბავს, უჩინარს ხდის. როგორც კი ილუზიის ამ ქსოვილს მოაცილებთ, იხსნება შინაგანი სინათლე, რომელიც გრძნობის ორგანოების მეშვეობით შუქმფინრად ანთია.

სინათლე, რომელსაც თვალებით ხედავთ, ეს არის თქვენში მყოფი თვითმნათი ღვთაებრივი ნათების ანარეკლი, ხოლო ვიბრაციები, რომლებსაც კანისა და ყურების მეშვეობით გრძნობთ და ისმენთ, რეაქციაა იმავე შინაგან სინათლეზე. პირის მეშვეობით წარმოებული ხმა არის იმავე ღვთაებრივი სინათლის ანარეკლი. ის ყველაფერი, რის გაკეთება და განცდაც გრძნობის ორგანოების მეშვეობით შეგიძლიათ, მხოლოდ არეკვლაა ამ დიდებული ნათების, *ატმა-ჯიოტის* სახის, მოქმედებისა და ხმისა; *ეს ატმა-ჯიოტია* თქვენი უკვდავი „**მე**“ (თვითმყოფელობა). მაგრამ სანამ ეს სხეულის ქოთანი გაქვთ, ვერ დაინახავთ *ატმას* ერთიან სინათლეს; მხოლოდ უამრავ სინათლეთა მრავალფეროვნების განცდას შეძლებთ.

მრავალფეროვნებაში ერთიანობას უნდა ხედავდეთ

მრავალფეროვნებას ხედავთ იმაში, რაც ჭეშმარიტად ერთიანობაა. უნდა გამოასწოროთ ეს მცდარი ხედვა; *უპანიშადები* გასწავლიან, რომ ერთიანობას უნდა ხედავდეთ მრავალფეროვნებაში. როდის შეიძლება დაინახოთ და განიცადოთ ერთიანობა? როცა სხეულთან გაიგივების გრძნობას მოსპობთ, მხოლოდ მაშინ შეძლებთ ყველაფრის როგორც ერთის განცდას. *მაია* იწვევს ილუზიურ გრძნობას, რომ მრავალფეროვნებას ხედავთ, მაშინ როცა მხოლოდ ერთიანობა არსებობს. *უპანიშადებში* წერია, რომ მრავალმა დიადმა ბრძენმა მიიღო იმის პირდაპირი გამოცდილება, რომ სამყაროს მთელ მრავალფეროვნებაში მხოლოდ ერთიანობის პოვნა შეიძლება. ეს ერთიანობა მთელი არსებულის საფუძველია; ეს არის *ატმა*, რომლის შემეცნებაც არის საჭირო ყოველ საგანში, ყოველ არსებაში. ამაშია თვით არსი *ბჰაგავად გიტასი*, რომელიც *უპანიშადების* თვით არსს წარმოადგენს.

გიტა, რომელიც ყველა ძველი სწავლების არსს წარმოადგენს, აღწერს ამ ერთიანობას, ყველგან თანაბარს და უცვლელს, როგორც *იოგას*; საჭიროა გამოიკვლიოთ მაგალითები თქვენი საკუთარი ცხოვრებიდან, რომ შეიმეცნოთ, როგორ უნდა

განიცადოთ ეს ერთიანობა მრავალფეროვნებაში. იმისათვის, რომ ყველაფერში მყოფი ღვთაება გახსნათ, აიღეთ საჭმლის მომზადების მაგალითი.

დავუშვათ, გადაწყვიტეთ მოამზადოთ ტკბილეულთა სხვადასხვა სახე, როგორიცაა ნამცხვარი, კექსი, ყინულკარამელი, დესერტები და სხვ. ამ საგნების ფორმა და დასახელება სხვადასხვაა, მაგრამ შინაგანი არსი, შაქარი, ერთი და იგივეა. შაქრის წყალობით ყოველი მათგანი ტკბილია. ფქვილში არ არის სიტკბო – იგი მტკნარია, მაგრამ როცა მას შაქარს შეურევენ, იგი ტკბილი ხდება. მნიშვნელობა არა აქვს, როგორ ფქვილს ხმარობთ: ბრინჯის, ხორბლის თუ სხვა მარცვლეულის; როდესაც შაქართან არის შერეული, იგი ტკბილი ხდება. ასევე ამქვეყნიური ობიექტებიც უგემური და მტკნარია; მაგრამ რამდენადაც მათში ღვთაებრიობის შაქარია გარეული, მრავალი ობიექტით ტკბებით ამქვეყნად, და სასურველად და სასიამოვნოდ თვლით მათ.

ადამიანი ხარ, და არა ცხოველი

მაგრამ ნუ კარგავთ ცხოვრებას, ნუ მისდევთ ამქვეყნიურ სიამოვნებებს. გაიგეთ ჭეშმარიტება: ეს ადამიანური დაბადება იმიტომ არ მიგიღიათ, რომ საჭმლითა და ძილით ტკბებოდეთ. თუ ჩვენ გარშემო გავიხედავთ, შეიძლება დავინახოთ, რომ ცხოველები, ფრინველებისა და ჭიების ჩათვლით, მხოლოდ საჭმლის გულისთვის ცხოვრობენ. რაში გჭირდებათ ადამიანური ცხოვრება, თუკი მას მხოლოდ იმისთვის გამოიყენებთ, რომ იმ სიამოვნებებით ტკბებოდეთ, რომლებითაც ცხოველები, ფრინველები და ჭიები ტკბებიან? რა აზრი აქვს იღებდეთ უმაღლეს განათლებას, შემდეგ კი ქვენა სიამოვნებებით ტკბებოდეთ ცხოველების, ფრინველებისა და ჭიების მსგავსად, რომლებსაც უმაღლესი განათლება არ მიუღიათ. რა არის კაცობრიობისთვის განკუთვნილი იდეალი? როგორია იმ განცხადების შინაგანი მნიშვნელობა, რომ უაღრესად ძნელია ადამიანური დაბადების მიღება?

ადამიანური ცხოვრება იმისათვის არ მიგიღიათ, რომ ცხოველივით ან დემონივით იქცეოდეთ. ადამიანმა დაბადება იმისათვის მიიღო, რომ ღვთაებრივი გახდეს იგი. ადამიანური ცხოვრება იმისათვის მოგეცათ, რომ *ღმერთის ცნობიერების* უმაღლეს დონეს მიაღწიოთ. ამასვე ასწავლიდა იესო ქრისტე, როდესაც ამბობდა:

„არა მხოლოდ პურით ცოცხლობს კაცი“.

თქვენ უნდა დიდ სიმაღლეებს მიაღწიოთ. ცხოვრება იმისათვის მოგეცათ, რომ გააცნობიეროთ ღვთაებრიობა, რომელიც თქვენთვის არის დამახასიათებელი და თქვენში იმყოფება. თქვენი პირდაპირი ვალი როგორც ადამიანისა არის ის, რომ უარი თქვათ იმაზე, რაც წარმავალია, და შეიძინოთ ის, რაც მარადიულია. მაგრამ დღეს ასეთი მაღალი თვისებებისკენ არ ისწრაფვით; ამის ნაცვლად მიბმულობებით სავსე ცხოვრებას ეწევით.

„არჯუნა, - თქვა კრიშნამ, - *სხეულის ცნობიერება და სხეულთან მიბმულობა გბოჭავს. უარი უთხარი სხეულზე მიბმულობას“.*

საკუთარ თავს უნდა ჰკითხოთ, რატომ ვითარდება თქვენში სხეულზე მიბმულობა? განვიხილოთ შემდეგი პატარა მაგალითი. ყოველმა ადამიანმა იცის, რომ მოტყუება არ შეიძლება. მრავალნი თავიანთი ცხოვრების რაღაც მომენტში აღთქმას დებენ, რომ ამ მომენტიდან ტყუილს არ იტყვიან. მაგრამ სხვა დროს, ლაპარაკის დროს, ტყუილს ამბობენ. ანდა ავიღოთ ბიზნესმენი, რომელმაც იცის, რომ ტყუილის თქმა არ შეიძლება. იგი პირობას დებს, რომ თავის ხელფასს პატიოსანი და მოკრძალებული შემოსავლით შემოფარგლავს, მაგრამ მეორე დღესვე უპატიოსნო მეთოდებს მიმართავს. ანდა ადამიანი, რომელმაც გადაწყვიტა, რომ არ იჭორაოს და თავისი ლაპარაკით სხვებს არ აწყენინოს, თუმცა რამდენიმე წუთის შემდეგ იგი მთლიანად ივიწყებს თავის აღთქმას და ვინმეს გაკრიტიკებას იწყებს.

ეს გვიჩვენებს, რომ ადამიანის გონება ცვალებადია, ხოლო მტკიცე და მშვიდი გონების გარეშე მას თავისი მოქმედებების კონტროლის უნარი არა აქვს. წმინდა დღესასწაულზე ის, შესაძლოა, გრძნობს, რომ არაფერზე უნდა იფიქროს, გარდა უფლისა, და საკვების მიღებაზე უნდა შეიკავოს თავი. მაგრამ რაღაც დროის შემდეგ იგი თავს იმართლებს, როცა ამბობს: *„ცოტა ნამცხვარს მაინც ავიღებ ჩაისთვის“.*

თუ ადამიანი ასეთი სახით ყოველთვის ღალატობს თავის მტკიცე გადაწყვეტილებებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მასში რაღაც ძალიან ძლიერი არსი მოქმედებს, რომელიც მუდამ ასეთი მოქმედებებისკენ უბიძგებს მას. მასში რომ არ ყოფილიყო ასეთი ძლიერი ინსტიქტი ან შინაგანი გულის წადილი, ის ალბათ არ შეცვლიდა თავის გადაწყვეტილებას და გამოიყენებდა თავის ნებას, რომ დაპირებული დისციპლინა დაეცვა.

სურვილები გაიძულებენ, რომ აღთქმები დაარღვიოთ

ამრიგად, ადამიანში არსებობს რაღაც დაფარული ძალა, რომლის არც გაგება, არც გაკონტროლება მას არ შეუძლია. თუ ის ღრმად ჩაფიქრდება და ეცდება გაიგოს, რა ძალაა ეს, აღმოაჩენს, რომ იგი დაკავშირებულია სამ *გუნასთან* - სამ თვისებასთან, რომელიც ადამიანში არსებობს. ეს არის *საცვა, რაჯასი* და *ტამასი*: ჰარმონიული, აქტიური (ვნებიანი) და პასიური (სიზარმაცე) თვისებები მასში. ისინი საკვებითა და ძილით იზრდებიან და ნარჩუნდებიან.

ამ სამიდან, *რაჯას-გუნა* და *ტამას-გუნა* როგორც ჩანს არასწორი გზისკენ უბიძგებენ მას. *რაჯას-გუნას* ჰყავს ვაჟიშვილი სახელად *კამა*, ანუ „სურვილი“. *ტამას-გუნას* ჰყავს ქალიშვილი სახელად *კროდჰა*, ანუ „მრისხანება“. პირველი ძლიერი გულისწადილი, რომელიც ადამიანს აიძულებს უარი თქვას ყველა თავის გადაწყვეტილებაზე, არის *რაჯას-გუნას* ვაჟიშვილი, კერძოდ კი, სურვილი. სურვილი მოქმედებს როგორც უარყოფითი თვისებების ხელმძღვანელი ან მეთაური.

რა თქმა უნდა, შეგიძლიათ რაღაც მოქმედებებს გეგმავდეთ, რომ გარეშე მტრები დაამარცხოთ, მაგრამ ეს სრულიად უსარგებლო იქნება იქამდე, სანამ თქვენს შინაგან მტრებს არ დაამარცხებთ. თუ შინაგან მტრებს დაუთმობთ, მაშინ როგორ უნდა დაამარცხოთ გარეშე მტრები? თუ შინაგანმა მტრებმა თქვენი ნებისყოფა დაიმორჩილეს და კარგი განზრახვები მოსპეს, მაშინ როგორ უნდა გამოხვიდეთ გარეშე მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად და დაამარცხოთ ისინი? უარყოფითი თვისებების მეთაური, სახელად „სურვილი“, ნახვრეტის გავლით შევიდა სახლში; და აი სხვა მტრები, ისეთები როგორებიცაა სიძულვილი, მრისხანება, სიხარბე და ეჭვიანობა, მას მიჰყვებიან. იმ მომენტში, როცა ეს მტრები თქვენში შევიდნენ, მთელ გამჭრიახობასა და სიბრძნეს კარგავთ. იმ მომენტში, როცა სიბრძნეს კარგავთ, უარს ამბობთ თქვენს გადაწყვეტილებაზე. ამიტომ თქვენი მტკიცე განზრახვის შეუსრულებლობის მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ სურვილები ზედაპირზე ამოდიან. მოდით ამის უფრო ღრმად გაგება ვცადოთ.

დიდ იმპერატორთა და მეფეთა სასახლეების ირგვლივ ჩვეულებრივ მაგარი კედელი იგება, რომელიც მათ გარედან მტრების შემოსევისგან იცავს. მათში ჩვეულებრივად რამდენიმე დამცავი ჭიშკარია. ასევე ტაძრებიც ჩვეულებრივად განლაგებულია შემოღობილი, კედლით გამაგრებული

ტერიტორიის შიგნით; ამ კედელში იმყოფება ჭიშკრები ან სხვა შესასვლელები. სხეულს შეიძლება ვუყუროთ როგორც დამცავ კედელს, რომლის შიგნით ღმერთია, რომელიც გულის ტაძარში იმყოფება *ატმას* სახით. გარე ციხე-სიმაგრე ან ტაძარი იგება აგურის, ცემენტის, ქვიშის და ა.შ. დახმარებით, სხეულის ტაძარი კი აგებულია სისხლისგან, ძვლებისგან და ხორცისგან. ხორცისა და ძვლებისგან აგებულ ამ კედელშიც არის ჭიშკრები გრძნობის ორგანოების სახით. სწორედ გრძნობათა ამ ჭიშკრების მეშვეობით შეიჭრებიან და ეუფლებიან ტაძრის სალოცავს სურვილები და სხვა უარყოფითი თვისებები.

სხეული იმისათვის მოგეცათ, რომ მასში *მყოფი* გააცნობიეროთ

სხეული სილამაზეს იღებს მასში *მყოფისგან*, ანუ ღმერთისგან., სანამ სხეულში *მყოფი* იქ იმყოფება, სხეული სურნელებითა და სიცოცხლით იქნება შევსილი. როგორც კი იქ *მყოფი* სხეულს ტოვებს, სხეული კარგავს არომატს და ცუდ სუნს იძენს. იქ *მყოფის* გარეშე სხეული გაკიცხვის ღირსია; გარდა იმისა, რომ არომატს კარგავს, მისგან მომდინარე სუნი ყოველ წუთს უფრო და უფრო არასასიამოვნო ხდება. სხეულის გარდაქმნის პროცესმა (რომელსაც ასეთი საძაგელი თვისებები აქვს) კაცობრიობისთვის მსახურებისა და ღვთაების გაცნობიერების ინსტრუმენტად, შეიძლება უზარმაზარი სიხარული და შინაგანი კმაყოფილება მოიტანოს. მაგრამ ადამიანი ფიქრობს სხეულზე როგორც საშუალებაზე, რომელიც მას ფიზიკურ კმაყოფილებებს აძლევს, და ამიტომ სხეულს ძირითადად არასწორად იყენებს. კრიშნა არჯუნას აფრთხილებდა, რომ ეს არ წარმოადგენ ნამდვილი ადამიანის ნიშანს. მან არჯუნას უთხრა:

„შვილო ჩემო, სხეული იმისათვის მოგეცა, რომ მასში მყოფი გაიგო. გამოიყენე იგი ამ წმინდა მიზნისთვის. ცხოველებსა და ფრინველებს არა აქვთ მიცებული გარჩევის ასეთი ძალა“.

ბევრი სიხარულის მიღება შეძელით თქვენი იმ უნიკალური უნარის წყალობით, რომ შეკითხვებს სვამდეთ და თვითგამოკვლევას აწარმოებდეთ. მთელი ძალები უნდა გამოიყენოთ, რომ გაიგოთ ის კანონები, რომლებიც ადამიანის ბუნებას მართავს. უპირველეს ყოვლისა უნდა გაიგოთ სურვილების ძალა, რომელიც გაიძულებთ, რომ თქვენს ყველა განზრახვაზე თქვათ უარი. რა თქმა უნდა, რაღაც სურვილი უნდა იყოს: სურვილების გარეშე ერთ წუთსაც კი ვერ იცოცხლებდით.

მაგრამ თქვენს ყველა სურვილს უნდა სიკეთისთვის იყენებდეთ, ამით კი კარგ მაგალითს აძლევდეთ სხვებს. ეს ნიშნავს, რომ უნდა ცხოვრობდეთ როგორც ჭეშმარიტი ადამიანი. თუ მთელი საზოგადოების კეთილდღეობა თქვენს მიზნად არ გაგიხდიათ, მაშინ არ შეიძლება ადამიანად იწოდებოდეთ.

რამდენადაც საზოგადოებაში დაიბადეთ, რამდენადაც საზოგადოებაში ცხოვრობთ და უზარმაზარ სარგებლობას იღებთ საზოგადოებისგან, უნდა ემსახურებოდეთ საზოგადოებას. როდესაც საზოგადოებას ემსახურებით, თქვენ ღმერთს ემსახურებით. რა სამუშაოსაც არ უნდა ასრულებდეთ, ის უნდა ღვთაებრივ მოქმედებად გარდაქმნათ – ღმერთის თაყვანისცემად გარდაქმნათ.

რასაც არ უნდა ასრულებდეთ, თქვენს თავს უნდა ეკითხებოდეთ: *„ღირს თუ არა ამის კეთება? მიმიყვანს თუ არა ეს მიზანთან?“* სხეულიდან მომდინარე ყველა ათი სხივი საწყისს იღებს ღვთაებრივ სინათლეში, რომელიც ღმერთისგან მოდის. ეს ათი სხივი წარმოადგენს *აკმას* შინაგანი სინათლის, უზენაესის სხივმოსილების ანარეკლს. მუდამ გეჭიროთ ეს ცნობიერებაში. შეგიძლიათ უშუალოდ ხედავდეთ გარე სხეულს მისი ნაკვთებით, მაგრამ რამდენადაც უშუალოდ *აკმას* დანახვა არ შეგიძლიათ, ამიტომ ვერ აცნობიერებთ ყველა არსებაში მყოფი უფლის ნათებას. განვიხილოთ პატარა მაგალითი.

ყველაფერში მცხოვრები ერთიანი ღვთაებრიობიდან გამოდის ყველაფერი

ზაფხულის კოკისპირული წვიმა შეიძლება მოულოდნელად დაიწყოს. წყლის ნაკადები ჩამოდინდება ხეებიდან, სახურავებიდან და წყალსადინარი მილებიდან, ფარდულებიდან, წყალი წალეკავს მიწას და სწრაფ ნაკადებს გამოიწვევს. წყალი იქნება ყველგან, და ისე მოგეჩვენებათ, რომ ის ყველა მხრიდან მოდის, მაგრამ ამ წყლის ყოველი წვეთი მოდის მხოლოდ ერთი წყაროდან – საავდრო ღრუბლებიდან, რომლებითაც ცა არის დაფარული.

ასევე მთელი მჭერმეტყველება, მთელი ძალა, მთელი სილამაზე, ოსტატობა, რომელიც ადამიანებში ვლინდება, - ეს ყველაფერი მოდის ერთი წყაროდან, ერთიანი ყველგან მსუფევი ღმერთიდან. საჭიროა გააცნობიეროთ ამ ყველაფრის საფუძველში მდებარე ერთიანობა. როგორც კი ამ ერთიანობას გააცნობიერებთ, მთელი მრავალფეროვნება უმალვე გაქრება, ხოლო როდესაც მრავალფეროვნება გაქრება, ამქვეყნიური

ცდუნებებიც გაქრება. ხოლო როცა სურვილები გაქრება, მრისხანებას აღარ ექნება ადგილი. როცა სურვილსა და მრისხანებას მოსპობთ, ღვთაებრივი სიბრძნის მიღწევას შეძლებთ.

მხოლოდ სულიერი პრაქტიკის მეშვეობით, განსაკუთრებით შინაგანი გამოკვლევის მეშვეობით, შეძლებთ გააცნობიეროთ ერთიანობა და დატკბეთ ღვთაებით, რომელიც მუდამ თქვენში იმყოფება. ეს წყურვილი – ღვთაებრივი სიბრძნის სინათლის მიღწევა, *ერთის* დანახვა ბევრში – გამოსახულია *უპანიშადების* დიად ლოცვაში:

Asatoma Satgamaya
Tamasoma Jyothir Gamaya
Mrityorma Amritam Gamaya
Om shanti, shanti, shantihi.

არარეალურისგან რეალურისკენ მატარე,
სიბნელისგან სინათლისკენ მატარე,
სიკვდილისგან უკვდავებისკენ მატარე.
ომ, სიმშვიდე, სიმშვიდე, სიმშვიდე.

ამქვეყნად ადამიანები ფასდებიან მდგომარეობის მიხედვით, რომელსაც ისინი იკავებენ. მაგრამ თუ სამუშაოს უფლის გულისთვის ასრულებთ და უფალს სთავაზობთ, მაშინ რასაც არ უნდა აკეთებდეთ, ყველაფერს მაღალი შეფასება ექნება. თუ სამუშაოს ასოცირებას უფალთან ახდენთ, მაშინ სამუშაო წმინდა და უაღრესად ეფექტური ხდება. ამას შემდეგი პატარა მაგალითიდან გაიგებთ. თუ თქვენს სახლში ვირთხას დაინახავთ, მაშინ ჯოხს აიღებთ და მის მოკვლას შეეცდებით. ვირთხა თქვენში ზიზღს იწვევს. მაგრამ ინდური ტრადიციის მიხედვით ვირთხა გარკვეულ ღვთაებასთან ასოცირდება – იგი უფალ განეშას გადაადგილების საშუალებას წარმოადგენს. როდესაც მას ამ თვალსაზრისით უყურებთ, მას თაყვანს სცემთ როგორც *დევის* (ღვთაების) წმინდა ინსტრუმენტს. რა არის ამის მიზეზი? განეშას გადამყვანმა ვირთხამ ასეთი მაღალი შეფასება იმიტომ მიიღო, რომ იგი ღვთაებაზე ამ წარმოდგენასთან ასოცირდება.

მსგავსი სახით, როცა გველი გხვდებათ, შეიძლება შეგეშინდეთ და ჯოხის მოსატანად წახვიდეთ, რომ გააგდოთ. ანდა გინდათ, რომ მის დასაჭერად გველების შემლოცველი მოიწვიოთ. მაგრამ როდესაც იგივე გველი უფალ შივას ყელს

ამშვენებს, თქვენ მას თაყვანს სცემთ და ლოცვით მიესალმებით. რა არის ამის მიზეზი? მიზეზი ის არის, რომ გველმა თავისი თავი უფალს შესთავაზა და იგი მხოლოდ მას ემსახურება. ამიტომ ისიც ღვთაებრივი გახდა, როგორც თვითონ უფალია. შხამიანი გველიც თუა ეს, როგორც კი უფალს ჩაბარდა, იგი სიდიადეს იძენს.

ღვთაებასთან ასოციაცია ღვთაებად გაქცევთ

ერთხელ ვიშნუმ სიტყვა გაუგზავნა შივას. ეს მან გააკეთა გარუდას, არწივის, მეშვეობით, რომელიც ვიშნუს გადაადგილების საშუალებას წარმოადგენს. გარუდა ფრთების ბარტყუნით მიფრინდა შივასთან. გველმა, რომელიც შივას ამკობდა, გარუდას ფრთების ბარტყუნით წარმოქმნილი ნიავი იგრძნო და სისინი დაიწყო. თუმცა არწივი გველების დაუძინებელი მტერია, და გველი ჩვეულებრივად იმალება და გაურბის მას, მაგრამ ამ გველმა გარუდას სისინი დაუწყო. ასეთი გამბედაობა მას უზარმაზარი ძალის გამო გაუჩნდა, რომელიც მან იმ მდგომარეობის წყალობით შეიძინა, რომელსაც ის ულის ყელზე შემოხვევის გამო იკავებდა. სანამ ეგოსგან ტანჯული გველი უშიშრად აგრძელებდა სისინს, არწივმა უთხრა:

„გველო, შენ უფლის ყელზე ხარ შემოხვეული, ამიტომ გპატიებ. მაგრამ აბა სცადე გვერდზე გასვლა - მხოლოდ ერთი წამით!“

როგორც კი გველი თავის მდგომარეობას დატოვებს, იგი არწივის საკვები გახდება. სანამ თავის ადგილას რჩება, ღვთაებასთან სიახლოვის წყალობით იგი უზარმაზარ ძალას იძენს.

ჭეშმარიტად, ერთადერთი „**მე**“, რომლისკენაც უნდა ისწრაფოდეთ, ეს არის უფალთან შერწყმული „**მე**“, როცა შეგიძლიათ თქვათ: *„**მე** ვარ **ის**. **მე** ერთიანი ვარ უფალთან“.* მაგრამ თუ ამის ნაცვლად უარს ამბობთ იმაზე, რომ უფლის ახლობლები და ძვირფასები იყოთ და ეგო გეუფლებათ, მაშინ თქვენ ხდებით საცოდავები, სუსტები და მოწყვლადები. მაშინაც კი, თუ ეს რაღაცა პატარაა და ღირებულების არმქონეა, როგორც კი ის უფალში პოულობს თავშესაფარს, მისი ღირებულება უმალვე იზრდება. ქუჩაში შეიძლება ჩვეულებრივი ქვა იდოს, მაგრამ როცა სკულპტორი მოდის და ქვას წმინდა ფორმას აძლევს, მას თაყვანს სცემენ ტაძარში. კარგი იქნება, თუკი დაფიქრდებით ამ დიდ ღირებულებაზე, რომელსაც შეიძენთ, თუკი

თქვენი თავის ასოცირებას ღვთაებასთან მოახდენთ: თვითონ გახდებით ღვთაებრივები.

უარყოფითი ვერაფრით გაიდგამს ფესვს ღვთაებაში. როდესაც სიტა (რამას ცოლი) რავანას აშოკას ბაღში ჰყავდა, რავანა სულიერ წამებას განიცდიდა. ათი თვე გავიდა, მაგრამ სიტა რავანას არ უთმობდა. მას რავანასთვის არც ერთი სიტყვა არ დასცდენია. მიუხედავად რავანას მუქარებისა, სიტა მის მიმართ სრულიად გულგრილი რჩებოდა. ეს რომ შენიშნა, მანდოდარმა, რავანას ცოლმა მისი შეცდომის გამოსწორება სცადა და ქმარს უთხრა:

„რავანა, შეუზღუდავი ძალაუფლება გაქვს. უფალ შივას დიდი ერთგული ხარ. შენ მკაცრი ასკეზები გაიარე და დიდ ძალას მიაღწიე იმისათვის, რომ შენს თავს ნიღბავდე. სიტას მოტაცებისთვის სანიასინის სახით წარსდექი. იმის ძალას ფლობ, რომ ნებისმიერ ვინმედ იქცე და ნებისმიერი ფორმით გამოჩნდე. რამდენადაც ნებისმიერი ფორმის მიღება შეგიძლია, რომელსაც კი ისურვებ, რატომ არ გინდა, რომ რამას სახით წახვიდე სიტასთან? მაშინ სიტა უმალვე მიგიღებს. რატომ არ აკეთებ ამას?“

რავანამ მანდოდარს უპასუხა:

„მანდოდარი, რამას სახით რომ წარვმდგარიყავი და მისი წმინდა ფორმა მიმეღო, ჩემი ჟინი გაქრებოდა“.

როდესაც ღვთაებასთან ერთიანი გახდებით, თქვენი ყველა წვრილმანი, სულ მცირე აზრები და იდეები გაქრება. ისინი ვეღარ შეძლებენ თქვენთან მოსვლას და სიმშვიდის დარღვევას.

„ამიტომ, - უთხრა კრიშნამ არჯუნას, - *როდესაც ბრძოლაში ერთვები, იბრძოლე, მაგრამ ბრძოლის დროს ჩემზე იფიქრე. ეს არის ვალის შესრულების სწორი გზა. ასეთი სახით დჰარმის დაცვის მაღალ იდეალებს დაიცავ და ღირსეული მაგალითი იქნები სხვებისთვის, და სახელს გაითქვამ. თუ ყველაფერს ღმერთს შესთავაზებ, მაშინ შენს ყველა წამოწყებაში წარმატებას მიაღწევ. ეს რომ გააკეთო, გრძნობების კონტროლი უნდა ისწავლო. აუჩქარებლად, მაგრამ სწორად უნდა ეუფლებოდე შენს გრძნობებს, სანამ ისინი შენი სრული კონტროლის ქვეშ არ აღმოჩნდება. მაშინ შენ, როგორც ადამიანი, საკუთარი სრული პოტენციალის გაცნობიერებას შეძლებ. მაშინ შენში ასევე გონების წონასწორობა განვითარდება, და შენ სთჰითაპრაჯნას (ბრძენს) გიწოდებენ.*

მაგრამ ახლა შენი ცხოვრება ჯერ კიდევ მიბმულობებით არის სავსე; ნუთუ ასეთი შებოჭილი თავდაჭერილობის

განვითარებას შეძლებ? შენი შინაგანი სამყარო შორს არის შენგან. ყველა ურთიერთობა და კავშირი, რომელსაც ინარჩუნებ, მუდამ ცვლილების პროცესში იქნება. ისინი ცვალებადია და ბოლოს და ბოლოს ვერ დაგეხმარება. გააცნობიერე ჭეშმარიტება, რომელიც მარადიულს წარმოადგენს; მიენდე ღმერთს. ის მარად შენთან არის და არასოდეს მიგატოვებს“.

თავი ოცდამეორე

მკვრივი, ფაქიზი და კაუზალური სამყაროები

საითაც არ უნდა გაიხედოთ, ამ სამყაროში მხოლოდ ხუთ ელემენტს იპოვით და მეტს არაფერს; მეექვსე ელემენტს ვერსად ნახავთ.

სიყვარულის განხორციელებანო!

როგორც წინათ განვიხილეთ, არსებობს *აკაშას*, ანუ სივრცის სამი ტიპი. ისინი ასევე შეიძლება სამყაროებად ჩაითვალოს. ეს არის *ბჰუტაკაშა*, მკვრივი ფიზიკური სამყარო, *ჩიტაკაშა*, გონების ფაქიზი სამყარო, და *ჩიდააკაშა*, ყველაზე უფრო ფაქიზი და ვრცელი ყველა სამს შორის, რომელსაც უწოდებენ კაუზალურ სამყაროს. ამ სამი სამყაროს ზღვრებს მიღმა იმყოფება ღვთაებრივი პრინციპი, რომელიც სამივესთვის ხელის შემწყობია, და რომელსაც უწოდებენ *ბრაჰმანს*, ანუ ღმერთს; მას ასევე უწოდებენ *ატმას*, უკვდავ არსს.

ხუთი მკვრივი და ფაქიზი ელემენტი

ერთგულს, რომელიც ღვთაებრივი პრინციპის შეცნობას და მასთან შერწყმას ცდილობს, მართებს გაერკვეს *აკაშების* სამ პრინციპში, ანუ სამყაროებში. *ბჰუტაკაშა* შედგება ხუთი უმნიშვნელოვანესი ელემენტისგან: ეს არის ეთერი, ჰაერი, ცეცხლი, წყალი და მიწა. ეთერი, რომელსაც ასევე უწოდებენ კოსმოსს, პირველია ხუთ ელემენტს შორის; იგი ძალიან ფაქიზია. ეთერს არავითარი სპეციფიკური ატრიბუტი არა აქვს გარდა ხმისა. მას შემდეგ მოდის ჰაერი. ჰაერს ორი ატრიბუტი აქვს: ხმა და შეხება. შემდეგია ცეცხლი. ცეცხლის დანახვა შეიძლება; მას სამი ატრიბუტი აქვს, კერძოდ კი, ხმა, შეხება და ფორმა. ცეცხლს მოსდევს წყალი. ცეცხლის მსგავსად, წყლის დანახვაც შეიძლება შეუიარაღებელი თვალით. წყალს ოთხი ატრიბუტი აქვს, კერძოდ კი, ხმა, შეხება, ფორმა და გემო. მიწას, ბოლო ელემენტს, ყველა ხუთი არტიბუტი აქვს, კერძოდ კი, ხმა, შეხება ფორმა, გემო და სუნი. როგორც ხედავთ, მხოლოდ ბოლო სამ ელემენტს, ცეცხლს, წყალს და მიწას, აქვს ფორმა; პირველს და მეორეს, ეთერს და ჰაერს, სხვა თვისებები აქვს გარდა ფორმისა.

ის ყველაფერი, რის პოვნაც *ბჰუტაკაშაში*, ფიზიკურ სამყაროში, შეიძლება, ცვალებადია. დროთა განმავლობაში ყველა ობიექტი მთლიანად გარდაიქმნება, გადავა ერთი სახელიდან მეორეში და ერთი ფორმიდან მეორეში. *ბჰუტაკაშაში* ყველაფერი მუდმივ მოძრაობაში იმყოფება. მოდით უფრო ღრმად გავერკვიოთ ფიზიკურ ობიექტთა ბუნებაში, რომლებიც ამ ხუთი ელემენტისგან შედგება. მაგალითისთვის ავიღოთ ატომები, რომლებიც არსებობს მოცემულ ადგილას და მოცემულ დროს. მოცემულ მომენტში ისინი გარკვეულ ფორმას შეადგენს. რამდენადაც ატომები მოძრაობაშია, და თავის მდგომარეობას იცვლის, ფორმა, რომელსაც ისინი შეადგენს, ასევე შეიცვლება. ყველა ობიექტში ატომების მდგომარეობა იმდენად სწრაფად იცვლება, რომ ძნელია იმის თქმა, როდის მოხდა გარკვეული ცვლილება ობიექტში, რადგან ცვლილებები განუწყვეტლივ ხდება.

ატომები, რომლებიც ადამიანის სხეულს აყალიბებს, ნებისმიერი სხვა ფორმის ატომების მსგავსად, ყოველ წამს იცვლება, და ცვლილებებს იწვევს სხეულში. ეს ცვლილებები ოკეანის უსასრულო ტალღების მსგავსია. ოკეანეში ტალღებისთვის არ არის არც დასაწყისი, არც დასასრული. ერთი ტალღის წყლის წვეთები მეორეს ერწყმის. და ტალღები, რომლებსაც წვეთები უერთდება, თვითონ ერწყმის სხვა ტალღებს და ა.შ. ფორმათა ცვლილებებისა და შერწყმის ეს პროცესი განუწყვეტლივ ხდება. ასეთია ფიზიკური სამყაროს თვით ბუნება.

ცხოვრება ტალღების მთელი რიგია

კაცობრიობა შეიძლება აღვწეროთ როგორც ტალღების მთელი რიგი. სხვა ცოცხალი არსებები, როგორიცაა ცხოველები და ფრინველები, შეიძლება აღვწეროთ როგორც ტალღების კიდევ ერთი რიგი; მცენარეებიც შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ტალღები, ისევე როგორც მწერები და ქვეწარმავლები. დემონური ძალებიც შეიძლება აღვწეროთ როგორც ტალღები, ისევე როგორც ღვთაებრივი ძალები. ბუნებაში შეუძლებელია წინასწარ თქმა, ერთი ტალღის რომელი ასპექტი შეერწყმება მეორეს. ამიტომ, ისევე როგორც ერთი ტალღის წვეთები ოკეანეში სხვა ტალღას ერწყმის, ასევე აღმოჩნდება, რომ ადამიანური თვისებების მქონე ტალღა შეიძლება სხვა ცოცხალ არსებათა თვისებების მქონე სხვა ტალღას შეერწას. ეს არის ცვლილებებისა და გარდაქმნების ერთი უწყვეტი პროცესი.

ამრიგად, ცხოვრება შეიძლება აღვწეროთ როგორც ტალღების თანამიმდევრობა.

ასეთივე სახით სხეული, ისევე როგორც გონება, ცვლილებებს ექვემდებარება. ადამიანის ბუნება აზროვნების პროცესთან ასოცირდება, რომლის შედეგსაც წარმოადგენს მუდამ წარმოქმნის პროცესში მყოფ აზრთა თანამიმდევრობა. აზროვნების პროცესებიც ცვალებადია. ისინი მუდამ იცვლება ისევე, როგორც სხეული. სანამ ადამიანის სხეულში მიმდინარე ცვლილებათა ექვს სახეს არ გააცნობიერებთ, კერძოდ კი, დაბადებას, ზრდას, მომწიფებას, სისუსტეს, გადაგვარებასა და სიკვდილს, ცდომილებაში იქნებით, ჩათვლით, რომ ადამიანის ცხოვრება უცვლელია. ასეთი გაგების არარსებობის ძირეულ მიზეზს წარმოადგენს არცოდნა, თავის მოტყუება, რაც ეგოიზმის ზრდას უწყობს ხელს.

ფიზიკური სამყარო, ანუ *ბჰუტაკაშა*, შედგება ტრილიონობით მზისაგან; ყოველ მათგანს საკუთარი სამყარო აქვს; არსებობს ურიცხვი პლანეტა, დიდი და პატარა, და უთვალავი არსება; და მთელ ამ უზარმაზარ სამყაროში დედამიწა ყველაზე უფრო პატარა წვეთზეც კი მცირეა; ამ დედამიწაზე ინდოეთი მხოლოდ პატარა ქვეყანაა. ამ პატარა ქვეყანაში არის ერთი ბეწო შტატი. ამ ერთ ბეწო შტატში არსებობს კიდევ უფრო პაწაწინა რაიონი, ამ პაწაწინა რაიონში არის სულ პაწაწინა სოფელი. ამ სოფელში პაწაწინა სახლი დგას. და პაწაწინა სახლში ძალიან პაწაწინა სხეული ზის... უაზრობაა იმაზე ფიქრი, რომ ასეთ პაწაწინა სხეულს შეუძლია ეგოიზმს ფლობდეს და თავის თავზე დიდი წარმოდგენისგან იბერებოდეს, თუ მის უმნიშვნელო ზომებს შევხედავთ ამ ვეებერთელა სამყაროში.

თუ შეხედავთ *ბჰუტაკაშას* და თქვენს საკუთარ ადგილს მასში, დაინახავთ, რომ ფიზიკური თვალსაზრისით თქვენ ბალახის ღეროზე უფრო უმნიშვნელო ხართ ამ ტოტალობაში (ყოვლისგამსჭვალავ ერთიანობაში). ნუთუ შეუძლია ასეთ უმნიშვნელო ბალახის ღეროს იმის იმედი ჰქონდეს, რომ როდისმე გაიგებს ამ ყოვლისგამსჭვალავ ერთიანობას? ნუთუ შეუძლია უბრალო წვეთს როდისმე იმის იმედი ჰქონდეს, რომ მთელი ოკეანე გაზომოს? თუმცა ოკეანე თვითონ ექვემდებარება მუდამ ცვლილებებს ისევე, როგორც დედამიწა... და როგორც ყოველივე დანარჩენი *ბჰუტაკაშაში*.

სამყარო, რომელშიაც ცხოვრობთ, წარმავალი და წუთიერია. როგორ შეუძლია წუთიერ სამყაროში მცხოვრებ უმნიშვნელო დროებით არსს ცდილობდეს კიდეც გაიგოს უსასრულო,

უცვლელი არსი? ეს არსი რომ გაიგოთ, მუდმივ ადგილს უნდა იკავებდეთ ამ უცვლელი არსის საზღვრებში. სხეული, პიროვნება და ინდივიდუალობა – ეს ყველაფერი დროებითია. ისინი შეიძლება მირაჟს შევადაროთ. ადამიანი ცდილობს წყურვილი მოიკლას მირაჟში. მირაჟი წყალი გგონიათ, მაგრამ სინამდვილეში იქ წყალი არ არის. ვერ დაასველებთ ქსოვილს მირაჟში; მისი „წყლით“ ვედროს ვერ გაავსებთ ან წყურვილს ვერ მოიკლავთ. ასეთივე სახით თქვენი სხეული და თქვენი ინდივიდუალური ბუნება ვერასოდეს დაიკმაყოფილებს წყურვილს ჭეშმარიტი სიხარულისა, რომელსაც თქვენ ეძებთ.

ღვთაებრივი პრინციპის გარეშე სამყარო სრულიად ინერტულია

მთელი ვეებერთელა ფიზიკური სამყარო, *ბჰუტაკაშა*, წარმოადგენს მხოლოდ რაღაც ატომის მსგავსს *ჩიტაკაშაში*, მენტალურ სამყაროში, ისევე როგორც თქვენი სხეული მხოლოდ ატომია *ბჰუტაკაშაში;* ხოლო წარმოუდგენელი ზომის *ჩიტაკაშა* მხოლოდ ატომის ზომისაა *ჩიდააკაშაში*, კაუზალურ სამყაროში. *ბჰუტაკაშა*, რომელიც ხუთი მკვრივი ელემენტისგან შედგება, შეიძლება ხუთი გრძნობის ორგანოს დახმარებით აღვიქვათ. მაგრამ რამდენადაც *ბჰუტაკაშაში* ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ხუთი ელემენტისგან შედგება, ამიტომ *ბჰუტაკაშა* ინერტული და უგრძნობია. თუმცა მისთვის ღვთაებრივი პრინციპია დამახასიათებელი. ასეთივე სახით ღვთაებრივი პრინციპი ასევე შეიძლება ვიპოვოთ *ჩიტაკაშაში*, თუმცა რამდენადაც *ჩიტაკაშა* იმავე ხუთი ელემენტისგან შედგება (მათ ფაქიზ ასპექტში), ამიტომ ისიც ინერტული და არასულიერია. მაგრამ ისევე, როგორც ღვთაებრივი პრინციპი ინერტული სხეულისთვის არის დამახასიათებელი, რამდენადაც, იმყოფება რა მასში, ენერგიასა და სიცოცხლეს აძლევს მას, იგი ასევე დამახასიათებელია ინერტული ფიზიკური და მენტალური სამყაროებისთვის, *ბჰუტაკაშასთვის* და *ჩიტაკაშასთვის*, რადგან ეს პრინციპი მათ ენერგიას აძლევს და აცხოველებს.

ეს ღვთაებრივი პრინციპი მოდის *ჩიდააკაშადან*, უსასრულო სამყაროებს შორის ყველაზე უფრო ფაქიზი სამყაროდან. ამისი გაგების მცდელობისთვის, განვიხილოთ არეკვლა სარკეში. გამოსახულებას ან ანარეკლს არ გააჩნია საკუთარი დამოუკიდებელი არსებობა. იგი მხოლოდ მაშინ მოძრაობს, როცა ამრეკლავი საგანი მოძრაობს. სამყაროში ობიექტების მთელი მოჩვენებითი ბრჭყვიალი მოდის *ჩიდააკაშადან*, კაუზალური

სამყაროდან, შემდეგ კი *ჩიტაკაშას* და *ბჰუტაკაშას* მიერ აირეკლება, რომლებიც სარკეებივით მოქმედებენ. ისევე, როგორც მზის ნათება მთვარით აირეკლება, კაუზალურ მდგომარეობაში (*ჩიდააკაშაში*) მყოფი აირეკლება ფაქიზ მენტალურ მდგომარეობაში (*ჩიტაკაშაში*), ამის შემდეგ კი მკვრივ ფიზიკურ მდგომარეობაში (*ბჰუტაკაშაში*).

ახლა კი, დავუშვათ, რომ სარკეში ასახულის შემკობა გინდათ. ნუთუ ამის გაკეთება შეგიძლიათ? როდესაც თქვენს სახეს სარკეში ხედავთ, განა შეგიძლიათ შუბლზე წერტილი დაასვათ თქვენს გამოსახულებას სარკეში? არა, ეს უსარგებლო მცდელობა იქნებოდა. შუბლზე წერტილს თქვენს გამოსახულებას ასვამთ, მაგრამ როგორც კი ადგილიდან დაიძვრებით, გამოსახულებაც დაიძვრება, და შუბლის ცენტრში მდებარე წერტილი ახლა ყურთან იქნება. როდესა ერთ მხარეზე გაიწევთ, გამოსახულებაც სარკეში იმავე მიმართულებით გაიწევს, და წერტილი უკვე ცენტრში აღარ იქნება. მაშ როგორ უნდა დასვათ წერტილი გამოსახულების შუბლზე სარკეში, რომ ის ყველაფრისგან დამოუკიდებლად ადგილზე რჩებოდეს? წერტილი თვითონ ობიექტზე უნდა დასვათ; მაშინ შეიძლება მოძრაობა ნებისმიერი მიმართულებით ან სარკის მიბრუნება – ანარეკლში წერტილი ადგილიდან არ დაიძვრება. აი ამის საილუსტრაციო პატარა მაგალითი.

მხატვარი, რომელიც უფლის პირისახის დახატვას ცდილობდა

ოდესღაც ცხოვრობდა სახელგანთქმული მხატვარი. მას პორტრეტისტის დიდი ნიჭი ჰქონდა. ერთხელ ის კრიშნასთან მივიდა, რომელიც იმ დროს დვარაკაში ცხოვრობდა; მხატვარს მისი პორტრეტის დახატვა უნდოდა. კრიშნამ ნათელი ღიმილით უპასუხა:

„თუ ჩემი პორტრეტის დახატვა გინდა, მაშინ შეგიძლია საქმეს შეუდგე. მითხარი, რა უნდა ვქნა“.

მხატვარმა უპასუხა:

„სვამი, თუ შეიძლება, ერთი საათის განმავლობაში ერთ ადგილას იჯექი, მონახაზს გავაკეთებ, მოგვიანებით კი დეტალებს შევავსებ“.

კრიშნა ერთ ადგილას იჯდა უძრავად. მხატვარმა რაღაც დროის შემდეგ წინასწარი მოხაზვა გააკეთა, კრიშნას ლოტოსის ფეხებთან განერთხა და თქვა:

„სვამი, დღეისთვის მოვრჩი“.

კრიშნამ ღიმილით ჰკითხა:

„როდის მოიტან მზა სურათს?“

მხატვარმა უპასუხა:

„სვამი, ხვალ ამავე დროს შემიძლია დავასრულო ის“.

მხატვარი მთელი ღამე დაუღალავად ურთულეს ამოცანაზე მუშაობდა – მას უნდა უფლის ზუსტი მსგავსება დაეხატა ტილოზე. როდესაც მეორე დილას სურათი მზად იყო, მხატვარი თავისი მუშაობით ძალიან კმაყოფილი დარჩა. მან სურათი ლამაზი მატერით შეფუთა და კრიშნასთან მიიტანა. მაგრამ, როცა მატერია მოაცილეს, აღმოჩნდა, რომ გასული 24 საათის განმავლობაში კრიშნა სრულიად შეიცვალა. მხატვარმა პორტრეტი კრიშნას გვერდით დადგა. როდესაც შეხედა სურათს, შემდეგ კი კრიშნას, გაიგო, რომ მათ შორის მსგავსება ძალიან პატარაა. კრიშნამაც შეხედა სურათს და შენიშნა:

„ჩემო კარგო, როგორც ჩანს, აქ მთელი რიგი უზუსტობაა“.

მხატვარმა თქვა:

„სვამი, თუ შეიძლება, მაპატიე. ნება მომეცი ერთჯერაც ვცადო სურათის დახატვა, იგი უკეთესი იქნება. მომეცი კიდევ ერთი შანსი“.

და ასე გრძელდებოდა ათი დღის განმავლობაში.

მხატვარი ყოველდღე ახდენდა სამუშაოს ხელახლა გადაკეთებას, მაგრამ ზუსტი პორტრეტი არ გამოდიოდა. და აი მას ძალიან შერცხვა; მან გადაწყვიტა, რომ უკეთესი იქნებოდა, თუკი ის სადმე გადაიხვეწებოდა – და ქალაქის დატოვება დააპირა. როდესაც დვარაკიდან გადიოდა, გზად შემთხვევით შემოხვდა ნარადა, უფალ ბრაჰმას ვაჟიშვილი. ნარადამ მხატვარს ჰკითხა:

„მგონია რაღაც გაწუხებს. მითხარი, რისგან ხარ ასეთი უბედური?“

მხატვარმა მას ყველაფერი აუხსნა, რაც მოხდა. ნარადამ მხატვარს უთხრა:

„კრიშნა დიდი მსახიობი და დიდი რეჟისორია. მან გაითამაშა მთელი ეს დრამა. თუ უბრალოდ გამოიყენებ შენს მხატვრულ მეთოდს, მისი პორტრეტის დახატვას ვერ შეძლებ. მაგრამ თუ ჭეშმარიტად გინდა, რომ წარმატებას მიაღწიო, მაშინ ჩემს სიტყვებს მოუსმინე და უპირობოდ შეასრულე, რასაც გეტყვი“.

მხატვარი დათანხმდა ნარადას. იგი დვარაკაში დაბრუნდა, და მეორე დღეს კრიშნასთან წავიდა, თან ლამაზი ქსოვილით დაფარული სურათი წაიღო. მან კრიშნას უთხრა:

„სვამი, ბოლოს და ბოლოს შევძელი შენი პირისახის ზუსტი ასლის მოტანა. – და განაგრძო: - *სვამი, შეხედე, თუ შეიძლება. აი შენი სრულყოფილი მსგავსება. რა ცვლილებებიც არ უნდა ხდებოდეს შენს გამოსახულებაში და ფორმაში, აქ დახატული პირისახე ამ ყველა ცვლილებას სწორად გვიჩვენებს“.*

შემდეგ ქსოვილის მოსახსნელად მოემზადა და თქვა:

„მიიღე ეს, თუ შეიძლება, როგორც შენი საუკეთესო პორტრეტი“.

როდესაც ფარდა ჩამოვარდა, - უბრალოდ სუფთა სარკე გამოჩნდა.

თუ უფლის (რომელიც უცვლელია) პორტრეტის დახატვა გსურთ, ისეთი დროებითი საშუალებებით, როგორიცაა ფუნჯები, საღებავები და ა.შ., წარმატებას ვერ მიაღწევთ. *ბჰუტაკაშაში* ყველაფერი წუთიერია. ყველა ფორმა მუდამ ცვლილებას ექვემდებარება. ასეთი წარმავალი ფორმები ვერ მოგცემთ უცვლელი უფლის ჭეშმარიტ ხედვას. თუ გინდათ მიიღოთ უფლის სუფთა და უცვლელი ხედვა, ამის გაკეთებას შეძლებთ მხოლოდ სუფთა სარკეში – თქვენს საკუთარ სუფთა გულში. უფლის ძებნა *ბჰუტაკაშაში*, სხვა სიტყვებით, მისი პოვნის მცდელობა ცვალებადი ფორმის მეშვეობით, რომელსაც მკვრივ ფიზიკურ სამყაროში აქვს ადგილი, - ეს ერთგვარი ილუზიაა.

მარადიულს რომ მიაღწიოთ, ცვალებადის ზღვრებს იქით უნდა წახვიდეთ

ვერ შეიცნობთ მარადიულ უცვლელ არსს დროებითი ცვალებადი ფორმების მეშვეობით. როგორი ცოდნაც არ უნდა მიიღოთ ასეთი გზით, ის არ იქნება მუდმივი. როგორი სიხარულიც არ უნდა მიიღოთ, და ასეთი სახით უფლის შეცნობა ეცადოთ, იგი მხოლოდ დროებითი იქნება. ამ ხუთი ელემენტის საფუძველში დევს ის ფაქტი, რომ ისინი მუდამ იცვლება. უცვლელობის მდგომარეობას რომ მიაღწიოთ, თქვენ უნდა ამ ხუთი ელემენტისა და მათი ცვალებადი ფორმების ზღვრებს იქით წახვიდეთ.

დავუშვათ, ტაძრისკენ გაემართეთ როგორც მომლოცველი, რომ უფლის ხედვა მიიღოთ. გზაში შეიძლება ძალიან ბევრი სიძნელე შეგხვდეთ. ამის შემდეგ, როცა ბოლოს და ბოლოს ადგილზე მიხვედით და ტაძარში შესვლის შესაძლებლობა მიიღეთ, დგახართ ღვთაების გამოსახულების წინაშე, და თქვენი გული სევდით არის შევსილი. უყურებთ გამოსახულებას, შემდეგ თვალებს ხუჭავთ და მზერას თქვენ შიგნით მიმართავთ. ამდენი

სიძნელე გადალახეთ იმისათვის, რომ იქ მისულიყავით და მბრწყინავი გამოსახულებისთვის შეგეხედათ, მაშ იქ ყოფნის დროს რატომ ხუჭავთ თვალებს და თქვენ შიგნით იყურებით? რა არის ამის შინაგანი აზრი? მზერას თქვენ შიგნით იმიტომ მიმართავთ, რომ გესმით, რომ უფლის უცვლელი და ჭეშმარიტი ხედვის მისაღებად თქვენს გულში უნდა ჩაიხედოთ. ინტუიციურად იცით, რომ გამოსახულებები, რომლებსაც თვალებით ხედავთ, წუთიერი შთაბეჭდილებებია, რომლებიც ცვალებად აზრებზეა დადებული. მას შემდეგ, რაც ეს ვიზუალური გამოსახულებები აზრებში ჩაიბეჭდეთ, ისინი უნდა განამტკიცოთ, რომ უცვლელი შთაბეჭდილებები გახდეს თქვენს გულში.

თუმც შეუძლებელია ღვთაების უშუალო შეგრძნების მიღება ფიზიკურ სამყაროში, მაგრამ შეგიძლიათ ირიბი ხედვა მიიღოთ. იგი რაღაც დროებით სიხარულს მოგცემთ. უარი არ უნდა თქვათ ამ დროებით სიხარულზე მხოლოდ იმიტომ, რომ *ბჰუტაკაშა* დროებითი და წუთიერია. ეს დროებითი სიხარულიც კი უნდა შეინარჩუნოთ, შემდეგ კი ნელა, თანდათან წინ იწევდეთ მუდმივი სიხარულისკენ. ამ გზაზე სამი სტადია არსებობს. პირველი სტადიაა ის, რასაც შეიძლება ვუწოდოთ „არაჭეშმარიტება არაჭეშმარიტებაში“. მეორე სტადიას შეიძლება ვუწოდოთ „არაჭეშმარიტება ჭეშმარიტებაში“. მესამე სტადიაა „ჭეშმარიტება ჭეშმარიტებაში“. ეს სამი სტადია სამ სამყაროს შეესაბამება: ფიზიკურს, ანუ მკვრივს, მენტალურს, ანუ ფაქიზს, და კაუზალურს; ეს არის *ბჰუტაკაშა*, *ჩიტაკაშა* და *ჩიდააკაშა*.

„არაჭეშმარიტება არაჭეშმარიტებაში“ არის ის, რასაც ხედავთ *ბჰუტაკაშაში*, გრძნობების მკვრივ სამყაროში; აქ ყველაფერი წუთიერი და წარმავალია; აქ ილუზიურია არა მარტო ანარეკლი, არაჭეშმარიტი და ილუზიურია ასევე თვითონ ობიექტიც, რომელიც აირეკლება, და მენტალური მდგომარეობიდან ჩნდება. სიტუაცია „არაჭეშმარიტება ჭეშმარიტებაში“ შეიძლება ვიპოვოთ *ჩიტაკაშაში*, სადაც ყველაფერი გეგმილდება, ანუ ყველაფერი დროებითი და არაჭეშმარიტია, მაგრამ იმის ანარეკლს წარმოადგენს, რაც მუდმივი და ჭეშმარიტია. „ჭეშმარიტება ჭეშმარიტებაში“ შეიძლება ვიპოვოთ *ჩიდააკაშაში*; იგი თავისუფალია ყოველგვარი ილუზიური გეგმილებისგან და ანარეკლებისგან; ეს არის ჭეშმარიტების თვით არსი, იმიტომ რომ მის შიგნით *ატმას* უცვლელი სინათლე ბრწყინავს.

თქვენ ერთი კი არა, სამი პიროვნება ხართ

მკვრივი სამყაროს უკან დგას ფაქიზი, ფაქიზში კი შეიძლება მკვრივის ფორმები ვიპოვოთ. ბავშვობაში უკვე არსებობს სიბერე საწყის სტადიაში; სიბერეში კი შეიძლება ვიპოვოთ ბავშვობის ოდნავ გასარჩევი კვალი.

მაგრამ არსებობს ის რაღაც, რაც აღემატება როგორც მკვრივ, ასევე ფაქიზ სამყაროებს. ეს არის *ჩიდააკაშა. ჩიდააკაშაში* არ არის მოძრაობა; იგი არავითარ ცვლილებას არ ექვემდებარება. მასში იმყოფება *პარამჯიოტი, ატმას* თვითმნათი სინათლე. საბოლოო ჯამში, ის, რაც ყველა ამ მდგომარეობას ააქტიურებს და აცხოველებს, არის *ატმას* სინათლე, ანუ თქვენში *მყოფის* სინათლე. *ატმა* ყველა სამი სამყაროს წყარო და სუბსტრატია. მხოლოდ *ატმას* ამ ყოვლისშემღწევი სინათლის წყალობით, რომელიც *ჩიდააკაშაში* და მისი მეშვეობით ბრწყინავს, შეგიძლიათ განიცადოთ *ჩიტაკაშა* და *ბჰუტაკაშა. ჩიდააკაშა* რომ არ ყოფილიყო, მაშინ თქვენთვის არ იარსებებდა არც *ჩიტაკაშა*, არც *ბჰუტაკაშა.*

ამიტომ საჭიროა თქვენს ცხოვრებას *ჩიდააკაშაზე* აფუძნებდეთ, მაგრამ ამავე დროს იყენებდეთ *ბჰუტაკაშას* იმისათვის, რომ *ჩიტაკაშას* მიაღწიოთ, ხოლო *ჩიტაკაშას*, რომ *ჩიდააკაშას* მიაღწიოთ. ამის ილუსტრაციისთვის განვიხილოთ ოკეანე. ზღვის ტალღები და წყალი არ არის ერთმანეთისგან განსხვავებული, ისევე როგორც ქაფი და ტალღები. ქაფი, ტალღები და ზღვა ერთიანია. ამ ყველასთვის წყალია დამახასიათებელი, მაგრამ ისე ჩანს, თითქოს ქაფი, ტალღები და ზღვა ერთმანეთისგან განსხვავდება.

ასევე გამჟღავნებულ სამყაროში საჭიროა გავხსნათ საერთო ელემენტი, რომელიც ყველა მდგომარეობის საფუძველში დევს, რომლებსაც ჩვენ განვიცდით, და *ბჰუტაკაშას, ჩიტაკაშას* და *ჩიდააკაშას* აერთიანებს. ეს სამი *აკაშა* შეიძლება ცნობიერების სამ მდგომარეობასთან იქნას ასოცირებული. სიფხიზლის მდგომარეობა შეიძლება *ბჰუტაკაშად* ჩავთვალოთ, ძილის მდგომარეობა – *ჩიტაკაშად*, ღრმა ძილის მდგომარეობა კი – *ჩიდააკაშად.* ამ სამი მდგომარეობის ზღვრებს მიღმა არსებობს მეოთხე მდგომარეობა, *ტურიია*, რომელიც მათ გამსჭვალავს და მათთვის საერთოს წარმოადგენს. ეს არის ზეცნობიერების მდგომარეობა, ტრანსცენდენტური მდგომარეობა. თავისთავად ღრმა ძილის არაშეგნებული მდგომარეობა, *შუშუპტი*, რომლისთვისაც ღრმა სიმშვიდის თვისებაა დამახასიათებელი, ვერ უზრუნველყოფს თქვენთვის ჭეშმარიტ ნეტარებას. თუმცა,

როდესაც ღრმა ძილიდან სიფხიზლის მდგომარეობაში ბრუნდებით, გრძნობთ, რომ სიმშვიდით დატკბით. ხოლო *ტურიიას* მდგომარეობაში, ზეცნობიერების მდგომარეობაში, შეგიძლიათ ჭეშმარიტი *ანანდით*, ანუ მარადიული ნეტარებით ტკბებოდეთ და მუდამ ამ მდგომარეობის სრულ ცნობიერებაში რჩებოდეთ.

სამადჰი გონების აღუშფოთველობაა

შანკარა ძილს აღწერდა როგორც *სამადჰის* მდგომარეობას. ჩვეულებრივ *სამადჰის* შეცდომით ემოციურ მდგომარეობად მიიღებენ, რომელშიც ადამიანი უჩვეულოდ, თითქოს მაღალი აღგზნების ან ტრანსის მდგომარეობაში მოქმედებს. თქვენ ფიქრობთ, რომ *სამადჰი* არის სიფხიზლის მდგომარეობისგან, ძილისგან ან ღრმა ძილისგან განსხვავებული რამ. მაგრამ სინამდვილეში *სამადჰი* ყველა ამ მდგომარეობისთვის არის დამახასიათებელი. *სამადჰის* მნიშვნელობა თვითონ ამ სიტყვაშია: *„სამა“* და *„დჰი“* - ეს ორი მარცვალი შეადგენს სიტყვას *სამადჰი*. *„სამა“* ნიშნავს „იგივეს“, *„დჰი“* კი დაკავშირებულია აზროვნებასთან. ანუ *სამადჰი* ნიშნავს „აზროვნებას სულიერი სიმშვიდის მდგომარეობაში“. ერთნაირად ეპყრობოდეთ სიცივეს და სიცხეს, შემოსავალს და კარგვას, ქებას და გაკიცხვას, - აი რა არის *სამადჰი*. ამიტომ *სამადჰიში* ჩაშვებული ადამიანი, რომლის გონებაც აღუშფოთველია, მუდამ ნეტარების მდგომარეობაში იმყოფება, იქნება ის *ბჰუტაკაშაში*, ანუ სიფხიზლის მდგომარეობაში, *ჩიტაკაშაში*, ანუ ძილის მდგომარეობაში, თუ *ჩიდააკაშაში*, ანუ ღრმა ძილის მდგომარეობაში. ყოველ ადამიანს სწყურია ასეთი ნეტარი მდგომარეობა, მაგრამ მისი მიღწევისთვის საჭიროა დიდი სულიერი პრაქტიკა, ხოლო გარდა ამისა, საჭიროა უფლის წყალობის მოპოვება. ამისათვის აუცილებელია გონების გაწონასწორებულობის განვითარება და უფლის საამებლად პატიოსანი ცხოვრების გაწევა.

კრიშნამ აღწერა *სთჰითაპრაჯნას* (ჭეშმარიტად ბრძენი ადამიანის) ხასიათის კეთილშობილი თვისებები, და არჯუნას უთხრა:

„არჯუნა, უსარგებლოა შენს მოქმედებებს იმ საზრიანობაზე აფუძნებდე, რომელიც სხეულს ეხება. მიჰყევი ჩემს მითითებებს! ასრულე შენი ვალდებულებები, და მუდამ ჩემზე იფიქრე. მაშინ შეძლებ ყველგან მსუფევი ღვთაების განცდას და მისით ტკბობას. ღვთაებრიობა არის ერთიანობა, რომელიც სამყაროს მთელ მრავალფეროვნებაში დევს; მთელი შენი მოქმედებები ამაზე

დაამყარე. როცა შენი აზრები ღმერთზე იქნება მოკრებილი, ჩემს გულს დაიპყრობ, და მთელი ჩემი ყურადღება შენზე იქნება მოკრებილი“.

რადგან, რა მდგომარეობაშიც არ უნდა იმყოფებოდეს *სთჰითაპრაჯნა*, მისი აზრები და გრძნობები არავითარ ცვლილებებს არ იქნება დაქვემდებარებული, და მას მხოლოდ ღვთაებაზე ექნება მთლიანად ყურადღება მოკრებილი.

ვის გააკვირვებს ის, რომ ცეცხლს თან ახლავს მხურვალება? წვა ცეცხლის ბუნებრივი მდგომარეობაა, ისევე როგორც სიცივე ყინულის ბუნებრივი მდგომარეობაა. ზუსტად ასევე ის, ვინც დაიბადა, მოკვდება. ეს სრულიად ბუნებრივად უნდა ითვლებოდეს. ვინც ამ ჭეშმარიტებას აღიარებს, მას მწუხარება არ შეეხება. ამიტომ ყველგან და ნებისმიერ გარემოებაში განავითარეთ გონების აღუშფოთველობა; და რაც არ უნდა მოხდეს, თქვენი გონება მუდამ ღმერთისკენ მიმართეთ. იმისათვის, რომ განავითაროთ ყველგან და მუდამ ღმერთზე ფიქრის ეს უნარი, საჭიროა ღრმად გაერკვეთ *ბჰუტაკაშას*, *ჩიტაკაშას* და *ჩიდააკაშას* სახასიათო თვისებებში, ანუ სამი სამყაროს - ფიზიკურის, მენტალურისა და კაუზალურის - ძირითადი თვისებების ღრმა გაგებას მიაღწიოთ.

განვიხილოთ შემდეგი სიტუაცია: საღამოს თქვენ ვახშმობთ და დასაძინებლად წვებით. მალე იძინებთ და სიზმრებს ხედავთ. სიზმრებში თქვენს თავს ბევრი რამ ხდება, მაგრამ გამოღვიძების შემდეგ ძილის მდგომარეობიდან არაფერი რჩება. სიფხიზლის მდგომარეობაში სხვადასხვა მოქმედებებს ასრულებთ და სხვადასხვა განცდებს გადიხართ, მაგრამ მოგვიანებით, როცა კვლავ დასაძინებლად წვებით, ამ მოქმედებებს ძილის მდგომარეობაში მიმდინარე მოვლენები გვერდზე გადასწევს. სულ რაღაც 24 საათის განმავლობაში ძალიან ბევრი ცვლილება ხდება.

მხოლოდ შენ ხარ ჭეშმარიტი

ძილისა და სიფხიზლის მდგომარეობები საოცარი სახით განსხვავდება ერთმანეთისგან. საჭიროა გაარკვიოთ, რა უნდა გჯეროდეთ და რა არა. შეიძლება იკითხოთ:

„რა არის ჭეშმარიტი, და რა არ არის ჭეშმარიტი? ის ვარ, ვინც იმ ყველაფერს განიცდის, რაც სიფხიზლის მდგომარეობაში ხდება, თუ ის ვარ, ვინც ძილის მდგომარეობაში მიმდინარე მოვლენებს განიცდის?“

პასუხს ვედანტა იძლევა:

„არც ის ვარ და არც ეს ვარ. ის არ ვარ, ვინც სიფხიზლის მდგომარეობას განიცდის, და არც ის ვარ, ვინც ძილის მდგომარეობას განიცდის, არც ის ვარ, ვისაც ღრმა ძილის მდგომარეობში სძინავს. ყველა ამ მდგომარეობას აღვემატები. მე თვით ტრანსცენდენტალური რეალობა ვარ“.

ის, რაც გგონიათ, რომ არსებობს, სინამდვილეში არ არსებობს. ის, რისი არსებობაც არ გჯერათ, სინამდვილეში არსებობს. როდესაც სიბრძნეს შეიძენთ, გააცნობიერებთ, რომ სინამდვილეში არსებობს მხოლოდ *ერთი* – ეს არის მარადიული ჭეშმარიტება, ეს არის *ბრაჰმანი*, ტრანსცენდენტალური პრინციპი. მაგრამ *ბრაჰმანის* ეს პრინციპი ჩვეულებრივი ადამიანებისთვის ადვილად ხელმისაწვდომი არ არის. რაზედაც კითხულობთ, ისმენთ და რასაც განიცდით, - ეს ყველაფერი *ბჰუტაკაშას* ატრიბუტებია. ამითიც რომ დაიწყოთ, თქვენი მიზნის მიღწევისკენ უნდა ისწრაფოდეთ. ფორმისგან უნდა მოძრაობდეთ წინ *უფორმოსკენ*, ცვალებადისგან უნდა მოძრაობდეთ წინ *უცვლელისკენ*. ეს შეიძლება აღვწეროთ როგორც მოძრაობა *სავიკალპასგან ნირვიკალპასკენ*. *სავიკალპა* ატრიბუტებთან ასოცირდება; ის ყველაფერი, რაც ატრიბუტებს აღემატება და სამი *გუნას* ზღვრებს მიღმა მიდის, არის ნირვიკალპა. *ნირვიკალპა* არავითარ ცვლილებას არ ექვემდებარება – იგი მარადიულია. ამ უცვლელი მდგომარეობის მიღწევა სულიერი მაძიებლის მიზანია. იმას, ვინც ამ მდგომარეობაში ჩაეშვა, უწოდებენ *სთჰითაპრაჯნას*. შეიძლება ეჭვობდეთ, მიაღწია კი არჯუნამ *სთჰითაპრაჯნას* მდგომარეობას. თვითონ კრიშნამ უბოძა ეს მდგომარეობა არჯუნას; მან არჯუნა *სთჰითაპრაჯნად* გარდაქმნა და მისგან ღმერთის ინსტრუმენტი შექმნა.

თუ ბრძენი მოქმედებებს არ აწარმოებს, მაშინ კარგ მაგალითს ვერ უჩვენებს სხვა ადამიანებს. უნივერსიტეტში არის ფიზიკური მომზადების კათედრის გამგე და ფიზკულტურის მასწავლებელი. ფიზკულტურის მასწავლებელი მითითებებს კათედრის გამგისგან იღებს. სწავლების დროს კათედრის გამგე არ ჩაერევა, ფიზკულტურის მასწავლებელი კი ბრძანებებს გასცემს: „1.. 2.. 3..!“ - და ყელა საჭირო მოძრაობას უჩვენებს. მან უნდა მაგალითი უჩვენოს; მხოლოდ ამ შემთხვევაში უნდა ველოდოთ, რომ სხვები მას მიჰყვებიან. ასეთი მასწავლებლის მსგავსად, *სთჰითაპრაჯნა*, ემორჩილება რა *რეჟისორის* მითითებებს თავის თავში, მაგალითს იძლევა იმისათვის, რომ ჩვეულებრივი ადამიანები მას მიჰყვებოდნენ.

ამრიგად, კრიშნამ არჯუნა *გიტას* აზიარა და იდეალურ ადამიანად გარდაქმნა. კრიშნამ უთხრა მას:

„შენიდან ჩემს იდეალურ ინსტრუმენტს შევქმნი, რომელიც ჩემს სამუშაოს შეასრულებს“.

რაშია იმის უფრო ღრმა მნიშვნელობა, რომ ეს ყველაფერი კრიშნამ არჯუნასთვის გააკეთა? სახელი არჯუნა ნიშნავს: „ის, ვისი გულიც სუფთაა“. არჯუნა მუდამ კრიშნაში ცხოვრობდა. რამდენჯერმე კრიშნა არჯუნას მიმართავდა როგორც *ბჰარატას*. ეს სახელი ნიშნავს: „ის, ვინც ღმერთში ცხოვრობს“. *„ბჰა“* ნიშნავს „ნათებას“. ის, ვინც ღვთაების ნათებაში ცხოვრობს, *ბჰარატას* წარმოადგენს. კრიშნასა და არჯუნას შორის ურთიერთობათა უფრო ღრმა ასპექტებს შეიძლება დავაკვირდეთ იმ სახელების დახმარებით, რომლებსაც კრიშნა არჯუნას აძლევდა.

ჭეშმარიტი ბრძენის თვისებები

არჯუნას ერთადერთი ვალი იყო ის, რომ უპირობოდ მიჰყოლოდა კრიშნას მითითებებს. არჯუნამ თქვა:

„სვამი, შენს ბრძანებებს დავემორჩილები, როგორიც არ უნდა იყოს ისინი. რაც არ უნდა მთხოვო, ყველაფერს შევასრულებ. შენი მითითებების გარეშე თვითონ არაფერს ვიზამ“.

ჭეშმარიტად, ეს არის *სთჰითაპრაჯნას* მოქცევა. *სთჰითაპრაჯნას* არა აქვს გრძნობა „მე“ ან „ჩემი“. მას არა აქვს არც ეგოიზმი, არც მიბმულობები. უფლის ყოველი ბრძანების მიღება და მისთვის მიყოლა, ამავე დროს ეგოსა და მესაკუთრეობის ყველა კვალის მოსპობა, - აი *სთჰითაპრაჯნას* კეთილშობილი თვისებები. აი რატომ ხდება *გიტას* მეორე თავში *სთჰითაპრაჯნას* თვისებების დეტალური ახსნა.

მაგრამ *სთჰითაპრაჯნას* თვისებების უბრალო აღწერა არასაკმარისი იქნებოდა, ამიტომ კრიშნამ სამი მდგომარეობის თვისებებისა და სამი სამყაროს სხვადასხვა ასპექტის ახსნიდან დაიწყო. არჯუნა ინტელექტუალურ გამჭრიახობას ფლობდა, რომელმაც მას იმის შესაძლებლობა მისცა, რომ სწრაფად გაეგო ამ ყველაფრის შინაგანი მნიშვნელობა. მას შემდეგ, რაც უფლის კოსმოსური ფორმის ხედვა მიეცა, მან უმალვე გაიგო ამ ფორმის უფრო ღრმა მნიშვნელობა. გაიგო, რომ ეს ნიშნავს სამ სამყაროს – *ბჰუტაკაშას, ჩიტაკაშასა* და *ჩიდააკაშას* - შორის ერთობას. მას შემდეგ, რაც არჯუნამ ამ კოსმოსური ფორმის ხედვა მიიღო, რა დროსაც არ უნდა დაეხუჭა თვალები, ის მუდამ კრიშნას ხედავდა – ეს იყო წარუშლელი შთაბეჭდილება მის გულში. მიხვდა, რომ

იმას, რასაც ის გახელილი თვალებით ხედავდა, ადგილი ჰქონდა *ბჰუტაკაშაში* – ფიზიკურ პლანზე. ამის შემდეგ, თვალების დახუჭვისას, მას შეეძლო შინაგანად დაენახა ის, რაც მეხსიერებაში ჩაებეჭდა, - ეს იყო *ჩიტაკაშაში*, მენტალურ პლანზე. ხოლო წარუშლელი შთაბეჭდილება, რომელიც ამ ხედვამ დაუტოვა გულში, იყო *ჩიდააკაშაში*, კაუზალურ პლანზე. ეს ქაღალდზე ბეჭდვას ჰგავს: როდესაც სურათი დაბეჭდილია, მისი ქაღალდისგან განცალკევება შეუძლებელია. ასეთივე სახით კრიშნას კოსმოსური ფორმა მუდმივი შთაბეჭდილება გახდა არჯუნას გულში.

არჯუნა იდეალური ადამიანი იყო, თუმცა ჩვეულებრივი მოქმედებებით იყო დაკავებული, რომ თავისი მაგალითით კაცობრიობისთვის ემსახურა. მასში გონება მუდამ კრიშნას ლოტოსის ტერფებისკენ იყო მიმართული. არჯუნამ იცოდა, რომ მისი ფიზიკური ფორმა არსებობს ერთადერთი მიზნისთვის – კრიშნას მითითებები ასრულოს. კრიშნა ამას *სთჰითაპრაჯნას*, ჭეშმარიტი ბრძენის, ედეალურ თვისებად თვლიდა.

თავი ოცდამესამე

შეზღუდეთ სურვილები, და ღმერთის სიყვარულს დაიმსახურებთ

ის ყველაფერი, რაც კი დაბადებულია,
ცხოვრების ექვს სტადიას გადის, კერძოდ კი:
დაბადებას, ზრდას, მომწიფებას, სისუსტეს,
დაბერებასა და სიკვდილს. მაგრამ ის, რაც
დაბადებული არ არის, არასოდეს მოკვდება.
ამ შემთხვევაში ასეთი სტადიები შეუფარდებელია.

სიყვარულის განხორციელებანო!

გიტას მეორე თავში, სახელად *„სანქჰია-იოგა“*, განიხილება სიბრძნის გზა. პრინციპი, რომელიც სიბრძნის გზის (*სანქჰია-იოგას*) საფუძველში დევს, შემდეგია: **მოკვდება მხოლოდ ის, რაც დაბადებულია.** ის, რაც დაბადებისა და სიკვდილის საფუძველში დევს, თავისი განვითარების პროცესში ექვს სტადიას გადის, კერძოდ კი: დაბადებას, ზრდას, მომწიფებას, სისუსტეს, დაბერებასა და სიკვდილს. მაგრამ უპირველეს ყოვლისა დაბადება რომ არ ყოფილიყო, მაშინ არავითარი მომდევნო ფაზა არ გაჩნდებოდა. რა არ იბადება არასდროს? *ატმა! ატმა* არ იბადება და არ კვდება. *ატმა* არავითარ ცვლილებას არ ექვემდებარება. იგი მუდმივია, უცვლელია, მას არა აქვს ატრიბუტები. ეს თქვენი საკუთარი ბუნებაა. მხოლოდ სხეულს აქვს დაბადება, მხოლოდ სხეული გადის ცხოვრების განვითარების ექვს სტადიას, მხოლოდ სხეული ექვემდებარება სიკვდილს. მაგრამ ის, ვინც სხეულში, *დეჰაში*, იმყოფება, არ ექვემდებარება იმ ცვლილებებს, რომლებიც სხეულისთვის არის დამახასიათებელი. ის, ვინც სხეულში იმყოფება, *ატმაა*. მას უწოდებენ *ნირმაიას*, ანუ *მაიასგან* თავისუფალს, ილუზიისგან თავისუფალს. როგორც კი *ატმას* პრინციპს გაიგებთ, აღიარებთ, რომ მხოლოდ მას აქვს ჭეშმარიტი ღირებულება, რომ მხოლოდ მისი შეცნობა ღირს; ყოველივე დანარჩენი ხანმოკლეა, წუთიერია. მთელი შესაძლო ძალისხმევის გამოჩენაა საჭირო იმისათვის, რომ *ატმას* ცოდნა შეიძინოთ და ამგვარად მარადიულ სიხარულს მიაღწიოთ.

იყავით კმაყოფილნი, ნუ გამოეკიდებით სურვილებს

ხელს ნუ უწყობთ სურვილების გამრავლებას. უკეთესია იმით იყოთ კმაყოფილნი, რაც გაქვთ მოცემული. თავში *ბჰაქთი-იოგას* შესახებ კრიშნამ ერთგულის 26 კეთილშობილი თვისება ჩამოთვალა; ეს თვისებები მას უფლისთვის ძვირფასს ხდის. აქედან კმაყოფილება გამოყოფილია როგორც ერთგულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისება. ეს ნიშნავს, რომ ამქვეყნიურ გართობებს არ იყოთ გამოკიდებული. როდესაც უამრავი სხვადასხვა სახის ფუფუნებითა და გრძნობითი სიამოვნებით დატკბებით თქვენს ცხოვრებაში და მათგან ვერ მიიღებთ ვერც სიმშვიდეს, ვერც კმაყოფილებას, უნდა შეწყვიტოთ მათი დევნა, და მაშინ კმაყოფილებას მიაღწევთ.

ადამიანის გული, რომელიც კმაყოფილებას არ განიცდის, შეიძლება შევადაროთ ხვრელებით სავსე ბამბუკის კალათას. თუ ასეთი კალათით წყლის ამოღებას ეცდებით, მაშინ წყალი გამოვა მანამდე, სანამ კალათა მაღლა ამოვა. მასში ერთი წვეთი წყალიც კი არ დარჩება, რომ წყურვილი მოიკლათ. ასეთივე სახით, თუ სურვილები და სახარბე გტანჯავთ, მთელი თქვენი კმაყოფილება გაქრება მანამდე, სანამ სურვილების ასრულებისგან დაკმაყოფილების შესაძლებლობას მიიღებთ. როდესაც თქვენი გულიდან კმაყოფილება ქრება, მის ადგილას მხოლოდ დაუკმაყოფილებლობა რჩება.

სურვილი ყოველთვის კიდევ უფრო მეტ სურვილს ბადებს. ადამიანმა, რომელსაც აბსოლუტურად არაფერი აქვს, შეუძლია ბედნიერად და კმაყოფილად იგრძნოს თავი, თუ იგი 100 რუპიას მიიღებს. მაგრამ იგივე ადამიანი, მას შემდეგ, რაც მან 100 რუპია მიიღო, ფიქრს იწყებს, რა კარგი იქნებოდა, 1000 რუპია რომ მიეღო მას. თუ შემთხვევით 1000 რუპიას მიიღებს, იგი მილიონი რუპიის მიღებას მოისურვებს. ამის შემდეგ იგი იმისკენ ისწრაფის, რომ მიწათმფლობელი გახდეს. გახდა რა მიწათმფლობელი, მას მოუნდება გახდეს კანონმდებელი, შემდეგ მინისტრი, ამის შემდეგ კი პრემიერ-მინისტრი. ბოლოს და ბოლოს მოუნდება, რომ ღვთაებრივ მდგომარეობას მიაღწიოს. მაგრამ შეუძლებელია ღვთაებრივის მიღწევა ფულისა და სიმდიდრის დახმარებით. როდესაც ადამიანის სურვილები ყველა ზღვარს სცილდება, მას ვერაფერი დააკმაყოფილებს, და მის სიმდიდრეს მისთვის არავითარი შინაგანი სიმშვიდე არ მოაქვს. უნდა ისწავლოთ დაკმაყოფილება იმით, რაც არის, კმაყოფილებას იღებდეთ იმ შეძლებით, რომელიც უკვე მოგეცათ. თქვენი ამოცანა

იმაშია, რომ წესრიგში გქონდეთ ის ქონება, რომელიც ღმერთის წყალობით მოგეცათ, და ყოველთვის კმაყოფილი იყოთ.

როგორ უნდა მოიპოვოთ ღმერთის სიყვარული

თქვენ ქება-დიდებას უძღვნით ღმერთს, მაგრამ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ღმერთი გაქებდეთ. ღმერთს სიყვარულს უცხადებთ, მაგრამ უპირველეს ყოვლისა უნდა გაიგოთ, გიცხადებთ თუ არა თქვენ ღმერთი სიყვარულს? გჯერათ, რომ ღმერთი თქვენ გეკუთვნით, მაგრამ დაგიდასტურათ თუ არა ღმერთმა, რომ თქვენ მას ეკუთვნით? დავუშვათ, ვინმეს შეკვეთილი წერილი გაუგზავნეთ; მხოლოდ მაშინ, როცა დასტურს მიიღებთ, რომ ის მიღებულია, გაიგებთ, რომ წერილმა თავის დანიშნულებას მიაღწია. უბრალო მტკიცება, რომ ღმერთი დიადია, შეიძლება შეკვეთილი წერილის გაგზავნას შევადაროთ: უღრმეს კმაყოფილებას მხოლოდ მაშინ განიცდით, როცა ღმერთისგან დადებით დადასტურებას მიიღებთ, რომელიც ამბობს, რომ მისი სიყვარული თქვენთანაა და რომ ის თქვენც დიადად გთვლით! როდესაც მისგან მოდის სიტყვა: *„შენ ჩემი საყვარელი ადამიანი ხარ, ყველაზე უფრო ძვირფასი ხარ ჩემთვის!“* - მაშინ სრულ კმაყოფილებას აღწევთ. ეს თქვენი ყველაზე უფრო დიდი განძი ხდება. ასეთ შედეგს რომ მიაღწიოთ, მთელი რიგი სულიერი პრაქტიკა უნდა აწარმოოთ. თუ ბოლოს და ბოლოს ასეთ შედეგს ვერ მიიღებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა თქვენი ძალისხმევა ამაო იყო.

იმედი, მოლოდინი, სულიერი პრაქტიკების შედეგები, რომლებსაც აწარმოებთ, იმაში მდგომარეობს, რომ ღმერთისგან შემდეგი აღიარება მიიღოთ:

„ჩემო ძვირფასო! შენ მე მეკუთვნი!“

არჯუნამ მიიღო ასეთი დარწმუნება. მას ბევრი სურვილი ჰქონდა, მაგრამ მან უარი თქვა მათზე და თავი მთლიანად ღმერთს ჩააბარა. არჯუნამ თქვა:

„სვამი, შენ ჩემთვის ყველაფერი ხარ, მე შენი ვარ!“

სულ ეს არის, რასაც უნდა მიაღწიოთ; თქენი ცხოვრების ერთადერთი მიზანი, ერთადერთი ობიექტი, ერთადერთი დანიშნულება და განხორციელება ღმერთის წყალობის დამსახურებაა.

საზღვარგარეთ წასასვლელად, თუ ხართ კიდეც დიდი განათლების მქონე, მდიდარი, როგორი სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მდგომარეობაც არ უნდა გეკავოთ, უნდა საზღვარგარეთის პასპორტი გქონდეთ. ადამიანმა შეიძლება

თქვას: *„დიდი განათლება მაქვს. ძალიან მდიდარი ვარ. მსხვილი მიწათმფლობელი ვარ. პასპორტი მჭირდება“.* მაგრამ ამის უბრალოდ თქმით პასპორტს ვერ მიიღებს. ეს ყველაფერი შეიძლება იყოს პირადი მიღწევები და მონაპოვარი, მაგრამ, საზღვარგარეთ წასასვლელად არსებობს გარკვეული პროცედურა, რომელსაც უნდა მიჰყვეთ. ეს პროცედურა ერთი და იგივეა განათლებულებისთვის და გაუნათლებლებლებისთვის, მდიდრებისთვის და საწყლებისთვის. ისეთ წვრილმანებშიც კი, როგორიცაა ავტობუსით, მატარებლით ან თვითმფრინავით სადმე გამგზავრება, არავინ დაინტერესდება თქვენი მდგომარეობით ან მიღწევებით. თუ ბილეთი გაქვთ, არავინ გკითხავთ, მდიდარი ხართ, განათლებული ხართ თუ რა მდგომარეობა გიკავიათ. თქვენი ბილეთი საკმარისია იმისთვის, რომ დანიშნულების ადგილამდე მიგიყვანონ. თუ ბილეთი არ გაქვთ, გამოგაგდებენ, თქვენი მანდატებისგან დამოუკიდებლად.

იგივე ხდება, თუ განთავისუფლების მიღება გსურთ: ღმერთის წყალობა უნდა მოიპოვოთ, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებთ შესვლაზე ნებართვის მიღებას. ეს თქვენი პასპორტია. მაგრამ თუ გაქვთ კიდეც პასპორტი, პრობლემებს მაინც ვერ გაექცევით. ვიზაც უნდა გქონდეთ; იგი საზღვრის გადაკვეთის უფლებას გაძლევთ, რომ დანიშნულების ადგილს მიაღწიოთ. ღმერთის წყალობის გარდა თქვენი შინაგანი ყოფიერების, *ანტარატმას*, წყალობა უნდა გქონდეთ.

იმას, ვინც აძლევს, შეუძლია სიხარულს გრძნობდეს ამისგან, მაგრამ იმას, ვინც იღებს, ამ საჩუქრის მიღების უნარი უნდა ჰქონდეს. იმისათვის, რომ განთავისუფლება მიიღოთ, უნდა გქონდეთ ღმერთის სიყვარული, აგრეთვე თქვენი საკუთარი სულიერი ძალისხმევის დამსახურებები. თუ ამ ორ თვისებას ფლობთ, მაშინ განთავისუფლების მიღწევას შეძლებთ.

კმაყოფილება – აი ჭეშმარიტი სიმდიდრე

ბჰაგავად გიტა გასწავლით, რომ, თუ გინდათ, რომ განთავისუფლების სამყაროში შეხვიდეთ, ანუ *მოკშას* მიაღწიოთ, საჭიროა 26 კეთილშობილ თვისებას დაეუფლოთ. მაგრამ ამ თვისებებიდან ერთი მაინც თუ გაქვთ, ამ უფლებას მიიღებთ. ამ მაღალი ზნეობის თვისებებიდან, რომლებიც აღწერილია თავში ერთგულების შესახებ, ერთ-ერთ ყველაზე უფრო მთავარს წარმოადგენს კმაყოფილება. მხოლოდ ის შეიძლება დიადად ჩაითვალოს, ვინც ყოველთვის კმაყოფილია. *სვამი* ხშირად კითხულობს:

„ვინ არის ყველაზე უფრო დიადი ადამიანი ამქვეყნად?“

პასუხი: *ის, ვინც მუდამ კმაყოფილია“.*

ამიტომ განავითარეთ თქვენში კმაყოფილება.

ნუ კარგავთ თქვენს თავს წუთისოფელში, როცა წუთიერი სიხარულისკენ, ცვალებადი სიმდიდრისკენ, მდგომარეობისა და ფუფუნებისკენ ისწრაფვით. სანამ ცოცხლები ხართ, შეგიძლიათ დატკბეთ სიხარულით, რომელიც თქვენს გზაზე გხვდებათ. სანამ სხეულზე მიბმულობა გაქვთ, ასევე ადგილზე ან ქვეყანაზე მიბმულობები დაგრჩებათ. სანამ ხუთი ელემენტისგან შექმნილ სამყაროს რეალურად თვლით, ზრუნვა მოგიხდებათ სხეულზე, რომელიც იმავე ხუთი ელემენტისგან შედგება. მაგრამ, ჭეშმარიტად, არ ღირს დროის ამაოდ ხარჯვა, როცა ასეთ რამეებზე ფიქრობთ. მუდამ მიზანი უნდა გახსოვდეთ. აი პატარა მაგალითი.

ოდესღაც ცხოვრობდა ძალიან მდიდარი ადამიანი, რომელიც მთელ მსოფლიოში მოგზაურობდა. მან მიზნად დაისახა ისეთი სახლის აშენება, რომლის ტოლი არსად იქნებოდა, ისეთი საუცხოოდ შესრულებულისა, რომლის წარმოდგენაც არავის შეეძლებოდა. ეს უნდა ყოფილიყო სასახლის ტიპის ცალკე სახლი, წარმოუდგენელი, რომლის მსგავსიც წინათ არავის და არსად უნახავს და რომელზედაც არც კი უოცნებია. მან მტკიცედ გადაწყვიტა ასეთი მუდმივი და უნიკალური შენობის აგება, ათობით მილიონი რუპიაც თუ დაუჯდებოდა მას. ამ მიზნით სხვადასხვა ქვეყნიდან მოიწვიეს ინჟინრები და არქიტექტორები. ბოლოს და ბოლოს მან დაასრულა ამ მშვენიერი შენობის მშენებლობა, და ახლა მას ჰქონდა ცალკე სახლი, რომელსაც შეეძლო ადამიანთა ყველა თვალსაზრისით დაკმაყოფილება, სხვადასხვა კულტურის ადამიანებისა. მილიონობით ადამიანი ჩამოდიოდა მშვენიერი შენობის სანახავად. მდიდარმა ამ უნიკალური შენობის გრანდიოზული გახსნა მოაწყო. საზეიმო გახსნამდე მან ამ სფეროში ინჟინრებსა და ექსპერტებს დაუძახა და ჰკითხა:

„შეგიძლიათ რაიმე ნაკლი მაინც იპოვოთ ამ შენობაში, ყველაზე უფრო წვრილმანი დეფექტიც კი?“

მათ მსგავსი ვერაფერი ნახეს. შენობა სრულყოფილი ჩანდა.

გახსნაზე მან სხვადასხვა გვარის ადამიანები მოიწვია, უამრავი მდიდარი მოქალაქისა და მაღალი მდგომარეობის ადამიანის ჩათვლით. მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ ჭეშმარიტად ბრძენი *რიშები,* რომელთა კურთხევის მიღებაც მას

სურდა. მათ მისაღებად გულმოდგინედ მოემზადნენ. როდესაც სტუმრებმა თავი მოიყარეს, მდიდარმა მათ თხოვნით მიმართა:

„მორჩილად გთხოვთ მითხრათ, არის თუ არა რაიმე დეფექტი ან ნაკლი ამ შენობაში?“

ამ შენობის მშენებელმა ინჟინრებმა შემდეგი შეკითხვა დასვეს:

„ვის შეუძლია გამოვიდეს და ამ მშვენიერი სასახლის ერთ ნაკლზე მაინც მიუთითოს? იგი აბსოლუტურად წუნდაუდებელია, იგი დიდებულია, სრულიად უნიკალური და უაღრესად თანამედროვეა“.

ამ მომენტში კუთხეში მდგომმა *იოგმა* ნაბიჯი წინ გადადგა და მდიდარს მიმართა:

„დიდად პატივცემულო ბატონო, ორ ძირითად ნაკლს ვხედავ ამ შენობაში“.

შეკრებილები ძალიან გაოცებულნი იყვნენ: მათთვის საინტერესო იყო იმის გაგება, რა იყო ეს ნაკლოვანებები. ამ სახლის მფლობელმა მდიდარმა ხელისგულები ერთმანეთს მიაწყო და *მაჰატმას* უთხრა:

„სვამი, მითხარი, თუ შეიძლება, რა ნაკლოვანებები შენიშნე. ყველა მოუთმენლად ელის შენს პასუხს“.

იოგმა უპასუხა:

„მდიდარო ადამიანო, ეს არის ის ნაკლოვანებები, რომლებზედაც ვერ იქნები პასუხისმგებელი, ასევე შენი ინჟინრები, მუშები და არქიტექტორებიც ვერ იქნებიან პასუხისმგებლები, და მათი გამოსწორებისთვის შენ ძალა არ შეგწევს. ერთ-ერთი მათგანი იმაში მდგომარეობს, რომ დროთა განმავლობაში ეს შენობა და ის ყველაფერი, რაც მას გარს აკრავს, დაინგრევა და მტვრად იქცევა. ამ ნაკლის გამოსწორება არ შეიძლება. მეორე ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ამ შენობის ამგებიც მოკვდება და დავიწყებას მიეცემა. ამის შეცვლაც არ შეიძლება. ვერ აცნობიერებ ამ ჭეშმარიტებას და ფიქრობ, რომ დიადი რამ შეასრულე და რომ შენი მიღწევა წუნდაუდებელია, მაგრამ ეს ნაკლოვანებები ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვებს“.

ასეთია საქმის ვითარება იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც ავიწყდებათ სიკვდილი, და იმედი აქვთ, რომ მუდამ იცოცხლებენ. მხოლოდ მაშინ იქნებით ყოველთვის კმაყოფილნი, როცა თქვენში მყოფ *ატმაზე* გექნებათ ყურადღება მოკრებილი და ნეტარებაში და სიხარულში იქნებით. როდესაც ასეთ მდგომარეობას მიაღწევთ, თქვენ იქნებით უკვდავ სავანეში – თვით *ატმას* სავანეში. ვერაფერი შეედრება *ატმას* სავანეს. იმ შენობებისგან

განსხვავებით, რომლებიც წუთისოფელში იმყოფება, იგი სრულყოფილი და მარადიულია, მასში არ არის ნაკლოვანებები. ამიტომ საჭიროა აღიაროთ ჭეშმარიტება, რომ ამ მიწიერ სამყაროში ყველაფერი ცვალებადია. მზერა და ყურადღება უცვლელ *ატმაზე* მოკრიბეთ. მუდამ აწარმოეთ სულიერი პრაქტიკა იმისათვის, რომ ამ შინაგან ხედვას მიაღწიოთ.

ატმა არასოდეს იბადება, *ატმა* არასოდეს კვდება

იმ ეჭვების გასაფანტავად, რომლებიც არჯუნას გარეშე როლსა და მის ჭეშმარიტ არსს შეეხება, კრიშნამ თქვა:

*„არჯუნა, შეცბუნებული ხარ, იმიტომ რომ ფიქრობ, რომ ამ ადამიანებიდან ვინმეს მოკვლას აპირებ, მაგრამ ეს არასწორია. მხედველობიდან დაკარგე ჭეშმარიტება, რომელიც ყოველგვარი ყოფიერების საფუძველში დევს: იცოდე, რომ შენ ხარ მარადიული არსი. ისინი, ვისი მოკვლაც, როგორც შენ ფიქრობ, შეიძლება, წარმოადგენენ მარადიულ არსს ისევე, როგორც შენი ნათესავები; მართალია, ისინი ბოროტმოქმედებაში იღებდნენ მონაწილეობას, მაგრამ მათი არსი არის იგივე უკვდავი „**მე**“. მაშ ვინ მოკვდება და ვინ მოკლავს? წარმოადგენ რა ატმას, არ შეგიძლია მოკლა, შენი ნათესავები კი - იგივე ატმა – არ შეიძლება მოკლულ იქნან შენ მიერ. სიკვდილი დაკავშირებულია მხოლოდ ფიზიკურ სხეულთან, და არა ჭეშმარიტ არსთან. შენ ატმას განხორციელება ხარ. ატმა არ იბადება. ატმა არ კვდება. როდესაც ამ ჭეშმარიტებას გაიგებ და პრაქტიკაში გამოიყენებ, შეძლებ, რომ სიბრძნის სწავლებას მიჰყვე და შენი ვალი შეასრულო, შედეგებისგან დამოუკიდებლად. გააცნობიერე ატმას უკვდავება და იბრძოლე, რომ ჭეშმარიტება დაიცვა. მაშინ ღვთაებრივ ნებასთან ჰარმონიაში იმოქმედებ და სულის სიმშვიდეს შეინარჩუნებ“.*

მაშინ არჯუნამ თქვა:

„კრიშნა, არავითარი სურვილები არ მაქვს, ზეცაც კი არ მაინტერესებს“.

მაგრამ კრიშნამ არჯუნას ჰკითხა:

„ამას იმიტომ ამბობ, რომ გაიგე ჭეშმარიტება, რომელიც სხეულებრივი არსებობის ზღვრებს მიღმა იმყოფება, თუ იმიტომ, რომ გაუბედავი გახდი და სისუსტემ მოგიცვა? ნათესავებზე მიბმულობის გამო ნათქვამი სიტყვები, გრძნობა, რომ შენ თვითონ მოგიხდება მათი მოკვლა, - ეს ყველაფერი ვერასოდეს ასოცირდება ატმასთან. როდესაც ატმას კანონს გააცნობიერებ, მის არაწარმავალ ბუნებას შეიმეცნებ, გაიგებ, რომ მასში

შეუძლებელია იყოს რაიმე სახის არასრულყოფილება ან ზადი. მაშინ ვერაფერი შეგაწუხებს და ვერავითარი ეჭვი ვერ დაგიბნელებს გონებას“.

ამ ყველაფერს *გიტას* მეორე თავი ასწავლის; მისი უფრო ღრმა მნიშვნელობა უნდა გაიგოთ. იმ ადამიანთა უმრავლესობა, რომლებიც *ბჰაგავად გიტას* პირველად კითხულობენ, იღებენ განცხადებას იმის შესახებ, რომ შეუძლებელია სხვისი მოკვლა და მოკლულად ყოფნა, მაგრამ არასოდეს ცდილობენ გაიგონ უფრო ღრმა მნიშვნელობა, რომელიც *ატმას* პრინციპთან არის დაკავშირებული. თუ იკითხავთ, როგორ უნდა გამოიყენოთ პრაქტიკაში ეს სწავლება, და შეხედავთ, სხვები როგორ იყენებენ მას, დაინახავთ, რომ ადამიანები სულაც არ იყენებენ, თუმცა მზად არიან, რომ ეს მტკიცებები გაიმეორონ და ლექციებსაც კი უკითხავენ სხვებს მათზე. აი პატარა მაგალითი.

ოდესღაც ცხოვრობდა ერთი მონადირე, ძალიან ცუდი ადამიანი, რომელიც ბევრ ცხოველს კლავდა. მალე მან ადამიანების მოკვლაც დაიწყო. გაძარცვის მიზნით ყველას კლავდა, ვინც კი შემოხვდებოდა. როდესაც ის დაიჭირეს, მოსამართლემ გადაწყვიტა, რომ სიკვდილით დასჯა მიესაჯა მისთვის ჩამოხრჩობის სახით როგორც სასჯელი ყველა იმ საშინელი დანაშაულისთვის, რომელიც მან ჩაიდინა. ითქვა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება მეორე დღეს გამოცხადდებოდა. როცა ის სასამართლოში წაიყვანეს განაჩენის გამოცხადებისთვის, დამნაშავემ ჯიბით *ბჰაგავად გიტა* გაიყოლა თან. მოსამართლემ გამოაცხადა, რომ მომდევნო დილას 7 საათზე მას ჩამოახრჩობენ. მაშინ დამნაშავემ ძალიან გაბედულად განაცხადა:

„ბატონო მოსამართლე, ასეთ მკაცრ სასჯელს რატომ დებთ?“

მოსამართლემ უპასუხა:

„შენ სიკვდილი მოგესაჯა იმიტომ, რომ ამდენი უდანაშაულო მსხვერპლი მოკალი“.

მაშინ ადამიანმა ჯიბიდან *ბჰაგავად გიტა* ამოიღო, მოსამართლეს აჩვენა ის და თქვა:

„ბატონო, ამ წმინდა წერილის თანახმად, მე არ ვარ მკვლელი, და ეს ადამიანები არასოდეს ყოფილან მოკლულნი! – და მან ურცხვად დაამატა*: - როგორ შეიძლება უარვყოთ ის, რაც თვითონ ღმერთის მიერ არის ნათქვამი?“*

მაგრამ მოსამართლე არანაკლებ ჭკვიანი იყო; მან უყოყმანოდ უპასუხა:

„დიახ, ეს მართალია, შენ არ მოგიკლავს და რომ ყველა ეს ადამიანი არ ყოფილა მოკლული. ასეთივე სახით, ჩემი განაჩენის თანახმად, არ გკლავ, და არ მოკვდები. მიუხედავად ამისა მზად იყავი სასიკვდილო განაჩენის აღსრულებისთვის ხვალ დილით 7 საათზე“.

შეზღუდეთ სურვილები და გახსოვდეთ *ატმა*

არ შეიძლება *ბჰაგავად გიტა* გამოიყენოთ ისე, რომ გარემოებების მიხედვით მისი სწავლების აზრი შეცვალოთ. უნდა იმ ჭეშმარიტების პრაქტიკას ეწეოდეთ, რომელიც *ბჰაგავად გიტაში* გაკეთებულ მტკიცებებშია, და მისი შინაგანი მნიშვნელობა გააცნობიეროთ. *გიტას* მარტო არჯუნა არ სწავლობდა. წმინდა *დჰარმას* სწავლობს დედამიწაზე დაბადებული ყველა ადამიანი. *გიტა* მთელ მსოფლიოს მიეცა არჯუნას მეშვეობით, რომელიც უფლის ინსტრუმენტი გახდა. არჯუნა მთელი კაცობრიობის წარმომადგენელია: დიადი სწავლება, რომელიც მას მიეცა როგორც კაცობრიობის წარმომადგენელს, მთელი კაცობრიობისთვის არის გამოსაყენებელი.

იმისათვის, რომ ამ სწავლებას მიჰყვეთ, უნდა თანდათან ამცირებდეთ სურვილებსა და მოთხოვნილებებს, და *ატმას* პრინციპის გაგებას ცდილობდეთ; ეს კმაყოფილების მუდმივ მდგომარეობამდე მიგიყვანთ. უნდა გაარკვიოთ, თქვენს ყოველდღიურ მოქმედებებში ეწევით თუ არა ამ სწავლების პრაქტიკას. თუ უბრალოდ *გიტას* 700 სტრიქონს ზეპირად ისწავლით, ვერ გააცნობიერებთ დიად ჭეშმარიტებებს, რომლებიც მასშია დაფარული. ეს ღრმა ჭეშმარიტებები მხოლოდ თქვენი ყოველდღიური ცხოვრების გარემოებებში გაგეხსნებათ; სწორედ ყოველდღიურ სიტუაციებში შეძლებთ მათ უშუალოდ განცდას. საჭიროა ნათლად გესმოდეთ ის თვისებები, რომლებსაც პრაქტიკაში უნდა ატარებდეთ, და თქვენი ვალი ასრულოთ; უნდა გააცნობიეროთ, რომ ამ 26 თვისებიდან ყოველი მათგანი მიზნის მიღწევაში დაგეხმარებათ.

დღევანდელი გაკვეთილის არსი იმაში მდგომარეობს, რომ კონტროლის ქვეშ გყავდეთ სურვილები და სიხარბე და ამგვარად მიაღწიოთ კმაყოფილების მდგომარეობას; ყოველგვარი ძალისხმევა უნდა გამოიჩინოთ იმისათვის, რომ ღმერთის სიყვარული დაიმსახუროთ. იმისგან, რომ უბრალოდ ღმერთი გიყვართ, სარგებელი ცოტაა. აუცილებელია გაიგოთ, როგორ უნდა მიაღწიოთ ღმერთის სიყვარულსა და გულმოწყალებას და თქვენი თავისკენ როგორ მიმართოთ მისი სიყვარული.

უსარგებლოა ხმამაღლა იმეორებდეთ, რომ ღმერთი თქვენია; უნდა ისწრაფვოდეთ გაიგოთ, რომ ღმერთმა თვითონ განაცხადოს, რომ თქვენ მისი ხართ. ეს უმთავრესია, რასაც უნდა მიაღწიოთ.

ამ მომენტიდან დაწყებული, განავითარეთ წმინდა თვისებები, რომლებიც ღმერთის სიყვარულის გამოვლინებას გამოიწვევს, - ეს თქვენს ცხოვრებას წმინდას გახდის.

თავი ოცდამეოთხე

დიდი მოთმინება და თავდაჭერილობა სულიერი პრაქტიკის გულია

კეთილშობილ თვისებებს შორის, რომლებიც ერთგულმა უნდა განავითაროს, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ქშამა, ანუ დიდი მოთმინება, მშვიდობიანი ყოვლისშემწყნარებლური ხასიათი; ერთგული ნებისმიერ გარემოებაში მშვიდი რჩება, მას მუდამ სიკეთე მიაქვს სხვებთან. იგი სამაგიეროს არ ელოდება.

სიყვარულის განხორციელებანო!

ქშამა, ანუ დიდი მოთმინება, ყოველგვარი სულიერი პრაქტიკის საფუძველია. ეს ერთადერთი თვისებაა, რომელსაც ყოველმა ადამიანმა უნდა მიაღწიოს თავის ცხოვრებაში. ჭეშმარიტი ბრძენებისთვის, დიადი წმინდანებისთვის და დიადი სულებისთვის დიდი მოთმინება არის მათი თვით სიდიადე, მათი მონანიება, მათი თავგანწირვა, მათი მართლქმედება. ამაშია მათი სიბრძნე, მათი მოუცველი სიყვარული. დიდი მოთმინება არის მათი არაძალადობის არსი, მათი ბედნიერების სიღრმეები. დიდი მოთმინება ყველა დიადი ადამიანის ნიშანია. ჭეშმარიტად, დიდი მოთმინება არის ყველაფერი. მოთმინების გარეშე შეუძლებელია გაცნობიერება *ატმას* ჭეშმარიტებისა, მარადიულისა, უცვლელად მანათობელი ღვთაებრივი ყოფნისა თქვენ შიგნით.

უშუალო გამოცდილების მეშვეობით გააცნობიერეთ *ატმა*

თუ ფიქრობთ, რომ სხეული რეალურია, ღმერთი კი არარეალურია, ვერასოდეს შეძლებთ *ატმას* პრინციპის გაგებას. მანამდე, სანამ თავს სხეულთან აიგივებთ, და არა *ატმასთან*, ღვთაებრიობის განცდას ვერ შეძლებთ თქვენში. *ატმას* სხვადასხვანაირად ხსნიან, მაგრამ მისი ჭეშმარიტად გაცნობიერება მხოლოდ მისი უშუალო განცდით შეიძლება.

შეიძლება მჭერმეტყველურად, დახვეწილად და დიდი ენთუზიაზმით აღგიწერონ მანგოს ნექტრის მომხიბლავი სიტკბო, მაგრამ სანამ ამ ნექტარს არ გასინჯავთ, და უშუალოდ არ განიცდით, ვერ შეაფასებთ მის უნიკალურ სიტკბოს. მხოლოდ მაშინ გაიგებთ, რა არის მისი სიტკბო, როცა ნექტარი ენაზე

გაქვთ და მისი გემოთი ტკბებით. ასეთივე სახით, თუ გინდათ, რომ უფლის თანდასწრება უშუალოდ განიცადოთ, თუ სულიერ პრაქტიკებს ეწევით და კეთილშობილ თვისებებს ავითარებთ თქვენში, რომლებიც უფლისთვის ძვირფასია, მაშინ შეძლებთ ტკბობას ღვთაებრივი სიტკბოთი, რომელიც *ატმადან* მოდის.

რას წარმოადგენს უკვდავებისკენ მიმავალი გზა? **ამორალობის მოცილება – აი უკვდავებისკენ მიმავალი გზა.** როდესაც თავიდან მოიცილებთ თქვენთვის დამახასიათებელ სისუსტეებს, როგორიცაა ეჭვიანობა, სიძულვილი, მრისხანება, სიამაყე და მსგავსი ბოროტება, ღმერთის გაცნობიერებას შეძლებთ. როდესაც 26 ზნეობრიობიდან, რომლების *გიტაშია* ნახსენები, ორს ან სამს მაინც გაიგებთ, მათ მნიშვნელობას შეისწავლით, პრაქტიკაში გაატარებთ და თქვენი ცხოვრების ნაწილად აქცევთ, უკვდავების გაგებას შეძლებთ. ამ თვისებებს შორის მოთმინება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ატრიბუტია.

მოთმინებას მხოლოდ მაშინ მიაღწევთ, როცა რთულ გარემოებებში აღმოჩნდებით

შეუძლებელია დიდ მოთმინებას წიგნების სწავლით ჩასწვდეთ. მას *გურუს* (სულიერი მასწავლებლის) სწავლების მეშვეობითაც კი ვერ შეიძენთ. ეს ის არ არის, რისი ყიდვაც ბაზარში შეიძლება. მხოლოდ მაშინ შეიძლება ისწავლოთ დიდი მოთმინება, როცა რთულ მდგომარეობაში ყოფნისას ერთგულად აწარმოებთ სულიერ პრაქტიკას. მოთმინება მხოლოდ მაშინ ვითარდება, როცა განსაცდელს გადიხართ, პრობლემებითა და სიძნელეებით სავსე სიტუაციებში. ადამიანში მთელი რიგი სისუსტეა დაფარული. განსაცდელში ეს დაფარული სისუსტეები მრისხანების, შიშის, ქედმაღლობისა და სიძულვილის სახით ვლინდება. სწორედ ასეთ პერიოდში უნდა სწავლობდეთ მოთმინების პრაქტიკაში გატარებას.

თუ მოთმინება არ გისწავლიათ, ბევრი უსიამოვნების გადატანა მოგიხდებათ, სიმშვიდეს დაკარგავთ ცხოვრებაში. მოთმინების გარეშე შეიძლება არასწორი გზით წახვიდეთ, და ბოროტება ჩაიდინოთ. ამიტომ საჭიროა მოთმინების მნიშვნელობის გაცნობიერება. თქენ მიერ მიღწეული ნებისმიერი განათლება, ძალა და სახელგანთქმულობა თქვენთვის უსარგებლო იქნება, თუ დიდ მოთმინებას არ ფლობთ. მთელმა რიგმა დიდად განათლებულმა ადამიანმა, რომელიც განსაკუთრებულ ძალებს *ასკეზების* (მონანიებისთვის ცხოვების მკაცრი სახის) დახმარებით დაეუფლა, ვერ შეძლო ამ *ასკეზების*

შედეგებით დატკბობა, იმიტომ რომ მოთმინება არ ჰქონდა. იმის მიზეზი, რომ მეფეები და იმპერატორები სამეფოებსა და იმპერიებს კარგავენ, უმრავლეს შემთხვევაში დიდი მოთმინების უკმარისობაშია. მოთმინების არქონამ დიდი მეცნიერები პრესტიჟის დაკარგვამდე მიიყვანა. დიდი მოთმინება შეიძლება შევადაროთ ვეებერთელა მბრწყინავ ბრილიანტს, რომელიც თქვენ გამშვენებთ. თუ ისეთი მნიშვნელოვანი თვისება, როგორიცაა მოთმინება, დაკარგულია, მაშინ ურიცხვი პრობლემისა და უბედურებისგან დაიტანჯებით. ამიტომ განავითარეთ მოთმინება; იგი თქვენი სულიერი პროგრესისთვის არის აუცილებელი. თუ ეს თვისება ადამიანთა უმრავლესობაში არ იბრწყინებს, მაშინ მთელი კაცობრიობა დაღუპვის პირას იქნება.

საჭიროა დიდი მოთმინების ამ მნიშვნელოვან თვისებას ავითარებდეთ, როდესაც თქვენს თავს სხვადასხვა სახის სიძნელეებში სცდით. დიდი მოთმინება შეიძლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან დაცვად ჩაითვალოს. თუ ამ თვისებას ფლობთ, მაშინ არავითარი სიძნელე, უბედურება, პრობლემა – არავითარი არახელსაყრელი სიტუაცია არ შეგეხებათ. უჩვეულო არაფერია იმაში, რომ ადამიანები სიკეთეს სიკეთით პასუხობენ, მაგრამ როცა ბოროტებას სიკეთით პასუხობ, ეს არის ღირსშესანიშნავი თვისება, და ასეთი ზნეობრიობის ცხოვრებაში გამოყენება დიდ უნარს მოითხოვს.

როგორც არ უნდა გაკრიტიკებდნენ, რა შენიშვნებსაც არ უნდა გაძლევდნენ, როგორც არ უნდა გკიცხავდნენ, მოთმინებას არ უნდა კარგავდეთ; უნდა აღუშფოთველნი რჩებოდეთ და შინაგანი სიმშვიდით ტკბობას განაგრძობდეთ. რას დაკარგავთ, თუ ვინმე შენიშვნას მოგცემთ? მაგრამ თუ შემთხვევით სისუსტის გამო თავდაჭერილობასა და მოთმინებას დაკარგავთ, მაშინ თქვენ ყველაფერს დაკარგავთ. ამიტომ უნდა დიდი მოთმინების გამოყენება ისწავლოთ და პრაქტიკაში გამოიყენოთ ნებისმიერ გარემოებაში.

ხე, მდინარე და ძროხა

ბუნებაში სამი მნიშვნელოვანი ასპექტი არსებობს, რომელიც ადამიანისთვის ძალიან სასარგებლოა. პირველია ხე, მეორე – მდინარე, მესამე კი – ძროხა. ხეების, მდინარეებისა და ძროხების გარეშე კაცობრიობა საკმარისად ფუნქციონირებას ვერ შეძლებდა. როგორი სისასტიკიტაც არ უნდა ეპყრობოდნენ ხეს, რამდენი უბედურებაც არ უნდა მოჰქონდეთ მისთვის, ტოტებს აჭრიდნენ და მერქანს იღებდნენ, ხე გააგრძელებს წვიმისგან და

მზისგან დაცვას ნებისმიერი ადამიანისა, რომელიც მის ქვეშ თავშესაფარს ეძებს, ყოველთვის სიხარულს მოუტანს. ხეებს ადამიანებისთვის სიკეთე მოაქვთ, ისინი აძლევენ ხილს, ყვავილებს და საწვავს მაშინაც კი, თუ ადამიანები პასუხად მათ ვნებას აყენებენ.

ასევეა მდინარეთა შემთხვევაშიც: როგორც არ უნდა აჭუჭყიანებდნენ მას ადამიანები, რა გზითაც არ უნდა იყენებდნენ მას, და მადლიერებას არ გამოხატავდნენ, მდინარეები მაინც განაგრძობენ კაცობრიობისთვის სამსახურს; მაგრამ მსახურების დროსაც კი ოკეანისკენ ისწრაფვიან, რომელიც მათ სახლსა და მიზანს წარმოადგენს. წყალი კაცობრიობას სიცოცხლეს აძლევს. მისთვის მნიშვნელობა არა აქვს, იყენებთ მას სიკეთისთვის თუ ბოროტებისთვის. იგი მსახურებას განაგრძობს.

ძროხებიც, უარს ეუბნებიან რა ხბოებს რძეზე, კაცობრიობას ამარაგებენ მით, ასეთ მშვენიერ ნოყიერ პროდუქტს უფასოდ აძლევენ. რა სიძნელეებსაც არ უნდა უქმნიდეთ ძროხას, ის მაინც მოგცემთ გემრიელ რძეს. ამრიგად, ძროხებსაც მხოლოდ სიკეთე მოაქვთ კაცობრიობისთვის, მაშინ როცა კაცობრიობას ძროხებისთვის ბევრი ბოროტება მოაქვს. ეს სამეული – ხე, მდინარე და ძროხა – მოთმინების კარგ მაგალითს წარმოადგენს.

ზოგჯერ არ არის საჭირო მოთმინების გამოვლენა

მაგრამ ზოგჯერ მოთმინების გარეშე ნიშნები უნდა შეაკავოთ, რომ გარკვეულ სიტუაციაში შესაბამისი რეაგირება მოახდინოთ. მართალია, მოთმინება ნებისმიერ გარემოებაში თქვენს გულში უნდა იყოს, მაგრამ ყოველთვის არ უნდა გამოავლინოთ ის. როდესაც მოთმინების პრაქტიკას ეწევით, საჭიროა ყურადღებით გაარჩიოთ შესაბამისი პირობები და გარემოებებში სწორად გაერკვეთ.

ინდოეთის ისტორიაში კარგად არის ცნობილი, რომ მუჰამედ გორმა, ბოროტმა დამპყრობელმა, რომელიც ჩრდილოეთის სამეფოს ემუქრებოდა, ბევრი უსიამოვნება მოუტანა პატიოსან მეფე პრითჰვირაჯას. მუჰამედი ჩვიდმეტჯერ დაესხა თავს პრიტჰვირაჯას ქვეყანას, და ყოველ ჯერზე უზარმაზარი ნგრევა მოჰქონდა მას. მან ძარცვა-გლეჯით უზარმაზარი სიმდიდრე შეიძინა და მთელი ქვეყანა დიდ სიძნელეებსა და მწუხარებაში ჩააგდო. არ ჰქონდა რა საკმარისი გარჩევის უნარი, კეთილმა მეფე პრიტჰვირაჯამ, ამ ყველაფრის მიუხედავად, როდესაც მუჰამედ გორი შეიპყრო, გულუხვობის გამო აპატია თავის უმოწყალო

მტერს. ყოველ ჯერზე, როდესაც მეფე ამარცხებდა მას, ბოროტი მუჰამედი პატიებას და დაცვას ითხოვდა, და მეფე აპატიებდა და ყოველგვარი დასჯის გარეშე ათავისუფლებდა. მაგრამ მტაცებელი არ ავლენდა არც მადლიერებას, არც მონანიებას, კვლავ სიძულვილს განიცდიდა მეფის მიმართ და ხარბად ცდილობდა მისი სამეფოს დაპყრობას. როდესაც გათავისუფლებას იღებდა და თავის ქვეყანაში ბრუნდებოდა, მტაცებელი ისევ და ისევ თავს ესხმოდა. ბოლოს და ბოლოს მოტყუებით შეძლო მან კეთილშობილი მეფის ტყვედ აყვანა. მუჰამედ გორმა უმოწყალოდ დასთხარა მას თვალები. არ შეიძლება მოთმინებას ავლენდეთ იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც უმადურები და შურისმაძიებლები არიან გველივით. გარჩევის უნარს უნდა იყენებდეთ და შესაბამის რეაგირებას ახდენდეთ.

რა შემთხვევებში უნდა გამოიყენოთ გარჩევის უნარი

დიადი ეპიკური პოემა მაჰაბჰარატა – ქრონიკა სამართლიანი ომისა ძმებ პანდავებსა და მათ ბიძაშვილ კაურავებს შორის – იმაზე მოგვითხრობს, არჯუნამ როგორ მიიყვანა აშვატამა დრაუპადისთან, ხუთი პანდავი ძმის ცოლთან, მას შემდეგ, რაც აშვატამამ დრაუპადის ყველა შვილი მოკლა. დრაუპადიმ არჯუნას ჩამოუთვალა გარემოებები, რომელთა დროსაც უნდა აპატიოს მანკიერ ადამიანს. დრაუპადიმ თქვა, რომ **არასწორია მოკვლა შიშით შეპყრობილი ადამიანისა, ადამიანისა, რომელიც თვინიერია და თავის ქცევას ინანიებს, ადამიანისა, რომელმაც გრძნობა დაკარგა, მთვრალი ადამიანისა, ადამიანისა, რომლის მოქმედებებიც უნუგეშო მწუხარებით არის გამოწვეული, ადამიანისა, რომელიც შეწყალებას ითხოვს, აგრეთვე ქალებისა და ბავშვებისა, მაშინაც კი, თუ ისინი სასჯელს იმსახურებენ.**

ასეთი ადამიანების მიმართ საჭიროა მოთმინებისა და გულმოწყალების გამოჩენა.

მაგრამ იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც არაერთხელ გამოავლინეს უმადურობა და რომლებიც ბოროტი განზრახვით მოქმედებდნენ, არასოდეს ინანიებენ, რომელთა ნდობაც არ შეიძლება, არ არის საჭირო მოთმინების გამოვლენა. მათ მტკიცედ უნდა ეპყრობოდეთ, გარემოებათა მიხედვით. ტელუგუს ენაზე ნათქვამია, რომ არ უნდა აძლევდეთ წყალს ეკლიან ბუჩქს ან რძეს გველს. მაგრამ გახსოვდეთ, რომ ყველა ეს მოქმედება მხოლოდ ამქვეყნიურ გარე ცხოვრებას ეხება. გულის სიღრმეში

არ უნდა კარგავდეთ მოთმინების მშვიდ შინაგან მდგომარეობას. თქვენს სულიერ ცხოვრებაში დიდი მოთმინება წარმოადგენს არსებით თვისებას ღვთაებრივი მდგომარეობის მისაღწევად, და საჭიროა მისი დაუღალავად პრაქტიკაში გატარება.

იესო ქრისტეს შემთხვევაში ასევე შეიძლება დავინახოთ, როგორ ძლიერად ჰქონდა მას განვითარებული დიდი მოთმინების თვისება. მისი თორმეტი მოსწავლე იესოსთან ერთად ცხოვრობდა და ყველგან დადიოდა. იესო მათ მიმართ უზარმაზარ სიყვარულსა და თანაგრძნობას ავლენდა, მფარველობასა და თავშესაფარს აძლევდა მათ. მაგრამ ერთ-ერთი მათგანი, იუდა, უმადური აღმოჩნდა, იგი ფულმა შეაცდინა, და მან მასწავლებელს უღალატა. მისი ორგულობის მიუხედავად, იესომ აპატია და მის მიმართ სიყვარულის გამოვლენა განაგრძო. არ არის იმის აუცილებლობა, რომ ღმერთს ევედრებოდეთ, რომ ასეთი ადამიანები დასაჯოს. როგორც იუდას შემთხვევაში, ასეთ ადამიანთა საკუთარი მოქმედებები დამღუპველი იქნება მათთვის. რა მანკიერ მოქმედებსაც არ უნდა ასრულებდეს ადამიანი, მას თვითონ მოუხდება ამ მოქმედებების შედეგებზე ფასის გადახდა. თქვენ არ შეგიძლიათ წინასწარ თქმა, როდის და რა გარემოებებში მოუხდება ადამიანს ტანჯვა მათი შედეგების გამო, მაგრამ ტანჯვა გარდაუვალია.

ინდოეთის დიად ეპიკურ პოემებში, *რამაიანაში* და *მაჰაბჰარატაში*, მთელი რიგი შემთხვევებია აღწერილი, როცა ადამიანები ბოლოს იტანჯებიან, თუ ცხოვრებაში დიდ მოთმინებას არ იყენებენ. აიღეთ დიდი ტანჯვები, რომლებიც ძმებმა პანდავებმა გადაიტანეს, როცა იძულებულნი იყვნენ ტყეში წასულიყვნენ და იქ ეცხოვრათ, ფესვები და ფოთლები ეჭამათ, უფროსი ძმის, დჰარმარაჯას დაჩქარებული მოქმედებების გამო, რომელმაც კამათლების თამაშზე თანხმობა თქვა. დჰარმარაჯამ, მეფემ, თავის ვალად ჩათვალა მიეღო გამოწვევა, და მიუხედავად იმისა, რომ ესმოდა, რომ კარტი ჩაწყობილია, ისე ჩქარობდა თავისი პატივის დაცვას, რომ არად ჩათვალა კრიშნას მითითებები და ძმების რჩევები. თავისი პრინციპების ერთგულმა დჰარმარაჯამ დაჩქაებით მიიღო მონაწილეობა აზარტულ თამაშში, და ამის შედეგი ტანჯვები გახდა. შედეგად მან და მისმა ძმებმა სამეფო დაკარგეს; ისინი თოთხმეტი წლით იქნენ გაძევებულნი ტყეში, და დიდ გაჭირვებასა და სიძნელეებს განიცდიდნენ. ეს ყველაფერი მხოლოდ დჰარმარაჯას აჩქარებისა და მოთმინების არქონის გამო მოხდა.

შესაძლოა, შენიშნეთ, რომ ისეთ დიად სულსაც კი, როგორიც იყო რამა, დროდადრო მოთმინება არ ჰყოფნიდა. იგი ჩვეულებრივი ადამიანივით ტიროდა, როცა რავანამ სიტა მოიპარა. *რამაიანას* ბოლოში არის ეპიზოდი, როდესაც რამამ, მოისმინა რა რომელიღაც არაფრის მაქნისი დამლაგებლის კრიტიკა და შენიშვნები, მაშინვე გადაწყვიტა სამეფოდან გამოეძევებინა სიტა; შედეგად ის განშორების გამო იტანჯებოდა. მაგრამ რამა იყო საუკუნის *ავატარი,* ყველა ღვთაებრივი პრინციპის გამოხატულება. რა თქმა უნდა, ღვთაების შემთხვევაში, მის ყველა მოქმედებას უფრო ღრმა მნიშვნელობა და აზრი ექნება. თუმცა თუ რამას მოქმედებების გაგებას შეეცდებით ამქვეყნიური თვალსაზრისით, მაშინ ცხადი ხდება, რომ იმის გამო, რომ რამას მოთმინება არ ეყო, მან სიტა გააძევა და შედეგად ტანჯვები დაიმსახურა.

თუმცა როდესაც ადამიანები, რომლებიც სიკეთეს აკეთებენ და მხოლოდ სხვების კეთილდღეობის გულისთვის ცხოვრობენ, სხვადასხვა სახის სიძნელეებს გადიან და იტანენ ისე, რომ კეთილები რჩებიან, მსოფლიოსთვის მაგალითად რჩებიან – ეს მაგალითი სხვებს მძიმე განსაცდელში თავშეკავებასა და დიდ მოთმინებას ასწავლის.

გადაჭარბებული აჩქარება და სინელე ორი უკიდურესობაა, რომლებსაც თავი უნდა აარიდოთ

მოთმინებისა და თავდაჭერილობის თვისებებს გარემოებებისა და პირობების მიხედვით უნდა იყენებდეთ. ყველას აქვს რაღაც ზომით მოთმინება, მაგრამ როდესაც პრობლემა ყოველგვარ საზღვრებს სცილდება, კარგავთ მას. არსებობს გარემოებები, როდესაც იმის ყველა საფუძველი გაქვთ, რომ სწრაფად იმოქმედოთ. თქვენი მოქმედებები ყოველთვის წინასწარ უნდა აწონ-დაწონოთ და მათი შედეგები შეიგნოთ. გარკვეულ გარემოებებში მოთმინების სრულმა გამოვლენამ შეიძლება მოგვიანებით დიდ უსიამოვნებებთან მიგიყვანოთ. სიჩქარეს უმრავლეს შემთხვევაში პრობლემები მოაქვს. მაგრამ თუ მეტისმეტად ნელი ხართ, ამანაც შეიძლება პრობლემები მოგიტანოთ. ანდაზა ამბობს, რომ გადაჭარბებული სინელე ნექტარს შხამად აქცევს.

სინელე და სიჩქარე ორი უკიდურესობაა. ერთი მხრივ, თუ აჩქარდებით, მაშინ თქვენი მოქმედებები შეიძლება დამღუპველი გახდეს, მაგრამ მეტისმეტმა შენელებამაც შეიძლება ისინი მავნე გახადოს. ანუ უნდა გარჩევის უნარს იყენებდეთ და მოთმინებას

ავლენდეთ გარემოებებზე დამოკიდებულებით. როდესაც პირველი დახმარება უნდა აღმოუჩინოთ ან როცა იმდენად ავადმყოფ ადამიანს უვლით, რომ მან შეიძლება რამდენიმე წუთში სიცოცხლე დაკარგოს, თუ წამალს არ მისცემთ, ასეთ გარემოებებში ზოზინი არ შეიძლება; ამ შემთხვევაში სინელე დამღუპველი იქნებოდა; უნდა სწრაფად იმოქმედოთ და აკეთოთ ის, რაც საჭიროა.

სხვა გარემოებებში, როდესაც ბოროტ ადამიანებს პირისპირ ხვდებით, რომლებიც არასწორი გზით მიდიან, მაშინ იმისათვის, რომ ისინი გააფრთხილოთ, გაუსწოროთ მათ ან როგორღაც სხვანაირად გამოასწოროთ სიტუაცია, მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალი იქნება ისეთი მოქმედება, რომელიც ისე გამოჩნდებოდა, თითქოს მოთმინება დაკარგეთ. ასეთ შემთხვევაში ხშირად საკმარისია უბრალოდ ხმის ტონი ოდნავ შეცვალოთ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნამდვილად კარგავთ მოთმინებას; შეგიძლიათ თქვენი გულის სიწმინდეს ინარჩუნებდეთ, თუ ხმის ტონსაც კი შეიცვლით, და შინაგან სიმშვიდეს არ კარგავდეთ. როგორც უკვე ითქვა, ჭეშმარიტების გზით მიმავალი ადამიანებისთვის თვითონ ჭეშმარიტება არის მოთმინება.

ჭეშმარიტებას მიყოლა იგივეა, რაც მოთმინების პრაქტიკაში გატარება

მაჰაბჰარატაში არის ძალიან ცნობილი მოთხრობა აშვატამაზე. აშვატამამ, პანდავებისა და კაურავების საერთო მასწავლებლის ვაჟმა და სიკვდილს გადარჩენილი სამი მეომრიდან ერთ-ერთმა, მაჰაბჰარატას ომის უკანასკნელ ღამეს დიდი ამბით დაიფიცა, რომ მონანიების შედეგად მიღებულ მთელ ძალას გამოიყენებს იმისათვის, რომ მზის ამოსვლამდე ყველა პანდავი გაანადგუროს.

კრიშნამ, რა თქმა უნდა, იცოდა მკვლელობის ამ განზრახვის შესახებ და ზომები მიიღო იმისათვის, რომ პანდავები დაეცვა. შუაღამე ახლოვდებოდა, და აშვადჰამა ვერ პოულობდა პანდავებს. კრიშნამ იცოდა, რომ ის ყველაფრის მცოდნე ბრძენ დურვასასთან წავიდოდა, რომ მისთვის ეკითხა, სად არიან პანდავები. დურვასას მსგავსი დიადი ბრძენი არასოდეს ამბობს ტყუილს. იგი მრისხანებით იყო ცნობილი, მაგრამ მრისხანებას მხოლოდ იმისათვის იყენებდა, რომ *დჰარმა* დაეცვა და ბოროტი საქციელები ჩაეხშო; მრისხანებაშიც კი ჭეშმარიტებას მისდევდა, მაგრამ ზოგჯერ, როცა ჭეშმარიტებას წარმოთქვამდა, ხმას იმაღლებდა, და ტონს იცვლიდა.

ჭეშმარიტების წარმოთქმისას შეიძლება ოდნავ ხმას აუმაღლოთ

იმ საღამოს კრიშნა დურვასას ეწვია. კრიშნას ხილვით დურვასა ძალიან ბედნიერი იყო. დურვასამ მას უთხრა, როგორი დიდი კურთხევა მიიღო იმისგან, რომ კრიშნამ თავისი მოსვლით ასეთი პატივი დასდო. მან კრიშნას ჰკითხა:

„სვამი, მითხარი, თუ შეიძლება, რა არის შენი ვიზიტის მიზანი?“

კრიშნამ უპასუხა:

„დურვასა, შენი დახმარება მჭირდება“.

გულის სიღრმეში დურვასას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რომ კრიშნა, ყველა სამყაროს მბრძანებელი, მასთან დახმარებისთვის მივიდა. მაგრამ მას აქაც კი ჰქონდა ზღვარი. მაღალი ინტელექტის მქონე და აბსოლუტურად ყველაფრის მცოდნე დურვასამ კრიშნას უთხრა:

„სვამი, მზად ვარ ყველაფერი გავაკეთო, რასაც მთხოვ, მაგრამ ტყუილის თქმა არ შემიძლია“.

კრიშნამ უპასუხა:

„მე ყველა ცოცხალი არსების გულში ვიმყოფები; კვლავ და კვლავ ვიბადები, რომ დჰარმა დავიცვა. ნუთუ როდისმე შემიძლია გთხოვო, რომ ტყუილი თქვა? დჰარმა ნიშნავს „უმწიკვლო ქცევას“; მისი საფუძველი ჭეშმარიტებაა. მე, რა თქმა უნდა, არასოდეს მოგთხოვდი, რომ ტყუილი გეთქვა“.

მაშინ დურვასამ თქვა:

„ასეთ შემთხვევაში, მზად ვარ გავაკეთო ყველაფერი, რასაც მეტყვი. რა არის შენი გეგმა, სვამი? მე მას შევასრულებ“.

კრიშნამ სთხოვა ღრმა ორმო ამოეთხარა, სადაც ხუთი ადამიანი დაეტეოდა. შემდეგ კრიშნამ პანდავებს უთხრა, რომ ისინი ამ ორმოში ჩამსხდარიყვნენ. ორმოს ფიცრები დააფარეს. ფიცრებზე ხალიჩა დადეს, შემდეგ კი ხალიჩაზე დურვასას სკამი დადგეს. კრიშნამ დურვასას სთხოვა, რომ სკამზე დამჯდარიყო ის. მან დურვასას უთხრა:

„მალე აშვატამა მოვა და გკითხავს, სად არიან პანდავები. შენ სიმართლეს ეტყვი; მაგრამ, სიმართლის წარმოთქმისას შეგიძლია შენი ხმის ტონი ოდნავ შეცვალო“.

როგორც კრიშნამ იწინასწარმეტყველა, მალე აშვატამა მოვიდა. მან ბრძენს პატივი მიაგო და ჰკითხა:

„სვამი, შენთვის ყველაფერია ცნობილი ყველა სამ სამყაროში. მითხარი, თუ შეიძლება, სად შემიძლია პანდავების პოვნა?“

დურვასა ისე მოიქცა, როგორც კრიშნამ ასწავლა. მან სიმართლე თქვა. აშვატამას უთხრა:

„პანდავები?! პანდავები?! დიახ, ისინი აქ არიან! რა თქმა უნდა, აქ არიან! ისინი პირდაპირ ჩემს ფეხქვეშ არიან!“

დურვასამ ძალიან გაბრაზებულად მოიკატუნა თავი და აშვატამას უთხრა, რომ პანდავები „პირდაპირ მის ფეხქვეშ არიან“. აშვატამას ძალიან შეეშინდა. დურვასას მრისხანება კარგად იყო ცნობილი, მისი ძალიან ეშინოდათ, და აშვატამამ გადაწყვიტა, რომ იმის ნაცვლად, რომ იმ დამეს პანდავები დაეხოცა, თვითონ შეიძლება მოკლული ყოფილიყო დურვასას მიერ; ამიტომ შეშინებული აშვატამა საჩქაროდ გაეცალა იქაურობას. დურვასა ჭეშმარიტებას მიჰყვებოდა, ამით *მაჰარიშის* მდგომარეობას ამართლებდა და მიჰყვებოდა რა უფლის მითითებებს, რომ კეთილი ადამიანები დაეცვა, მან ჭეშმარიტების სიტყვები წარმოთქვა; მაგრამ ხმა აიმაღლა და შთაბეჭდილება ოდნავ შეცვალა.

ნეგატიური თვისებების მოსპობა მხოლოდ მათი აღმოფხვრით შეიძლება

უნდა მოთმინებასა და თავდაჭერილობას ფლობდეთ, მაგრამ ამავე დროს იცოდეთ, რა გარემოებებში და როგორ გამოიყენოთ ისინი. უნდა სულიერ პრაქტიკაში იყენებდეთ მოთმინებასა და თავდაჭერილობას და თქვენს სიტყვებს აკონტროლებდეთ, როცა გრძნობთ, რომ სიტყვების განურჩევლად ხმარებას იწყებთ ადამიანების წინააღმდეგ.

მოთმინება და თავდაჭერილობა თქვენს შინაგან მდგომარეობაზე მიუთითებს. ეს არის ინსტრუმენტები, რომლებიც იმისათვის უნდა გამოიყენოთ, რომ უარყოფითი თვისებები აკონტროლოთ, რომლებიც თქვენში ღვთაებრივი ჭეშმარიტების გაცნობიერების გზაზე დგანან. რთულ გარემოებებში მოთმინების გამოვლენის უნარს უყურეთ როგორც თქვენთვის მოცემულ გამოცდას. ერთგულებისთვის მოთმინება და თავდაჭერილობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან თვისებებს წარმოადგენს. როდესაც დიდ მოთმინებასა და თავდაჭერილობას შეიძენთ, სულიერებისა და ღვთაებრიობის ჭეშმარიტი პრინციპების გაგებას შეძლებთ.

არსებობს მრავალი ნეგატიური თვისება, რომელსაც ერთგულმა თავი უნდა აარიდოს. თქვენში არ უნდა იყოს არავითარი მიბმულობა, არავითარი სიძულვილი ან შური. თუ თქვენში არის მიბმულობა, სიძულვილი ან შური, სულ ცოტაც

კი, მაშინ სულიერ განვითარებას ვერ შეძლებთ. რამდენადაც დიდი მოთმინება და თავდაჭერილობა ზნეობრიობებია, რომლებიც ყოველი ერთგულისთვის არის საჭირო, შემდგომში განვიხილავთ მოთმინებისა და თავდაჭერილობის მტრებს, კერძოდ კი, მრისხანებას, სიძულვილს და შურს, რომ ისწავლოთ, თავიდან როგორ მოიცილოთ ისინი.

თავი ოცდამეხუთე

ეჭვიანობა და სიძულვილი ტყუპი მავნებლებია, რომლებიც თქვენს სიმშვიდეს სპობენ

ღვთაებრიობა ერთიანია. იგი მარადიული და უცვლელია. ეს არის ყველა სხეულში მყოფი. როგორც ცოცხალი არსების სხეულში მყოფს, მას უწოდებენ ატმას, უკვდავ არსს. როგორც სამყაროში მყოფს, მას უწოდებენ ღმერთს. ეს ერთიანი ღვთაებრიობა სხვადასხვა ფორმაში იმყოფება. ისევე, როგორც ფიზიკური არსება შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ატმას სხეული, სამყარო შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ღმერთის სხეული.

სიყვარულის განხორციელებანო!

მარადიულ და უცვლელ არსს, რომელიც თავისით ავსებს ყველა ცოცხალ არსებას, მთელ მატერიას და მთელ სივრცეს, უწოდებენ *მყოფელს.* სხეული დროებითია: იგი მოდის და მიდის; მაგრამ *მასში მყოფელი* მუდამ უცვლელი რჩება. *მყოფელის* სხვა სახელწოდებაა *ატმა,* უკვდავი *მყოფობა* (**მე** ანუ **თვითმყოფელობა**) ანუ სამყაროს უმაღლესი სული, რომელიც ყველაფრის საფუძველშია. *მყოფობას* შეიძლება ვუწოდოთ ღმერთი, *ატმა* ან *მყოფელი. ატმას* ეს ერთიანი პრინციპი, მარადიული, უცვლელი და უსასრულო, მთელ სივრცეს და მთელ მატერიას ავსებს. ამ მიზეზის გამო სანსკრიტულ ენაზე მას ჰქვია *დეჰი* ანუ *დეჰიში* (სხეულში) *მყოფელი.*

შინაგანი პრაქტიკის მეშვეობით გააცნობიერეთ *მყოფელი*

წმინდა წერილები ხელმძღვანელობას იძლევა *დეჰის, მყოფელის* ძიებისა და გაცნობიერებისთვის; მაგრამ მარტო წმინდა წერილები მისი შეცნობისთვის არასაკმარისია. წმინდა წერილების უბრალო შესწავლით *დეჰის* მიღწევა შეუძლებელია. როდესაც წერილებში მოცემულ მტკიცებებს საფუძველში დებთ, საჭიროა გარკვეული ძალისხმევა იმისათვის, რომ **შინაგანი ხედვა** განავითაროთ. სხვადასხვა წმინდა წერილებმა, ისეთებმა, როგორიცაა *უპანიშადები, ვედები, პურანები,* შეიძლება მხოლოდ

გზაზე მიგითითონ. სავერსო ბოძების მსგავსად ისინი მიმართულებას გიჩვენებთ. მაგრამ მიზნის მისაღწევად ყოველი თქვენგანი დამოუკიდებლად უნდა მიდიოდეს სწორი გზით. როდესაც მოცემულ მითითებებს იყენებთ, უნდა შეასრულოთ ეს წმინდა მომლოცველობა და მიზანს მიაღწიოთ. ამისათვის *ბჰაგავად გიტამ* გზა გაკვალა.

გიტას მეორე თავში, მეთერთმეტე ლექსიდან დაწყებული, გზის მიმართულებაა მოცემული. ეს არის კრიშნას სწავლების დასაწყისი. იგი იწყება სიტყვით „*ასოჩია*“, რაც ნიშნავს „ნუ გლოვობ ამ ადამიანებს“. როგორ უნდა შეწყვიტოთ წუხილი? *გიტას* მასწავლებელი აცხადებს, რომ უაზრობაა გლოვობდე იმას, რაც წარმავალი და დროებითია. სხეულები და პიროვნებები წარმავალი და დროებითია; სამყაროში ყველა ობიექტი წარმავალი და დროებითია; კრიშნამ თქვა: *არჯუნა, შენი მწუხარება ამაოა“.*

ხუთი თვისება, რომელიც ყოველივე არსებულს შეადგენს

ამ გამჟღავნებულ სამყაროში არსებულ ობიექტებს შორის თითოეულს აქვს ხუთი თვისება ან მახასიათებელი; ვედურ ტერმინოლოგიაში ამას ჰქვია *ასთჰი, ბჰატი, პრიიამ, ნამა* და *რუპა*, რაც ნიშნავს:

ასთჰი – ის, რაც არის; ის, რაც არსებობს.

ბჰატი – ის, რაც საკუთარი შინაგანი სინათლით ანათებს; ნათება აქვს; შინაგანად ენერგიით არის გაცხოველებული;

პრიიამ – ის, რასაც ღრმა მიზანი აქვს; არსებობისთვის მიზეზს ფლობს; ძვირფასია და სიხარული მოაქვს;

ნამა – ის, რასაც გარკვეული სახელი, კატეგორია და დანიშნულება აქვს;

რუპა – ის, რაც ფლობს მოცემულ ფორმას, საგრძნობს ან ფაქიზს; ფლობს განმასხვავებელ თვისებებს.

აი ხუთი მახასიათებელი, რომლის პოვნაც შეიძლება იმ ყველაფერში, რასაც შეიძლება სახელი ვუწოდოთ. იქნება ეს რაღაც ხელშესახები თუ არახელშესახები, ღირს ამაზე ფიქრი, როგორც ჩვენ ვამბობთ, რომ ეს არსებობს, ანათებს, ამას მიზანი აქვს, სახელი და ფორმა აქვს.

ამ მახასიათებლებიდან პირველი სამი შეადგენს მარადიულ ჭეშმარიტებას, რომელიც არასოდეს იცვლება. ეს არის უცვლელი რეალობა. ეს არის *ატმა*, ეს არის ღმერთი, ეს არის მყოფელი, ეს არის ღვთაებრიობა. სანსკრიტში ეს არის *სატ-ჩიტ-ანანდა*,

ასთჰის, *ბჰატის*, *პრიიამის* ექვივალენტი - „არსებობა, ცნობიერება, ნეტარება“. *სატ-ჩიტ-ანანდასთვის* არ არის არც დაბადება, არც სიკვდილი. ამიტომ *ასთჰი*, *ბჰატი* და *პრიიამ ანუ სატ-ჩიტ-ანანდა* შეიძლება აღიწეროს როგორც ღვთაების ნიშანი ან ავტოგრაფი. დარჩენილი ორი მახასიათებელი - სახელი და ფორმა – ღვთაების სხეულის შესახებ ამბობს; ისინი მხოლოდ დროებითი და ილუზიურია. სინამდვილეში ისინი მხოლად წარმოდგენაში არსებობს. ამგვარად, ხუთი ძირითადი მახასიათებლიდან, რომელიც ყველაფრისთვის არის დამახასიათებელი, სამი შეადგენს ღვთაებრიობას, რომელიც ყველაფრის საფუძველში დევს, დანარჩენი ორი კი – ცვალებადი სახელები და ფორმები, - ამ სამყაროს შემადგენელია.

გაიგეთ, რომ შექმნილი ობიექტები, რომლებსაც ამ სამყაროში ხედავთ, ხელოვნურია: ისინი ოდესღაც გაჩნდა და როდისმე მომავალში გაქრება, სხვა სიტყვებით, ისინი დაბადებასა და სიკვდილს ექვემდებარებიან. ისინი შეიძლება შევადაროთ ნათესავებს: ნათესავები სტუმრად მოდიან რაღაც დროით, შემდეგ კი უკან ბრუნდებიან. ისინი სახლში სამუდამოდ არ დარჩებიან. ნათესავების მსგავსად, ბედნიერება და მწუხარება მოდის და მიდის. ასეთივე სახით სახელისა და ფორმის მქონე ყოველი არსი წარმავალია. სულიერება რომ გაიგოთ, საჭიროა გააცნობიეროთ, რომ შექმნილ ობიექტებს უნდა უყუროთ როგორც რაღაც დროებითს და წუთიერს. ეს ობიექტები ნებისმიერ დროს შეიძლება გაქრეს – ისინი მუდამ ცვლილებას განიცდის. წუხილი ისეთ საგნებზე, რომლებიც ცვალებადია, უგუნურებაა.

თუ გინდათ გაიგოთ *ასთჰი*, *ბჰატი* და *პრიიამ*, სამი მახასიათებელი, რომელიც ყველაფრის საფუძველში დევს და უცვლელია, კეთილშობილი თვისებები და ზნეობრიობა უნდა განავითაროთ თქვენში. *კრიშნამ ბჰაქთი-იოგაში*, თავში ერთგულების შესახებ, განაცხადა, რომ მაძიებელი, რომელმაც 26 კეთილშობილ თვისებას მიაღწია, უფლისთვის ძალიან ძვირფასია. მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ ყველა 26 თვისებას ფლობდეთ. ასანთის კოლოფში ბევრი ღერია. თუ ცეცხლი გჭირდებათ, არ არის აუცილებელი, რომ ყველა ღერო აანთოთ: როგორც კი მხოლოდ ერთს აანთებთ, შეგიძლიათ ცეცხლი გააჩაღოთ. თუ ამ თვისებებიდან ერთს ან ორს განავითარებთ, ყველა დანარჩენი თავისთავად განვითარდება. მაგრამ ისინი თქვენი განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს მანამდე, სანამ *ატმას* პრინციპის გაგების იმედის ქონას შესძლებთ. ამ

ზნეობრიობათა დაუფლების მცდელობისას ზოგიერთ ნეგატიურ თვისებას შეხვდებით, რომელიც თქვენში იმყოფება. ეს ნეგატიური თვისებები თქვენი შინაგანი მტრებია. ისინი ეცდებიან, რომ კეთილშობილი თვისებების განვითარებაში ხელი შეგიშალონ.

ეჭვიანობა და სიძულვილი

წინამდებარე საუბრებში განიხილებოდა ისეთი ზნეობრიობები, როგორიცაა თავდაჭერილობა და დიდი მოთმინება. დღეს განვიხილავთ მათ საპირისპიროს – ეჭვიანობას და სიძულვილს.

ეჭვიანობა და სიძულვილი ტყუპი ქურდებია. მათ ერთმანეთის გარეშე ცხოვრება არ შეუძლიათ. მათ შორის უწყვეტი კავშირი არსებობს; ისინი მუდამ ერთმანეთში ეძებენ მფარველობას. სიძულვილი შეიძლება შევადაროთ მიწისქვეშა მავნებელს, ეჭვიანობა კი – მიწისზედას. ამ ტყუპ მავნებლებს ერთად შეუძლიათ ხე მოსპონ. წარმოიდგინეთ ხე: ის მწვანეა, გაყვავებულია, მასზე ხილი მწიფდება – ეს ყველაფერი მზერისთვის ძალიან მიმზიდველია. როდესაც მავნებელი ასეთი ხის ფესვებში შეაღწევს, რამდენიმე დღის შემდეგ ხე ხმება. ერთი მათგანი თავს ესხმის ფესვებს, მაშინ როცა მეორე მაღლა, ტოტებისკენ და ფოთლებისკენ მიიწევს. პირველი ცდილობს, რომ ხის თვით სიცოცხლე მისპოს, მეორე კი ცდილობს ხის სილამაზე გააფუჭოს. ისინი მუდამ ერთმანეთს მიყვებიან.

ასევე ხდება ეჭვიანობისა და სიძულვილის შემთხვევაშიც: იქ, სადაც არ არის ეჭვიანობა, სიძულვილიც არ იქნება. თუ ვლინდება სიძულვილი, იქვე ეჭვიანობის პოვნაც შეიძლება, რომელიც მის უკან შეუმჩნევლად არის დამალული. სიძულვილი გარკვეულ ფორმას იღებს. იგი სხვადასხვა გზით ვლინდება. ეჭვიანობას ფორმა არა აქვს; იგი არ ჩანს ზედაპირზე. ამბობენ, რომ მსოფლიოში არ არის ადამიანი, ეჭვიანობა რომ არ ჭირდეს: ყოველ ადამიანში სულ ცოტა მიდრეკილება მაინც არის ეჭვიანობისკენ. დარწმუნებულნი რომ იყოთ, რომ ეჭვიანობა და სიძულვილი თქვენს გულში არ შევლენ, უანგარო სიყვარული უნდა განავითაროთ თქვენში. იქ, სადაც უანგარო სიყვარულია, ადგილი არ არის ეჭვიანობისა და სიძულვილისთვის. ღვთაებრივი ნეტარების განცდა შეიძლება იქ, სადაც ეჭვიანობას და სიძულვილს არ შეესვლებათ.

სილამაზე ნეტარების ფორმაა. იქ, სადაც სილამაზეა, სიყვარულსაც იპოვით. სილამაზე მარადიული სიხარულია. რა

არის სილამაზე? ქვეყნიერება აძლევს ობიექტს სილამაზეს, თუ იგი თვით ობიექტისთვის არის დამახასიათებელი? ჩვენ ვამბობთ, რომ ყველა ობიექტი ცვლილიებას ექვემდებარება. წარმოიდგინეთ ყველა ეს საგანი, რომელიც ცვლილებას ექვემდებარება: რამდენ ხანს დარჩება ის ლამაზი? მშვენიერი მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რაც უცვლელია. ერთადერთი მარადიული არსი ღმერთია, და ამიტომ მარტო ღმერთია მშვენიერი. სამყაროში ღმერთზე უფრო მშვენიერი არაფერია. ერთგულის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ვალია ის, რომ ნეტარების ნექტარი სვას, რომელიც ამ სილამაზიდან მოდის. იმისათვის, რომ ეს ღვთაებრიობა შეიწოვოთ, რომელიც სილამაზით არის შევსილი, და თქვენი თავი შეავსოთ მით, ზოგიერთი ზნეობრიობა უნდა შეიძინოთ. იმისათვის, რომ ეს ზნეობრიობები განავითაროთ, საჭიროა სისუსტეები და ნაკლოვანებები მოსპოთ, რომლებიც თქვენ შიგნით ყველაფერს ამსხვრევს.

შური ღმერთის მიმართ

მაშ ასე, ეჭვიანობა შეიძლება თვით ღმერთთან თქვენს ურთიერთობებში შეიჭრას, როცა თქვენს თავზე უფრო მეტს ფიქრობთ, ვიდრე უფალზე, და შური გიჩნდებათ იმისგან, რომ გეჩვენებათ, თითქოს უფლის მიმართ მეტისმეტი ყურადღება მჟღავნდება. ავიღოთ მაგალითი *მაჰაბჰარატადან*, დიადი ეპიკური პოემიდან, რომელიც სამართლიანობისა და ბოროტების ძალთა შორის ომზე მოგვითხრობს. არჯუნა სიკეთის მხარეზე ბრძოლობს. კრიშნა მისი მეეტლე იყო. იმ დროს არჯუნას ჯერ კიდევ სრულად არ შეეძლო უფლის ღვთაებრიობის გაგება, მაგრამ ის გრძნობდა, რომ კრიშნა დიადი იყო. არჯუნას ესმოდა ის ყველაფერი, რასაც კრიშნა უხსნიდა და განუმარტავდა, მაგრამ ჯერ მთლიანად მზად არ იყო იმისათვის, რომ ეს პრაქტიკაში გაეტარებინა.

დიდი ომი მიმდინარეობდა, და ბრძოლის ველზე ყველაზე უფრო საშინელი იარაღი იხმარებოდა. ერთხელ არჯუნა ბრძოლობდა ბჰიშმას წინააღმდეგ, გენერალისიმუსისა, რომელიც მტრის ჯარის მხარეზე იყო. ბჰიშმა იმ საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მეომარი იყო. ბრძოლის დროს ბჰიშმას მიერ გამოტყორცნილი მთელი რიგი ჭურვი არჯუნას ეტლს მოხვდა, მაგრამ ვერაფერი ავნო. არჯუნა მთელი დღე დიდებულად ბრძოლობდა.

ბრძოლა მთელი დღის განმავლობაში არ ნელდებოდა: არც ერთ მხარეს არ შეეძლო გამარჯვება, სანამ, ბოლოს და ბოლოს,

დაუძლურებული ბჰიშმა არ წაიქცა თავის ეტლში. იმ მომენტში არჯუნამ, დაუძლურებულმა, მაგრამ მოზეიმემ, ბუკსა ჰკრა, და გამარჯვება გამოაცხადა ბრძოლაში, რომელიც მთელ დღეს მძვინვარებდა. არჯუნას ყოველთვის სწამდა ღმერთი, მაგრამ გამარჯვებასთან ერთად მასში ქედმაღლობამ იჩინა თავი, რამდენადაც ფიქრობდა, რომ თავისი მამაცობის გამო მიაღწია გამარჯვებას. იგი დარწმუნებული იყო, რომ ეს გამარჯვება მან მოიპოვა, კრიშნა კი მხოლოდ ეტლს მართავდა.

მზის ჩასვლის შემდეგ მათ ეტლი უკან მოატრიალეს. როგორც კი პანდავების ბანაკში შევიდნენ, კრიშნამ კარავთან ახლოს ეტლი შეაჩერა და არჯუნას უთხრა:

„არჯუნა, თუ შეიძლება, ჩამოდი ეტლიდან და შედი კარავში“.

ეგოიზმით სავსე არჯუნამ გაიფიქრა:

„მე პატრონი ვარ, კრიშნა მხოლოდ ჩემი მეეტლეა; ის უნდა ჩამოვიდეს და კარი გამიღოს. და მაშინ ჩამოვალ ეტლიდან, მე ხომ მთავარი ვარ. ასეთია წესი“.

და არჯუნამ კრიშნას უთხრა:

„ბიძაშვილო, ჯერ შენ ჩამოდი“.

მაგრამ კრიშნა დაჟინებით მოითხოვდა:

„არა, ჯერ შენ ჩამოდი“.

რამდენიმე ხანს ასე კამათობდნენ. არჯუნას ბნელი აზრები გაუჩნდა; მასში აღშფოთება მატულობდა, მან გაიფიქრა:

„მე კი ვფიქრობდი, რომ კრიშნა დიადი ადამიანია, და აი იმიტომ, რომ მას ვაქებდი და მისით ვიყავი აღტაცებული, ახლა ისე მოქმედებს, თითქოს ის ჩემზე უფრო მნიშვნელოვანია. მაგრამ ეს ხომ ჩემი საკუთარი შეცდომაა. ომი ისევ გრძელდება, უნდა ვიბრძოლო და კრიშნა მჭირდება, ამიტომ ჯობია, რომ ჩვენ შორის მტრობა არ ჩამოვარდეს. ეს ჩემს ინტერესებში არ იქნებოდა“.

ამ ფიქრებთან ერთად არჯუნა უხალისოდ ჩამოვიდა ეტლიდან პირველი. იგი ეტლთან გაჩერდა. კრიშნა განაგრძობდა მოთხოვნას:

„ნუ დგახარ აქ. წადი კარავში“.

არჯუნას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, და ის კარავში წავიდა. კრიშნა მაშინვე გადმოხტა ეტლიდან და გაეცალა მას. როგორც კი კრიშნამ ეტლი მიატოვა, იგი აფეთქდა და ფერფლად იქცა.

ღმერთს არა აქვს ეგოისტური განზრახვები

დჰარმარაჯა და არჯუნა ამას შორიდან უთვალთვალებდნენ. მათ კრიშნას ჰკითხეს:

„რა მოხდა? რა არის ასეთი მოვლენის მიზეზი?“

კრიშნამ უპასუხა:

„არჯუნა, არავის შეუძლია იმის იმედიც კი ჰქონდეს, რომ ჩემი მოქმედებები როდისმე გაიგოს. ღვთაებისთვის არ არის არც ანგარება, არც ეგოიზმი. ჩემი ერთადერთი საზრუნავი ერთგულის დაცვაა. ჩემი ერთადერთი სურვილი ერთგულებისთვის დახმარებაა, მათთვის სარგებლის მოტანაა. მთელი ეს საშინელი იარაღი, რომელსაც ბჰიშმა იყენებდა და რომელიც ეტლს მოხვდა, უვნებელვყავი, ჩემს ტერფქვეშ ვიჭერდი. სანამ იარაღი ტერფქვეშ მეჭირა, მას არ შეეძლო შენზე თავისი ძალის გამოვლენა. ეტლიდან პირველი რომ ჩამოვსულიყავი, ეს იარაღი ეტლთან ერთად გაგანადგურებდა. ნაცრად იქცეოდი. ვერ აცნობიერებდი ამ ჭეშმარიტებას და მთხოვდი, რომ პირველი მე ჩამოვსულიყავი“.

როგორც კი არჯუნამ კრიშნას ეს სიტყვები მოისმინა, მიხვდა, რამდენად ქედმაღლურად და უმეცრად იქცეოდა ის. მან შურის მთელი ნიშნები გამოამჟღავნა. ღვთაებაში ნაკლოვანებების ძებნაც თავისებური შურია.

შურის მთელი რიგი საცნობი ნიშანი არსებობს. შური მაშინ ჩნდება, როცა ხვდებით ადამიანს, რომელმაც თქვენზე უფრო მეტი სახელგანთქმულობა დაიმსახურა; ან როცა ადამიანი თქვენზე უფრო მდიდარია. შური აგრეთვე მაშინაც ჩნდება, როცა იმ ადამიანთან ერთად იმყოფებით, რომელიც თქვენზე უფრო ლამაზი და გულუხვია. თუ სტუდენტი უფრო მაღალ შეფასებებს იღებს, სხვა სტუდენტებს ძალიან მალე შური უჩნდებათ. ამაშია ჩვეულებრივ ადამიანთა სისუსტე – ისინი შურს ამჟღავნებენ იმ ადამიანთა მიმართ, რომლებიც მათ აღემატებიან სიმდიდრეში, მდგომარეობაში, სილამაზეში, ინტელექტში და სხვა თვისებებში. როგორც კი ადამიანში შური ჩნდება, ყველა ზნეობრიობა, რომელსაც ის დიდი ხნის განმავლობაში კულტივირებდა, განადგურებული იქნება.

შური უწყინრად არ ცხოვრობს ადამიანში. იგი ყველა იმ მშვენიერ თვისებასა და ზნეობრიობას ანადგურებს, რომელსაც ადამიანი ფლობს. იგი დემონური ხასიათის განვითარებას უწყობს ხელს, ადამიანურ ბუნებას სპობს და ცხოველურ ბუნებას აძლიერებს. ის არ იყურება წინ ან უკან. მას არა აქვს სინდისის ქენჯნა. ამიტომ უპირველეს ყოვლისა უნდა აკვირდებოდეთ, რომ შური არ დაგეუფლოთ. გიხაროდეთ სხვების წარმატებები,

გიხაროდეთ სხვების პროგრესი, აყვავება. ამაშია ჭეშმარიტი ზნეობრიობა. ამაშია *ბჰაგავად გიტას* ძირითადი მცნება. სხვებისთვის აყვავებისა და სიკეთის სურვილი საქებარი და ძალიან მნიშვნელოვანი თვისებაა, რომელსაც ყოველი ადამიანი უნდა ფლობდეს.

დაამარცხეთ შური, და ყველაფრის დამარცხებას შეძლებთ

არსებობს უძველესი ისტორია ერთგულ ქალზე, ანასუიაზე, რომელსაც სრული სულიერი წონასწორობა ჰქონდა და შური არ გააჩნდა. კრიშნამ არჯუნას უთხრა:

„არჯუნა, შენ ყოველთვის ანასუია უნდა იყო“.

ანასუია ნიშნავს „ის, ვისშიაც შური არ არის“. არსი იმაშია, რომ როდესაც ღვთაების ასპექტები – ბრაჰმა, ვიშნუ და შივა, რომლებიც წარმოადგენენ ღვთაებრიობის შემქმნელ, შემნარჩუნებელ და გამანადგურებელ პრინციპებს – გამოჩნდნენ, რომ ანასუია გამოეცადათ, მისმა უზომო სისუფთავემ მოაჯადოვა ისინი და ჩვილ ბავშვებად აქცია. მათთვის იგი დედის მაგვარი გახდა.

ღვთაების სამი ასპექტი ასევე ბუნების სამ თვისებას წარმოადგენს. ეს ნიშნავს, რომ თუ შურისგან თავისუფალი ხართ, შეგიძლიათ აკონტროლოთ სამი *გუნა*, ბუნების სამი თვისება: აქტიური, პასიური და ციკლური (*რაჯასი*, *ტამასი* და *სატვა*); ეს *გუნები* მთელ ფენომენალურ (გამჟღავნებულ) ცხოვრებას მართავენ სამყაროში. ეს სამი თვისება თქვენს გამოცდილებას შეადგენს ამქვეყნად, ღვთაებრიობის სამი ასპექტი კი წარმოადგენს სუბსტრატს – ამ თვისებების საფუძველს. ამიტომ ამ მოთხრობის უფრო ღრმა მნიშვნელობა იმაშია, რომ თუ შურისგან თავისუფალი ხართ, მაშინ ამქვეყნად ყველაფერი ჩვილი ბავშვების მაგვარი გახდება თქვენს ხელში. ჭეშმარიტად, როგორც კი შურისგან გათავისუფლდებით, ყველაფრის დამარცხებას შეძლებთ.

სიტყვები არ მყოფნის იმისათვის, რომ საკმაოდ ნათლად გავუსვა ხაზი, რომ შური ყველა კარგ თვისებას სპობს თქვენში. შეიძლება ფიქრობდეთ, რომ შური სხვებს სპობს, მაგრამ სინამდვილეში იგი თქვენ გსპობთ. იგი ავადმყოფს გხდით: ვერ შეძლებთ ღრმა ძილს, კარგად ჭამას. წინათ მთლიანად ჯანმრთელიც თუ იყავით, შურის გამო თქვენში მალე სხვადასხვა სახის ფიზიკური ავადმყოფობა განვითარდება. შური ჭლექს ჰგავს; ისევე, როგორც ტუბერკულოზი გეპარებათ და

განადგურებთ, შური დაგასუსტებთ მანამდე, სანამ მას შეამჩნევთ. მას შეუძლია სხვადასხვა გზით შეაღწიოს თქვენში და მთლიანად გაგანადგუროთ.

შური მანკიერი ავადმყოფობაა, რომელსაც ნება არ უნდა მისცეთ, რომ გამყარდეს. უნდა იცოდეთ, რომ ღმერთი ყოველთვის დაგლოცავთ თავისი წყალობით მაშინაც კი, თუ იმაზე უფრო დაბალ მდგომარეობას იკავებთ, ვიდრე, როგორც თქვენ გგონიათ, იმსახურებთ. სხვების ბედნიერება უნდა გახარებდეთ; მათი მიღწევები უნდა გახარებდეთ, და არ უნდა წუხდეთ მხოლოდ იმიტომ, რომ სხვებს აქვთ ის, რაც თქვენ არ გაქვთ. *კალის* ამ ამორალურ საუკუნეში შური ყველგან აღწევს. მას ყველა ტიპის ადამიანებზე მიაქვს იერიში, წუთისოფლისკენ აქვთ მიდრეკილება თუ სულიერებისკენ, *იოგები* არიან ისინი, *ბჰოგები* თუ *როგები*, ანუ წარმოადგენენ წმინდანებს, მიწიერებს თუ ავადმყოფებსა და თავქარიანებს. შურის გამო ადამიანები ხშირად სამუდამოდ კარგავენ სულიერ სიმშვიდეს. აი პატარა მაგალითი.

დიდი მოთმინება სიძულვილს დაძლევს

ერთხელ ბუდა მოწყალების თხოვნის მიზნით სოფლის გზაზე მიდიოდა. სოფლის განაპირას მიადგა, სადაც მას ბევრი ერთგული ჰყავდა. ამ სოფლის ადამიანები ბუდას დიდი სიყვარულით ეპყრობოდა. მაგრამ სოფლის განაპირას მას რამდენიმე მოხეტიალე ხულიგანი შემოხვდა. მათ მისი უხეშად დაცინვა დაიწყეს. ასეთი მიღებით ოდნავ გაოცებული ბუდა შეჩერდა და ქვაზე ჩამოჯდა. მან ამ ადამიანებს უთხრა:

„ბატონებო, რატომ გგვრით სიამოვნებას ჩემი გაკრიტიკება?“

ხულიგნები არ პასუხობდნენ და ბუდას დამცირებას განაგრძობდნენ. ბუდამ უთხრა:

„განაგრძეთ, რამდენიც გინდათ“. ისინი ლანძღავდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ მას იქამდე, სანამ საკუთარი გამოხდომებით არ დაიღალნენ. ბუდას იმდენად ჰქონდა დიდი მოთმინება განვითარებული, რომ მათი სიძულვილი მას ვერ ეხებოდა. თავიდან მათ ეს მოსწონდათ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, როდესაც მთელი თავიანთი მარაგი ამოწურეს და ვერავითარი რეაქცია ვერ მიღეს, წასვლა გადაწყვიტეს.

მაშინ ბუდამ ისინი ასეთი სიტყვებით შეაჩერა:

„ბავშვებო, რაღაც მინდა გითხრათ. სოფელში, სადაც მე მივდივარ, ადამიანებს ძალიან ვუყვარვარ; და მათ რომ გაეგოთ, რა საზიზღრად მლანძღავდით, ისინი ნაკუწებად გაქცევდნენ. ამ ხიფათისგან რომ დამეხსენით, ამ ქვაზე დავჯექი და ჩემი

გაკრიტიკების ნება მოგეცით. ასეთი სახით დიდი წყალობა გაჩუქეთ. როდესაც ადამიანებისთვის სიხარულის მოტანა გვინდა, ჩვეულებრივ დიდი ფულის ხარჯვა და მომზადება გვიხდება; მაგრამ როცა ლანძღვის ნება მოგეცით, ამდენი სიხარულის მოტანა შევძელი თქვენთვის, თუმცა არც ერთი პაისი არ დამიხარჯავს და არავითარი ძალისხმევა არ გამომიჩენია. რამდენადაც თქვენ, როგორც ჩანს, ჩემი გაკრიტიკებით დიდ სიამოვნებას იღებთ, ამიტომ პასუხისმგებელი ვარ თქვენს სიხარულზე. როგორც ხედავთ, იმის ნაცვლად, რომ კრიტიკის გამო თავს უბედურად ვგრძნობდე, მიხარია კიდეც, იმიტომ რომ თქვენთვის ამდენი სიამოვნების მოტანა და სერიოზული ხიფათისაგან თქვენი გადარჩენა შევძელი“.

შემდეგ ბუდამ მათ კიდევ ერთი მომენტი აუხსნა, და ისე, რომ გულებში მათ წარუშლელი შთაბეჭდილება დარჩათ.

„დავუშვათ, რომ თქვენს სახლში საწყალი ბერი მოდის და მოწყალებას ითხოვს. მისთვის საკვები გამოგაქვთ. ახლა კი დავუშვათ, რომ თქვენ მიერ შეთავაზებული საჭმელი ამ რიტუალისთვის არასაკმარისად სუფთაა, და მას არ შეუძლია მისი მიღება. მაშინ რას იზამთ? რამდენადაც მან თქვენი ძღვენი არ მიიღო, მისი უკან აღება მოგიხდებათ. ამის მსგავსად, როდესაც მთელ თქვენს კრიტიკას ჩემკენ მომართავთ, სწორედ ეს არის ის ძღვენი, რომელსაც მე მთავაზობთ. რა თქმა უნდა, თვლით, რომ თქვენი რჩევა მჭირდება, და მას მუქთად მაძლევთ. მაგრამ მე მას არ ვიღებ. მაშ ვის დაუბრუნდება ძღვენი? ის თქვენ დაგიბრუნდებათ; თქვენ დაგრჩებათ; ის თქვენ გეკუთვნით. როგორც ხედავთ, სინამდვილეში მთელი თქვენი კრიტიკა თქვენკენ შებრუნდა: თქვენივე თავს აკრიტიკებდით, და არა მე“.

შეიძლება შეკვეთილი წერილი ნაცნობს გაუგზავნოთ. მაგრამ თუ ნაცნობი ამ წერილს არ მიიღებს, რას იზამს საფოსტო განყოფილება? იგი უკან გამოგიგზავნით. თუ ვინმეს აკრიტიკებთ ან ლანძღავთ, მაგრამ ეს ადამიანი თქვენს კრიტიკას არ იღებს, მაშინ ის აუცილებლად თქვენ დაგიბრუნდებათ. ჩათვლა, რომ თქვენი შურით და სიძულვილით სხვებს ავნებთ, - კმაყოფილების მიღების ძალიან დაბალი ხერხია. ასეთი სახით შეგიძლიათ უბედურება თქვენს თავს მოუტანოთ, და არა სხვებს. შური და სიძულვილი სხვადასხვა გზით შეუქმნის სიძნელეებს იმას, ვინც მით არის დასნეულებული. შური და სიძულვილი ეგოიზმიდან წარმოიშობა. აი პატარა მაგალითი.

შურისა და სიძულვილის უკან ეგოიზმი დგას

ერთი *სანიასინი* ბაღს ამუშავებდა; იგი ყვავილებსა და ხილს ზრდიდა. თუმც ის *სანიასინი* იყო, მაგრამ მასში ეგოიზმმა დაიწყო ზრდა. როგორც კი ეგოიზმი გაიზარდა, მაშინვე გაჩნდა შური. როდესაც ეგოიზმი და შური ჩნდება, სიძულვილი ავტომატურად უერთდება მათ. ღმერთი დაინტერესდა ამ გზააბნეული ერთგულით. მან დაინახა, რომ *სანიასინის* სამოსელში გამოწყობილმა ადამიანმა გული შხამით შეივსო, და გადაწყვიტა ჭკუა ესწავლებინა მისთვის. ღმერთი მოხუცი მათხოვარი *ბრაჰმინის* გარეგნობით მასთან ბაღში მივიდა. მოხუცი *ბრაჰმინი* ახლახან დარგულ ხესთან მივიდა და მისი სილამაზის ქებას შეუდგა. შენიშნა რა მახლობლად *სანიასინი*, მან იკითხა:

„ვინ დარგო ეს მშვენიერი ხე?“

ამაყმა ბაღის მფლობელმა უპასუხა:

„ბრაჰმინო, მთელ ამ ბაღს მე ვამუშავებ. ამაშია ჩემი დამსახურება: მე დავრგე ეს ხე და ყველა დანარჩენი ხე. მარტოხელამ გავაშენე მთელი ეს ბაღი მისი ბილიკებითა და ყვავილნარებით. არ ვქირაობ მებაღეს, მე თვითონ ვუვლი ყველაფერს. მე თვითონ მომაქვს წყალი ჭიდან. მე შემაქვს სასუქი. მე ვგლეჯ სარეველას და ვსპობ პარაზიტებს. მე ვწმენდ ბილიკებს. მე მომყავს ეს მშვენიერი ყვავილები და ხილი და ამ ყველაფერს მხოლოდ იმისთვის ვაკეთებ, რომ სხვებს სიხარული მოვგვარო“.

და ასე განაგრძობდა გამეორებას: *„მე... მე... მე“.*

ბრაჰმინი ვითომც ტკბებოდა ამ ხედით, კიდევ ცოტა ხანს რჩებოდა იქ, აკვირდებოდა, როგორ უვლიდა *სანიასინი* ბაღს. მალე ის წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ ბაღში ძროხა მოვიდა. იგი ისეთი სუსტი იყო, რომ ნებისმიერ მომენტში შეიძლება დაცემულიყო და მშვენიერი ყვავილები გაეთელა ბაღში. როდესაც დაინახა, რომ ძროხამ შეიძლება ბაღი წაახდინოს, *სანიასინმა* ჯოხი აიღო და ძროხას ესროლა, რომ გაეგდო ის. მაგრამ იმ მომენტში, როგორც კი ჯოხი ძროხას შეეხო, ეს უკანასკნელი უსულოდ დაეცა. *სანიასინს* თავზარი დაეცა, იმიტომ რომ მისი რელიგიის თანახმად ძროხები წმინდა ცხოველებად ითვლებიან, და არ შეიძლება მათთვის ვნების მიყენება: ახლა მას ტანჯვა მოუხდება ამ დიდი ცოდვის, ძროხის მკვლელობის, გამო.

მალე ამ მოვლენის შემდეგ იგივე მოხუცი *ბრაჰმინი* დაბრუნდა ბაღში. ბილიკზე მან მკვდარი ძროხა დაინახა და იკითხა:

„ვინ მოკლა ძროხა? ვინ ჩაიდინა ეს შებღალვა?“

ვინაიდან *სანიასინმა* მაშინვე არ უპასუხა, მოხუცმა *ბრაჰმინმა* კითხვა პირდაპირ დაუსვა:

„მითხარი, იცი, ვინ მოკლა ძროხა?“

სანიასინმა უპასუხა:

„უეჭველად, ეს ღმერთის ნება იყო. ღმერთის ნების გარეშე განა შეიძლებოდა მისი ასეთი სახით მოკვლა? თუ მას ბედად არ ჰქონდა სიკვდილი, განა უსულოდ დაეცემოდა ის იმისგან, რომ ეს პატარა ჯოხი შეეხო მას?“

როგორც კი მოხუცმა *ბრაჰმინმა* ეს გაიგონა, *სანიასინს* უთხრა:

„წინათ მეუბნებოდი, რომ შენ მარტომ გააშენე ეს ბაღი, ყველა ეს მცენარე დარგე და ბილიკები გაიყვანე. შენს თავზე იღებდი დამსახურებას იმ ყოველივე კარგზე, რაც აქ ხდება, ხოლო იმ ყველაფრისთვის, რაც არასწორია, რაც არაკეთილსასურველია, ღმერთს ადანაშაულებ. ქედმაღალი, ეგოისტური უგუნური ხარ! იმდენად შევსილი ხარ შენი საკუთარი მნიშვნელოვნობით, რომ შემქმნელის ხელის აღიარებაც კი არ შეგიძლია, რომელმა ხელმაც ამ ბაღის მთელი ეს სილამაზე შექმნა – ღმერთისაც კი გშურს. შენს თავს აქებ იმის გამო, რაც ღმერთს ეკუთვნის. ღმერთის ნება რომ არ ყოფილიყო, შენს ბაღში სიცარიელე იქნებოდა, - და ამ მომენტში მოხუცმა *ბრაჰმინმა სანიასინს* თავისი ჭეშმარიტი არსი გაუხსნა, და თქვა: *- მე თვითონ ვარ უფალი. მოვედი, რომ შენი ეგოიზმი მოვსპო“.*

ცოდვილი *სანიასინი* მონანიების გრძნობით უფალს ფეხებში ჩაუვარდა. მიხვდა, რომ ეგოიზმმა მასში მალულად შეაღწია, განმტკიცდა, შემდეგ კი მთლიანად დაიპყრო ის. მხოლოდ ახლა გაიგო მან სულიერი სწავლების სიღრმე, რომელ სწავლებასაც ის ამდენ ხანს ასწავლიდა სხვებს. მან გაიგო, რომ ყველაფერი ღვთაებრიობით არის გაჯერებული და ამიტომ ის უნდა ყველგან ღმერთს ხედავდეს და ცხოვრობდეს იმ ცოდნით, რომ ყველაფერი, უწვრილმანეს დეტალებამდე, ღმერთის კონტროლის ქვეშ იმყოფება.

სიყვარული და დიდი მოთმინება ეგოიზმს, შურს და სიძულვილს ანადგურებს

არ შეიძლება წინასწარ იმის თქმა, რა ფორმით შეიძლება ღმერთი გამოჩნდეს, რომ გამოასწოროს ადამიანი, რომელიც შურითა და ეგოიზმით არის სავსე. შეიძლება ნებისმიერი ფორმა მიიღოს და ნებისმიერ დროს მოვიდეს. უნდა თვალყურს ადევნებდეთ, რომ არ განვითარდეს თქვენში ეგოიზმი და მისი ორეულები – სიძულვილი და შური. როგორც კი ეს თვისებები თქვენში ფესვს გაიდგამს, მათი თავიდან მოცილება ძალიან ძნელი ხდება. ადვილი არ არის ისეთი კურთხევის მიღება, როგორიც ამ სანიასინმა მიიღო, რომლის მიმართაც უფალმა ამდენი ყურადღება გამოავლინა იმისთვის, რომ ბოროტი თვისებების მოცილებაში დახმარებოდა მას. შეუძლებელია შურის მოსპობა მხოლოდ წმინდა წერილების კითხვით ან რელიგიური რიტუალების ჩატარებით. მაგრამ თუ დიდ ძალისხმევას გამოიჩენთ იმისათვის, რომ თქვენი აზრები გარდაქმნათ და უანგარო სიყვარული განავითაროთ, შეგიძლიათ ეს მავნებლები მოსპოთ, და თქვენი ყველა ნეგატიური აზრი უფლის წმინდა ტერფებთან დატოვოთ.

სანამ თქვენში შურია, ვერ შეძლებთ სიყვარულის სინათლით ნათებას. იგი თქვენს ყველა ზნეობრიობას მოსპობს. *გიტა* გასწავლით, რომ ძირითადი სულიერი პრაქტიკა იმაში მდგომარეობს, რომ თქვენში სრულყოფილი ზნეობრიობები განავითაროთ და ყოვედღიურ ცხოვრებაში გამოიყენოთ. ამით თქვენს თავს ხელსაყრელ პირობებს შეუქმნით. თუ ზნეობრივ ცხოვრებას გასწევთ, მაშინ *ატმას* პრინციპის განცდას შეძლებთ. მაგრამ თუ დადებით თვისებებს არ განავითარებთ თქვენში, და ყოველდღიურ ცხოვრებაში არ გამოიყენებთ, მაშინ ღმერთის შემეცნებას ვერასოდეს შეძლებთ.

ატმას სინათლე ყველგან იმყოფება. ის არ შემოიფარგლება ერთი ადამიანით ან ფორმით; მისი შუქმფინარი ნათება მთელ სამყაროს ავსებს. მას შეუძლია ნებისმიერი ფორმა და ნებისმიერი სახელი მიიღოს. იგი ყოველი სახელისა და ყოველი ფორმის თვით საფუძველს წარმოადგენს. აიღეთ, მაგალითად, ნათურიდან მომავალი სინათლე, ან ვენტილატორიდან მომავალი ქარი, ან ელექტრული ღუმლიდან მომავალი სიცხე, ან ელექტრული ძრავის მუშაობა. შედეგი ყველგან სხვადსახვაა. ძრავის მუშაობის შედეგი განსხვავდება ვენტილატორის ნიავისგან. ნათურიდან გამოსხივებული სინათლე განსხვავდება ღუმელზე მომზადებული საჭმლისგან. შედეგები სხვადასხვაა, მექანიზმები სხვადასხვაა,

მაგრამ ყოველ მათგანში ერთი და იგივე ელექტრული დენი გადის. იგივეა *ატმას* პრინციპისთვისაც: სხვადასხვა სხეულებში ის სხვადასხვაგვარად მჟღავნდება, მაგრამ საფუძველში ერთიანობაა.

ელექტრული სინათლის სიკაშკაშე ნათურაში გამავალი დენის პროპორციულია. ნათურის მეშვეობით მომავალი სინათლე შეიძლება შევადაროთ *ატმას* შუქმფინარობას, რომელიც ადამიანებში ანათებს. სინათლეს არა აქვს არც სახე, არც ფორმა, მაგრამ ნათურები განსხვავდება ერთმანეთისგან ფორმით და სინათლის სიკაშკაშით: ვარვარების ნათურას გარკვეული ფორმა აქვს, ფლუორესცენციურ ნათურას სხვა ფორმა აქვს. ნათურა სასტუმრო ოთახში შეიძლება ძალიან კაშკაშა იყოს, საძინებელში კი ძალიან მკრთალი. არცოდნის გამო შეიძლება იფიქროთ, რომ თუ ერთი და იგივე ელექტრული დენი გადის საძინებელ ოთახშიც და სასტუმრო ოთახშიც, მაშინ რატომ განსხვავდება ისინი სიკაშკაშით? განსხვავება თვითონ ნათურების გამო ჩნდება.

მსგავსი სახით არსებობს განსხვავება სიყვარულის გამოხატვისა სხვადასხვა გულებში. თუ თქვენი სიყვარული კეთილისმყოფელი და სრულყოფილია, შეგიძლიათ *ატმას* შუქმფინარობის სისავსე გამოხატოთ და ნათლად ბრწყინავდეთ. თუ შეზღუდული ეგოისტური სიყვარული გაქვთ, მაშინ იგი საძინებელ ოთახში არსებული სინათლის მსგავსი იქნება. საქმე ელექტრულ დენში არ არის; ენერგიით მომარაგების პოტენციალი ნებისმიერი რაოდენობით მოხმარებისთვის მზად არის. უფრო მეტი სიკაშკაშის სინათლე რომ მიიღოთ, ნათურა უნდა გამოცვალოთ. თუ შურით ხართ აღვსილი, მაშინ სინათლე ძალიან მკრთალი იქნება. თუ თქვენში უანგარო სიყვარულის შუქმფინარობა ბრწყინავს, მაშინ სინათლის ძალა 1000 ვატიანი ნათურის მსგავსი იქნება. ამიტომ განავითარეთ სიყვარული. ღმერთის შეცნობა მხოლოდ სიყვარულის მეშვეობით შეიძლება.

ღმერთი მხოლოდ სიყვარულის მეშვეობით შეიძლება განიცადოთ

იმისათვის, რომ მთვარე დაინახოთ, საჭირო არ არის, რომ ელექტრული ფანრით აშუქებდეთ. მთვარის დანახვა მისივე სინათლის წყალობით შეიძლება. თუ გინდათ რომ ღმერთს ხედავდეთ და აღიქვამდეთ, რომელიც თვით სიყვარულია, მაშინ მის დანახვას მხოლოდ სიყვარულის მეშვეობით შეძლებთ. შეუძლებელია მისი დანახვა, თუ სიძულვილით ხართ შევსილი.

სიძულვილი სიყვარულის საწინააღმდეგოა. სიძულვილი სიბრმავის მსგავსია.

რა ძალის სინათლესაც არ უნდა მიმართავდეთ ბრმა ადამიანისკენ, იგი ვერ შეძლებს მის დანახვას. სანამ თქვენში უარყოფითი თვისებებია, ვერ ჩასწვდებით ღმერთს, რომელიც სულ ახლოს იმყოფება. როცა შურისგან გათავისუფლდებით, როცა ეგოიზმისგან და სიძულვილისგან გათავისუფლდებით, ღვთაების შუქმფინარობის უშუალო განცდას შეძლებთ. ადამიანში, რომელსაც სიბრძნის თვალი აქვს ახელილი, ღმერთის თანდასწრება იბრწყინებს. ადამიანი, რომელმაც არცოდნით დახუჭა თვალები, ვერ გააცნობიერებს ღმერთს. თუ თვალებს დახუჭავთ, ყველგან მოგიხდებათ პირსახოცის ძებნა, რომელიც, შეიძლება, უშუალოდ თქვენ ზემოთ თაროზე იყოს. თუ თვალებს გაახელთ, უმალვე შეძლებთ მის აღებას. *ჯნანი*, ბრძენი, ვისი თვალებიც ღმერთისთვის გახელილია და ვისი მხედველობაც უმეცრებით არ არის დაბინდული, უშუალოდ აცნობიერებს ღმერთის თანდასწრებას და აღწევს მას.

როდესაც ზნეობრიობით ხართ სავსე, *ჯნანი* ხდებით. მაგრამ თუ უარყოფითი თვისებებით, ეჭვებით, ყოველგვარი შურითა და სიძულვილით ხართ გამსჭვალული, ვერაფრის გაგებას ვერ შეძლებთ. აი რატომ არის ნათქვამი:

„სიკვდილი არცოდნის სიბრმავეზე უკეთესია“.

თქვენი თავი არცოდნისგან უნდა გაათავისუფლოთ. შური ბოროტებაა, რომელსაც არცოდნის განვითარებისკენ მიჰყავხართ. ამიტომ სტუდენტები მოსიყვარულე გულებით, რომლებსაც წინ დიდი მომავალი აქვთ და რომლებიც ცხოვრებაში დიდი პროგრესის მიღწევისკენ ისწრაფვიან, არასოდეს არ უნდა ტოვებდნენ ადგილს შურისთვის.

ვინც არ უნდა მიიღოს თქვენს კლასში მაღალი შეფასებები, შურს არ უნდა დაჰყვეთ. თქვენც შეგიძლიათ ისე სწავლობდეთ, რომ მაღალ შეფასებებს იღებდეთ. თუ ამას ვერ მიაღწიეთ და შურს გრძნობთ, მაშინ ორ შეცდომას უშვებთ: ჯერ ერთი, ეს იმას ნიშნავს, რომ არასაკმარისად მეცადინეობდით, წინააღმდეგ შემთხვევაში მეტს მიაღწევდით, მეორეც, თქვენი გული შურით დაბინდეთ. ხოლო ის, რომ ამის გამო ტირით, თქვენი მესამე შეცდომაა. არ შეიძლება, რომ უარყოფით თვისებებს ავითარებდეთ, რომლებიც უეჭველად ბევრ უსიამოვნებას მოგიტანთ; მათ შეუძლია ოჯახიც კი დაგიქციოთ, რომელიც წინათ ბედნიერი იყო და ყოველივე კარგით ტკბებოდა ცხოვრებაში.

შური და სიძულვილი იმას ანადგურებს, ვისაც ისინი დაეპატრონენ

როდესაც ამ პრინციპებს უხსნიდა, კრიშნამ არჯუნას უთხრა:

„კაურავებს, დჰრიტარაშტრას ას ერთ ვაჟს, უნდათ, რომ პანდავების სიხარული და ბედნიერება მოსპონ. მანკიერი თვისებები უბიძგებენ მათ, რომ ეს ბოროტი მოქმედებები შეასრულონ. შურიანი ადამიანები თავიანთ კამპანიაში სხვა მანკიერ ადამიანებს იზიდავენ; კაურავების ბოროტი ბიძა, შაკუნი, პანდავების მიმართ მტრობისკენ უბიძგებს მათ. იგი შურით სავსეა. ისინი ბრმები არიან. ისევე, როგორც მათი მამა ფიზიკურად ბრმაა, კაურავები მენტალურად არიან ბრმანი. ისინი ერთიანდებიან, ერთმანეთთან შეთანხმებულად მოქმედებენ. მაგრამ შეგიძლია დარწმუნებული იყო, არჯუნა, რომ ცუდი თვისებები ამ ადამიანებში მათვე მოსპობს“.

როგორც კრიშნამ იწინასწარმეტყველა, მათგან ცოცხალი არავინ დარჩა, რომ მათი მშობლების სიკვდილის შემდეგ წეს-ჩვეულება შეესრულებინა. სიძულვილისა და შურის ჭაობში ჩაფლობა უდიდესი ტრაგედიაა.

თუ მართლაც გინდათ, რომ *გიტა* გაიგოთ, ყველა დადებით თვისებასა და ზნეობრიობას უნდა ავითარებდეთ, რომლებიც აქ განიხილებოდა. როდესაც ეს კარგი თვისებები თქვენი ნაწილი გახდება, ღმერთის უშუალო განცდას შეძლებთ.

ნატვრის ხისგან ყველაფრის მიღებას შეძლებ, რასაც კი ისურვებ. *გიტაა* სწორედ ასეთი ნატვრის ხე. ის გაძლევთ იმის გარანტიას, რისი მიღებისთვისაც მზად ხართ. ის გაძლევთ გაგების იმ დონეს, რომელიც სურვილთა თქვენს დონეს ასახავს. ჩვენს საუკუნეში ადამიანებს არასწორად ესმით *გიტა*, იმიტომ რომ ისინი მრავალრიცხოვანი ნეგატიური სურვილით არიან შევსილნი. და ამიტომ *გიტა* მათთვის მიუღებელია. მაგრამ თქვენ უნდა ზნეობრიობებს ავითარებდეთ, და სიყვარულით ავსებდეთ თქვენს თავს; მაშინ *გიტას* ამაღლებული იდეები იბრწყინებს თქვენში და შთაგაგონებთ, რომ ღვთაებას მიაღწიოთ, რომელიც თქვენი უცვლელი რეალობაა. ეს არის მარადიული ჭეშმარიტების რეალობა. ეს არის დაბადებიდან თქვენთვის მოცემული უფლება.

თავი ოცდამეექვსე

ჭეშმარიტება და კარგი ხასიათი ცხოვრების თვით სუნთქვაა

კრიშნამ თქვა: „იქ, სადაც მართლქმედება
და სიწმინდეა, იქ, სადაც მტკიცედ
მიჰყვებიან ვალს და ჭეშმარიტებას,
გამარჯვება უზრუნველყოფილია. ის,
ვინც დჰარმას (მართლქმედებას) იცავს,
თვითონ იქნება დჰარმის მიერ დაცული.
არჯუნა! პრაქტიკაში გაატარე დჰარმა
ყოველთვის. წმინდა და კეთილშობილი
ცხოვრებით იცხოვრე. მაშინ ცხოვრებას
აზრი ექნება“.

სიყვარულის განხორციელებანო!

არსებობს *დჰარმის* შვიდი ასპექტი, ისევე როგორც ცისარტყელას შვიდი ფერია მოთავსებული მზის სხივებში. ისინი მაღალი ზნეობის საქციელისა და მორალური სრულყოფილების ნორმას შეადგენს, რომლებიც სულიერი ცხოვრების თვით სტრუქტურას წარმოადგენს. *დჰარმის* პირველი ასპექტია ჭეშმარიტება. მეორე ასპექტი - კარგი ხასიათი. მესამე – სწორი მოქცევა. მეოთხე – ცხოვრების მკაცრი სახე ანუ ასკეტიზმი (ცხოვრების განსაკუთრებული სახე სურვილებისგან თავის შეკავებაზე განსაკუთრებული ყურადღებით). მეექვსე – თვითაღკვეთა ანუ არამიბმულობა, *დჰარმის* მეშვიდე ასპექტი კი – არაძალადობა. *დჰარმის* ეს ასპექტები – სწორი მოქცევის პრინციპები – მოცემულია ინდივიდუუმის დაცვისთვის და საზოგადოების კეთილდღეობისთვის.

შეჭმარიტება და *დჰარმა*

ჭეშმარიტება *დჰარმის* თვით საფუძველია. ისევე, როგორც წვა ცეცხლის ბუნებაა, როგორც სიცივე ყინულის ბუნებაა, როგორც არომატი ყვავილის ბუნებაა, სიტკბო კი შაქრის ბუნებაა, ასეთივე სახით მართლქმედება ადამიანის ბუნებაშია. როდესაც აცნობიერებთ, რომ თქვენს განუყოფელ ბუნებას ჭეშმარიტება წარმოადგენს, მაშინ გაიგებთ თქვენს საკუთარ რეალობას. რადგან ჭეშმარიტება, კარგი ხასიათი ცხოვრების თვით სუნთქვაა.

ყოველი ადამიანისთვის, რომელსაც სულიერების სფეროში წარმატების მიღწევა სურს, არსებით თვისებას კარგი ხასიათი წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ არსებობს კარგი ხასიათის სამი ასპექტი. პირველი მათგანის გადმოცემა უკეთესია სიტყვებით – სიწმინდე, წმინდანობა, სიკეთე. მეორე ასპექტის აღწერა ჯობია სიტყვებით – შემწყნარებლობა, თავშეკავებულობა, თანაგრძნობა. მესამე ასპექტისა კი სიტყვებით – სიმტკიცე, გამბედაობა, სულისკვეთების ძალა (იდეალების ერთგულება).

როგორი განათლებაც არ უნდა გქონდეთ მიღებული, როგორი მდიდარიც არ უნდა იყოთ, რა მდგომარეობასაც არ უნდა იკავებდეთ, ხართ დიდი მეცნიერი თუ სახემწიფო მოღვაწე, თუ ხასიათის ამ სამ ასპექტს არ ფლობთ, უკეთესი იქნებოდა, რომ არ დაბადებულიყავით. რასაც არ უნდა მიაღწიოთ, ხასიათის ამ სამი მხარის გარეშე თქვენი ყველა ცოდნა და მიღწევა უსარგებლოა. ხალხი ადამიანის გარე სილამაზეს აქცევს ყურადღებას, ღმერთი კი მხოლოდ შინაგან სილამაზეს აღიარებს. წუნდაუდებელი ხასიათი ადამიანში – აი რაშია მისი სილამაზე. ადამიანი, რომელსაც დაკარგული აქვს კარგი ხასიათი, არარაობაა. იგი ქვას ჰგავს. თქვენ უნდა *დჰარმის* ამ შვიდ ასპექტს მიჰყვებოდეთ და იმის შესაძლებლობას აძლევდეთ მათ, რომ თქვენში ანათებდნენ ისინი, რადგან ყოველი მათგანი თქვენთვის სრულიად ბუნებრივია.

ჭეშმარიტება არის საფუძველი. ჭეშმარიტება იმას არ ნიშნავს, რომ უბრალოდ ტყუილზე თავს იკავებდეთ. ჭეშმარიტებას უნდა ეპყრობოდეთ ისე, როგორც თქვენს არსს, როგორც თქვენი ცხოვრების საფუძველს. ჭეშმარიტების გულისთვის მზად უნდა იყოთ, რომ ყველაფერზე უარი თქვათ. ეს სამყარო შიშის ქვეშ იმყოფება ჭეშმარიტების წინაშე, თუმცა მთლიანად მას ემორჩილება. თუ არ არის ჭეშმარიტება, ადამიანს ცხოვრებაც კი შეაშინებს. მეორე მხრივ, ჭეშმარიტება ადამიანს უშიშრობას აძლევს. ჭეშმარიტება იცავს მთელ სამყაროს და მოძრაობაში მოჰყავს ის. ჭეშმარიტება შიშს აძევებს. ჭეშმარიტება იმდენად მნიშვნელოვანი თვისებაა, რომ თუ ადამიანი მას უმწიკვლოდ იცავს, მას შეუძლია ღვთაებრიობას მიაღწიოს. ხასიათი ჭეშმარიტების თვით სუნთქვაა. ხასიათისთვის მნიშვნელოვანია ზნეობრიობა და კარგი ქცევა. კარგი ქცევის გარეშე კაცობრიობა სიყვარულით ვერ იბრწყინებს. ზნეობრიობები, კარგი თვისებები, კარგი ყოფაქცევა – ეს ყველაფერი კაცობრიობას სიდიადეს ანიჭებს.

ბავშვობიდანვე უნდა მიჰყვებოდეთ ჭეშმარიტებას

იმისათვის, რომ კაცობრიობა დაიცვათ და თქვენს თავში ღვთაებრიობა გამოავლინოთ, საჭიროა საფუძველში ჩადოთ ჭეშმარიტება, კარგი ხასიათი და კარგი ყოფაქცევა. ამისათვის ბავშვობიდანვე უნდა იჩენდეთ ძალისხმევას. ბავშვობაში ადამიანები ზოგჯერ წვრილმან შეცდომებს უშვებენ, განზრახ თუ უნებლიეთ. შიშის გამო, რომ შეიძლება უფროსებმა ამ შეცდომების შესახებ შეიტყონ და ამას კრიტიკა ან სასჯელი მოჰყვეს, ბავშვი ცდილობს შეცდომები დამალოს. ამგვარად ადრეული ასაკიდანვე ბავშვში ტყუილის თქმის ჩვეულება ვითარდება; ეს ჩვეულება დროთა განმავლობაში მისი ცხოვრების თვით საფუძველს მოსპობს. ტყუილი მის ჰუმანურობას მოსპობს. ამიტომ ბავშვებს უნდა ახალისებდეთ, რომ ისინი ყოველთვის სიმართლეს ამბობდნენ, ყველაფრის მიუხედავად, რომ შედეგების არ ეშინოდეთ და მათზე არ ზრუნავდნენ, იქნება ეს შედეგები მათთვის სასიხარულო და სახარბიელო თუ შეიძლება ისინი დისციპლინარული სასჯელით დასრულდეს. ისევე, როგორც დიდი სახლისთვის მნიშვნელოვანია საძირკველი, როგორც ფესვები ხის თვით საფუძველს წარმოადგენს, ჭეშმარიტება ადამიანის ცხოვრების თვით საფუძველია.

თუ ჭეშმარიტებაში მერყეობთ, თქვენს ცხოვრებაში არ იქნება არც უსაფრთხოება, არც მფარველობა. ჭეშმარიტების მკაცრი დაცვის მაგალითი შეიძლება ჰარისჩანდრას ცხოვრებაში დავინახოთ. იმისათვის, რომ ჭეშმარიტებას მიჰყოლოდა, ჰარისჩანდრამ უარი თქვა ცოლზე, ვაჟზე და მთელ სამეფოზე; მან მიიღო ჭეშმარიტება როგორც ასკეტიზმი. საბოლოო ჯამში, ვალები რომ გაესტუმრებინა, იგი იძულებული იყო მონად გაეყიდა ცოლი, შემდეგ კი ვაჟი, ბოლოს კი თავისი თავიც. მაგრამ მაშინაც კი, როცა ასეთ უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდა, იგი არასოდეს ამბობდა ტყუილს. გაძევებულმა და მარტოხელამ კრემაციის ადგილას დაიწყო მუშაობა. როცა მისი ვაჟი მოკვდა, ცოლმა ვაჟის სხეული კრემაციისთვის სასაფლაოზე მიასვენა. თუმცა ჰარიშჩანდრამ იცნო ცოლი ჩანდრამუტი ვაჟის სხეულით, მაგრამ ის მაინც თავის ვალდებულებას გრძნობდა, რომ მესაფლავის მოვალეობები შეესრულებინა. ყველაზე უფრო მტანჯველ გარემოებებში ჰარიშჩანდრა არასოდეს ამბობდა უარს ჭეშმარიტებაზე და *დჰარმისთვის* მიყოლაზე. მისთვის ჭეშმარიტება და *დჰარმა* ორი თვალის, ეტლის ორი თვლის ან ფრინველის ორი ფრთის მაგვარი და ერთმანეთისგან განუყოფელი იყო.

პატარა ტყუილმაც კი შეიძლება მოგვიანებით უბედურება მიგიტანოთ

თავიდანვე უფროსები ახალგაზრდებს უნდა ასწავლიდნენ, რომ ისინი სწორად იქცეოდნენ და სიმართლეს ამბობდნენ. აი პატარა მაგალითი, რომელიც ასურათებს, რა უბედურ შედეგებამდე შეიძლება მიიყვანოს სიცრუემ საკუთარი დის გამასხარავების მიზნით. ერთხელ მამას უნდოდა ვაჟისთვის დაბადების დღეზე განსაკუთრებული საჩუქრის მირთმევა. ვაჟიშვილის სიყვარულის გამო მამამ მას ოქროს მონეტა მისცა და უთხრა, რომ დედასთან წასულიყო და ეთხოვა, რომ ოქროს ბეჭედი გაეკეთებინა. მეორე დღეს ვაჟიშვილს გამოცდები ჰქონდა; მან ოქროს ბეჭედი იმ მაგიდაზე დადო, სადაც მეცადინეობდა.

ამ ბიჭს ჰყავდა უმცროსი და, ძალიან ცნობისმოყვარე და ცელქი. როდესაც და ოთახში შევიდა და ოქროს მონეტა დაინახა, მან ის ხელში აიღო და იკითხა:

„ძმაო, რა არის ეს?“ ძმამ უთხრა: *„ეს ოქროს მონეტაა“.* დამ ჰკითხა: *„საიდან მოიტანე?“* ძმამ ხუმრობით უთხრა: *„ხეზე იზრდებოდა“. „როგორ უნდა გაჩენილიყო ხეზე ოქროს მონეტა?“* - ჰკითხა დამ. ძმამ ტყუილებისგან შემდგარი ისტორია მოიგონა და უთხრა:

„თუ ამ მონეტას მიწაში ჩავთესავთ, მოვრწყავთ და მოვუვლით, მაშინ მალე ხე გაიზრდება. და მერე ამ ხისგან უფრო მეტი ოქროს მონეტის მიღება შეიძლება“.

დაიკოს კიდევ უნდოდა შეკითხვების მიცემა, მაგრამ ბიჭმა თქვა:

„ახლა შენთან საუბრის დრო არ მაქვს. უნდა ვიმეცადინო. მოგვიანებით მკითხე“.

დაიკომ ისარგებლა შემთხვევით, რომ ძმა დაკავებულია, ოქროს მონეტა ჯიბეში ჩაიდო და წავიდა. მან ბაღში პატარა ორმო ამოთხარა, ოქროს მონეტა ორმოში ჩადო, მიწა მიაყარა და წყალი დაასხა. იგი ყოველთვის იმაზე ფიქრობდა, რაც მას ძმამ უთხრა: თუ ოქროს მონეტას მიწაში ჩავთესავთ, როგორ გაიზრდება ხე.

მოახლე ქალმა, რომელიც პატარა გოგონას უთვალთვალებდა, ეს ყველაფერი დაინახა. როგორც კი გოგონა სახლში წავიდა, მან ორმო გათხარა და მონეტა ამოიღო. რაღაც დროის შემდეგ დედა მოვიდა და ვაჟს უთხრა, რომ სკოლაში წასვლის დრო. ბიჭს უნდოდა დედისთვის მონეტა მიეცა, რომ მას ოქროს ბეჭედი შეეკვეთა, როგორც მამამ ასწავლა, მაგრამ

მონეტა ვერ იპოვა. მაშინ ბიჭი დასთან წავიდა და იკითხა, მონეტა ხომ არ უნახავს მას. დამ უთხრა:

„ძმაო, ვიფიქრე, რომ თუ მისგან ხეს გავზრდით, მაშინ ბევრი ასეთი მონეტა გვექნება; ამიტომ ბაღში ორმო ამოვთხარე და მონეტა ჩავთესე“.

ისინი იმ ადგილას წავიდნენ და თხრა დაიწყეს, მაგრამ მონეტა ვერ იპოვეს.

ბიჭი ძალიან გულნატკენი იყო. თავისი დაბადების დღეს სიხარულის ნაცვლად ტიროდა. მან ეს ყველაფერი დედას უამბო. დედამ ჰკითხა:

„მითხარი, შვილო, შენმა დამ რატომ აიღო მონეტა და ბაღში ჩაფლა?“

ბიჭმა არ იცოდა, რა ეპასუხა, და მაშინ პატარა გოგონას დაუძახეს და ჰკითხეს, რატომ გააკეთა მან ეს. გოგონამ თქვა:

„ძმამ ამიხსნა, რომ მონეტა ხე გახდება და მასზე ბევრი ოქროს მონეტა იქნება; ამიტომ გავაკეთე ეს, როგორც მან თქვა“.

დედამ ბიჭს უთხრა:

„ეს ისტორია მოიგონე და შენს დას ტყუილი უთხარი; შედეგად იმის ნაცვლად, რომ შენს დაბადების დღეზე ბედნიერი იყო და გიხაროდეს, ტირი; გარდა ამისა, ოქროს მონეტა დაკარგე, რომელიც მამამ გაჩუქა“.

თუ ბავშვებს ტყუილის თქმისა და მისი დამალვის ნებას აძლევენ, ეს ჩვეულება წლების განმავლობაში სულ უფრო და უფრო გაიზრდება. მეორე მხრივ, თუ მათ ასწავლიან, რომ ადრეული ასაკიდან სიმართლე თავიანთი ცხოვრების საფუძველი გახადონ, მათი ხასიათი გაუმჯობესდება, და ისინი ბევრს მიაღწევენ.

როცა ერთი ნეგატიური თვისება ქრება, დანარჩენები დიდხანს ვერ დარჩება

ოდესღაც ცხოვრობდა დიადი მასწავლებელი *ჯაგატგურუ*, რომელიც ბევრ ადამიანს დაეხმარა იმაში, რომ მათ თავიანთ თავში სულიერება განევითარებინათ. როდესაც მასთან ადამიანები ზიარებისთვის მოდიოდნენ, იგი ჩვეულებრივად ეკითხებოდა მათ ყოფაქცევაზე და ხასიათზე, რომ გაეგო, რა თვისებებს ფლობენ ისინი, და მათი თვისებებისა და ევოლუციის სტადიის შესაბამისად *მანტრას* აძლევდა. ერთხელ მასთან მივიდა ქურდი, რომელმაც ამ *გურუს* სიდიადე აღიარა. ქურდმა სთხოვა, რომ *მანტრა* მიეცა მისთვის. *გურუმ* უთხრა:

„შვილო ჩემო, რა თვისებები გაქვს? რა ნაკლოვანებები გაქვს?“

ქურდმა უპასუხა:

„ჩემი ცუდი თვისებებია სახლიდან სახლამდე სიარული ღამ-ღამობით, საკეტების გატეხვა და ნივთების მოპარვა. რამდენადაც ღამ-ღამობით ვქურდობ, დღისით ძალიან ვთვრები და მძინავს. ლოთობა ჩემი მეორე ცუდი ჩვეულებაა. როცა პოლიცია მაკავებს, მაშინ, თავის გადასარჩენად ყოველგვარ ტყუილს ვიგონებ. ეს ჩემი მესამე ცუდი თვისებაა“.

მაჰატმამ ჰკითხა:

„შვილო, შეგიძლია ამ სამი ცუდი თვისებიდან ერთს უთხრა უარი?“

ქურდმა გაიფიქრა:

„თუ არ ვიქურდებ, მაშ როგორ უნდა შევინახო ოჯახი, ცოლ-შვილი? არა, არ შემიძლია ამაზე უარის თქმა. თუ ჩემი სხეული ჯანმრთელი და ძლიერი იქნება, გაქცევას შევძლებ, როცა დაჭერას დამიპირებენ; ამიტომ ბევრი უნდა ვიძინო, დასალევი კი მეხმარება, რომ დღისით ჩამეძინოს. მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ ხშირად მოვხვდები პოლიციაში; ამიტომ ჯობია ტყუილზე ვთქვა უარი“.

შემდეგ დიადმა ბრძენმა ჰკითხა მას:

„პირობას დებ, რომ, ხვალინდელი დღიდან დაწყებული, ყოველთვის სიმართლეს ილაპარაკებ“.

ქურდმა უპასუხა:

„აბსოლუტურად. დაწყებული დღევანდელი დღიდანაც კი მხოლოდ სიმართლეს ვილაპარაკებ“.

და მან მტკიცედ გადაწყვიტა ამის გაკეთება; და მართლაც, იმ დღიდან ჩვეულებად ექცა, რომ მხოლოდ სიმართლე ელაპარაკა, სადაც არ უნდა წასულიყო.

ერთხელ ზაფხულის ცხელ ღამეს ქურდი ქუჩებში დაძრწოდა, ხელსაყრელ ადგილს ათვალიერებდა, რომ სახლში შეეღწია. იმ ქალაქის მერი, ძალიან მდიდარი ადამიანი, თავისი სახლის აივანზე ისვენებდა, რომელიც სახურავზე იმყოფებოდა. სიცხისა და ღამის უძრავი დახუთული ჰაერის გამო (იმ ხანებში არ იყო კონდიციონერები და ვენტილატორებიც კი) მას დაძინება არ შეეძლო. ქურდმა ამ აივანზე აძრომა მოახერხა. მდიდარმა ადამიანმა დაინახა ის და მიხვდა, რომ ქურდია. მდიდარმა წამოიძახა:

„ეი, ვინ ხარ?“

რამდენადაც ქურდი მხოლოდ სიმართლეს ამბობდა, მან უპასუხა:

„ქურდი ვარ“.

ამ ადამიანის გეგმები რომ გაეგო, მდიდარმა თქვა:

„მართლა? მეც ქურდი ვარ“.

მათ ერთად მუშაობა გადაწყვიტეს. დაიწყეს გეგმის შედგენა, როგორ მოეპარათ სახლში არსებული ძვირფასი ნივთები. მდიდარმა ადამიანმა ქურდს უთხრა:

„სახლში სეიფში ალბათ აქ მცხოვრები მდიდრის ბევრი ძვირფასეულობაა ჩაკეტილი, მაგრამ ძალიან ძნელი იქნება სეიფში მოხვედრა, თუ გასაღებს არ მოვნახავთ. მოდი კარის გატეხას ვცდი, რომ გასაღები მოვიპაროთ. – მდიდარმა განაგრძო: - *მე ვიცდიდი, რომ ვინმე მიდარაჯებდა, ახლა, მყავხარ რა ასეთი მეგობარი, შემიძლია სახლში შევაღწიო“.*

მან ქურდი დატოვა და, თავი მოაჩვენა, რომ კარს ტეხს, და სახლში შევიდა; მან იქ გაიარ-გამოიარა და ის რამდენიმე წუთს შეყოვნდა. აიღო გასაღები და მალულად გამოვიდა. შემდეგ ქურდს უთხრა:

„გასაღები მოვნახე; ყველგან ვეძებდი სეიფს, მაგრამ ვერ ვიპოვე ის. მოდი ახლა მე გიდარაჯებ, შენ კი სახლში შედი. სცადე სეიფის პოვნა და ძვირფასეულობის გამოღება. მდიდარი ალბათ მას იქ ინახავს“.

აღმოჩნდა, რომ ამ მდიდარ ადამიანს სეიფში სამი დიდი ბრილიანტი ჰქონდა. ქურდი სახლში შევიდა. მალე მან სეიფი იპოვა; გააღო ის და იქიდან სამი ძვირფასი ბრილიანტი გამოიღო.

მათ წინაშე მაშინვე პრობლემა გაჩნდა: სამი ბრილიანტი ორ კაცს შორის როგორ უნდა გაენაწილებინათ? რამდენადაც ეს ქურდი ჭეშმარიტების გზას მიჰყვებოდა, მასში ავტომატურად წესიერება იყო. მან სამივე ბრილიანტი მოიტანა, მაგრამ მდიდარს უთხრა:

„ძმაო, შეგიძლია აიღო ერთი ბრილიანტი. მეორეს მე ავიღებ. მესამე ბრილიანტი რომ ნაწილებად არ დავამტვრიოთ, ისევ სეიფში ჩავდებ მას და სახლის პატრონს დავუტოვებ“.

ასეთი გადაწყვეტილება რომ მიიღო, ქურდი ისევ სახლში შევიდა და მესამე ბრილიანტი სეიფში დადო. ამის შემდეგ სახურავზე დაბრუნდა.

ამ გარიგების შემდეგ, როცა ქურდი წასვლას აპირებდა, მდიდარმა ადამიანმა უთხრა მას:

„ძმაო, იქნებ დროდადრო ვისარგებლოთ მომავალში ჩვენი თანამშრომლობით. შენი მისამართი მომეცი, თუ შეიძლება, რომ დაკავშირება შევძლო“.

რამდენადაც ქურდი ვალდებული იყო, რომ სიმართლე ელაპარაკა, მისცა მას მისამართი. მეორე დილით მდიდარმა ადამიანმა, რომელიც ასევე ზამინდარი, ანუ უმაღლესი ოფიციალური პირი იყო ამ სფეროში, პოლიციას უბრძანა, რომ განეხილა საჩივარი მისი სეიფიდან სამი ბრილიანტის დაკარგვის თაობაზე. მან პოლიციას უბრძანა წასულიყო სოფელში მოცემულ მისამართზე და იქ მცხოვრები ქურდი დაეპატიმრებინა.

იმ სოფელში ქურდს კარგად იცნობდნენ. პოლიციამ ის ადვილად იპოვა. იგი დააპატიმრეს და ზამინდართან მიიყვანეს. ქურდმა ვერ იცნო კარგად ჩაცმულ ოფიციალურ პირში გუშინდელი პარტნიორი.

ზამინდარმა ქურდს ჰკითხა:

„აბა თქვი, როგორ შეხვედი სახლში? როგორ შეძელი ამ ბრილიანტის აღება?“

ქურდმა დეტალებში მოუყვა თავისი თავგადასავლის შესახებ. მან მოუთხრა, როგორ აძვრა სახურავზე, პარტნიორი როგორ შეიძინა, სახლში შევიდა, სეიფი გააღო, აიღო სამი ბრილიანტი, აქედან ერთი მისცა პარტნიორს, მეორე კი თავისთვის დაიტოვა. სახლში დაბრუნდა, გააღო სეიფი და მესამე ბრილიანტი სეიფში დააბრუნა. ზამინდარმა თავის მთავარ ჩინოვნიკს დაუძახა და უთხრა:

„თუ შეიძლება, წადით და ნახეთ, არის თუ არა სეიფში მესამე ბრილიანტი“.

ჩინოვნიკმა აიღო გასაღები, და გაიფიქრა:

„ნუთუ არსებობენ ისეთი ქურდები, რომლებსაც შეუძლიათ ბრილიანტი უკან დააბრუნონ სეიფში?“ ასეთი ფიქრებით მან სეიფი გააღო და დაინახა ბრილიანტი, რომელიც ქურდმა დატოვა, ჯიბეში ჩაიდო და ზამინდართან დაბრუნდა. მოახსენა მას, რომ სეიფში ბრილიანტი არ არის (ჩინოვნიკის ჩხრეკის დროს ბრილიანტი მის ჯიბეში იპოვეს).

ახლა ზამინდარმა ქურდს მიმართა:

„ვიცი, რომ რაც შენ მომიყევი, სიმართლეა. ამიტომ დღეიდან მთავარ ჩინოვნიკად გნიშნავ. მხოლოდ გულმართალი ადამიანი შეიძლება იყოს თანამდებობის პირი. სამწუხაროდ, შენ ქურდი გახდი; მაგრამ ბუნებით ასეთი არ ხარ“.

იმ დღიდან ამ ადამიანმა შეწყვიტა ქურდობა და მაღალი რანგის ჩინოვნიკი გახდა: იგი განაგრძობდა სიმართლის თქმას

და ავტომატურად დროთა განმავლობაში მან უარი თქვა ლოთობაზე, ისევე როგორც ქურდობაზე. იგი პატიოსანი და რიგიანი ადამიანი გახდა.

დასაწყისში, თუ ჭეშმარიტებას მტკიცედ მიჰყვებით, შეიძლება ბევრი უსიამოვნება გაგიჩნდეთ. მაგრამ თუ ამ გზით დაჟინებულად ივლით, და მხოლოდ სიმართლეს ილაპარაკებთ, ყველაფრის მიუხედავად, მაშინ ბოლოს და ბოლოს თქვენი ალალი ბუნება სიხარულითა და ბედნიერებით აგავსებთ და ყველა თქვენს წამოწყებაში წარმატებას მოიტანს. ამიტომ იმისათვის, რომ კაცობრიობის პროგრესსა და აყვავებას ხელს უწყობდეთ, კრიშნა *გიტაში* გასწავლით, რომ ყოველთვის გულმართალი უნდა იყოთ. კრიშნა აცხადებს, რომ ჭეშმარიტება მეფური გაზაა ცხოვრებაში, და რომ ჭეშმარიტების გზა ერთადერთი გზაა სწორი ყოფაქცევის აღზრდისთვის საზოგადოებაში.

დჰარმა უცვლელია, მაგრამ მისი პრაქტიკა ყოველ საუკუნეში იცვლება

ზოგჯერ ამბობენ, რომ *დჰარმა* დაეცა. მაგრამ ეს არ არის სწორი. *დჰარმა* ჭეშმარიტებაზეა დაფუძნებული, ჭეშმარიტება კი აბსოლუტურია, იგი არავითარ ცვლილებას არ ექვემდებარება – მას არ შეუძლია შემცირება. თუმცა რომელიღაც გარკვეულ საუკუნეში შეიძლება *დჰარმის* პრაქტიკა შეიცვალოს. ღმერთი შრი კრიშნას სახით იმიტომ განსხეულდა, რომ *დჰარმის* პრაქტიკა აღედგინა, და არა თვითონ *დჰარმა. დჰარმა* არასოდეს გამქრალა, და არასოდეც შეცვლილა; მას უბრალოდ არ იყენებდნენ. *დჰარმის* შვიდი ასპექტი ყველა გასულ საუკუნეში იყო, იყო ეს *კრიტას, ტრეტა,ა დვაპარას* თუ *კალის* საუკუნე. თუმცა ყოველ *იუგაში,* ანუ ყოველ საუკუნეში იმ პრაქტიკას ეწევიან, რაც ყველაზე უფრო მეტად შეესაბამება ამ საუკუნეს. მაგალითად, *კრიტას* საუკუნეში, როცა სულიერი შეცნობილობა ძალიან მაღალი იყო, ყველაზე უფრო ხელსაყრელი სულიერი პრაქტიკა იყო მედიტაცია; *ტრეტას* საუკუნეში, როცა შრი რამა განსხეულდა, *იაგნას* (მსხვერპლის შეწირვა) და *ასკეზების* პრაქტიკა იყო; *დვაპარას* საუკუნეში, შრი კრიშნას საუკუნეში, რიტუალური და ცერემონიალური თაყვანისცემის პრაქტიკას ეწეოდნენ; *კალის* საუკუნეში კი, ჩვენი მატერიალიზმის საუკუნის ბოლო ხუთიათას წელიწადში, როდესაც სულიერი ცნობიერება მთელ მსოფლიოში დაცემის მდგომარეობაშია, ეწევიან *ნამასმარანას,* ღმერთის წმინდა სახელის გამეორების პრაქტიკას.

მაგრამ ისევე, როგორც ადრეულ საუკუნეებში მრავალი მორწმუნე *მანტრების* გამეოებით იყო დაკავებული, ასევე ამ საუკუნეში წარსულ საუკუნეთა გავლენა არსებობს: ერთნი მედიტაციით არიან დაკავებულნი, მეორენი - *ასკეზებით*, მესამენი კი – რიტუალური თაყვანისცემით. მაგრამ პრაქტიკების ძირითადი შერჩევა დამოკიდებულია დროის საერთო ხასიათზე და განწყობილებაზე.

პრაქტიკების სხვადასხვა სახეები, ასე ვთქვათ, განსხვავებულ ფორმებს აძლევს *დჰარმას;* მაგრამ *დჰარმის* შიდა ნაკადი მუდამ ერთი და იგივეა. ჭეშმარიტება არასოდეს იცვლება. ჭეშმარიტება ყოველთვის ერთია, და არა ორი. ყველა სამ დროში – წარსულში, აწმყოში და მომავალში, ყველა სამ სამყაროში – მიწაზე, ზეცაში და ქვესკნელში, ყველა სამ მდგომარეობაში – სიფხიზლის, ძილის და ღრმა ძილისა, და ყველა სამ *გუნაში*, ადამიანის ამქვეყნიურ მდგომარეობებში – ზომიერების, აქტიურობის და პასიურობისა (*სატვაში, რაჯასში* და *ტამასში*) – ჭეშმარიტება ყოველთვის ერთია. რამდენადაც ჭეშმარიტება ერთია, და იგი *დჰარმის* საფუძველია, *დჰარმა* ცვლილებებს არ ექვემდებარება. მაგრამ ვალი და პრაქტიკა ნახტომისებურ ცვლილებებს ექვემდებარება.

ავიღოთ, მაგალითად, ადამიანი, რომელიც სადღაც მუშაობს. რამდენ ხანს იქნება ეს სამუშაო მისთვის ვალი? სანამ ამ სამუშაოდან არ გათავისუფლდება. მანამდე კი ის სამუშაოზე ყოველდღე დადის. როგორც კი გათავისუფლდა, მისი ვალი იცვლება. გათავისუფლების შემდეგ მან შეიძლება რაღაც ბიზნესი დაიწყოს. მაშინ ბიზნესი მისი ვალი გახდება. ბიზნესით რომ დაკავდება, შეიძლება ცდუნებას აჰვეს და დამატებითი შემოსავლის მიღება მოუნდეს უპატიოსნო გზით; მან შეიძლება სიცრუითა და მოტყუებით ფულის გაკეთება სცადოს. და თუმცა ახლა ის სიცრუითა და მოტყუებით ცხოვრობს, ამ ბიზნესს მაინც თავის სამუშაოდ და ვალად ჩათვლის. თუ ვალის თავს ამდენი ცვლილება ხდება, მაშინ ნუთუ ის უნდა დავახასიათოთ როგორც *დჰარმა*? მოღვაწეობის ეს მუდამ ცვალებადი სახეები ვალისა და ვალდებულებების მხოლოდ სხვადასხვა სახეებია, მაგრამ ისინი არ უნდა აღვწეროთ როგორც *დჰარმა.* ვალი მხოლოდ მაშინ ხდება *დჰარმა*, როცა მას ზნეობრიობები აკურთხებენ, რომლებიც *დჰარმის* ასპექტებს შეადგენენ.

დჰარმა ნიშნავს სხვებისთვის ვნების არმიყენებას

სიტყვა *„დჰარმის“* ყველაზე უბრალო მნიშვნელობაა ყველა ის მოქმედება, რომელიც სხვებს ხელს არ უშლის, სხვების თავისუფლებას არ ხელყოფს. აი ამისი პატარა მაგალითი.

დავუშვათ, ცენტრალურ ქუჩაში მიდიხართ და ჯოხით თამაშობთ. ამ ქუჩაზე დიდი მოძრაობაა. თქვენ ფიქრობთ: *„სრული უფლება მაქვს იქ ვიარო, სადაც მინდა“.* მაგრამ თუ ეს თქვენი უფლებაა, მაშინ საპირისპიროდ მომავალ ადამიანს იმის სრული უფლება აქვს, რომ თქვენი ჯოხის დარტყმისგან თავი დაიცვას. თქვენს თავს იმ მოქმედებების უფლებას აძლევთ, რომლებიც სხვა ადამიანებისთვის სახიფათო ხდება. თუმცა სწორი ყოფაქცევის თანახმად ისე უნდა იქცეოდეთ, რომ ხელს არ უშლიდეთ იმ ადამიანებს, რომლებიც იმავე გზით მიდიან.

თუ *დჰარმის* შესაბამისად იქცევით, სხვებს უხერხულობას არ შეუქმნით ან არ შეაწუხებთ და მათ თავისუფლებას არ დაარღვევთ. მოგვიანებით განვიხილავთ კრიშნას სწავლებას, სადაც ის აღნიშნავს, რომ საკმარისი არ არის სხვებისთვის ვნების მიყენებისგან უბრალოდ თავს იკავებდეთ. ასევე უნდა გულითადად და თანაგრძნობით ეპყრობოდეთ ყველა არსებას. თუ ყოველი ადამიანი თავის *დჰარმად* ჩათვლის ყოფაქცევას, რომელიც, უკიდურეს შემთხვევაში, არავის ავნებს, მაშინ მსოფლიოში სიხარული და სიმშვიდე აყვავდება. ამაში მდგომარეობს თქვენი ჭეშმარიტი ვალი; უნდა ასრულოთ ეს ვალი იმის გულისთვის, რომ სხვებისთვის მაგალითი გახდეთ და რომ *დჰარმის* საჭირო იდეალებს იცავდეთ.

სოციალური ვალი, მოვალეობათა ვალი და ოჯახური ვალი

თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ოჯახში არსებობს ვალის სამი სახე. ეს სახეები შეიძლება *დჰარმის* სამ ასპექტად ჩაითვალოს. ესენია: საზოგადოებრივი ვალი, მოვალეობათა ვალი და ვალი ოჯახის წინაშე.

თავიდან განვიხილოთ საზოგადოებრივი ვალის მაგალითი. დავუშვათ, რომ ხვალ კვირაა, თქვენი დასვენების დღე. შეიძლება მეგობრების მოწვევა მოინდომოთ. მოულოდნელად ღამე სიცხემ აგიწიათ. გესმით, რომ თუ მეორე დღეს მეგობრებს სტუმრად მიიწვევთ, მაშინ ასეთ მდგომარეობაში მათ სათანადოდ ვერ მიიღებთ და ეს სიხარულს ვერავის მოჰგვრის. ამიტომ, იღებთ რა მხედველობაში მეგობრების მიმართ თქვენს ვალდებულებებს,

რომელთა შესრულებაც ავადმყოფობის გამო არ შეგიძლიათ, გადაწყვეტილებას იღებთ, რომ ეს შეხვედრა გადადოთ. გარემოებათა ცვლილების შედეგად შეხვედრას მომდევნო კვირას ნიშნავთ. ეს თქვენი უფლებაა: თქვენს გეგმებში შეგიძლიათ ნებისმიერი ცვლილება შეიტანოთ, რომ თქვენი განზრახვა და სოციალური ვალდებულებები შეასრულოთ.

ახლა განვიხილოთ მოვალეობათა ვალის მაგალითი. მოახლოებულ გამოცდებთან დაკავშირებით დეკანმა მითითება მისცა, რომ მასწავლებლები თათბირზე შეკრებილიყვნენ. რამდენადაც ეს საგამოცდო კომისიის წევრთა ძალიან მნიშვნელოვანი თათბირია, თქვენ უნდა მონაწილეობა მიიღოთ. მაღალი სიცხეც თუ გაქვთ, ასპირინს იღებთ და თათბირზე მიდიხართ. ეს თქვენი ვალია – არ შეგიძლიათ, რომ თათბირი გააუქმოთ. თქვენ არ დაგინიშნავთ თათბირის თარიღი, და, რამდენადაც გამოცხადებულია, უნდა დაესწროთ მას.

ახლა ავიღოთ ოჯახური ვალის მაგალითი. თქვენ საკუთარ სახლში იმყოფებით. ცოლ-ქმარს შორის პატარა ჩხუბი ხდება. სამზარეულოში ქმარი ცოლს სერიოზულ საყვედურს უცხადებს. ცოლი ძალიან გაჯავრებულია. ქმარი სასტუმრო ოთახში მიდის და ხედავს, რომ მეგობარი ჩამოვიდა მასთან სტუმრად. როგორც კი მეგობარს ხედავს, უღიმის და სიყვარულით ესალმება და სავარძელში სვამს. მეგობართან მისი სახე გაბრწყინებულია. როცა სამზარეულოში ბრუნდება და ხედავს, რომ ცოლი ჯერ კიდევ გაბრაზებულია, მან შეიძლება მკაცრი ტონი აღადგინოს, მაგრამ სასტუმრო ოთახში შესვლისას მეგობართან მხიარულ საუბარს განაგრძობს. იმისათვის, რომ ოჯახის კარგი სახელი შეინარჩუნოს, მისი ვალი ასეთ მოქცევაში მდგომარეობს მისი მხრიდან, რომ გარეშე ადამიანმა არ გაიგოს, რომ ცოლს ეჩხუბა.

თუ საძინებელ ოთახში ცოლზე გაბრაზებული ადამიანი სასტუმრო ოთახში გამოვა და გაბრაზებული ტონით სთხოვს მეგობარს, რომ წავიდეს, მაშინ მეგობარი შეურაცხყოფილი იქნება და ალბათ იფიქრებს, რომ ეს ადამიანი გაგიჟდა. მნიშვნელოვანია თვალყურის ჭერა, რომ ოჯახის საიდუმლოებები გარეთ არ იყოს გამოტანილი. ამაშია ადამიანის ოჯახური ვალი. ის უნდა გულმოდგინედ იცავდეს ოჯახის პატივს. თუ მისი არაკეთილგონიერების გამო ოჯახის პატივი იქნება განადგურებული, მაშინ ვერც ის, ვერც მისი ოჯახი ცხოვრებაში ვერასოდეს გაიგებს ბედნიერებას.

საკუთარი თავის კონტროლი ვალის შესრულების გასაღებია

იმისათვის, რომ ოჯახის კარგი სახელი დაიცვათ, უნდა ფხიზლად იყოთ და სხვების საჭიროებებზე ამახვილებდეთ ყურადღებას; ეს გრძნობებზე კონტროლს მოითხოვს. თუ გრძნობებზე კონტროლი არა გაქვთ, რაც წინა თავში იყო განხილული, მაშინ ადვილად გახდებით ქედმაღალი. გრძნობებზე კონტროლი (*დამა* სანსკრიტულ ენაზე) შედგება ორი მარცვლისგან ესენია „*და*“ და „*მა*“. თუ მათ ადგილებს შევუცვლით, მაშინ მიიღება *მადა. მადა* ნიშნავს ქედმაღლობას; ეს განსაკუთრებით ცუდი თვისებაა. ადამიანი, რომელსაც გრძნობების გაკონტროლების უნარი აქვს, იძენს ტიტულს *საქშარა* – ის, ვინც ლიდერს წარმოადგენს. თუ იმავე სიტყვაში ასოებს ადგილებს შევუცვლით, მაშინ მივიღებთ სიტყვას „*რაქშასა*“, ანუ დემონი. სხვა სიტყვებით, ის, ვინც ქედმაღალია და ვისაც გრძნობებზე კონტროლი აქვს დაკარგული, სხვა არავინაა, თუ არა დემონი. ამიტომ, თუ გინდათ, რომ *დჰარმის* პრაქტიკა აწარმოოთ და დაიცვათ ის, გრძნობებდე კონტროლი უნდა განავითაროთ. იმ ყველაფრიდან, რაც ღირებულია ცხოვრებაში, გრძნობებზე კონტროლი ძალიან მნიშვნელოვანია. კრიშნამ არჯუნას უთხრა:

„არჯუნა, იყავი სთჰითაპრაჯნა – ბრძენი – და გრძნობებზე სრულ კონტროლს მიაღწიე. ნუ დანებდები გრძნობების წუთიერ სწრაფვებს. გრძნობები კონტროლის ქვეშ უნდა გყავდეს. არ უნდა ხდებოდე გრძნობების მონა. მონებად გაიხადე ისინი. შენ ხარ გუდაკეშა – შენი გრძნობების პატრონი; და მხოლოდ იმიტომ, რომ გრძნობებზე კონტროლს ფლობ, იმის უფლებას იმსახურებ, რომ ახლობელი იყო რიშიკეშასი, ყველა გრძნობის შემქმნელისა, იმისი, ვინც მათი ბატონია“.

გიტას მეორე თავში *სანქჰია-იოგაზე სთჰითაპრაჯნას*, ბრძენის ყველ თვისებაა ახსნილი. ამ თვისებებიდან გრძნობებზე კონტროლი ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანს წარმოადგენს. ამ თავში ჩვენ *დჰარმის* სხვადასხვა ასპექტები გავარკვიეთ. მათ შეიძლება ვუყუროთ როგორც მზის სხივებს, რომლებსაც ცისარტყელას შვიდი ფერი ანუ შვიდი წახნაგი აქვს. როგორც დასაწყისში იყო ნათქვამი, *დჰარმის* ეს მზის სინათლე შედგება ჭეშმარიტების, ხასიათის, სწორი ყოფაქცევის, გრძნობებზე კონტროლის, მონანიების, თვითაღკვეთისა და არაძალადობის სხივებისგან. ყველა ეს თვისება თქვენი უნდა გახდეს.

სანამ *გიტადან* ყველა ლექსს დაიზეპირებდეთ, უნდა მათი მნიშვნელობის გაგება სცადოთ, შემდეგ კი განავითაროთ და პრაქტიკაში გამოიყენოთ ის კარგი თვისებები, რომლებზედაც იქ არის ნათქვამი. *სვამის* სურს, რომ როდესაც გიტას ლექსების შესწავლის მიმართ ავლენთ ინტერესს, ისევე ავლენდეთ ინტერესს მათი მნიშვნელობების პრაქტიკაში გამოყენების მიმართ და ასეთი სახით თქვენად ხდიდეთ ყველა იმ კარგ თვისებას, რომელზედაც მათშია ნათქვამი.

თავი ოცდამეშვიდე

გულკეთილობა და თანაგრძნობა ჭეშმარიტი ადამიანის ნიშანია

გიყვარდეთ ყველა. ნურავის მიმართ ნუ გექნებათ გულში დაფარული მტრობა და სიძულვილი. ყოველი ადამიანის გულში ღმერთი იმყოფება მთელი მისი სისრულით. ამაშია გიტას სწავლების საფუძველი.

სიყვარულის განხორციელებანო!

როდესაც ვინმე გძულთ, სინამდვილეში თვითონ ღმერთი გძულთ, რადგან ღმერთი ყოველ არსებაშია. როდესაც ვინმეს აკრიტიკებთ ან შენიშვნას აძლევთ, სინამდვილეში აკრიტიკებთ უფალს, რომელსაც თაყვანს სცემთ. ყოველი ადამიანის გულში ერთიანი ღმერთი იმყოფება. ამაში მდგომარეობს სამყაროს საძმოს სწავლება, რომელიც უხსოვარი დროიდან ინდოეთის წმინდა წერილებშია.

ერთიანი „მე“, ერთი *ატმა* ავსებს ყველაფერს

ბჰაგავად გიტა აცხადებს, რომ ღვთაებრიობა ყველგან და ყველაფერში იმყოფება როგორც ყველაფრის განმსჭვალავი რეალობა, რომელსაც ჩვენ ღმერთს ვუწოდებთ. მაგრამ *გიტა* ამაზე კიდევ უფრო მაღალი სტადიის შესახებ აცხადება. იგი არა მარტო იმას ასწავლის, რომ ღმერთი ყველგან მსუფევია, არამედ იმასაც, რომ ჩვენში მყოფი „მე“-ს უკან მდგარი ჭეშმარიტება, რომელ „მე“-საც ვიყენებთ, როცა ჩვენი თავის შესახებ ვამბობთ, არის ჩვენი უკვდავი არსი, ჩვენი უმაღლესი „**მე**“, ღმერთთან ერთიანი; და ეს უმაღლესი „**მე**“ თქვენში იგივეა, რაც ნებისმიერ სხვაშია. ეს არის *ატმა* – ღვთაებრიობა თქვენში. არსებითად, თქვენ და ნებისმიერი სხვა ადამიანი, ნებისმიერი სხვა არსება ღმერთი ხართ.

ამიტომ, გარდა სწავლებისა ღმერთის ერთიანობაზე, რომელიც სამყაროს საძმოს მეშვეობით არის გამოხატული, *გიტა* გვაძლევს სწავლებას მთელი არსებულის, ერთიანი *ატმას* შესახებ, რომელიც ყველგან იმყოფება. *გიტა* გიჩვენებთ, რომ *ატმა* – თქვენი ჭეშმარიტი „**მე**“ - არსებობს ასევე ყველა სხვა ადამიანში, ცხოველში, ფრინველში და ნებისმიერ სხვა არსებაში. როდესაც რჩევა-დარიგებას გაძლევთ, რომ ბედნიერებას და უბედურებას ერთნაირად ეპყრობოდეთ, *გიტა* ასევე გასწავლით, როგორ უნდა გააცნობიეროთ ერთიანი *ატმა*,

რომელიც თანაბრად იმყოფება ყველა არსებაში, იქნება ეს ადამიანი, ცხოველი თუ მცენარე.

ამიტომ დარწმუნებულნი უნდა იყოთ, რომ ერთი და იგივე ღვთაებრიობა აბსოლუტურად ყველგან არსებობს, დაწყებული მწერებითა და მიკროორგანიზმებით და დამთავრებული შემქმნელით, *ბრაჰმანით*. აი დიადი პოეტი ტიაგარაჯა რატომ მღეროდა, როცა რამას ლოცულობდა:

„უფალო, შენ ცხოვრობ ჭიანჭველაში, ისევე როგორც ბრაჰმანში. შენ გამოჩნდი როგორც კრიშნა და რამა, მაგრამ, ჭეშმარიტად, შენ ყოველ ფორმაში ცხოვრობ. შენ გხედავ ყველგან, ყოველ არსებაში, რომელიც მე მხვდება“.

აზრები, სიტყვები და საქმეები ჰარმონიაში უნდა იყოს

დღეს ადამიანის ბუნება ისეთია, რომ, ჭიანჭველების დანახვისას ადამიანს იოლად შეუძლია მათი მოკვლა. ამავე დროს, როდესაც ის ტაძარში ქანდაკებას ხედავს, რომელიც ღმერთის გარკვეულ ფორმას წარმოადგენს, თაყვანს სცემს. დღევანდელი ადამიანის ნიშანია ამბობდეს ერთს და აკეთებდეს მეორეს: იგი ამ სიტუაციებში განსხვავებულად მოქმედებს, თუ იცის კიდეც, რომ ერთიანი ღმერთი ყველგან იმყოფება. ეს არის იმისი მიზეზი, რომ იმის ნაცვლად, რომ მიაღწიოს *მაჰატმას* მდგომარეობას, ღვთაებრივი ადამიანის მდგომარეობას, მას არ შეუძლია ასვლა თავისი დაბალი ბუნების ზემოთ – *დურატმას* მდგომარეობის, ბოროტი ადამიანის ზემოთ. *ბჰაგავად გიტა* გვასწავლის, რომ ადამიანის ჭეშმარიტი ბუნება სიტყვის, აზრისა და საქმის ჰარმონიაში მდგომარეობს. მხოლოდ ასე შეუძლია მას გამოავლინოს თავისი ღვთაებრივი ბუნება ყოველდღიურ ცხოვრებაში. აი რა აქცევს მას *მაჰატმად*.

გააღრმავეთ თქვენში რწმენა, ეცადეთ დაინახოთ, რომ ერთი და იგივე ღმერთი იმყოფება ყველა ცოცხალ არსებაში. გაუზიარეთ სიყვარული, რომელიც თქვენი ღვთაებრივი ბუნების თვით არსს წარმოადგენს ისევე, როგორც ყველა ცოცხალი არსების ღვთაებრივი ბუნებისა. ყოველ ადამიანს თანაგრძნობითა და სიყვარულით უყურეთ. თუ არ შეითვისებთ ასეთ მიდგომას სხვებთან თქვენს ყველა დამოკიდებულებაში, თქვენი ყველა სულიერი პრაქტიკა ამაო იქნება. თაყვანს სცემდეთ ღმერთს, და ამავე დროს ვნებას აყენებდეთ თქვენს თანამოძმეს, ეს ვერასოდეს მიგიყვანთ მიზანთან. *გიტა* გვასწავლის, რომ თვითონ ადამიანი არის ღმერთი, ღმერთი კი – ადამიანი. ღმერთისა და ადამიანის ეს ერთიანობაა ყოველთვის ხაზგასმული *გიტაში*.

„მხოლოდ ის არის ჭეშმარიტი ადამიანი, ვინც ყველას ერთნაირად ეპყრობა“, - განაცხადა კრიშნამ.

რა განათლებაც არ უნდა მიიღოთ, თუ თქვენში ადამიანური სიკეთე არ არის, მაშინ მთელი თქვენი ცოდნა და მიღწევა ნულს გაუტოლდება. სიკეთე ყველა ცოცხალი არსების მიმართ ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ზნეობრიობაა. გარჩევის უნარი უნდა განავითაროთ, რომ სწავლობდეთ სიკეთეს და იმის ცოდნას, რომ ამ სიკეთეს თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებდეთ. *ბჰუტადაია*, ანუ ყველა ცოცხალის მიმართ სიკეთე, ეს არის ზრუნვა ადამიანებზე და სხვა ცოცხალ არსებებზე, რომლებიც უბედურებაში იმყოფებიან, და მათთვის დახმარების აღმოჩენა. თქვენ უნდა ყოველივე აუცილებელი გააკეთოთ იმისათვის, რომ მათი გულისტკივილი, მათი მწუხარება და უბედურება შეამციროთ. უაზრობაა უბრალოდ გაუთავებლად იმეორებდეთ სიტყვას „სიკეთე“, „სიკეთე“, „სიკეთე“; უნდა პრაქტიკაში გამოიყენოთ, თქვენი ცხოვრების ნაწილი გახადოთ ის. უნდა გწამდეთ, რომ სიკეთე იგივე ღვთაებრიობაა. უნდა გწამდეთ, რომ გული, რომელშიაც სიკეთე ცხოვრობს, ღმერთის ტაძარია.

სიკეთე ჭეშმარიტი ადამიანის ნიშანია

ადამიანში არსებული მთელი რიგი სისუსტის გამო იგი სიკეთეს კარგავს და სასტიკი ხდება. ადამიანები ჯუნგლებში მყოფი მხეცებივით იქცევიან. კრიშნა ასწავლიდა, რომ ამაში არ არის ადამიანის ჭეშმარიტი ბუნება, - ეს ადამიანურობის დაპირისპირებულობაა. თვითონ სიტყვა „ადამიანი“ ან „ადამიანურობა“ ნიშნავს სიკეთეს (gentleman = gentle man). ერთგულების სხვადასხვა ყვავილთა შორის ყველაზე უფრო დიდი სიყვარულით ღმერთი იღებს ადამიანური სიკეთის ყვავილებს. თუ ჩვეულებრივ ყვავილებს მიუტანთ და თაყვანს სცემთ ჩვეულებრივი ფიქრებით და განზრახვებით, რომლებიც ამ ყვავილებს თან ახლავს, მაშინ ეს ღმერთის სიყვარულს არ გამოიწვევს. იგი ამას არ მოისურვებს, და ასეთ ძღვენს არ მიიღებს.

მაშ როგორ ძღვენს იღებს ის? რას დააფასებს? მას სურს ადამიანური სიკეთის ყვავილები, სიყვარულის ყვავილები, თანაგრძნობის ყვავილები, რომლებიც ადამიანის გულშია გაყვავებული. როგორ უნდა გამოხატოთ სიკეთის ეს გრძნობა? ეს იმას არ ნიშნავს, რომ უბრალოდ რაღაც კარგს აკეთებდეთ. ეს ღრმად ფესვგადგმულ რწმენას მოითხოვს – ეს უნდა იყოს რწმენის ნახტომი. უნდა პირდაპირ გარდაქმნათ თქვენი გული. იმ რწმენით უნდა ცხოვრობდეთ, რომ ერთი და იგივე ღმერთი ცხოვრობს ყოველი ადამიანის გულში. ღმერთის ყველგანმსუფეობის ღრმა რწმენას უნდა

ავითარებდეთ. მაშინ შეძლებთ სხვების გულისტკივილისა და მწუხარების გაცნობიერებას როგორც თქვენისა. აი პატარა მოთხრობა.

ერთ სოფელში ცხოვრობდა ცოლ-ქმარი; მათ ჰავდათ პატარა გოგონა. ეს პატარა ოჯახი მხოლოდ სამი ადამიანისგან შედგებოდა და არ იყო მდიდარი. ფაქტიურად, ეს იყო ძალიან ღარიბი ოჯახი. მაგრამ თუმცა მშობლები საწყლები იყვნენ, მათ მაინც გადაწყვიტეს შვილისთვის განათლება მიეცათ. იმ სოფელში, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, სკოლა არ იყო, ამიტომ იძულებულნი იყვნენ გოგონა მეზობელ სოფელში გაეგზავნათ. იმ სოფლამდე რომ მიეღწია, სადაც სკოლა იყო, მას ყოველდღე ტყეზე გავლა უხდებოდა. ქალაქის მცხოვრებლებს ხშირად ეშიანიათ ტყეზე გავლა, სოფლელებს კი ეს არ აშინებთ, რადგან ეს მათი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. ასე გაჰყავდა გოგონას დრო, სკოლაში დადიოდა და ცოდნას იძენდა, საღამოს კი სახლში ბრუნდებოდა.

სიკეთის ნექტრით ავსებული ბავშვი

ტყეში გზის პირას პატარა ქოხი იდგა – მარტოხელა მგზავრის თავშესაფარი. ერთხელ, როდესაც ქოხს გაუსწორდა, გოგონამ იქ ხანდაზმული ადამიანი დაინახა. როგორც ჩანდა, ის ტკივილისგან იტანჯებოდა. გოგონა მიხვდა, რომ ეს ადამიანი მეზობელ სოფლამდე ვერ მიაღწევდა, სადაც მისთვი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა და ღამის გასათევი ადგილის მიცემა შეეძლოთ. საჭმლის უკმარისობის გამო მისი სხეული დასუსტდა, და გოგონამ შენიშნა, როგორ მდგომარეობაში იყო იგი. გოგონას ჩვეულებრივად სამხრისთვის საჭმელი მოჰქონდა სახლიდან, და, ამ დღიდან დაწყებული, თავის საჭმელს ამ ავადმყოფს აძლევდა, რომელიც ტყეში პატარა ქოხში იწვა. ყოველ დილას სკოლაში მიმავალი გოგონა საჭმელს უტოვებდა მას, საღამოს კი დაბრუნებისას ცარიელი კალათი მიჰქონდა სახლში. გოგონას დახმარებით ათი დღის შემდეგ ავადმყოფს ძალები დაუბრუნდა.

ერთხელ, როცა პატარა გოგონა სახლისკენ მიდიოდა, უცნობმა დაუძახა მას, მის ხელებს მოჰკიდა ხელი და ჰკითხა:

„შვილო, მთელი ამ დროის განმავლობაში ყოველდღე საჭმელი მოგქონდა ჩემთვის. მითხარი, თუ შეიძლება, სად იღებ ამ საჭმელს? იციან მშობლებმა, რომ ყოველდღე საჭმელი მოგაქვს ჩემთვის? თუ სადღაც იღებ მას საიდუმლოდ? ან შეიძლება ეს საჭმელი სამხრისთვის მოგცეს, შენ კი მე მაძლევ? თუ შეიძლება, მიპასუხე“.

გოგონამ უპასუხა:

„ბატონო, ისე ვარ აღზრდილი, რომ არასოდეს არაფერს ავიღებ უნებართვოდ, და, გარწმუნებთ, ჩემმა მშობლებმა იციან, რომ

თქვენთვის მომაქვს. ჩვენი ოჯახი ძალიან საწყალია, და ფული ძალიან ცოტა გვაქვს, მაგრამ მაინც ვახერხებთ თავის რჩენას და იმათ გამოკვებას, ვისაც დახმარება სჭირდება. ამიტომ ეს საჭმელი სახლიდან სპეციალურად თქვენთვის მომაქვს“.

მოხუცმა ჰკითხა:

„მაგრამ თუ ასე ცოტა გაქვთ ფული, როგორ ახერხება ამ ყველაფრის ყიდვას?“

გოგონამ უპასუხა:

„ტყის უკან მსხმოიარე ხე დგას. დილით სკოლამდე ამ ხიდან ხილს ვკრეფ და ვყიდი. სწორედ ამ ფულით ვყიდულობ საჭმელს. მეორე დილას საჭმელს ვამზადებ და თქვენთან მომაქვს“.

ავადმყოფი აღტაცებული იყო გოგონას თავგანწირვით, გონებით და გულმართლობით. მან ჰკითხა კიდეც:

„საიდან გაქვს ასეთი კეთილშობილება?“

გოგონამ თქვა:

„ეს ყველაფერი მშობლების აღზრდის წყალობით მაქვს. რაც თავი მახსოვს, მშობლები ყოველთვის მეუბნებოდნენ, რომ სხვებს უნდა ვუყოფდე და ვემსახურებოდე. ჩვენი ოჯახი ძალიან საწყალია, მაგრამ ყოველთვის ვცდილობთ, რომ სხვებს დავეხმაროთ. სიკეთე ადრეული ბავშვობიდანვე ვისწავლე; ამას ჩემთვის დიდი სიხარული მოაქვს?“

ამის შემდეგ გოგონა სახლში წავიდა.

დროთა განმავლობაში ამ ადამიანმა ძალები მოიკრიბა და სოფელში წასვლა შეძლო, სადაც ეს გოგონა თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობდა. რა მოიტანა იმ სიკეთემ, რომელიც ამ პატარა გოგონამ ავადმყოფი ადამიანის მიმართ გამოიჩინა? ამ ადამიანმა გოგონას მშობლებს მოუთხრო, როგორ ევედრებოდა იგი ღმერთს:

„უფალო, მიეცი ჯანმრთელობა და აყვავება ამ გოგონას მშობლებს. როდესაც ავად და უმწეო ვიყავი, არ შემეძლო წუთისოფლისთვის რაიმე სარგებლის მოტანა. ახლა გაცილებით უკეთ ვარ, და შემიძლია სხვებს დავეხმარო. მთელი გულით, მადლიერებით შევსილი გულით, გევედრები, დალოცე ეს ოჯახი“.

ასეთი სახით გაუზიარა მათ თავისი ლოცვა, რომ ღმერთმა აკურთხოს ასეთი კეთილი ოჯახები, რომლებიც გულუხვად ეხმარებიან გაჭირვებულებს.

ღმერთი წყალობით ავსებს იმას, ვინც სიკეთით არის ავსებული

რა კეთილი საქმეც არ უნდა გაეკეთებინა გოგონას, იგი არასოდეს ელოდა დაჯილდოებას. იგი ყოველდღე ერთგულად ემსახურებოდა ავადმყოფს, და თავისი მოქმედებების შედეგებს არ ელოდა. და აი

უფალმა გოგონა გულუხვი წყალობით აავსო. ერთ საღამოს უფალი მათთან სახლში მივიდა შეხვეული ოქროთი. მან იკითხა:

„აქ ცხოვრობს გოგონა, რომელმაც საჭმელი და წყალი მისცა გაჭირვებულ ადამიანს? – და განაგრძო: - *ეს მე მივიღე ქოხში ავადმყოფი ადამიანის ფორმა. ახლა ამ საჩუქარს ვტოვებ, რომ გოგონა გაიზარდოს, და მან კარგი განათლება მიიღოს. იმ ქოხში ათი დღე ვცხოვრობდი, რომ ეს გოგონა გამომეცადა. ამ ბავშვის გული წმინდაა, იგი სიკეთით არის სავსე; მისი გული ჩემი ადგილსამყოფელია, ეს ჩემი ტაძარია“.*

მან შეკვრა მშობლებს გადასცა და უბრძანა, რომ ფული ამ გოგონას ბედნიერებისა და აყვავებისთვის გამოეყენებინათ.

მაგრამ ასეთმა დიდმა სიმდიდრემ მშობლები არ გაახარა. ისინი ღვთაებრივი სტუმრის წინაშე განერთხნენ, რომელმაც თავისი სტუმრობით აკურთხა ისინი, და მათ უთხრეს:

„მაჰატმა, ასეთ დიდ სიმდიდრეს არ ვსაჭიროებთ. სიმდიდრე, რომელიც ადამიანის მდგომარეობას აღემატება, მავნებელია; მან შეიძლება ადამიანს სულიერი სიმშვიდე დააკარგვინოს. მან შეიძლება ეგოიზმი გაზარდოს და ადამიანი იქამდე მიიყვანოს, რომ ღმერთი დაივიწყოს. არ გვჭირდება ასეთი სიმდიდრე“.

მაგრამ კურთხევის შემდეგ ის გაქრა, და განძეულობა დატოვა. ეს არ იყო უბრალოდ დიადი ადამიანი. ოჯახის წევრებმა მასში თვითონ უფალი იცნეს. იმის ნაცვლად, რომ ფული თავიანთი ოჯახისთვის შეენახათ, მათ ის თავიანთი სოფლის მცხოვრებთა კეთილდღეობისთვის გამოიყენეს. ყველას სთხოვეს ისე მოქცეულიყვნენ, თითქოს ყოველ ადამიანში ღმერთის სრული გამოვლენა იმყოფება. მათ თავიანთი ცხოვრებით დაამტკიცეს, როგორ შეიძლება ღმერთს მიაღწიო – გაჭირვებულთა მიმართ სიყვარულისა და თანაგრძნობის გამოხატვით.

არ უნდა ზღუდავდეთ ღმერთის რწმენას, როცა თვლით, რომ ის მხოლოდ რომელიღაც გარკვეულ ადგილას იმყოფება. ღმერთის ყველგან ყოფნას უნდა გრძნობდეთ. როგორ უნდა განავითაროთ თქვენში ეს გაცნობიერება? რამდენიმე წუთის წინ სტუდენტებმა ლოცვის დროს წარმოთქვეს: ღმერთი არსებობს როგორც შიგნით, ასევე გარეთ. ღმერთი რომ მხოლოდ შიგნით არსებულიყო, მაშინ შინაგანი სისუფთავე საკმარისი იქნებოდა. რამდენადაც ღმერთი გარეთაც არსებობს, ამიტომ გარეშე სისუფთავეც არის საჭირო. ანუ, რამდენადაც ღმერთი შიგნით და გარეთ იმყოფება, საჭიროა გქონდეთ როგორც შინაგანი, ასევე გარეშე სისუფთავე – მხოლოდ მაშინ მიაღწევთ ღმერთის ყველგანმსუფეობის სრულ გაცნობიერებას.

გარე და შინაგანი სისუფთავე

რა მნიშვნელობა აქვს გარე სისუფთავეს? რა თქმა უნდა, გარე სისუფთავე ნიშნავს სუფთად გქონდეთ სხეული და ტანსაცმელი. მაგრამ ეს ასევე რაღაც უფრო მეტსაც ნიშნავს. სუფთად უნდა გქონდეთ ის ადგილი, სადაც ცხოვრობთ. წიგნები, რომლებსაც კითხულობთ, ასევე სისუფთავეში უნდა გქონდეთ. იქნება ეს სხეული თუ გონება, იმის ნება არ უნდა მისცეთ მათ, რომ უსუფთაო იყვნენ და უარყოფით თვისებებს აგროვებდნენ. როდესაც ამბობენ, რომ შხაპი დღეში ორჯერ უნდა მიიღოთ, ეს იმას ნიშნავს, რომ სხეულში და გონებაში ყოველივე უარყოფითისგან უნდა განიწმინდოთ. იქ, სადაც სიბინძურეა, მიკრობები გროვდება და ავადმყოფობები ჩნდება. ამიტომ ნებას ნუ მისცემთ უსუფთაობას, რომ მან თქვენში შეაღწიოს.

ყოველ დილას უნდა ჯაგრისით და პასტით ისუფთავებდეთ კბილებს, ასევე ენას. დაე მთავარი შესასვლელი სუფთა იყოს. ჭუჭყიან წყალში მოსკიტები, ჭიები და არასასურველი ბაქტერიები ჩნდებიან. ასეთივე სახით მიკრობები და მწერები თქვენი სხეულის იმ ნაწილში გროვდებიან, რომელიც უსუფთაოა. გარდა ამისა, სისუფთავეში უნდა გქონდეთ ყველაფერი სახლის გარშემო. ანდჰრას შტატში არის ასეთი ანდაზური თქმა:

„შეხედე სახლს, და მის მკვიდრებს შეიცნობ“.

სხვა სიტყვებით, სისუფთავე სახლში იმის სისუფთავეს ასახავს, ვინც მასში ცხოვრობს. სისუფთავის პრინციპი თქვენივე სიკეთისთვის არის განკუთვნილი. იქნება ეს სახლი თუ მისი გარემოცვა, თუ ყველაფერი სუფთად არის, სიამოვნებას განიცდით. კარგი ჯანმრთელობა რომ გქონდეთ, საჭიროა თქვენი თავი და ყველაფერი თქვენ გარშემო სისუფთავეში და წესრიგში იყოს, ხოლო თუ კარგი ჯანმრთელობა გექნებათ, მაშინ ბედნიერებით დატკბებით.

შეიძლება გქონდეთ მხოლოდ ორი ხელი გამოსაცვლელი ტანსაცმელი, მაგრამ სანამ ერთს ატარებთ, მეორე სუფთად უნდა გქონდეთ. და სანამ მეორე საცვალს ატარებთ, პირველი უნდა გარეცხოთ. სინამდვილეში იმისი საჭიროებაც კი არ არის, რომ ორი ხელი ტანსაცმელი გქონდეთ: ერთი და იგივე ტანსაცმელი შეიძლება ატაროთ ყოველდღე, თუკი ის სუფთად გექნებათ. ის ყველაფერი, რაც გაგაჩნიათ, სუფთად უნდა გქონდეთ; ნუ დაუშვებთ, რომ ბინძური იყოთ. მაგრამ სუფთად ყოფნა და სუფთა ტანსაცმლის ტარება უსარგებლოა, თუ გული უსუფთაოა. შინაგანი სისუფთავის მიღწევისკენაც უნდა ისწრაფოდეთ. ამისათვის აუცილებელია თქვენი აზრები და გრძნობები წმინდა იყოს. დაე თქვენი აზრები სხვების მსახურებისკენ იყოს მიმართული, ნებას ნუ მისცემთ შურს ან სიძულვილს, რომ მათ თქვენში შეაღწიონ. ეცადეთ, რომ ყოველთვის სიხარულს გრძნობდეთ.

არ არის იმის აუცილებლობა, რომ სხვების საქმეებით ამაოდ აწუხებდეთ თქვენს თავს. ყოველთვის კარგად იფიქრეთ სხვებზე. ამ კონტექსტში *ვედები* აცხადებენ:

„დაე მთელი სამყარო ბედნიერი იყოს“.

ხელს უწყობდეთ საზოგადო სიხარულსა და კეთილდღეობას – აი რაშია რწმენის საფუძველი, რომელ რწმენაზეც *ვედებშია* ნათქვამი, ასევე *ვედური* პრაქტიკის მიზანი. ამრიგად, იმისათვის რომ თქვენი გული განწმინდოთ, უნდა ყოველთვის ღმერთის წმინდა სახელზე ფიქრობდეთ. თუ მუდამ შიდა და გარე სისუფთავეზე იზრუნებთ, მაშინ თავიდან აიცილებთ ისეთი მავნე თვისებების შემოსევას, როგორიცაა შური და სიძულვილი.

დაამარცხეთ თქვენი შინაგანი მტრები

პრაჰლადამ, უფლის დიდმა ერთგულმა, განაცხადა, რომ დიადად შეიძლება ითვლებოდეს მხოლოდ ის, ვინც ექვსი შინაგანი მტერი დაამარცხა. მან მამამისს, მეფე დემონს უთხრა:

„ახლა შენ მხოლოდ და მხოლოდ მეფე ხარ, მაგრამ თუ ექვსი შინაგანი მტრის დამარცხებას შეძლებ, რომელიც შენში შემოიჭრა, მაშინ დიდი იმპერატორი გახდები“.

ეს ექვსი მტერი, ექვსი ბოროტი თვისება – სურვილი, მრისხანება, სიხარბე, მოტყუება, სიამაყე და შური, შეადგენს ილუზიას (ცდომილებას), რომელიც ადამიანს მოსვენებას არ აძლევს. ამ ექვს მტერს არსოდეს თქვენს გულში შემოჭრის საშუალებას არ უნდა აძლევდეთ; თუ მათ გაყრით, მაშინ სიძნელეებისა და პრობლემებისგან თავისუფალი იქნებით. იმისათვის, რომ ამას მიაღწიოთ, ერთნაირად უნდა ეპყრობოდეთ სიხარულსა და მწუხარებას, შემოსავალსა და კარგვას, სიცხესა და სიცივეს. როდესაც ასეთ თავდაჭერილობას განავითარებთ თქვენში, მაშინ ეს ექვსი მტერი ვერ მოგეკარებათ.

მაგრამ ძნელი იქნება, რომ ერთნაირად ეპყრობოდეთ სიხარულსა და მწუხარებას, ბედნიერებასა და უბედურებას, თუ არ გამყარდებით რწმენაში, რომ ღმერთი ყოველი ადამიანის გულში იმყოფება. როცა ამას გააცნობიერებთ, მაშინ დაპირისპირებულობათა წყვილები დამარცხებული იქნება და თქვენს თავდაჭერილობას ვეღარ დაარღვევს. მაშინ ღვთაებრივ წყალობაში იქნებით, და, როგორი არაკეთილსასურველიც არ უნდა იყოს თქვენი ხვედრი, ბედის ხელი ვერ შეგეხებათ.

თუ მტკიცედ გწამთ, რომ ყოველი ადამიანის გულში ერთი და იგივე ღვთაება იმყოფება, ნებისმიერ დაბრკოლებას გადალახავთ. თუ სრულად ხართ დარწმუნებული იმაში, რომ თქვენში ღმერთი იმყოფება, მაშინ აბსოლუტურად ყველაფერი თქვენი ხდება. ასეთი რწმენა

გასაღებია, თვით ფესვია სულიერი ცხოვრებისა. მაგრად იყავით ამ რწმენას ჩაჭიდებული. ამაში მდგომარეობს თქვენი ცხოვრების მიზანი. თუ ხის წაქცევა გინდათ, საჭირო არ არის ყველა ტოტის მოჭრა. თუ მას ძირში მოჭრით, მაშინ მთელი ხე წაიქცევა. თუ მაგრად იქნებით ღმერთს ჩაჭიდებული, მაშინ ყველაფრის გაკონტროლებას შეძლებთ. ხოლო ამას რომ მიაღწიოთ, *სადჰანას* პრაქტიკა უნდა აწარმოოთ – ყოველი ცოცხალის მიმართ თანაგრძნობა განავითაროთ, სანამ სხვების კეთილდღეობაზე ზრუნვა არ შეავსებს იმ ყველაფერს, რასაც ცხოვრებაში აკეთებთ. ასევე საჭიროა ავითარებდეთ როგორც შიდა, ასევე გარე სისუფთავეს, რომ სხეული და გონება სისუფთავით ბრწყინავდეს. მხოლოდ ასეთ შემთხვევასი შეძლებთ ღმერთის გაცნობიერებას, რომელიც ყველგან და ყოველთვის იმყოფება.

საჭიროა გააცნობიეროთ, რომ როცა ერთგულებაში ღმერთს ლოცულობთ, და პატივისცემას გამოხატავთ, ეს იგივე ღმერთია, რომელიც ყოველი ადამიანის გულში მკვიდრობს. ამიტომ უნდა მოერიდოთ სხვების კრიტიკას. საჭიროა განავითაროთ მტკიცე დარწმუნებულობა, რომ ნებისმიერი კრიტიკა, რომელსაც სხვა ადამიანისკენ მიმართავთ, ხვდება პირდაპირ ღმერთთან, რომელიც ამ არსების გულში მკვიდრობს.

ცხოვრების მდინარის ორი ნაპირი

ცხოვრება შეიძლება მდინარეს შევადაროთ: თუ ცხოვრების ამ მდინარეს ნებას მისცემთ, რომ მან უკონტროლოდ და ყოველგვარი ზღვრების გარეშე იდინოს, მაშინ დიდი ალბათობით მრავალი სოფელი იქნება განადგურებული. საჭირო ზომები უნდა მიიღოთ იმისათვის, რომ მდინარემ ოკეანეს მიაღწიოს ისე, რომ ნაპირებიდან არ გადმოვიდეს. მხოლოდ ოკეანეს შეუძლია ამ მდინარის შეწოვა და გადაყლაპვა. რა უნდა გააკეთოთ იმისათვის, რომ ცხოვრების მდინარემ ოკეანეს მიაღწიოს? *გიტაში* ნათქვამია, რომ მდინარეს ორი ნაპირი უნდა ჰქონდეს. როდესაც მდინარეს ორი ნაპირი აქვს, მას შეუძლია მშვიდობიანად იდინოს, სანამ ოკეანეს არ მიაღწევს.

რა არის ცხოვრების მდინარის ეს ორი ნაპირი? ამ ნაპირებს აღწერენ როგორც ორ მძლავრ *მანტრას*. ერთი *მანტრა* ამბობს:

„ის, ვისაც ეჭვი ეპარება, დაიღუპება“.

მეორე *მანტრა* ამბობს:

„ის, ვისაც რწმენა აქვს, სიბრძნეს შეიძენს“.

ანუ ცხოვრების მდინარის ორი ნაპირი დაკავშირებულია ეჭვებზე უარის თქმასთან და რწმენის აყვავებასთან. თუ ეს ორი ნაპირი გაქვთ, რომელიც თქვენს ცხოვრებას მიმართავს, მაშინ მიზანს მიაღწევთ და ოკეანეს შეერწყმებით. კრიშნას მიერ მოცემულ ამ სწავლებაში

ერთგულების არსია მოთავსებული; ეს სწავლება იმის საშუალებას მოგცემთ, რომ მიაღწიოთ *ანუგრაჰის* ოკეანეს – უსაზღვრო წყალობის ოკეანეს.

სამი პრინციპი, რომელიც ღვთაებრივ მიზანთან მიგიყვანთ

კრიშნამ თქვა:

„შვილო, კაცობრიობის მიზანია ღვთაებრივი წყალობის ოკეანის მიღწევა. ამაშია ცხოვრების უმაღლესი მიზანი. ნუ დაივიწყებ ამ მიზანს. ნუ გჯერა ეს სამყარო და ნუ გეშინია სიკვდილის, მაგრამ მუდამ გახსოვდეს ღვთაება, რომელიც იმ მიზეზს წარმოადგენს, რის გამოც ამ სამყაროში დაბადება აირჩიე. გაძლევ სამ პრინციპს:

არასოდეს დაივიწყო ღმერთი.

არასოდეს დაიჯერო სამყარო.

არასოდეს გეშინოდეს სიკვდილის.

მიიღე ეს პრინციპები და გულში ჩაიბეჭდე. მუდამ გახსოვდეს ეს პრინციპები, რადგან ისინი შენს ცხოვრებას აკურთხებს და ჩემთან მოგიყვანს“.

თავი ოცდამერვე

შეუპოვრობა ნიშნავს ხედავდეთ ერთიან არსს („მე“-ს) ყველგან და ყველაფერში

შიში მაშინ ჩნდება, როცა ვიღაცას ან რაღაცას ღმერთისგან განცალკევებულს ხედავთ. მაგრამ როდესაც გააცნობიერებთ, რომ იმ ყველაფრის საფუძველში, რასაც ხედავთ, ერთიანი ღმერთია, შიში სამუდამოდ მიგატოვებთ. როგორც კი იმის შემეცნებაში გამყარდებით, რომ ღმერთი ყველგან და ყველაფერშია, შიშის აჩრდილისგან სამუდამოდ გათავისუფლდებით.

სიყვარულის განხორციელებანო!

როდესაც გააცნობიერებთ, რომ ნებისმიერი სახელი და ნებისმიერი ფორმა, რომლის პოვნაც სამყაროში შეიძლება, სხვა არაფერია, თუ არა ხუთი ელემენტის შეთავსება, და რომ რა ფორმასაც არ უნდა იღებდნენ ეს ელემენტები, მათ საფუძველში ყოველთვის ღმერთი იმყოფება – როცა ამ რწმენაში გამყარდებით, მაშინ შიში ვერ დასახლდება თქვენში, და სამუდამოდ გათავისუფლდებით მისგან.

ღვთაებრიობა ყველაფრის საფუძველია

ყველაფერი გამოუკლებლივ ხუთი ელემენტისგან შედგება. ამ გამჟღავნებულ სამყაროში სხვა არაფრის პოვნა არ შეიძლება, მეექვსე ფაქტორი არ არსებობს. აი მაგიდა, აი სკამი, და აი პოდიუმი; იქ კი ფანჯარა და კარია. ეს საგნები ერთმანეთისგან მხოლოდ სახელითა და ფორმით განსხვავდება; შემცველობა – ამ შემთხვევაში ხე – ერთი და იგივეა მათში. მსგავსი სახით მთები შედგება ქვებისგან, ხეები შედგება მერქნისგან, მიწა შედგება ლამისგან, სხეული შედგება ხორცისგან, ოკეანე შედგება წყლისაგან – ეს ყველაფერი სხვადასხვა სახელები და ფორმებია, მაგრამ შემადგენლობით ისინი ძირითადი ხუთი ელემენტის მხოლოდ სხვადასხვა კომბინაციას წარმოადგენს.

ეს ხუთი ელემენტი ერთიანი ღვთაების ხუთ ასპექტს ან ანარეკლს წარმოადგენს – ეს ღვთაებრივი საფუძველი მათი მეშვებით ანათებს, და ეს ელემენტები მისი წყალობით არსებობს. ღვთაებრიობის ამ ხუთი ანარეკლის გარდა, მთელ სამყაროში მეტი არაფერი არსებობს. ყველა ხუთ ელემენტში ღვთაებრიობა ერთი და იგივეა. არსებობს *ერთი*, მისი ზღვრების იქით არ არის *მეორე*. როდესაც ამას გააცნობიერებთ და არავითარი ეჭვები არ გექნებათ, მაშინ შიში არსებობას შეწყვეტს.

დიდ ზნეობრიობებს შორის უშიშრობა პირველხარისხოვანი მნიშვნელობისაა. ეს არის იდეაული ზნეობრიობა. თუ უშიშარნი არ იქნებით, ვერასოდეს შეძლებთ, რომ თქვენი ცხოვრებით კმაყოფილნი იყოთ. იქნება ეს წუთისოფლის სფეროში – ცხოვრების ბრძოლაში ამქვეყნად, თუ ძალისხმევა სულის სამეფოში, არასოდეს არ უნდა ტოვებდეთ ადგილს შიშისთვის. ადგილი არ უნდა ჰქონდეს შიშს თქვენს ცხოვრებაში. როდესაც ადამიანს შიში იპყრობს, იგი ძალიან მფრთხალი ხდება. სულ პატარა ამოცანის შესრულებაც კი არ შეუძლია. როდესაც ადამიანი შიშით არის შევსილი, მას არ შეუძლია ამქვეყნად ჩირაღდანი გახდეს. ამიტომ *ბჰაგავად გიტა* გასწავლით, რომ საჭიროა მთლიანად უშიშარნი გახდეთ.

უშიშრობა სხეულის ცნობიერების ზღვრებს მიღმაა

უშიშრობა (*აბჰაია*) არ შეიძლება ჩაითვალოს უბრალოდ შიშის არარსებობად, რაც არის *ნირბჰაია*. ეს არ არის ერთი და იგივე. როგორც შიში, ასევე შიშის არარსებობა სხეულის ცნობიერებასთან ასოცირდება. შიშის არარსებობა ზოგჯერ შეიძლება უგუნურება იყოს, როგორც, მაგალითად, როცა სხეულს სხეულებრივი დაზიანება ემუქრება. მაგრამ, მეორე მხრივ, უშიშრობა სხეულის ცნობიერების ზღვრებს მიღმა იმყოფება. მისი განცდა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ხდება გაცნობიერება ერთიანი ღვთაების ჭეშმარიტებისა, ღვთაებისა მეორის გარეშე, რომელიც ყოველი ადამიანის გულში სრულად იმყოფება.

ნათქვამია, რომ შიშით შეპყრობილი ადამიანი თავისი გზის ყოველ ნაბიჯზე კვდება, მაშინ როცა უშიშარი ადამიანი მხოლოდ ერთხელ კვდება.

„ამიტომ, - უთხრა კრიშნამ არჯუნას, - *უარი უთხარი შიშს და გახდი უშიშარი“.*

მხოლოდ უშიშარ ადამიანს შეუძლია გამარჯვებას მიაღწიოს დიდ წამოწყებებში. იმას, ვინც ჭეშმარიტად უშიშარია, ამქვეყნიურ ობიექტებზე არამიბმულობა ექნება; იგი ღმერთის სიყვარულით იქნება შევსილი. მეორე მხრივ, ის, ვინც ეგოისტურად უდგება თავის სხეულს და ამქვეყნიურ მიღწევებს, შიშით იქნება შეპყრობილი. შიშისგან თავისუფალ ადამიანს არასოდეს გაართობს არც ამქვეყნიური ობიექტები, არც ეგოიზმი.

ინდოეთის ეპიკურ პოემებში იპოვით მოთხრობას მეფე დემონის ჰირანიაკაშიპუს შესახებ, რომელიც შიშით იყო შეპყრობილი, მაშინ როცა მისი ვაჟი პრაჰლადა სრულ უშიშრობას ფლობდა. ჰირანიაკაშიპუ სახელებში და ფორმებში მალავდა თავს, მას სრულად სწამდა ეს სამყარო. პრაჰლადამ თავშესაფარი უფლის ლოტოსის

ტერფებთან ნახა; მას სრულად სწამდა ღმერთი. ჩანდამ და ამარკამ, პრაჰლადას ორმა *გურუმ*, მეფე დემონს უთხრა:

„თქვენო უდიდებულესობავ, თქვენმა ვაჟმა არ იცის, რა არის შიში. რა ვნებაც არ უნდა მივაყენოთ, არასოდეს ჩივის და არაფერზე ტირის. იმის მაგივრად, რომ პირადი ტკივილის გამო ცრემლი სდიოდეს, იგი მუდამ სახოტბო უფალ ნარაიანას სიმღერებს უმღერის, დაუსრულებლად ქება-დიდებას ასხამს“.

რატომ არ უჩნდებოდა შიში პრაჰლადას? იმიტომ რომ მტკიცედ სწამდა, რომ სამყაროში არაფერი არსებობს, გარდა *ნარაიანასი*; ამ დარწმუნებულობამ მას ურყევი უშიშროება მიანიჭა.

ინდოეთის სხვა ეპოსში, *ბრიჰადარანიაკა-უპანიშადაში*, ვხედავთ, *გურუ* იაჯნავალკიამ როგორ მისცა უშიშრობის მაგალითი თავის მოსწავლეებს. მან უთხრა ჯანაკას, დიდ იმპერატორსა და *იოგინს*:

„ჯანაკა, შიშისგან თავისუფალი ხარ, ამიტომ არაფერზე უნდა ღელავდე. შენი გული უფალშია მთლიანად ჩაძირული. შენ არსებობ მხოლოდ როგორც ღმერთის ინსტრუმენტი ამქვეყნად, ყველაფერში მას ემსახურები, რასაც არ უნდა აკეთებდე. ამქვეყნიურ ობიექტებზე მიბმულობა სრულიად არა გაქვს. გწამს, რომ სამყაროში ყველაფერი ღმერთის ფორმაა და ღვთაებით არის გაჯერებული. საითაც არ უნდა გაიხედო, ყველგან ხედავ ერთიანობას მრავალფეროვნებაში; ამის გაცნობიერებამ უშიშარი გაგხადა“.

შიშებს შორის სიკვდილის შიში ყველაზე უფრო ძლიერია

ყველა შიშს შორის, რომელიც ადამიანს სდევს, ყველაზე უფრო ძლიერია სიკვდილის შიში. ადამიანის მამაცობისა და სახელოვნობის მიუხედავად, მისი განათლების, სიმდიდრის, ნიჭისა და ოსტატობის მიუხედავად, სულის სიღრმეში შორს მუდამ სიკვდილის შიში მოჩანს, რომელიც ადამიანის ყველა მიღწევას სპობს და თავისი თავის რწმენას ანადგურებს მასში. ადამიანთა უმრავლესობა, როცა მომაკვდავს ხედავს, სასოწარკვეთილებაში ვარდება. როგორც კი ვინმეს სიკვდილის შესახებ იტყობენ, ისინი შიშისგან ყურებში თითებს იცობენ, რომ არ გაიგონონ. 100 წლის ადამიანიც კი გრძნობს სიკვდილის შიშს, როცა სიკვდილზე ფიქრობს. ყოველთვის უნდა, რომ კიდევ ოდნავ მეტი იცოცხლოს. მაგრამ რამდენიც არ უნდა სურდეს სიცოცხლე, სიკვდილი გარადაუვალია.

სიკვდილის შიში ვერ გიხსნით. თუ ეცდებით, რომ გონების ყურადღება გადაიტანოთ და წუთიერ სიხარულში დაიმალოთ, ესეც ვერ გიხსნით. ნათესავები და მეგობრები ვერ გიხსნიან, თქვენი ყველა მიღწევაც ვერ გიხსნით, რადგან ამ სამყაროში ყველა ობიექტს და ყველა ადამიანს სიკვდილის ნაკადი ერთნაირად წალეკავს. რა აზრი

აქვს სხვა ადამიანში ეძებდეთ ხსნას, როცა ეს ადამიანიც იქნება სიკვდილის ნაკადის მიერ წალეკილი? ადამიანი, რომელიც ხსნას და თავშესაფარს ეძებს, და ის, ვისშიაც ეს ადამიანი ეძებს თავშესაფარს, - ორივე სიკვდილის ნაკადის მიერ იქნება წალეკილი. როდესაც მაგრად იქნებით ჩაჭიდებული უფლის დალოცვილ ტერფებს, რომელიც სიკვდილის ამ ნაკადის ჩამოურეცხავ ნაპირს წარმოადგენს, მხოლოდ ამ შემთხვევაში გექნებათ იმედი, რომ ხსნილი იქნებით. და მაშინ ჭეშმარიტად ხსნილი იქნებით. მაშინ სიკვდილის შიშს დაამარცხებთ.

უშიშრობა შეიძლება ძალიან დიდ მთას შევადაროთ, მაშინ როცა შიში მხოლოდ რაღაც სუსტი ნიავია, რომელსაც თქვენი სუნთქვა ქმნის. ნუთუ სუნთქვის მიერ შექმნილ ნიავს შეუძლია უზარმაზარი მთა შეარყიოს? რა თქმა უნდა, არა. შიშის პატარა ნიავი ვრასოდეს შეძლებს უშიშრობის დიდი მთის შერყევას. როდესაც ეს მტკიცე და ურყევი მთა დასახლდება თქვენს გონებაში, რომელიც ცდომილებისგან თავისუფალია და ნეტარებაშია ჩაძირული, და როცა ეს მთა თქვენს სუფთა და უმანკო გულში იქნება, მაშინ ჭეშმარიტად გახდებით თქვენი ღვთაებრივი ბუნების გამოხატვა – და უთუოდ იქნებით ხსნილი. უშიშარნი მხოლოდ მაშინ გახდებით, როცა თქვენი გულის წმიდათაწმიდაში ჭეშმარიტება შეაღწევს – ჭეშმარიტება, რომ არსებობს მხოლოდ ერთი ღვთაებრივი რეალობა, რომელიც ყველაფერს ავსებს.

რატომ უნდა გეშინოდეთ რაღაცის? საერთოდ რას შეუძლია შეგაშინოთ? სიკვდილი სინამდვილეში თავისებური ხუმრობაა ცხოვრების თამაშში. თუ როლის მიხედვით უნდა წაიქცეთ და მოკვდეთ სცენაზე, განა შეგეხებათ ეს თქვენ როგორც მსახიობს? რატომ გძრავთ სიკვდილი სხეულისა, რომელიც იმისთვის დაიბადა, რომ მოკვდეს? ხუთი ელემენტისგან შემდგარი სხეული როდისმე უნდა დაიღუპოს. რატომ ტანჯავთ თქვენს თავს იმის გამო, რაც წუთიერია?

„არჯუნა, შენ ის არ ხარ, ვინც მოკლავს, და ისინი, ვისაც უნდა ებრძოლო, არ იქნებიან დახოცილები. მხოლოდ სხეულის მოკვლა შეიძლება. შენ ხარ უკვდავი არსი, ატმა, და არა სხეული“.

ამ ჭეშმარიტებას ასწავლიდა კრიშნა არჯუნას და ამგვარად უშიშარი გახადა იგი. უშიშრობა ისეთივე სასიცოცხლოდ აუცილებელი თვისებაა, როგორც ცხოვრების თვით სუნთქვა. ეს არის ყველაზე უფრო მთავარი იმ ზნეობრიობებიდან, რომლებსაც *გიტა* ასწავლის. უფალმა ბრძანა:

„იყავ უშიშარი. მომენდე! მაშინ ყოველივე დანარჩენზე მე ვიზრუნებ“.

უშიშრობა ადამიანის თვით ბუნებაა

ჭეშმარიტად, თავისი ბუნებით ადამიანი ღვთაებრივი და უშიშარია. ადამიანის ეს ღვთაებრივი არსი გამოხატულია სიტყვაში *„მანავა“*, რაც სანსკრიტულ ენაზე ნიშნავს „ადამიანს“. არსებობს მოთხრობა ადამიანზე, რომელიც თავისი ღვთაებრივი ბუნების თანახმად არ ცხოვრობს, და ამიტომ მოქმედებებში ცხოველზე უარესი გახდა.

ერთ საშინელ ტყეში მრავალრიცხოვანი ცხოველი ბინადრობდა. ჩვეულებრივად ტყეში, სადაც ლომები ცხოვრობენ, სპილოები არ ცხოვრობენ, ხოლო იქ, სადაც სპილოები დაეხეტებიან, ლომები არ იქნებიან. მაგრამ ამ ტყეში ცხოვრობდნენ სხვადასხვა ცხოველები: ლომები, სპილოები, ტურები, ძაღლები, მაიმუნები – ეს იყო ცხოველთა მთელი სამეფო. ერთხელ ჭკვიანმა მელამ გაიფიქრა:

„ადამიანური არსებები ტრაბახობენ, რომ ადამიანური ბუნება რაღაც განსაკუთრებული და უნიკალურია. ისინი ამბობენ, რომ ადამიანად დაბადების მიღება თითქმის შეუძლებელია. მაგრამ ადამიანები ისევე იბადებიან, როგორც ჩვენ, ცხოველები, ჯანტუ: ისინი დედის მუცლიდან არიან დაბადებულნი. აი რაშია კითხვა: რატომ უწოდებენ ადამიანს მანავას, იმის მაგიერ რომ ჯანტუ უწოდონ, როგორც ჩვენ გვიწოდებენ? რით ვართ მასზე უარესი?“

მელამ აწონ-დაწონა ყველა არგუმენტი და კონტრარგუმენტი ამ საკითხზე, რომელმაც ის ჩიხში შეიყვანა, და მტკიცედ გადაწყვიტა დაემტკიცებინა, რომ ადამიანსა და ცხოველს შორის განსხვავება არ არის. და ამ დღიდან ყველა ბუნაგის, სოროს და გამოქვაბულის მკვიდრთან ამ პრობლემის განხილვა დაიწყო. იგი ცხოველებს ეუბნებოდა:

„რატომ უნდა ვიღებდეთ საქმის არსებულ ვითარებას; ადამიანები ცხოველთა ცხოვრებას ადამიანურ ცხოვრებაზე უფრო დაბლა აყენებენ. ჩვენ უნდა რაღაც მოვიმოქმედოთ, რომ ეს მცდარი დარწმუნება გამოვასწოროთ“.

ასეთი სახით დაიწყო მან ტყის ყველა მკვიდრის წინაშე თავისი ცოდნის ჩვენება და მათი წაქეზება. მელა უხსნიდა მათ, რომ ყველა ცხოველს, ძლევამოსილი სპილოს ჩათვლით, რომელიც თავისი ძალით შეუდარებელია, და უშიშარი ლომის, ტყის მეფის ჩათვლით, ეს მცდარი დარწმუნება აღექვა სწავლების დროს.

ცხოველთა დიდი კრება

მელამ გადაწყვიტა ცხოველები შეეკრიბა, რომ ეს საკითხები განეხილათ და რეზოლუცია მიეღოთ, რომელსაც ყველა დასთანხმდებოდა. შემოთავაზებულ იქნა კრებისთვის ეწოდებინათ *„ჩატუშპადა მაჰასაბჰა“*, რაც ნიშნავს „ოთხფეხიანთა დიდი კრება“.

გადაწყდა, რომ გარკვეულ დღეს და გარკვეულ დროს ისინი გაშლილ ველზე შეიკრიბებიან.

უპირველეს ყოვლისა, დღის წესრიგის სამ პუნქტს ყველა დაეთანხმა. ჯერ ერთი, რომ ადამიანური არსებები, ცხოველთა მსგავსად, დედის მუცლიდან იბადებიან; ამიტომ მხოლოდ ერთი დასახელება უნდა იყოს როგორც ადამიანებისთვის, ასევე ცხოველებისთვის, და ეღთადერთი სწორი დასახელება შეიძლება იყოს სიტყვა *„ჯანტუ“* - „ის, ვინც დედის მუცლიდან არის დაბადებული“. საჭიროა ან ადამიანებს ეწოდოს ცხოველები, ან ცხოველებს – ადამიანები; არ უნდა იყოს ორი სხვადასხვა დასახელება. ეს იყო პირველი რეზოლუცია, რომლის მიღებაც მათ უნდოდათ კრებაზე. დღის წესრიგის მეორე პუნქტი იყო ის, რომ ცხოველებს არ თვლიან ბრძენებად, მაშინ როცა ადამიანური არსებები აცხადებენ, რომ მათ სიბრძნე აქვთ მინიჭებული. ცხოველები ამას არ დასთანხმდნენ. როგორ შეიძლება ადამიანი ფლობდეს უმაღლეს სიბრძნეს ცხოველებთან შედარებით? მელა განსაკუთრებით უსვამდა ხაზს ამ პუნქტს. მან იკითხა:

„ეს რა სიბრძნეა, რომელიც ადამიანს აქვს და რომელიც ჩვენ არ გვაქვს? მტკიცედ უნდა გადავწყვიტოთ, რომ მხეცები ისევე არიან ბრძენები, როგორც ადამიანები“.

დღის წესრიგის მესამე პუნქტი, რომელიც მელამ შესთავაზა, იყო ის, რომ *„ადამიანები მოლაპარაკე ცხოველებად ითვლებიან, მაშინ როცა ჩვენ მუნჯები ვართ; ეს ითვლება როგორც ჩვენი მტკივნეული ნაკლოვანება – ჩვენ შორის განსხვავების მიზეზი. მართალია, მუნჯები ვართ, მაგრამ რა გვაკლია? ადამიანს ლაპარაკის უნარი აქვს, მაგრამ მიიღო მან ამისგან რაღაც განსაკუთრებული ბედნიერება? მოდით მივიღოთ რეზოლუცია, რომ მეტყველება და მუნჯად ყოფნა თითქმის ერთი და იგივეა“.*

„არის კიდევ მეოთხე პუნქტი, რომელიც უნდა განვიხილოთ, - დაამატა მელამ. – *ადამიანები ჩვენ ბუნებით რაჯასიულ არსებებად გვთვლიან, იმ დროს როცა თავიანთ თავს სატვიურად თვლიან. მაგრამ ჩვენ შორის არავინ უნდა ეთანხმებოდეს ამას. ადამიანსაც კი არ აქვს ისეთი სატვიური ბუნება, როგორიც ჩვენ გვაქვს. ჩვენ ვიმსახურებთ რეპუტაციასა და აღიარებას, რომ სატვიური ბუნებით ადამიანებზე გაცილებით უფრო მაღლა ვდგავართ“.*

მხეცებმა გადაწყვიტეს, რომ ეს ოთხი პუნქტი უნდა განიხილონ კრებაზე. მაგრამ მათ ვერ გადაეწყვიტათ, ვისთვის შეეთავაზებინათ თავმჯდომარეობა.

მელამ აღნიშნა, რომ ტყეში მრავლად არიან *რიშები* და *მაჰატმები* – დიადი წმინდანი ბრძენები, რომლებიც დაკავებულნი არიან *ასკეზით*

(გარე სამყაროსგან განდგომის პრაქტიკა სულიერი კეთილდღეობის გულისთვის).

„ჩვენ უნდა ავირჩიოთ წმინდანი, რომელმაც დიდ სიმაღლეებს მიაღწია, და რომელიც კრების თავმჯდომარეობას გასწევს“, - შესთავაზა მან. ყველამ თანხმობა განაცხადა და გადაწყვიტა მელა გაეგზავნა *მაჰატმას* საპოვნელად, რომ კრების თავმჯდომარეობა ეთხოვა მისთვის. დიდი ხნის ძებნის შემდეგ მელა გამოქვაბულს მიადგა და იქ წმინდანი დაინახა, რომელიც *ასკეზას* ასრულებდა. იგი პატივისცემით მიუახლოვდა წმინდანს:

„სვამი, მხეცების სამეფოში გადავწყვიტეთ მოვაწყოთ ძალიან მნიშვნელოვანი კრება, ჩატუშპადა მაჰასაბჰა. გთხოვ, რომ ჩვენი კრების თავმჯდომარეობა იტვირთო“.

მაჰარიში აცნობიერებდა ყველაფერს როგორც მაცოცხლებელ ღვთაებას. მან თქვა:

„კარგი, სიამოვნებით ვიქნები თქვენი კრების თავმჯდომარე“.

და აი დიდ გაშლილ ველზე კრება დაიწყო.

ყოველი მხეცი იმ ტყეში, სულ პატარიდან დიდამდე, კრებაზე თავის შვილებთან ერთად მოვიდა, ბევრმა კი შვილიშვილებიც კი მოიყვანა. ყველა მხიარულ გუნებაზე იყო, ბედნიერი იყო, რომ ასეთ გრანდიოზულ ღონისძიებაში იღებს მონაწილეობას. და ყველამ დიდი პატივისცემა გამოხატა თავისი პრეზიდენტის მიმართ: მას მაღალი ტრიბუნა მისცეს. პრეზიდენტის სკამის გვერდით ლომის სკამი დადგეს. *მაჰარიში*, რომელიც ამ კრებას თავმჯდომარეობდა, ასევე ძალიან კარგ გუნებაზე იყო და არავითარ შიშს არ გრძნობდა მის გვერდით მჯდომი ლომის წინაშე. რამდენადაც *მაჰარიშიმ* ყველა ცოცხალში ღმერთის თანდასწრება გააცნობიერა, იგი უშიშარი იყო. როდესაც ყველა ცხოველი თავის ადგილას დაჯდა, საჭირო იყო შესაბამისი სახით მისალმებოდნენ მათ შორის მყოფ *მაჰარიშს.* ამ გრანდიოზული კრების მდივნად მელა იქნა არჩეული. მან მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა:

„დიდად პატივცემულო პრეზიდენტო, თქვენო უდიდებულესობავ, პატივცემულო მინისტრებო, ძვირფასო და-ძმებო! დღეს დიდი დღეა, რომელიც ოქროს ასოებით ჩაიწერება ამ დიადი ტყისა და მის მკვიდრთა მატიანეში. ეს არის დაუვიწყარი დღე – მას არასოდეს დაივიწყებენ მხეცთა სამეფოში, დადგან დღეს წარმატებას მივაღწევთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში, რისი გულისთვისაც შევიკრიბეთ. აქ რომ შეიკრიბეთ, თქვენ ბევრი მსხვერპლი გაიღეთ: უარი თქვით თქვენს მოღვაწეობაზე და თქვენს აქტიურ ცხოვრებაში ცოტაოდენი თავისუფალი დრო გამონახეთ იმისათვის, რომ ამ კრებაში მიიღოთ მონაწილეობა. მაშ ასე,

უპირველეს ყოვლისა ნება მომეცით უღრმესი მადლიერება გამოვხატო თქვენ მიმართ“.

ამის შემდეგ მდივანმა დღის წესრიგის პუნქტები ახსნა. პროგრამის წარდგენის შემდეგ ლომი წამოდგა. მან დიდ კრებას მიმართა:

რით არის ადამიანი ცხოველზე უკეთესი?

ლომმა თქვა:

„ყველამ გაიგონეთ, რაც ჩემმა ძმამ თქვა. მინდა იცოდეთ, რომ ადამიანი არ ფლობს ისეთ დიდ თვისებებს, როგორიცაა მამაცობა და მხნეობა, რომლებსაც თქვენ ფლობთ. მე თვითონ ვარ ამის პირდაპირი მტკიცება. თუ მხედველობაში მივიღებთ მხნეობას და მამაცობას, დიდებულ გამბედაობას და ძალას, რომლებსაც მე ვფლობ, მაშინ განა შეიძლება ისეთი ადამიანის პოვნა, რომელიც მე გამიტოლდება? თუმცა ცხოველთა მეფე ვარ, მაგრამ არასოდეს ვასრულებ არასწორ ან გაუმართლებელ მოქმედებებს. უმიზეზოდ არ ვკლავ ცხოველებს. მხოლოდ მაშინ ვჭამ, როცა მშიერი ვარ. არ ვკლავ ცხოველებს სპორტული ინტერესის გულისთვის და ამაოდ არასოდეს ვხარჯავ საკვებს. შეხედეთ ჩვენს მამაცობას, ჩვენს მორალურ კოდექსს, მორალის ჩვენს მაღალ დონეს; განა შეიძლება ადამიანურ არსებებში ასეთი დიდი თვისებების პოვნა? არა! მათ საერთოდ არა აქვთ ისინი. ამიტომ, რატომ უნდა გვეშინოდეს ადამიანის? რატომ თვლიან, რომ ადამიანზე დაბლა ვიმყოფებით? მოდით დღეს გადაჭრით წავშალოთ ჩვენს რეპუტაციაზე ეს ლაქა“.

როდესაც ლომმა სიტყვა დაასრულა, მქუხარე აპლოდისმენტები გაისმა, რომლებმაც მთელ ტყეში დაიგუგუნა.

როდესაც ყველა დამშვიდდა, ლომის გვერდით მჯდომი სპილო წამოდგა. მან თქვა:

„ადამიანი ჩემი ფეხის ნახევარზე უფრო მცირეა. ჩემი ფორმის მიხედვით მე, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, მძლავრი და დიადი ვარ. ინტელექტში დიდ სიმაღლეებს მივაღწიე. მეფეები, იმპერატორები, გამოჩენილი ლიდერები – ყველა პატივს მცემს. როდესაც გვირგვინის დადგმის ცერემონიის ჩატარებაა საჭირო, ჩემ გარეშე გადადება უწევთ. თუკი ასეთი დიადი ვარ, მაშ როგორ უნდა თქვან, რომ ადამიანი ჩემზე მაღლა დგას? მე დიდ ინტელექტს ვფლობ. ამიტომ, თუ ამ ორ თვისებას მაინც განვიხილავთ, ჩემს გონებას და ფიზიკურ ფორმას, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ ადამიანი ვერასოდეს გამიტოლდება“.

ახლა მელა წამოდგა; მან თქვა:

„ლომი, ჩვენი მაჰარაჯა, ამწუთას სიტყვით გამოვიდა; უზარმაზარმა სპილომ, ჩვენმა გამოჩენილმა მინისტრმა, ასევე

გამოთქვა თავისი აზრები. ახლა გვინდა მოვიწვიოთ მომცრო ცხოველთა წარმომადგენელი, რომ ჩვენ წინაშე სიტყვით გამოვიდეს“.

და აი სიტყვა გადასცეს პატარა უსახლკარო ძაღლს, რომელსაც ტყეში გზა აებნა: მას ადამიანებთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება ჰქონდა. ძაღლი თავმდაბლად მიესალმა პრეზიდენტს, მეფეს, მინისტრებს, მდივანს და ყველა შეკრებილს. მან თქვა:

„მართალია, მე ძალიან პატარა და სუსტი ვარ, მაგრამ ვერავინ შემედრება ერთგულებაში. მტკიცე რწმენა და უსაზღვრო ერთგულება მაქვს იმ ადამიანის მიმართ, რომელმაც აღმზარდა და ვინც ჩემზე ზრუნავს. ყოველთვის მადლიერი და ერთგული ვიქნები, ამის გამო სიცოცხლესაც თუ დავკარგავ. თუ ჩემი პატრონი ტკივილს მომაყენებს ან მავნებს, იმითვე არასოდეს ვუპასუხებ. ყველასთვის ცნობილია, რომ ადამიანებს არა აქვთ ერთგულების ისეთი გრძნობა, როგორიც ძაღლებს გვაქვს. ადამიანი ხშირად ტკენს გულს იმას, ვინც სიყვარულით ზრუნავს მასზე და სწორ გზაზე აყენებს მას, როგორც, მაგალითად, მისი მასწავლებელი ან მშობლები. ადამიანი ადვილად სჩადის ბოროტებას მიღებული სიკეთის პასუხად. იგი გააკრიტიკებს და ინტრიგებს მოუწყობს, მოატყუებს და ზიანს მიაყენებს იმას, ვინც მზრუნველობით უვლის მას. ადამიანს სრულებით არ გააჩნია მადლიერების გრძნობა. არა აქვს ერთგულება. გამგონედ მოიკატუნებს თავს იმდენად, რამდენადაც ეს მის ინტერესებში იქნება. როგორც კი მიიღებს იმას, რაც მის ეგოისტურ ინტერესებს დააკმაყოფილებს, იგი თავისი მასწავლებლისთვის ზიანის მიყენებას იწყებს. თუ ადამიანი ასეთია, მაშ როგორ უნდა ვითვლებოდეთ ადამიანებზე დაბლა მდგომებად?“

კრების ყველა წევრი სრულად დაეთანხმა ამას; ისინი თავს უქნევდნენ და კვერს უკრავდნენ:

„სწორია! სწორია!“ - თანხმობის ნიშნად.

და ასე ერთიმეორის მიყოლებით მხეცები დგებოდნენ თავიანთი მდგომარეობისა და გამოცდილების შესაბამისად და სიტყვით გამოდიოდნენ, განადიდებდნენ მრავალ შესანიშნავ თვისებას, რომელსაც ისინი პრაქტიკაში იყენებენ და რომელსაც ადამიანი იგნორირებას უკეთებს. ბოლოს და ბოლოს პრეზიდენტის გამოსვლის დროც დადგა.

ძალისხმევის მეშვეობით ადამიანს თავისი დაბალი ბუნების გარდაქმნა შეუძლია

ბრძენმა ასე მიმართა შეკრებილებს:

„ძვირფასო მხეცებო, ის ყველაფერი, რაზედაც აქ ილაპარაკეთ, სიმართლეა. როდესაც სულიერი მასწავლებელი ჩვენთვის რაიმეს

აკეთებს ან გვეუბნება, ეს ჩვენივე სასიკეთოდ კეთდება. ეს განკუთვნილია ჩვენი სულიერი განვითარებისთვის, აგრეთვე იმისათვის, რომ ჩვენ შორის მეგობრობასა და ურთიერთგაგებას შეუწყოს ხელი. მაგრამ როგორც კი მეგობრობა და ურთიერთგაგება აყვავდება, ადამიანს ეჭვი იპყრობს, იგი ფიქრობს, რომ მის მიმართ რაღაც ბოროტება ხდება. პირში მოგესალმებათ, ზურგს უკან კი გაგაკრიტიკებთ. პირში ქების სიტყვებს გეტყვით, ზურგს უკან კი დაგცინებთ. როდესაც ამგვარი დაპირისპირებულობებითა და დაბალი მოქმედებებით ავსებს თავის თავს, იგი ამაოდ ხარჯავს თავის ინტელექტს და ცხოვრებას. ყველა ნაკლოვანება, რომელიც აქ იყო ნახსენები, უეჭველად, ადამიანს ახასიათებს. რაც შეეხება საკვებს, ძილს, სუნთქვას და ა.შ., აბსოლუტურად არავითარი განსხვავება არ არის ადამიანებსა და ცხოველებს შორის“.

მაჰარიშიმ განაგრძო:

„მაგრამ მინდა შევნიშნო, რომ არის ადამიანური არსებებისთვის უნიკალური ერთი თავისებურება, რომელიც ვერ შეედრება ცხოველურს. ცხოველებმა შეიძლება მემკვიდრეობით მიიღონ სისასტიკის თვისება; როგორც კი ეს თვისება შეიძინეს, მათ არ შეუძლიათ მისი თავიდან მოცილება. როგორი მშიერიც არ უნდა იყოს ვეფხვი, არ შეჭამს ბრინჯს კარით (ცხარე სანელებელი). იგი ყოველთვის ცხვრის ხორცს ეძებს. მას არ დააკმაყოფილებს ჩაი ნამცხვრით. როგორც არ უნდა ცდილობდეს, რომ ჩვეულებები შეიცვალოს, ამის გაკეთება მას არ შეუძლია. მეორე მხრივ, თუ ადამიანი საკმარის ძალისხმევას გამოიჩენს, მას შეუძლია თავისი სასტიკი ბუნების შეცვლა, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ცუდი ჩვეულებისა“.

მელამ თქვა:

„სვამი, ჩვენ ვაღიარებთ, რომ ადამიანურ არსებებს აქვთ იმის განსაკუთრებული უნარი, რომ თავიანთი თავი შეცვალონ, მაგრამ თუ ისინი ამ უნარს არ გამოიყენებენ, განა იმსახურებენ იმ მაღალ მდგომარეობას, რომლითაც ახლა სარგებლობენ?“

პრეზიდენტმა განაცხადა:

„თუ ვინმეს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ თავისი თავი შეცვალოს, მაგრამ ის ამას არ იყენებს, მაშინ ასეთი ადამიანი ცხოველზე უარესია“.

ასეთი სიტყვების შემდეგ ცხოველებმა ხმამაღალი აპლოდისმენტები ატეხეს. *მაჰარიშიმ* გაიმეორა ძირითადი თავისებურება, რომელიც მან ამწუთას აღნიშნა, რომ ნებისმიერი ადამიანური არსება, რომელსაც სიკეთის გაკეთების შესაძლებლობა აქვს, რომ გაიუმჯობესოს ყოფაქცევა და თავის თავში სიკეთე

განავითაროს, მაგრამ ამას არ აკეთებს, ყოველგვარი ეჭვის გარეშე ცხოველზე უარესია. შემდეგ დაამატა:

„რა სარგებელია იმ ყველა ცოდნისგან, რომელსაც ადამიანი ფლობს? განა ეს ცოდნა ცვლის მის რწმენას? როგორც კი თავში ბოროტი აზრები უჩნდება, იგი გონებაჩლუნგი ხდება, სულელი ხდება. ადამიანურმა არსებებმა მაღალ სტატუსს მიაღწიეს ცოდნის მიღებაში და ოსტატობაში... მაგრამ მთელი ეს სწავლება მათ იმისათვის სჭირდებათ, რომ პურის ფული გააკეთონ; ისინი ამ სწავლებას იმისათვის იყენებენ, რომ მუცლები აივსონ და როგორღაც გაჭირვებას თავი დააღწიონ“.

ამ მომენტში მელა წამოდგა. მან პრეზიდენტის ნათქვამს დაუმატა:

„გაჭირვებისგან თავის დაღწევას რომ ცდილობს, ადამიანი ყოველგვარ არაეთიკურ საშუალებებს იყენებს. ნათელია, რომ ამაში ჩვენ, ცხოველები, ადამიანურ არსებებზე გაცილებით უკეთესნი ვართ“.

მელა საკუთარმა რიტორიკამ გაიტაცა; იგი რაღაც დროის განმავლობაში განაგრძობდა ამ თემაზე ლაპარაკს.

„ჩვენ სამართლიანად ვშოულობთ საკვებს. ადამიანთან შედარებით, გაცილებით უკეთესნი ვართ ყოველმხრივ. მერწმუნეთ, ჩვენ უბრალოდ ყველაზე უკეთესნი ვართ!“

ამან აღტაცებული, თითქმის შეუკავებელი ოვაციები გამოიწვია ოთხფეხიანთა კრების მხრიდან. ყველა მთლიანად დაეთანხმა ამ ქებას, და მელას სთხოვდა, რომ გაეგრძელებინა. მაგრამ რამდენადაც აღტაცება ყოველგვარ ზღვარს გასცდა, პრეზიდენტმა ჩაქუჩის დარტყმით წესრიგისკენ მოუწოდა. და მაშინ *მაჰარიშიმ* მეორე მთავარი განსხვავება ახსნა, რომელიც ადამიანურ არსებას უნიკალურს ხდიდა. მან თქვა:

„ადამიანს შეუძლია დაამარცხოს მაია, ანუ ილუზია. როგორც კი ამას გააკეთებს, მას შეუძლია განიცადოს ატმა, თავისი ჭეშმარიტი არსი და ნირვანას მდგომარეობას მიაღწიოს, მარადიული ნეტარების ამაღლებულ მდგომარეობას. ამაშია ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი განსხვავება ადამიანსა და ცხოველს შორის“.

ადამიანსა და ცხოველს შორის არსებითი განსხვავება

„მაიას დამარცხებისთვის ადამიანს აქვს ძალა და ნებისყოფა. თუ ადამიანი გაირჯება და ძალისხმევას გამოიჩენს, მას შეუძლია უშუალოდ განიცადოს ატმა. ასეთი თვისებები თქვენ, ცხოველებს, არა გაქვთ“.

მაჰარიშიმ დაამატა:

„ძვირფასო შვილებო, ადამიანურ არსებებს კოლექტიურად ეწოდებათ კაცობრიობა, ხოლო მათი გვარეობითი დასახელება ინგლისურად არის მან (man). იგივეა მოცემული სანსკრიტში როგორც მანავა (Manava). შინაგანი მნიშვნელობა სიტყვისა „მან“ იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანურ არსებებს შეუძლიათ განაცალკეონ და მოიცილონ ილუზია, მაია; მათ შეუძლიათ ატმას ხედვა მიიღონ და ჩაეფლონ სიბრძნეში და ნეტარებაში, ე.წ. ნირვანას მდგომარეობაში. ამაში მდგომარეობს მნიშვნელობა, რომელიც გადმოცემულია ასოებით მან. „მ“ ნიშნავს „მაია დამარცხებულია“, ა - „ატმა გამჟღავნებულია“, და „ნ“ - „ნირვანა მიღწეულია“. ნირვანას მიღწევა ნიშნავს, რომ ადამიანი ერთიანი ხდება სიხარულთან და ნეტარებასთან. ანუ ჭეშმარიტი ადამიანური არსება, ჭეშმარიტი ადამიანი ის არის, ვინც მაიას უმეცრება მოიცილა, ვინც ატმას ხედვა მიიღო და ვინც ნეტარების უმაღლეს მდგომარეობაში ჩაეფლო“.

როდესაც *რიშიმ* დაასრულა, მხეცებმა თავები დახარეს და თანხმობა განაცხადეს, რომ ამ სამი რამის მიღწევა მათ არ შეუძლიათ. მაგრამ თამამმა იხვმა შემდეგი კითხვა დასვა:

„ყველა ადამიანურმა არსებამ შეძლო ამის მიღწევა?“

პასუხი ასეთი იყო:

„არა! მხოლოდ ძალიან ცოტამ“.

„ის ადამიანები, რომლებიც არავითარ ძალისხმევას არ იჩენენ ამ მიმართულებით, ისეთივენი არიან, როგორებიც ჩვენ ვართ, და აბსოლუტურად არავითარი მიზეზი არ არის, რომ განსხვავებას ვახდენდეთ მათ და ცხოველებს შორის“. -გადაწყვიტეს მათ.

მაჰარიში დაეთანხმა. მან თქვა:

„მიუხედავად იმისა, რომ ადამიანებს აქვთ სიბრძნისა და ნეტარებისკენ სწრაფვის ეს დიდებული უნარი, მაგრამ ისინი თავიანთ თავს არ ავითარებენ ამ მხრივ და ამიტომ ვერ ხედავენ სიხარულს ცხოვრებაში. მხოლოდ ძალიან ცოტას აინტერესებს ეს ღირსშესანიშნავი განძეულობები, რომლებიც მათ ეკუთვნით სამართლიანად. ადამიანთა უმრავლესობა ფუჭად ხარჯავს თავის ცხოვრებას, არასოდეს ავლენს მისწრაფებას, რომ ადამიანური ცხოვრების ეს დაუფასებელი შესაძლებლობა მიიღოს. იმას, რასაც ისინი არიან გამოკიდებულნი, ეგოიზმის სუნი აქვს, და ერთმანეთს ეპყრობიან გაცილებით უარესად, ვიდრე ცხოველები“.

ადამიანთა უმრავლესობა ცხოველზე უარესად იქცევა

შემდეგ პრეზიდენტმა საკუთარ მაგალითზე ახსნა, რატომ მოვიდა ტყეში საცხოვრებლად. მან თქვა:

„ცხოველებს მხოლოდ იმისთვის მოაქვთ უსიამოვნება, ვისაც მათთვის მოაქვს უსიამოვნება; ერთმანეთში ისინი ძირითადად მშვიდობიანად ცხოვრობენ. ადამიანური არსებები კი ავნებენ იმას, ვინც მათ ხელს სრულებით არ ახლებს. ყოველგვარი მიზეზის გარეშე ისინი უდანაშაულო ადამიანებს ადანაშაულებენ და ავნებენ. გარდა ამისა, ადამიანი უარყოფით მოქმედებებს ასრულებს, რაზედაც მას არავითარი უფლება არა აქვს“.

დასასრულ მან თქვა:

„სწორედ ამიტომ თქვეს რიშებმა უარი ადამიანთა კამპანიაზე და საცხოვრებლად ტყეში წავიდნენ. ადამიანი სულ უფრო ეგოისტური ხდება იმ ყველაფერში, რასაც ის ამბობს, აკეთებს და ფიქრობს. ცხოველებს არა აქვთ ასეთი ეგოიზმი. ცხოველები არ ავნებენ სხვა ცხოველებს და არ აგროვებენ სიმდიდრეს. ასე რომ ბევრ რამეში ადამიანი ცხოველზე უარესად იქცევა“.

აი რა თქვა კრიშნამ ამის შესახებ:

„არჯუნა, იყავ ჭეშმარიტი ადამიანი, და არა ის, ვინც ცხოველზე უარესია. ცხოველური ბუნებიდან შენს ჭეშმარიტად ადამიანურ ბუნებამდე აიწიე. არსებობს ორი ცხოველური თვისება, რომელიც არ უნდა გქონდეს: შენ არ ხარ ცხვარი, მფრთხალი და მშიშარა, მაგრამ ვეფხვიც არ ხარ, სასტიკი სხვების მიმართ. შენ ხარ ადამიანი! შენ უფრო მაღალი ბედის ღირსი ხარ. იყავ უშიშარი! სინამდვილეში ღმერთის გამოვლენა ხარ. თავს იმის ნებას ნუ მისცემ, რომ შიშს ან მწუხარებას დამორჩილდე“.

მაშინ არჯუნამ მორჩილების ნიშნად ხელისგულები ერთმანეთს მიაწყო და თქვა:

„ძვირფასო უფალო, უსიტყვოდ ვემორჩილები შენს განკარგულებას“.

როდესაც ღმერთის მტკიცე რწმენა გაქვთ, უშიშარნი ხართ

ადამიანის გულს უსაზღვრო ძალა ახასიათებს. მაგრამ ამის მიუხედავად, ადამიანს თავისი თავის რწმენა არა აქვს. რა არის ამის მიზეზი? ამისი მიზეზი ის არის, რომ იგი დანარჩენ სამყაროსგან განცალკევებულად გრძნობს თავს; სჯერა, რომ ის განსხვავდება ღმერთისგან, რომელიც სინამდვილეში ყოველთვის მასშივე, მის გულში იმყოფება. მთელი სამყარო ერთი და იგივე ღვთაებრიობით არის გამსჭვალული. როდესაც თქვენში ღმერთის მტკიცე რწმენას განავითარებთ, არასოდეს გექნებათ შიშის განცდა; გააცნობიერებთ, რომ ღმერთი, რომელსაც თაყვანს სცემთ, არის ყველგან, ყველაფერში

და ყველაში, ისევე როგორც თქვენში. ეს დარწმუნებულობა შიშის ნარჩენებს ამოჰკვეთს თქვენი გულიდან.

მაგრამ თუ ასეთი რწმენა არა გაქვთ, მაშინ შიშით იქნებით შებოჭილნი. ყოველი წუთის, ყოველი ნაბიჯის შეგეშინდებათ. მაშინაც შეგეშინდებათ, როცა გამოცდაზე მიდიხართ. თვითმფრინავით მგზავრობის დროს შიშის ქვეშ იქნებით. შემხვედრი მანქანის შეგეშინდებათ. დილით საწოლიდან ადგომიდან საღამოს დაწოლამდე შეშინებული იქნებით. და საწოლშიც კი შიშის ქვეშ იქნებით, რომ სახლში ქურდები შემოძვრებიან და თქვენს ბარგი-ბარხანას მოიპარავენ. მთელ თქვენს დროს შიშის ქვეშ გაატარებთ. უნდა დარწმუნებულნი იყოთ, რომ ღმერთი ყველგან იმყოფება, და ასეთი სახით სრულ უშიშრობას მიაღწიოთ.

ყველგან მსუფევის თქვენი რწმენა უშიშრობის განვითარების გასაღებია. მხოლოდ მაშინ განვითარდება თქვენში შიში, თუ რწმენას დაკარგავთ; მხოლოდ იმ შემთხვევაში გაგიჩნდებათ შიში, თუ თქვენს ჭეშმარიტ „**მე**“-ს დაივიწყებთ. თქვენ დაივიწყეთ საკუთარი ჭეშმარიტი ბუნება, დაივიწყეთ *ატმა*. ამ ხუთნახევარი ფუტის სხეულად თვლით თავს, მაგრამ ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს, რომ ფორმით უსასრულონი ხართ და რომ თქვენი ძალა შეუზღუდავია. როდესაც ძალისხმევას გამოიჩენთ იმისათვის, რომ მცდარობა მოიცილოთ და *ატმას* ხედვა მიიღოთ, *ნირვანაში* ჩაეშვებით – და მაშინ თქვენს თავს ჭეშმარიტ ადამიანს უწოდებთ.

თუ არავითარ ძალისხმევას არ იჩენთ ამ გზაზე, და თქვენს ღირსებას ამცირებთ, ეგოისტურ ინტერესებს ხართ გამოკიდებულნი და თქვენს თავს უღირსი სახით ხედავთ, მაშინ არ ხართ *მან* (ადამიანი), თქვენ ხართ *nam* (დემონი), - თქვენ მხოლოდ გქვიათ ადამიანი. ნუ დაეცემით ასე დაბლა.

როდესაც ადამიანს აქვს თავისი თავის რწმენა, როდესაც მან თავისი ღვთაებრიობისკენ გამოიღვიძა, მას უწოდებენ *საქშარას*. ასეთ ადამიანს გრძნობებზე სრული კონტროლი აქვს დამყარებული; ასეთია სიტყვა „*საქშარას*“ მნიშვნელობა. *საქშარა* შედგება სამი სანსკრიტული მარცვლისგან: *სა-ქშა-რა*. კეთილშობილი სულებისგან განსხვავებით არიან ადამიანები, რომლებიც გრძნობებს ვერ აკონტროლებენ; ასეთ ადამიანს ჰქვია *რაქშასა* (*რა-ქშა-სა*), სხვა სიტყვებით – დემონი.

თუ ამ სიტყვებს უკუმიმართულებით წაიკითხავთ, დაინახავთ ადამიანთა ორ სხვადასხვა ტიპს: იმათ, ვინც შევსილია *შანტით* (სიმშვიდით), და იმათ, ვისშიაც არაფერია, გარდა *ა-შანტისა* (მღელვარებისა, სიმშვიდის არქონისა); ის, ვინც სამართლიანად უწოდებს თავის თავს ადამიანს, და ის, ვინც დემონივით იქცევა,

არაჭეშმარიტი ადამიანი, რომელიც მხოლოდ იყენებს ამ დასახელებას. იცხოვრეთ ისე, რომ ადამიანად იწოდებოდეთ, - იმ უმაღლესი იდეალების თანახმად, რომლებიც მემკვიდრეობით მიიღეთ, როცა ეს წმინდა ადამიანური დაბადება მიიღეთ.

განავითარეთ თქვენში კარგი თვისებები, რომ ღმერთის წყალობა მიიღოთ

ერთ-ერთი სახელი, რომელსაც კრიშნა არჯუნას უწოდებდა, იყო კურუნანდანა, რაც ნიშნავს: „ის ვინც მუშაობაში სიხარულს პოულობს“. ადამიანთა უმრავლესობას მუშაობა სწრაფად ბეზრდება. როცა დგება კვირადღე, უქმე დღე, ძალიან გახარებული ხართ. მაგრამ ასეთი დღე რომ დასდგომოდა არჯუნას, ანუ საქმე რომ არ ჰქონოდა, ეს ბედნიერებას არ მოუტანდა. არჯუნა შრომის დროს ყოველთვის უზარმაზარ სიხარულს გრძნობდა. მას იმიტომ მიეცა სახელი კურუნანდანა, რომ მუშაობაში უზარმაზარ სიამოვნებას იღებდა. სხვადასხვა სახელები, რომლებსაც კრიშნა უწოდებდა არჯუნას *გიტაში*, ასოცირდება სხვადასხვა კეთილშობილ თვისებებთან და ზნეობრიობებთან. ღმერთის ჭეშმარიტი ბუნების გაგებას იმ შემთხვევაში შეძლებთ, თუ თქვენს ცხოვრებაში ყოველდღე ერთ-ერთ ზნეობრიობას ჩართავთ.

მოთმინება, თავშეკავებულობა, თანაგრძნობა, არაძალადობა – აი თვისებები, რომლებსაც ამ ლექციებზე ვიხილავდით. ახლა ასევე უშიშრობის შესახებაც შეიტყვეთ. არის კიდევ მთელი რიგი მნიშვნელოვანი თვისება. როდესაც თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ამ თვისებებს განავათარებთ, ღმერთის წყალობის დამსახურებას შეძლებთ. თუ ამ კეთილშობილ თვისებებს არ განავითარებთ, ღმერთის სავანეში ადგილს ვერ მიიღებთ, მიუხედავად დიდი განათლებისა, მდგომარეობისა და სიმდიდრისა. ადამიანს პასპორტის გარეშე აკრძალული აქვს სხვა ქვეყანაში გამგზავრება; ასეთივე სახით თქვენი კარგი თვისებები პასპორტს წარმოადგენს, რომ ღმერთის წყალობა დაიმსახუროთ. ეს თვისებები უნდა განავითაროთ. განათლების გარდა, უნდა კარგი ჩვეულებები და იდეალური ხასიათი შეიძინოთ. მათ გარეშე მთელი თქვენი განათლება უსარგებლო იქნება. ის ცოდნა, რაზეც ახლა ხართ გამოკიდებული, მხოლოდ ფიზიკურ სამყაროშია სასარგებლო; ის ღმერთთან ვერ მიგიყვანთ. დღეს მსოფლიოში მეცნიერებმა ბუნების საიდუმლოებათა შეგროვება შეძლეს წვრილმანებში. მაგრამ შეძლეს კი მათ სულის სიმშვიდის შეძენა? შეძლეს სიხარულისა და ბედნიერების მიღება იმ გამოგობებებისგან, რომლებიც მათ დაამუშავეს? ამ ყველაფერს არ მიჰყავხართ

ბედნიერებასთან და სიმშვიდესთან. სიმშვიდის მიღება მხოლოდ ღმერთისგან შეიძლება.

ამქვეყნიური ბედნიერება და სიმშვიდე, რომლებსაც თქვენ იღებთ, წუთიერი და წარმავალია. ისინი მარადიული ნეტარების მდგომარეობამდე ვერ მიგიყვანთ. *გიტაში*, თავში *სანქჰია-იოგაზე,* ნათქვამია, რომ სიტყვა „*სანქჰია*“ ნიშნავს „სიბრძნეს“. *სანქჰია-იოგა* განეკუთვნება ღმერთის მიღწევას სიბრძნის მეშვეობით. *სანქჰია* არის პრინციპი, რომელიც იმაში გეხმარებათ, რომ გააცნობიეროთ ყოვლისმომცველი ერთიანი ღვთაება, რომელიც ყოველთვის თქვენ გვერდით იმყოფება. თავი *სანქჰია* ძალიან დიდია, მასში 72 ლექსია. მაგრამ ვერ მოიცილებთ თქვენს მწუხარებას, თუ ამ ლექსებს ზეპირად დაისწავლით და უბრალოდ ყოველ დღე გაიმეორებთ; ეს ცოტა სარგებელს მოგიტანთ. დიდი ძალისხმევა უნდა გამოიჩინოთ იმისათვის, რომ მუდამ იყენებდეთ პრაქტიკაში ამ ლექსების შინაგან მნიშვნელობას თქვენს ცხოვრებისეულ გამოცდილებებში. როდესაც მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში პრაქტიკაში გამოიყენებთ და ისინი თქვენი საკუთარი გამოცდილება გახდება, ღმერთის წყალობის მიღებას და მასთან სამუდამოდ შეერთებას შეძლებთ.

თავი ოცდამეცხრე

მიბრუნდით ღმერთისკენ, და ღმერთი მობრუნდება თქვენკენ

ის, ვინც მთლიანად გამოიღვიძა მასში მყოფი ღვთაებრიობისკენ და გარჩევის უნარი განავითარა, არ დაიტანჯება მწუხარებისგან და მას შიშისკენ მიდრეკილება არ ექნება. მხოლოდ ის ადამიანი განიცდის შიშს და ტანჯვებს, რომელსაც აქვს სხეულზე მიბმულობა და ობიექტებზე მიბმულობა. ამიტომ უთხრა კრიშნამ არჯუნას, რომ გარჩევის უნარი განევითარებინა და სხეულის ცნობიერებისგან გათავისუფლებულიყო. მან თქვა, რომ როგორც კი არჯუნა სხეულის ცნობიერებისგან გათავისუფლდება, იგი ინტეგრალური ხედვის განვითარებას შეძლებს.

სიყვარულის განხორციელებანო!

ტერმინი, რომელიც ინტეგრალური ხედვისთვის გამოიყენება, არის *სუდარშანა*, რაც ასევე ნიშნავს „კარგ მხედველობას“. დღეს ადამიანი მხედველობის სამ სახეს ფლობს. პირველია მხედველობა, რომელიც სხეულთან არის დაკავშირებული; ასეთი მხედველობის შემთხვევაში თქვენ ხედავთ მხოლოდ სხვების გარეგნობას, მაგალითად მათ ტანსაცმელს და სამკაულს, რომლებსაც ისინი ატარებენ, მათი სახეების ნაკვთებს, სხეულის ზომას და თავისებურებებს, მეტყველების სპეციფიკურობას და ა.შ. მხედველობის ეს სახე ფენომენალურ (გამჟღავნებულ) სამყაროზეა მთლიანად მიმართული.

მხედველობის მეორე ტიპი მენტალური მხედველობაა. გარეშე მახასიათებლებზე ფოკუსირების ნაცვლად, ის, ვინც ამ მხედველობას ფლობს, ყურადღებას აქცევს შინაგან გრძნობებს, განსაკუთრებით იმას, როგორ ვლინდება ისინი სხვების ქცევაში და გამოხატვაში. ასეთი ხედვის მქონე ადამიანები განსაზღვრავენ აზრებს სხვა ადამიანთა გონებაში, აგრეთვე გრძნობებს, რომლებიც სხვა ადამიანის გულიდან გამოდის, და ყურადღებით აკვირდებიან იმას, რას ამბობს და რას აკეთებს იგი, რადგან ეს ყველაფერი მის ქცევაში მჟღავნდება. სხვა სიტყვებით, ადამიანი, რომელიც მენტალურად (შინაგანი ხედვით) იყურება, მხედველობის ფოკუსირებას ახდენს გარეშე მოქმედებებზე, რომლებიც შინაგან ყოფიერებას ასახავს. ასეთი მხედველობის მქონე ადამიანი თვლის, რომ ადამიანები ამბობენ და მოქმედებენ ისე, როგორც გრძნობენ და ფიქრობენ.

წმინდა ხედვა

ხედვის მესამე ტიპია *ატმური* ხედვა. ის, ვინც *ატმურ* ხედვას ფლობს, არ ზღუდავს თავის აღქმას სხვების მხოლოდ გარეშე ნაკვთებით ან მათი შინაგანი აღქმით, რაც მათ ქცევასა და გრძნობებში გამოიხატება; ადამიანთა ეს მესამე ტიპი *ინტეგრალურ* ხედვას ფლობს. ეს ადამიანები ხედავენ შინაგან ერთიანობას, ღვთაებრივ ცნობიერებას, რომელიც ყველაფერს მოიცავს, მიუხედავად სხეულებრივი განსხვავებებისა და განსხვავებებისა ქცევაში. ასეთმა ადამიანებმა იციან, რომ გარეგნობას, გრძნობებს, აზრებს და ქცევის ხასიათს – ამ ყველაფერს ცვლილებისა და გარდაქმნისკენ აქვს მიდრეკილება. ამიტომ *ატმური* ხედვის მქონე ადამიანებს არ აინტერესებთ ის, რაც დროთა განმავლობაში იცვლება. მათი ხედვა შიგნით მყოფ უცვლელ ღვთაებაზეა მთლიანად მიმართული. ასეთი ღრმა შინაგანი ხედვაა სწორეთ წმინდა ხედვა. ასეთი ხედვით თქვენ ღმერთის ხელში ხართ, და უფრო მეტიც – არა მარტო ღმერთის ხელში ხართ, თქვენ ჭეშმარიტად თვით ღმერთი ხდებით.

უპანიშადები ამბობენ, რომ „ის, ვინც იცის *ბრაჰმანი, ბრაჰმანი* ხდება“. ანუ იმის ბუნება, რომელმაც ასეთ წმინდა ხედვას მიაღწია, ღვთაების წმინდა ბუნებად გარდაიქმნება. ადამიანი როგორც აღიქვამს, ისეთი ხდება იგი. იმისათვის, რომ გახდეთ *სთჰითაპრაჯნა*, უმაღლესი სიბრძნის ადამიანი, უნდა განავითაროთ ინტეგრალური ხედვა, ანუ *სუდარშანა*, უცვლელად იყოთ შინაგან ერთიანობაში, რომელიც მთელი გარეშე მრავალფეროვნების შიგნით იმყოფება. ამიტომ არჯუნასთვის კრიშნას მცნება იყო ის, რომ თავისი ხედვა ყოველთვის *ატმასკენ* მიემართა და ნებისმიერ გარემოებებში ეს ინტეგრალური ხედვა შეენარჩუნებინა.

ეტლით ზეიმი

ძველ დროში ინდოეთში ტრადიცია იყო სოფლებში და ქალაქებში ეტლებით ზეიმების გამართვა. ასეთი ზეიმების დროს ტაძარში დადგმული ღვთაების ქანდაკება პროცესიის ცენტრალური ფიგურა ხდებოდა. უპირველეს ყოვლისა ამ მიზნით აგებულ და დახვეწილად მორთულ ვეებერთელა ეტლში იდგმებოდა ლამაზი დასაჯდომი ღვთაებისთვის. წმინდა დღეს ღვთაების ქანდაკება სათანადო რიტუალებითა და შელოცვებით ტაძრიდან ეტლში გადაჰქონდათ. ამის შემდეგ ერთგულები ეტლს ქუჩებში დაატარებდნენ მხატვრულ პროცესიაში, რომლის წინ მოცეკვავეთა, მუსიკოსთა და მომღერალთა ჯგუფები გამოდიოდნენ. იქ, სადაც ეს პროცესია გაივლიდა, მრავალი ადამიანი თაყვანს სცემდა ღვთაებას, წმინდა ლამპებს ანთებდა და *არატის* აკეთებდა.

ასეთი ზეიმების დროს ჩვეულებრივად ახლომდებარე სოფლებიდან მოსული ათასობით ადამიანი გროვდებოდა. პირველი ტიპის ადამიანები, რომლებიც ზეიმზე მყოფთა უმრავლესობას შეადგენდნენ, იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც მთელ თავიანთ ყურადღებას ეტლსა და გარეშე მოვლენებს აქცევენ. გარდა ამისა, იქ ჩვეულებრივად სხვა ტიპის ადამიანებიც არიან, რომლებიც ყურადღებას აქცევენ იმას, ცერემონიის მონაწილეები თავს როგორ გამოხატავენ და როგორ მოქმედებენ, - იმ ადამიანებს, რომლებსაც ეტლი მიჰყავთ, მღვდლებს და იმათ, ვინც ცეკვებსა და წმინდა პიესებს ასრულებს. და კიდევ, ამ ცერემონიას ესწრებიან ის ადამიანები, მცირედნი, რომლებიც ასეთი ზეიმის ორგანიზების ჭეშმარიტ მიზეზს აცნობიერებენ. მხოლოდ ადამიანთა ეს ძალიან მცირე რაოდენობა ისწრაფის იმისკენ, რომ მიიღოს ხედვა *მყოფელისა* – ეტლში მჯდარი წმინდა პირისა.

ზეიმის მიზანია ეტლში ღვთაების ქანდაკების დადგმა. ღვთაების ქანდაკების გარეშე ზეიმს არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა. ქანდაკება განასახიერებს *მყოფელს*, რომელიც არის თვით ღმერთი. მაგრამ მხოლოდ იშვიათი ადამიანი მიაქცევს სრულ ყურადღებას ღვთაებას. ადამიანთა უმრავლესობა ხედავს ეტლის მხოლოდ ფიზიკურ ფორმას, მის მორთულობას და ამდაგვარს: რა აცვია ღვთაების ქანდაკებას, მოცეკვავე ქალთა და მუსიკოსთა კოსტიუმებს, მათ მორთულობებს და ზეიმის ყველა ხმასა და ფერს. ადამიანთა უმრავლესობა მხოლოდ ამ გარეშე საგნებით ინტერესდება. მაგრამ ასევე არიან ადამიანები, რომლებიც ძირითად ყურადღებას აქცევენ თაყვანისცემისა და მსხვერპლის შეწირვის რიტუალებს, მაგალითად, ქოქოსის კაკლების გატეხას, კეთილსურნელებას, ლამპრების მოძრაობას, და ერთგულებას, რომელსაც ამ რიტუალების მეშვეობით გამოხატავენ. ასეთი ხედვისა და ინტერესების მქონე ადამიანთა რიცხვი გაცილებით ნაკლები იქნება იმ ადამიანთა რიცხვზე, რომლებსაც ძირითადად აინტერესებთ მორთულობები, ცეკვები, წმინდა პიესები და ზეიმთან დაკავშირებული მთელი გარეშე მოკაზმულობა.

მაგრამ ეტლში მოთავსებულ ღვთაებრივ პიროვნებას, რომელიც ეტლს ამოძრავებს და მასში იმყოფება, შეამჩნევს მხოლოდ ჭეშმარიტად ერთგულ ადამიანთა მცირედი რაოდენობა; ეს ადამიანები ოცნებობენ, რომ ღვთაება იხილონ. შეკრებილ ადამიანთა უზარმაზარ ბრბოში ასეთი ადამიანები თითზე ჩამოსათვლელები არიან. მათთვის ყველა გარეშე ატრიბუტი, პროცესიის ღელვა და ხმები დაბრკოლებას წარმოადგენს მათ მისწრაფებაში, რომ ჭეშმარიტი ხედვა მიიღონ ღვთაებისა, ვისი გამოსახულებაც ეტლშია დადგმული. მათ მხოლოდ თავიანთი მშვენიერი უფლის ხილვა სწყურიათ.

ადამიანის სხეულის ეტლი

რა არის ეტლის უფრო ღრმა მნიშვნელობა? რამდენი ასეთი ეტლი იმყოფება იქ? ეტლი, რომლის შესახებაც აქ არის საუბარი, ადამიანის სხეულია. ანუ არსებობს მილიარდობით ეტლი. ეს ეტლები ყოველდღე ერთი ქუჩიდან მეორისკენ, ერთი სახლიდან მეორისკენ მოძრაობენ, პროცესიაში გადაჰყავთ **ის**, ვინც მათში იმყოფება. თქვენი ხედვა იმგვარად განავითარეთ, რომ შეგიძლიათ გაარჩიოთ მხოლოდ სხეული და მისი გარე ნაკვთები, ან გამოხატვები, რომლებიც სხვადასხვა ემოციურ მდგომარეობებს განეკუთვნება; მაგრამ არ გისწავლიათ, რომ შინაგანი ხედვით ჩასწვდეთ იმას, ვინც თქვენი სხეულის ეტლში იმყოფება, და გააცნობიეროთ, ვინ არის ის სინამდვილეში. ძალიან იშვიათი ადამიანი ეცდება უფრო ღრმად შეიხედოს სხეულის გარეშე, ზედაპირული ასპექტის ზღვრებს იქით, აგრეთვე პიროვნების ემოციური და მენტალური თვისებების ზღვრებს მიღმა და ჩასწვდეს თქვენში მყოფ წმინდა *ატმურ* პრინციპს.

ადამიანთა სხეულები ერთადერთი ეტლები არ არის. ცხოველთა სხეულები, როგორებიცაა, მაგალითად, ძაღლები ან ვეფხვები, ან სპილოები, ასევე ეტლებია. სინამდვილეში, ნებისმიერი არსების სხეული ეტლს წარმოადგენს. მაგალითად, შივას ხარზე, ნანდიზე, ამხედრებულს გამოსახავენ. ანუ ხარი შივას ეტლია. თუმცა, როდესაც ხარს ხედავთ, შივაზე არ ფიქრობთ; და მაინც ის იქ იმყოფება. როდესაც ვირთხას ხედავთ, განეშაზე არ იფიქრებთ, მაგრამ ისიც იქ იქნება, ვირთხაზე შემჯდარი. ვირთხა განეშასთვის გადაადგილების საშუალებაა, ანუ ისიც ღვთაების ეტლს წარმოადგენს. ასეთივე სახით ლომები, ყვავები, ძაღლები, გველები, არწივები და სხვა ცხოველები და ფრინველები გამოიყენებიან როგორც გადაადგილების საშუალება ღმერთის უამრავი სხვადასხვა ასპექტისთვის. ჭეშმარიტად, ყოველი ცოცხალი არსება წარმოადგენს ეტლს, რომელსაც ღმერთი მიჰყავს პროცესიაში.

ამ დრომდე ავითარებდით მხედველობას, რომელიც მხოლოდ ეტლს ხედავს. მთელ თქვენს ყურადღებას მხოლოდ გარეშე მორთულობებს აქცევთ. ჩვენს საუკუნეში თითქმის მთელი დრო ეთმობა ეტლის მორთულობას – სხეულის კომფორტზე და სიამოვნებებზე ზრუნვას. შედეგად, მხოლოდ გარეშე განსხვავებებს აქცევთ ყურადღებას; დროს იმაზე არ ხარჯავთ, რომ *მყოფელი* დაინახოთ თქვენში.

„ამიტომ, არჯუნა, - თქვა კრიშნამ, - *იცოდე, რომ ეს ადამიანები, რომლებზედაც შენ სწუხხარ, მხოლოდ ეტლები არიან. ისინი შეიძლება იყვნენ პაპები, ძმები, ბიძაშვილები, - ვინც არ უნდა იყვნენ, ისინი მხოლოდ ეტლებია. ჭეშმარიტად, მხოლოდ ეტლებს ხედავ შენი*

ნათესავების ფორმაში. შენი ხედვა იმით არის დაბნელებული, რომ მხოლოდ სხეულს ხედავ; მაგრამ შენნაირი სულიერი პიროვნება ასე ძალიან არ უნდა ზრუნავდეს გარეშეზე. ყოველი ადამიანის სხეულში არსებულ მყოფელზე უნდა მოკრიბო გონება. მხოლოდ მაშინ გახდება შენი ხედვა წმინდა. მხოლოდ წმინდა ხედვას შეუძლია მოგცეს საფუძველი გამარჯვებისთვის. მხოლოდ წმინდა ხედვის მქონე ადამიანს შეუძლია წარმატებას მიაღწიოს დიდ წამოწყებებში. არჯუნა, ადამიანები ისევე აფასებენ ლანდს, როგორც წმინდა ობიექტს, რომელსაც ეს ლანდი ეკუთვნის; ისინი ისევე აფასებენ ანარეკლს, როგორც ობიექტს, რომლის გამოსახულებასაც ისინი ხედავენ. მაგრამ ეს არ არის სწორი. უცვლელი წმინდა ობიექტი არის ატმა. მისი ღირებულება შეუზღუდავია; იგი ყოველგვარი განზომილების გარეთაა, იმ დროს როცა გარეშე მომხიბლაობა სხეულებისა და აზრებისა, გრძნობებისა და ჩვეულებებისა, რომლებიც ამ სხეულებში ვლინდება, მხოლოდ და მხოლოდ გამოსახულბებია, ლანდებია, რაიმე რეალური სუბსტანციის ან მუდმივი ღირებულების გარეშე“.

არჯუნამ უმეცრება გამოავლინა, როცა დიდი მნიშვნელობა მისცა უბრალო ანარეკლებს. *გიტას* მეორე თავში კრიშნამ არჯუნას *კრიპანა* უწოდა. სიტყვა „*კრიპანა*“ ჩვეულებრივად ნიშნავს იმას, ვინც საწყალია, ვინც საარსებო სახსრების გარეშეა. მაგრამ ეს განსაზღვრა არ მიუდგება არჯუნას აღწერას. რა თქმა უნდა, არჯუნა არ იყო საწყალი, ასევე არ იყო სახსრების გარეშე ამქვეყნიური თვალსაზრისით. რაც შეეხება მატერიალურ სიმდიდრეს, მან იმ დროის მსოფლიოს სიმდიდრის მნიშვნელოვანი ნაწილი დააგროვა; მას საკუთრებაში უკმარისობა არ ჰქონდა. სიტყვა „*კრიპანას*“ სხვა მნიშვნელობაა „ძუნწი“. მაგრამ როგორც *სვამიმ* წინათ უკვე ახსენა, არჯუნას ასე აღწერაც არ შეიძლება. ის არ იყო კრიჟანგი; პირიქით, მან ახლახან თქვა უარი იმ ყველაფერზე, რასაც კი ფლობდა. მან კრიშნას უთხრა:

„არ მჭირდება ეს სამეფო. მთელი სამყაროს ფლობაც რომ შემოეთავაზებინათ, უარს ვიტყოდი. თავის სარჩენად მოწყალების თხოვნისთვის უფრო ვიქნებოდი მზად, ვიდრე ამ ხალხის დასახოცად“.

ასეთი იყო განდგომის დონე, რომელსაც არჯუნამ მიაღწია. ანუ სიტყვა „ძუნწი“ მას სულაც არ მიუდგება.

მაშ რა არის სიტყვა „*კრიპანას*“ სწორი მნიშვნელობა არჯუნას შემთხვევაში? *კრიპანა* ნიშნავს „სწორად განსჯის უნარმოკლებულს“, „რეალურის არარეალურისგან განსხვავების უნარის არმქონეს“. არჯუნამ არცოდნა გამოავლინა. მაგრამ ეს არ იყო ამქვეყნიური უმეცრება, ეს იყო სულიერ სამყაროსთან დაკავშირებული უმეცრება. არჯუნას ჯერ არ განუვითარებია შინაგანი ხედვა. იმისათვის, რომ

ეხსნა იგი ყველა არევ-დარევისა და გაუგებრობისაგან, რომლებიც არასაკმარისი შინაგანი ხედვის დროს ჩნდება, კრიშნამ თავის თავზე აიღო არჯუნასთვის *ატმას* ცოდნის სწავლება. იგი რჩევა-დარიგებას აძლევდა მას სულიერ პრაქტიკაში, რომელიც არჯუნას უნდა ცხოვრებაში დაენერგა, რომ უმაღლესი სიბრძნისთვის მიეღწია.

გულის მინდორი

სანამ ფერმერი თავის მინდორზე მოსავალს მოიყვანდეს, მან უამრავი მოსამზადებელი სამუშაო უნდა შეასრულოს. დათესვამდე საჭიროა მიწის გაწმენდა ბუჩქნარისგან, ქვებისგან და სარეველა ბალახისგან, ამის შემდეგ კი მოხვნა და მორწყვა. ფერმერმა უნდა გადაწყვიტოს, რისი დათესვა ჯობია ამ მიწაზე და რა სახის სასუქი შეიტანოს იქ. როდესაც ეს მოსამზადებელი სამუშაოები დასრულებულია, ის ბოლოს და ბოლოს თესავს. ანუ სანამ მოსავალს მოიყვანდეს, უნდა მინდორი დაამუშაოს, ქვები და სარეველა ბალახი ამოთხაროს და მოაცილოს. მხოლოდ მაშინ შეიძლება შესაბამისი თესლის ჩათესვა, რომელიც აუცილებლად კარგ მოსავალს მისცემს.

ასევე სულიერი მაძიებელი უნდა მზრუნველობით ამზადებდეს გულის მინდორს. ამ მინდორს დამუშავების იგივე პრინციპები მიუდგება. ჯერ უნდა გულიდან ყველა არასასურველი აზრი და უსარგებლო ჩვეულება მოიცილოთ. ისინი უნდა ამოძირკვოთ და მინდორი გაწმინდოთ ამ ყველაფრისგან. ამის შემდეგ გულის მთელი მინდორი სიყვარულის წყლით მორწყათ; სიყვარულის ეს წყალი გულს შეარბილებს და დასამუშავებლად მოამზადებს. სულიერი პრაქტიკის, *სადჰანას* დახმარებით უნდა გულის მინდორი მოხნათ და რწმენის სასუქი შეიტანოთ იმისათვის, რომ მიწა ნაყოფიერი და ნოყიერი გახდეს თესლის კარგი ზრდისთვის. როდესაც ეს ყველაფერი გაკეთებულია, გულის მინდორი თესვისთვის მზად იქნება. თუ გული ქვენა აზრების სარეველათია დაფარული, თუ ის უნაყოფოა, მყარი და მშრალია, მაშინ როგორ უნდა იზრდებოდეს იქ კარგი თესლი, როგორ უნდა იქცეს იგი უხვ მოსავლად?

ამასთან დაკავშირებით კრიშნამ არჯუნას უთხრა:

„არჯუნა, უნდა დაამუშაო და გარდაქმნა შენი გულის მინდორი. გარეშე ხედვა უნდა ამოძირკვო. განავითარე ღმერთის სიყვარულის სუფთა და ძლიერი ნაკადი. გულში ჩათესე ღვთაებრივი სახელის თესლი, და იქ ცნობიერების ერთიანობის დიდ მოსავალს მოიმკი, რადგან ეს თესლი ყველაზე უკეთესად მხოლოდ ასეთ მინდორზე იზრდება; ასეთია მისი ბუნება. მაშინ შენ გახდები სთჰითაპრაჯნა, უცვლელი სიბრძნის ადამიანი, და სულიერი მიზნის მიღწევას შეძლებ.

შენი გულის ბაღში გათავისუფლების წმინდა ნაყოფით დატკბები; როგორც კი ამას მიაღწევ, შიში აღარასოდეს შეგაწუხებს“.

ჭეშმარიტი უშიშრობა

თუ თქვენში არის ურყევი რწმენა და ინტეგრალური ხედვა, და თუ თქვენში მყოფ ღვთაებაზე ფიქრობთ მუდამ, არ იზეიმებთ სიხარულისგან ან არ ჩამოხმებით მწუხარებისგან. მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდებით მთლიანად უშიშარნი – ეს არის *აბჰაია. ბჰაია* ნიშნავს „შიშს“, *აბჰაია* - „უშიშრობას“. არის კიდევ ერთი სიტყვა, „*ნირბჰაია*“, რომელიც ნიშნავს „შიშის არარსებობას“. თუმცა ისე ჩანს, რომ ამ სიტყვებს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს, მაგრამ „*აბჰაიასა*“ და „*ნირბჰაიას*“ შორის დიდი განსხვავება არსებობს. *ნირბჰაია* არის „შიშის მოცილება“. უშიშრობა არ ნიშნავს შიშის არარსებობას, ჭეშმარიტი უშიშრობა შიშის ზღვრებს მიღმაა – იგი გაცილებით უფრო მაღლაა, ვიდრე შიშის უბრალო მოცილება. ავიღოთ ამის მაგალითი: დავუშვათ, ბინდბუნდში გზაზე შემთხვევით თოკი დაინახეთ. მართალია, ეს უბრალოდ თოკია, მაგრამ სინათლის უკმარისობისას შეიძლება იფიქროთ, რომ გველია. გეშინიათ, რომ გველმა არ გიკბინოთ, ფარანს რთავთ იმისათვის, რომ უკეთესად დაინახოთ ის: შხამიანია თუ არა ეს გველი. მაგრამ როგორც კი მასზე სინათლის სხივი ეცემა, ხვდებით, რომ ეს გველი კი არა, თოკის ნაჭერია, და ამ გაგებასთან ერთად თქვენი შიში უმალვე ქრება. შიშს დაქვემდებარება, შემდეგ კი მისგან გათავისუფლება, მხოლოდ წუთიერი შეგრძნებებია; ისინი მოდის და მიდის.

შიში მხოლოდ გონების მიერ შექმნილი ცდომილებაა; შიშის არარსებობაც გონების მიერ შექმნილი ცდომილებაა. როდესაც ერთი საგნის მეორე საგნად მიღებას ახდენთ, ეს შიშს იწვევს; შეცდომის გაცნობიერება და მისი გამოსწორება შიშს სპობს. ეს ორი გრძნობა, *ბჰაია* და *ნირბჰაია*, ასოცირდება შიშთან და შიშისგან თავისუფლებასთან. *აბჰაიას* საერთო არაფერი აქვს ამ ორთან. *აბჰაია* ნიშნავს „უშიშრობას“; ეს არის უცვლელი მდგომარეობა, როცა შეუძლებელია საერთოდ შიშის გრძნობის განცდა. *აბჰაიას* მქონე ადამიანი მუდამ აცნობიერებს თავის რეალობას; შეუძლებელი იქნებოდა, რომ მასზე შიშს ემოქმედა. *აბჰაიას* თვისება უბრალოდ შიშის არარსებობად არ უნდა ითვლებოდეს. როდესაც ადამიანი უშიშრობას ფლობს, იგი არავითარ სხვა არსს არ აცნობიერებს. შიში მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა სხვა ობიექტი არსებობს; მაგრამ იმისთვის, ვინც *აბჰაიას* ფლობს, სრულებით არ არსებობს *მეორე*. ამიტომ უშიშრობა ასოცირდება ერთიანობის ცნობიერებასთან; იგი *ადვაიტასთან* არის თანაფარდობაში, სადაც არ შეიძლება იყოს ორი,

არის მხოლოდ ***ერთი***. როდესაც *ადვაიტას* მდგომარეობაში იქნებით, ჭეშმარიტად უშიშარნი იქნებით.

როცა თქვენს ჭეშმარიტ „**მე**“-ს (თვითმყოფელობას) ივიწყებთ, როცა *ატმას* ივიწყებთ, გარდაუვალად შიშისგან იტანჯებით. როდესაც გახსოვთ მხოლოდ ეს სამყარო, და არა ღმერთი, ასევე შიშისგან იტანჯებით. როდესაც სურვილებითა და მიბმულობებით ხართ აღვსილი, შიშისგან იტანჯებით. როდესაც ობიექტებს მცდარობაში შეჰყავხართ, შიშისგან იტანჯებით. მეორე მხრივ, როცა ტრანსცენდენტალურ რეალობაში ჩაეშვებით, შიშისგან მთლიანად თავისუფალნი იქნებით; არასოდეს და არაფრის შეგეშინდებათ. მაშინ მუდამ იქნებით *აბჰაია*, უშიშარი.

კრიშნამ თქვა:

„არჯუნა, მხოლოდ ერთი რამ უნდა განავითარო შენში. არ არის საჭირო კიდევ უფრო მეტად ავითარებდე ფენომენალური (გამჟღავნებული) სამყაროს შენს ხედვას; კიდევ უფრო მეტად არ უნდა ავითარებდე გონებას. უნდა განავითარო მხოლოდ ერთიანის (ერთის მეორის გარეშე) ხედვა, რომელიც ყველგან და ყველაფერში არსებობს. თუ იცი და გახსოვს ***ის****, მაშინ არ იქნები მშფოთვარე მდგომარეობაში შიშსა და მის არარსებობას შორის, ბჰაიასა და ნირბჰაიას შორის. სანამ ცდომილების სურათს ხედავ, სანამ სამყარო შენთვის რეალურია და ცალკეული ობიექტებისგან შედგება, შენი ხედვა დაბინდული იქნება, და შიში დაგეუფლება. მაგრამ როდესაც მთელი სამყაროს ერთიანობის ჭეშმარიტებას გააცნობიერებ, შენ გახდები აბჰაია – სამუდამოდ უშიშარი. შენი მსგავსი ადამიანი უნდა გახდეს ბრძენი, სთჰითაპრაჯნა; ის აღარასოდეს განიცდიდეს შიშს“.*

მოთხრობა სპილო გაჯენდრაზე

უნდა აკონტროლებდეთ თქვენს ტენდენციას, როცა თქვენ გარეთ იყურებით, ყურადღებას ამახვილებთ სხეულზე მისი მოქმედებებით და გონებაზე მისი აზრებითა და გრძნობებით. ამის ნაცვლად უნდა ავითარებდეთ წმინდა *ატმას* შინაგან ხედვას. ეს არის სწორი ხედვა, ინტეგრალური ხედვა, *სუდარშანა. შრიმად ბჰაგავატამში* ამისი მშვენიერი მაგალითია მოცემული. ეს არის მოთხრობა გაჯენდრაზე, სპილოზე, რომელიც ნიანგმა დაიჭირა. სპილო გაჯენდრას დიდი ეგო ჰქონდა; იგი დარწმუნებული იყო, რომ, ჰქონდა რა უზარმაზარი ძალა, მას ყოველთვის შეუძლია ნიანგის დამარცხება და თავის განთავისუფლება. მაგრამ აქ ორი ფაქტორის ცოდნაა საჭირო: სპილოები ძალიან ძლიერნი არიან მიწაზე, ნიანგები კი ძალიან ძლიერნი არიან წყალში. თუ სპილო წყალში შევა, იგი არ იქნება ისეთივე ძლიერი, ხოლო თუ ნიანგი გამოვა წყლიდან, ისიც ნაკლებად

ძლიერი იქნება, ვიდრე თავის სამყოფელში, წყალში. ამ შემთხვევაში, რამდენადაც ნიანგი წყალში იყო, მან მთელი თავისი დიდი ძალის გამოყენება შეძლო. მაგრამ სპილო გაჯენდრა ძალიან თვითდაჯერებული იყო: ეგოიზმისგან გაიბერა და გრძნობდა, რომ ვერავითარი ნიანგი ვერასოდეს შეედრება ძალაში სპილოს, ტყის ბატონს. მან არ იცოდა, რომ ნიანგი წყალში უფრო ღირსეული მოწინააღმდეგე იქნება წყალში მყოფ სპილოსთვის.

ისინი დიდხანს იბრძოდნენ დაუღალავად; ბოლოს და ბოლოს სპილო დაიღალა. მან დაკარგა როგორც ფიზიკური, ასევე გონებრივი ძალა. იგი თავის ფიზიკურ და გონებრივ შემართებას დაეყრდნო, მაგრამ როდესაც ეს ყველაფერი ამოიწურა, მან ღმერთს ვედრება დაუწყო. სანამ მისი მხედველობა სხეულზე იყო მიმართული, იგი მზერას ღმერთისკენ არ მიმართავდა. სანამ თავის სხეულებრივ და გონებრივ ძალაში იყო დარწმუნებული, ღმერთზე ფიქრი არ ჩნდებოდა, და ღმერთის წყალობა მასზე არ გარდმოვლინდა. მაგრამ როდესაც სპილომ ფიზიკური და გონებრივი ძალა დაკარგა და ღმერთს მიმართა, უფალმა ვიშნუმ მაშინვე გაგზავნა თავისი ბორბალი *სუდარშანა* (*სუდარშანა-ჩაკრა – პურანების* მიხედვით უფალ ვიშნუს ფართოდ ცნობილი მისტიკური იარაღი, რომლისთვისაც წინააღმდეგობის გაწევა არც ერთ ცოცხალ არსებას არ შეუძლია) და გაათავისუფლა იმ კატასტროფისგან, რომელშიაც ის მოხვდა. აქ ნახსენები ბორბალი *სუდარშანა* არის არა უბრალოდ დისკო, რომელსაც უფალი ხმარობს როგორც იარაღს; *სუდარშანა* წმინდა ხედვასთან არის დაკავშირებული. როგორც კი მზერას ღმერთს მიაპყრობთ, ღმერთი მაშინვე თქვენ მოგაპყრობთ თავის მზერას. *სუდარშანას* იმასთან აქვს კავშირი, რომ ღმერთის წყალობა გამოიწვიოს და მისი მზერა თქვენზე მომართოს.

ღმერთსკენ მიმართეთ მზერა
და იხილეთ თქვენი ჭეშმარიტი „მე“

როდის შეძლებთ ღმერთის ხედვის მიღებას, რომელი ღმერთიც მუდამ გჩუქნით წყალობას? მხოლოდ მაშინ, როცა უარს იტყვით თქვენს ყველა ეგოცენტრულ რწმენაზე თქვენი საკუთარი სხეულისა და გონების ძალაში და, როგორც სპილო გაჯენდრამ გააკეთა, ღმერთს მთლიანად დამორჩილდებით, ჩაბარდებით და მზერას მისკენ მიმართავთ.

როცა მზერას *სვამისკენ* მიმართავთ, *სვამი* თქვენკენ მიმართავს თავის მზერას. სვამის რომ მზერა თქვენკენ მიეპყრა, თქვენ კი იმავე დროს მისკენ არ შემობრუნებულიყავით, ვერ შეძლებდით მისი კეთილისმყოფელი მზერის განცდას. ამჟამად მთელი თქვენი ხედვა

სხეულზეა კონცენტრირებული. თუმცა მზის შუქმფენი სინათლე ყველგან იმყოფება, მაგრამ მან ვერ შემოაღწია ოთახში, სადაც თქვენ იმყოფებით. რა არის ამის მიზეზი? ფანჯრები სქელი ფარდებითა და დარაბებით დახურეთ და სინათლის თბილ სხივებს შიგნით არ უშვებთ. როდესაც ფარდებს და დარაბებს გახსნით, მზის სხივმფენი სინათლე თქვენს შინაგან პალატებში შემოვა.

ასეთივე სახით დახურეთ თქვენი ხედვა იჭვნეულობისა და ეგოიზმის დარაბებით, ასევე სხეულებრივი ცნობიერების სქელი ფარდებით, და ამიტომ ღმერთის წყალობის სხივები თქვნს გულში ვერ აღწევს. შეიძლება, ამბობთ: *„ღმერთის წყალობას ვერ ვიღებ“.* მაგრამ როგორ უნდა მიიღოთ, თუ მზერას მისკენ არ მიმართავთ?

აი პატარა ინციდენტი, რომელიც რამდენიმე დღის წინ მოხდა. ერთ სახლში ხნიერი ადამიანი მოკვდა. ცოლ-შვილი მწუხარებით იყო მოცული, და ასე ლოცულობდა:

„უფალო, რატომ ხარ ასეთი სასტიკი? ასე ცოტა კურთხევას რატომ გვაძლევ? რატომ დაგვივიწყე? სვამი, იმის გამო, რომ შენი გულმოწყალების სხივები ჩვენზე არ დაეცა, ეს უზარმაზარი უბედურება მოხდა ჩვენს ოჯახში“.

უცებ მათ ღვთაებრივი ხმა შემოესმათ:

„ეს თქვენ დამივიწყეთ! თქვენ ამბობთ, რომ ღმერთმა დაგივიწყათ, მაგრამ გახსოვთ კი ღმერთი? ამბობთ, რომ ღმერთმა არ მოგაპყროთ მზერა, მაგრამ მომაპყარით მზერა მე?“

თუ ღმერთს არ უყურებთ, მაშინ, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ღმერთს ვერ დაინახავთ. თუ უშუალოდ თქვენ წინაშე ვდგავარ, თქვენ კი უშუალოდ ჩემ წინაშე დგახართ, და ჩვენ ერთმანეთს ვუყურებთ, მაშინ რას დავინახავთ? ვის დაინახავთ ჩემს თვალებში, და ვის დავინახავ თქვენს თვალებში? თვალებში ერთმანეთს დავინახავთ. როცა პირისპირ ვდგავართ, შემიძლია თქვენში ჩემი მზერა დავინახო, თქვენ კი შეგიძლიათ ჩემში თქვენი მზერა დაინახოთ. მაგრამ თუ მიბრუნდით, მაშინ როგორ უნდა დავინახო ჩემი მზერა თქვენში ან როგორ უნდა დაინახოთ თქვენი მზერა ჩემში? ეს შეუძლებელია. ამიტომ ისე დადექით, რომ უშუალოდ ჩემ წინაშე იყოთ და მზერა მე მომაპყროთ.

როდესაც სპილო გაჯენდრამ მზერა ღმერთს მიაპყრო, ღმერთის მზერა მის მზერას შეხვდა, იმიტომ რომ მაშინ ღმერთმა მზერა მას მიაპყრო. როგორც კი ეს მოხდება, ყველა პრობლემა ავტომატურად გადაწყდება.

ქედმაღლობის სპილო
და მიბმულობის ნიანგი

ვინ არის ეს სპილო? ეს თავდაჯერებული სპილო არის ქედმაღლობა და სიამაყე. როდესაც ადამიანი თავდაჯერებითა და სიამაყით არის აღვსილი, მასში სურვილები ჩნდება. სურვილები შეიძლება წყურვილს შევადაროთ. როდესაც ასეთ ამაყ ადამიანს წყურვილი უჩნდება, ის წუთისოფლის წყლებისკენ მიდის დასალევად; იგი შედის *სამსარაში.* სანამ ამ წყლებში მთლიანად შევიდოდეს, მას უკვე მიბმულობა ეუფლება. მიბმულობა და მესაკუთრულობა მძლავრი ნიანგია, რომელიც ძალას გართმევთ და გაიძულებთ, რომ საცოდავად იტიროთ. მანამდე, სანამ *სამსარას* წყლებში შეხვიდოდით, მანამდე, სანამ მრავალი მიბმულობა დაგეუფლებოდათ, ძალიან იშვიათად ტიროდით. მაგალითად, ქორწინებამდე ახალგაზრდა ადამიანი თავს თავისუფლად და მსუბუქად გრძნობს. მაგრამ ქორწინების შემდეგ მიბმულობები მუდამ იზრდება: უნდა იზრუნოს ცოლზე, შვილებზე, მშობლებზე, ცოლის ნათესავებზე და სხვა ნათესავებზე; მალე ეს ისე გამოიყურება, თითქოს მთელი სამყარო დაეუფლა მას და წყლის ქვეშ ითრევს.

როგორც კი ეგოიზმი და სიამაყე გაჩნდება, მათ უმალვე სურვილი მიჰყვება; მალევე ჩნდება მიბმულობები, ხოლო მიბმულობებისგან ყველა ეს ბორკილი ვითარდება. როცა ჩნდება ბორკილები, ამას თქვენი ყურადღება იმდენად გადააქვს, რომ არ შეგიძლიათ ღმერთისკენ მიბრუნება და მისი დანახვა. მას მხოლოდ მაშინ დაინახავთ, როცა ღმერთის მიმართულებით დაიწყებთ ყურებას.

„ამიტომ, არჯუნა, - თქვა კრიშნამ, - *ნუ გახდები ასეთი დამოკიდებულების მსხვერპლი. ნათელი და სუფთა გქონდეს გონება, მზერა მუდამ გქონდეს მიმართული აღმაზე, სამყაროებრივ პრინციპზე, ერთიან ღმერთზე, რომელიც ყველაფერში არსებობს. ასეთი სახის შინაგანი ხედვა განავითარე გონებაში. იმის უფლებას ნუ მისცემ ეგოიზმის სარეველას და სხეულებრივ ცნობიერებას, რომ შენს გულში გაიზარდონ ისინი. ამის ნაცვლად უფლის წყალობის ხე გაზარდე შენს გულში. მზერა ღმერთს მიაპყრე. დაე ეს იყოს შენი ამოცანა. შენს მიზნად აქციე ეს“.*

თავი ოცდამეათე

იმისათვის, რომ თავისუფალნი გახდეთ, გონება ღმერთს მიეცით

მთელი სამყარო სამი გუნასგან (თვისებისგან) შედგება. ეს გუნები ილუზიას შეადგენს. ეს არის სიმკვრივე ანუ ინერცია, მოქმედება ანუ რეაქცია და წონასწორობა ანუ ჰარმონია. სანამ ეს სამი გუნა ადგილსამყოფელს თქვენს გულში ნახულობს, და თქვენს გაგებას აბნელებს, მონობაში რჩებით.

სიყვარულის განხორციელებანო!

ზემოთ დასახელებული *გუნებიდან ტამასი* და *რაჯასი*, ანუ ინერცია და გადაჭარბებული აქტიურობა, წარმოადგენს მწუხარების, უბედურების, უსიამოვნებებისა და პრობლემების მიზეზს, რომლებსაც თქვენ განიცდით. თუ თქვენში ჩნდება აპათია, სიზარმაცე, მოთენთილობა და მძინარობა, თუ ქვეცნობიერად გიპყრობთ შიში, მრისხანება ან სიძულვილი, ეს იმას ნიშნავს, რომ *ტამას-გუნას* კონტროლქვეშ ხართ. ხოლო თუ თქვენში ჭარბად არის ძლიერი სურვილები, გაშმაგებული მოქმედება, მოუთმენლობა, ჟინი, სხვადასხვა სახის ემოციური და ეგოისტური მოქმედებები, მაშინ თქვენ გფლობთ მეორე თვისება – *რაჯას-გუნა*. როდესაც ამ *გუნებიდან* ერთ-ერთი გაკონტროლებთ, თქვენს ჭეშმარიტ ბუნებას ივიწყებთ. ეს *გუნები* ადამიანში ცხოველურ და დემონურ ბუნებას იწვევს. ამიტომ ჯერ უნდა *ტამასის* და *რაჯასის* თვისებები მოიცილოთ თავიდან.

ამოძირკვეთ თქვენში *ტამასის* და *რაჯასის* სარეველა

ფერმერმა, რომელსაც კარგი მოსავლის მიღება სურს, იმით უნდა დაიწოს, რომ სარეველა გამომარგვლოს. სანამ სარეველა მინდორს ფარავს, და მიწიდან საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიას ითვისებს, კარგი მოსავლის მოყვანის შესაძლებლობა არ არის. ამიტომ არასაჭირო მცენარეების მოცილება კარგი მოსავლის მოყვანისთვის არსებით წინაპირობას წარმოადგენს. ასეთივე სახით, თუ გონების განათებას გინდათ მიაღწიოთ, თუ გინდათ გააცნობიეროთ მარადიული „**მე**“-ს ნეტარება, *ატმანანდა*, თქვენი გულის მინდვრიდან უნდა მოიცილოთ *რაჯას-გუნას* და *ტამას-გუნას* ყველა გამოვლინება, რომლებმაც იქ ფესვები გაიდგა სურვილის, მრისხანების, სიხარბის,

ბოროტების, სიძულვილისა და ეჭვიანობის სახით – ადამიანის ექვსი დამღუპველი მტრის სახით. ეს შიდა მტრები *რაჯასისა* და *ტამასის* შვილებია. მათ ილუზიაში ყავხართ ჩაკეტილი, შედეგად არ შეგიძლიათ *ატმას* ნეტარების ნაყოფის მომკა იქამდე, სანამ თქვენში ეს სარეველები იმყოფება.

გიტას პირველი თავი არჯუნას ტანჯვითა და ტირილით არის შევსილი; მისი გული შევსილია *რაჯას-გუნათი* და *ტამას-გუნათი*, რომლებიც არჯუნას უბედურებისა და მწუხარების მიზეზი გახდა. კრიშნა არჯუნას ასწავლიდა, რომ უპირველეს ყოვლისა გულიდან უნდა *ტამას-გუნა* და *რაჯას-გუნა* ამოძირკვოს მთლიანად, რომ შეძლოს სრულად გამოხატოს თავისი ადამიანური ბუნება. მაგრამ იმისათვის, რომ თავისი ჭეშმარიტი, ღვთაებრივი ბუნება გამოხატოს, საჭიროა ის ილუზიის შემადგენელ მესამე *გუნაზე* ზემოთაც კი ავიდეს – ეს არის *სატვა-გუნა*, რომელიც მშვიდი გაწონასწორებულობის თვისებით ხასიათდება, რადგან ესეც შეზღუდვაა, რომელიც თქვენს ღვთაებრივ ბუნებას ძალიან შეუმჩნეველი ვუალით ფარავს. ყველა სამ *გუნას*, ანუ თვისებას, ინდივიდუალურ პიროვნებაში ჰყავხართ ჩაკეტილი; ეს სამი გუნა არ გაძლევთ იმის შესაძლებლობას, რომ თქვენი ღვთაებრივი „**მე**“ სრულად გააცნობიეროთ.

„ყველა სამი გუნა, ტამასი, რაჯასი და სატვა, მე შემომთავაზე, - უთხრა კრიშნამ არჯუნას, - *და გაუბედაობისა და სევდისგან თავისუფალი იქნები და გამარჯვებას მოიპოვებ ამქვეყნად“.*

აი ამის პატარა მაგალითი.

გულმოდგინეთ გაწმინდეთ გული, რომ იქ ღმერთი მიიწვიოთ

თუ სახლში მაღალი სულიერების მქონე ადამიანს იწვევთ, მაგალითად, ბრძენს ან დიდ მასწავლებელს, საჭიროა მოსამზადებელი სამუშაოები ჩაატაროთ: გაასუფთაოთ და მოართოთ სახლი. უნდა ყველაფერი გულმოდგინედ გაასუფთაოთ და წესრიგში მოიყვანოთ მანამდე, სანამ სტუმარი მოვიდოდეს. დიადი ადამიანები არ შევლენ ჭუჭყიან სახლში, რომელშიაც არ არის სიწმინდე. ასეთივე სახით, თუ თქვენს სოფელში გუბერნატორი ან მინისტრი მიიპატიჟეთ, გზებს გაასუფთავებთ და მორთავთ და ყველაფერი სრულ მზადყოფნაში გექნებათ იმისათვის, რომ პატივცემული სტუმარი მიიღოთ. და მაშინაც კი, თუ ეს სტუმარი დროებით ასეთ თანამდებობას იკავებს, დიდ მზრუნველობას გამოიჩენთ, გულმოდგინედ დაალაგებთ სახლს და შესაბამისად მოემზადებით, რომ ის ჯეროვნად მიიღოთ.

თუ ასეთ ძალისხმევას იჩენთ იმისათვის, რომ საერო ოფიციალური პირი მიიღოთ, მაშინ რამდენად უფრო მეტი ძალისხმევის გამოჩენა

გჭირდებათ იმისათვის, რომ სახლში თვით სამყაროს შემქმნელი და მფარველი მიიწვიოთ? ცხადია, როცა ღმერთს თქვენს გულში იწვევთ, გულმოდგინედ უნდა გაწმინდოთ იგი. როდესაც თქვენი გული წმინდა გახდება, ღმერთი სიხარულით დამკვიდრდება მასში. კრიშნამ თქვა:

„არჯუნა, დღემდე შენი ეტლის მეეტლედ მიმიჩნევდი, მაგრამ უნდა მიმიღო როგორც შენი ცხოვრების მეეტლე! ეტლში დასაჯდომი გულმოდგინედ არის გაწმენდილი და მორთული ჩემთვის. ახლა დაფიქრდი, რამდენად უფრო სუფთა და მშვენიერი უნდა იყოს შენი გული იმისათვის, რომ ის ჩემი ადგილსამყოფელი გახდეს და რომ შენი ცხოვრების მეეტლედ გახდომა მოვისურვო“.

როცა მიწაზე ჯდომა გიხდებათ, უპირველეს ყოვლისა ხალიჩას, გაზეთს ან ცხვირსახოცს იფენთ და მათზე ჯდებით. თუ თქვენი სხეულის ადგილისთვის ასე ზრუნავთ, რომელი სხეულიც საბოლოო ჯამში მხოლოდ დროებითია და უსუფთაობებით არის სავსე, მაშინ რამდენად უფრო მეტად უნდა ზრუნავდეთ, როცა ღმერთს თქვენი გულის წმიდათაწმიდა ადგილას იწვევთ.

სანამ ორი *გუნა, რაჯასი* და *ტამასი,* იკავებს თქვენს გულს, იგი უსუფთაო რჩება. ეს ორი *გუნა* მუდამ ბილწავს და აჭუჭყიანებს გულს. სანამ ის უსუფთაოა, ღვთაება არ შევა თქვენს გულში; ვერ შეძლებთ, რომ გააცნობიეროთ მისი იქ ყოფნა. ამიტომ უპირველეს ყოვლისა უნდა გამოაძევოთ *ტამას-გუნა*, შემდეგ კი *რაჯას-გუნა*. მაშინ თქვენს გულში *სატვა-გუნას* თვისებები გაბრწყინდება. დაიწყეთ ახლა, ყველა შესაძლო მცდელობა აკეთეთ, რომ თქვენი გულიდან უსუფთაობის ყველაზე პატარა ნაწილიც კი გამოაძევოთ. აი ამის პატარა მაგალითი.

ერთგულება, სიბრძნე და არამიბმულობა სისუფთავეს დაიცავს თქვენში

ჩვენს დროში, როცა მანდილოსნები პიკნიკზე ან ექსკურსიაზე მიდიან, თან მიაქვთ სარკე, სავარცხელი და ცხვირსახოცი. რატომ მიაქვთ თან ეს სამი რამ? სავსებით შესაძლებელია, რომ გზაში თმა აიწეწოს; იმისათვის, რომ თმა კვლავ წესრიგში მოიყვანოთ, თქვენ სავარცხელი მიგაქვთ თან. დასარწმუნებლად, რომ თმა წესრიგშია, სარკე მიგაქვთ. სახის გასაწმენდად კი ცხვირსახოცი მიგაქვთ. თუ ამ საგნებიდან ერთ-ერთის წაღება დაგავიწყდებათ, მაშინ თქვენს გარეგნობას კარგ მდგომარეობაში ვერ მოიყვანთ. ამიტომ სავარცხელი, სარკე და ცხვირსახოცი აუცილებელია იმისათვის, რომ სალუქად გამოიყურებოდეთ.

ასეთივე სახით, თუ გულის დარღვეული სილამაზის გამოსწორება გინდათ, რაღაც საშუალებები უნდა იხმაროთ. სარკეში შეგიძლიათ დაინახოთ, აგეწეწათ თუ არა თმა. თქვენი ერთგულების დახმარებით,

რომელიც მოქმედებს როგორც სარკე, შეგიძლიათ დაინახოთ, აღელვებულია თუ არა თქვენი გული. სარკე სუფთა უნდა იყოს. თუ სარკე სუფთაა, შეგიძლიათ დაინახოთ, სუფთაა თუ არა გული და გონება. როდესაც აცნობიერებთ, რომ თქვენი გული აღელვებულია, ეს უნდა გამოასწოროთ; ამ მიზნისთვის კი გესაჭიროებათ სავარცხელი, სახელდობრ კი, სიბრძნის სავარცხელი. სიბძნე ასუფთავებს გულს და წესრიგისა და სილამაზის მდგომარეობაში აბრუნებს მას. ამის შემდეგ ისევე, როგორც ცხვირსახოცს ხმარობთ, რომ სახიდან ჭუჭყი ჩამოიწმინდოთ, საჭიროა გონება არამიბმულობის ცხვირსახოცით მტვრისაგან გაწმინდოთ. არამიბმულობის დახმარებით შეგიძლიათ თქვენს გონებაში დაგროვილი ჭუჭყი ჩამოიწმინდოთ. ისევე, როგორც მგზავრობის დროს თან მიგაქვთ სამი საგანი – სარკე, სავარცხელი და ცხვირსახოცი, - მუდამ თან უნდა გქონდეთ ერთგულება, სიბრძნე და არამიბმულობა, რომ გული და გონება სისუფთავეში გქონდეთ.

რაჯას-გუნას დამახასიათებელი ნიშნები

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ *ტამას-გუნაზე*, მოდით ახლა *რაჯას-გუნას* დამახასიათებელი ნიშნები განვიხილოთ. *რაჯას-გუნათი* აღვსილი ადამიანი ყოველთვის და ყველაფერში იჩქარებს; მას არა აქვს არც მოთმინება, არც თავდაჭერილობა: იგი სიმშვიდეში ერთი წუთითაც კი ვერ ჩერდება და ყოველთვის გაღიზიანებულია. და არა მარტო ეს, მას ასევე განუსაზღვრელი სურვილები აქვს. ეს ყველაფერი *რაჯას-გუნას* დამახასიათებელი ნიშნებია. ეს განსაკუთრებით ნათელი ხდება ცხოველებთან შედარებისას ზოოპარკში, იქნება ეს მაიმუნი, ვეფხვი თუ მელა, - ისინი ერთი წუთითაც კი ვერ რჩებიან სიმშვიდეში და წონასწორობაში. ამის მიზეზი იმაშია, რომ მათში უზომოდ არის განვითარებული *რაჯას-გუნა*.

როდესაც *რაჯას-გუნა* ადამიანის გულში შედის, მისი სხეული და გონება მერყევი ხდება; იგი მოუსვენარი იქნება. ეს მას არა მარტო მერყევს ხდის; მას აგრეთვე მცდარობაში შეჰყავს იგი. როგორც კი მცდარობაში ვარდება, მას სხვადასხვა საგნების დაუფლების ძლიერი სურვილი უჩნდება. როგორც კი მის გულში ეს სურვილები ვლინდება, იგი ამ საგნების მოპოვებისთვის საჭირო მოქმედებებს იწყებს. როგორც ხედავთ, მცდარობა, სურვილები და მოქმედებები არის სამი ძირითადი თვისება, რომელიც *რაჯას-გუნას* დამახასიათებელ ნიშნებს წარმოადგენს.

სწორედ *რაჯას-გუნას* გამო ვერ ჩერდებით ერთ ადგილზე. მაგალითად, თუ გარკვეულ ადგილას ზიხართ, გრძნობთ, რომ არ შეგიძლიათ სიმშვიდის მდგომარეობაში დიდხანს დარჩენა; სხეულის რომელიმე ნაწილი ყოველთვის იმოძრავებს. ეს შეიძლება შევადაროთ

პიპალის (Peepal) ხეს. სულ მცირე ნიავიც კი თუ არ არის, ამ ხის ფოთლები მაინც მუდამ მოძრაობაშია. იგივე ეხება ცხენსაც. სიტყვა „ცხენი“ სანსკრიტულ ენაზე არის „ის, რაშიც არ არის ურყეობა“. როცა არ უნდა შეხედოთ ცხენს, მისი რომელიმე ნაწილი ყოველთვის მოძრაობაშია, იქნება ეს თავი, კუდი თუ ფეხები. აი ძველ მსხვერპლად შეწირვას, რომელსაც ჰქვია *ამვამედჰა-იაჯნა*, ანუ ცხენის მსხვერპლად შეწირვა, რატომ აღწერდნენ როგორც გონების დამშვიდების საშუალებას.

მოიცილეთ ყველა სამი *გუნა* და გათავისუფლებას მიაღწევთ

რაჯას-გუნას თვისებების მაგალითს წარმოადგენს რავანა, დემონთა მეფე. *ტამას-გუნას* თვისებების მაგალითს წარმოადგენს კუმბაკარნა, კიდევ ერთი დემონი ძველი თქმულებებიდან, რომელსაც ათობით წელიწადი ეძინა. ვიბჰიშანა *სატვა-გუნას* მაგალითს წარმოადგენს; ისიც დემონთა ოჯახიდან იყო, მაგრამ მან მართლქმედების მხარე აირჩია და რამას მიანდო თავი. სამივე – რავანა, კუმბაკარნა და ვიბჰიშანა – ძმები არიან. თუ გულში რავანას და კუმბაკარნას შეუშვებთ, ისინი დაუსრულებელ ბოროტებასა და უბედურებასთან მიგიყვანენ.

თუ გათავისუფლების სამეფოში გინდათ შესვლა, მაშინ სამივე უნდა მოიცილოთ გულიდან. ისინი ერთსა და იმავე ოჯახს ეკუთვნის, და მათ შორის ძმური ურთიერთობები არსებობს. აი რატომ გასწავლით *ვედანტა*, რომ სამივე *გუნაზე* მაღლა ახვიდეთ და ისინი შივას შესთავაზოთ, რომელიც სამი თვალით დააკვირდება და სამკბილას მეშვეობით უშიშარყოფს მათ.

ყველაზე უკეთ როგორ უნდა მოიცილოთ *გუნები?* თუ ფეხში ეკალი შეგესობათ, დიდი ბასრი დანა არ დაგჭირდებათ იმისათვის, რომ ეკალი მოიცილოთ; უბრალოდ იღებთ სხვა ეკალს და პირველს იცილებთ. როდესაც ეს გაკეთებულია, ორივე ეკალს გადაყრით, და მათ ერთმანეთისგან არ ასხვავებთ. ასეთივე სახით უნდა მოიცილოთ *ტამას-გუნა რაჯას-გუნას* დახმარებით. ამის შემდეგ *რაჯას-გუნა* უნდა მოიცილოთ *სატვა-გუნას* დახმარებით. საბოლოო ჯამში *სატვა-გუნაზეც* უნდა თქვათ ასევე უარი. სანამ ღმერთის გაცნობიერების სამეფოში შეხვიდოდეთ, სამივე *გუნა* უნდა მოიცილოთ. თუ ერთი *გუნა* დარჩება, იგი გათავისუფლების სამეფოს გარეთ გაგაჩერებთ. აი კრიშნამ ანდერძად რატომ დაუდო არჯუნას სამივე *გუნას* დაძლევა. კრიშნამ არჯუნა გააფრთხილა, რომ მაქსიმალური ძალისხმევა უნდა გამოიჩინოს, და უაღრესად ფრთხილი იყოს, რომ სამივე *გუნა* სამუდამოდ მოიცილოს.

კრიშნამ *გუნების* სხვადასხვა თვისებები აჩვენა არჯუნას და ასწავლა, როგორ უნდა ასულიყო მათ ზემოთ; ასეთი სახით გარდაქმნა კრიშნამ არჯუნა ჭეშმარიტად ბრძენ ადამიანად. სამი *გუნას* პირველმიზეზს გონება წარმოადგენს. შეუძლებელია ადამიანური ბუნების ზემოთ ასვლა და თქვენი ღვთაებრივი ბუნების გაცნობიერება, სანამ თქვენი გონება მერყეობას არ შეწყვეტს და არ დამშვიდდება. ამიტომ უპირველეს ყოვლისა თქვენი გონება უფალს უნდა შესთავაზოთ. მას შემდეგ, რაც გონება მთლიანად მიეცით მას, ღმერთი ყველაფერში თქვენზე იზრუნებს. აი ამის საილუსტრაციო პატარა მაგალითი.

მეფე ჯანაკას განცდა თვითშემეცნებისკენ მის სწრაფვაში

ერთხელ მეფე ჯანაკამ თავისი სამეფოს ადამიანებს შემდეგი რამ აუწყა:

„თქვენ შორის თუ არის დიდი სწავლული, პანდიტი, მაჰატმა, იოგი, მაჰარიში, ბრძენი, ვინც არ უნდა იყოს, მოვიდეს და ატმას ცოდნა მომცეს“.

თავის გზავნილში მან თქვა, რომ იმედოვნებს მიაღწიოს *ატმა-ჯნანას*, თვითშემეცნებას, რამდენიმე წუთის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მას შესაბამისი სახით მისცემენ ინსტრუქციას: სანამ უნაგირზე დაჯდებოდეს, *ატმა-ჯნანა* უნდა მიიღოს. მან თქვა:

„თუ ადამიანი, რომელიც ატმა-ჯნანას შესწავლას შემომთავაზებს, ვერ შეძლებს ამ ამოცანის შესრულებას – მომცეს გაბრწინების მყისიერი განცდა, - მაშინ მას ჩემი სამეფოდან გავაძევებ მაშინაც კი, თუ იგი უდიდესი სწავლულია მთელ დედამიწაზე“.

რა თქმა უნდა, *პანდიტები* და *რიშები* ასეთი განცხადებით ცოტაოდენ შეშინებულნი იყვნენ. მათ გაიგეს, რომ ეს მათი სწავლულობისა და ცოდნის მკაცრი გამოცდა იქნება, და ამიტომ მათგან ვერავინ შესთავაზა თავისი თავი, რომ მეფისთვის ესწავლა, და მის მიერ წაყენებული პირობები შეესრულებინა.

ამ დროს ბიჭი სახელად აშტავაკრა შევიდა ამ სამეფოში. სატახტო ქალაქ მიტილაპურისკენ მიმავალ გზაზე მას რამდენიმე ადამიანი შემოხვდა, მათ შორის სწავლულები და *პანდიტები*; მათ მოგრძო ფიზიონომიები ჰქონდათ, ისინი შეშფოთებულნი და დამწუხრებულნი იყვნენ. აშტავაკრამ ჰკითხა, რა იყო მათი მღელვარებისა და მწუხარების მიზეზი. მათ აუხსნეს, რაც მოხდა. მაგრამ აშტავაკრას ვერ გაეგო, ასეთმა უბრალო საქმემ რატომ შეაშინა ისინი. მან თქვა:

„სიამოვნებით გადავწყვეტ ამ პრობლემას მეფისთვის“.

ამას რომ ამბობდა, იგი უშუალოდ მეფე ჯანაკას ეზოში შევიდა. მან მეფეს ასეთი სახით მიმართ:

„პატივცემულო მეფეო, მზად ვარ ატმას ცოდნა გასწავლო. შენი სასახლე ტამას-გუნათი და რაჯას-გუნათია სავსე. ჩვენ უნდა აქედან წავიდეთ იქ, სადაც სუფთა სატვა იმყოფება“.

მაშ ასე, ისინი სასახლიდან წავიდნენ და იმ გზას გაუდგნენ, რომელიც ქალაქიდან ტყისკენ მიდიოდა. მათ თან რამდენიმე ცხენი წაიყოლეს და, როგორც ჩვეულება მოითხოვდა, მეფეს უკან არმია მიჰყვებოდა; მაგრამ როდესაც ტყეს მიუახლოვდნენ, ჯანაკამ ნება არ მისცა არმიას, რომ ამის შემდეგ მას მიჰყოლოდა.

აშტავაკრა და ჯანაკა ტყეში შევიდნენ. აშტავაკრამ მეფე ჯანაკას უთხრა:

„ატმას ცოდნას არ გასწავლი, თუ ჩემს პირობებს არ მიიღებ. მართალია, ძალიან ახალგაზრდა ვარ, მაგრამ მოძღვრის მდგომარეობაში ვიმყოფები, რადგან უნდა გასწავლო; და თუმცა ყოვლისშემძლე იმპერატორი ხარ, მაგრამ მოსწავლის მდგომარეობაში ხვდები, რამდენადაც ჩემგან სწავლას აპირებ. მზად ხარ თუ არა მიიღო ასეთი ურთიერთობები? თუ თანახმა ხარ, მაშინ უნდა შემომთავაზო ტრადიციული საჩუქარი გურუსთვის – გურუდაქშინა, რომელსაც შიშია, მოსწავლე, სთავაზობს თავის გურუს. მხოლოდ მას შემდეგ, როცა ამ ძღვენს შემომთავაზებ, სწავლებას დავიწყებ“.

მეფე ჯანაკამ აშტავაკრას უთხრა:

„ღმერთს მიღწევა ჩემთვის ყველაფერზე უფრო მნიშვნელოვანია, ამიტომ მზად ვარ მოგცე აბსოლუტურად ყველაფერი, რასაც მოინდომებ, ჩემი გვირგვინის ან თვით სამეფოს ჩათვლითაც კი“.

მაგრამ აშტავაკრამ უპასუხა:

„არ მჭირდება შენგან მატერიალური საგნები; ის ყველაფერი, რაც მინდა, ეს არის შენი გონება. უნდა შენი გონება მომცე“.

მეფემ უპასუხა:

„კარგი. ჩემს გონებას გთავაზობ. დღემდე ვთვლიდი, რომ ეს ჩემი გონებაა, მაგრამ ამ მომენტიდან ის შენია“.

ჯანაკა თვითრეალიზაციას იღებს

აშტავაკრამ ჯანაკას უბრძანა, რომ ცხენიდან ჩამოსულიყო და ის გზასთან დაეტოვებინა, შემდეგ დამჯდარიყო გზის შუაგულში, თვითონ კი ტყეში წავიდა და ხის ქვეშ ჩუმად დაჯდა. ჯარისკაცები დიდხანს უცდიდნენ, მაგრამ არც მეფე, არც აშტავაკრა ტყიდან არ ბრუნდებოდნენ, თუმცა მეფის სადილის დრომ კარგახნის წინ გაიარა. რამდენადაც ოფიცრებს და ჯარისკაცებს უყვარდათ მეფე და ისინი მისი ერთგულნი იყვნენ, ღელავდნენ, რა დაემართათ მათ. ამიტომ

ერთიმეორის მიყოლებით გაემართნენ მეფე ჯანაკასა და ბიჭის საძებნელად, და გრძნობდნენ, რომ კარგად ვერ არის საქმე.

ტყისკენ მიმავალ გზაზე გახარებულებმა გზის შუაგულში მჯდარი მეფე დაინახეს. მის გვერდით მისი ცხენი იდგა. მეფეს თვალები დახუჭული ჰქონდა, და იგი უძრავი იყო. ბიჭი აშტავაკრა არ ჩანდა. ოფიცრებმა მეფეს მიმართეს, მაგრამ ის ჩუმად იყო. მაშინ მათ შეეშინდათ, რომ აშტავაკრამ მეფე რაღაც მაგიური შელოცვით მოაჯადოვა, რის გამოც მეფემ ცნობიერება დაკარგა. ისინი პრემიერ-მინისტრის დასაძახებლად წავიდნენ.

პრემიერ-მინისტრი მოვიდა. მან მეფეს მიმართა: *„მეფეო! მეფეო! მეფეო!“* მაგრამ ჯანაკა თვალს არ ახელდა; იგი უძრავად იჯდა. პრემიერ-მინისტრს შეეშინდა. ახლა უკვე სასახლის ყველა ოფიციალურ პირს შეეშინდა: მეფე ძალიან პუნქტუალური იყო, იგი ყოველთვის ერთ და იმავე დროს სადილობდა. სადილის დრომ დიდი ხნის წინ გაიარა, მაგრამ მეფე ჯერაც არ განძრეულა. მთელი დღე ასე გრძელდებოდა; მოსაღამოვდა, მაგრამ მეფეს პოზა არ შეუცვლია: იგი უძრავად იჯდა გზაზე.

პრემიერ-მინისტრმა იგრძნო, რომ სხვა გამოსავალი არ იყო, და ეტლი უკან ქალაქში გააგზავნა, რომ დედოფლები მოეყვანათ; ფიქრობდნენ, რომ თუ დედოფლები დაელაპარაკებოდნენ, იგი უეჭველად უპასუხებდა; დედოფლები მოვიდნენ. მათ მეფეს მიმართეს: *„მაჰარაჯა! მაჰარაჯა!“* მეფე არ იძვროდა, მისი მხრიდან არავითარი რეაქცია არ ყოფილა. ამასობაში ჯარისკაცები აშტავაკრას საძებნელად წავიდნენ ტყეში, ბოლოს და ბოლოს მათ იპოვეს იგი ხის ქვეშ ღვთაებრივ ექსტაზში მყოფი.

დაცვის ჯარისკაცებმა დაუძახეს მას, ისინი თავიანთ კითხვებზე პასუხს ითხოვდნენ. აშტავაკრა თავის თავში ჩაძირვის ნეტარი მდგომარეობიდან გამოვიდა. ისინი ემუდარებონენ მას, რომ წასულიყო იმ ადგილას, სადაც მეფე იმყოფებოდა. აშტავაკრამ ჰკითხა მათ:

„ასე რატომ ღელავთ? მეფე უვნებლად არის და ყველაფერი წესრიგშია“.

მაგრამ ისინი არ ჩერდებოდნენ. მათ გზაზე მჯდარ მეფესთან მიიყვანეს იგი. მეფეს თვალები დახუჭული, სხეული კი სრულ სიმშვიდეში ჰქონდა. დაცვის ჯარისკაცებმა თქვეს: *„აი თვითონ შეხედე, რა დაემართა მეფეს!“* აქამდე, სანამ მეფეს ეძახდნენ პრემიერ-მინისტრი ან სხვა მინისტრები, დედოფლები, სასახლის ოფიციალური პირები ან უბრალო ადამიანები, იგი არ ეხმიანებოდა და თვალს არ ახელდა. მაგრამ აი აშტავაკრა მეფეს მიუახლოვდა და დაელაპარაკა. მეფე ჯანაკამ მაშინვე გაახილა თვალები და თქვა: *„სვამი!“*

აშტავაკრამ მეფეს კითხვა დაუსვა:

„აქ მოდიოდნენ მინისტრები, ჯარისკაცები, მრავალი სხვა ადამიანი მოდიოდა; რატომ არ პასუხობდი მათ თხოვნას?“

ჯანაკამ უპასუხა:

„აზრები, სიტყვები და საქმეები გონებასთან არის დაკავშირებული, მე კი გონება მთლიანად შენ მოგეცი. ამიტომ, სანამ ჩემს გონებსს ვიხმარდე, შენი ნებართვა მჭირდება. რა უფლება მაქვს ვინმეს ველაპარაკო ან როგორღაც სხვა სახით ვიხმარო გონება? შენი ნებართვისა და ბრძანების გარეშე არ ვაპირებ რაიმეს კეთებას“.

მაშინ აშტავაკრამ უთხრა:

„შენ თვითრეალიზაციის მდგომარეობას მიაღწიე“.

თვითშემეცნებისთვის საჭიროა გონებაზე მთლიანად თქვათ უარი

აშტავაკრამ ჯანაკას უბრძანა ერთი ფეხი უზანგში გაეყარა და ცხენზე შემჯდარიყო. როგორც კი ცხენზე შეჯდა და მეორე ფეხი უზანგში გაუყარა, მან თავის თავში *ატმა* განიცადა. როდესაც ადამიანი უფალს სთავაზობს გონებას, მასთან ერთად კი სიტყვებს, საქმეებსა და აზრებს, მაშინ მას არ ექნება არც ძალა, არც რაიმე მოქმედების შესრულების უფლება იმის ნებართვის გარეშე, ვისაც მან საკუთარი ნება მისცა. ის, რაც აშტავაკრასა და ჯანაკას გადახდათ, კრიშნასა და არჯუნას გადახდათ. კრიშნამ არჯუნას უთხრა:

„არჯუნა, ყველაფერი მე შემომთავაზე. ყველა შენი მოქმედება მომეცი. მე ვიზრუნებ შენზე და გათავისუფლებისკენ წაგიყვან“.

მან არჯუნას უბრძანა, რომ მისთვის შეეთავაზებინა თავისი *დჰარმები* – თავისი ფიზიკური, მენტალური და ამქვეყნიური მოვალეობები, თავისი სხვადასხვაგვარი მოქმედებები, აზრები და სიტყვები იმისთვის, ვინც შიგნიდან გატარებთ: *„ეს ყველაფერი მე შემომთავაზე!“*

მაგრამ შეიძლება ეჭვი გაგიჩნდეთ: თუ ყოველგვარ *დჰარმაზე* იტყვით უარს და ყველაფერს უფალს გადასცემთ, მაშინ თქვენ რისი კეთება გრჩებათ? გათავისუფლების სურვილიც კი თავისებური *დჰარმაა.* შეიძლება ფიქრობდეთ:

„თუ ყველაფერს უფალს შევთავაზებ, მაშინ მოკშას (გათავისუფლების) სურვილიც კი არ დამრჩება“.

მაგრამ ჭეშმარიტი აზრი იმაშია, რომ უფალი ტვირთს მოგაცილებთ, რომ შეგეძლოთ მიზანდასახულად მოძრაობდეთ ერთადერთი მიზნისკენ, რომლის მიღწევაც წარმოადგენს ცხოვრების ერთადერთ აზრს, - თვითრეალიზაციას.

თქვენ მიერ მიღებული მთელი განათლება, მთელი ცოდნა, რომლისკენაც ისწრაფვით, - ეს ყველაფერი სამ *გუნასთან* არის

დაკავშირებული. როდესაც ამ სამ *გუნას* დაძლევთ, თქვენ მიაღწევთ თვითრეალიზაციას – *აღმა-ჯნანას.* როდესაც ქორწილის ზეიმი ტარდება, ახალგაზრდებს კურთხევას აძლევენ, რომ ისინი *დჰარმას, ართჰის* და *კამას* ერთად გადიოდნენ. ეს არის ადამიანური ცხოვრების ოთხი მთავარი მიზნიდან სამი. *დჰარმა* დაკავშირებულია ვალთან, ვალდებულებებთან და მდგომარეობასთან; *ართჰი* დაკავშირებულია სიმდიდრის დაგროვებასთან; *კამა* კი – შთამომავლობისა და მოდგმის გაგრძელების ქონის სურვილთან. ისინი ამქვეყნიური ცხოვრების გამოსახვაა. მაგრამ არის კიდევ ცხოვრების მეოთხე მიზანი. ეს არის საბოლოო და ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი – *მოკშა*, ანუ გათავისუფლება. მეოთხე მიზანი სულიერ ცხოვრებას განეკუთვნება. ყველა ამ ოთხ მიზანს ერთად ჰქვია *პურუშაართჰი* (*პურუშაართჰი* სითყვასიტყვით ნიშნავს „ცხოვრებისეულ ღირებულებას“). მაგრამ პირველი სამი მიზანი, ერთად აღებული, არ შეიძლება ჩაითვალოს მეოთხის – გათავისუფლების – ტოლად. უფალს შესთავაზეთ პირველ სამთან დაკავშირებული ყველა თქვენი პატარა მოქმედება, და გაცვალეთ ისინი ერთ დაუფასებელ განძზე, რომელსაც უფალი გაძლევთ სანაცვლოდ, სახელდობრ კი, მეოთხე მიზანზე – გათავისუფლებაზე. განვიხილოთ შემდეგი მაგალითი.

ინდოეთის ფულად სისტემაში პაისა ყველაზე პატარა ფულადი ერთეულია. ეს არის პატარა ლითონის მონეტა. 100 პაისა უდრის ერთ რუპიას; 100 რუპია 10000 პაისას უდრის. ამ 10000 პაისას ტარება რომ დაგჭირვებოდათ, ეს იქნებოდა ძალიან დიდი და მძიმე შეკვრა. ასევე ძნელი იქნებოდა ასეთი მონეტებით სავსე დიდი ტომრის დამალვა ან დაცვა. ეს 10000 მონეტა ქსოვილის პატარა ნაჭერში რომ ჩაგეყარათ, მალე ქსოვილი გაიხეოდა და მონეტები გადმოიყრებოდა.

ამიტომ კრიშნამ არჯუნას უთხრა:

„არჯუნა, 100 რუპიის ბანკნოტს მოგცემ, შენ კი მთელი ეს 10000 პაისას ხურდა ფული მომეცი. 100 რუპიის ეს ერთი ბანკნოტი და ეს 10000 პაისი ერთმანეთის ტოლია, მაგრამ რა დიდი განსხვავებაა წონაში. ასევეა სხვადასხვა სახის წვრილმანი ვალდებულებების შემთხვევაშიც, რომლებიც შენ გამძიმებს. მთელი ეს 10000 დჰარმა მე შემომთავაზე; მე კი ერთ 100 რუპიის ბანკნოტს მოგცემ და ტვირთს შეგიმსუბუქებ“.

მთელი თქვენი სხვადასხვა სახის სურვილები და ნდომები, მთელი თქვენი პრობლემები შეიძლება პაისებს შევადაროთ. როდესაც ამდენი სურვილები გაქვთ, თუ მათ ერთად არ დააწყობთ, ისინი არ გაუტოლდება ერთი რუპიის ბანკნოტს. კრიშნამ თქვა:

„არჯუნა, მთელი ეს პატარა სურვილები ვერასოდეს შეედრება იმ წყალობას, რომელსაც მე გაძლევ. მაშ მომეცი ისინი“.

ასეთი სახით შეძლო ჯანაკამ გათავისუფლების მიღწევა, როცა მთელი თავისი გონება, აზრები, მოქმედებები და მეტყველება აშტავაკრას შესთავაზა.

გონება უფალს შესთავაზე

ამ ყველაფრის აზრი იმაშია, რომ როდესაც გონებას უფალს შესთავაზებთ, თქვენ ხდებით *ამანასკა*, რაც ნიშნავს „გონების გარეშეს“. იმის უფლებას ნუ აძლევთ გონებას, რომ სურვილებს მიჰყვებოდეს. მთელი თქვენი სურვილები უფლის ლოტოსის ტერფებთან დააწყვეთ და მხოლოდ მის ხელმძღვანელობას დაემორჩილეთ. თუ გაქვთ გონება, თქვენ განიცდით სიამოვნებებსა და გულისტკივილს, სიხარულსა და მწუხარებას და ყველა სხვა დაპირისპირებულობათა წყვილს. თუ გინდათ, რომ დაპირისპირებულობათა ამ წყვილებს თავი დააღწიოთ და ყველაფერს ერთნაირად მოეპყროთ, გონება უფალს უნდა შესთავაზოთ. აი *ვედანტაში* რატომ არის ნათქვამი, რომ გონება თავისუფლების ან მონობის მიზეზია. სანამ გონებას ინარჩუნებთ, *რაჯას-გუნა* და *ტამას-გუნა* მოსვენებას არ მოგცემთ. და სანამ ეს *გუნები* გფლობენ, თქვენში არ იქნება ურყეობა. რატომ არის გონება ასეთი მერყევი, რატომ დახტის აქეთ-იქით? სურვილების გამოა ეს. მთელი ეს სურვილები სხეულთან არის დაკავშირებული.

ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ ჭურჭელში ცოტა წყალი ჩაასხით; როცა ჭურჭელი მოძრაობს, წყალიც მოძრაობს. თუ ჭურჭელი მშვიდად არის, მაშინ წყალიც მშვიდად იქნება. უძრავ წყალში თქვენი სახის დანახვა შეგიძლიათ. თუ წყალი მოძრაობაშია, თქვენი სახე გადღაბნილი და გაურკვეველი იქნება. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ თუ გინდათ სიმშვიდის მდგომარეობაში შესვლა მედიტაციაში და თქვენი ჭეშმარიტი „**მე**“-ს (თვითმყოფელობის) ხედვის მიღება, სხეული მშვიდი უნდა იყოს. სხეული ჭურჭლის მაგვარია; გონება შეიძლება შევადაროთ მის შიგნით არსებულ წყალს: თუ სხეული მოძრაობს, – რაც ჭურჭლის მოძრაობის მაგვარია – გონება შიგნით ასევე მოძრაობაში იქნება. ამიტომ, თუ გინდათ გონება სიმშვიდეში გააჩეროთ, სხეული უნდა გააჩეროთ სიმშვიდეში. როდესაც ყურადღებას აპყრობთ იმას, რა ბევრს მოძრაობს თქვენი სხეული, დაფიქრდით, რამდენად უფრო მეტად მოძრაობს გონება.

თუ წყალში ქვას ჩააგდებთ, ჭავლი გაჩნდება. წყალზე ქვის დაცემით გაჩენილი ეს ჭავლი ან ტალღები მალე ჭის ნაპირამდე გავრცელდება. ასევეა აზრიც: როგორც კი ის თქვენი გონების ჭაში შევა, მაშინვე მთელ სხეულში გავრცელდება. ანუ როგორიცაა თქვენი აზრები, ასეთივე იქნება მომდევნო მოქმედებებზე მათი გავლენა.

ამრიგად, გონებაში უნდა ყოველთვის გქონდეთ კარგი, პოზიტიური აზრები, და მაშინ გულში კარგი გრძნობები გექნებათ. თუ თავში ნეგატიური აზრები მოგდით, მაშინ, რაც არ უნდა დაინახოთ, რაც არ უნდა მოისმინოთ, რაზეც არ უნდა ლაპარაკობდეთ და სადაც არ უნდა იყოთ, ეს ნეგატიური აზრები ნეგატიურ მოქმედებებთან მიგიყვანთ, რაც თავის მხრივ სამწუხარო შედეგებს მოიტანს.

დაამშვიდეთ გონება და სხეული

როდესაც ზიხართ, თქვენი წარმოსადეგობა გამართული უნდა იყოს, და არა მოხრილი, როგორც მოხუცს აქვს. მშვიდად და წელში გამართულად უნდა იჯდეთ. მაგრამ არ უნდა ვარდებოდეთ უკიდურესობაში, როცა თავაწეული ხართ; თავს აქეთ-იქით არ უნდა აქნევდეთ. მედიტაციისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ვერტიკალურ მდგომარეობაში იჯდეთ. წარმოიდგინეთ ვერტიკალური ხაზი, რომელიც გადის თხემიდან პირდაპირ *მულადჰარას ჩაკრასკენ* – ხერხემლის სულ ქვედა ნაწილში დაფარული ენერგიის ცენტრამდე. ამ შემთხვევაში მთელი ხერხემალი სწორი იქნება. მაშინ *კუნდალინის* ძალა შეძლებს შეუფერხებლად მოძრაობას *მულადჰარაში* სპირალურად დახვეული მდგომარეობიდან *საჰასრარასკენ* – უმაღლესი ცენტრისკენ თხემზე.

ამიტომ სხეული მშვიდ და გამართულ მდგომარეობაში გეჭიროთ. თუ ის ახალგაზრდობიდანვე მოხრილია, მაშინ იმ დროისთვის, როცა მოხუცდებით, სულ მთლად მოიხრებით. თავი, კისერი და ტორსი სწორ მდგომარეობაში უნდა იყოს. ეს უაღრესად მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის, აგრეთვე ერთგულებისთვის. ამიტომ ამაზე ხშირად ვილაპარაკებ.

საერთოდ, რისთვის სწავლობთ? რა არის თქვენი სწავლების მიზანი? ჭეშმარიტად, იმისათვის სწავლობთ, რომ გონება და სხეული დაამშვიდოთ. ბევრი არ უნდა იმოძრაოთ, გარდა იმ დროისა, როცა თამაშობთ; მაშინაც კი, როცა ლაპარაკობთ ან მღერით, სიმშვიდეში უნდა იყოთ. ასეთი სახით, ბავშვობდანვე შეიძლება ისწავლოთ სხეულის კონტროლზე აყვანა; სხეული ძალიან გამოგადგებათ როგორც ინსტრუმენტი მედიტაციისთვის. იმისათვის, რომ არჯუნა მთელი კაცობრიობისთვის ნიმუშად კაცობრიობის იდეალურ წარმომადგენლად გარდაექმნა, კრიშნამ მას შემდეგი ინსტრუქციები მისცა:

„არჯუნა, გელაპარაკები როგორც ჩემს ინსტრუმენტს, რომ შენი მაგალითით მთელი კაცობრიობის სწავლება შეგეძლოს“.

არჯუნა იდეალური ადამიანი გახდა. რამდენადაც *რაჯას-გუნა* და *ტამას-გუნა* მთელი მისი მერყეობის მიზეზი იყო, კრიშნამ არჯუნას უთხრა, რომ ეს ორი თვისება თანდათან მოეცილებინა. *გიტას* მეორე თავში *სანქჰია-იოგაზე*, კრიშნამ ახსნა რამდენიმე გზა, რომლებსაც ადამიანი მიჰყავს *გუნებზე* გამარჯვებისკენ და *სთჰითაპრაჯნაში* ტრანსფორმაციისკენ – იმაში, ვინც უმაღლესი ცოდნით არის შევსილი.

ნაწილი მესამე

მოქმედების გზა

თავი ოცდამეთერთმეტე

მუდამ ასრულე შენი ვალი, დაე შენი ყველა მოქმედება წმინდა იყოს

კრიშნამ თქვა: „არჯუნა, შენ მოქმედება გესაჭიროება, მაშ იმოქმედე! მაგრამ უარი თქვი შენი მოქმედებების ნაყოფზე“. კრიშნამ არ თქვა, რომ არ იქნება ნაყოფი: ნაყოფი უეჭველად იქნება. ყოველ მოქმედებას აქვს შედეგები, ანუ ნაყოფი. მაგრამ ნაყოფი არ უნდა გაინტერესებდეთ, არაფერს უნდა ელოდოთ. შესაბამისად, კრიშნას სწავლების არსი იმაშია, რომ უნდა ასრულოთ ვალი, მაგრამ შედეგებზე არ ფიქრობდეთ.

სიყვარულის განხორციელებანო!

ყოველ მოქმედებას აქვს შედეგები; სხვა სიტყვებით, ყოველ მოქმედებას ნაყოფი აქვს. მოგვიანებით ნაყოფი სხვა მოქმედების მიზეზი ხდება. მოქმედებათა და შედეგთა, შედეგთა და მოქმედებათა ეს მუდამ მოქმედი ციკლი თესლისა და ხის ციკლის მსგავსად ვლინდება. თესლი და ხე ასევე მიჰყვება ერთმანეთს: თესლიდან იზრდება ხე, ხე კი იძლევა თესლს. თესლის გარეშე არ არის ხე, ხის გარეშე კი არ არის თესლი. ასევეა მოქმედებისა და მისი შედეგების მიმართ. ეს არის ბუნებრივი ციკლები ამ სამყაროში. თუ ეს ასეა, ანუ ერთი მიჰყვება მეორეს, რატომ უნდა გაინტერესებდეთ განსაკუთრებით შედეგები? თქვენი ვალი და მოვალეობაა ასრულოთ სწორი მოქმედებები, და შედეგებზე არ ზრუნავდეთ. სწორედ ასე უთხრა კრიშნამ არჯუნას:

„ამ ბრძოლაში გულგრილი უნდა იყო იმის მიმართ, რა დაემართება შენს ხალხს და რა მოგელის შენ. ასრულე შენი ვალი, და გონებას ნუ მისცემ იმის ნებას, რომ შედეგებზე ჰქონდეს ყურადღება მოკრებილი“.

ერთგულების ფარი და სიბრძნის იარაღი

მეომრებს ბრძოლაში მიჰქონდათ ფარი და მახვილი, რაც მათთვის მტრის ძლიერი იარაღისგან საფარს წარმოადგენდა. სულიერ ბრძოლაში, რომელსაც თქვენ უნდა აწარმოებდეთ, ასევე უნდა გქონდეთ ფარისა და მახვილის მსგავსი რამ. ამ შემთხვევაში ფარი არის ღმერთის მიმართ ერთგულება და სიყვარული, მახვილი კი არის სიბრძნე. მსოფლიოში არსებულ ჩვეულებრივ ომებში ბრძოლა შეიძლება გრძელდებოდეს რამდენიმე დღეს, ზოგჯერ კი შეიძლება რამდენიმე თვეს და წელიწადსაც კი გაჭიანურდეს. მაგრამ სულიერი ბრძოლა მუდმივად გრძელდება – იგი არასოდეს მთავრდება. მას კაცობრიობა უხსოვარი დროიდან აწარმოებდა, ასევე უხსოვარი დროიდან არსებობდა ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას, ზნეობრიობასა და ცოდვას, მიბმულობასა და განდგომას შორის.

კაცობრიობა დაუსრულებელ ბრძოლას აწარმოებს გრძნობებთან „მე“ და „ჩემი“, სიძულვილისა და ეჭვიანობის გრძნობებთან, ისევე როგორც სხვა მანკიერ თვისებებთან, რომლებმაც მასში ჰპოვეს თავშესაფარი. ეგოიზმი და მიბმულობა განსაკუთრებით ფლობენ არაჩვეულებრივ ძალას. ისინი ნამდვილად საშინელნი არიან. მათთან შედარებით, ადამიანი, რომელიც მათ ებრძვის, არც თუ ისეთი ძლიერია: სინამდვილეში იგი უბრლალოდ სუსტია. ფაქტიურად ნეგატიურმა თვისებებმა იმდენად დაიპყრეს ადამიანები, რომ ისინი, არჯუნას მსგავსად, მათთან აიგივებენ თავს. ამიტომ, იმისათვის, რომ ასეთი ძლიერი მტრები დაამარცხოთ, საჭიროა თქვენში მყოფი უფლის მითითებებს მიჰყვეთ, და მტკიცე ფარი და მახვილი მოიმარჯვოთ. მძლავრი ფარი და მახვილი, რომლებსაც ამ ბრძოლაში უნდა ატარებდეთ, არის ერთგულება და სიბრძნე. ისინი ასეთი მრისხანე მტრებისგან დაგიცავთ.

თუ ხელში ქოლგა გაქვთ, მცხუნვარე მზე არ შეგაწუხებთ. თუ ფეხსაცმელი გაცვიათ, ეკალზე ფეხის დაბიჯება არ შეგაშინებთ. თუ ფარი და მახვილი გაქვთ, თქვენკენ მიმართული იარაღი ვერ შეგაშინებთ.

„ამიტომ, არჯუნა, - თქვა კრიშნამ, - *ამ შინაგან ბრძოლაში შენი ფარი და მახვილი უნდა აიხსნა“.*

როდესაც კრიშნამ არჯუნა მიბმულობებისგან გაათავისუფლა, მან სიბრძნის ჯავშანი მისცა არჯუნას. ეს იყო კრიშნას მიერ შეთავაზებული პირველი სწავლება.

გამოიყენეთ სიბრძნე, რომ შინაგანი მტრები დაამარცხოთ

კრიშნამ არჯუნას უთხრა:

„შენში მცხოვრები მიბმულობები, რაიმეს ფლობის სურვილები, შეიძინე არა გუშინ ან გუშინწინ; ისინი შენი მრავალი დაბადების განმავლობაში იყვნენ შენთან, და ისინი არიან პასუხისმგებლები ყველა იმ გულისტკივილზე, რომელსაც შენ განიცდი. შენთვის უცნობია, ბოლოს და ბოლოს როდის შეძლებ იმ ტკივილის მოცილებას, რომელსაც ისინი გაყენებენ. მაგრამ წარსულის შეცვლა შეუძლებელია, ამიტომ ნუ სწუხხარ მასზე. ჯობია იმაზე მოკრიბო ყურადღება, როგორ უნდა გადალახო ის გულისტკივილი, რომელიც მომავალში შეიძლება მოვიდეს, თუ შენი მიბმულობები და სურვილები შენს ხელმძღვანელობას გააგრძელებენ.

ბრძოლისთვის, რომელშიაც აპირებ ჩაბმას, შენთვის ამქვეყნიური იარაღი მოამზადე. ის დაგეხმარება იმაში, რომ გარეშე მტრებისგან დაიცვა შენი სხეული. მაგრამ როგორ უნდა დაიცვა თავი შინაგანი მტრებისგან, რომლებიც შიგნიდან გძლევენ? მათგან რომ თავი გადაირჩინო, სიბრძნის იარაღს უნდა ატარებდე. გარეშე მტრების გეშინია, მაგრამ შინაგან მტრებზე სულ არ ფიქრობ. თუ შინაგან მტრებს დამორჩილდები, მაშინ ვერასოდეს დაამარცხებ გარეშე მტრებს. შესაბამისად, თავიდან სძლიე შინაგან მტრებს“.

როდესაც ავად ხართ და იტანჯებით, სრულიად ბუნებრივია, რომ ექიმს მიმართოთ, მაგრამ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია იზრუნოთ იმაზე, რომ თავიდან აიცილოთ ავადმყოფობა. ითვლება, რომ პროფილაქტიკის უნცია (31 გრამი) უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე წამლის ფუნტი (400 გრამი). უძველესი დროიდან შინაგანი მტრები იმორჩილებდნენ ადამიანს, და მწუხარებით ავსებდნენ მას. სანამ ეგოიზმითა და მიბმულობებით ხართ შევსილნი, ვერ გათავისუფლდებით უბედურებისა და მწუხარებისგან. არასწორ მოქმედებებს ასრულებთ – და ამაშია თქვენი ტანჯვების მიზეზი. ნიშნავს თუ არ ეს, რომ მოქმედებებისგან თავი უნდა შეიკავოთ? არა. არ გაქვთ სხვა არჩევანი, გარდა მოქმედებისა. მაგრამ ამ დროიდან უნდა იმოქმედოთ და შეგიძლიათ კიდეც დატკბეთ თქვენი მოქმედებებისგან, თუ ისინი უმწიკვლოა. მაშინ ისინი თქვენთვის არ გამოიწვევს დამღუპველ შედეგებსა და გულისტკივილს მომავალში. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია გაიგოთ პრინციპები, რომლებიც სწორი მოქმედებების საფუძველში დევს.

შეიძლება ნებისმიერი ამქვეყნიური გამოცდილების *კარმას* მიადევნოთ თვალი

ნებისმიერი მოქმედება არის *კარმა*. ყოველი ადამიანი იბადება *კარმაში*, ვითარდება *კარმაში* და კვდება *კარმაში*. *კარმა* პასუხისმგებელია სიკეთეზე თუ ბოროტებაზე, ცოდვებზე თუ

ზნეობრიობებზე, შეძენაზე თუ კარგვაზე, სიხარულზე თუ მწუხარებაზე; *კარმა* ჭეშმარიტად თვით ჩვენი დაბადების მიზეზს წარმოადგენს. *კარმა* ჭეშმარიტად ქმნის ადამიანს. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ არ უნდა უყურებდეთ მოქმედებებს დაუფიქრებლად. მთელი თქვენი ცხოვრება მოქმედებასთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, აღიარეთ მოქმედებათა მნიშვნელოვნობა და სათანადოდ და უყოყმანოდ ასრულეთ ისინი.

ნუ ფიქრობთ, რომ მოქმედებას არა აქვს დიდი მნიშვნელობა. იგი იწყება პატარა ხიდან, შემდეგ კი დიდი ხე ხდება. სანამ თესლი ხედ იქცეოდეს, მან უნდა მიწა ამოხეთქოს, სადაც ის იქნა ჩათესილი. შემდეგ, როცა დიდი ხე ხდება, იგი ნაყოფს იძლევა. მოგიტანთ ეს ხე სიხარულს თუ მწუხარებას, დამოკიდებულია თესლზე, რომელიც თქვენ ჩათესეთ. კარგი ნაყოფის მისაღებად თესლმა მოქმედებისა, რომელიც თქვენ შეასრულეთ, ეგოიზმის ნიადაგი უნდა გაარღვიოს. მაშინ ეს მოქმედება *იოგა* ხდება, და თქვენ სიბრძნის მოსავალს მოიმკით.

ეგო მაშინ ვითარდება, როცა თქვენში *მყოფი* გავიწყდებათ

რაშია ეგოიზმის ფესვი? რატომ განიცდით ეგოიზმს? ეგოიზმი ჩნდება უმეცრების გამო, რომელიც ადამიანშია ჩადებული. ყოველმა ადამიანმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს, სად ისახება ეგოიზმი, საიდან ჩნდება და სად მთავრდება იგი. განვიხილოთ ფიზიკური სამყაროს რამდენიმე ფაქტი: სინათლე ვრცელდება 670 მილიონი მილი საათში სიჩქარით (1 მილი = 1,6 კმ). ამ სიჩქარით სინათლე გადის ტრილლიონ (ტრილიონი = 10^{12}) მილს წელიწადში. ჩვენ ვთვლით, რომ მზე ჩვენგან ახლოს მდებარეობს: მანძილი დედამიწასა და მზეს შორის დაახლოებით 90 მილიონი მილია. მზიდან გამომავალი სინათლე განსაკუთრებით კაშკაშა გვეჩვენება. მაგრამ ეს არის მხოლოდ ერთი მზის სინათლე. მილიარდობით მზე და ვარსკვლავი არსებობს. მათგან უახლოესამდე მანძილი არის დაახლოებით ოთხი სინათლის წელიწადი, ანუ სადღაც 23-24 ტრილიონი მილი.

ისე მოჩანს, რომ თითქოს ვარსკვლავები ერთმანეთთან ძალიან ახლოს არიან, მაგრამ ნებისმიერ ორ ვარსკვლავს შორის მანძილი ათობით ტრილიონ მილს უდრის. ისე მოჩანს, თითქოს ცაში რძე დაიღვარა. ადამიანის მიერ ტელესკოპით დანახული ვარსკვლავები მილიარდებს შეადგენს. მათ გარდა ცაში კიდევ ბევრი ობიექტია; ადამიანი მათ ვერ არჩევს. რა ზომისაა დედამიწა იმ უზარმაზარ სამყაროსთან შედარებით, რომელშიც მილიარდობით ვარსკვლავია, რომლებიც ტრილიონობით მილის მანძილზეა განლაგებული? და რა

ადგილს იკავებს ეს პატარა პლანეტა უზარმაზარ მზესთან შეფარდებით, მზესთან, რომელიც მხოლოდ მცირე ვარსკვლავს წარმოადგენს ცაში მოკაშკაშე უსასრულო ვარსკვლავებს შორის?

რა ზომისაა ინდოეთი ამ დედამიწაზე? და რა ზომისაა ანდჰრა პრადეშის შტატი? და ამ შტატში რა პატარაა ის რაიონი, სადაც ჩვენ ვიმყოფებით! და გაცილებით უფრო პატარაა ეს სოფელი! დაბოლოს, თქვენ ამ სოფელში კიდევ უფრო პატარები ხართ! სამყაროს ასეთი მასშტაბისა და სამყაროში თქვენი ზომის პირობებში, ასე რატომ ხართ ეგოიზმით სავსენი? ნამდვილად რომ შეგეძლოთ სამყაროს უსაზღვროების გაცნობიერება, ეგოიზმი არ გექნებოდათ. მხოლოდ თქვენს ერთ ციცქნა ზომასთან შედარებით სამყაროს სიდიდის არცოდნის გამო შეიძლება გაგიჩნდეთ ასეთი აბსურდული დიდი წარმოდგენა თქვენს თავზე.

შესაძლოა, თქვენი სხეულით ამაყობთ. მაგრამ სხეული მხოლოდ და მხოლოდ ხუთი ელემენტისგან შედგება. დადგება დრო, და ის მოკვდება. მხოლოდ მასში *მყოფი* არ იცვლება. ის არ გადის დაბადებას ან სიკვდილს, ზრდას ან გახრწნას. მთელ სამყაროში ის წარმოადგენს უცვლელ არსს და მარად ბრწყინავს შუქმფინარი სინათლით ცვალებად ფორმათა ზღვაში. იგი ყოველი ფორმის უკან დგას, მისი საუცხოობა ყოველ დეტალს აცხოველებს ამ მოუცველ სამყაროში. იგი სრულ წყვდიადშიც კი იმყოფება, რადგან ეს არის ის, რაც თქვენ წყვდიადს გიხსნით. თქვენში მყოფი ეს ყოვლისგამჭოლი საუცხოობაა სწორედ ის მარადიული ცეცხლი, *პარამჯოტჰი*, რომელიც თქვენს ინერტულ სხეულში ბრწყინავს. მიმართეთ თქვენი მზერა იმისკენ, ვინც თქვენს სხეულში იმყოფება, და არ შეგაცდენთ არც სიამაყე, არც ეგოიზმი.

სხეული ინერტულია, იგი ხუთი ელემენტისგან შედგება

თქვენში *მყოფ* უფალში ეძებეთ ხსნა. ნურაფერს ელით სხეულისგან. ნუ ამაყობთ, როცა თქვენს სხეულს უყურებთ. სხეულს მრავალრიცხოვანი დაავადებისკენ აქვს მიდრეკილება; ის მუდმივ ცვლილებებს ექვემდებარება. იგი ძნელად ირჩენს თავს, როცა ამქვეყნიური არსებობის ოკეანეში მოგზაურობს. სხეული არის მხოლოდ რაღაც ინერტული, და უდრის მხოლოდ 7 ვედრო წყალს, 2 დუიმიან 4 ლურსმან რკინას, 1100 ასანთის ფოსფორს, 4 ფანქარ ნახშირს და ორ ნაჭერ საპონს. როდესაც ამ ყველაფერს ერთად შეკრებ კიდევ რამდენიმე ნივთირებასთან ერთად, გამოვა სხეული. ანუ სხეული შედგება მხოლოდ ინერტული მატერიისგან, მაგრამ მას შეუძლია მოძრაობა და სიცოცხლის გამოვლენა, იმიტომ რომ მასში არის *მყოფი*.

განვიხილოთ კედლის საათი. მას სამი ისარი აქვს: წამის, წუთის და საათისა. როგორც კი საათს მომართავთ, ყველა ისარი მოძრაობას იწყებს ყოველი მათგანისთვის განკუთვნილი სიჩქარით. რამდენ ხან იმოძრავებენ ისინი? ისინი იმოძრავებენ იმ დრომდე, სანამ არის ძალა ზამბარაში, რომელიც მათ ენერგიას აძლევს. როგორც კი ეს ძალა ამოიწურება, ისინი გაჩერდებიან, რა ადგილზეც არ უნდა იმყოფებოდნენ. თქვენი სხეული შეიძლება კედლის საათს შევადაროთ. სუნთქვა შეიძლება ზამბარას შევადაროთ. თქვენი მოქმედებები შეიძლება შევადაროთ წამის ისარს, გრძნობები – წუთის ისარს, სიხარული კი – საათის ისარს. ღვთაებრივი ენერგია თქვენ შიგნით ძალას იძლევა და ამ ყველაფერს აცხოველებს.

საათთან ამ შედარებაში შეიძლება მივიღოთ პასუხი კითხვაზე, რატომ ასრულებთ საერთოდ მოქმედებებს. იცით, რომ წამის ისარი, რომელიც წარმოადგენს თქვენს მოქმედებებს, ძალიან სწრაფად მოძრაობს და მალე შემოივლის მთელ წრეს, 60 წამს. ამ მომენტში წუთის ისარი, რომელიც წარმოადგენს თქვენს გრძნობებს, წრის ერთი მესამოცედით წაიწევს წინ. და მხოლოდ მაშინ, როცა წამის ისარი გააკეთებს სამოც წამიან სამოც ბრუნს, წუთის ისარი კი გააკეთებს ერთ ბრუნს, მაშინ საათის ისარი, რომელიც წარმოადგენს ღვთაებრივი სიხარულისა და ნეტარების შეგრძნებას, ერთი დანაყოფით წინ წაიწევს. საათის ისარი იმდენად ნელა მოძრაობს, რომ მისი მოძრაობის შემჩნევაც კი შეუძლებელია, თუმცა წუთისა და წამის ისრების მოძრაობა შეგიძლიათ დაინახოთ.

აქ საიდუმლოებაა დაფარული. საათში ერთჯერ ყველა სამი ისარი ერთმანეთს ხვდება. როდესაც მოქმედებები, რომლებიც დაკავშირებულია სხეულთან და ბუნებასთან, გრძნობები, რომლებიც დაკავშირებულია იმასთან, რაც მოთავსებულია ადამიანის შიგნით, და სიხარული, რომელიც დაკავშირებულია ღვთაებრიობასთან, ერთდებიან, მაშინ ხდება ადამიანის, ბუნებისა და ღმერთის ერთიანობა.

წმინდა მოქმედებებიდან ნეტარებისკენ და ერთგულების გრძნობისკენ

ბუნება ხშირად აღიწერება როგორც მოქმედების ველი; იგი ადამიანს იმის შესაძლებლობას აძლევს, რომ თავისი მოქმედება წმინდა გახადოს და მიზანს მიაღწიოს. როდესაც 60 კარგ საქმეს შეასრულებთ, გაჩნდება ერთი კარგი გრძნობა. შესაბამისად, ერთი კარგი გრძნობა რომ მიიღოთ, საჭიროა ამდენი კარგი მოქმედება შეასრულოთ! და როცა 60 ასეთი კარგი გრძნობა გაგიჩნდებათ, საათის ისარი მცირე მოძრაობას გააკეთებს, და ენით აუწერელ სიხარულს განიცდით. აი რატომ უბრძანა კრიშნამ არჯუნას კარგი მოქმედებების

შესრულება. როდესაც ურიცხვი კარგი საქმის შესრულებას დაიწყებთ, შეძლებთ ერთი-ორჯერ განიცადოთ ხანგრძლივი კარგი გრძნობა, რომელიც უდიდეს კმაყოფილებას მოგიტანთ. და მხოლოდ მაშინ, როცა ურიცხვი კარგი გრძნობა გაგივითარდებათ, შეგიძლიათ მიაღწიოთ ნეტარებას, რომელიც *ატმას* მარადიულ მდგომარეობას წარმოადგენს. შესაბამისად, საჭიროა კარგი საქმეების შესრულება დაიწყოთ.

სწორეთ ამ მიზნისთვის მოგეცათ სხეული. ერთი წამითაც კი არ შეიძლება უმოქმედოდ ყოფნა. აი რატომ ეძლევა ასეთი დიდი მნიშვნელობა *ვედებში* – ინდოეთის წმინდა წერილებში, წმინდა მოქმედებების (*კარმა-კანდას*) შესრულებას, რომლებიც ცერემონიალურ და რიტუალურ თაყვანისცემას შეიცავს. მაგრამ წმინდა მოქმედებები განეკუთვნება არა მარტო რიტუალური ცერემონიების შესრულებას, *ასკეზებს* (მონანიებებს) და საქველმოქმედედო მოღვაწეობას. შეიძლება სხვადასხვაგვარი მოღვაწეობით დაკავდეთ, და არავითარ ნაყოფს არ ელოდეთ თქვენთვის. სწორედ ეს არის *კარმა-იოგა*, როცა მოქმედებებს ასრულებთ და საკუთარ გამორჩენაზე არ ზრუნავთ.

როდესაც მოქმედებები სურვილებისა და ეგოიზმის გრძნობის გარეშე სრულდება, მათ შეიძლება *კარმა-იოგა* ვუწოდოთ. ეს არის მოქმედების უმაღლესი ფორმა – ყველაზე უფრო წმინდა, და მას უნდა მიჰყვებოდეთ იმ ყველაფერში, რასაც ცხოვრებაში აკეთებთ. მოიცილეთ ეგოიზმი. ნუ დაუშვებთ ნაყოფის სურვილს. როდესაც ასეთი დამოკიდებულებით ასრულებთ მოქმედებას, იგი ხდება *იაჯნა*, ანუ მოქმედება სრულდება ჭეშმარიტი მსხვერპლის შეწირვის სულისკვეთებით, იგი ხდება *ასკეზა*, იგი ხდება *იოგა*. ადამიანის მიერ შესრულებული ყოველი მოქმედება ასეთი სახით უნდა იკურთხებოდეს. ჩასუნთქვა და ამოსუნთქვაც კი მოქმედებებია; ისინიც *კარმას* წარმოადგენს. ადამიანი ერთ წამსაც კი ვერ იცოცხლებს *კარმის* შესრულების გარეშე. მაგრამ ეგოსთან დაკავშირებული *კარმა* ყოველთვის შეზღუდული და მავნე იქნება.

აზრები, გრძნობები და მოქმედებები საკვების წყალობით ჩნდება

ამიტომ მოქმედებები მუდამ ასრულეთ მხოლოდ მსხვერპლის შეწირვის გრძნობით გულში, და არა საკუთარი თავის მსახურების ეგოისტური გრძნობით. შედეგები იქნება კარგი თუ ცუდი, კეთილისმყოფელი თუ მავნე, დამოკიდებულია თქვენ მიერ შესრულებულ მოქმედებებზე. თვითონ მოქმედებები კი დამოკიდებულია გრძნობებზე, რომლებსაც განიცდით. გრძნობები კი,

თავის მხრივ, დამოკიდებულია აზრებზე, რომლებსაც თქვენ აძლევთ თავშესაფარს. აზრები კი დამოკიდებულია საკვებზე, რომელსაც თქვენ იღებთ. ამრიგად, საკვებზე დამოკიდებულია აზრები, აზრებზე – გრძნობები, გრძნობებზე – მოქმედებები, რომლებსაც საბოლოო ჯამში შედეგებამდე მიჰყავხართ. ამ კონტექსტში შეგიძლიათ დაინახოთ, როგორ მნიშვნელოვანია *სატვიური* საკვების მიღება. აი კიდევ ერთი მაგალითი.

დავუშვათ, წმინდანმა *ვედიური* რიტუალის შესრულების დროს პატარა კოცონი დაანთო. გაჩენილი ბოლის რაოდენობა დამოკიდებული იქნება დანთებული ცეცხლის ტიპზე. მაღლა ასული ბოლის შედეგად ღრუბელი წარმოიშობა. ღრუბლიდან კონდენცირდება წყლის ორთქლი, და ჩნდება წვიმის წვეთები. მოსავალი მიწაზე დამოკიდებულია წვიმაზე, მოხმარებული პროდუქტები კი დამოკიდებულია მოსავალზე. საბოლოო ჯამში თქვენი სხეული, რომელიც ისეთივეა, როგორიც არის საკვები, დამოკიდებულია თქვენ მიერ მოხმარებულ საკვებზე. ამრიგად, თქვენს მოქმედებებზე საკვების გავლენასაც კი შეიძლება თვალი მივადევნოთ; ამ მოქმედებებს მოცემულ შემთხვევაში მივყავართ ცეცხლთან და მსხვერპლის შეწირვასთან – *იაჯნასთან.*

ყურადღება მიაქციეთ მოქმედებას, და არა შედეგს

თუ კარგ საქმეებს ასრულებდით, მაშინ დაბადებაც კარგი იქნება. თქვენი მოქმედებები არის პირველმიზეზი, თქვენი დაბადება კი – საბოლოო შედეგი. ამასთან დაკავშირებით კრიშნამ თქვა:

„მთელი შენი ყურადღება კარგ მოქმედებებზე მოკრიბე; ნუ ავლენ დაინტერესებას მათ შედეგებზე“.

ნაყოფი მოქმედებებს თავისთავად მოჰყვება, მაგრამ მთელი ყურადღება მოქმედებებზე უნდა იყოს მოკრებილი.

წარსულში მთელ რიგ კარგ თუ ცუდ ქცევასთან იყავით დაკავშირებული, და შედეგად ახლა მათი შედეგების გამო ტკბებით ან იტანჯებით, განიცდით სიხარულს ან მწუხარებას. როგორ უნდა მოიცილოთ მწუხარება, რომელიც წარსული ცუდი მოქმედებების შედეგს წარმოადგენს? ამის გაკეთება მხოლოდ კარგი ქცევების შესრულებით შეგიძლიათ. აი *ვედებში* მოქმედებებს რატომ ენიჭება პირველხარისხოვანი მნიშვნელობა. ცუდი ქცევები უნდა შეცვალოთ კარგი ქცევებით, რომლებიც მიგიყვანთ მთლიანად უანგარო მოქმედებებთან მათ შედეგებში პირადი დაინტერესების გარეშე. ასეთი მოქმედებები *კარმა-იოგად* იქცევა, რასაც ღმერთთან ერთიანობამდე მიჰყავხართ.

თუ თქვენს მოქმედებებში მთლიანად უზრუნველნი ხართ ან ფუჭად ხარჯავთ მათ, მთელი თქვენი ცხოვრება ცარიელი გახდება. სიცოცხლე იმისათვის მოგეცათ, რომ ასრულოთ კარგი *კარმა*, ანუ სრულყოფილი მოქმედებები. *კარმა* არ ნიშნავს უბრალოდ მოქმედებების შესრულებას სხეულის დახმარებით. *კარმა* არის თვით სხეულის დასახელება. ვინაიდან სხეული გაჩნდა როგორც წინათ შესრულებული მოქმედებების შედეგად, ამიტომ *კარმის* ერთ-ერთი მნიშვნელობა არის *სხეული.*

სხეული მოქმედებების შედეგს წარმოადგენს; იგი დაკავშირებულია დროსთან, გარემოებებთან და მიზეზობრიობასთან. მაგრამ ეს მიეკუთვნება მხოლოდ სიფხიზლის მდგომარეობას. ძილის მდგომარეობაში სხეული არ არის აქტიური, ამიტომ იქ არ შეიძლება იყოს რაიმე მოქმედება, იქ არის მხოლოდ მოქმედების ილუზია, ანუ *მაია.* ძილში ყველა გრძნობა მშვიდდება. ღრმა ძილის მდგომარეობაში, რომელსაც კაუზალური მდგომარეობა ჰქვია, გონებაც კი არ არის. ამ მდგომარეობის ზღვრებს მიღმა იმყოფება უმაღლესი წყარო, რომელსაც ჰქვია **დიადი პირველმიზეზი** – *მაჰაკარანა*, რომელიც კაუზალურ მდგომარეობაზე მაღლა ადის. სწორედ ეს პირველმიზეზეია ღვთაებრიობა. აი პატარა მაგალითი, რომელიც ამ მდგომარეობებს ასურათებს.

აქ მყოფთა შორის არიან სტუდენტები. ისინი აქ მოდიან საერთო საცხოვრებლიდან, რომელიც აქედან ერთ კილომეტრშია. დილის 4.15 საათზე საერთო საცხოვრებლიდან გამოდიხართ და 4.30 საათზე *აშრამაში* მოდიხართ. ანუ თქვენს სხეულს თხუთმეტი წუთი ესაჭიროება იმისათვის, რომ საერთო საცხოვრებლიდან მოხვიდეთ პრაშანტი ნილაიამამდე (*აშრამის* ადგილმდებარეობა). თქვენი მოსვლის მიზეზი *სვამის* სიტყვის მოსმენაა. ყოველ თქვენს მოქმედებაში არის ოთხი ფაქტორი: დრო, მოქმედება, მიზეზი ან მიზანი და შედეგი. დრო დაგჭირდათ თხუთმეტი წუთი. მოქმედება იყო საერთო საცხოვრებლიდან სამლოცველო დარბაზამდე გავლა. მიზეზი იყო მოსმენა ლექციისა *ბჰაგავად გიტაზე.* შედეგი იქნება ის, რომ ამით თქვენს ცხოვრებას აკურთხებთ. ამრიგად, გამოღვიძების მდგომარეობა შეიძლება სულიერი წინსვლისთვის გამოიყენოთ.

დრო, მოქმედება, მიზანი და შედეგი მხოლოდ სხეულს მიეყენება.

ლექციის დამთავრების შემდეგ კვლავ საერთო საცხოვრებელში ბრუნდებით. ვახშმის შემდეგ დასაძინებლად წვებით, იძინებთ და სიზმარს ხედავთ. სიზმარში აღმოჩნდება, რომ მადრასის მთავარ ქუჩაზე ხეტიალობთ. როცა საერთო საცხოვრებლიდან გაემგზავრეთ, რომ მადრასში იმოგზაუროთ, რამდენი დრო დახარჯეთ ამისთვის? ამ კითხვას შეუძლებელია პასუხი გასცეთ. აქ არ არის განსაზღვრული

დრო. როგორ ჩახვედით იქ? მანქანით, ავტობუსით თუ თვითმფრინავით? ამაზეც არ არის პასუხი. არავითარი მოქმედება არ შეგისრულებიათ იმისათვის, რომ იქ მოხვედრილიყავით. რატომ გაემგზავრეთ მადრასში? არ იცით. არავითარი მიზეზი არ არის, რომ იქ იყოთ. რა მოგეწონათ იქ? როგორია თქვენი გამგზავრების შედეგი? ამ კითხვაზეც კი არ შეგიძლიათ პასუხის გაცემა. თქვენი მოქმედებების არავითარი განსაკუთრებული შედეგი არ არის, თქვენთვის რომ იყოს გასაგები. ამრიგად, ძილის მდგომარეობაში არ არის არც დრო, არც მოქმედება, არც მიზანი, არც სიხარული შედეგებისგან. ეს ყველაფერი იქ არ არის.

ახლა წარმოიდგინეთ, რომ მას შემდეგ, როცა ჩაგეძინათ, მალე ვიღაც მოვიდა და გაგაღვიძათ. თქვენ გაიღვიძეთ და მიხვდით, რომ სულ ხუთი წუთი გეძინათ. ამ ხუთი წუთის განმავლობაში ხედავდით სიზმარს და მადრასში იყავით. როგორ არის ეს შესაძლებელი? ეს შეუძლებელია. ეს იყო მხოლოდ მენტალურ პლანზე. არ შეგისრულებიათ ასეთი მოქმედებები არც სხეულის დახმარებით, არც გრძნობების დახმარებით. ეს მენტალური მოგზაურობა თქვენს ფაქიზ სხეულთან არის დაკავშირებული. მხოლოდ მკვრივი სხეული ფლობს ოთხ ფაქტორს: დროს, მოქმედებას, მიზეზობრიობას და გარემოებებს. როგორც ხედავთ, ეს ყველაფერი არ არის დაკავშირებული იმასთან, რაც ხდება ფაქიზ, ან მენტალურ სხეულში ძილის მდგომარეობაში. მხოლოდ გონების ხრიკების წყალობით შეძელით ახალი სამყაროს შექმნა იქ.

გონებამ შექმნა ადამიანთა გარკვეული რაოდენობა მადრასისკენ მიმავალ მთავარ გზაზე, რაღაც ტრანსპორტი და რაღაც საგნები. გონება ფლობს ამ განსაკუთრებულ ძალას. იგი იმის დიდ ნიჭს ფლობს, რომ ნებისმიერი რამ შექმნას, და ნებისმიერი დ რამ მოშალოს, და არა მარტო სიზმარში, არამედ გამოღვიძების მდგომარეობაშიც. მხოლოდ გონებაა პასუხისმგებელი თქვენს ყველა მოქმედებაზე. როდესაც ასეთ მძლავრ გონებას უფალს სთავაზობთ, ასეთი სახით მთელ თქვენს მოქმედებებს სთავაზობთ მას. როდესაც გონებას ისე იყენებთ, რომ მხოლოდ უფალზე ფიქრობთ, თქვენი ყველა მოქმედება წმინდა ხდება.

ღვთაებრივი სინათლის მიღწევისთვის დაე სიბრძნე გახდეს თქვენი სურვილი

ერთი დიდი ბრძენი ჩვეულებისამებრ ამბობდა:

„თუ უფალს ქება-დიდების ჰიმნებს უმღერთ და სინათლეს სთავაზობთ, მაშინ მთელი სამყარო ამ სინათლის შუქმფინარობით იქნება განათებული“.

როდესაც უფალს სცემთ თაყვანს, თქვენ ლამპარს ანთებთ და მის სინათლეს სთავაზობთ მას. უამრავი სურვილისგან შემდგარი გონება შეიძლება შევადაროთ ზეთს, პატრუქი კი – წმინდა სიბრძნეს, რომელიც თქვენ შეიძინეთ. როდესაც მათ ერთმანეთს აერთებთ, და სიბრძნეს იყენებთ იმისათვის, რომ თქვენი სურვილები ღმერთისკენ მიმართოთ, მაშინ ღვთაებრივი სინათლის ნათებას იღებთ, რომელიც მათი ერთიანობიდან გამოდის.

ზეთი და პატრუქი რაღაც ჭურჭელში უნდა იყოს. სხეული შეიძლება იმ კონტეინერად ჩავთვალოთ, რომელშიაც იმყოფება სურვილთა ზეთი და სიბრძნის პატრუქი. სიხარულის ნეტარება, რომელსაც გრძნობთ, ეს არის ამ წმინდა ლამპრიდან გამომავალი სინათლის ნათება. ხოლო თუ პატრუქის ანთებას ზეთის გარეშე მოისურვებთ, ის არ აინთება, როგორც არ უნდა ეცადოთ. ან თუ ზეთის დანთებას პატრუქის გარეშე მოისურვებთ, ამის გაკეთებასაც ვერ შეძლებთ. მაგრამ როცა პატრუქი ზეთთან ურთიერთქმედებაშია, მაშინ ის აინთება, და თქვენ სინათლე გაგიჩნდებათ.

მოქმედებები ასევე შეიძლება შევადაროთ ზეთს: ისინი დაკავშირებულია გონებასთან და მის სურვილებთან; ხოლო *ბუდჰი*, ანუ ინტუიციური გონება, შეიძლება პატრუქად ჩავთვალოთ. როდესაც მოქმედებას და *ბუდჰის* შეაერთებთ, სხვა სიტყვებით, როცა თქვენი ყველა მოქმედება წმინდა გახდება, და თქვენი უმაღლესი შინაგანი მოტივაციის მითითებებს მიჰყვებით, ერთიანი უკვდავი არსის სინათლე გაგაშუქებთ. ეს არის მარადიული *ატმას* სინათლე.

ცეცხლს შეიძლება სხვადასხვა თვისებები ჰქონდეს. ქარის დროს ცეცხლის ალი კანკალებს. როდესაც მასზე წყალი ხვდება, იგი შიშხინს იწყებს. თუ ზეთი არასაკმარისად სუფთაა, ბოლი ჩნდება. მისგან მხურვალება მოდის: თუ შეეხებით, ის დაგწვავთ. ეს მახასიათებლები ცეცხლს განეკუთვნება, მაგრამ ისინი არა არის დაკავშირებული სინათლესთან, რომელიც მისგან მოდის.

მაგრამ *ატმას* ნათებას მხოლოდ ერთი თვისება აქვს: იგი ირგვლივ თავისი შუქმფინარობის დიდებულებით ყველაფერს აცისკროვნებს. ამ ნათებას ჰქვია *ატმა-ჯიოტი* – ჩაუქრობელი შინაგანი სინათლე. იგი ყველას ერთნაირად ეძლევა. თუმცა ცხოვრების ცეცხლს მრავალი ინდივიდუალური მახასიათებელი აქვს, მასში მრავალი ცვლილება ხდება და მრავალი პრობლემა ჩნდება.

მოქმედების სამი სახე

არსებობს მოქმედების სამი სახე, რომელიც ცხოვრების ამ ცეცხლის სხვადასხვა ასპექტიდან მოდის. მათ ჰქვია *კარმა*, *ვიკარმა* და *აკარმა*. *კარმა* მდგრადი ცეცხლის ალის მსგავსია. როდესაც

ცეცხლის ალი გიზგიზებს და კრთის, ეს არის *ვიკარმა*. სუფთა სინათლე, *ატმა-ჯიოტის* ნათება, არის *აკარმა*.

აკარმა არ იძლევა ნაყოფს. სიტყვა „*აკარმა*“ ნიშნავს „არ არის *კარმა*“, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ არის მოქმედება. როდესაც მოქმედებებს ასრულებთ, და ყველა ადამიანს ერთნაირად ეპყრობით, როდესაც თქვენი მოქმედებების ნაყოფს არ ელით და როცა იმ ყველაფერს, რასაც აკეთებთ, ღმერთს უძღვნით, მაშინ თქვენ *აკარმას* ასრულებთ. ეს შეეხება როგორც ამქვეყნიურ ვალდებულებებს, ასევე რელიგიური წეს-ჩვეულებების დაცვას, ისეთების, როგორიცაა მსხვერპლის შეწირვა (*იაჯნა*).

ვედები ამტკიცებენ, რომ სხვადასხვა ცერემონიალური მოქმედებები, რომლებიც მათი შედეგებით დაინტერესებით სრულდება, ვერ აგიყვანთ ზეცაზე უფრო მაღლა. ნუ ფიქრობთ, რომ ზეცა უკვდავებას გაჩუქებთ. იგივე *ვედები* აცხადებენ, რომ როდესაც თქვენი მოქმედებების დამსახურებები ამოიწურება, კვლავ მიწაზე უნდა დაეშვათ. შეიძლება მთლიანად არ დაეთანხმოთ ვედების ამ დოქტრინას *კარმის* შესახებ, მაგრამ არ უნდა ჩაებათ კამათში და კონტრარგუმენტებში ამის გამო. უბრალოდ უნდა გაიგოთ, რომ, როდესაც მხოლოდ შედეგებით ხართ დაინტერესებული, ისინი მალე ამოიწურება, და კვლავ მოგიხდებათ ახალი მოქმედებების შესრულება უსასრულო ციკლში.

მაგალითისთვის აიღეთ საკანონმდებლო ასამბლეის წევრი, რომელიც საარჩევნო კამპანიაში იღებს მონაწილეობას. თუ ის არჩევნებში გაიმარჯვებს, მაშინ ასამბლეაში 5 წლის განმავლობაში შეძლებს მუშაობას. ამ დროის ამოწურვის შემდეგ მისი მუშაობის ვადა ამ დაწესებულებაში მთავრდება, და 5 წლის შემდეგ მას სახლში დაბრუნება მოუწევს. ასეთი სახით ყველა დამსახურება, რომელსაც თქვენი მოღვაწეობით მიაღწიეთ, შეიძლება შეზღუდული ვადის ასეთ სახეს შევადაროთ; ამ პერიოდის დასრულების შემდეგ უკან უნდა დაბრუნდეთ.

სანამ თქვენი დამსახურებები გრძელდება, ზეცით ტკბებით, მაგრამ როგორც კი ისინი ამოიწურება, კვლავ დედამიწაზე დაბრუნება – დაბადება - მოგიწევთ. ამიტომ, როდესაც არჯუნას *კარმის* დოქტრინას უხსნიდა, კრიშნამ თქვა:

*„იმის ნაცვლად, რომ მოქმედების დროებითი შედეგისკენ ისწრაფოდე, რომელიც დაბადებისა და სიკვდილის ციკლს გაბამს, ჯობია ისწრაფოდე იმ უმაღლესი კოსმოსური პიროვნების მიღწევისკენ, რომელიც არის შენი საკუთარი „**მე**“ და რომლის გაცნობიერების შემდეგაც აღარასოდეს მოგიხდება უკან დაბრუნება. თუ შენი*

ცხოვრება იმაში მდგომარეობს, რომ მუდამ მოდიოდე და მიდიოდე, მაშინ როდის უნდა მიაღწიო მარადიულ მიზანს?“

აი ამისი საილუსტრაციო პატარა მოთხრობა.

ისწრაფეთ იმისკენ, რომ უმაღლესს მიაღწიოთ და არასოდეს დაუბრუნდეთ ძველს

ერთი ქურდი ძარცვის დროს დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს. სასამართლომ მას ექვსი თვით ციხეში ყოფნა მიუსაჯა. მალე ეს დრო გავიდა, და მისი გათავისუფლების დღე დადგა. ციხის ზედამხედველმა უთხრა ქურდს:

„ხვალ საღამოს პატიმრობის ვადა მთავრდება – შენი სასჯელის ვადა ამოწურე. მოემზადე ციხიდან გამოსვლისთვის. აიღე შენი პირადი ნივთები, რომელიც ჩვენთან ინახება, და მზად იყავი“.

ამის მოსმენისას ქურდი არც თუ ისე მოხარული იყო, მაგრამ უბედურადაც არ გრძნობდა თავს. მისთვის უბრალოდ სულ ერთი იყო, რადგან მან იცოდა, შემდეგ რა იქნებოდა.

„აქ დარჩეს ჩემი ნივთები“, - თქვა მან.

ციხის ზედამხედველმა ჰკითხა:

„რატომ არ გინდა, რომ შენი ნივთები წაიღო?“

ქურდმა უპასუხა:

„ნივთების წაღებას აზრი არა აქვს. რამდენიმე დღეში ისევ აქ დავბრუნდები. ძალიან მალე კვლავ მნახავთ ამ ციხეში. და რაკი ეს რამდენიმე დღეში მოხდება, რა საჭიროა ზედმეტად შეწუხება?“

ანუ ამ ქურდმა უკვე იცოდა, რომ კვლავ დაიწყებს ქურდობას, რომ მას დაიჭერენ და ისევ დასჯიან, და ის კვლავ ციხეში აღმოჩნდება.

თქვენი მოქმედებები ასევე შეიძლება შევადაროთ ქურდის დაპატიმრებას და გათავისუფლებას. თქვენს ცხოვრებაში აქ, დედამიწაზე, ცდილობთ შეასრულოთ კარგი მოქმედებები, რომლებსაც კარგი შედეგები მოაქვს. ამის შემდეგ ზეცაში მიდიხართ. შემდეგ, როცა იქ ყოფნის ვადა მთავრდება, კვლავ დედამიწაზე ბრუნდებით. როდესაც არჯუნას პასუხს აძლევდა *გიტას* წმინდა სწავლებაში, კრიშნამ თქვა:

„ასვლისა და დაცემის ამპროცესში კარგი არაფერია“.

მან არჯუნას შესთავაზა ეპოვა მარადიული ჭეშმარიტების ადგილი და იქ ყოფილიყო. როგორც კი გამყარდებით მარადიულ ჭეშმარიტებაში, რომელიც თქვენს უკვდავ „**მე**“-ში იმყოფება, მოქმედებები აღარ შეგბოჭავთ. მაშინ აღარ გაჩნდება იმისი საჭიროება, რომ კვლავ დაბრუნდეთ, რადგან *ატმას* მარადიულ ნეტარებაში იქნებით. ამ ამაღლებულ მდგომარეობასთან შედარებით, მიწიერი და ზეციური სიხარული ჰგავს ატომებს უსასრულო სამყაროში.

თავი ოცდამეთორმეტე

მოქმედების *იოგა* არის თქვენი მოქმედებების შედეგებზე უარის თქმა

კრიშნას არაერთჯერ უთქვამს არჯუნასთვის: „არჯუნა! ასრულე შენი ვალი. ასრულე უბიწო ქცევები. მაგრამ მოქმედებების შედეგებისკენ ნუ ისწრაფვი“.

სიყვარულის განხორციელებანო!

ამ სამყაროში ყველა მოქმედება სრულდება გასამრჯელოს გულისთვის, სხვა სიტყვებით, ნაყოფის გულისთვის. ადამიანები შრომისთვის რომ არავითარ კომპენსაციას არ ღებულობდნენ, ანუ მათ რომ არ უხდიდნენ, ასე თუ ისე ადამიანთა უმრავლესობა საერთოდ არ იმუშავებდა. რატომ ედავებოდა კრიშნა არჯუნას მოქმედებების შედეგებისკენ მისი სწრაფვის გამო, მაშინ როცა თითქმის ყველა ადამიანი მოქმედებებს გასამრჯელოს გულისთვის ასრულებს? რაშია კრიშნას ასეთი რჩევის აზრი? კრიშნას ერთადერთი სურვილი იყო დახმარებოდა არჯუნას იმაში, რომ მოქმედებები *იოგად* გარდაექმნა. სხვა სიტყვებით, ამ მოქმედებებს ღვთაებრივი ნებისკენ რომ წაეყვანა ის. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ არჯუნა თავის თავს მთლიანად უფალს ჩააბარებდა, მოქმედებებს ღმერთს შესთავაზებდა და მათ შედეგებზე მიბმულობას ეტყოდა უარს. მაშინ მისი *კარმა* გახდებოდა *კარმა-იოგა*.

მოქმედებები წმინდა გახადეთ და გახდით თავისუფალნი

როდესაც სხეულის ცნობიერებაში მოქმედებთ, ანუ როცა თავს აიგივებთ იმასთან, ვინც მოქმედებას ასრულებს, მაშინ ეს მოქმედება *კარმა-იოგა* ვერ გახდება. ნებისმიერმა მოქმედებამ, რომელიც სრულდება ეგოს გრძნობით, გრძნობით, რომ ეს „მე“ შევასრულე, ანუ მიბმულობის გრძნობით, რომ ეს „ჩემი“ მოქმედებაა, მხოლოდ მწუხარებასთან შეიძლება მიგიყვანოთ. ასეთი მოქმედებების შედეგები შეიძლება უფრო დიდი ბორკილი გახდეს. თუმცა, თუ მოქმედებას *იოგად* გარდაქმნით, მაშინ ბორკილებისგან თავისუფლდებით. როგორ იქცევა მოქმედება, ანუ *კარმა*, *იოგად*? ყველა მოქმედება, რომელიც ღმერთს შეეთავაზება პირადი გრძნობის ან პირადი სარგებლის მოლოდინის გარეშე, *იოგად* იქცევა.

როდესაც ადამიანი ეგოიზმის გრძნობით მოქმედებს, მრავალრიცხოვანი უსიამოვნება ჩნდება. შესაძლოა ფიქრობდეთ: *„აქ მე თვითონ ვმოქმედებდი, და ამიტომ ჩემი მოქმედებებისგან სარგებელი უნდა მივიღო. მე ვმუშაობდი, ამიტომ გასამრჯელოს ვიმსახურებ. უდავოდ მაქვს ჯილდოს მიღების უფლება, რომელიც ჩემ მიერ შესრულებული მოქმედებების გამო მეკუთვნის“.* ასეთი გრძნობები კიდევ უფრო აძლიერებს ეგოს გრძნობას, გრძნობას „მე“ ან „ჩემი“. გრძნობის „მე“ ან „ჩემი“ გაძლიერებასთან ერთად *ატმას* სიხარული სუსტდება. ეგოიზმის სრული განადგურებისთვის კრიშნა არჯუნას სთხოვდა მისი ყველა მოქმედება *იოგად* ექცია.

რას წარმოადგენს თქვენი მოქმედებების *იოგად* გარდაქმნის მეთოდი? უნდა გრძნობა „პირადი“ მოიცილოთ; უნდა მთლიანად მოახდინოთ კონცენტრაცია მოქმედებებზე და გულგრილი იყოთ შედეგის მიმართ, ანუ გულგრილი რჩებოდეთ ნაყოფის მიმართ. არადაინტერესების მსგავსი გრძნობით ნებისმიერი ამოცანის განხორციელება შეგიძლიათ. მაგალითისთვის შეიძლება ავიღოთ მეფე ჯანაკა, რომელმაც თავისი ცხოვრებით დაამტკიცა, რომ თუ მოქმედებას შეასრულებთ მისი ნაყოფისკენ სულ ოდნავი მისწრაფების გარეშე და ამ მოქმედებაში რაიმე პირადი დაინტერესების გარეშე, მაშინ თქვენი მიღწევები ნამდვილად გრანდიოზული იქნება. მართავდა რა სახელმწიფოს და ამასთან დაკავშირებულ მთელ პასუხისმგებლობას ზიდავდა, მეფე ჯანაკა მთელ თავის მოქმედებებს ასრულებდა როგორც *მოწმე.* ვინაიდან მოქმედებდა შედეგებზე ყოველგვარი მიბმულობის გარეშე, ის გახდა *რაჯა-იოგი,* - წმინდა მეფე, მონარქი, რომელიც ასევე იყო *იოგი.*

დაე თქვენი მოქმედებები *იოგად* იქცეს

ყოველგვარი მოქმედება, რომელიც უფლისთვის არის შეთავაზებული და ყოველგვარი პირადი დაინტერესების გარეშე სრულდება, ხდება *იაჯნა,* წმინდა მხვერპლის შეწირვა, და, მაშასადამე, ის შეიძლება *იოგად* ჩაითვალოს. მაგრამ როდესაც თქვენი მოქმედების შედეგებით ხართ დაინტერესებული, მაშინ ეს სხვა არაფერია, თუ არა *როგა,* რაც სანსკრიტულ ენაზე ნიშნავს „ავადმყოფობას“. ავადმყოფობის ასეთი სახის ძირითად მიზანს წარმოადგენს მიბმულობა. მიბმულობას მოჰყვება სიძულვილი და მრისხანება. ეს ის დემონებია, რომლებიც თქვენს ადამიანურ თვისებებს ფარავენ.

ასე ემართება ყველას; როგორც კი *რაგა* და *დვეშა* (მიბმულობა და სიძულვილი) იწყებენ თქვენში გამოვლენას, ისინი ყოველგვარ დემონურ ტენდენციას იწვევენ, და თქვენი ჭეშმარიტი ადამიანური ბუნება გავიწყდებათ. ამიტომ უბრძანა კრიშნამ არჯუნას:

„ყველა მოქმედება ისე ასრულე, რომ მათზე არ იყო მიბმული. მოიცილე პირადი გრძნობა. როდესაც მოქმედებებს პირადი ინტერესის გარეშე ასრულებ, ამ მოქმედებების ნაყოფი არ შეგეხება. ასე ვმართავ ყველა სამ სამყაროს. განა არ შეგიძლია ასეთი სახით მართო ეს პატარა სხეული მაინც?

განავითარე მტკიცე რწმენა იმაში, რომ, თუ დასაჩუქრებაში არ ხარ დაინტერესებული, მრავალი დიდი ამოცანის განხორციელებას შეძლებ. მაგრამ თუ შრომის შედეგებზე გაქვს მიბმულობა, მაშინ იმედის გაცრუებები გელის. როდესაც მოსალოდნელ შედეგებს მიიღებ, სიხარულით იქნები აღვსილი. ხოლო თუ ამაში წარმატებას არ მიაღწევ, დაიტანჯები. ეცადე აკონტროლო გულგატეხილობისა და აღტაცების გრძნობა. იყავ სთჰითაპრაჯნა – ჭეშმარიტი ბრძენი. თავს იმის ნებას ნუ მისცემ, რომ აღტაცებისა და გულგატეხილობის მუდმივად ცვალებადი გრძნობის საგანი გახდე“.

არ არსებობს ადამიანი, მოქმედებებს რომ არ ასრულებდეს. ყოველ ადამიანს მხოლოდ და მხოლოდ მოქმედებების შესრულების მიზნით აქვს მიღებული სხეული. სხეული რომ წმინდა გახადოთ, საჭიროა მხოლოდ კარგი მოქმედებები ასრულოთ. ყოველ მოქმედებას შედეგი აქვს. უნდა გაიგოთ, რომ ის სიხარული, რომელსაც მოქმედების შესრულებისგან იღებთ, მნიშვნელოვნად აღემატება იმ სიხარულს, რომელსაც თქვენი მოქმედებების ნაყოფისგან იღებთ.

მაგალითად, ერთ-ერთ რელიგიურ დღესასწაულზე რომელიმე ოჯახი მოისურვებს სხვა ერთგულებთან, ნათესავებთან და მეგობრებთან ერთად წმინდა ჰიმნების გალობის ღამის რიტუალიზე დარჩეს. სანამ ისინი ამით არიან დაკავებულნი, არავითარ დაღლას არ იგრძნობენ. ერთ-ერთი წევრის მაღალი სიცხეც კი არ იქნება მისთვის დაბრკოლება: იგი ამ მოქმედებით იქნება მთლიანად გატაცებული. ასეთ მომენტში არავინ იგრძნობს დაღლას. მაგრამ მას შემდეგ, რაც რიტუალი დასრულდება, შეამჩნევთ, რომ ისინი დაქანცულნი არიან.

მოქმედების შესრულების სიხარული ჯილდოს სიხარულზე უფრო დიდია

სიხარულს იღებთ მოქმედების დასრულების დროს, მაგრამ არ განიცდით იმავე სიხარულს მას შემდეგ, რაც მოქმედება დასრულებულია. თავი მხოლოდ შეცდომაში შეგყავთ, თუ გრძნობთ, რომ მოქმედების ნაყოფში არის სიხარული. სინამდვილეში ნაყოფში არავითარი სიხარული არ არის. სიხარული, რომელსაც, როგორც თქვენ ფიქრობთ, ნაყოფისგან იღებთ, არის მხოლოდ ანარეკლი – ეს არის ჭეშმარიტი სიხარულის ლანდი, ეს არის მოჩვენებითი სიხარული. ეს არ არის ის უცვლელი სიხარული, რომელსაც ეძებთ. თუ მოქმედება

თავის თავად დროებითი და წარმავალია, მაშ როგორ უნდა იყოს მისი ნაყოფი სხვა რამ, გარდა წუთიერი ლანდისა?

შეიძლება ფიქრობდეთ, რომ, როცა გულმოწყალების აქტს ასრულებთ, სხვადასხვა წმინდა რიტუალებში იღებთ მონაწილეობას ან *ასკეზებს* ასრულებთ, ზეცას მიაღწევთ? მაგრამ კრიშნამ განაცხადა, რომ ზეცა დროებითია. მან თქვა:

„არჯუნა, არსებობს ზეცაზე რაღაც უფრო დიადი. არ ვამბობ, რომ სიკეთის კეთება უნდა შეწყვიტო, მსხვერპლის შეწირვაზე, ასკეზაზე, რელიგიურ რიტუალებზე და ა.შ. თქვა უარი. ასეთი სახის მოქმედებების შესრულების გაგრძელება არის არა მარტო შენი უფლება, არამედ ასევე ვალიც. ასრულე ის ყველაფერი, რასაც აკეთებ, არა ეგოისტური გულის წადილით, არამედ მთელი კაცობრიობის კეთილდღეობის გულისთვის. ყოველი მოქმედება ასრულე უანგაროდ, დაინტერესების გარეშე, და იფიქრე მხოლოდ მთელი კაცობრიობის ბედნიერებაზე, კეთილდღეობაზე და აყვავებაზე.

ნუ ისწრაფვი ზეცის მიღწევისკენ – მზერა მიმართე უფრო მაღალი მიზნისკენ, ზეცის ზღვრებს მიღმა. ზეცა მხოლოდ იმ დრომდე გაგრძელდება, სანამ შენი დამსახურებები გრძელდება. როგორც კი ეს დამსახურებები დასრულდება, კვლავ მიწაზე უნდა დაბრუნდე. ამიტომ უარი თქვი სწრაფვაზე, რომ ზეცას მიაღწიო, ზეცა დროებითი და ცვალებადია. განავითარე ღმერთთან სიახლოვე, გახდი ძვირფასი მისთვის. შეერწყე მას – აი რა არის ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი. ღვთაებრიობის პრინციპი ზეცაზე გაცილებით უფრო მაღლაა. როდესაც გაიგებ მოქმედების საიდუმლოებას, და ამ ყველაფერს ჭეშმარიტ შუქზე დაინახავ, ღვთაებრიობა მოგენიჭება“.

გიტას უდიდესი სიბრძნე შეაქვს ყოველდღიურ ცხოვრებაში

ბჰაგავად გიტა არ მოითხოვს, რომ უარი თქვათ თქვენს ამქვეყნიურ მოღვაწეობაზე და გახდეთ *სანიასი* (ის, ვინც ქვეყნიერებას განუდგა). მრავალი ადამიანი შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფება, რომ არ უნდა ასწავლიდეს ბავშვებს *გიტას*, რომ ახალგაზრდებმა არასწორი დასკვნა არ გამოიტანონ, რომ წუთისოფელზე უარი უნდა თქვან და ტყეში წავიდნენ. მრავალი ადამიანი იტანჯება ასეთი არასწორი გაგებისგან. მაგრამ იფიქრეთ იმ ადამიანთა უზარმაზარ რაოდენობაზე, რომლებიც *გიტას* ასწავლიდნენ სხვებს. განა ისინი ყველანი *სანიასები* გახდნენ? განა მათ ყველაფერზე უარი თქვეს წუთისუფელში? განა არჯუნა, რომელმაც *ბჰაგავად გიტა* უშუალოდ კრიშნასგან გაიგო, *სანიასი* გახდა?

გიტას შინაგანი აზრი უნდა გაიგოთ ადამიანის ბუნებასთან კავშირში, იმასთან კავშირში, როგორ არის ის გამოხატული ამ სამყაროში ადამიანთა ყოველდღიურ მოღვაწეობაში. *გიტას* ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მიზანია დაუფასებელი უძველესი სიბრძნე მიწიერ დონემდე დაუშვას და ამქვეყნიური ცხოვრება უმაღლესი სიბრძნის დონემდე ასწიოს. *ბჰაგავად გიტა ვედანტას* ყოველდღიურ ცხოვრებაში ატარებს და ყოველდღიური ცხოვრება *ვედანტას* დონემდე აჰყავს; მას არა მარტო შეაქვს ფილოსოფია და სულიერება ყოველდღიურ ცხოვრებაში, არამედ ასევე ყოვედღიური ცხოვრება შეაქვს ფილოსოფიაში და სულიერებაში. ამრიგად, იგი ახდენს სულიერების შერიგებას ყოველდღიურ ცხოვრებასთან.

ადამიანის არსებობა მოიცავს არა მარტო ყოველდღიურ ამქვეყნიურ მოღვაწეობას; იგი შექმნილია არა იმისთვის, რომ ადამიანი გაჭირვებულ მდგომარეობაში იყოს. *ბჰაგავად გიტა* გვასწავლის, როგორ გავხადოთ ადამიანის ცხოვრება წმინდა; იგი ადამიანს უმაღლესი მიზნისკენ მიმართავს, ასწავლის მას ცხოვრობდეს წუთისოფელში ისე, რომ იმის შესაძლებლობა მიიღოს, რომ დაძლიოს ადამიანური პირობები და ისწავლოს, რომ ადამიანური დაბადების შემდგომ ციკლებს არ მიებას. არ იქნებით შებოჭილნი თქვენი მოქმედებებით, თუკი ისინი შესრულდება უანგაროდ, მათ შედეგებში დაინტერესების გარეშე. *ბჰაგავად გიტა* გასწავლით *ანაშაქთის* პრაქტიკას, ანუ ყველა თქვნს მოქმედებაზე, ვალდებულებაზე და ქონებაზე არამიბმულობას. არამიბმულობის ასეთი დამოკიდებულების წყალობით თქვენი ყველა მოქმედება წმინდა ხდება. *გიტა* არ გიბიძგებთ იმისკენ, რომ უარი თქვათ მუშაობაზე; პირიქით, იმისკენ მოგიწოდებთ, რომ ასრულოთ ვალი და ყველა ის მოღვაწეობა, რომელიც ცხოვრებაში თქვენს სტატუსს შეესაბამება. მაგრამ უნდა ყველა ეს მოქმედება წმინდა მოღვაწეობად გარდაქმნათ, უფალს შესთავაზოთ ისინი.

წარმოიდგინეთ მზარეულის მუშაობა. იგი თავის ვალდებულებებს კარგად შეასრულებს, თუკი საჭმლის მომზადებაზე ექნება ყურადღება მთლიანად მოკრებილი. მაგრამ თუ ამის ნაცვლად ისე მუშაობს, რომ მხოლოდ ხელფასზე ფიქრობს, მაშინ სამუშაოს მიმართ მას დიდი ინტერესი არ ექნება და მისი საჭმელი გემრიელი არ იქნება. იგი უნდა საჭმელს სიყვარულით ამზადებდეს, სამუშაოში იყოს მთლიანად ჩაფლული, ყველას კეთილდღეობა ახსოვდეს და ფულად ანაზღაურებაზე არ ზრუნავდეს. მხოლოდ ამ შემთხვევაში ხდება საჭმლის დამზადება წმინდა და სუფთა მსახურება, რომელიც კვებავს და აკურთხებს.

ასეთივე სახით, როცა თქვენთვის განკუთვნილ ვალდებულებებს ასრულებთ, როგორიც არ უნდა იყოს ისინი, როცა მთლიანად გაქვთ სამუშაოზე ყურადღება მოკრებილი და სამუშაოს უფალს უძღვნით, მის შედეგებზე სულ ცოტა პირადი ინტერესის გარეშე, სხვა სიტყვებით, როცა სამუშაოს ასრულებთ *ანაშაქთიზე* დამოკიდებულებით, მაშინ თქვენი მოქმედებები წმინდა ხდება და დიდებულებას იძენს. შრომის შედეგებში დაინტერესების არარსებობის დროს შეგიძლიათ შეუპოვრად მუშაობდეთ, და განუხრელად მოძრაობდეთ წინ თქვენი მიზნისკენ. მაგრამ როცა თქვენი სამუშაოს მიმართ პირადი ინტერესი გაქვთ, მაშინ იქნება აღმაფრენები და დაცემები, განვითარდება მერყეობა, და თქვენი სურვილები სწრაფად გაიზრდება.

კრიშნა მეფე ჯანაკას იდეალური ადამიანის მაგალითად თვლიდა, იმიტომ რომ, ის სახელმწიფოს მართავდა *ანაშაქთის* გრძნობით, ანუ განდგომის გრძნობით, და მან სრულყოფილებას მიაღწია. ადამიანთა ერთი ნაწილი გარეშე ხედვას ფლობს, სხვებს შინაგანი ხედვა განუვითარდათ. გარეშე ხედვა არის მხოლოდ ილუზიური გარე სამყაროს ხედვა. შინაგანი ხედვა გონებას გარდაქმნის და გულს წმინდა გრძნობებით ავსებს. შინაგანი ხედვის მისაღწევად საჭიროა *ანაშაქთის*, ანუ მოქმედებათა შედეგებისგან განდგომილების განვითარება, როცა ყველაფერი თქვენში მყოფ ღვთაებას შეეთავაზება. აი ისტორია, რომელიც ასეთი ამაღლებული პრაქტიკის უდიდეს სულიერ ძალას ილუსტრირებს.

ჯანაკა და შუკა

ოდესღაც, კრიშნასა და არჯუნას წინამავალ საუკუნეში, ახალგაზრდა ბრძენი შუკა, როცა სატახტო ქალაქ მიტილაპურის შემოგარენში მოგზაურობდა, იმპერატორ ჯანაკას სამეფოში შევიდა. მეფე ჯანაკას აუწყეს იმის შესახებ, რომ შუკა სატახტო ქალაქთან ახლოს იმყოფება, მაგრამ არ იცოდა, რა ადგილს აირჩევდა ბრძენი შესვენებისთვის. მეფემ ყველა მხარეს მაცნეები გაგზავნა, რომ შუკას ადგილსამყოფელი გამოერკვია. მათ ერთი კვირა დასჭირდათ წმინდანის პოვნისთვის და ის ტყეში იპოვეს, მიტილაპურის სატახტო ქალაქთან ახლოს. ჯანაკა მინისტრებთან ერთად შუკას შესახვედრად წავიდა. ჯანაკა იქ წავიდა არა როგორც მეფე ან იმპერატორი. იგი წავიდა როგორც უფლის მსახური; მან კარგა ხნის წინ მოიცილა ეგოს ყველა კვალი და ახლა მიდიოდა როგორც თვინიერი სულიერი მაძიებელი. შუკა თავისი მოსწავლეების წინაშე სიტყვით გამოდიოდა სულიერ თემაზე.

ამ გამოსვლის დროს ჯანაკა იდგა და ყურადღებით უსმენდა. მოსაღამოვდა. წასვლის წინ ჯანაკა შუკას მიუახლოვდა და ჰკითხა:

„სვამი, შეიძლება ყოველდღე მოვიდე და შენს ღვთაებრივ სიტყვას ვუსმინო?“

შუკამ უპასუხა: *„ჯანაკა, სულიერება და ფილოსოფია არ წარმოადგენს ვინმეს პირად საკუთრებას. იმას, ვისაც აინტერესებს, ვინც სიამოვნებით ისმენს ამ სწავლებას, ვისაც მიზნის მიღწევის სწამს, ამ ცოდნის უფლება აქვს. ცხადია, შეგიძლია მოხვიდე. კეთილი იყოს შენი მობრძანება“.*

ჯანაკა სასახლისკენ გაემართა და ყოველდღე ბრუნდებოდა, რომ ბრძენის სწავლებისთვის ესმინა.

და აი შუკამ გადაწყვიტა ქვეყნიერებისთვის ეჩვენებინა, რომ ჯანაკას აქვს შინაგანი ხედვა, მაშინ როცა ადამიანთა უმრავლესობას მხოლოდ გარეშე ხედვა აქვს. ეს რომ დაისახა, ის მიტილაპურთან ახლოს მდებარე ამაღლებულ ადგილას ავიდა, საიდანაც მთელი ქალაქი მოჩანდა, და იქ თავისი კარავი დადგა. აქედან მან *ვედანტაზე* სიტყვით გამოსვლა დაიწყო. ერთხელ სასწრაფო სამთავრობო საქმეების გამო მეფე ჯანაკამ მოსვლა დააგვიანა. შუკა განზრახ არ იწყებდა გამოსვლას, სანამ ჯანაკა არ მოვიდა.

შუკამ ადამიანთა ბრბოს ანგარიში არ გაუწია, რომელი ადამიანებიც აქ მოვიდნენ და იცდიდნენ, როდის დაიწყებდა ის გამოსვლას. ინტერესის გამოვლენისთვის შუკა ეკითხებოდა ხან ერთ, ხან მეორე ადამიანს, თითქოს უნდოდა გაერკვია, რატომ არ მოდის მეფე ჯანაკა. მან ასევე ზოგიერთებს უბრძანა წასულიყვნენ და გაეგოთ, რამ დააყოვნა მეფე. თვითონ ის გზის პირას იდგა და მეფის ამალის მოსვლას ელოდებოდა.

ეს რომ დაინახეს, ადამიანებმა ბუზღუნი დაიწყეს. იქ შეკრებილი მოსწავლეები, მოხუცები და ახალგაზრდები, ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ. ერთმა თქვა:

„შეხედეთ შუკას. მას დიდ ბრძენად თვლიან, რომელიც ყველაფერს განუდგა; მაგრამ როგორც ჩანს ეს არ არის მართალი. ის ხომ მეფე ჯანაკას უცდის უბრალოდ იმიტომ, რომ ჯანაკა იმპერატორია. შუკა არავითარ ყურადღებას არ გვაქცევს და, როგორც ჩანს, არც კი აპირებს ჩვენ წინაშე სიტყვით გამოსვლას“.

მეორემ თქვა:

„შეხედეთ შუკას უცნაურ ქცევას. რატომ ავლენს ის ამდენ პირფერობას მეფეთა მიმართ? განა ბრძენებისთვის არსებობს განსხვავება მეფესა და უბრალო ადამიანებს შორის?“

შუკამ შეამჩნია ასეთი საუბრები: იგი სპეციალურად იქცეოდა ამგვარად, რომ მათთვის ჭკუა ესწავლებინა. ნახევარმა საათმა

განვლო. გავიდა ორი საათი. შუკა განაგრძობდა ლოდინს, და სიტყვით გამოსვლის მცდელობას არ აკეთებდა.

სანამ სწავლება შევიდოდეს, სიძულვილი უნდა გამოვიდეს

ამასობაში ადამიანებმა, რომელთა გულებიც უსუფთაო იყო, დაუფარავად დაიწყეს ეჭვიანობისა და მრისხანების გრძნობის გამოხატვა. ამ უღირსმა გრძნობებმა, რომლებიც მათთვის იყო დამახასიათებელი, და დღემდე დაფარული, ახლა გარეთ გამოსვლა დაიწყო. სწორედ ეს უნდოდა შუკას, იმიტომ რომ, მხოლოდ როცა მათ გულებში დაფარული სიძულვილის შხამი გამოვა გარეთ, მაშინ შეძლებს *ვედანტის* სწავლება შესვლას. თუ ადამიანის თავში სიცარიელეა, მაშინ წმინდა სწავლებით შეიძლება მისი შევსება. მაგრამ თუ ადამიანის თავი ათასგვარი სისულელით არის უკვე შევსილი, როგორ უნდა აღიქვას მან რაღაც სუფთა და წმინდა?

თუ ყოველგვარი უსარგებლოსგან არ გათავისუფლდება თავი, მასში წმინდა სწავლების ჩადება შეუძლებელია. ამიტომ შუკას სურვილი იყო ყველა ამ დაბალი გრძნობის გამოვლენა. მას უნდოდა, რომ მის მოსწავლეებს მათ გონებაში არსებული ყოველივე ბილწი და ჭუჭყიანი ამოენთხიათ. მან იცოდა, რომ სანამ მათ გულებში მიბმულობები და ბოროტი გრძნობები იფარება, ისინი ვერ შეძლებენ ღვთაებრივი სწავლების აღქმას. ამიტომ აიძულა, რომ განწმენდის ეს პროცესი გაევლოთ მათ.

ამასობაში ჯანაკა დიდი მღელვარებით ჩქარობდა, რომ შუკას სიტყვით გამოსვლის დროს იქ ყოფილიყო. შუკამ ჯანაკას მოახლოება შენიშნა. მისი დანახვა შორიდან შეიძლებოდა, იმიტომ რომ ჯანაკა ჩვეულებრივ მარტო არ მოდიოდა. თუმც ჯანაკა არ იყო იმაში დაინტერესებული, რომ მინისტრები და მსახურები მოეყვანა, მაგრამ ისინი ყოველთვის თან ახლდნენ მას, რომ მათ მეფისა და მისი დაცვის უსაფრთხოება უზრუნველყოთ. მალე ყველამ გაიგო, რომ მეფე ჯანაკა მოდის. როდესაც იმ ტერიტორიაზე შემოვიდა, სადაც ბრძენი სიტყვით გამოდიოდა, ჯანაკა *გურუს* წინ განერთხა და თვინიერად ითხოვა პატიება დაგვიანებისთვის; ამის შემდეგ მან დადო ჭილოფი, რომელიც გაკეთებული იყო ბალახისგან სახელად *დურბა*, და დაჯდა.

შუკამ მაშინვე დაიწყო საუბარი. მაგრამ იქ შეკრებილ ახალგაზრდა მოსწავლეთა გულებში არსებულმა სიძულვილმა უკვე გამოიღო ნაყოფი. შუკასა და მეფე ჯანაკას მიმართ მათი ანტიპათიის გამო მათი სახეები შეიცვალა.

„შეხედეთ შუკას! – ამბობდნენ ისინი. – *მას მხოლოდ ის აღელვებს, რომ მეფეს აამოს. ამაშია მისი მთელი ვედანტა“.*

ცეცხლი, რომელმაც მიმდევართა მიბმულობები გამოავლინა

შუკამ გადაწყვიტა შეკრებილი ადამიანებისთვის, რომლებიც ბოროტ გრძნობებს ფარავდნენ, ჭკუა ესწავლებინა. რაღაც დროის შემდეგ მოულოდნელად სიტყვა შეწყვიტა და თქვა:

„ჯანაკა, შეხედე შენს სამეფოს. იქ ხანძარია!“

მეფე ჯანაკამ, რომელიც თალდახუჭული უსმენდა წმინდა წერილს და მთლიანად იყო შთანთქმული, ოდნავი ყურადღებაც კი არ მიაქცია ამ სიტყვებს. იმდენად მოკრიბა ყურადღება *ვედანტაზე*, რომ *ვედენტის* გარდა მას აზრებში სხვა არაფერი ჰქონდა. თუმცა შეკრებილებმა ქალაქის თავზე ცეცხლი და ბოლი დაინახეს. ზოგიერთი მოსწავლე, ფიქრობდა რა თავის ნათესავებზე და ბარგი-ბარხანაზე, ქალაქისკენ გაიქცა. მათ გულებში ღრმად დაფარული მთელი მიბმულობა ზედაპირზე ამოტივტივდა და მთლიანად გამოვლინდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ შუკამ მეფე ჯანაკას უთხრა:

„ჯანაკა, ცეცხლი უკვე შენს სასახლეზე გავრცელდა“.

მაგრამ ჯანაკამ ამჯერადაც არ მიაქცია ყურადღება შუკას განცხადებას; იგი ადგილიდან არ დაძრულა. მას ჰქონდა *ანაშაქთის* ჭეშმარიტი გრძნობა – სრული არამიბმულობისა და ყოველივე მიწიერის მიმართ გულგრილობის გრძნობა. მას მხოლოდ *ატმა* აინტერესებდა; ის მხოლოდ *ატმას* მიერ იყო შთანთქმული, და ამის გარდა მას არავითარი სხვა გრძნობა არ ჰქონდა.

დამსწრეთა შორის ამ გამოსვლის დროს იყო რამდენიმე ცნობილი პანდიტი და სახელგანთქმული სწავლული. შუკას უნდოდა ეჩვენებინა მათთვის, რომ თუმცა ისინი დიდი სწავლულები იყვნენ, მაგრამ მიბმულობები მათ ვერ მოიცილეს. როდესაც ამ სწავლულებმა ცეცხლის ალი დაინახეს, მათ შეეშინდათ, და მეფე ჯანაკას მიმართეს:

„მეფეო! მეფეო! იღონე რაიმე, რომ ამ საშინელი კატასტროფისგან გვიხსნა!“

მაგრამ ჯანაკა *სამადჰის* მდგომარეობაში შევიდა: ის *ატმას* ნეტარებით ტკბებოდა.

იგი სიხარულის ცრემლებს ღვრიდა. მას წმინდა აზრებიდან, რომლებზეც მთელი ყურადღება ჰქონდა მოკრებილი, ერთი წუთითაც კი არ გადაუტანია ყურადღება. შუკა აკვირდებუდა ჯანაკას მდგომარეობას და ძალიან კმაყოფილი იყო. რაღაც დროის შემდეგ ქალაქში გაქცეული მოსწავლეები დაბრუნდნენ, და ამბობდნენ, რომ ხანძარი იქ ფაქტიურად არ ყოფილა. მაშინ შუკამ მოსწავლეებს აუხსნა იმ ყველაფრის მნიშვნელობა, რაც მოხდა.

შუკამ თქვა:

„შვილებო, ჩემი გამოსვლა ორი საათით შევაჩერე არა იმიტომ, რომ ჯანაკა მეფეა და, მაშასადამე, ძალიან მნიშვნელოვანი ადამიანია. გამოსვლას იმიტომ ვაყოვნებდი, რომ ჯანაკა ამის ღირსია: ის არის ჭეშმარიტი შიშია (მაძიებელი), და დარწმუნებული ვარ, რომ ისეთებს, როგორიცაა ჯანაკა, უნდა ველოდოთ. რადგან მან მოიცილა ეგო და სიამაყე, რადგან მასში არის ჭეშმარიტი თვინიერება და თავგანწირულება, მას აქვს იმის უფლება, რომ ჩემი გამოსვლა შეაჩეროს. თქვენ უსმენთ იმ ყველაფერს, რაც ითქმის, მაგრამ არ გესმით და პრაქტიკაში არ ნერგავთ ამას; ამიტომ თქვენ არ გაქვთ ასეთი უფლება.

იმის ნაცვლად, რომ ასობით ადამიანს ვასწავლიდე, რომელიც არავითარ ძალისხმევას არ იჩენს, რომ ეს სწავლება ყოველდღიურ ცხოვრებაში პრაქტიკაში გამოიყენოს, ჯობია ვასწავლო ერთ ადამიანს მაინც, რომელსაც ჭეშმარიტად აქვს სწავლის უფლება, იმიტომ რომ ის ამ წმინდა მცნებებს თავის საკუთარ ცხოვრებაში ახორციელებს. რა აზრი აქვს ვასწავლიდე მიბმულობებითა და ეგოიზმით სავსე ადამიანებს? ეს იგივეა, რომ წყალში ქვას ვაგდებდე. რამდენი წელიც არ უნდა იყოს ის წყალში, ერთ წვეთსაც კი არ შეიწოვს.

თუ ჩემთან მოვა ჯანაკას მსგავსი ერთი ადამიანიც კი, ეს საკმარისი იქნება იმისათვის, რომ ჩემი საქმე გავაგრძელო. რა საჭიროა წვრილი მბრწყინავი კენჭები? დიდი ღირებულების ერთი ძვირფასი ქვა მაინც თუ არის, ეს საკმარისია. რა საჭიროა 10 აკრი უნაყოფო მიწა, როცა ნაყოფიერი მიწის პატარა ნაკვეთი დიდ მოსავალს იძლევა. თუ ჯანაკას მსგავსი ერთი მეფე წმინდანი გახდება, მაშინ ის მთელი თავისი სამეფოს გარდაქმნას და წმინდა სამეფოდ ქცევას შეძლებს, რაც მთელი ქვეყნიერებისთვის მაგალითი გახდება“.

შუკას განზრახვა ის იყო, რომ ჯანაკა ექცია *რაჯა-იოგად*, წმინდან მეფედ, და ამავე დროს მის გარშემო შეკრებილი თავდაჯერებული მიმდევრებისთვის ჭკუა ესწავლებინა.

არჯუნას მეშვეობით კრიშნა მთელ ქვეყანიერებას ასწავლიდა

კრიშნასაც მსგავსი განზრახვა ჰქონდა, როცა იგი არჯუნას *გიტას* ასწავლიდა. არჯუნა განდობილი იყო, და მანაც მიიღო ამ სწავლების უფლება თავისი ხასიათისა და მაღალი იდეალების წყალობით. არჯუნა გრძნობებზე კონტროლს ფლობდა; *ასკეზების* წყალობით დიდ სულიერ ძალას დაეუფლა. მან ამქვეყნიური მიბმულობების უმეტესი ნაწილის ჩახშობა შეძლო. იგი მაღალგანვითარებულ ინტელექტს ფლობდა, და მრავალ სფეროში იყო გაწაფული. და კრიშნას ჭეშმარიტი თვინიერებით დაემორჩილა.

კრიშნამ იცოდა, რომ არჯუნა მზად არის ამ სიბრძნისთვის, და გადაწყვიტა ის *სთჰითაპრაჯნად,* ჭეშმარიტ ბრძენად ექცია. თვლიდა რა, რომ თუ არჯუნას გამოასწორებს, ეს სარგებლობას მოუტანს ქვეყნიერებას, კრიშნამ დიდი სიყვარულით გაუზიარა არჯუნას წმინდა სწავლება. არჯუნას ჰქონდა როგორც უნარი, ასევე ზნეობრიობა იმისათვის, რომ უდიდეს სულიერ სიმაღლემდე ასულიყო და ნებისმიერ გარემოებაში გრძნობები კონტროლის ქვეშ ჰქონოდა. აი რატომ მისცა კრიშნამ მას სახელთა მთელი რიგი.

არჯუნა სანსკრიტულად ნიშნავს „სუფთას“. კრიშნას მიერ მიცემული მეორე სახელია „წმინდა გულით“; მესამე – „მარგალიტი ადამიანთა შორის“. არჯუნა ისეთი ძლევამოსილი ადამიანი იყო, რომ შეეძლო ისეთი მოქმედებები განეხორციელებინა, რაც მთელ ქვეყანას შეძრავდა. მაგრამ ის ყოველთვის *დჰარმას* იცავდა და ისე მოქმედებდა. მან ისეთი იარაღის ხმარების უფლება დაიმსახურა, რომლის ხმარებაც არავის შეეძლო იმ დროს. თავდაპირველად ეს იარაღი უფალ შივას ეკუთვნოდა. იმავე მრისხანე იარაღმა, რომელიც ჰქონდა შივას *ტრეტას* საუკუნეში, მოგვიანებით კი მეფე ჯანაკას, კრიშნას და არჯუნას დროს *დვაპარას* საუკუნეში, განდივის მშვილდის სახე მიიღო. მიიღო რა შივას წყალობა, არჯუნამ ამ დიდებული იარაღის მიღება შეძლო. არჯუნა ყველა დამოკიდებულებით იყო გამოჩენილი გმირი, გარდა ამისა, იგი იმდენად კეთილშობილი და სამართლიანი ადამიანი იყო, რომ კრიშნამ ის აირჩია იმისთვის, რომ *გიტა* ესწავლებინა მისთვის, რომ მთელ ქვეყნიეწებას მიეღო ამისგან სარგებლობა.

საჭმელი კუჭს პირის მეშვეობით შეეთავაზება. შემდეგ კუჭის მეშვეობით საჭმელი აღწევს მთელ სხეულს, კიდურების ჩათვლით. ასეთივე სახით *გიტა* მიეცა სუფთა და უანგარო ადამიანს, ისეთს, როგორიცაა არჯუნა, რომ ის მთელ ქვეყნიერებამდე მისულიყო. არჯუნას ერთ-ერთი სახელია *პარტჰივა,* რაც ნიშნავს „მიწის შვილს“. თქვენ ყველანი მიწის შვილები ხართ. რადგან არჯუნა შეიძლება მთელი ადამიანური რასის გამოჩენილ წარმომადგენლად ჩაითვალოს, კრიშნამ წმინდან ადამიანად აქცია იგი, და იცოდა, რომ დროთა განმავლობაში ქვეყნიერებაც გარდაიქმნებოდა.

ჩვეულებრივი მოქმედებები, მიუკერძოებელი მოქმედებები და წმინდა მოქმედებები

ჩვეულებრივ მოქმედებებთან შედარებით, რომლებიც სრულდება ფიქრით თავის თავზე როგორც შემსრულებელზე, მოქმედებები ნაყოფის სურვილის გარეშე, ანუ *ნიშკამა-კარმა,* გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია. მაგრამ სრულიად უანგარო მოქმედება, რომელიც შესრულებულია პირადი ინტერესის გარეშე, მისი ნაყოფის მიმართ

სრული გულგრილობით და ყოველგვარი მიბმულობის გარეშე – *ანაშაქთი-კარმა,* – უფრო დიდებულია, ვიდრე *ნიშკამა-კარმაა.* თუმცა, როდესაც მოქმედება მთლიანად უფალს შეეთავაზება, როცა ხდება *იაჯნა*, ანუ მსხვერპლის შეწირვა, ის კიდევ უფრო მეტად წმინდაა, ვიდრე ყველა დანარჩენი. ამრიგად, კრიშნამ არჯუნას მოსთხოვა, რომ მთელი თავისი მოქმედებები უფლისთვის შეეთავაზებინა. როდესაც არჯუნამ ევოლუციის ამ სტადიას მიაღწია, ანუ როცა არჯუნამ ისწავლა, რომ ყველა თავისი მოქმედება უფლისთვის შეეთავაზებინა, კრიშნმამ არჯუნასთვის *გიტას* სწავლება დაიწყო.

საწყის სტადიაზე ყოველი ადამიანი უნდა *კარმას* ასრულებდეს და მისთვის მიცემულ ამოცანებზე აქტიურად მუშაობდეს. მოქმედებები საჭიროა იმისათვის, რომ სიზარმაცე არ განვითარდეს. ზარმაცი ადამიანი სრულიად უსარგებლოა ქვეყნისთვის. *სვამი* არ იწონებს და არ ახალისებს სიზარმაცეს ადამიანში. დასაწყისში ჩვეულებრივი *კარმა* უნდა ასრულოთ. შემდეგ უნდა გადახვიდეთ იმ სტადიაზე, სადაც ყველა მოქმედებას პირადი დაინტერესების გარეშე ასრულებთ (*ნიკშამა-კარმა*). თანდათან თქვენს მოქმედებებს *იოგად* გარდაქმნით. დაბოლოს *იოგა* ხდება *იაჯნა*, თქვენ ყველაფერს განუდგებით. *კარმას* გარდაქმნა *იაჯნად*, ანუ მუშაობისა თაყვანისცემად, - ამაშია *გიტას* სწავლების აზრი.

გიტა იმ ყველაფერს მოგცემთ, რისი მიღებისთვისაც მზად ხართ

მთლიანად რომ მოსპოთ ეგოისტურობა, ქედმაღლობა, სიამაყე, საკუთრების გრძნობა, მიბმულობა, სიძულვილი და სხვა მსგავსი მავნე თვისებები, *გიტა* სხვადასხვა ხერხით გასწავლით ჭეშმარიტებას; ამ პროცესში იგი სხვადასხვა ადამიანს ეხმარება იმაში, რომ მან წმინდა ბუნება განავითაროს. *გიტა* შეიძლება ნატვრის ხეს შევადაროთ: რისი მიღებაც არ უნდა ისურვოთ *გიტასგან*, ის მოგცემთ. მნიშვნელობა, რომელიც სხვადასხვა სწავლებას ენიჭება *გიტაში*, დამოკიდებულია ცხოვრებაზე თქვენს შეხედულებაზე და სულიერი მომზადების სტადიაზე. არავის შეუძლია თქვას, რომ მან გარკვეული ლექსის ერთადერთი სწორი მნიშვნელობა იცის; არავის აქვს საკმარისი ავტორიტეტი იმისათვის, რომ თქვას, რომ მისი გაგება ერთადერთი სწორია.

გიტას სწავლება სულიერი მაძიებლის ყოველ დონეს მოერგება. ამიტომ *გიტა* შეიძლება აღვწეროთ როგორც *ვედანტას* გული; იგი მის თვით არსს წარმოადგენს. *გიტა* არის ძვირფასეულობის საგანძური; *გიტა* არის ყვავილებით მოფენილი გზა; *გიტა* არის სერიოზულ მაძიებელთა საყრდენი; *გიტა* მათ იმის საშუალებას აძლევს, რომ

ამქვეყნიური ცხოვრების ზღვაში იცურონ და გადარჩნენ; *გიტა* მათ ეხმარება ყველა წინააღმდეგობის გადალახვაში და მიზნის მიღწევაში. ადამიანი, რომელსაც *გიტა* არ აინტერესებს, თავისი ცხოვრების თვით მიზანს უშვებს ხელიდან.

როგორიც არ უნდა იყოს ადამიანის გრძნობები, იმ სწავლების არსი, რომელსაც ის *გიტას* შესწავლის დროს მიიღებს, მისი სულიერი განვითარების დონის შესაბამისი იქნება. მაგალითად, ბევრმა აქ მყოფმა ერთგულმა იცის სანსკრიტული მანტრა, რომელიც იმისთვის გამოიყენება, რომ უფლის კურთხევა გამოიწვიოს: პირველი სტრიქონი *შუკლამ ბარდჰარამ ვიშნუმ* ითარგმნება „თეთრად შემოსილ უფალს“. უფალი ვიშნუა სწორედ ყველგან მსუფევი. ითვლება, რომ მისი კანი ნაცრისფერია. ზოგჯერ მის კანს მთვარის ფერს ადარებენ, ანუ ის მოთეთროა, - ეს იგივე ნაცრისფერია. მის დამახასიათებელ თვისებებს აღწერენ როგორც ოთხ ხელს და უკიდურესად სასიამოვნო და წმინდა სახეს, რომელიც აგზნებულობის ან დათრგუნულობის სულ ცოტა გრძნობასაც კი არ გამოხატავს. ასე წარმოიდგენენ უფალ ვიშნუს მისი ერთგულები, და უფლის ასეთ სახეს ლოცულობენ. მაგრამ ის, ვისაც ეს არ სწამს, შეუძლია იგივე სიტყვები იხმაროს, თუმცა გარეგნობა, რომელსაც ისინი ამ სიტყვებით გამოხატავენ, შეიძლება სულ სხვა იყოს.

სანსკრიტული სიტყვები *შუკლამ ბარდჰარამ,* რომელთა დახმარებითაც ეს განსხეულებაა დასახელერბული, შეიძლება ასევე ეხებოდეს იმას, ვინც თეთრ ტანსაცმელს „ატარებს“. რა სიტუაციაშიც არ უნდა დაინახოთ ვიშნუ, აღმოაჩენთ, რომ ის არავითარ გრძნობას არ ავლენს, ნაცრისფერია, და მას ოთხი ხელი აქვს. შეიძლება ეს ნიშნები ავიღოთ, ერთად დავაწყოთ და ვთქვათ, რომ ეს სიტყვები ვირს აღწერს. ვირი შეიძლება თეთრ ტანსაცმელს „ატარებდეს“, მისი კიდურების რაოდენობა ოთხია, სხეული ნაცრისფერია და ფიზიონომია უკიდურესად სასიამოვნოა. ის არავითარ ადგილს არ არის მიბმული: შეგიძლიათ ნახოთ, როგორ დაეხეტება გზებზე, სახლის წინ – ყველგან. აი *შუკლამ ბარდჰარამის* მნიშვნელობა, რომელიც მას ურწმუნოებმა მისცეს. ამიტომ უფალია ეს თუ ვირი იმაზეა დამოკიდებული, როგორ უყურებთ ამას, წარმოადგენთ ერთგულს თუ ურწმუნო ხართ, გაინტერესებთ სულიერი საგნები თუ არავითარ ყურადღებას არ აქცევთ მათ.

ასეთივე სახით სხვადასხვა ადამიანებს *გიტას* სწავლება სხვადასხვანაირად ესმით. თქვენი გრძნობების მდგომარეობაზე დამოკიდებულობით, ყოველი თქვენგანი სიტყვების მნიშვნელობას განსხვავებულად გაიგებს, იმ სტადიის შესაბამისად, რომელსაც მან მიაღწია სულიერ გზაზე. ამიტომ *გიტა* არის დიადი ნატვრის ხე, ეს

არის წმინდა ძროხა, რომელიც რძეს უსასყიდლოდ იძლევა. შეგიძლიათ *გიტადან* აიღოთ ის მნიშვნელობა, რომელიც მოგწონთ, ის სწავლება, რომელსაც შეგიძლიათ ჩასწვდეთ. ოკეანეში ბევრი წყალია, მაგრამ წყლის რაოდენობა, რომლის წაღებაც შეგიძლიათ, დამოკიდებულია თქვენ მიერ წამოღებულ ჭურჭლის ზომაზე. წყალი ერთი და იგივეა – განსხვავება მხოლოდ ჭურჭლის ზომაშია. ასეთივე სახით თქვენი გრძნობები შეიძლება სხვადასხვა იყოს, მაგრამ *ბჰაგავად გიტა* ერთია.

გიტა ერთიან გზავნილს ატარებს ყველასთვის; მისი წმინდა მიზანი კაცობრიობის ღვთაებად გარდაქმნაა. ასეთ წმინდა წიგნს ფუქსავატურად არ უნდა ეპყრობოდეთ. *გიტას* ერთგულებისა და ვალის ღრმა გრძნობით უნდა უდგებოდეთ, და მის სტრიქონებს გულწრფელი გრძნობით და გაგებით წარმოთქვამდეთ. და უნდა ყოველდღიურად იყენებდეთ პრაქტიკაში *გიტას* მიერ თქვენთვის მოცემულ სულ ცოტა ერთ ან ორ მცნებას. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებთ თქვენი მიზნის სრულ განხორციელებას ცხოვრებაში.

თავი ოცდამეცამეტე

შინაგანი ხედვის განვითარება

მუშაობთ აქტიურად წუთისოფელში თუ
უარი თქვით წუთისუფელზე, მთავარია
არა სამუშაო, რომელსაც თქვენ ასრულებთ
ან არ ასრულებთ, არამედ ის, რამდენად
ეფექტურად შეძელით თქვენს გულში
დაფარული ღრმად ფესვგადგმული
ტენდენციების ამოძირკვა და მოსპობა.

სიყვარულის განხორციელებანო!

მოცილება ღრმად ფესვგადგმული ნეგატიური აზრიფორმებისა, ცუდი ჩვეულებების, ტენდენციებისა და მიდრეკილებებისა, რომლებსაც სანსკრიტულად ჰქვია *ვასანები*, - იმ უსუფთაობისა, რომელმაც თქვენს გულში ღრმად გაიდგა ფესვი, - აი მთავარი მიზანი *სადჰანასი* (სულიერი პრაქტიკისა) და *იოგასი*, სახელდობრ კი, *რაგას* და *დვეშას* (მიბმულობის და სიძულვილის) კვალისგან გაწმენდა. ისინი თქვენს აზრებში და მოქმედებებში ავლენენ თავს ორმაგი ბოროტების სახით – მიბმულობისა და სიძულვილის სახით, ანუ მიზიდულობისა და განზიდვისა, სიმპათიისა და ანტიპათიისა.

როგორ უნდა დაიხსნათ თავი შინაგანი მტრებისგან

თუ უბრალოდ გაიქცევით ტყეში ან გამოქვაბულში, არ შეასრულებთ შესაბამის სულიერ პრაქტიკებს იმისათვის, რომ ეს შინაგანი მტრები მოიცილოთ, მაშინ, მოგწონთ თუ არა, ეს ტენდენციები გააგრძელებს იმ აზრებისა და მოქმედებების წარმოებას, რომლებიც ქვეყნიერებაზე გაბამთ. ეს უსუფთაობა თქვენს გულში გაიდგამს ფესვს როგორც თესლი და თქვენში გამოიწვევს აზრთა ნაკადს, რომელიც სიმპათიებითა და ანტიპათიებით, სურვილებითა და ცდომილებებით შეგავსებთ. შედეგად თქვენს ჭეშმარიტად ადამიანურ ბუნებას დაივიწყებთ.

გიტა გიჩვენებთ, რომ თუ შეძლებთ ამოძირკვოთ თქვენში ფესვგადგმული ტენდენციები, რომლებიც გებღაუჭებათ, მაშინ შეგიძლიათ შეასრულოთ ნებისმიერი მოქმედება ისე, რომ მის შედეგზე არ იზრუნოთ. ამ მომენტიდან აღარავითარი *კარმა* არ შეგბოჭავთ, რომლითაც თქვენი თავი შებოჭეთ, სხვა სიტყვებით, მთლიანად თავისუფალნი იქნებით თქვენი მოქმედებების შედეგებისგან.

ადამიანები, რომლებსაც ეს ჭეშმარიტება არ ესმით და გარეშე მოქმედებებს უკუაგდებენ, უმოქმედებისა და სიზარმაცის ჭაობში ხვდებიან. მაგრამ *გიტა* ყოველთვის გაფრთხილებთ, რომ სულის სამყაროში სიზარმაცისთვის ადგილი საერთოდ არ არის.

ის, რასაც *გიტა* გასწავლით, ეს არის *ანაშაქთი-იოგა*, ანუ მოქმედება პირადი ინტერესის გარეშე, როცა არა გაქვთ პირადი დაინტერესება თქვენ მიერ შესრულებულ სამუშაოში და მისგან მიღებულ შედეგებში. ეს ნიშნავს მთელი ძალისხმევით მუშაობას სრული უნარის გამოყენებით და სრულყოფილებისკენ სწრაფვას, მთელი თქვენი მოქმედებების მიმართვას ღმერთისკენ და მუდამ ღმერთის ცნობიერებაში დარჩენას. ვერ მიაღწევთ *ნიშკამა-კარმას* – თქვენს მოქმედებებში სურვილების არარსებობას და თქვენი მოქმედებების შედეგებზე უარის თქმას, სანამ თქვენი *ვასანები* (ტენდენციები), რომლებიც წარსული მოქმედებებიდან გაჩნდა, თქვენი სულიერი პროგრესისთვის არაკეთილსასურველია.

თქვენი თავისთვის მსახურების მოქმედება ღმერთისთვის უანგარო მსახურებად აქციეთ

ანაშაქთი-იოგა ნიშკამა-კარმის პრაქტიკის ზღვრებსაც კი სცილდება; *ნიშკამა-კარმა* კი არის სტადია, როცა თქვენი ყველა მოქმედება თქვენი შრომის შედეგების სურვილების ან მოლოდინის გარეშე სრულდება. *გიტას* მეორე თავში ამ სტადიაზეა გამახვილებული ყურადღება. უპირველეს ყოვლისა უნდა ყველა ნეგატიური ტენდენცია მოიცილოთ, რომელიც ხელს უწყობდა თქვენთვის შესრულებულ ჩვეულებრივ მოქმედებებს, რაც თქვენ გბოჭავდათ, და ეს ნეგატიური ტენდენციები შეცვალოთ პოზიტიური, კეთილშობილი თვისებებით, რომლებიც კეთილისმყოფელ, უანგარო მსახურებასთან არის დაკავშირებული. როდესაც უანგარო მოქმედებების სტადიაში გამყარდებით, და მხოლოდ კარგ საქმეებს შეასრულებთ, უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლას შეძლებთ, სადაც თქვენი მოქმედებების შედეგებზე ამბობთ უარს. იქიდან ბუნებრივად ადიხართ მთლიანად უანგარო უპიროვნო *იოგას – ანაშაქთი-იოგას* - სტადიაზე. ამ სტადიაზე იმას უნდა მიაღწიოთ, რომ თქვენი მოქმედებები უაღრესად სუფთა იყოს, და მაშინ ღმერთს უნდა შესთავაზოთ ამ მოქმედებებს ისე მოექცეს, როგორც მოისურვებს.

რაშია მოღვაწეობის შინაგანი საიდუმლოება? *გიტა* აცხადებს, რომ მხოლოდ კარგი საქმეების დახმარებით, *სატ-კარმის* დახმარებით, შეიძლება ცუდი ტენდენციების მოცილება. *გიტა* რეკომენდაციას გაძლევთ, რომ მხოლოდ კარგი საქმეები ასრულოთ, რომ მუდამ წმინდოთ თქვენი გული. ის უფრო შორს მიდის: ამტკიცებს, რომ,

გულის ჭეშმარიტ სუსუფთავეს მხოლოდ მაშინ შეგიძლიათ მიაღწიოთ, როდესაც მთელ თქვენს მოქმედებებს უფალს მიუძღვნით. თქვენ მიერ შესრულებული ყოველი მოქმედება ღმერთს უნდა შესთავაზოთ – მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება თქვენი გული მთლიანად გაიწმინდოს. განვიხილოთ შემდეგი მაგალითი.

მას შემდეგ, რაც საჭმელი სხვადასხვა ხერხით იქნა მომზადებული და შეჭმული, იგი ჩვეულებრივ საჭმელად რჩება და თქვენზე მოქმედებს კარგად ან ცუდად. თუმცა, თუ ეს საჭმელი მიღებამდე ღმერთს შეეთავაზება, იგი ხდება *პრასადი*, ნაკურთხი საჭმელი, ანუ უფლის წმინდა საჩუქარი.

ასეთივე სახით თქვენ მიერ დღის განმავლობაში შესრულებული მრავალრიცხოვანი მოქმედება ჩვეულებრივი მოქმედებების კატეგორიაში ხვდება. მაგრამ თუ იგივე მოქმედებებს, სულ მცირესაც კი, ასრულებთ ისე, რომ მათ ღმერთს სთავაზობთ, და მოქმედებების შედეგებს უძღვნით არა საკუთარ სიამოვნებას, არამედ ღმერთის სიამოვნებას, მაშინ ეს მოქმედებები წმინდა ხდება. სხვა სიტყვებით, თქვენი *კარმა* ხდება *კარმა-იოგა*. მხოლოდ *კარმა-იოგას* მეშვეობით შეძლებთ მავნე ტენდენციების მოცილებას და გულის გაწმენდას.

გაწმინდეთ მოქმედებები მანამდე, სანამ მათ ღმერთს შესთავაზებდეთ

როგორი უნდა იყოს ის ქცევები, რომლებსაც უფალს სთავაზობთ? რამდენად წმინდა უნდა იყოს ისინი? სანამ ჩვეულებრივ ადამიანს რაიმე საჩუქარს მიართმევდეთ, უყურებთ, რომ ეს საჩუქარი სასარგებლო იყოს, ღირებულება ჰქონდეს მას, რომ იყოს სუფთა და რომ მოეწონოს, სხვა სიტყვებით, რომ მას აფასებდნენ. თუ ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია, როდესაც სხვა ადამიანს რაიმეს მიართმევენ, მაშ როგორი გულმოდგინებით უნდა მიართვათ საჩუქარი თვით უფალს! როგორი სუფთა და სრულყოფილი უნდა იყოს ეს მირთმევა! არ შეიძლება უფლისთვის ნებისმიერი საგნებისა და მოქმედებების შეთავაზება. სანამ უფალს რაიმეს შესთავაზებდეთ, ეს უნდა სუფთა, წმინდა და მშვენიერი გახადოთ. მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება იგი ვარგისი მისართმევად.

მაგალითად, თუ გინდათ, რომ უფალს ვარდი მიართვათ, ჯერ ირჩევთ მშვენიერ სურნელოვან ყვავილს. ამის შემდეგ ყვავილს მწერებისგან ათავისუფლებთ. შემდეგ ღეროს ეკლებისგან და ცუდი ფოთლებისგან ასუფთავებთ და ამ ძღვენს შეძლებისდაგვარად მშვენიერს და სუფთას სდით. მხოლოდ ამის შემდეგ მიართმევთ მას უფალს. თქვენ მიერ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება უნდა ჰგავდეს იმ ყვავილს, რომელსაც უფალს სთავაზობთ. ისევე, როგორც

ყვავილი საუცხოო არომატს გამოსცემს, თქვენი მოქმედებებიც სიყვარულისა და სიწმინდის არომატით უნდა იყოს აღსავსე. ისევე, როგორც თქვენ მიერ მიძღვნილი ყვავილი მშვენიერი და სუფთაა, თქვენი მოქმედებებიც უნდა კარგი და სუფთა იყოს. ამაშია მოქმედების ჭეშმარიტი *იოგა* (*კარმა-იოგა*). *ბჰაგავად გიტა* გასწავლით, რომ მხოლოდ მსგავსი სახის მოქმედებები შესთავაზოთ უფალს.

თქვენ უნდა ასხვავებდეთ ბრძნულ მოქმედებას არაბრძნულისგან, ამისათვის კი უნდა გესმოდეთ განსხვავება სიბრძნესა და უმეცრებას შორის. თქვენს სიბრძნეს უნდა ავითარებდეთ, სანამ იგი არ გაფართოვდება და არ შეერწყმება კოსმოსურ სიბრძნეს – ღვთაებრივ სიბრძნეს. ყოველმა ადამიანმა, ვისაც უნდა, რომ უშუალოდ განიცადოს უფალი, უნდა ავითარებდეს სიბრძნეს და მასთან ერთად მთელ რიგ სხვა მნიშვნელოვან თვისებებს.

განათლებულის თვისებები

სულიერი სიბრძნით (*სთჰითაპრაჯნათი*) აღჭურვილი ადამიანის თვისებები შემდეგია: მოთმინება, გამბედაობა, სხეულისა და გონების სისუფთავე, უანგარო სიყვარული, უფლის ყველგანმსუფეობის გაცნობიერება და მისკენ მხურვალე სწრაფვა, აგრეთვე, ექვსი თვისება, რომელიც ცნობილია როგორც სულიერი განძეული, სახელდობრ კი: *შამა* – გონების კონტროლი; *დამა* – გრძნობების კონტროლი; *უპარატი* – ეგოისტურ სურვილებზე უარის თქმა; *ტიტიქშა* – მოთმინება და გულგრილობა ყოველგვარი დაპირისპირებულობის მიმართ, როგორიცაა ტკივილი და სიამოვნება; *შრადჰა* – ურყევი რწმენა და *სამადჰანა* – ღრმა კმაყოფილება, რომელიც გონების წონასწორობიდან მოდის. მოდით განვიხილოთ ამ თვისებებიდან პირველი: ***დიდი მოთმინება***.

დიდი მოთმინება ანუ თავშეკავებულობა ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი თვისებაა, რომელსაც ყოველი ადამიანი უნდა ფლობდეს და პრაქტიკაში ატარებდეს. მრავალი მმართველი მოსპობილ იქნა, იმიტომ რომ ამ მმართველებმა დიდი მოთმინების ეს თვისება დაკარგეს. დიდმა *რიშებმაც* (ბრძენებმაც) კი დაკარგეს ყველა თავიანთი დამსახურება, იმიტომ რომ უგულებელყვეს ეს თვისება. უთვალავმა სწავლულმა კრახი განიცადა, იმიტომ რომ ეს დაუფასებელი თვისება გამორჩა მხედველობიდან. მოთმინება შეიძლება ჩაითვალოს ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ფარად და მახვილად იმისათვის, რომ ცხოვრების ბრძოლას პირისპირ შეხვდეთ. როდესაც მოთმინებას კარგავენ, ადამიანები სწრაფად კარგავენ ყველა თავიანთ ადამიანურ თვისებას. როგორც უკვე ნახეთ, ისეთი თვისება,

როგორიცაა მოთმინება, დიადი ადამიანის უაღრესად მნიშვნელოვანი ასპექტია; მოთმინების გარეშე შეუძლებელია გახდეთ განათლებული.

გაბედული ხასიათი, სხვა სიტყვებით, ისეთი თვისებები, როგორიცაა *გამბედაობა* და *სიმტკიცე*, - აი წინაპირობა მოთმინების განვითარებისთვის. მაგრამ გამბედაობა არ უნდა გვერეოდეს სულელურ სიკერპეში. სულიერების თვალსაზრისით სიმტკიცე და გაბედული ხასიათი დაკავშირებულია მცდარობისა და გაუბედაობისგან თავისუფალ გონებასთან.

რა დაბრკოლებაც არ უნდა გაჩნდეს, რა სიძნელენი და პრობლემებიც არ უნდა წარმოიშვას, გაბედული ხასიათის ადამიანი მტკიცედ ასრულებს აღებულ ამოცანებს იქამდე, სანამ მიზანს არ მიაღწევს. თუ არა გაქვთ ისეთი თვისება, როგორიცაა გამბედაობა, მაშინ საფუძველი არ იქნება მოთმინებისთვის, მისი ზრდისთვის. მოთმინება და გამბედაობა ტყუპებია; ერთი მეორის გარეშე ვერ იარსებებს. გამბედაობის გარეშე შეუძლებელია მოთმინების არსებობა, მოთმინების გარეშე გამბედაობა თავდაჯერებულობამდე დაეშვება.

ახლა განვიხილოთ *სისუფთავე*. ისევე, როგორც სხვადასხვა მოქმედებებს აწარმოებთ იმისათვის, რომ სხეული გაასუფთაოთ, სხვადასხვა კარგი მოქმედება უნდა აწარმოოთ იმისათვის, რომ გონება გაასუფთაოთ. ასეთი მოქმედებებით შეგიძლიათ ის მიბმულობები, სიმპათიები და ანტიპათიები მოიცილოთ, რომლებიც თქვენს გონებას ბილწავს და რომლებსაც ეგოიზმი შეაქვს. როდესაც ეს ნეგატიური თვისებები იქნება მოშორებული, თვითკონტროლის მიღწევას შეძლებთ. ისევე, როგორც კუს შეუძლია კიდურები გამოათავისუფლოს ბაკნიდან ან ისევ უკან წაიღოს, თქვენ უნდა იცოდეთ, როგორ აკონტროლოთ გრძნობები და მაშინ გამოიყენოთ ისინი, როცა საჭიროა. *გიტა* ამტკიცებს, რომ ეს თვისებებიც ძალიან მნიშვნელოვანია ბრძენისთვის.

ადამიანთა მოქმედებებში მათი ჭეშმარიტი ბუნება მჟღავნდება

სწორედ მოქმედების, ანუ *კარმის* ველზე ავლენს ყველაზე უფრო ღიად ადამიანი თავის ხასიათს, და აჩენს, ვინ არის იგი სინამდვილეში. აი ასეთი დიდი მნიშვნელობა რატომ ეძლევა *ნიშკამა-კარმას* (ანუ მოქმედებებს მათ შედეგებზე მიბმულობის გარეშე). ისევე, როგორც სარკე გიჩვენებთ, როგორია თქვენი სახე, თქვენი მოქმედებები გიჩვენებთ, როგორი გრძნობები დაგეუფლათ. როდესაც ვინმესთან საქმიანი ურთიერთობები გაქვთ, ადვილად შეგიძლიათ გამოარკვიოთ, მისი მოქმედებების მიხედვით რას წარმოადგენს ეს ადამიანი.

ადამიანები შეიძლება გვეჩვენებოდნენ როგორც სამართლიანები, გაწონასწორებულები და თავაზიანები, მშვიდობიანი ხასიათით, სხვა

სიტყვებით, გვეჩვენება, რომ მათ *სატვიური* ბუნება აქვთ. ჩვენ ვთვლით, რომ ისინი წმინდა გულისანი არიან. მაგრამ მათი მოქმედებები შეიძლება სულ სხვა აღმოჩნდეს: მათ შეიძლება სრულიად დაკარგული ჰქონდეთ სიყვარული და თანაგრძნობა; მათში შეიძლება ვლინდებოდეს ცხოველური ან დემონური ხასიათიც კი.

ზოგიერთები გარეგნულად შეიძლება სასტიკებად მოგეჩვენოთ. შეიძლება მათ თვლიდეთ უხეშებად და უკმეხებად, არასაკმარისად თავაზიანებად ან ზრდილობიანებად; მაგრამ თუ თავიანთ მოქმედებებში ისინი ავლენენ თანაგრძნობას და სხვა მშვენიერ თვისებებს, მაშინ უნდა დაასკვნათ, რომ მათი ბუნება *სატვიურია*. ანუ, თუ გინდათ დარწმუნდეთ გარკვეული ადამიანის ბუნება *სატვიურია*, *რაჯასიულია* თუ *ტამასიურია*, მხოლოდ მის მოქმედებებს უნდა დააკვირდეთ – ისინი უშეცდომოდ გამოავლენს მის ბუნებას.

გიტა მიუთითებს იმ მოქმედებათა ტიპზე, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში უნდა ასრულოთ. *გიტა* არ გიბრძანებთ, რომ ყველაფერი მიატოვოთ, გახდეთ *სანიასი* (ის, ვინც ქვეყნიერებაზე უარი თქვა) და ტყეში წახვიდეთ. ის უფრო გიჩვენებთ, რომ ყოველი ადამიანის მნიშვნელოვან ვალს და პასუხისმგებლობას წარმოადგენს სასარგებლო მოქმედებების შესრულება ამქვეყნად. უფრო მეტიც, *გიტა* აცხადებს, რომ ადამიანის ცხოვრების საიდუმლოება იმაშია, რომ *დჰარმის* გზა გააცნობიეროს და მას მიჰყვეს, რაც ნიშნავს, რომ უანგარო და წმინდა მოღვაწეობით იყოს დაკავებული, რომელიც ახლო ადამიანის კეთილდღეობას შეუწყობს ხელს.

გიტა აცხადებს, რომ ადამიანის ცხოვრება მოღვაწეობაში გამოიხატება. თუ მოღვაწეობაზე იტყვით უარს, თქვენს სხეულსაც კი ვერ ამყოფებთ კარგ მდგომარეობაში. ამიტომ ყოველი ჩვეულებრივი ადამიანი ისევე, როგორც ყოველი სულიერი მაძიებელი, მუდამ უნდა მოქმედების, მუშაობის მდგომარეობაში იმყოფებოდეს. მაგრამ ეს უნდა იყოს წმინდა მოქმედებები, და *დჰარმის* პრინციპებს შეესაბამებოდეს.

თქვენი მოქმედებები *კარმად* უნდა აქციოთ, რომელიც სხვებისთვის იქნება სასარგებლო. მოქმედებები უნდა იყოს სრულყოფილი და ყოველგვარი ეგოისტური მოტივის გარეშე. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ითვლებოდეს თქვენი მოქმედებები ბუნებით *სატვიურად*. როგორც კი ისინი *სატვიური* გახდება, მათ შეიძლება *ნიშკამა-კარმის* კვალიფიკაცია მიეცეს. ჩვეულებრივ ადამიანებს იმის უნარი არა აქვთ, რომ მოქმედებები სრულიად ყოველგვარი სურვილის გარეშე აწარმოონ. თქვენი მოქმედებები და სურვილები ღმერთის ძიებისა და გაცნობიერებისკენ უნდა მიმართოთ. როდესაც ასეთი წმინდა ორიენტაცია თქვენი ყველა მოქმედების საფუძველი გახდება, მაშინ თქვენი *კარმა ანაშაქთი-იოგა* ხდება. ეს

არის მოქმედების უმაღლესი დონე, რომელსაც პირდაპირ მიზნისკენ – ღმერთთან ერთიანობისკენ - მიჰყავხართ.

ილუზიის მომხიბვლელობა და მისი ორი უდიდესი ძალა

თუმცა თქვენი ყველა მოქმედება *მაიას*, ანუ ილუზიის მიერ იქნება მოჯადიებული. *მაია* შედგება ორი უდიდესი ძალისგან, ანუ *შაქთისგან:* ერთს ჰქვია *ავარანა* – ძალა, რომელიც ჭეშმარიტებას ფარავს, მეორეს კი *ვიქშეპა* – პროექციის ძალა. ამ ორ ძალას არა აქვს გარკვეული ფორმა ან სახე. დავიწყოთ *ავარანას* განხილვით. *ავარანა* არის ის, რაც მალავს ან ფარავს. როგორ მალავს? რით ფარავს? როგორ უნდა გამოვამჟღავნოთ ის, რასაც *ავარანა* ფარავს? თუ მას თვითონ არა აქვს ფორმა, მაშ როგორ ფარავს? როგორ შეიძლება მისი მოცილება? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა შეუძლებელია.

მაია იდუმალი და მიუწვდომელია. თვითონ მისი ბუნება ცდომილება და უთავბოლობაა. ავიღოთ გზაზე დაგდებული თოკი. სიბნელეში შეიძლება იფიქროთ, რომ გველია. რა მალავს თოკს? ეცადეთ გაიგოთ, რა მოხდა. უცებ შიშის გრძნობამ მოგიცვათ, იმიტომ რომ წარმოიდგინეთ, რომ გზაზე თქვენ წინ გველია. ანუ თქვენს გონებაში თოკი გველად იქცა, და შეგეშინდათ. არის იქ სინამდვილეში გველი? არა, გველი არ არის. მაშ როგორ უნდა ქცეულიყო თოკი იმად, რაც არ არსებობს და არასოდეს არსებულა? სწორედ ეს არის ილუზია.

რა გარემოებებში ახდენს თქვენზე გავლენას მსგავსი ილუზია? მხოლოდ ბინდ-ბუნდში ან სიბნელეში შეიძლება იფიქროთ, რომ გველს ხედავთ, მაშინ როცა იქ მხოლოდ თოკია. მხოლოდ სიბნელეში მოდის ილუზია და გბურავთ. სინამდვილეში გველი კი არ გაჩნდა თოკის მაგივრად, არამედ ილუზია ბურავს ადამიანის გონებას და ფარავს მის ნათელ აღქმას. სწორედ ეს ილუზიაა *მაია*. თუ ამ ადგილს ფარნით გაანათებთ, მაშინ ნახავთ, რომ არავითარი გველი არ არის; იქ უბრალოდ თოკი დევს. ამრიგად, ილუზია ქრება და რეალურ ობიექტს ხსნის.

ის, რაც ჭეშმარიტად არსებობს, ყოველთვის იარსებებს და არასოდეს შეწყვეტს არსებობას. ეს არის ის, რაც ყოველთვის უცვლელია. სულ ცოტაოდენი ცვლილებაც კი ვერ იქნება ამის არსებობაში. მხოლოდ რეალობის მფარავი ილუზია ჩნდება და ქრება. ფორმა, რომელსაც ილუზია იღებს გონებაში, არის *ვიქშეპა*, მაიას მეორე უდიდესი ძალა. *ვიქშეპა* არის გეგმილი, რომელიც უცვლელ საფუძველს ედება. ამ შემთხვევაში გველი გეგმილი გახდა. სხვა დროს ეს შეიძლება სხვა რაღაც იყოს.

განწყობა, გულისტკივილი, სიამოვნება – ეს ყველაფერი მოდის და მიდის. ეს ჰგავს ნათესავებს, რომლებიც თქვენს სანახავად მოდიან, მაგრამ სამუდამოდ საცხოვრებლად არ რჩებიან. ასეთივე სახით *მაია* ჩნდება და ქრება როგორც ილუზია. თქვენს გონებაში ილუზია, რომელიც თოკს ფარავს და მხედველობას უმალავს, არის *ავარანა*, მფარავი ძალა. ილუზია, რომელიც თქვენი გონების მიერ იქნა თოკად დაგეგმილებული, არის *ვიქშეპა*, გეგმილის ძალა. სინათლის დახმარებით ხედავთ თოკს როგორც თოკს, და გველი ქრება. ამრიგად, *მაიას* ეს ორო ასპექტი ჩნდება სიბნელეში და ქრება სინათლის დროს.

მაიას შეცდომაში შემყვანი ძალა შეიძლება სამუდამოდ გავაქარწყლოთ

ჩნდება თუ არა *მაიას* ეს ორი ძალა, *ავარანა* და *ვიქშეპა*, ერთდროულად, თუ სხვადასხვა დროს შეიძლება გაჩნდეს? მფარავი ძალა და დამგეგმილებელი ძალა შეიძლება ერთ და იმავე დროს ჩნდებოდეს და ქრებოდეს, მაგრამ როგორც ეს ღრმა ძილის დროს ხდება, როდესაც არის მხოლოდ მფარავი ძალა, ისინი შეიძლება სხვადასხვა დროს ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ. *მაია* აუხსნელია. მას არა აქვს დასაწყისი. მაგრამ ის შეიძლება სამუდამოდ გაქრეს. როდესაც სიბრძნის სინათლე გაანათებს *მაიას*, იგი ბოლოს და ბოლოს გაქრება; და მაშინ ერთიანი უცვლელი რეალობა გაიხსნება. როდესაც არჯუნას ამ დიდ სიბრძნეს ასწავლიდა, კრიშნამ შეძლო ილუზიისგან მისი გათავისუფლება და ასწავლა მას, რომ შინაგანი სინათლით ყოფილიყო განათებული.

ახლა, როგორც მაშინ, მხოლოდ ზედაპირულ გაგებას და გარეშე ხედვას ავითარებთ. მაგრამ მნიშვნელოვანია შინაგანი ხედვა; მხოლოდ ის არის ჭეშმარიტი და წმინდა. მხედველობიდან კარგავთ ერთიან რეალობას, ჭეშმარიტებას თქვენივე თავის შესახებ, იმიტომ რომ მხოლოდ ცვალებად გარეშე ხედვას აქცევთ ყურადღებას და მთლიანად გავიწყდებათ მარადიული შინაგანი ხედვა. ღმერთის მისიაა ამ წმინდა შინაგანი ხედვის აღდგენა. აი რას აკეთებს ის, როცა მოდის როგორც *ავატარი*.

კრიშნამ თქვა:

„შვილო, რა მოქმედებებსაც არ უნდა ასრულებდე, სანამ ამ დედამიწაზე იმყოფები, იცოდე, რომ ეს მოქმედებები არამუდმივია. დროთა განმავლობაში აღმოაჩენ, რომ ამქვეყნად ყველაფერი დროებითია: შენი ურთიერთობები, შენი მიბმულობები, შენი მიღწევები, ინდივიდუალობის გრძნობა, რომელიც გაგივითარდა, - ეს ყველაფერი გაქრება. ყველაფერს დროის ნაკადი ჩარეცხავს. რის ჩაჭიდებასაც არ უნდა ცდილობდე, ამ ყველაფერს დროის ნაკადი წაიღებს; მაშ განა

გაქვს გადარჩენის შანსი? როგორ უნდა მიაღწიო სრულყოფილებას, რომელსაც ვერასოდეს შეეხება ეს ნაკადი, რომელი სრულყოფილებაც არა მარტო არ ემორჩილება მას, არამედ ყოველთვის მის მბრძანებელს წარმოადგენს?

არჯუნა, ის ყველაფერი, რასაც შენ ეჭიდები, დროის მიერ ჩაირეცხება. განავითარე მტკიცე რწმენა, რომ, როცა დროებითს ებმები, ამაოდ ხარჯავ ცხოვრებას, კარგავ შენთვის მოცემულ წმინდა შესაძლებლობას, რომ მიაღწიო უცვლელ მდგომარეობას, რომელიც შენს ჭეშმარიტ რეალობას წარმოადგენს. დამორჩილდი ღვთაებას, ჩაეჭიდე მხოლოდ ამ მუდმივ არსს, და უეჭველად მიაღწევ მარადიულ სიხარულს, ღვთაებრივ ნეტარებას“.

სუფთა გული მიბმულობებისა და ილუზიებისგან თავისუფალია

ასეთი სახით არწმუნებდა კრიშნა არჯუნას გათავისუფლებულიყო მიბმულობებისა და ილუზიებისგან, რომლებშიაც ის გაიხლართა. კრიშნა ამბობდა:

„არჯუნა, შენ თვითონ უნდა გაასუფთაო გული და მოიცილო უმეცრების საფარველი, რომელიც გბურავს. დაადექი სამართლიან მოქმედებათა გზას, იშრომე ქვეყნიერების საკეთილდღეოდ და შენი ყველა მოქმედება მომიძღვენი მე, შენს ჭეშმარიტ არსს, შენს გულში მყოფს“.

არ არსებობს *კარმა-იოგაზე* (მოქმედების გზაზე) უფრო მეტად მეფური გზა. მხოლოდ მაშინ შეძლებთ დაადგეთ ერთგულების გზას, როცა მყარ საფუძველს შექმნით კარგი საქმეების დახმარებით. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც გრძნობებს გაწმენდთ და ერთგულებას განავითარებთ, შეძლებთ დაადგეთ სიბრძნის გზას და ღმერთის გაცნობიერების უმაღლესი დონისკენ სვლას. მხოლოდ მოქმედებათა არენაზე შეუძლია ადამიანს საფუძველი შექმნას სულის უმაღლესი დონეების მისაღწევად ან მწუხარების უდაბლეს სიღრმეებში ჩასაშვებად – კარგი თუ ცუდი გარემოებები, რომლებშიაც ადამიანი ხვდება, ნიადაგ მის მოქმედებებთან არის დაკავშირებული.

როგორც თქვენი მოქმედებების ნაწილი, შეგიძლიათ, წმინდა წერილების თანახმად, შეასრულოთ სხვადასხვა ძღვენის მირთმევა და ცერემონიალური თაყვანისცემები, ისეთები როგორიცაა *იაჯნა* ან *იაგა*, მაგრამ, როგორც ზემოთ იყო ნახსენები, ისინი მხოლოდ ზეცაში აგიყვანენ. კრიშნა არჯუნას ეუბნებოდა, რომ არსებობს დონე გაცილებით უფრო მაღლა, ზეცის ზღვრებს მიღმა და გაცილებით უფრო წმინდა.

„ნუ თვლი ზეცას რაღაც მუდმივ ადგილად, - ამბობდა კრიშნა. – *როდესაც შენი დამსახურებები ამოიწურება, ზეცის მიტოვება და დედამიწაზე დაბრუნება მოგიხდება. ზეცა მხოლოდ დროებითი თავშესაფარია; მუდმივად იქ ყოფნას ვერ შეძლებ. შეიძლება ფიქრობ, რომ ზეცაში შეგიძლია უამრავი სხვადასხვა სხეულებრივი და გონებრივი სიამოვნებით დატკბე; მაგრამ სინამდვილეში იქ მიღებული სიამოვნებები აქ, დედამიწაზე მიღებულზე ოდნავ უფრო მეტია. არსებობს მდგომარეობა, რომელიც შეუდარებლად უფრო მაღლაა, შეუდარებლად უფრო წმინდაა. ამ მდგომარეობის მიღწევა მაშინ შეიძლება, როცა ღმერთთან აიგივებ თავს, ატმასთან ასოცირდები, ბრაჰმას ერწყმები. ასეთ მდგომარეობას რომ მიაღწიო, მთლიანად უნდა მოიცილო სურვილები და ეგო; ყველა მოქმედება ისე უნდა ასრულო, რომ მათგან არავითარ შედეგებს არ ელოდო“.*

მოქმედებები მათ შედეგებზე მიბმულობის გარეშე

როდესაც რაიმე მოქმედებას ასრულებთ, ყოველთვის იქნება ნაყოფი, ანუ – თქვენი ძალისხმევების შედეგი. თუმცა არ არის ისეთი წესი, რომელიც ამბობს, რომ მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ დატკბეთ თქვენი მოქმედებების ნაყოფით. დავუშვათ, რომ პაპამ მიწაში თესლი ჩათესა, რომელიც ბოლოს და ბოლოს გაიზარდა და ხეხილი გახდა. შეიძლება პაპა მანამდე მოკვდა, სანამ ხეხილი ნაყოფს მოისხამდა. მაგრამ რაღაც დროის შემდეგ ამ ხის ნაყოფით მისი შვილიშვილები დატკბებიან. ეს არის ის შემთხვევა, როცა მოქმედების შემსრულებელი ადამიანი თვითონ არ ტკბება მისი ნაყოფით; მაგრამ სხვებს აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ ამ ნაყოფით დატკბენ.

პაპამ, შესაძლოა, შეგნებულად დარგო ხე, და ის ნაყოფით ტკბობას არ ელოდა; სულ თავიდან ეს კარგი განზრახვით ჩაიფიქრა, რომ ეზოში ამ ხეს მოგვიანებით შთამომავლებისთვის მიეცა ნაყოფი, რომელიც მათ ძალიან მოეწონებათ. ასეთი სახით მისი კარგი მოქმედებების შედეგებს მისი შთამომავლები მოიმკიან.

რა მიზნით დარგო პაპამ სწორედ ეს ხე? შეიძლება მისი მიზანი ოდნავ ეგოისტური იყო – რომ ამ ხეს მისი ოჯახის წევრებისთვის მოეტანა სიხარული. როდესაც ყველაფერი მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის კეთდება, ასეთი ეგოისტურობა გაცილებით უფრო დაბლაა, ვიდრე პაპას მიერ გამოვლენილი ეგოისტურობის მსუბუქი ელფერი. გრძნობა, რომელსაც ადამიანი მიჰყავს მოქმედებების შესრულებისკენ სხვების კეთილდღეობის გულისთვის, ყოველთვის უფრო დიდი და კეთილშობილია, ვიდრე ის გრძნობა, რომელიც ადამიანს აიძულებს შეასრულოს სუფთა ეგოისტური მოქმედებები, და მათგან სიკეთეს თავისთვის ელოდოს. ამ გაგებით პაპას მოქმედება

უნდა ჩაითვალოს გაცილებით უფრო კეთილშობილად, ვიდრე ის მოქმედება, რომელსაც ადამიანი თავისთვის ასრულებს.

მაგრამ არსებობს კიდევ უფრო მეტად კეთილშობილი მოქმედება, ის, რომელიც ეგოისტური მოსაზრებების ზღვრებს მიღმა იმყოფება, - როდესაც მოქმედება სრულდება როგორც ღმერთისთვის მიძღვნა. ეს მოქმედებათა შორის უდიდესია, და ამისკენ უნდა ისწრაფოდეთ. უნდა ცდილობდეთ ყველა მოქმედება შეასრულოთ უანგაროდ და მიუკერძოებლად, ღმერთს შესთავაზოთ და არავითარ ნაყოფს არ ელოდეთ. სწორედ ეს არის *ანაშაქთი-იოგა.*

ჩვეულებრივი მოქმედებებიდან *ბუდჰი-იოგასკენ,* ამის შემდეგ კი *კარმა-იოგასკენ*

ბუდჰი-იოგა შეიძლება ვუწოდოთ ინტელექტის გამოყენებას იმ მოქმედებათა დასაგეგმად, რომელთა ნაყოფიც სხვებს მოუტანს სარგებლობას, როგორც პაპის შემთხვევაში, რომელმაც ხე დარგო, რომლის ნაყოფით მისი ოჯახის მომავალო თაობები ისარგებლებენ. *ბუდჰი-იოგაში* თქვენი მოქმედებების შედეგებზე ფიქრობთ, და, მაშასადამე, თქვენი ინტელექტის მსჯელობაზე აფუძნებთ მათ. ინტელექტი მიდის შორს, დაბალი გონებისა და გრძნობების ვიწრო ეგოისტური საზრიანობის ზრვრებს იქით. მაგრამ აქაც კი არის ეგოიზმის ელფერი.

როდესაც ეგოიზმისგან აბსოლუტურად თავისუფალი ხართ, თქვენი მოქმედებების შედეგების მიმართ მთლიანად გულგრილი ხართ, ეფექტურად და სრული კონცენტრაციით მოქმედებთ, მაგრამ ყოველგვარი მიბმულობის ან სურვილის გარეშე, თქვენს ყველა მოქმედებას ღმერთს სთავაზობთ, მაშინ თქვენ *კარმა-იოგას* პრაქტიკას ეწევით. იგი *ბუდჰი-იოგაზე* გაცილებით უფრო მაღლაა. *კარმა-იოგა* ჩვეულებრივი ადამიანებისთვის ძნელად მისაწვდომია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი მიღწევის მცდელობაზეც კი უარი უნდა თქვათ. გულწრფელი ძალისხმევისა და ღმერთის წყალობის დახმარებით შესაძლებელია იმის მიღწევა, რაც შეუძლებლად გეჩვენებათ. თუკი ძალიხმევას გამოიჩენთ, მაშინ *კარმა-იოგას* მაღალი დონის მიღწევას შეძლებთ მთელ თქვენს მოქმედებებში.

წარმატებას რომ მიაღწიოთ ამაში, უნდა შინაგანი ხედვა განავითაროთ. იმისათვის, რომ შინაგან ხედვაში გამყარდეთ, საჭიროა ყოველთვის გარკვეულ პრინციპს იცავდეთ, კერძოდ კი: სადაც და რა ინტენსიურადაც არ უნდა ეძებდეთ, იქნება ეს ფიზიკურ სამყაროში, სიზმრებისა და წარმოდგენის სამყაროში თუ ნებისმიერ სხვა სამყაროში, ის ყველაფერი, რის დანახვასაც როდისმე შეძლებთ, იქნება ხუთი ელემენტის კომბინაცია ან ვარიაცია, მკვრივ თუ ფაქიზ

ფორმებში, - მხოლოდ ამის პოვნას შეძლებთ როდისმე და სადმე. სხვა არაფერი არ არის და არ შეიძლება, რომ იყოს; მეექვსე ელემენტი არ არსებობს.

ყველა ეს ხუთი ელემენტი არის ღმერთის უსაზღვრო ნათების ანარეკლი. ეს მისი ასპექტებია; მათ საფუძველში მარტო ღვთაებრივი პრინციპია. თუ ყველა მოქმედებას შეგნებულად ასრულებთ, და ამ სამყაროში ყველაფერს ღვთაების წმინდა გამოსახულებად თვლით, მაშინ თქვენი მოქმედებები ავტომატურად ღმერთისთვის ძღვენი ხდება.

თუ რაიმე მოქმედებების შესრულების დროს ამ მაღალი იდეებისკენ ახდენთ ორიენტაციას, ფაქტიურად თქვენი ხედვა შეზღუდული გარეშე ხედვიდან თავისუფლების მომცემ შინაგან ხედვაზე გადაგყავთ, და ამგვარად თვითონ ხდებით ღვთაებრივები. ასეთი სახით მუდმივი ფიქრი ღვთაებაზე, რომელიც მთელ სივრცეს ავსებს, საუკეთესო გზაა შინაგანი ხედვის განვითარებისთვის, რომელიც *კარმა-იოგაში* გაგამყარებთ. მაგრამ შინაგანი ხედვა ძალიან იშვიათია ადამიანთა შორის: უდიდესი *პანდიტები* და ფილოსოფოსებიც კი მხოლოდ გარეშე ხედვაში არიან ჩაშვბულნი. აი მოთხრობა, რომელიც ამას ასურათებს.

აშტავაკრა სწავლულთა ყრილობაზე

ოდესღაც მეფე ჯანაკამ დიად სწავლულთა ასამბლეა შეკრიბა. მასში სამეფოს ცნობილმა სწავლულებმა მიიღეს მონაწილეობა. ყოველი მხრიდან დაიძრნენ ასამბლეისკენ ცნობილი *პანდიტები* და განთქმული ფილოსოფოსები, რომლებიც უაღრესად გაწაფულნი იყვნენ თავიანთ არგუმენტებში. დიდი ნიჭით დაჯილდოებულმა ადამიანებმა, რომლებიც ინტელექტუალური და სიტყვიერი ოსტატობით მთელ მსოფლიოს შთააგონებდნენ, შეავსეს სასახლის მთავარი დარბაზი, სადაც ასამბლეა ტარდებოდა. ასამბლეა ისეთი გიგანტებისგან შედგებოდა, რომ უბრალო ადამიანები იქ ვერ მოხვდებოდნენ.

თვითონ მეფე ჯანაკას თავმჯდომარეობით ტარდებოდა ყოველდღიური შეხვედრები, და იქ მყოფი წარჩინებული სტუმრებიდან მხოლოდ ყველაზე უფრო სახელოვანს და დამსახურებულს ეძლეოდა იმის შესაძლებლობა, რომ სიტყვით გამოსულიყო და თავისი შეხედულებები გამოეხატა. ამ შესანიშნავ და დიდებულ ასამბლეაზე შეღწევას ცდილობდა აშტავაკრა, ახალგაზრდა კაცი დამახინჯებული სხეულით. მაგრამ ვინ მისცემს მას შესვლის უფლებას? მას არ ჰქონდა არც მიწვევა, არც რეკომენდაცია. მას არ ჰყავდა არც პატივცემული მასწავლებელი, არც ვინმე სხვა, ვისაც მისი წარდგენა შეეძლო.

ერთადერთი დახმარება, რომელიც მას გააჩნდა, იყო ღმერთის ღრმა რწმენა.

ვისაც მტკიცე რწმენა აქვს, მისთვის არ არსებობს გადაულახავი სიძნელეები. მაშინაც კი, თუ დაბრკოლებები დროებით ჩნდება, საბოლოო ჯამში ის აუცილებლად მიაღწევს წარმატებას. სამი დღე იცდიდა აშტავაკრა მეფე ჯანაკას სასახლის ჭიშკართან, სადაც დიადი ასამბლეის ყველა მონაწილე შევიდა. იგი აკვირდებოდა მთელი მსოფლიოსთვის ცნობილ სწავლულებს, რომლებიც ამ შეხვედრაზე ჩამოვიდნენ. და თუმც შიგნით მხოლოდ აღიარებულ სწავლულებს უშვებდნენ, აშტავაკრა უარს მაინც არ ამბობდა თავის გადაწყვეტილებაზე, რომ ასამბლეას დასწრებოდა და დისკუსიებში მიეღო მონაწილეობა. *„მეც მაქვს შანსი“,* - უთხრა მან თავის თავს და მოთმინებით განაგრძობდა ჭიშკართან ლოდინს.

ერთმა დაკვირვებულმა და თანაგრძნობით სავსე მოხუცმა სწავლულმა, რომელიც ყოველდღე შედიოდა და გამოდიოდა სასახლიდან, ჭიშკართან მდგომი აშტავაკრა შენიშნა. კეთილმა მოხუცმა სწავლულმა ახალგაზრდა კაცის შესახებ მეფე ჯანაკას აცნობა. მან მეფეს უთხრა, რომ ვიღაც ადამიანი რამდენიმე დღე იცდის ჭიშკართან, რომ ასამბლეაზე მოხვდეს. მან მეფეს უთხრა, რომ ეს არ არის მოხუცი სწავლული და საშუალო ასაკის სწავლულიც კი. ეს არის ძალიან ახალგაზრდა ადამიანი, საკმარისი გამოცდილებისა და მეცნიერებაში დამსახურებისთვის მიღებული ჯილდოების გარეშე, მას არა აქვს ვინმე დამსწრე *პანდიტისგან* პირადი რეკომენდაციაც კი. მოკლედ, ამ ადამიანზე და მის მოღვაწეობაზე არაფერია ცნობილი, გარდა იმისა, რომ ის მოთმინებით იცდის, რომ შიგნით შემოვიდეს.

მეფე ჯანაკამ მსახურები გაგზავნა, რომ ჭიშკართან მდგარი ახალგაზრდა ადამიანი ეპოვათ. იმ დღეს, მას შემდეგ, რაც მეფე ჯანაკამ თავისი ადგილი დაიკავა და სხდომა სადღესასწაულო და წმინდა გარემოებებში დაიწყო, რაც ასეთ დიდებულ ასამბლეას შეჰფერის, აშტავაკრა დარბაზში შევიდა. როდესაც კუზიანი ახალგაზრდა ადამიანი დაინახა, რომელსაც ასამბლეაში მონაწილეობა სურდა, დიად სწავლულთა უმრავლესობამ სიცილი დაიწყო. მეფე ჯანაკა ინტერესით აკვირდებოდა აშტავაკრას გამოჩენას და სერიოზული რჩებოდა.

აშტავაკრამ ყურადღებით შემოავლო თვალი დარბაზს, და უცებ იმათზე უფრო ხმამაღლა დაიწყო სიცილი, ვინც იქ იჯდა. სიცილის ხმამაღალი წასკდომა აშტავაკრას მხრიდან სწავლულებისთვის სრულიად გაუგებარი იყო და ისინი გაკვირვებულნი დარჩნენ:

„რატომ დაგვცინის ეს ბიჭი? – ფიქრობდნენ ისინი. – *ჩვენს სიცილს, რა თქმა უნდა, აქვს მიზეზი, ის ხომ ასე სასაცილოდ*

გამოიყურება, მაგრამ ჩვენში სრულებით არ არის რაიმე სასაცილო, მაშ რა მიზეზით იცინის?“

ისინი ძალიან გაოცებულნი და გაღიზიანებულნი იყვნენ, რადგან ეს მათ თავხედობად ჩათვალეს.

ამქვეყნად ადამიანებს სიცილი ახასიათებთ, როცა ხედავენ ადამიანს ფიზიკური ნაკლით, რომელიც მას უჩვეულო ან მახინჯ გარეგნობას აძლევს. ასეთი უხეში ქცევა შეიძლება მხოლოდ უმეცრების ნიშნად ჩაითვალოს, რაც მთლიანად განსხვავდება უმანკო ბავშვის ნაზი ღიმილისგან. დედის ხელში მყოფი პატარა ბავშვი შეიძლება დედის ზურგს უკან მდგარ ადამიანს უღიმოდეს. როდესაც ბავშვი იღიმის, ამის მხილველი სხვა ადამიანებიც იწყებენ გაღიმებას. ბავშვის ღიმილი, რომელიც გადაედება ყველას, ვინც მას უყურებს, მისი წმინდა უბიწოებიდან ჩნდება. მაგრამ სიცილი ასამბლეის დარბაზში, რომელიც აშტავაკრას გამოჩენას მოჰყვა, მთლიანად განსხვავდებოდა ბავშვის უმანკო ღიმილისგან. ეს დარბაზი შევსილი იყო დიადი და ცნობილი ფილოსოფოსებით, მეცნიერებაში განსაკუთრებული მიღწევების მქონე ადამიანებით; მაგრამ ბავშვური უბიწოება იქ არ იყო.

შეკრებილ ფილოსოფოსებს მოუთმენლად სურდათ გამოერკვიათ, ასე ხმამაღლა რატომ იცინოდა შემოსული საშინელი გარეგნობის მქონე ახალგაზრდა. ერთ-ერთმა ფილოსოფოსმა გამბედაობა მოიკრიბა და აშტავაკრას გამოელაპარაკა. მან ჰკითხა:

„ყმაწვილო უცნობო, ვინ ხარ? ჩვენ არ გიცნობთ. როდესაც შემოხვედი და შემოგხედეთ, შენმა გარეგნობამ სიცილი მოგვგვარა. ამის პასუხად შენ უფრო ხმამაღლა იცინი. რა არის ამის მიზეზი? რა ნახე სასაცილო ამ ცნობილ სწავლულებში, რომ სიცილს არ წყვეტ?“

შინაგანი ხედვის გარეშე ისინი არიან მეწაღეები, და არა სწავლულები

აშტავაკრამ უპასუხა:

„იცით რა, აქ იმიტომ მოვედი, რომ ვფიქრობდი, ეს არის წმინდა ასამბლეა, რომელიც ცნობილმა იმპერატორმა ჯანაკამ მოიწვია წმინდა წერილების განხილვისთვის. რომ მცოდნოდა, რა ადამიანები მოვიდნენ ასამბლეაზე, არ დავესწრებოდი მას. რამდენიმე დღე მოთმინებით ვიცდიდი, ვთვლიდი, რომ აქ უდიდესმა თანამედროვე ფილოსოფოსებმა მოიყარეს თავი. ვოცნებობდი, რომ ასეთი წმინდა სულების კამპანიაში მოვსულიყავი. მაგრამ სამწუხაროდ აქ ვერავინ ვნახე, გარდა მეწაღეებისა – იმ მეწაღეებისა, რომლებიც სანდლებს კერავენ და ტყავზე მუშაობენ“.

როდესაც ეს ფილოსოფოსებმა მოისმინეს, ისინი მძვინვარებამ მოიცვა, აშტავაკრას სიტყვებით შეურაცხყოფილად გრძნობდნენ თავს. მაგრამ აშტავაკრა იმავე სულისკვეთებით განაგრძობდა:

„თქვენთვის ყველაზე უფრო შესაფერისი სიტყვაა მეწაღეები. მხოლოდ მეწაღეები, რომლებიც ტყავზე მუშაობენ, ფიქრობენ გარკვეული ტყავის ფასეულობაზე; სხვებს ეს არ აღელვებს. თქვენ ჩემს ტყავს დასცინით და აშკარად გადაწყვიტეთ, რომ მას პატარა ფასი აქვს, მაგრამ თქვენ შორის არავინ დაინტერესდა, რომ ჩემი ერუდიციის შესახებ გაეგო. პანდიტებს იმის უნარი უნდა ჰქონდეთ, რომ შიგნით იხედებოდნენ, თქვენ კი, როგორც ჩანს, მხოლოდ გარეშე გარსზე ზრუნავთ. თუ შინაგანი ხედვის განვითარება ვერ შეძელით, და მხოლოდ ზედაპირულ გარეშე ხედვაზე ფიქრობთ, მაშინ საერთოდ არ შეიძლება ფილოსოფოსებად ითვლებოდეთ. მაშინ თქვენ ხართ მხოლოდ და მხოლოდ მეწაღეები – ისინი, ვინც ფეხსაცმელს კერავს; ტყავის სპეციალისტები ხართ“. ასე ამბობდა აშტავაკრა.

სწავლულებმა სირცხვილით თავები დახარეს. მეფე ჯანაკას ძალიან კარგად ესმოდა, რაზე ლაპარაკობდა აშტავაკრა. მას ასამბლეაში ადგილი შესთავაზა და ბოლოს და ბოლოს პატივისცემა გამოუხატა.

როგორც მაშინ, ასევე ახლაც ამქვეყნად მსგავსი რამეები ხდება. როგორი დიადებიც არ უნდა იყვნენ ადამიანები, მათ მხოლოდ გარეშე ხედვა აქვთ განვითარებული. ისინი არ ცდილობენ, რომ შინაგანი ხედვა განავითარონ. როდესაც ადამიანს უყურებენ, მხოლოდ მის ფიზიკურ თვისებებს, სიმდიდრეს, მდგომარეობას, განათლებას, სამეცნიერო ხარისხს და ა.შ. აქცევენ ყურადღებას. მაგრამ ღმერთი ადამიანის გულის სიწმინდეს აქცევს ყურადღებას, იგი ყურადღებას აქცევს ადამიანის შიდა სამყაროს. თქვენც უნდა ავითარებდეთ ასეთ შინაგან ხედვას, თქვენს შიდა სამყაროს. როგორიც არ უნდა იყოს გარემოებები, გრძნობებს არ უნდა დაჰყვეთ. ნუ ჩქარობთ, ნება მიეცით კეთილშობილ გრძნობებს, რომ თავი გამოავლინონ.

დაე მთელი შხამი დაუბრკოლებლად გამოვიდეს

დავუშვათ, რომ ვიღაცამ შეურაცხყოფა მოგაყენათ; ამით რას კარგავთ? საჭირო არ არის რეაგირებას ახდენდეთ შეურაცხყოფაზე არც გაღიზიანებით, არც მღელვარებით. თუ მშვიდი დარჩებით, მაშინ სხვა ადამიანის მთელი მრისხანება შეიძლება თავისუფლად გადმოინთხეს. მაგრამ თუ ეცდებით, რომ სხვა ადამიანის ძლიერ გრძნობებს გზა გადაუღობოთ, და მრისხანების გადმონთხევის საშუალება არ მისცეთ მას, ამან შეიძლება სახიფათო სიტუაციამდე მიგიყვანოთ. ავიღოთ ასეთი მაგალითი: ვიღაც ავად გახდა, მას

გულისრევა აქვს. რატომ ხდება ეს? კუჭში რაღაც უსუფთაო, ტოქსიკური ნივთიერებები მოხვდა. იქ, სადაც სისუფთავე არ არის, სწრაფად ჩნდება მიკრობები, მათთან ერთად კი სნეულებები და ჯანმრთელობის შესუსტება. ამ მიზეზის გამო ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ორგანიზმში უსუფთაობა არ ხვდებოდეს.

სხეული ისე გონივრულად არის მოწყობილი, რომ დაუყოვნებლად იცილებს ტოქსინებს, რომლებიც მასში შესვლას ცდილობენ. როდესაც ადამიანს გულისრევა აქვს, ეს სხეულის ბუნებრივი რეაქციაა, და არასწორი იქნებოდა წამლის მიცემა გულისრევის შესაჩერებლად. თუ წამალს მისცემთ, მაშინ ტოქსინები მოცილებული არ იქნება: ისინი კუჭში დარჩება და მალე მთელ ორგანიზმს მოწამლავს. ამიტომ საჭიროა უსუფთაობებს გამოსვლის შესაძლებლობა მისცეთ და ხელი არ შეუშალოთ ამას. როდესაც ყველა ტოქსინი მოცილებული იქნება, მაშინ შეიძლება წამალი მისცეთ.

როგორც კი გულისრევა წყდება, ადამიანი ძალიან სუსტად გრძნობს თავს. მაშინ ის შეასრულებს იმ ყველაფერს, რასაც თქვენ სთხოვთ; აი როდის ხდება ის ძალიან გამგონი. აი საუკეთესო პროცედურა, რომელსაც უნდა ასრულებდეთ, როცა ვინმეს გულისრევა აქვს მოწამვლის გამო. იგივე ხდება, როცა ადამიანი განრისხებულია – მისგან გამოდის შხამი სხვა ფორმაში. დაე გამოვიდეს, ხელს ნუ შეუშლით. რისი თქმაც უნდა, დაე თქვას, რაკი უნდა. და სანამ მისგან ყველაფერი არ გამოვა, თქვენ უნდა მშვიდობიანი და მომთმენი რჩებოდეთ. რატომ უნდა წუხდებოდეთ და ღელავდეთ? იმის მაგიერ, რომ წუხდებოდეთ, თქვენი მომთმენი დამოკიდებულება თანდათან ხელს შეუწყობს თქვენში სიმშვიდისა და ბედნიერების გამოჩენას. თავისთავად ეს უკვე არის ზეცის განცდა, კერძოდ კი, გაწონასწორებული რჩებოდეთ და ყველა გარემოებაში თანაგრძნობას გრძნობდეთ. რატომ უნდა დაუკარგოთ თავს ასეთი ზეციური გრძნობების სიხარული?

მოთმინება ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებაა. ადამიანის კარგ თვისებებს შორის თავდაჭერილობა და დიდი მოთმინება ყველაზე უფრო მაღალია. *სვამის* არაერთხელ უთქვამს, რომ დიდი მოთმინება ჭეშმარიტებაა, დიდი მოთმინება მართლქმედებაა, დიდი მოთმინება არაძალადობაა, დიდი მოთმინება ბედნიერებაა. დიდი მოთმინება ჭეშმარიტად მნიშვნელობის მხრივ იმ ყველაფრის ტოლფასია, რისი პოვნაც ყველა სამყაროში შეიძლება. თუ ადამიანს დიდი მოთმინება აქვს, მას შეუძლია სხვა მნიშვნელოვანი თვისებებიც შეიძინოს, ისეთები, როგორიცაა გონების კონტროლი, გრძნობების კონტროლი, თვითგანდგომა, სიმტკიცე, რწმენა და კონცენტრაცია. სანსკრიტულად

ამას ჰქვია *შამა, დამა, უპარატი, ტიტიქშა, შრადჰა* და *სამადჰანა* – ეს ყველაფერი შიდა სისუფთავეს შეადგენს.

თქვენ ხმარობთ საპონსა და წყალს, სხვადასხვა სახის პუდრებსა და სუნამოებს, რომ გარეგნულად გასუფთავდეთ. ასევე ამ ექვს სულიერ განძს უნდა ავითარებდეთ და ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებდეთ, რომ შინაგანად გასუფთავდეთ. შინაგანი სისუფთავე უაღრესად მნიშვნელოვანია; იგი გარეშე სისუფთავეზეც კი უფრო მნიშვნელოვანია. უფალი მუდამ იმყოფება როგორც შიგნით, ასევე გარეთ. სადაც უფალი იმყოფება, იქ ყველაფერი უნდა გაასუფთაოთ და აკურთხოთ – როგორც შიგნით, ასევე გარეთ. მაშინ თქვენში მყოფი ღმერთი დაგიცავთ, სადაც არ უნდა იყოთ.

ექვსი სულიერი განძი

სანქჰია-იოგაში კრიშნა არჯუნას იმ თვისებებს ასწავლიდა, რომლებიც ადამიანს აქცევს *სთჰითაპრაჯნად* – სრულყოფილ ადამიანად, რომელიც სიბრძნეში გამყარდა. მათ შესახებ ახლახან ვისაუბრეთ, მაგრამ მოდით კიდევ ერთხელ ავწონ-დავწონოთ ეს. ესენია

შამა – სულის სამყარო,

დამა – გრძნობების კონტროლი,

უპარატი – სურვილებზე უარის თქმა,

ტიტიკშა – გაწონასწორებულობა ნებისმიერ გარემოებაში; ეს იმას ნიშნავს, რომ, რა გარემოებებიც არ უნდა იყოს, თქვენი გონება მტკიცე და ურყევი რჩება – ის არ ემორჩილება ცდომილებას,

შრადჰა – მტკიცე რწმენა წმინდა წერილების სწავლებისა, ისევე როგორც *გურუს* და დიად წმინდანთა სიტყვებისა, რომლებმაც სულიერი გზით თქვენამდე მოაღწია, და

სამადჰანა – კმაყოფილება ნებისმიერ გარემოებაში და გონების სრული გაწონასწორებულობა.

მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგიძლიათ განავითაროთ სიმტკიცე და სულის ძალა (*ტიტიქშა*), თუ გონების გაწონასწორებულობას (*სამადჰანას*) ფლობთ. როდესაც სულის ძალას ფლობთ, შეგიძლიათ მტკიცე რწმენა (*შრადჰა*) განავითაროთ. როდესაც იქნება მტკიცე რწმენა, წმინდა გრძნობები გაგიჩნდებათ, და სურვილებზე უარს იტყვით (*უპარატი*). როდესაც ამ სამყაროს ობიექტების მიმართ ზიზღი გაგიჩნდებათ, მაშინ გრძნობების გაკონტროლებას (*დამას*) შეძლებთ. ამის შემდეგ, როგორც კი გრძნობების კონტროლს მიაღწევთ, სულის სიმშვიდეს (*შამას*) შეიძენთ. ხოლო იქ, სადაც სულის სიმშვიდეა, არის შინაგანი და გარეშე სისუფთავე. ხოლო სადაც არის შინაგანი და გარეშე სისუფთავე, იქ მოთმინება თქვენი მეორე ბუნება გახდება, და ავტომატურად სიმშვიდის მდგომარეობაში იქნებით. ამიტომ საჭიროა

მთელი ძალისხმევა გამოიჩინოთ იმისათვის, რომ ეს ძირითადი თვისებები განავითაროთ, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანს წარმოადგენს პროგრესისთვის სულიერ გზაზე.

როდესაც *გიტას* სწავლებას კითხულობთ და ზეპირადაც კი სწავლობთ ნაწყვეტებს, ბევრს ვერ მიაღწევთ. ლექსების სწავლასთან ერთად მასში მოცემული ერთი ან ორი მითითება უნდა განახორციელოთ პრაქტიკაში. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეავსებს თქვენს გულს *გიტას* არომატი. *სვამის* სურს, რომ პრაქტიკაში ახორციელებდეთ დიად სწავლებებს, რომლებსაც ისმენთ და რომლებიც ყოველდღე გახარებთ, რომ ისინი გახდეს თქვენი შინაგანი სიმდიდრე და ასეთი სახით თქვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი.

თავი ოცდამეთოთხმეტე

მოიცილეთ სხეულის ცნობიერება და ღმერთის ცნობიერების რეალიზაცია მოახდინეთ

სამყარო ღმერთით არის შევსილი. გაჯერებულია რა ღვთაებით, სამყარო ასევე შევსილია კარმით, ანუ მოქმედებით. კარმა არის ქმნილების ძალა, ცხოვრების ძალა; ეს არის უშუალოდ ღმერთისგან მომავალი ძალა. ადამიანურ დაბადებას იღებთ, რომ თქვენი წინა მოქმედებების ნაყოფი მოიმკათ. ამრიგად მოქმედებებს კვლავ დაბადებასთან და ახალ მოქმედებებთან მიჰყავხართ, ისინი დაბადებისა და სიკვდილის ციკლს გაბამთ. იმისათვის, რომ ამ ბორკილებისგან გათავისუფლდეთ, მოქმედებები უნდა აწარმოოთ თუ ჯობია, რომ უარი თქვათ მათზე? გიტა არაორაზროვან პასუხს იძლევა: გათავისუფლების გზა კარმაზე, მოქმედებაზე გადის. იგი მიგითითებთ კარმა-იოგაზე - ყველა თქვენი მოქმედება აქციოთ იოგად – წმინდა საქმედ, რომელსაც ღმერთთან ერთიანობისკენ მიჰყავხართ.

სიყვარულის განხორციელებანო!

როდესაც ცხოვრების ძალა მჟღავნდება, იგი სხეული ხდება. სხვადასხვა სხეულში განხორციელებულ ცხოვრებასაც *კარმა* ჰქვია. სხეული ყალიბდება მოქმედებების საფუძველზე, რომლებიც წინა დაბადებებში იქნა შესრულებული. ადამიანურ სხეულს იღებთ იმისათვის, რომ თქვენი წინა მოქმედებების ნაყოფით დატკბეთ; ასეთი გზით გაბამთ მოქმედებები დაბადებისა და სიკვდილის ციკლს. შეიძლება იკითხოთ: ამ ბორკილებისგან რომ გათავისუფლდეთ, თქვენი გზა მოქმედების გზა უნდა იყოს, თუ მოქმედებებზე უარი უნდა თქვათ? *ბჰაგავად გიტა* ნათელ პასუხს იძლევა: გზა *კარმაზე*, მოქმედებაზე გადის.

როგორც უკვე იყო ნათქვამი, ადამიანი სხეულს იმისათვის იღებს, რომ წინათ შესრულებული მოქმედებების ნაყოფით დატკბეს. სხეული *კარმასთან* არის უშუალოდ დაკავშირებული; *კარმის* გარეთ სხეულს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. „სხეული“ ნიშნავს *კარმას*, *კარმა* კი ნიშნავს „სხეულს“. სხეული ველია სხვადასხვაგვარი მოქმედებისთვის, ეს არის *კარმაქშეტრა* (*კარმა* – მოქმედება, *ქშეტრა* – ველი, ანუ მოქმედების ველი), მაგრამ ღმერთი წმინდა და ფარული მოქმედებების ველია, ის არის *დჰარმაქშეტრა*. მოქმედების დროს და

ადგილს ბუნება ირჩევს. ამრიგად, ღმერთი, ადამიანი და ბუნება მოქმედებაში ერთიანდებიან.

მოქმედებებს იმისათვის ასრულებთ, რომ თქვენი ცხოვრება წმინდა გახდეს

სამყაროში ყველაფერი *კარმის* შედეგია. აი რატომ აცხადებენ *უპანიშადები*: *„თაყვანი ეცით კარმას“.* ის, რაც ცხოვრებაში ხდება, არის წინა მოქმედებების შედეგი, სხვა სიტყვებით, *კარმის* შედეგი. და ეს მოქმედებები კარგია თუ ცუდი, მაღალი ზნეობისაა თუ ცოდვილი, ნებისმიერი *კარმა*, ნებისმიერი მოქმედება ყველაზე უფრო ღრმა მნიშვნელობით არის ღმერთის ძალების გამოვლენა. აი რატომ არ ზრუნავს *იოგი* იმაზე, კარგია ეს თუ ცუდი, და იმ ყველაფერს, რაც მის თავს ხდება, იღებს როგორც უფლის ნებას და უბიწო მოქმედებების შესრულებას თავის უპირველეს ვალად თვლის.

მიზანი, რომლის გულისთვისაც უნდა ასრულოთ თქვენი ყველა მოქმედება, იმაში მდგომარეობს, რომ თქვენი ცხოვრება წმინდა გახადოთ. მხოლოდ ღმერთის წყალობით შეგიძლიათ მიიღოთ იმის პრივილეგია, რომ უბიწო საქმეები ასრულოთ და ამგვარად თქვენი ცხოვრება აკურთხოთ. უფლის სწავლების დახმარებით ამ წმინდა შესაძლებლობას იღებთ; უფალი ასეთ მოქმედებებში წარგმართავთ. ამ მიზეზით ჰქვია საღმრთო წერილს ბჰაგავად გიტა: *გიტა* ნიშნავს „გალობას“. რა გალობაა ეს? ეს არის უფლის გალობა. ყველას, ვინც ამ გალობას უსმენს, შეუძლია უბედურება და მწუხარება გადალახოს. იქნება ეს ბრძოლის ველზე თუ ნებისმიერ სხვა მოქმედების ველზე, როდესაც ეს წმინდა გალობა იგალობება, უბედურება და მწუხარება ქრება.

როდესაც მოქმედება სრულდება როგორც ძღვენი ღმერთისთვის, ის *იოგა* ხდება. ეს ნათლად არის გამოხატული წმინდანის ლოცვაში, რომელიც გალობდა:

*„ძვირფასო უფალო, შენ ხარ ატმა, ჩემი „**მე**“-ს თვით არსი. ჩემი ინტელექტი შენი ცოლია. ჩემი სხეული შენი სახლია. ჩემი ვალდებულებები შენთვის მირთმეული ძღვენია. ჩემი ცხოვრების სუნთქვა შენი ქება-დიდებაა. სადაც არ უნდა წავიდე, შენს გარემოცვაში ვარ. რა სიტყვაც არ უნდა წარმოვთქვა, ეს არის მანტრა, რომელიც შენით აღტაცებას გამოხატავს. ჩემ მიერ შესრულებული ნებისმიერი კარმა შენი თაყვანისცემაა“.*

ეს წმინდანი დიადი *იოგი* იყო. იგი უფალს სთავაზობდა ნებისმიერ მოქმედებას, რომელიც გრძნობათა ორგანოების დახმარებით სრულდებოდა, და ამგვარად მისი ყველა ქცევა თაყვანისცემის აქტი გახდა.

როდესაც თქვენს მოქმედებებს წმინდა მოქმედებებად გარდაქმნით, რომლებიც უფლისთვის ძღვენის შესაფერისი იქნება, მაშინ მოქმედებები *ანაშაქთი-იოგა* ხდება: ისინი თქვენ ღმერთთან ერთ დონეზე გაყენებთ. *იოგები ანაშაქთი-იოგასთვის* დამახასიათებელ დიდებულებას აღიარებენ, და ამიტომ ცდილობენ თავიანთი ყველა მოქმედება გაწმინდონ და ღმერთს შესთავაზონ. დიადი ბრძოლის წინ კრიშნამ არჯუნას უბრძანა:

„არჯუნა, ამ ომში უნდა მონაწილეობა მიიღო. მაგრამ ამ დროს მუდამ ჩემზე იფიქრე და ყველა მოქმედება მე მომიძღვენი. აი რა მინდა მე“.

არჯუნა დაემორჩილა უფლის ბრძანებას, მონაწილეობდა ბრძოლაში და მუდამ გულში ინახავდა კრიშნას.

დაე თქვენი ყველა მოქმედება გახდეს თავგანწირვა, და არა ბრძოლა

იმისათვის, რომ მიზანს მიაღწიოთ, საჭიროა ღმერთის სიყვარული შეიძინოთ. უფლის გულის მოგება თვითმიზანი უნდა გახდეს ერთგულისთვის. ეს მისი ყველაზე დიდი ვალია; იგი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მის მიერ შესრულებული ყოველი მოქმედება უფლისთვის საამო იქნება. კრიშნა ასწავლიდა:

„დაემორჩილე ჩემს მცნებებს და ასრულე შენი ვალი“.

ვინაიდან არჯუნა უფლის მცნებებს დაემორჩილა, და მან ომში მიიღო მონაწილეობა, მისი მოქმედებები გახდა *იაჯნა* – წმინდა მსხვერპლი. ამის საპირისპიროდ *ბჰაგავატამში* არსებობს ისტორია დაქშას შესახებ, რომელსაც *იაჯნას* შესრულება სურდა. მაგრამ იგი არ დაემორჩილა უფალ შივას; დაქშამ მის მიმართ მოწიწება არ გამოხატა, ასევე დაარღვია *რიშების* (წმინდა ბრძენების) კანონები, და *იაჯნების* შესრულებას ეგოიზმისა და მიბმულობის გრძნობით შეუდგა. მისმა ეგოიზმმა *იაჯნა* ომად აქცია.

როგორც ხედავთ, იმის წყალობით, რომ არჯუნა უფლის მცნებებს დაემორჩილა და ომში მიიღო მონაწილეობა, მისი ბრძოლა *იაჯნად* იქცა. მაგრამ დაქშას შემთხვევაში, რომელმაც *იაჯნა* უფლის მცნებების დარღვევით შეასრულა, *იაჯნა* ბრძოლად იქცა. რა არის ომი და რა არის *იაჯნა*? ყველა მოქმედება, რომელიც სრულდება როგორც უფლისთვის ძღვნის მირთმევა, *იაჯნა* ხდება. მაგრამ უფლის მცნებების დარღვევით შესრულებული მოქმედებები, რომლებიც მკვეთრად ეწინააღმდეგება წმინდა წერილებს და სრულდება ეგოიზმისა და პომპეზურობის გრძნობით, მხოლოდ სიძულვილისა და მიბმულობის გავრცელების მიზნით, - ყველა მსგავსი მოქმედება ბრძოლა ხდება, მაშინაც კი, თუ თავისთავად მოქმედება შეიძლება სრულდებოდეს

როგორც *იაგნა*. როდესაც გულისტკივილი და სიძულვილი ადამიანში სიტყვების ფორმას იღებს, და ამ სიტყვებს თავის მხრივ კამათამდე და კონტრარგუმენტებამდე მიჰყავხართ, ეს იმას ნიშნავს, რომ მალე ბრძოლა მოხდება. ამ ყველაფრის ფესვი მიბმულობა და სურვილებია, რომლებიც სხეულთან გაიგივების შედეგად ჩნდება.

შენ *ატმა* ხარ, შენ არ ხარ სხეული

კრიშნამ თქვა:

„არჯუნა, დაემორჩილე ჩემს მცნებებს. მთლიანად გამოეყავი სხეულის ცნობიერებას. სხეულთან გაიგივება უნდა შეწყვიტო. სხეული ლორწოთი და უსუფთაობით არის შევსილი. შენ არ ხარ სხეული; ის მხოლოდ დროებითი და წარმავალია. შენ ხარ მოწმე, შენ ხარ სხეულში მობინადრე ატმა. შენ არ ხარ ექვსი ფუტის ზომის ეს გარსი. შენ კოსმოსური პიროვნება ხარ; შენ უსასრულო ხარ. სხეული დაბადებასა და სიკვდილს ექვემდებარება. მაგრამ შენ ხარ ატმა, რომელიც არ ექვემდებარება არც დაბადებას, არც სიკვდილს. შენ არ ხარ შეზღუდული ინდივიდუუმი, რომელიც დროის მსვლელობას ექვემდებარება. სწორედ ის შუქმფინარი ფორმა ხარ, რომელმაც თვით დრო დაამარცხა და დაეუფლა მას. განასხვავე უცვლელი ცვალებადისგან! გამოიკვლიე სიბრძნე და უმეცრება! განასხვავე ჭეშმარიტება არაჭეშმარიტებისგან! გააცნობიერე შენი ჭეშმარიტი ბუნება! გაიცხვა და ქება სხეულთან არის დაკავშირებული; ისინი არ არის მუდმივი. შეძენა და კარგვა დაკავშირებულია მოქმედებასთან, და არა ატმასთან. გულგრილი იყავი მათ მიმართ. სიხარულსა და მწუხარებას ერთნაირად მოეპყარი. როდესაც გონების ამგვარ წონასწორობას განავითარებ, ჭეშმარიტ განხორციელებას გააცნობიერებ და სთჰითაპრაჯნა გახდები“.

ამგვარად, კრიშნა არჯუნას ასწავლიდა უმაღლეს სიბრძნეს, ჭეშმარიტების გარჩევას არაჭეშმარიტებისგან და იმის შეცნობას, რა არის მუდმივი, და რა არა.

ღმერთი ადამიანის ფორმაში
არა მარტო *ავატარებია*

ღმერთი ყველგანაა. იგი ყოვლისმცოდნეა. იგი ყველაფერს მოიცავს, ყოვლისშემძლეა. იგი სხეულით არ შემოიფარგლება. მისი ძალა არ შემოიფარგლება *კარმით*, რომელიც სხეულის დახმარებით ხორციელდება. ღვთაება არ არის უბრალოდ გარკვეული სხეული, რომელიც *დვაპარას* საუკუნეშია დაბადებული და კრიშნა ჰქვია. მსგავსი ინკარნაციები წარმოადგენდა მაგალითს, რომელსაც კაცობრიობა უნდა მიჰყვებოდეს. მაგრამ ღვთაებრიობის პრინციპი არ

არის რაიმე გარკვეული სხეულით შემოფარგლული: ღმერთი ყველგან მსუფევი და ყოვლისმცოდნეა.

ეს ჭეშმარიტება კაცობრიობას ისევ და ისევ ეძლევა. კრიშნა ამის შესახებ ეუბნებოდა არჯუნას:

„არჯუნა, უძველეს დროს, მრავალი საუკუნის წინ, მე ბჰაგავად გიტას ვასწავლიდი სურიას, მზის ღმერთს. შემდეგ ამის შესახებ მისგან მანუმ შეიტყო. იქშვაკუსთან გიტას ცოდნამ მანუსგან, მამამისისგან, მიაღწია. იქშვაკუმ თავის მხრივ გიტა მეფის ფილოსოფოსებს გადასცა. შემდეგ წმინდანთა საგვარტომოს გრძელ მწკრივში სხვებმა მიიღეს გიტას ცოდნა, როდესაც მზის ღმერთმა ეს ცოდნა იმ დროის მრავალ დიად ბრძენს გადასცა. მაგრამ შემდეგში ეს ცოდნა თანდათან დაფარულ იქნა და ბოლოს და ბოლოს დაიკარგა. თუმცა სწორედ ეს არის ის უძველესი წმინდა ცოდნა, რომელსაც ახლა აქ შენ გასწავლი“.

როდესაც არჯუნამ ეს გაიგონა, მის გონებაში ეჭვები გაჩნდა. იგი ფიქრობდა:

„მზე ძალიან ძველი არსია. კრიშნა დაიბადა სულ ახლახან - ამ საუკუნეში. როგორ უნდა ესწავლებინა მას მზის უძველესი ღმერთისთვის?“

როგორც კი არჯუნას ეს აზრები გაუჩნდა, კრიშნამ, ყველას აზრებისა და გულების მცოდნემ, დაუყოვნებლივ მოახდინა რეაგირება. მან თქვა:

„არჯუნა, ვიცი შენი ეჭვები“.

პირზე ღიმილით მან განაგრძო:

„იცი რა, არჯუნა, მე არ ვარ ეს სხეული. მე ის ვარ, ვისაც არა აქვს დაბადება. მე დროისა და სივრცის ზღვრებს მიღმა ვარ. არ ვარ გარემოებებით შეზღუდული. მე ვარსებობ ყველა საუკუნეში, ყველა დროში. როდესაც ჩემ შესახებ ჩემი სხეულის მიხედვით კონცეფციას აფუძნებ, ფიქრობ, რომ დვაპარას საუკუნეს ვეკუთვნი. მაგრამ ყველა საუკუნე და ყველა ერა ჩემში იმყოფება“.

კრიშნამ განაგრძო:

„არჯუნა, ნუ ცდილობ, რომ ამ სხეულითა და ამ დროით შემზღუდო. სხეულები იცვლება, მაგრამ მე არასოდეს ვიცვლები; სხვადასხვა დროში სხვადასხვა სხეულს ვიღებ, რომ კარმა შევასრულო და გარკვეული მისია განვახორციელო“.

იმ მომენტში, როგორც კი არჯუნამ ეს გაიგონა, მას სულიერმა გაგებამ გონება გაუნათა, და მან ღვთაების დროისგარეთა უცვლელი პრინციპი აღიარა.

გააფართოეთ შეხედულებები თქვენ შესახე, და გაიგებთ ღმერთს

ადამიანები რომ გაერთიანებულიყვნენ, მაშინაც ვერ შეძლებდნენ ღმერთის ყოვლისმცოდნეობის გაცნობიერებას. სულიერად მოაზროვნე ადამიანებიც კი თავიანთ თვალსაზრისს უფლის მხოლოდ ხილულ გარეშე მოქმედებებზე აფუძნებენ, და მას მოცემულ ფორმასთან დაკავშირებულ ინდივიდუალურ არსად თვლიან. აიგივებენ რა თავს თავიან საკუთარ სხეულთან, ისინი ასევე უფალსაც გარკვეულ სხეულთან აიგივებენ. ისინი რაიმე ღვთაებრივი ინკარნაციის მომავალზე ქმნიან ვარაუდებს, მათ არ შეუძლიათ, რომ ღმერთის ყველგანმსუფეობა და ყოვლისმცოდნეობა აღიარონ. მაგრამ ეს არ არის სწორი. კრიშნამ არჯუნას უთხრა:

„განავითარე გონების სიფართოვე და გააფართოე შენი ხედვა. შეგიძლია ინდივიდუალური პიროვნების კოცეფციით დაიწყო; მაგრამ ამაზე ნუ გაჩერდები. ნუ ხარჯავ მთელ შენს ცხოვრებას, როცა მხოლოდ პიროვნებებზე ფიქრობ.

*ინდივიდუუმიდან უნდა მოძრაობდე საზოგადოების კონცეფციიცკენ, რომელიც ინდივიდუუმს აღემატება. ინდივიდუალობა და პიროვნება დაკავშირებულია შეზღუდულ სახელთან და ფორმასთან, მაგრამ დაე შენმა გონებამ სახელისა და ფორმის ზღვრებს მიღმა ილივლივოს. მიაღწიე და შეიცანი დჰარმით შევსილი პრინციპი; ეს დჰარმა შენს არსს წარმოადგენს. შენ ყველაფერს ჯერ კიდევ დვაიტის (ორობითობის) თვალსაზრისით უყურებ, და ამიტომ შენი ცხოვრება მხოლოდ ორობითობას გამოხატავს; სახელისა და ფორმის, სუბიექტისა და ობიექტის ჩარჩოებით ხარ შეზღუდული. გამოიჩინე ძალისხმევა იმისათვის, რომ გადახვიდე დუალიზმიდან ანუ ილუზიიდან ღმერთთან სრულ ერთიანობისკენ, რომ მუდამ გეჭიროს შენ წინაშე არადუალიზმის უმაღლესი სიბრძნე როგორც შენი მიზანი. გამოიჩინე ძალისხმევა, რომ ერთსა და იმავე ღვთაებრივ პრინციპს ხედავდე ყველგან და ყველაფერში, სანამ საბოლოოდ არ გაიგებ იმ ჭეშმარიტებას, რომ არსებობს მხოლოდ ატმა, რომ მხოლოდ „**მე**“ არის რეალური“.*

ბუდა იმავე დიად პრინციპს ასწავლიდა, თუმცა შეიძლება *ვედას* არ იმოწმებდა და ვედურ ტერმინებს არ ხმარობდა. მიუხედავად ამისა, მან *ვედის* სულისკვეთების არსი განიცადა და აჩვენა. თავიდან მან თქვა:

„Buddham Sharanam Gacchami“ - რაც ნიშნავს *„თავშესაფარს ბუდჰიში, გარჩევის ძალაში ვპოვებ“.*

ეს ინდივიდუუმთან არის დაკავშირებული და პიროვნების შეზღუდულობაზე მიუთითებს. ის თანდათან ამატებს:

„Sangham Sharanam Gacchami“ - რაც ნიშნავს *„თავშესაფარს საზოგადოებაში ვპოვებ, თავშესაფარს სულიერად მოაზროვნე ადამიანთა დიდ ოჯახში ვპოვებ“.*

მან გააცნობიერა, რომ ინდივიდუმთან და პირად მოსაზრებებთან დაკავშირებული გრძნობები ეგოისტური და ვიწროა და მათ ადამიანი შორს არ მიჰყავთ. იმოძრავეთ პიროვნებისგან (ინდივიდუმისგან) საზოგადოებისკენ – ღვთაებისკენ.

არ უნდა თვლიდეთ, რომ ინდივიდუალური არსი ყველაფერია; ეს მხოლოდ და მხოლოდ წვეთია ოკეანეში. ამის შესახებ კრიშნამ არჯუნას უბრძანა:

„არჯუნა, გააფართოვე გული. ფართოდ უნდა აზროვნებდე. მთელი საზოგადოება ჩართე შენს თვალსაწიერში“.

საზოგადოებას არა აქვს გარკვეული ფორმა; იგი ინდივიდუმებისგან შედგება. როდესაც ინდივიდუმთა დიდი რაოდენობა ერთიანდება, ისინი საზოგადოება ხდება. *სვამი* ხშირად ამბობს:

„ჩემი ცხოვრება გაფართოებაა“.

როდესაც თქვენს ცხოვრებას უსასრულობაში აფართოებთ, იგი ღვთაებრივი ხდება; ანუ დაე ინდივიდუალური ცხოვრება გამრავლდეს და გაფართოვდეს, რომ <u>ღვთაებას ხედავდეთ ყველაფერში, და მაშინ ღვთაებას მიაღწევთ</u>. ამიტომ უთხრა კრიშნამ არჯუნას:

„იცხოვრე საზოგადოებაში, ემსახურე საზოგადოებას, განავითარე შეხედულებათა სიფართე. გააცნობიერე, რომ ღვთაებრიობა ყველაფერში და ყოველშია“.

გაფართოების პროცესი – ინდივიდუმიდან საზოგადოებამდე – არ ნიშნავს ლოიალობის უბრალო გამოხატვას გარკვეული ჯგუფის, ნათესავების, რაიონის, საზოგადოების ან ქვეყნის მიმართ. ეს არის მხოლოდ და მხოლოდ პირველი ნაბიჯი – უფრო შორს უნდა წახვიდეთ. ეს ყველაფერი შეგზღუდავთ და არ მიგიყვანთ ღვთაებრიობასთან, რომელიც თქვენს ჭეშმარიტ რეალობას წარმოადგენს. ამიტომ ბუდამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა:

„Dharam Sharanam Gacchami“ - რაც ნიშნავს *„თავშესაფარს დჰარმაში ვპოვებ. თავშესაფარს ჭეშმარიტებაში და მართლქმედებაში ვპოვებ“.*

დჰარმას, როგორც ეს სიტყვა აქ იხმარება, ძალიან ფართო მნიშვნელობა აქვს; იგი იმის შესახებ ამბობს, ვინც მთელ სამყაროს იცავს. როდესაც სიტყვა *დჰარმის* ძირითად მნიშვნელობას იკვლევთ, გესმით, რომ ეს სიტყვა ამბობს საგანთა ძირითად ბუნებაზე, მათ ჭეშმარიტ რეალობაზე. ის, რაზედაც აქ არის ლაპარაკი, არის ჩვენში მყოფი უკვდავი *ატმა*, ღვთაება. მაშასადამე *დჰარმის* უფრო ღრმა

მნიშვნელობა შეიძლება ღვთაების ჭეშმარიტ ბუნებაში აღმოვაჩინოთ. ნათქვამია, რომ *მაია* ღმერთის სხეულია, მაგრამ უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ *დჰარმა* ღმერთის სხეულია. ეს თვით მისი ფორმაა. აი კრიშნამ რატომ განაცხადა:

„დჰარმის განმტკიცებისთვის ისევ და ისევ მოვდივარ“.

დჰარმა ღვთაების ფართო ბუნებას ხსნის მისი დიდების ყველა ასპექტში.

კრიშნა ასე წარმართავდა არჯუნას:

„იმოძრავე ინდივიდუალობის ბეცი გრძნობების ზღვრებს მიღმა. ნუ თვლი სხეულს მთელი შენი ცხოვრების საფუძვლად. ეს არის მხოლოდ და მხოლოდ საფარველი, ინსტრუმენტი. ეს არის ის, რასაც შენი მოკვდავი თვალებით ხედავ. გააფართოვე შენი ხედვა. განავითარე უფრო ფაქიზი მხედველობა; შეიძინე ღმერთის ხედვა. როდესაც შენი ხედვა ღმერთით შეივსება, მაშინ მთელი ქმნილება შენთვის ღმერთი გახდება. აქციე დჰარმა შენს ხედვად, და შენი ხედვა ღმერთის ხედვა გახდება; მაშინ დაინახავ, რომ მთელი ქმნილება ღმერთია. როგორც ინდივიდუალური პიროვნება შენ ხარ პრინცი და მეომართა კლასს მიეკუთვნები. იბრძოლო იმისათვის, რომ მართლქმედება დაიცვა, შენი ვალია. მაგრამ საომრად არავის გამოწვევა არ გჭირდება. ომი კაურავებმა გამოგიცხადეს. ერთადერთი, რასაც გთავაზობ, პატივი ეცი შენს ვალს და ასრულე ის, მაგრამ დაემორჩილე ჩემს ყველა მცნებას. ასეთი გზით ვალი დჰარმას ერწყმის“.

დჰარმის ბუნება

როდესაც არჯუნას ასწავლიდა, კრიშნამ *დჰარმის* მნიშვნელოვანი ფორმა გახსნა.

„არჯუნა, წვა ცეცხლის თვით ბუნებაა; თუ მასში წვის ძალა არ არის, მაშინ ეს არ არის ცეცხლი. მსგავსი სახით ყინულის ბუნებაა სიცივე. თუ მასში სიცივე არ არის, მას არ შეიძლება ყინული ვუწოდოთ. სიტკბო კი შაქრის თვით ბუნებაა. თუ მასში სიტკბო არ არის, მაშინ ეს სუბსტანცია შეიძლება იყოს მარილი ან ფქვილი, და არა შაქარი. ასეთივე სახით სიკვდილი ბუნებრივია ადამიანის სხეულისთვის. როდესაც ადამიანის სხეული თავისი ბუნებრივი დასასრულისკენ მიდის, რატომ უნდა ღელავდე ამის გამო?

ისევე, როგორც წვა ბუნებრივია ცეცხლისთვის, სიცივე – ყინულისთვის, სიტკბო კი – შაქრისთვის, ასევე სიკვდილი ბუნებრივია ყოველგვარი ადამიანური სხეულისთვის. მონაწილეობა მიიღე ამ ომში, ნუ იზრუნებ შენი ნათესავების სხეულებზე; მაგრამ ამ დროს შეინარჩუნე ჭეშმარიტი ბრძენის - სთჰითაპრაჯნას – თვისებები. თუ გინდა რომ სიმშვიდე მიიღო, შენი ეგო და მიბმულობები უნდა მოსპო.

ასევე შენს ცდომილებებზე უნდა თქვა უარი. მაგრამ ღმერთს ნუ უარყოფ! დაემორჩილე მის ყველა მცნებას, და გაიგებ კაცობრიობის ჭეშმარიტ ბუნებას“.

დჰარმა ღვთაებრივი თვისებაა, რომელიც ბუნებრივი და დამახასიათებელია ადამიანისთვის, - თვითონ *დჰარმა* გაანადგურებს *მაიას.* ახლახან *სვამიმ* თქვა, რომ სიტყვაში *მან* (ადამიანი) *„მ“* ნიშნავს *„მაია მოცილებულია“ (Maya removed), „ა“* ნიშნავს - *„ატმა გამჟღავნებულია“ (Atma seen)* და *„ნ“* ნიშნავს - *„ნირვანა მიღწეულია“ (Nirvana attained).* სხვა სიტყვებით, მოიცილეთ ეგოისტური „მე“, მიიღეთ უფლის *დარშანი* (შინაგანი ხედვა) და შეერწყეთ *ატმას* სიხარულს (თქვენს შინაგან ღვთაებრივ არსს) – აი რა შეადგენს *დჰარმას.* თქვენ უნდა ისევ და ისევ იფიქროთ ამაზე.

სიმშვიდე თქვენივე თავში უნდა მოიპოვოთ

სიმშვიდე არ არის საგანი, რომელიც ბაზარში იყიდება. ეს არ არის ნივთი, რომელიც შეიძლება იყიდოთ ან მოიგოთ სამეფოსთან ერთად. ეს არ არის საჩუქარი, რომელიც ნათესავებისგან შეიძლება მიიღოთ. სიმშვიდე თქვენს საკუთარ ბუნებაშია ჩადებული; იგი თქვენში იმყოფება. შეგიძლიათ იპოვოთ ის, თუკი თქვენშივე მოძებნით მას. ამიტომ მოიცილეთ გარეშე ხედვა და განავითარეთ შინაგანი ხედვა. გარეშე ხედვა ცხოველისთვის არის დამახასიათებელი, და არა ადამიანისთვის; ჭეშმარიტ ადამიანს შინაგანი ხედვა აქვს.

„ამიტომ, - უბრძანა კრიშნამ არჯუნას, - *აკურთხე შენი ცხოვრება ადამიანის უნიკალური შესაძლებლობის განვითარებით: შენი გონების შენში მიმართვის ცოდნით“.*

არსებობს მოთხრობა იმაზე, ცხოვრების გზის დასაწყისში ბრძენ ნარადას როგორ აწვალებდა ერთიმეორის მიყოლებით უსიამოვნებები. ნარადამ ბევრი რამ ისწავლა. იგი ყველა 64 სახის სწავლების ოსტატი გახდა და ყველა 64 სახის ოსტატობის პრაქტიკას ეწეოდა; და მაინც შინაგან სიმშვიდეს არ გრძნობდა. მან ფიქრი დაიწყო:

„რა არის მიზეზი ამ განცდებისა, სიმშვიდის არქონისა, რომელსაც ასე მძაფრად ვგრძნობ? განათლების ყველა სახეს დავეუფლე, ადამიანის ცოდნის ყველა სფეროში ვერკვევი და მაინც არ შემიძლია ტანჯვების მოცილება“.

იგი ბრძენ სანატ კუმარასთან წავიდა და სთხოვა მას, აეხსნა მღელვარებების და სიმშვიდის არქონის მიზეზი.

უპირველეს ყოვლისა ბრძენმა ჰკითხა ნარადას:

„რა განათლება მიიღე?“

ნარადამ უპასუხა:

„ყველაფერი შევისწავლე და განათლების ყველა სახეს დავეუფლე: არ არის ადამიანის ცოდნის სფერო, მე რომ არ შემესწავლა“.

მაშინ ბრძენმა სანატ კუმარამ თქვა:

„ეს, რა თქმა უნდა ძალიან კარგია. ე.ი. უნდა ვიფიქროთ, რომ შეისწავლე მეცნიერება შენ შესახებ, ატმა-ვიდია?“.

ნარადამ უპასუხა:

„ცოდნის ყველა სახეს ვფლობ, გარდა ატმა-ვიდიასი“.

მაშინ ბრძენმა სანატ კუმარამ უთხრა:

„გონების სიმშვიდის შეძენა მხოლოდ ატმას ცოდნის დახმარებით შეგიძლია. როდესაც უმაღლეს ცოდნას დაეუფლები, რომლის დახმარებით ყოველივე დანარჩენი გეცოდინება, მაშინ შეიძლება განათლებული გერქვას. წინააღმდეგ შემთხვევაში უმეცარი რჩები, იმისგან დამოუკიდებლად, მეცნიერების რამდენი სფერო შეისწავლე. რა აზრი აქვს ამდენი მეცნიერების შესწავლას, თუ ერთადერთი მნიშვნელოვანი არ გესმის?“

აი პატარა მაგალითი.

ქორწილისთვის საქმროა საჭირო

ერთ-ერთ პატარა სოფელში ქორწილს ელოდნენ. სახლის დიასახლისმა, სადაც ქორწილი უნდა ეზეიმათ, მეზობელ ქალს უთხრა:

„ამა, ჩვენს სახლში დიდებული ქორწილის მოწყობას ვაპირებთ. ბომბეიდან მოვიწვიეთ ცნობილი საესტრდო ჯგუფი, აგრეთვე მრავალი ცნობილი მომღერალი. ასევე რამდენიმე მაღალი კვალიფიკაციის მქონე მზარეული ჩამოვა მაგიდის გასაწყობად. ამ შემთხვევისთვის დიდი საქორწილო კარვის დადგმას ვაპირებთ. ეს იქნება ჭეშმარიტად გრანდიოზული მოვლენა, ამა. თუ შეიძლება, მოდი ქორწილში. ძალიან მოგეწონება ქორწილი. ეს უნიკალური დღესასწაული იქნება“.

როდესაც ეს ყველაფერი მოისმინა, მეზობელმა ქალმა თქვა:

„დიდებულია. რა თქმა უნდა, მოვალ“, - შემდეგ კი ჰკითხა*: - მითხარი, თუ შეიძლება, ვინ არის საქმრო?“.*

რაზედაც დიასახლისმა უპასუხა: *„ეს ჯერ არ არის გადაწყვეტილი“.*

ქორწილისთვის საქმრო ძალიან მნიშვნელოვანი პერსონაა. თუ საქმრო ჯერ არ შეურჩევიათ, მაშინ ვინ უნდა დააქორწინონ საქორწილო კარავში? რა არის კარგი დიდებულ ორკესტრში, მზარეულებში, მომღერლებში და მღვდლებში, თუ დასაქორწინებელი არავინ არის? თავიდან საჭიროა საქმროს პოვნა, და მაშინ ყოველივე დანარჩენი აზრს შეიძენს. ასეთივე სახით, თუ გონების სიმშვიდე არ არის, რა აზრი აქვს ამდენი რამის შესწავლას? ბრძენმა სანატ კუმარამ ნარადას უთხრა:

„გონების სიმშვიდის შეძენას მხოლოდ მაშინ შეძლებ, როცა ატმას ცოდნას მიიღებ“.

დღეს ადამიანი იოლი მსხვერპლია *რაგასთვის* და *დვეშასთვის*, მიბმულობისთვის და სიძულვილისთვის. მას პირთამდე ავსებს მესაკუთრული ბუნება, იგი ეგოიზმით სავსეა. შეხედეთ, რა მდგომარეობაშია ის და რას აკეთებს! მსოფლიოში ყველაზე უფრო მნიშვნელოვან არსებად თვლის თავს. იგი ცდება, როდესაც გრძნობს, რომ მასზე უფრო მნიშვნელოვანი არავინ არის. ამ მცდარობის გამო მან გარჩევის ძალა დაკარგა და ამიტომ ფიქრიც კი არ შეუძლია თავისი მოუსვენარი მდგომარეობის თაობაზე. თვლის, რომ ყველაფერს თვითონ აკეთებს. ფიქრობს, რომ შეუძლია მთელი სამყარო დაიქირაოს და რასაც მოისურვებს, ის გაუკეთოს მას. მაგრამ სამყაროს ის არ ხელმძღვანელობს. მას არა აქვს ასეთი ძალა არც სიკეთისთვის, არც ბოროტებისთვის. ის, ვინც ამ სამყაროს შემქმნელს წარმოადგენს, ის, ვინც ამ სამყაროს დამცველს წარმოადგენს, ის, ვინც ამ სამყაროს მამას წარმოადგენს, ის, ვინც ამ სამყაროს დედას წარმოადგენს, ის, ვინც ამ სამყაროს უფალს წარმოადგენს, - მხოლოდ მას აქვს ძალა და ძალაუფლება იმისათვის, რომ ამ სამყაროს უხელმძღვანელოს. მთელი სულიერი და არასულიერი სამყაროსთვის არსებობს მხოლოდ ერთი მბრძანებელი. ამაში მდგომარეობს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ჭეშმარიტება, რომელიც ყოველმა ადამიანმა უნდა აღიაროს.

გამოიყენეთ შემხვედრი სიძნელეები, რომლებიც გეხსნებათ როგორც შესაძლებლობები და გამოცდები

ნუ აყვებით დროებით მღელვარებებსა და მრისხანებას, რომელთა გამოც სულის სიმშვიდეს კარგავთ. მწუხარებები, კარგვები, გულისტკივილი, მღელვარებები – ეს ყველაფერი გამოცდებია, რომლებიც სისუსტეების მოცილებაში გეხმარებათ. ისინი გიჩვენებთ, გაჩნდა თუ არა თქვენში მტკიცე რწმენა და მოთმინება, რომ ეს სიძნელეები აიტანოთ და მათ მიმართ გულგრილნი დარჩეთ. უსარგებლოა უბრალოდ ჩააბაროთ გამოცდები, რომლებსაც საგანმანათლებლო ინსტიტუტები ატარებენ, საჭიროა თვით ცხოვრების მიერ წარდგენილი გამოცდები ჩააბაროთ. ნათქვამია:

„მხოლოდ სულელმა, რომელმაც განათლების ყველა სახე მიიღო, არ იცის თავისი საკუთარი გონება“.

რა განათლებაც არ უნდა მიიღოს ბოროტმა ადამიანმა, იგი მათგან ვერავითარ კარგ თვისებებს ვერ მიიღებს. მაშ რა საჭიროა მთელი ეს განათლება? როდესაც უამრავ უსარგებლო ცოდნას იღებს, ადამიანი

მხოლოდ არგუმენტებითა და კონტრარგუმენტებით მეცადინეობის უნარს ავითარებს.

რა საჭიროა ამდენი რამის შესწავლა, რასაც არავითარი ღირებულება არა აქვს? ამის ნაცვლად ძალისხმევა გამოიჩინეთ, რომ იმის შესახებ გაიგოთ, რაც უკვდავია; ამ ცოდნას მარადიული ღირებულება აქვს. რა ცოდნაა ეს, რომელიც შესაძლებლობას გაძლევთ შეიცნოთ ის, რასაც თვით სიკვდილიც კი ვერ მბრძანებლობს? ეს არის *ატმას* ცოდნა; ეს განათლება არის *ატმური* განათლება. იმას, ვინც სიკვდილს არ ექვემდებარება, ასევე დაბადებაც არა აქვს. ის ყველაფერი, რაც დაიბადა, სახეცვლილებას ექვემდებარება და ბოლოს და ბოლოს უნდა მოკვდეს. მთელ ამ სამყაროს და ყოველივე მასში არსებულს გარკვეული ფორმა აქვს. ის ყველაფერი, რასაც ფორმა აქვს, ცვლილებებს ექვემდებარება. უნდა ეცადოთ მიაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, სადაც საერთოდ არ არის ცვლილებები. ეს რომ გააკეთოთ, თქვენი თავი უნდა შეიცნოთ, *ატმა* უნდა გააცნობიეროთ.

საჭირო არ არის, რომ ბარგი თავზე გედოთ

ერთმა მოხუცმა უმეცარმა გლეხმა მიატოვა მშობლიური ადგილები და ხანგრძლივი მოგზაურობა განიზრახა. წინათ მას არასოდეს უმოგზაურია მატარებლით; ფაქტიურად მთელი მისი ცხოვრების განმავლობაში მატარებელიც კი არასოდეს უნახავს. რკინიგზის სადგურში მივიდა და ლოდინი დაიწყო. მატარებელი სდგურზე ჩამოდგა. გლეხს ძალიან შეეშინდა:

„რა ბევრი ვაგონია, - იფიქრა მან, - *როგორ სწრაფად დადის; და რა ადვილად იჭერს წონასწორობას ამ ვიწრო რელსებზე, რომელზედაც ადამიანი ძლივს გავა“.*

ასობით მგზავრი იცდიდა, რომ მატარებელში ჩამჯდარიყო. ყოველ მგზავრს ძალიან ბევრი ბარგი ჰქონდა. გლეხი თავისთვის ფიქრობდა:

„როგორ უნდა წაიყვანოს ამ მატარებელმა ამდენი მგზავრი ამდენი ბარგით? რატომ აქვთ ამ ადამიანებს ასე ბევრი ბარგი?“

სხვა მგზავრებთან ერთად ის მატარებელში შევიდა. მგზავრებმა თავიანთი ბარგი საბარგო განყოფილებაში დააწყეს ან იატაკზე დატოვეს, თავიანთი ადგილები დაიკავეს და საუბარი დაიწყეს.

გლეხმა გაიფიქრა:

„როგორი სასტიკნი არიან ადამიანები! რატომ დაადეს ასეთი მძიმე ტვირთი საწყალ მატარებელს: დააგდეს თავიანთი ბარგი კუპეში, თვითონ კი ისვენებენ?“

მოხუცმა გადაწყვიტა, რომ კუპეში დამჯდარიყო და ბარგი თავზე დაედო. მისთვის ისიც საკმარისი იყო, რომ მატარებელს თვითონ ის

მიჰყავდა; სულ ცოტა, რისი გაკეთებაც მას შეეძლო, თვითონ უნდა გადაეტანა თავისი ბარგი, და კიდევ ერთი ტვირთი არ დაედო მძიმედ დატვირთულ მატარებელში! თანამგზავრმა კუპეში ჰკითხა მას:

„მოქალაქე, რატომ გიდევთ ბარგი თავზე? რატომ არ დებთ მას იატაკზე, ასე ხომ უფრო მოხერხებულად იმგზავრებთ?“

მოხუცმა უპასუხა:

„მატარებელს ისედეც მეტისმეტად ბევრი ბარგი მიაქვს, და არ მინდა, რომ ჩემი ბარგიც დავუმატო; ამიტომაც დავიდე თავზე – თვითონ მიმაქვს ის“.

რასაც არ უნდა უკეთებდეთ თქვენს ბარგს, მატარებელი მაინც წაიღებს ბარგსაც და თქვენც წაგიყვანთ. როდესაც ბარგი თავზე გადევთ, სულ არაფრით ეხმარებით მატარებელს. ამიტომ შეგიძლიათ ის უბრალოდ იატაკზე დადოთ და მგზავრობით დატკბეთ. ეს გულუბრყვილო სოფლელი მოხუცი კეთილი და საცოდავი იყო, მაგრამ არ ჰქონდა საკმარისი გონება და გამჭრიახობა.

კრიშნამ არჯუნას უთხრა:

„მართალია, დიდად განათლებული ხარ, გრძნობებს აკონტროლებ, დიდი საგმირო საქმეები ჩაიდინე და მრავალი ხელოვნება ისწავლე, მაგრამ მაინც ბევრი სიძნელეები გაქვს. ეს იმიტომ, რომ არ შეგიძლია ღვთაება გაიგო. სანამ ღვთაება არ გესმის, ვერ გათავისუფლდები მწუხარებისგან. თუ გინდა, რომ მწუხარებისგან გათავისუფლდე და უფლის წყალობა დაიმსახურო, ჩემი მცნებები უნდა შეასრულო.

უპირველეს ყოვლისა გახსოვდეს, რომ შენ არ ხარ სხეული. გრძნობათა ორგანოებს შენთან საერთო არაფერი აქვს; ისინი სხეულთან არის დაკავშირებული. გამოიყენე სხეული სამუშაოს შესრულებისთვის, მაგრამ თავს ნუ აიგივებ სხეულთან ან სამუშაოსთან. ამ სხეულში შენი წინა მოქმედებების, შენი კარმის შედეგად დაიბადე, და ეს სხეული კარმის შესრულებისთვის უნდა გამოიყენო. ამიტომ ადექი! შეასრულე შენი ვალი. შეასრულე მოქმედებები და მე შემომთავაზე ისინი. მომეცი შენი მოქმედებების შედეგები. თავი აარიდე ეგოიზმს, დაიცავი სამართლიანობა, მაგრად ჩაეჭიდე რწმენას. ასეთია დჰარმა უკუნითი უკუნისამდე. თუ ჩემს მცნებებს შეასრულებ, მე თვითონ ვიზრუნებ შენზე“.

თავი ღვთაებასთან გააიგივეთ, და არა სხეულთან

კრიშნამ განაგრძო:

„კიდევ ერთი რამ მინდა გითხრა: დჰრიტარაშტრას, კაურავების ბრმა მამას, ასი ვაჟი ჰყავს. თუმცა ბოლოს და ბოლოს მას არც ერთი არ დარჩება, არავინ იქნება მისი დამმარხავი. რა არის ამის მიზეზი? ეს ვაჟები ღმერთის შვილებია, მაგრამ დჰრიტარაშტრა მათ თავისებად

თვლის. არჯუნა, შენც მისი ძმა ხდები. თავს ატყუებ იმით, რომ ეს სხეული შენია, მაშინ როცა სინამდვილეში სულაც არ არის ასე. როდესაც ფიქრობ, რომ სხეული ხარ, შენ ბრმა ხდები, როგორც დჰრიტარაშტრა. ეს სრული უმეცრებაა. სანამ ამ უმეცრებას არ მოიცილებ, სიბრძნის გაცნობიერებას ვერ შეძლებ. უნდა გარჩევა და თვითგამოკვლევა განავითარო იმისათვის, რომ სიბრძნე გაგიჩნდეს.

შენს სხეულში იმყოფება სულიერი გული, ამ გულში კი – ღმერთი. შენს სხეულში არის ასევე ინდივიდუალური სული, ჯივა. თუმცა ისე მოჩანს, რომ ღმერთი და ინდივიდუალური სული ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მაგრამ ისინი ერთად მოქმედებენ, თუმცა ყოველი მათგანი თავის როლს თამაშობს გრანდიოზულ დრამაში. ისინი ერთდებიან და კვლავ ცალკევდებიან – მათ წარმართავს პიესის დამწერი ავტორი. ის ანაწილებს სიკეთისა და ბოროტების, ზნეობრიობისა და ცოდვის სხვადასხვა როლებს. მაგრამ სინამდვილეში არსებობს მხოლოდ ღმერთი, რომელიც ყველა ამ როლს ასრულებს.

სხეულის თვალსაზრისით არსებობს ინდივიდუალური სული, რომელიც თავის თავს გამოხატავს როგორც გარკვეულ ადამიანს, სხეულისა და გონების მქონეს, და არსებობს გულში მყოფი ღმერთი. მანამდე, სანამ სხეულის ცდომილებაში იმყოფები, ეს ორი არსებობს როგორც ცალკე არსები, რომლებიც ერთმანეთთან თამაშით ტკბებიან. როგორც კი ცდომილება ქრება, ისინი ერთ ყოვლისმომცველ ღვთაებრივ პრინციპში ერწყმიან. როდესაც სხეულის ცნობიერების მცდარ ცდომილებას მოიცილებ, ინდივიდუალური სული ღმერთს შეერწყმება. მაშინ ღვთაებრივ ცნობიერებაში გამყარდები და მარადიული ნეტარებით დატკბები“.

აძლევდა რა არჯუნას რჩევა-დარიგებას, კრიშნამ შეძლო მისთვის საჭირო ცოდნა მიეცა, რომ არჯუნა გამხდარიყო ბრძენი, *სთჰითაპრაჯნა*, და მიეღო მას საშუალებები არადუალიზმის ნეტარების მიღწევისთვის. მან თქვა:

„არჯუნა, არასოდეს დაკარგო გრძნობა, რომ ის ყველაფერი, რაც კი არსებობს, ერთი და იგივე არსია. ნებას ნუ მისცემ გრძნობებს, რომ ერთიანობისა და წონასწორობის ამ გრძნობიდან გადაგიყვანოს. დაე შენი გული თავისუფალი იყოს მწუხარებისა და სიხარულისგან, მიბმულობისა და სიძულვილისგან. დაე შენზე არ იმოქმედოს არც გაკიცხვამ, არც ქებამ ყველა ადამიანს ერთნაირად მოეპყარი“.

კრიშნამ არჯუნას უთხრა:

„თუ მტკიცედ გწამს, რომ ქმნილებაში ყველფერი ღმერთის გამოხატვაა, მაშინ უმაღლეს სიბრძნეს დაეუფლები და ილუზიისგან გათავისუფლდები. მაშინ გააცნობიერებ ჭეშმარიტ მიზანს, რისი გულისთვისაც ადამიანის სახით დაიბადე. არჯუნა, შეასრულე ჩემი

მცნებები. ეცადე, რომ ყველგან მე დამინახო! იცოდე, რომ მე ვარ შენი ჭეშმარიტი არსი – ატმა! გააცნობიერე ატმა და გახდი სამუდამოდ თავისუფალი – გახდი სთჰითაპრაჯნა“.

სარჩევი

სატია საი ბაბას გამონათქვამებიდან 2

შენიშვნა მკითხველისთვის 6

გიტას არსი 7

ნაწილი პირველი – ერთგულების გზა

თავი 1. სიყვარული და ვალი არის სრულყოფილების გზა 11

ღმერთის შეცნობა არის საკუთარი თავის შეცნობა 12

საკუთარი თავისა და ღმერთის რწმენა 13

უფორმო იძენს ფორმას 14

ღვთაებრივი ცნობიერება 15

მოქმედება, თაყვანისცემა და სიბრძნე 16

ილუზიისგან თავის დაღწევა 17

თავი 2. ღმერთისთვის თავის მინდობა – ამაშია ადამიანის ჭეშმარიტი გარდაქმნა ღმერთად 19

სამყარო 19

ერთგულების გზა 20

უმაღლესი „მე“ არის ღმერთი 21

ღმერთის უსაზღვრო ძლევამოსილება 22

ერთგული თვით ღმერთზე უფრო დიდია 23

ღმერთის შებოჭვა სიყვარულის ძალით შეიძლება 24

დუალიზმიდან არადუალიზმისკენ 25

იყოთ ახლობელი და ძვირფასი 27

არავის მიმართ არ გამოავლინოთ სიძულვილი 28

თავი 3. როგორ უნდა დაიმსახუროთ ღმერთის სიყვარული 30

ღმერთის სიყვარული 30

ჭეშმარიტი სიხარული 31

მამაცობა და მტკიცე გამბედაობა 32

ფორმის მქონე და ფორმის გარეშე ღმერთის თაყვანისცემა 32

ღმერთის მარადიული ასპექტი ფორმის გარეთაა 34
ფორმის მქონე ღვთაების თაყვანისცემა გონებას დაამშვიდებს 35
ფორმის არმქონე ღმერთის თაყვანისცემა თქვენს გულში 36
შინაგანი სიმშვიდე და კმაყოფილება 37
გიყვარდეთ ყველა 37
თავი 4. სულიერი ძიება არის სიბრძნის გზა 39
სამი სტადია სიბრძნის გზაზე 39
ღმერთი დროის მბრძანებელია 41
ილუზიის საფარველი 42
სამყარო როგორც ჭეშმარიტებისა და არაჭეშმარიტების მდინარე 44
მხოლოდ ღმერთს მოეჭიდეთ 44
დაამარცხეთ გრძნობები 45
ღმერთს დაადგით თქვენი ტვირთი 46
სრულად დამორჩილდით ღმერთს 48
თავი 5. თქვენს გულში ეძებეთ ღმერთი 49
ჩვენში მყოფი ღმერთი 49
სხეულში იმყოფება სუფთა ცნობიერება 50
იხილეთ ღმერთი ყველაფერში 52
კაცობრიობის დაავადებები 53
საკუთარ სხეულში ეძებეთ უფალი 53
დაე თქვენი აზრები, სიტყვები და საქმეები ჰარმონიაში იყოს 54
მოთმინება მთავარი სულიერი თვისებაა 55
ღმერთის განცდა მხოლოდ სიყვარულის მეშვეობით შეიძლება 56
თავი 6. სულიერი გზის სამი სტადია 57
იცოდეთ, რომ ღმერთი აქ იმყოფება, და შეგიძლიათ
უშუალოდ განიცადოთ მისი თანდასწრება 57
მწყემსი ბიჭუნა 58
უფლის ხილვის მხურვალე სწრაფვა 59

ღმერთის ხედვა 60
დუალიზმის (ორობითობის) ზღვრებს მიღმა 60
უფალთან ერთიანობა 62
ამქვეყნიური ცხოვრების სამი სტადია 62
ცოდნა, ხედვა და ღვთაებასთან ერთიანობა 63
უკვდავი „მე“-ს მარადიული სიმშვიდის მიღწევა 64
არჯუნას წმინდა სახელები 65
თავი 7. ენის ალაგმვა საჭმელში და ლაპარაკში 68
ენის ორმაგი ძალა 68
ენის კონტროლი 69
განავითარეთ გარჩევის გრძნობა 70
საკვების, სამზარეულო ხელსაწყოებისა და
მზარეულის სისუფთავე 71
ლოცვა, რომელიც ღმერთს საჭმელს სთავაზობს 72
ენის როლი მეტყველებაში 73
მოთხრობა მოსამსახურზე და მოძღვარზე 73
სიტყვის ძალა 75
თავგანწირვა და დიდი მოთმინება 75
ლაპარაკი სულიერი ენერგიის ხარჯვაა 76
თავისი თავის რწმენა 78
განდევნეთ ეგოიზმი, სიამაყე და ეჭვიანობა 79
თავი 8. მხოლოდ სიყვარულის მეშვეობით შეგიძლიათ,
რომ ღმერთს მიაღწიოთ 80
ერთგულება 80
მედიტაცია და ერთგულება ერთმანეთისგან არ განსხვავდება 81
ოჯახის უფროსი და ბერი 82
მე ვარ ღმერთი 83
ფორმიდან უფორმოსკენ 84

მიენდეთ თქვენში მყოფ ღმერთს 85
სურვილთა გარდაქმნა სიბრძნედ 85
შრომის შედეგებზე უარის თქმა 86
სიყვარული ყოველგვარი სულიერი პრაქტიკის საფუძველია 87
სიყვარულით და რწმენით შეავსეთ გულები 88
სიყვარული ადამიანურ თვისებებს შორის ყველაზე
უფრო მნიშვნელოვანია 89
თავი 9. სურვილები და მრისხანება ორმაგი ბოროტებაა 91
გამოიყენეთ წმინდა აზრები, რომ ნეგატიური აზრები მოიცილოთ 91
კარგი ხასიათი, კარგი ქცევა და თქვენი „მე“-ს ცოდნა 92
ღვთაებრივი ძალა და ფიზიკური ძალა 93
სამი სამყარო და მათ ზემოთ მყოფი უფალი 94
საითაც არ უნდა გაიხედოთ, ყველგან თქვენი უმაღლესი „მე“-ა 95
შენ არ ხარ ცოდვილი, შენ ღმერთი ხარ 96
სევას (მსახურების გზის) სიტკბო 97
სურვილების და მრისხანების კონტროლი 97
მიზიდულობა და განზიდულება 99
მნიშვნელოვანია ხასიათი, და არა რწმენა 99
**თავი 10. სიყვარული და თავგანწირვა სურვილებსა და
მრისხანებას კურნავს** 101
სურვილების ცეცხლი 101
გახადეთ სიყვარული დომინირებულ ძალად თქვენს ცხოვრებაში 102
მრისხანების ბუნება 103
თავგანწირვა სურვილებს ამარცხებს 104
სურვილები და სიძულვილი ჭეშმარიტი „მავნებლებია“ 105
დაე ბრწყინავდეს თქვენში ყველა კეთილშობილი
ადამიანური თვისება 106
როგორ უნდა შეცვალოთ ცუდი ჩვეულებები კარგით 107

მუდმივი პრაქტიკა (აბჰიასა) ყველა მიღწევის
გასაღებია ცხოვრებაში 108
გარკვეულ საზღვრებში გეჭიროთ გრძნობები 109
**თავი 11. ჭეშმარიტი თვითაღკვეთა ნიშნავს გონების
ღმერთისკენ მიმართვას** 111
გონების კონტროლი 111
ჭეშმარიტი არამიბმულობა 112
რაც შეიძლება უკეთ გამოიყენეთ ამქვეყნიური ობიექტები 113
ჰარიშჩანდრა და ბუდა 114
ამქვეყნიური მიბმულობები შხამის მსგავსია 115
მეფე ჯანაკას სიზმარი 117
ღმერთთან განშორების სევდა 119
ჭეშმარიტი განდგომა გონების ღმერთისკენ მიმართვაა 120
**თავი 12. იყავით სუფთანი: დაე ერთიანი იყოს თქვენი
მოქმედებები, აზრები და სიტყვები** 122
არამიბმულობას თვითრეალიზაციისკენ
(თვითშემეცნებისკენ) მიჰყავხართ 122
მიბმულობა ობიექტებზე, რომლებსაც თქვენს
საკუთრებად თვლით 123
უარი თქვით თქვენი მოქმედებების შედეგებზე 124
ყველაფერი ცვლილებებს ექვემდებარება 125
მუდმივი პრაქტიკა 126
სამი ასკეზა: ფიზიკური, ხმოვანი და მენტალური 127
ტყუილის თქმას სჯობია გაჩუმდეთ 128
ყოველდღე დაიცავით მდუმარების პერიოდი 129
გათავისუფლდით მონობის ბორკილებისგან 130
თავი 13. დაკარგული დრო დაკარგული ცხოვრებაა 132
სიყმაწვილის წლებიდან დაიწყეთ სულიერი პრაქტიკა 132

ამაოდ ნუ ხარჯავთ ახალგაზრდობას 134
ღმერთისთვის გამოიყენეთ სხეული 135
შეუძლებელია სულიერი ცხოვრების დაწყება, როცა
სიკვდილი კარზე აკაკუნებს 136
ჭეშმარიტად, ადამიანს ცხოვრებაში გარჩევა და
განდგომილობა სჭირდება 137
მთელი თქვენი ყურადღება ღმერთზე მოკრიბეთ 138
შეუპოვარნი იყავით თქვენს პრაქტიკაში 139
ილაპარაკეთ სიმართლე, მაგრამ კეთილგონივრულად
იხმარეთ სიტყვები 141
მრისხანების ოთხი ტიპი 142
თავი 14. გახსოვდეთ ღმერთი – დაივიწყეთ ქვეყნიერება 144
გამოარკვიეთ, ჭეშმარიტად ვის წარმოადგენთ 144
ახალგაზრდობა ცხოვრების ყველაზე უფრო ძვირფასი პერიოდია 145
განავითარეთ მტკიცე გამბედაობა და რწმენა თქვენს თავში 146
დაბადება სამწუხაროა, ცხოვრება სამწუხაროა და
სიკვდილიც სამწუხაროა 148
ველი და ველიც მცოდნე 149
მთელი სამყარო ილუზიაა 150
ერთგულთა ოთხი ტიპი 151
მოთხრობა მდიდარ ადამიანზე და მის ოთხ ცოლზე 153
ღმერთი ყველა თხოვნას პასუხობს 154
თქვენ არ ხართ მოკვდავნი - თქვენ უკვდავნი ხართ 155
ნაწილი მეორე – სიბრძნის გზა
**თავი 15. უარი თქვით თავის მოტყუებაზე – შეიცანით
თქვენი ჭეშმარიტი „მე“** 157
გატაცებასა და მიბმულობას მწუხარებისკენ მიჰყავხართ 157
გატაცება თქვენს მხნეობასა და ნებას გაანადგურებს 158

არცოდნა ყოველგვარი მწუხარების მიზეზია 160
როგორ განვკურნოთ უმეცრება 161
ომი ეგოიზმსა და თავდადებას შორის 162
განჭვრეტა და თანაგრძნობა ის თვისებებია,
რომლებსაც კეთილი გული ფლობს 164
არჯუნას ნათესავიდან და მეგობრიდან მოსწავლედ გარდაქმნა 166
იყავით გაბედულნი, იყავით შეუპოვარნი,
განავითარეთ გარჩევის უნარი 167
თავი 16. განდევნეთ უმეცრება, და მწუხარება
სამუდამოდ მიგატოვებთ 169
თქვენი ჭეშმარიტი ბუნება მარადიული სიხარულია 170
სხეული გარე სამოსელია, რომელსაც უმაღლესი სუფთა
სული ატარებს 170
სხეული, რომელსაც თქვენ ატარებთ, მრავალთაგან ერთ-ერთია 171
უმეცრება ნიშნავს თქვენი ჭეშმარიტი ბუნების არგაცნობიერებას 173
სხეულზე მიბმულობის საშიშროება 174
პრაქტიკაში გამოიყენეთ სწავლება 175
უმეცრება უნდა მთლიანად გააქარწყლოთ 176
თავი 17. დაეუფლეთ გრძნობებს, და მთელი სამყარო
თქვენი იქნება 178
საგანთა წარმავალი ბუნება 178
24 მერყევი საწყისი 179
უკვდავი არსი ეფემერული ინდივიდუალობის ზღვრებს მიღმაა 180
კეთილშობილი ბუნების ადამიანები და დაბალი ბუნების
ადამიანები 180
გრძნობის ორგანოთა ბუნება 181
გრძნობები იმას ანადგურებს, ვინც მათით არის შებოჭილი 183
მეფე, რომელსაც ხუთი ცოლი მართავდა 184

გონება თავის ხუთ ცოლთან-გრძნობასთან ერთად	186
აკონტროლეთ გრძნობები, და ფხიზლად იყავით	186
გრძნობების დამარცხება თავისი თავისთვის შეკითხვების მეშვეობით	188
ენის კონტროლი პირველი ნაბიჯია გრძნობებზე კონტროლისკენ	189
დემონთა უწმინდური მეფის კეთილი ძმა	189
თავი 18. იცოდე, რომ სხეული არ ხარ; შენ სხეულში მყოფი ხარ	192
შენ ხარ ატმა, შენ ხარ ღმერთი	192
მუდამ მხედველობის არეში გყავდეთ ატმა, და ვერაფერი გავნებთ	194
როდესაც გრძნობებს გაუგებთ, მათ გაკონტროლებას შეძლებთ	195
გააცნობიერეთ გრძნობის ობიექტების წარმავლობა	196
მაგრად მოეჭიდეთ ღვთაებას, თქვენს ჭეშმარიტ „მე“-ს, და ასრულეთ თქვენი ვალი	197
ინტელექტი თქვენს გრძნობებს აღემატება	198
ბრძენი ადამიანი არასოდეს ივიწყებს ატმას	199
ღმერთი ვინმესგან ქება-დიდებას არ საჭიროებს	201
თავი 19. გრძნობების კონტროლი უმაღლესი სულიერი სიბრძნის გასაღებია	203
გრძნობების კონტროლი თვითშემეცნების საფუძველია	203
გრძნობების ტკბობა ილუზორული სიხარულია	204
ნებისმიერი სიხარული საკუთარი „მე“-დან მოდის	205
გრძნობის ობიექტებს მხოლოდ დროებითი სიხარულის მოცემა შეუძლია	206
სხეულის ცნობიერება აბნელებს უმაღლესი „მე“-ს სუფთა სიყვარულს	207
საკუთარი ჭეშმარიტი „მე“-ს ცოდნას ყველაზე უფრო დიდი სიხარული მოაქვს	209
სილამაზე და სიხარული	209

ატმას სინათლე ყველაფერს ანათებს 210
ჭეშმარიტი სიხარული არის ის სიხარული, რომელიც
უმაღლესი „მე“-დან მოდის 212
არ შეიძლება მანქანის ტარება, როცა ფეხი მუხრუჭზე გიდგათ 213
განდგომილება, ერთგულება და გრძნობების კონტროლი 215
თავი 20. თქვენი უმაღლესი „მე“-ს ცოდნის გარეშე
ამქვეყნიური ცოდნა უსარგებლოა 217
სიბრძნის სინათლე უმეცრების სიბნელეს ფანტავს 217
ატმა უცვლელი რჩება, მაშინ როცა ინდივიდუუმი იცვლება 218
გონების ორი მდგომარეობა: სუფთა და უსუფთაო გონება 219
დაამშვიდეთ გონება – ღმერთისკენ მიმართეთ ის 220
როგორ უნდა გადაკვეთოთ ამქვეყნიური ცხოვრების
ბობოქარი მდინარე 221
გარე და შინაგანი თავისუფლება 223
იმისათვის, რომ რიმეს მიაღწიოთ, ღმერთის წყალობაა საჭირო 224
ღმერთის წყალობას შეგიძლიათ მიაღწიოთ, თუ
გული სუფთა გაქვთ 226
არსებობს მრავალი სხვადასხვა არსება, მაგრამ
ყოველი მათგანის საფუძველში ღმერთია 226
მხოლოდ სიბრძნეს შეუძლია უმეცრების დამარცხება 227
შინაგანი ძიების მეშვეობით განავითარეთ სიბრძნე 229
თავი 21. იცოდე ღმერთი – ნიშნავს გახდე ღმერთი 231
ატმას სინათლე გრძნობების უსუფთაობით არის დაფარული 231
მრავალფეროვნებაში ერთიანობას უნდა ხედავდეთ 232
ადამიანი ხარ, და არა ცხოველი 233
სურვილები გაიძულებენ, რომ აღთქმები დაარღვიოთ 235
სხეული იმისათვის მოგეცათ, რომ მასში მყოფი გააცნობიეროთ 236
ყველაფერში მცხოვრები ერთიანი ღვთაებრიობიდან

გამოდის ყველაფერი 237

ღვთაებასთან ასოციცია ღვთაებად გაქცევთ 239

თავი 22. მკვრივი, ფაქიზი და კაუზალური სამყაროები 242

ხუთი მკვრივი და ფაქიზი ელემენტი 242

ცხოვრება ტალღების მთელი რიგია 243

ღვთაებრივი პრინციპის გარეშე სამყარო სრულიად ინერტულია 245

მხატვარი, რომელიც უფლის პირისახის დახატვას ცდილობდა 246

მარადიულს რომ მიაღწიოთ, ცვალებადის ზღვრებს
იქით უნდა წახვიდეთ 248

თქვენ ერთი კი არა, სამი პიროვნება ხართ 250

სამადჰი გონების აღუშფოთველობაა 251

მხოლოდ შენ ხარ ჭეშმარიტი 252

ჭეშმარიტი ბრძენის თვისებები 254

**თავი 23. შეზღუდეთ სურვილები, და ღმერთის
სიყვარულს დაიმსახურებთ** 256

იყავით კმაყოფილნი, ნუ გამოეკიდებით სურვილებს 257

როგორ უნდა მოიპოვოთ ღმერთის სიყვარული 258

კმაყოფილება – აი ჭეშმარიტი სიმდიდრე 259

ატმა არასოდეს იბადება, ატმა არასოდეს კვდება 262

შეზღუდეთ სურვილები და გახსოვდეთ ატმა 264

**თავი 24. დიდი მოთმინება და თავდაჭერილობა
სულიერი პრაქტიკის გულია** 266

უშუალო გამოცდილების მეშვეობით გააცნობიერეთ ატმა 266

მოთმინებას მხოლოდ მაშინ მიაღწევთ, როცა რთულ
გარემოებებში აღმოჩნდებით 267

ხე, მდინარე და ძროხა 268

ზოგჯერ არ არის საჭირო მოთმინების გამოვლენა 269

რა შემთხვევაში უნდა გამოიყენოთ გარჩევის უნარი 270

გადაჭარბებული აჩქარება და სინელე ორი
უკიდურესობაა, რომლებსაც თავი უნდა აარიდოთ 272
ჭეშმარიტებას მიყოლა იგივეა, რაც მოთმინების
პრაქტიკაში გატარება 273
ჭეშმარიტების წარმოთქმისას შეიძლება ოდნავ ხმას აუმაღლოთ 274
ნეგატიური თვისებების მოსპობა მხოლოდ მათი
აღმოფხვრით შეიძლება 275
**თავი 25. ეჭვიანობა და სიძულვილი ტყუპი მავნებლებია,
რომლებიც თქვენს სიმშვიდეს სპობენ** 277
შინაგანი პრაქტიკი მეშვეობით გააცნობიერეთ მყოფელი 277
ხუთი თვისება, რომელიც ყოველივე არსებულს შეადგენს 278
ეჭვიანობა და სიძულვილი 280
შური ღმერთის მიმართ 281
ღმერთს არა აქვს ეგოისტური განზრახვები 283
დაამარცხეთ შური, და ყველაფრის დამარცხებას შეძლებთ 284
დიდი მოთმინება სიძულვილს დაძლევს 285
შურისა და ეგოიზმის უკან ეგოიზმი დგას 287
სიყვარული და დიდი მოთმინება ეგოიზმს, შურს
და სიძულვილს ანადგურებს 289
ღმერთი მხოლოდ სიყვარულის მეშვეობით შეიძლება განიცადოთ 290
შური და სიძულვილი იმას ანადგურებს, ვისაც ისინი
დაეპატრონენ 292
**თავი 26. ჭეშმარიტება და კარგი ხასიათი ცხოვრების
თვით სუნთქვაა** 293
ჭეშმარიტება და დჰარმა 293
ბავშვობიდანვე უნდა მიჰყვებოდეთ ჭეშმარიტებას 295
პატარა ტყუილმაც კი შეიძლება მოგვიანებით უბედურება
მოგიტანოთ 296

როცა ერთი ნეგატიური თვისება ქრება, დანარჩენები
დიდხანს ვერ დარჩება 297
დჰარმა უცვლელია, მაგრამ მისი პრაქტიკა ყოველ
საუკუნეში იცვლება 301
დჰარმა ნიშნავს სხვებისთვის ვნების არმიყენებას 303
სოციალური ვალი, მოვალეობათა ვალი და ოჯახური ვალი 303
საკუთარი თავის კონტროლი ვალის შესრულების გასაღებია 305
**თავი 27. გულკეთილობა და თანაგრძნობა ჭეშმარიტი
ადამიანის ნიშანია** 307
ერთიანი „მე“, ერთი ატმა ავსებს ყველაფერს 307
აზრები, სიტყვები და საქმეები ჰარმონიაში უნდა იყოს 308
სიკეთე ჭეშმარიტი ადამიანის ნიშანია 309
სიკეთის ნექტრით ავსებული ბავშვი 310
ღმერთი წყალობით ავსებს იმას, ვინც სიკეთით არის ავსებული 311
გარე და შინაგანი სისუფთავე 313
დაამარცხეთ შინაგანი მტრები 314
ცხოვრების მდინარის ორი ნაპირი 315
სამი პრინციპი, რომელიც ღვთაებრივ მიზანთან მიგიყვანთ 316
**თავი 28. შეუპოვრობა ნიშნავს ხედავდეთ ერთიან არსს
(„მე“-ს) ყველგან და ყველაფერში** 317
ღვთაებრიობა ყველაფრის საფუძველია 317
უშიშრობა სხეულის ცნობიერების ზღვრებს მიღმაა 318
შიშებს შორის სიკვდილის შიში ყველაზე უფრო ძლიერია 319
უშიშრობა ადამიანის თვით ბუნებაა 321
ცხოველთა დიდი კრება 321
რით არის ადამიანი ცხოველზე უკეთესი? 324
ძალისხმევის მეშვეობით ადამიანს თავისი დაბალი ბუნების
გარდაქმნა შეუძლია 325

ადამიანსა და ცხოველს შორის არსებითი განსხვავება 328
ადამიანთა უმრავლესობა ცხოველზე უარესად იქცევა 328
როდესაც ღმერთის მტკიცე რწმენა გაქვთ, უშიშარნი ხართ 329
განავითარეთ თქვენში კარგი თვისებები, რომ ღმერთის
წყალობა მიიღოთ 331
**თავი 29. მიბრუნდით ღმერთისკენ, და ღმერთი მობრუნდება
თქვენკენ** 333
წმინდა ხედვა 334
ეტლით ზეიმი 334
ადამიანის სხეულის ეტლი 336
გულის მინდორი 338
ჭეშმარიტი უშიშრობა 339
მოთხრობა სპილო გაჯენდრაზე 340
ღმერთისკენ მიმართეთ მზერა და იხილეთ თქვენი ჭეშმარიტი „მე“ 341
ქედმაღლობის სპილო და მიბმულობის ნიანგი 343
**თავი 30. იმისათვის, რომ თავისუფალნი გახდეთ, გონება
ღმერთს მიეცით** 344
ამოძირკვეთ თქვენში ტამასის და რაჯასის სარეველა 344
გულმოდგინედ გაწმინდეთ გული, რომ იქ ღმერთი მიიწვიოთ 345
ერთგულება, სიბრძნე და არამიბმულობა სისუფთავეს
დაიცავს თქვენში 346
რაჯას-გუნას დამახასიათებელი ნიშნები 347
მოიცილეთ ყველა სამი გუნა და გათავისუფლებას მიაღწევთ 348
მეფე ჯანაკას განცდა თვითშემეცნებისკენ მის სწრაფვაში 349
ჯანაკა თვითრეალიზაციას იღებს 350
თვითშემეცნებისთვის საჭიროა გონებაზე მთლიანად თქვათ უარი 352
გონება უფალს შესთავაზე 354
დაამშვიდეთ გონება და სხეული 355

ნაწილი მესამე – მოქმედების გზა

თავი 31. მუდამ ასრულე შენი ვალი, დაე შენი ყველა მოქმედება წმინდა იყოს 357

ერთგულების ფარი და სიბრძნის იარაღი 358

გამოიყენეთ სიბრძნე, რომ შინაგანი მტრები დაამარცხოთ 358

შეიძლება ნებისმიერი ამქვეყნიური გამოცდილების კარმას მიადევნოთ თვალი 359

ეგო მაშინ ვითარდება, როცა თქვენში მყოფი გავიწყდებათ 360

სხეული ინერტულია, იგი ხუთი ელემენტისგან შედგება 361

წმინდა მოქმედებებიდან ნეტარებისკენ და ერთგულების გრძნობისკენ 362

აზრები, გრძნობები და მოქმედებები საკვების წყალობით ჩნდება 363

ყურადღება მიაქციეთ მოქმედებას, და არა შედეგს 364

ღვთაებრივი სინათლის მიღწევისთვის დაე სიბრძნე გახდეს თქვენი სურვილი 366

მოქმედების სამი სახე 367

ისწრაფეთ იმისკენ, რომ უმაღლესს მიაღწიოთ და არასოდეს დაუბრუნდეთ ძველს 369

თავი 32. მოქმედების იოგა არის თქვენი მოქმედებების შედეგებზე უარის თქმა 370

მოქმედებები წმინდა გახადეთ და გახდით თავისუფალნი 370

დაე თქვენი მოქმედებები იოგად იქცეს 371

მოქმედების შესრულების სიხარული ჯილდოს სიხარულზე უფრო დიდია 372

გიტას უდიდესი სიბრძნე შეაქვს ყოველდღიურ ცხოვრებაში 373

ჯანაკა და შუკა 375

სანამ სწავლება შევიდოდეს, სიძულვილი უნდა გამოვიდეს 377

ცეცხლი, რომელმაც მიმდევართა მიბმულობები გამოავლინა 378

არჯუნას მეშვეობით კრიშნა მთელ ქვეყნიერებას ასწავლიდა 379
ჩვეულებრივი მოქმედებები, მიუკერძოებელი მოქმედებები
და წმინდა მოქმედებები 380
გიტა იმ ყველაფერს მოგცემთ, რისი მიღებისთვისაც მზად ხართ 381
თავი 33. შინაგანი ხედვის განვითარება 384
როგორ უნდა დაიხსნათ თავი შინაგანი მტრებისგან 384
თქვენი თავისთვის მსახურების მოქმედება ღმერთისთვის
უანგარო მსახურებად აქციეთ 385
გაწმინდეთ მოქმედებები მანამდე, სანამ მათ
ღმერთს შესთავაზებდეთ 386
განათლებულის თვისებები 387
ადამიანთა მოქმედებებში მათი ჭეშმარიტი ბუნება მჟღავნდება 388
ილუზიის მომხიბვლელობა და მისი ორი უდიდესი ძალა 390
მაიას შეცდომაში შემყვანი ძალა შეიძლება
სამუდამოდ გავაქარწყლოთ 391
სუფთა გული მიბმულობებისა და ილუზიებისგან თავისუფალია 392
მოქმედებები მათ შედეგებზე მიბმულობის გარეშე 393
ჩვეულებრივი მოქმედებებიდან ბუდჰი-იოგასკენ, ამის
შემდეგ კი კარმა-იოგასკენ 394
აშტავაკრა სწავლულთა ყრილობაზე 395
შინაგანი ხედვის გარეშე ისინი არიან მეწაღეები,
და არა სწავლულები 397
დაე მთელი შხამი დაუბრკოლებლად გამოვიდეს 398
ექვსი სულიერი განძი 400
**თავი 34. მოიცილეთ სხეულის ცნობიერება და ღმერთის
ცნობიერების რეალიზაცია მოახდინეთ** 402
მოქმედებებს იმისათვის ასრულებთ, რომ თქვენი
ცხოვრება წმინდა გახდეს 403

დაე თქვენი ყველა მოქმედება გახდეს თავგანწირვა,	
და არა ბრძოლა	404
შენ ატმა ხარ, შენ არ ხარ სხეული	405
ღმერთი ადამიანის ფორმაში არა მარტო ავატარებია	405
გააფართოეთ შეხედულებები თქვენ შესახებ,	
და გაიგებთ ღმერთს	407
დჰარმის ბუნება	409
სიმშვიდე თქვენივე თავში უნდა მოიპოვოთ	410
ქორწილისთვის საქმროა საჭირო	411
გამოიყენეთ შემხვედრი სიძნელეები, რომლებიც	
გეხსნებათ როგორც შესაძლებლობები და გამოცდები	412
საჭირო არ არის, რომ ბარგი თავზე გედოთ	413
თავი ღვთაებასთან გააიგივეთ, და არა სხეულთან	414